К 72-009
3

საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო

იონა მეუნარგია

ქართული მწერლები

საშეცნიერო-მეთოდური კაბინეტის გამომცემლობა
თბილისი 1957

საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო

ეროვნული
ბიბლიოთეკა

იონა მეუნარგია

ქართული მწერლები

II

შედგენილი

სოლომონ ცაიშვილის

მიერ, მისივე რედაქციით, წინასიტყვითა და
შენიშვნებით

K 72,3 009

საქართველოს
პარლამენტის
ეროვნული
ბიბლიოთეკა

სამეცნიერო-მეთოდური კაბინეტის გამომცემლობა
თბილისი 1957



იონა მეუნარგია

ეროვნული ბიბლიოთეკა

№249

წ ი ნ ა ს ი ტ ყ ვ ა

იონა მეუნარგიას პლუტარქული[1] ღვაწლი თხზულებათა კრებულის ამ ტომით მთავრდება. განზრახული გვაქვს III ტომი მისი პუბლიცისტური და კრიტიკული სტატიებისაგან შევადგინოთ. მკითხველი საზოგადოება უკვე იცნობს ამ კრებულის პირველ ტომს, რომელშიც შევიდნენ: ალექსანდრე ჭავჭავაძე, გრიგოლ ორბელიანი, ნიკოლოზ ბარათაშვილი, გიორგი ერისთავი, კოლხიდელი (გრიგოლ დადიანი), მამია გურიელი (ფაზელი), დავით ერისთავი და გ. ჭალადიდელი (გიორგი ქოჩაქიძე).

წინამდებარე II ტომში შეტანილი მასალები წარმოადგენენ მოგონებებს, კრიტიკულ სტატიებსა და მონოგრაფიული ხასიათის ნარკვევებს, რომლებიც აშუქებენ: ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, გრიგოლ ორბელიანის, სერგეი მესხის, ალექსანდრე ყაზბეგის, ნიკო დადიანისა და დავით დადიანის ცხოვრების, მოღვაწეობისა და შემოქმედების ზოგ მომენტებს. რაკი დავით დადიანის მოღვაწეობის საგრძნობი ნაწილიც მწერლობასა და ლიტერატურას განეკუთვნება, ტომს პირვანდელის სახელწოდება („ქართველი მწერლები") დავუტოვეთ. აქვე დამატების სახით მოვაქციეთ (რაკი სხვა ტომში მას ადგილი არ დაურჩა) ნარკვევი ეკატერინე ჭავჭავაძე-დადიანზე, რომლის მეცენატური ღვაწლი და ქართველ მწერლებთან ახლო ურთიერთობა მოკლედ არის გაშუქებული ტომს დამატების სახითვე დავურთეთ „სემინარიელის დღიურებიც".

გრიგოლ ორბელიანის შესახებ აქ მოთავსებული მასალა იძლევა პოეტის გარდაცვალებისა და დასაფლავების დღეების აღწერას, ქართველი ხალხის თითქმის ყველა ფენის მონაწილეობას იმ საერთო გლოვაში, რომლითაც მაშინ მოცული იყო არა მარტო საქართველო, არამედ მთელი კავკასია. შემთხვევითი როდი იყო, როცა მრავალრიცხოვან სამგლოვიარო პროცესიაზე სხვადასხვა დაწესებულებათა და საზოგადოებათაგან წარმოდგენილ ორმოცზე მეტ გვირგვინს წინ მიუძღოდა ხალხის გვირგვინი წარწერით: „შენ ძმას დაცემულს ხელს აძლევდი, რომ აღგედგინა", ხოლო მას მოსდევდა სტამბის მუშების გვირგვინი, რომელზედაც პოეტისავე სიტყვები იყო წარწერილი:

---

[1] აკადემიკოსმა სიმონ ჯანაშიამ იონა მეუნარგიას ქართველ მოღვაწეთა პლუტარქი უწოდა (იხ. „მასალები კავკასიისა და საქართველოს ისტორიისათვის", ნაკვეთი III, 1939 წ.).

„შენ იცოდი, რომ არიან ღარიბნიც,
არის სადმე სიმწარითა ცხოვრება!..“

ეროვნული ბიბლიოთეკა

გრიგოლ ორბელიანი, რომელიც ქართულ ლიტერატურაში ითვლებოდა ძველი თაობის იდეურ მეთაურად, ახალი თაობის მედროშემ ილია ჭავჭავაძემ დაკრძალვის დღეს წარმოთქმულ სამგლოვიარო სიტყვაში დაახასიათა როგორც „ერთი რჩეულთაგანი“ და „იმ ზეგარდმო მადლით ცხებულთაგანი“, ვისაც სწყუროდა ქართველი ერის განახლება და ამაღლება. ილიამ დაახასიათა იგი როგორც პოეტი „თვითმპყრობელი ქართული ენისა, მეუფე ჩვენი სიტყვიერების ძალღონისა და სიმდიდრისა“, „მოძღვარი“, „მწერალი და მთქმელი მაღალის ნიჭით ცხებული“, რომლის „სიტყვაც თვითონ საქმეა“. ხოლო უფრო გვიან, 1888 წელს, გაზეთ „ივერიის“ (№ 63) ერთ-ერთ მეთაურ სტატიაში[1] ილია წერდა: „სხვისა არ ვიცი და ჩვენ კი გვგონია, რომ გრიგოლ ორბელიანს, როგორც პოეტს, წინ ვერავინ გადაურბენს ამ ჩვენს მეცხრამეტე საუკუნეშიო“.

მეორე ჩვენმა სასიქადულო პოეტმა აკაკი წერეთელმა თავის საკმაოდ ვრცელ სიტყვაში ხაზგასმით აღნიშნა, რომ მომავალი დრო და თაობა „გონების თვალით“ შეხედავს გრიგოლ ორბელიანს როგორც ღირსეულ „მამულის შვილს“, რომლის „სამარე აქ, ეს ბნელი და ცივი მიწა კი არ არის, არამედ იქ, სადაც კი ქართველი კაცის ნათელი და მხურვალე გულია“.

ახალი თაობის ამ დიდი წარმომადგენლების აზრი და შეფასება მომავალმა დრომ და თაობამ გაამართლა. გრიგოლ ორბელიანი დღეს ერთი ის უკვდავთაგანია, რომლის გონებრივი მემკვიდრეობა ქართული კულტურის ოქროს ფონდის განუყოფელი ნაწილია. ყოველივე ამას ხელი შეუწყო იმ გარემოებამ, რომ გრ. ორბელიანი არ იყო ე. წ. „ძველი თაობის“ ისეთი წარმომადგენელი, რომელსაც ყოველგვარი ახლის გრძნობა დაჩლუნგებული ჰქონდა და მხოლოდ წარსულით სუნთქავდა. პირიქით, დიდი აკაკის დაკვირვებული ფორმულირება რომ ვიხმაროთ, იგი „ხნოვანობით არ საზღვრავდა“ საქმის ვითარებას, არამედ იყო მოყვარული და თანამგრძნობი ახალი თაობის კაცებისა, „რასაც ის ხშირად სურვილით, სიტყვითა და გრძნობით ამტკიცებდა“. მართლაც პოეტი, რომელსაც სწამდა, რომ „ჭეშმარიტი დიდება ამა სოფლისა არის მხოლოდ კურთხევით მოხსენება ერისაგან“, ერთს კერძო ბარათში თავის მეგობარს სწერდა: „მხოლოდ ისინი კი არ არიან მკვდარნი, ვინც საფლავში განისვენებენ, მკვდარნი არიან ისინიცა, რომელნიც ცხოვრობენ ახალგაზრდა, მჩქეფარე, ცოცხალ თაობას შორის, მაგრამ არ ესმით ამ თაობის მისწრაფებანი, მისი იდეები და ამრიგად უცხონი არიან ყოველივე იმის მიმართ,

---

[1] ამ სტატიის შესახებ ი. მეუნარგიას უბის წიგნაკში აღუნიშნავს: „ჩემს ლექციებს ორბელიანზე ცენზურა არ უშვებდა. ილიამ კი იმაზე „ივერიაში“ მეთაური წერილი დაწერა“ (იხ. ზუგდიდის მუზეუმი, ი. მეუნარგიას უბის წიგნაკი 356—VI).

რაც მათს გარშემო ხდება და ამიტომაც საზოგადოებისათვის ზედმეტ და უსარგებლო ადამიანებად იქცევიან“ (იხ. ი. მეუნარგია „ქართველი მწერლები“, ტ. I, გვ. 446).

ილია ჭავჭავაძის დიდბუნებოვნება გრძნობდა გრიგოლ ორბელიანის ამგვარ განცდებსა და სულისკვეთებას. ამის მაგალითად ისიც კმარა, რომ მან, როცა თავის გამოცანებში მწარედ გაამათრახა ძველი თაობის ბობოლა წარმომადგენლები, გრიგოლ ორბელიანი ვერ გაიმეტა და მას „საქმით წმიდა, გულმხურვალე, სიტყვატკბილი, ჭკვამაღალი, გრძნობით სავსე, გონიერი“ და თავისი ერის მოყვარული უწოდა, მაგრამ მხოლოდ „გაუბედავობას“ უწუნებდა, რასაც, როგორც ცნობილია, თავისებური ობიექტური მიზეზებიც ჰქონდა.

მართალია, გრიგოლ ორბელიანი ბოლომდე ვერ შეურიგდა სერგეი მესხის და მის გაზეთ „დროებას“, რადგან ეს ორგანო ვერ იცავდა ქართული ენის სიწმინდეს ისე, რომ გრიგოლ ორბელიანის გემოვნება და მოთხოვნილება დაეკმაყოფილებინა, და ერთ ლექსში სასტიკად გაიცხა კიდეც: „ვერ ისწავლა მესხმა წერა, ვერა, ვერაო“, მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ ის ახალი თაობის მიერ გადადგმულ ყოველ ნაბიჯსა და მათს პერიოდულ პრესას უარყოფდა. პირიქით, მას მოსწონდა ახალი თაობის ჟურნალებიდან „დროების“ დამატება, ნიკო ნიკოლაძისა და გიორგი წერეთლის ჟურნალი „კრებული“ და ნიკო ავალიშვილის ჟურნალი „მნათობი“... ჟურნალ „ცისკართან“ ერთად გრ. ორბელიანი ამ ჟურნალების დახურვას მისტიროდა და მესხის წინააღმდეგ დაწერილ იმავე სატირულ ლექსში მწუხარებით აღნიშნავდა:

„ვაი რა დრო
სამწუხარო,
რომ ხმა ცისკრის
აღარ გვესმის საამო!
და დაბნელდა
უდროოდა „მ ნ ა თ ო ბ ი ც!“
რომ „კრ ე ბ უ ლ ი“[1]
მარილ-ქებული დავკარგეთ
და დავდუმდით,
დავმორჩილდით „დროებას...“[2]

სამწუხაროდ, ზოგიერთი მკვლევარი გრიგოლ ორბელიანის „კონსერვატორობისა“ და „რეაქციონერობის“ დამტკიცების მიზნით ამ ლექსს ანაკუწებს. „დროების“ დამატების „კრებულის“ ხსენებას სრულიად აგდებს ლექსიდან და პროგრესულ-ხალხოსნური მიმართულების ჟურნალ „მნათობს“, რაკი ის ნაკლებშესწავლილია, „ცისკრის“ გაგრძელებად აცხადებს.[3] ჩვენი აზრით, აქ საკითხი ნათელია. ენის დაცვის სადარაჯოზე

---

[1] ხაზი ყველგან ჩვენია.—ს. ც.

[2] იხ. გრ. ორბელიანი, გვ. 74. გამოც. 1951 წ.

[3] „ლიტერატურული ძიებანი“, ტ. IX, გვ. 253-254.

მდგარ გრიგოლ ორბელიანს მოსწონდა რა პროგრესული მიმართულების ჟურნალები „მნათობი“ და „კრებული“, აკრიტიკებდა გაზეთ „დროებას“ ძირითადად სწორედ ენის დამახინჯების გამო[1].

ეს რომ ასე იყო, რომ გრიგოლ ორბელიანი ენის სიწმინდის დაცვაში ეხმარებოდა თავისდროინდელ ქართულ რედაქციებს, ასწორებდა ჟურნალ-გაზეთების გვერდებზე დაშვებულ უხეშ ენობრივ შეცდომებს და რედაქციებს უგზავნიდა, ამაზე, სხვათა შორის, საინტერესო ცნობას გვაწვდის ჟურნალ „მნათობის“ რედაქტორი ნიკო ავალიშვილი[2],

ი. მეუნარგიას ცნობით, უკანასკნელ ხანებში თვითონ პოეტმა აღიარა, რომ „ახლანდელ მწერალთა ენა უფრო მარტივია და ხალხისათვის გასაგები, რასაც ნაყოფიც კარგი ექნება, მაგრამ ენის კანონის დარღვევა კი არ შეიძლება... ახლა რედაქციის მეტი ვიღა დაგვრჩა ენის მფარველად, რომ ესეცა ასე დაუდევნელად, გულშეუტკივრად ჰბეჭდავს ყოველსა არეულად დაწერილსა? ჩემის აზრით, რედაქციას აქვს მოვალეობა, რომ სასტიკი ყურადღება მიაქციოს ჩვენს მართლწერას, თორემ სრულებით უსარგებლოდ დაჰშთება მისი ესოდენი ღვაწლი, მისი ესოდენი შრომა და მეცადინეობა“[3].

ორბელიანის ამ სიტყვებს ადასტურებს მისი ბიოგრაფიც, რომლის აზრით პოეტი ნაწილობრივ მაინც იყო მართალი. გაზეთ „დროების“ ფურცლები მართლაც აჭრელებული იყო ამგვარი უკანონო ფორმებით: „ამ სოფელი შორიდან ეტყობოდა რომ ცეცხლს დაეწვა“, „სტუდენტები დაგვიხდა“, „თავი გავიქნიე“, „შავი წვერები“, „ჯერ გარიბალდის ფონი გასავალსა აქვს“ და სხვა ამგვარები, რომელსაც გრიგოლ ორბელიანი ვერ ითმენდა და იერიში „დროების“ რედაქტორ სერგეი მესხზე მიჰქონდა“.

ამ ტომში შეტანილი „ნანახი და განაგონი ილიას ცხოვრებიდან“ მხოლოდ მოგონებაა ილიაზე და არა ბიოგრაფია. იგი ილიას ცხოვრებიდან ამოკრეფილი ცალ-ცალკე ეპიზოდებია, სამახსოვრო წიგნებში სხვადასხვა დროს ჩაწერილი საბიოგრაფიო მასალებია, რომლებიც მის ავტორს უგროვებია, რადგანაც განზრახული ჰქონია ილიას ბიოგრაფიის დაწერა. ამაზე ის თვითონ მოგვითხრობს, რომ მან პირველად 1879 წელს გაიცნო ილია ჭავჭავაძე პირადად და მას შემდეგ ისინი სიკვდილამდე უახლოესი მეგობრები იყვნენ. ამ მეგობრობას ხელს უწყობდა ი. მეუნარგიას თანამშრომლობა ილიას ჟურნალსა და გაზეთ „ივერიაში“. იგი თვითონვე აღნიშნავს, რომ თავიდანვე არ ჰქონია განზრახული ემუშავნა ქართველ მწერალთა და გამოჩენილ საზოგადო მოღვაწეთა ცხოვრების აღწერაზე; ამიტომ ბევრი რამ ისეთი სამკაული, რასაც შეეძლო ამ მოგონებათა ან, საერთოდ, ილიას ბიოგრაფიის გახალისება, მიმავიწყდა. მხოლოდ მას შემდეგ, როცა გადაუწყვეტია შეედგინა ცხოვრების აღწერა: გრიგოლ

---

[1] იხ. ჟურნ. „მნათობში“ (1951 წ. № 12) ჩვენი რეცენზია ამ საკითხზე.
[2] იხ. ჩვენი მონოგრაფია „ნიკო ავალიშვილი“, გვ. 87.
[3] ჟურნ. „ცისკარი„ 1874 წ. № 9—10.

ორბელიანისა, ნ. ბარათაშვილისა, გ. ერისთავისა, ილიასი, აკაკისა, ნ. ნიკოლაძისა, ი. გოგებაშვილისა და სხვათა, ამ მწერლებზე მასალების დაგროვებაც დაუწყია. კერძოდ ილიაზე იგი წერს, რომ „მას შემდეგ მეყოველს შეყრაზე ილიას ვუყურებდი და ვუსმენდი როგორც „მსხვერპლს“ მუშტრის თვალით“ და როცა იმისგან მივდიოდი შინ, მის ნალაპარაკევს ვწერდი ჩემს სამახსოვრო წიგნშიო“.

სხვადასხვა მიზეზების გამო ავტორს მიზნისათვის ვერ მიუღწევია. აქ ჩამოთვლილი მწერლების ცხოვრების აღწერა ვერ დაუმთავრებია. ხოლო ზოგი დაგროვილი წვრილმანი მასალაც შემოდგომის ფოთლებივით ბიმობნეული დარჩენილა მის სამახსოვრო წიგნაკთა ფურცლებზე. მათგან 1908 წელს ქუთაისში გამართულ ილიას საღამოზე, სპეციალური დავალებით, ავტორს ამოუკრეფია აქ მოთავსებული მოგონებები და მოხსენების სახით წაუკითხავს. კრებულში მოთავსებული ნარკვევი ამ მოხსენების ზუსტი ტექსტია. როგორც მკითხველი დაინახავს, იგი დიდი ილიას ცხოვრებისა და მოღვაწეობის რამდენიმე დამახასიათებელი მომენტისა და საყურადღებო დეტალების შემცველია. ამ მასალის ერთგვარ შესავსებად აქვე შევიტანეთ ი. მეუნარგიას კრიტიკული ეტიუდი, რომელშიც გარჩეულია ილიას პოემა „განდეგილი“. იგი, როგორც ამ პოემის გარშემო თქმული პირველი სიტყვა ლიტერატურულ მნიშვნელობას არ არის მოკლებული. ილიამ თავის ავტობიოგრაფიაში დასახელების ღირსად ცნო ეს ეტიუდი[1].

ამავე კრებულში შემოგვაქვს აგრეთვე ფრაგმენტულად გადარჩენილი ტექსტი ავტორის მოხსენებისა „აკაკის ცხოვრება, მისგანვე ნაამბობი“, რომელიც 1908 წელს წაუკითხავს მას ფოთში გამართულ აკაკის საიუბილეო საღამოზე. ესეც ამოკრეფილია სამახსოვრო წიგნაკებიდან და შეკინძულია მოგონებების სახით. იმდროინდელ პრესაში, სადაც გაშუქებულია ეს საღამო, ი. მეუნარგიას მოხსენებაც შეფასებულია როგორც კარგი და მნიშვნელოვანი მოხსენება (იხ. „ლიტ. მატიანე“, წ.3—4). ფრაგმენტი ძალიან დაზიანებულია, მაგრამ მისი ამ სახითაც დაბეჭდვა არ იქნება მთლად უსარგებლო, ვინაიდან ის დიდი პოეტის ცხოვრების რამდენიმე საგულისხმო ცნობასა და ფაქტს გადმოსცემს დაინტერესებულ მკითხველს.

სერგეი მესხის უანგარო და ნაყოფიერი ღვაწლი საკმაოდ ცნობილია ქართული ჟურნალისტიკისა და ლიტერატურის ისტორიაში. ამ საყურადღებო მოღვაწეობის მოკლედ აღნუსხვის ცდაა იონა მეუნარგიას აქ მოყვანილი წერილი — „გაზეთი დროება და სერგეი მესხი“, რომელსაც მოსდევს მეორე მისი წერილიც სერგეი მესხის დაკრძალვაზე. წერილების ავტორი გაზეთი „დროების“ რედაქციის ერთ-ერთი მუდმივი და თვალსაჩინო თანამშრომელი იყო. მის შესახებ თვითონ სერგეი მესხი გადმოგვცემს, რომ ჩემზე არანაკლები სამსახური გაუწევია გაზეთისათვის

[1]. Вестники Грузии, № 1, 1907 г.

თავისი უსასყიდლო და უანგარო შრომითო[1], ეს გარემოება მას უეჭველად ავალებდა რაც შეიძლება გულწრფელად, ობიექტურად და შესაძლებელი სისრულით გადმოეცა სერგეი მესხის ჟურნალისტური მოღვაწეობა, რამდენადაც ეს საგაზეთო სტატიებში მოხერხდებოდა.

მართლაც, იგი საკმაო დამაჯერებლად გვიხატავს იმ დუხჭირ დროს, როცა გაზეთი „დროება" დაარსდა (1866 წ.), როცა 24—25 წლის სერგეი მესხი სათავეში ჩაუდგა ამ გაზეთს და იგი ყოველდღიურ გამოცემად გადააქცია, რაც პირველი შემთხვევა იყო მე-19 საუკუნის საქართველოს სინამდვილეში. მიუხედავად იმისა, რომ გაზეთს არც ერთი მუდმივი თანამშრომელი არ ჰყავდა, ს. მესხის ენთუზიასტური შრომით, დიდი ტაქტითა და ნამდვილი ჟურნალისტური ალღოთი „დროებამ" სულ მალე მოიპოვა ავტორიტეტი და პოპულარობა მოწინავე ქართველ საზოგადოებაში.

„გარდა იმ საუკუნო მადლობისა, რომელიც ჩვენი გაზეთის დამაარსებელს (გიორგი წერეთელს. — ს. ც.) ეკუთვნის,—წერს ავტორი,—სერგეი მესხის სახელს, მის სიმპათიურ ბუნებას უნდა ვუმადლოდეთ, რომ დღეს „დროება" მთელი საქართველოს გაზეთად გადაიქცა; მას უნდა ვუმადლოდეთ, რომ ამ თითქმის ხელოვნურ ნიადაგზე აღმოცენებულმა მცენარემ ღრმად გაიდგა ფესვები და მრავალ ქართველ კაცს დღიურ საჭიროებად შეექმნა. სერგეი მესხმა მოიზიდა მრავალი უსასყიდლოდ მშრომელი პატიოსანი პირი, რომელთა დახმარებითაც დღეს ჩვენს გაზეთს შეუძლიან რედაქციის კაბინეტიდან ოთხსავ კუთხეს ეჭიროს თვალი და მთელ საქართველოს თავს დასცქეროდეს".[2]

ავტორს საკმაოდ ფართოდ აქვს აღწერილი ს. მესხის უკანასკნელი დღეები აბასთუმანში, მისი უდროოდ გარდაცვალება, გამოსვენება, ქუთაისის საზოგადოების შეხვედრა, დაკრძალვა და ამ შემთხვევის გამო წარმოთქმული სიტყვები: გიორგი წერეთლისა, ვ. მიქელაძისა, ევსტატი მჭედლიძისა (ბოსლეველი.— ს.ც.), ქუთაისის მოქალაქეთა წარმომადგენლის ს. ცერცვაძისა და სხვა. ამ სიტყვებში ის დახასიათებულია როგორც ქართველი ხალხის, მისი ლიტერატურისა და ჟურნალისტიკის უანგარო და უზადო მსახური და იშვიათი ზნეობის ადამიანი, რომლის დაკარგვას მისტიროდა მთელი საქართველოს მოწინავე საზოგადოება.

კრებულის ამავე რკალში მოექცა აგრეთვე ავტორის მიერ სხვადასხვა დროს დაწერილი და გამოქვეყნებული კრიტიკული ეტიუდები ალექსანდრე ყაზბეგის მოთხრობების — „ელგუჯას", „მოძღვარისა" და „ციკოს" შესახებ. კრიტიკოსი უაღრესად მაღალსა და ღირსეულ შეფასებას აძლევს „ელგუჯას" „საუბრის" სათაურით დაწერილ ერთს საგაზეთო ფელეტონში. „ჩვენ დარწმუნებული ვიყავით, — წერს იგი, — რომ ამ მოთხრობაში ყველა იმ ნაკლს შევხვდებოდით, რომელიც

[1] „დროება", 1883 წ. № 85.

[2]. „დროება", 1883 წ. № 149.

განუმორებელია ყოველ ახალ ქმნილებაში, ყოველ გამოუცდელ მწერალში, მაგრამ ამ მოთხრობის წაკითხვამ ჩვენ დაგვარწმუნა, რომ ნიჭიერი კაცი თავისუფალი ყოფილა ამ საზოგადო კანონის მონობიდან. ბ. ალ. ყაზბეგმა ერთბაშად შემოდგა ფეხი ქართულ მწერლობაში, როგორც დახელოვნებულმა და დიდი გემოვნების მქონე ხელოვანმა" („დროება" № 269, 1881 წ.).

ზოგიერთი ნაკლი, რომელთა უმეტესობა ენასა და სტილს ეხება, კრიტიკოსის აზრით, მართალია, დეფექტია, მაგრამ საპატიოა, რადგან ის მხოლოდ აჩქარებული წესით არის გამოწვეული. ი. მეუნარგიას გადმოცემით ისეთ პირობებში, როგორშიც ალ. ყაზბეგი წერდა ამ მოთხრობას, უნაკლოდ წერა შეუძლებელია. „დღეს ერთ ფელეტონს აქ დაწერდა და დააბეჭდვინებდა, ხვალ გორში დაწერდა, ზეგ — ქუთაისში, მაზეგ ფოთში და ბათუმში. არც გასწორება, არც მეორეჯერ გადაკითხვა და არც უკანასკნელი რედაქცია. ჩქარა, ფელეტონი!.. ეტყოდნენ რედაქციაში ავტორს და ამ ფელეტონიდან ნელ-ნელა ჩინებული მოთხრობა გამოცხვა" (იქვე). ასევე გულისხმიერებით და სიყვარულით არის მისგან გარჩეული მოთხრობა „ციკო", ჟურნ. „ივერიის" ერთ-ერთი ნომრის განხილვის დროს.

„დროების" რედაქციის თანამშრომლის ზემოაღნიშნულ განცხადებას მრავალმხრივი მნიშვნელობა აქვს ალ. ყაზბეგის თხზულებათა შემოქმედებითი ისტორიის შესწავლისათვის. დიდი ხანი არ გასულა მას შემდეგ, რაც ალ. ყაზბეგის მტრებისაგან დაგებულ ანკესს ზოგი მკვლევარი წამოეგო და საოცრად უსიამოვნო მითქმა-მოთქმა და სიტყვების კორიანტელი ატყდა პრესის ფურცლებზეც. მოყვანილი განცხადებიდან კი აშკარად ჩანს, რომ რედაქციის თანამშრომელთა თვალწინ, სახელდახელოდ, გზადაგზა და ფელეტონის საჭიროების მიხედვით იწერებოდა ქართული პროზის ეს შედევრები. საკვირველია, რომ ამ საკითხებზე ატეხილი პოლემიკის დროს ეს „საუბარი" მივიწყებული დარჩა, მაშინ, როცა აქ მოყვანილ ცნობებს დოკუმენტური მნიშვნელობა ენიჭება.

საყურადღებოა აგრეთვე ამავე ავტორის მეორე კრიტიკული სტატია „მოძღვრის გამო", რომელსაც ალ. ყაზბეგის პოლემიკური სტატიის დაწერა გამოუწვევია. მართალია, ყაზბეგის ეს პოლემიკური სტატია დაგვიანებით გამოქვეყნდა (1924 წ.), მანამდე მისი არსებობა არავინ იცოდა, მაგრამ მისი გაცნობის შემდეგ სავსებით გაიფანტა ის ბურუსი, რომელიც ხელს უშლიდა ალ. ყაზბეგის შემოქმედებითი ლაბორატორიის შესწავლას. ამ წერილის გამომზეურების შემდეგ მთელი სიგრძე-სიგანით აღიმართა ქართველი მკითხველის წინაშე ალექსანდრე ყაზბეგი, როგორც ერუდიტი და უნიჭიერესი მწერალი. ი. მეუნარგიას ამ ფელეტონს ბევრ უმართებულობასთან ერთად აქვს დადებითი მხარეც; მასში მითითებულია ზოგიერთ იმ ნაკლზეც, რომელიც ალ. ყაზბეგის მრავალფეროვან და ნაყოფიერ შემოქმედებას ზოგ შემთხვევაში მართლაც ახასიათებდა (ჩქარი წერა, სტი-

ლის დაუხვეწაობა და სხვ.) და რომლის გამოსწორება მწერალს ყოველთვის შეეძლო.

ტომის შემდეგ რკალში მოექცნენ მონოგრაფიები და ნარკვევები ისეთ პიროვნებებზე, რომლებიც პროფესიული მწერლები არ იყვნენ, მაგრამ მწერლობასთან, მის საჭირბოროტო საკითხებთან მაინც ახლოს იდგნენ. ესენია: ნიკო გიორგის-ძე დადიანი, დავით დადიანი და ეკატერინე ალ. ჭავჭავაძის ასული დადიანისა.

დასახელებული პიროვნებანი, მართალია, არ ყოფილან მსახურნი მხოლოდ მხატვრული სიტყვისა და „გამოთქმისა", მათ ქართულ სიტყვაკაზმულ მწერლობაში რაიმე თავისებური „ჯავარი" არ შეუტანიათ, მაგრამ მათი როლის, საზოგადოებრივი ღვაწლისა და მნიშვნელობის დავიწყება არც მწერლობას შეუძლია და არც საზოგადოებრივი ურთიერთობის ისტორიას. მათი ხსენება საქართველოს ისტორიის სხვადასხვა სარბიელზე არც თუ იმდენად უმნიშვნელო და უსარგებლო იყო, რომ წერად, მსჯელობად და ამ კრებულში შეტანად არ ღირებულიყო. მართალია ისიც, რომ ამ ნარკვევთა ავტორის განსაზღვრით, ბიოგრაფია ეკუთვნის მხოლოდ განსხვავებულ პირთ, რომელთაც განსაკუთრებული სამსახური გაუწიეს მამულს, მეცნიერებას, ხელოვნებას, მწერლობას; აქ მოქცეულ სახელებს კი ამგვარი განსხვავებულობისა და რჩეულობის შარავანდედი როდი ჰმოსავთ, მაგრამ ჩვენ ამ კითხვასაც იმავე ავტორის სიტყვებით უნდა ვუპასუხოთ: „ნეტავი ვისმე ჩემსავით მოცლილ კაცს აეწერა თამარის დროის კაცი, იმისი ტანისამოსი, ჩვეულება, ქცევა, ლაპარაკი, ყოფა... ოხ, რა დიდად დაავალებდა ის ჩვენს ისტორიას, რაგვარად დაასურათებდა ის ერთობ სიტყვაძვირ ქართლის ცხოვრებას"[1]...

ამ სიტყვების ავტორი არ ღალატობს მისთვის ჩვეულ სიმკაცრესა და სიტყვაძვირობას, თორემ „ქართველთა ცხოვრების" მე-19 საუკუნის გალერეაში, რასაკვირველია, არც ისე დაბინდული და მუქად მზირალნი, ან წარსულის სიღრმესა და დავიწყების მორევში ჩაძირულნი არიან ის პირნი, რომელთა ცხოვრების აღწერასაც ადგილი აქვს დათმობილი წიგნის ამ ნაწილში. ეს რომ ასე ყოფილიყო, არც ამ „აღწერების" შედგენა დასჭირდებოდა მის ავტორს და არც ის განზრახვა შესრულდებოდა, რომელსაც ის თვითონვე ამჟღავნებს ამ ნარკვევების მანძილზე.

ავტორის განზრახვა შესრულებულია. აქ მოყვანილი „აღწერები" ბიოგრაფიებიც არის და საგულისხმო მასალებსაც შეიცავს იმ დროის ისტორიის შესასწავლად, რამდენადაც მისი გმირები არიან ისტორიული პირები, საზოგადო მოღვაწენი, მეინახენი და ისტორიულ ასპარეზზე მომქმედნი; ამავე დროს ზოგ მათგანს ქართული მწერლობის სფეროში შესაფერი ადგილიც აქვს მიკუთვნებული. მაგალითად:

ნიკო გიორგის-ძე დადიანი ცნობილი ისტორიული პირია, 1784—1834 წლების მანძილზე აქტიური მოქმედია ფეოდალური სამეგრელოს სამ-

[1] ი. მეუნარგია, ქართველი მწერლები, ტ. I, გვ. 296.

თავროში როგორც მინისტრი, სარდალ-მსაჯულთუხუცესი და მოურავი, დიპლომატი და პოლიტიკური მოღვაწე; თანამედროვე ენით რომ ვთქვათ, საგარეო და სამხედრო მინისტრი ოდიშის მთავრების: გრიგოლისა (1788 — 1804) და მისი შვილის ლევანისა (1804 — 1846); განსაკუთრებით ამ უკანასკნელის დროს ის დიდი ნდობით სარგებლობდა და ქვეყნის ფაქტიური მმართველი იყო.[1] ამავე დროს ის იყო მწერალი და ცნობილი მემატიანეც, ავტორი ისეთი ვრცელი ნაშრომებისა, როგორიცაა: „ქართველთ ცხოვრება", „დასტურლამალი" და მემუარები, რომლისთვისაც მას უწოდებია „მიმოვლაი ნიკო დადიანისა"; მასვე ეკუთვნის რამდენიმე ლირიკული ლექსი[2] და საჯაროდ წარმოთქმული სიტყვები და ქადაგებანი[3].

დავით დადიანი კი უფრო მეტად ისტორიული ფიგურა იყო, მსხვილი ფეოდალი და მფლობელი გარკვეული ტერიტორიისა, მთავარი და რამდენადმე დამოუკიდებელი მმართველი თავისი პატარა სამთავროსი. იგი „მეფურის მზრუნველობით იღვწოდა" თავისი ხალხისა და ქვეყნისათვის, თუმცა მისი დამოუკიდებლობა შეზღუდული და ვასალური ხასიათისა იყო. დოკუმენტებიდან ჩანს, რომ იგი შინაურ საქმეებში საკმაოდ ფართო ავტონომიური უფლებებით სარგებლობდა და ამავე დროს ერთგვარ ბრძოლასაც აწარმოებდა ამ უფლებათა კიდევ უფრო გასაფართოებლად, მაგრამ ამ ბრძოლას წარმატება არ ეოსდევდა. მისი ცხოვრების აღწერა ბიოგრაფიულ ცნობებთან ერთად შეიცავს მასალებს, რომლებიც აშუქებენ სამეგრელოს სამთავროს უკანასკნელი პერიოდის ისტორიულ მოვლენებს ლევან დადიანის პერიოდიდან ვიდრე დავით დადიანის გარდაცვალებამდე, ე. ი. 1830-იანი წლებიდან მოყოლებული 1853 წლამდე.

ამგვარად, ი. მეუნარგია დასახელებული წლების მანძილზე ამ ნარკვევში უფრო ისტორიკოსია საქართველოს ერთი კუთხის — სამეგრელოს ფეოდალური სამთავროსი, ვიდრე დავით დადიანის ბიოგრაფი. იგი დოკუმენტურად, მასალების დაგროვებისა და დასისტემების გზით აშუქებს საქართველოს ისტორიის ამ პერიოდის სხვადასხვა საკითხს.

ამიტომ აღნიშნული ნაშრომი ერთგვარად მნიშვნელოვანი წყაროა ფეოდალურ-ბატონყმური სამეგრელოს უკანასკნელი პერიოდის შესასწავლად და ამასთანავე ლიტერატურული ღირებულების მქონეცაა იმდენად, რამდენადაც დავით დადიანს — ქართული კულტურის მეცენატს, მწერლობაშიც ედგა ფეხი. ცნობილია, რომ ის იყო გატაცებული ბიბლიოფილი და არქეოლოგი, ამავე დროს მთარგმნელობდა, ლიტერატორობდა, რედაქტორობდა და მწერლობასაც ეწეოდა. თბილისში ცხოვრების პერიოდში მას მასწავლებლად და პირად მდივნად ჰყავდა ცნობილი მთარგმ-

---

[1] იხ. „მასალები კავკასიისა და საქართველოს ისტორიისათვის", 1939 წ. ნაკვეთი III, გვ. 41.

[2] იხ. ტ. რუხაძე—„ძველი ქართული ლირიკის ისტორიიდან", გვ. 164-67. მკვლევარმა გარდა ერთი უწმაწური პაროდიისაა, ერთი ნიმუშიც ვერ გვიჩვენა ნ. დადიანის ლირიკული ლექსებიდან.

[3] ნ. დადიანის ქადაგებათა და სიტყვების კრებული ჯერ არ გამოცემულა.

ნელი და მწიგნობარი იასე გარსევანიშვილი, რომელმაც მოუწყო დავითს საყურადღებო ბიბლიოთეკა. ვიდრე დავით დადიანი თბილისში ბინადრობდა, იასე ამ ბიბლიოთეკას განაგებდა კიდეც.[1] დავითის ბიბლიოთეკისათვის წიგნების გადამწერი იყო აგრეთვე აბელ ბაშბეუქოვი, რომელსაც დავითმა გადააწერინა იოსებ ფლაბიოსის „იუდებრივი ძველსიტყვაობის“ 1, 2, 3, 4, 5 და 6 წიგნები (S ფ.:372); 1833 წელს მანვე ათარგმნინა იესე გარსევანიშვილს მითოლოგია (S—344), მილოტის (აბატი) ისტორია (S—282) და პლუტარქის „ცხოვრების აღწერანი დიდებულთა მამაკაცთანი“, გასწორებული და სქოლიოდართული დავით დადიანის მიერ I და II წიგნი (S—256) და ბევრი სხვა, რომელთა აქ ჩამოთვლა შორს წაგვიყვანდა. დავით დადიანის ეს ლიტერატორობაა მიზეზი, ამ ნაშრომის გვერდებზე ხშირად რომ ვხვდებით ჩვენი მწერლობისათვის ცნობილ სახელებს, მათი შემოქმედების, ცხოვრებისა და ღვაწლის ზოგი მნიშვნელოვანი მომენტის აღნუსხვით. აქ ისიც გასახსენებელია, რომ დავით დადიანი გ. ერისთავის ჟურნალ „ცისკრის“ კორესპონდენტობასაც ეწეოდა, რის შესახებაც უფრო ვრცლად კომენტარებში გვექნება საუბარი.

მონოგრაფია შეიცავს სამეგრელოს სამთავროს სწორედ იმ პერიოდს, როცა ბატონყმური წყობილება, გრძნობდა რა თავისი აღსასრულის მოახლოებას, უკანასკნელ გაბრძოლებაში იყო, განახლებას ცდილობდა ახალი, ვითომდა რეფორმისტულად განწყობილი და „ევროპულად განათლებული“ მთავრის მტკიცე ხელმძღვანელობით. მაგრამ ეს „რეფორმები“ სრულიად გასაგები მიზეზების გამო მიზანს ვერ აღწევდნენ.

სწორად აღნიშნავს ავტორი, როცა წერს, რომ „დავითი იყო სამეგრელოს პირველი მთავარი, ნანახი და ნაკითხი, შედარებით კარგად განათლებული“... და „რეფორმის გზაზე დამდგარ დავითს უნდოდა მისი ახალი მმართველობა ყველაფერს დასჩენოდაო“... მაგრამ ეჰვს იწვევს ის სიტყვები, რომლებითაც ავტორი ცდილობს დავითი დაახასიათოს როგორც კარგი მმართველი, თავისი ერისათვის საყვარელი და კეთილმოამაგე. ამის საწინააღმდეგოდ თვით ამ ნაშრომში დაგროვილი ფაქტები მეტყველებენ.

რა რეფორმები ჩაატარა ამ „განათლებულმა“, „ევროპაში ნამყოფმა“ ფეოდალმა და მთავარმა?

„...გაათავისუფლა მებატონეთა მონობიდან სამღვდელოება;

„...აღკრძალა კაცის სულის გაყიდვა სამთავროს გარეშე (სამთავროს ფარგლებში, ცხადია, კვლავ ძალაში რჩებოდა ეს სამარცხვინო ჩვეულება. — ს. ც.);

„...აღკრძალა გლეხების დატყვევება და გალახვა მებატონეთაგან;

„...გზები და არხები გაიყვანა;

„...ხელი მიჰყო მიწის მეურნეობას და ვაჭრობას;

„...სასამართლო და ადმინისტრაცია ფეხზე დააყენა და სხვა ამგვარები“.

[1] გაზეთი „დროება“, 1881 წ., № 253.

მართლაც, მონოგრაფიის ცალკე თავების განხილვიდან ჩანს, რომ დავითი მტკიცედ ცდილობს ცხოვრებაში გაატაროს ეს „რეფორმები“, იგი ხელს უწყობს ვაჭრობას, აარსებს საწარმოებს, აშენებს პლანტაციებს, აწყობს ბაზრობას, აგებს ფაბრიკას და სხვ.

ზემოაღნიშნული ყველა ფაქტი თითქოს მოწმობს, რომ ეს მსხვილი ფეოდალი ხელს უწყობს თავის ქვეყანაში უცხო კაპიტალის განვითარებას, და ამავე დროს რაღაც წინააღმდეგობასაც ვხედავთ, მაგრამ თუ ჩავუკვირდებით, ასე უნდა მოქცეულიყო ის მთავარი, რომლის პაპამ, გრიგოლმა, პირველად უკვე 1803 წელს მიიღო იმპერატორ ალექსანდრე პირველის ქვეშევრდომობა განსაზღვრული ინვენსტიტურით; მამამ ლევანმა კი თავისი მთავრობის პერიოდში კიდევ უფრო გააფართოვა რუსეთთან ეს მეგობრობა და ამით მეტი საშუალება მისცა რუსული ცარიზმის დამყარებას თავის სამფლობელოში; რუსეთში განათლებამიღებული და ევროპაში ნამყოფი დავით დადიანი კი თვითონ უფრო მკაფიოდ ხედავდა, თუ საითკენ მიიმართებოდა ისტორიის ახალი გეზი, ის გრძნობდა იმასაც, თუ როგორ უბერავდა ცარიზმის სუსხიანი ქარი ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ. ვითარების ამ ფონზე კარგად მოჩანდა ისიც, თუ როგორ იკიდებდა ფეხს ნორჩი ბურჟუაზია.

მაშასადამე, საჭირო იყო ალღოს აღება მომენტისადმი, პოლიტიკური სიტუაციის სწორად განჭვრეტა და იმგვარად მოქმედება, რომ ოდითვე ჩამოყალიბებული ძველი, ფეოდალური ხელისუფლება არ დაცემულიყო, ე. ი. საჭირო იყო არსებულის, მთავრობის შენარჩუნება.

დავითის მოქმედებაც სამთავრო საქმეებში მისი ჩარევის დღიდანვე ამ გზით წარიმართა. დავითის ყოველი რეფორმა ამ საფუძველზე იყო აღმოცენებული, მაგრამ ზოგიერთი თითქოს ნაადრევიც გამოდგა. ახალ ნერგს საამისო ნიადაგი ვერ ხვდებოდა, მისი მოვლა და გაფურჩქვნა იმაზე მეტ სახსრებს ითხოვდა, რაც მთავრის განკარგულებაში იყო.

ამავე ნაშრომში გამოყენებული დოკუმენტებიდან ირკვევა, რომ „რეფორმირებულ“ სამთავროს და მთავრის სასახლის გაზრდილ მოთხოვნილებას არ ყოფნიდა მის განკარგულებაში არსებული წყარო, არ კმაროდა შემოსავალი, სამთავრო სალარო სუსტი აღმოჩნდა. ამიტომ საჭირო შეიქნა მისი მოღონიერება შემოსავლის გაზრდის ხარჯზე, რაც, როგორც მოსალოდნელი იყო, გლეხობის გადასახადების გადიდებით მოხდა. დავითმა მარტო სამთავრო, ე. ი. საკუთარ გლეხებს როდი აკმარა გადასახადების გადიდება, არამედ დაარღვია ძველი წესი და საბატონო და საეკლესიო გლეხობაშიც შეიჭრა. იმათაც დააკისრა სხვადასხვა სახის გადასახადი და ამ გზით სამთავრო შემოსავალი გაზარდა.

ასე რომ, დავითის ეს „რეფორმა“ გლეხთა მასების მრავალკეცი დაბეგვრის ხარჯზე ტარდებოდა და თქმა იმისა, რომ დავით დადიანი „კარგი მთავარი“ იყო ხალხისათვისო, უმართებულო შეფასებაა; ამ ხალხის ქვეშ

მხოლოდ სასახლის კამარილია, ე. წ. „დარბაზის ერი“ უნდა ვიგულისხმოთ და არა მოსახლეობის ძირითადი ფენა — გლეხთა მასები.

გლეხების ეკონომიური მდგომარეობა, მათი საარსებო პირობები, პირიქით, თანდათან უარესდებოდა. მრავალი სახის ძველ ბეგარას, ახლებიც ემატებოდა; თუ გლეხს თავისი უშუალო ბატონის (თავადის ან აზნაურის) შენახვა აწვა კისერზე, მთავარმაც დაადგა განსაკუთრებული და უფრო მძიმე უღელი.

მაშინ, როცა მთავარი ცდილობდა თავისი ხვედრი ბეგარა და გადასახადები ამოექაჩა გლეხობიდან, მათი უშუალო ბატონები კიდევ უფრო მომეტებულად ბეგრავდნენ მათ. განუკითხავ მდგომარეობაში მყოფმა გლეხმა არ იცოდა როგორ ემოქმედნა, ვინ ეგულვებინა მფარველად, მთავარი თუ უშუალო მებატონე, რომლის ხელშიც იყო იგი სულიან-ხორციანად. ამიტომ იგი რაც შეეძლო ცდილობდა კვლავ თავის მებატონეს მოფერებოდა, მისთვის ეცა პატივი, რომ რაიმე შველებოდა, რაშიმე მცირე შეღავათი რგებოდა. ამ მიზნით გლეხი ბატონთან ხშირად ძღვენითა და დოვლათით დატვირთული მიდიოდა, თუმცა ზოგიერთ მხეც და გულქვა მებატონესთან ამ შეგნებული ქცევითაც არაფერი გაუდიოდა. ერთი ამგვარი ვერაგობის ნიმუშია ქვემომოყვანილი ფაქტი, თავის დროზე ფიქსირებული ჩვენი ცნობილი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის თ ე დ ო ს ა ხ ო კ ი ა ს მიერ: ყველიერში, როცა მართლმორწმუნე ქრისტიანს საეკლესიო წესის მიხედვით ხორცეული არ ეჭმება, ერთ ბანძელ გლეხს მდინარე ტეხურში ათი კალმახი დაეჭირა. ათივე თავისი მრისხანე მებატონის ხახუ ფაღავასათვის მიურთმევია, ეგებ წყალობის თვალით გაღმომხედოს, რაიმე შეღავათი მომცესო.

— ეს ყაძახი ხუნდზე დასვით! — უბრძანა თავის მოურავს ხახუმ.

ხახუს უსამართლობის ამბავი მის მოურავს ბევრი სმენია და უფრო ბევრისას მოწმეც ყოფილა, მაგრამ ახლანდელმა მისმა სისასტიკემ ყველას გადააჭარბა!... მეტი რა გზა ჰქონდა, ბრძანება უნდა აესრულებინა.

თავჩაქინდრული გლეხი ზის ხუნდზე: ერთ დღეს, ორ დღეს, სამ დღეს. აძლევენ ცარიელ მჭადსა და წყალს.

მეოთხე დღეს ხახუმ მოურავს უბრძანა კალმახების მომტანი გლეხის აშვება და მასთან მოყვანა. შემოსულ გლეხს ხახუმ ჰკითხა:

— ყაძახო, მართალი თქვი, რამდენი კალმახი დაიჭირე ტეხურში?

— ათი დავიჭირე და ათივე თქვენ მოგართვით, თქვენი რისხვა არა მქონდეს.

— სტყუი, შე ვირის გაგდებულო! განა არ ვიცი, რომ ერთ ამდენს შინ დაიტოვებდი! არა, როგორ გაბედე, რომ რაც დაიჭირე სულ მთლად მე არ მომართვი, ახლა მიპატიებია და მეორეჯერ არ გაბედო ასეთი სიბრიყვე!

იოლად გადარჩენილმა გლეხმა ღმერთს მადლობა შესწირა და აღუთ-

ქვა: მეყოფა, რაც მიგქარე! მეორეჯერ თუ მივართვი, რაც ენებოს ის მიყოსო.

მებატონეთა ამგვარ თავგასულობას საზღვარი არა ჰქონდა, მისი შეკავება და მოწესრიგება ბატონყმობის დამცველ და გლეხთა დაბეგვრით დაინტერესებულ მთავარს არ შეეძლო. გლეხმა არ იცოდა, რომელ ერთს გამკლავებოდა. ამგვარად, ნიადაგი უმზადდებოდა გლეხთა იმ ცნობილ აჯანყებას, რომელმაც 1857 წელს იფეთქა.

ამ მხრით საგულისხმოა თვით მონოგრაფიის ავტორის შემდეგი განმარტება, რომელსაც იგი სახლთუხუცესის დათა ჩიქოვანის პირით გადმოგვცემს: „დავითს ისეთი კარგი მრჩევლები ჰყავდა, როგორიც იყვნენ ალექსანდრე ჭავჭავაძე, ივანე და გიორგი მუხრან-ბატონები, ბარონ ნიკოლაი და ვასილ ბებუთოვი და იმათგან იცოდა, რომ სამეგრელოს სამთავრო დიდხანს არ დარჩებოდა დამოუკიდებელ სამთავროდ, რომ საბოლოოდ იმას და მის შვილებს ის დარჩებოდა, რაც ექნებოდა ხელში სამეგრელოს სამთავროს გაუქმების დროს და ამის გამო დავითმა მამულის და სხვა ქონების შეძენას მიჰყო ხელიო“... ავტორი იქვე დაასკვნის, რომ მთავრის ამგვარი სამეურნეო პოლიტიკა უკმაყოფილებას იწვევდა როგორც გლეხურ, ისე მაღალ წრეებშიც, რამაც ხელი შეუწყო აჯანყების დაჩქარებასო.

ამ აჯანყებას დავითი არ მოსწრებია. ზოგ უბედურებას რამდენიმე საბედნიერო ელემენტიც ახლავს. უდროო სიკვდილმა დავითს ეს სიმწარე ააშორა. სამაგიეროდ ჯანყის შუაგულში მოექცა მისი მეუღლე — დედოფალი ეკატერინე.

აღსანიშნავია, რომ ამგვარი ფართო ხასიათის ამბოხების საბაბი თავიდანვე თითქოს უბრალო მომენტი იყო — მებატონეთაგან დარღვევა საუკუნეების მანძილზე შემუშავებული იმ ჩვეულებრივი ქართული ადათწესებისა, რომლებიც გლეხთა და მებატონეთა ურთიერთობას „მშვიდობიანად“ აწესრიგებდნენ. დიდი ქართველი ისტორიკოსის ივანე ჯავახიშვილის განმარტებით ამ მოძრაობის დასაწყისში გლეხთა მოთხოვნები ძალიან ზომიერი, შეღავათიანი და პირდაპირ მინიმალური იყო. მეამბოხენი პირველ რიგში ითხოვდნენ ადამიანურად მოქცევას მათდამი, რომ ისინი არ ეწამებინათ, „ხაჯალურითა“ და „დადიანური“ ჯაჭვებით არ დაებათ, ხუნდებზე არ დაესვათ ან არ გაეყიდათ როგორც საქონელი და ამგვარად საქართველოს სინამდვილეში ტრადიციულად შექმნილი ნორმები მაინც ყოფილიყო დაცული. მართლაც, როგორც ამას დიდი ისტორიკოსი შენიშნავს, აჯანყებულთა მოქმედებაში დედოფლისადმი მტრული დამოკიდებულების ნასახიც კი არ ჩანდა, პირიქით, მათ ღრმად სჯეროდათ, რომ დედოფალი გაუგებდა, მიხვდებოდა მათს გასაჭირს და დაიცავდა მჩაგვრელთა და შემავიწროებელთაგან[1]. მაგრამ, როგორც ეს მოსალოდნელი იყო, დედოფალმა მათი გულისნადები ვერ გაიგო. გლეხთა სამართლიანი მოთხოვ-

---

[1] ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართველი ერის ისტორია, ტ. V, გვ. 121.

ნების შესწავლის ნაცვლად ის კვლავ მებატონეთა მხარეზე დადგა, როგორც მათი მფარველი და დამცველი.

დედოფალი ეკატერინე, რომელიც სამთავროს მმართველად იყო დადგენილი, რუსეთიდან დაბრუნებისთანავე, აჯანყებულთა მეთაურებთან მოლაპარაკებითა და კომპრომისებით საერთო ენის გამონახვის ნაცვლად, სამთავროს გარეშე შეუდგა შეიარაღებული, უხეში ძალის ძიებას „შავი მასების" მღელვარების ჩასახშობად. მან „მცირედი დროის დაუკარგავად", ერთი ხელის დაკვრით ისურვა მეამბოხეთა განადგურება და მებატონეთა უფლებების დაცვა და აღდგენა. მაგრამ დრო და ისტორია სხვაგვარად სჯიდა. მომავლის შეჩერება და წარსულის მობრუნება შეუძლებელი პროცესი იყო ისევე, როგორც მიცვალებულის გაცოცხლება. ცხადია, არც დედოფალს შეეძლო ეს, რაგინდ ლამაზი, ბრწყინვალე და შიმზიდველიც ყოფილიყო იგი.

დედოფლის სიტყვები, რომ მან ამ აჯანყებას ცინიკურად „სამეგრელოს რევოლუცია" უწოდა და მის ხელმძღვანელს, მჭედელ უ ტ უ მ ი ქ ა ვ ა ს „სამეგრელოს რევოლუციის დანტონი", არც იმდენად საფუძველმოკლებული იყო, როგორც ეს მას ეგონა. მაგრამ ეს „რევოლუცია" მაშინ მაინც დამარცხდა და გენერალ კოლუბიაკინისადმი წარდგენილი გლეხთა მოთხოვნანი დარჩა მხოლოდ ხმად მღაღადებლისა უდაბნოსა შინა; თუმცა არც დედოფალი დარჩენილა გამარჯვებული. შენგრეული აღმოჩნდა სამეგრელოს ფეოდალური არეოპაგის სასახლის ბრწყინვალე კარი, სადაც დღეს თუ ხვალ უნდა შესულიყო „ცხენისწყლისგაღმელი კანონები".

რა იცოდნენ აჯანყებულებმა, რომ ეს „ცხენისწყლისგაღმელი კანონები" მათს მდგომარეობას ოდნავადაც არ ამსუბუქებდა. მაგრამ ეს კანონები მაინც ახალი იყო და ისინიც მხოლოდ ამ ახალს ეძიებდნენ, თორემ სხვა რამ ჩამოყალიბებული მტკიცე პროგრამა ამგვარ „სტიქიურ აღშფოთებას" შეუძლებელი იყო ჰქონოდა. მაშასადამე, აჯანყებულთა წარმატებაც არ იყო მოსალოდნელი.

დასახელებული ამბოხების წარუმატებლობის გარდუვალობა ნათელია. როგორც მარქსიზმის კლასიკოსები გვასწავლიან, შეუძლებელია ამგვარ ამბოხებათა წარმატება თუ მას მუშები არ ხელმძღვანელობენ. სწორედ ეს „მუშათა კლასის მეთაურობა" აკლდა ამ აჯანყებას. დედოფალიც, თუმცა მოგვიანებით, მაგრამ მაინც მიუხვდა მეამბოხეთა ხასიათს. მან უმალვე იცვალა დამოკიდებულება. ერთგვარ ლმობიერებისა და დაყვავების საშუალებით სცადა საერთო ენის გამონახვა ჯანყის ზოგ მეთაურთან, მაგრამ უკვე გვიანღა იყო.

ასე რომ, წინამდებარე ნარკვევების დაწერით ავტორი „ამაოდ არ დაშვრა". ისინი, ეს ნარკვევები ორმაგ—ლიტერატურულსა და ისტორიულ ხასიათს ატარებენ ისევე, როგორც მათი მთავარი გმირები.

ამიტომ ამ ნარკვევთა მრავალმხრივი მნიშვნელობა და ღირებულება

მეცხრამეტე საუკუნის საქართველოს საზოგადოებრივი აზრის განვითარებისა და ლიტერატურის ისტორიის შესწავლისათვის უდავოა.

ამავე ტომში დამატების სახით შემოგვაქვს აგრეთვე ავტორის სემინარიელობისდროინდელი დღიურები, რომლებიც ასახავენ 1873—74 წლების სემინარიის ცხოვრებას, როცა ავტორი ამ სასწავლებლის უკანასკნელ კურსზე იყო. ამ დღიურებიდან ისიც ირკვევა, რომ იმდროინდელ საქართველოში არსებულ სასწავლებელთა მოსწავლეები არამშობლიური მწერლობის გზით ეცნობოდნენ და ეწაფებოდნენ ლიტერატურასა და მეცნიერებას და ისიც არალეგალურ პირობებში. მათთვის აკრძალული იყო ყველა სხვა წიგნი გარდა სასკოლო სახელმძღვანელოებისა.

მიუხედავად ამისა, აკრძალულ ხილს უფრო მეტად ეტანებოდნენ, რასაც ვერ ურიგდებოდა რეჟიმი სასულიერო სემინარიისა, რომლის „ბურსაში" იზოლირებულ მოსწავლეთა შორის ფრთხილად, მაგრამ მაინც ხელიდან ხელში გადადიოდა ისეთი მოწინავე მოაზროვნეების, მწერლებისა და მეცნიერების თხზულებანი, როგორიც იყვნენ: ჩერნიშევსკი, დობროლუბოვი, ბელინსკი, პისარევი, პუშკინი, ლერმონტოვი, დარვინი, ლასალი, ჰეგელი, კანტი, ბოკლი, სპინოზა, ჰაინე და მრავალი სხვა, რომელთაგან მიღებული შთაბეჭდილებანი და აზრები გაფანტულია ამ დღიურების მანძილზე.

თვითონ დღიურების ავტორი წერს, რომ ჩვენ ის უფრო გვაინტერესებდა, რაც აკრძალული გვქონდა და ამგვარ აკრძალვებს ხშირად საწინააღმდეგო შედეგები მოსდევდა, რადგან „Где больше строгости, там и греха больше" მაგრამ ამ „ცოდვებისა" არ გვეშინოდაო,—დასძენს იგი.

ი. მეუნარგიას სკოლის ამხანაგი, ცნობილი მწერალი სოფრომ მგალობლიშვილი თავის მოგონებებში მოგვითხრობს, თუ როგორ ახერხებდა სემინარიის ბურსაკთა ზოგი ჯგუფი, გამოეშვა მოსწავლეთა ხელნაწერი ჟურნალი, საინტერესოა, რომ ამ ჟურნალს, როგორც მემუარისტი გვამცნობს, „შრომა" ჰრქმევია, რაც პირველი შემთხვევა იყო მანამ, ვიდრე დიმ. დადიანი 1881 წელს ყოველკვირეულ გაზეთ „შრომის" გამოცემას არ დაიწყებდა ქუთაისში. ს. მგალობლიშვილის ცნობით ჟურნალ „შრომას" რედაქტორობდა სემინარიელი გიორგი უთურგაული, შემდეგში ცნობილი პედაგოგი და პუბლიცისტი, ქართულ-რუსული პერიოდული პრესის თანამშრომელი გ. კურდღელაშვილის ფსევდონიმით. ჟურნალის თანამშრომლები ყოფილან: თვით მოგონების ავტორი, ნიკო ლომოური, იონა მეუნარგია, იოსებ ბაქრაძე, შ. შიუკაშვილი, მიხა სანებლიძე და სხვ. (იხ. ს. მგალობლიშვილის მოგონებანი, გვ. 48). როგორც ვხედავთ, აქ მოხსენებული პირები გარდა უკანასკნელისა (რომელიც ჯერ კიდევ, სემინარიაში ყოფნისას გარდაიცვალა), შემდეგ მეტნაკლებად გამოჩენილი მწერლები და საზოგადო მოღვაწეები იყვნენ.

აქვე უნდა ვახსენოთ ნ. ნიკოლაძის, ი. გოგებაშვილის, გ. წერეთლის და სხვათა ხელისშეწყობით მაშინ თბილისში არსებული ა. ფ. [illegible]

ბიბლიოთეკა, რომელიც სემინარიელებს აწვდიდა მოსწავლეთათვის აკრძალულ ლიტერატურას, მაგალითად: ჩერნიშევსკის „Что делать", ჟორჟ-ზანდის „Исповедь", ჟურნალებს: „Дело" „Современник" და სხვა ქართულ და რუსულ წიგნებს და პერიოდულ გამოცემებს. 1874 წელს ი. მეუნარგიას გაჩხრეკის დროს უპოვეს „სოვრემენიკი", „რუსკოე სლოვო", „დელო", „ოტეჩესტვენიე ზაპისკი". ბელინსკის, მოლეშოტის, კანტის და სხვათა თხზულებანი და აგრეთვე ფრანგული „Le théatre de Voltere". ამის გამო ინსპექტორ კუვშინსკის სემინარიის საბჭოსთვის მოუხსენებია, რომ მოსწავლე ი. მეუნარგია შემჩნეულია არა მარტო შეუფერებელი წიგნების კითხვაში, არამედ მის შეძენაშიცო (სსცა, ფ. 440, საქმე № 697, ფ. 776—777).

ყოველი ამგვარი „ცოდვების" ჩადენა ზრდიდა, ავითარებდა, აცნობიერებდა და, როგორც თვითონ დღიურების ავტორი ამბობს, „კულტურის მაღალ სფეროში" აჰყავდა ნიჭიერი და ცნობისმოყვარე „ბურსაკი". მან უკვე იცოდა დღიურების მნიშვნელობა მემუარულ ლიტერატურაში და თავის რვეულს, რომელსაც ის „ფსიხატორიუმს" ეძახდა, მხოლოდ მაშინ ეწვეოდა, როცა რაიმე განსაკუთრებული შთაბეჭდილება შეიპყრობდა, განსაკუთრებული მოვლენა ან რომელიმე დიდი ავტორის აზრი შებოჭავდა და საჭირო იქნებოდა თავის თავთან ან ვინმესთან პაექრობა ამა თუ იმ საკითხის გასარკვევად, ამა თუ იმ ფაქტის აღსანიშნავად. „მე ამაში უნდა დავწერო სხვადასხვა წიგნებიდან მიღებული შთაბეჭდილება, ან ის ფიქრები, რომლებიც ხშირად მეწვევიან ხოლმეო",— წერს იგი ერთ დღიურში.

მართალია, ავტორი თავის ამ დღიურებს არ აძლევდა არც დიკენსის „დავით კოპერფილდის", არც აქსაკოვის „საოჯახო ქრონიკების", არც კარამზინის „მოგზაურის წერილებისა" და არც ა. ბოლოტნიკოვის მემუარების მნიშვნელობას,—რომლებიც თავისი ფორმით უფრო მხატვრული თხზულებებია, მაგრამ ამ დღიურების ავტორს, საშუალო სასწავლებლის მოსწავლეს, 21—22 წლის ჭაბუკს ჰქონია რწმენა თავისი თავისა (იხ. 14 მარტის დღიური), უნარი პერსპექტივის განჭვრეტისა და ახალი მომავლის გათვალისწინებისა, როცა „დამხობილი იქნებიან ძველი კერპები" და შემუსვრილნი—„მატყუარა ქურუმნი". მას ურჩევნია ეს უსისტემო, ხშირად ერთიმეორის საწინააღმდეგო აზრებით აჭრელებული, როგორც თვითონ აღნიშნავს, ქართული ენის უცოდინარი ქართველი მოსწავლის დღიურები არ განადგურდეს, დარჩეს საბოლოოდ და წაიკითხონ მხოლოდ მისი გარდაცვალების შემდეგ. ნახონ ეს „სუსტი კალმის ნაყოფი" რასაც შეძლებს; ეგებ ამითაც შეიცნონ ის საზოგადოება და მდგომარეობა, როცა „აღვირახსნილი მოსწავლეები მათრახის ქვეშ იმყოფებოდნენ. როცა ვინ იცის „რაზე სწავლობდნენ, საბერძნეთის რომელ მეტაფიზიკზე ლაპარაკობდნენ, ან რომელი ბერის ბიოგრაფიას ზეპირობდნენ", მაგრამ, გამოდიოდ-

ნენ რა ცხოვრებაში, არა იცოდნენ რა, არ იცოდნენ როგორ ეცხოვრათ, რა ეკეთებინათ და ისევ თავიდან უნდა დაეწყოთ“ (იხ. 21 მარტის დღიური).

უფიქრდება რა ავტორი ამ გარემოებას, უკვირს, ამგვარ ყოფაში როგორ უნდა ამაღლებულიყო ადამიანის ჭკუა, როგორ უნდა ჩასახულიყო კაცში ის პატიოსნება, რომელიც უმთავრესი საგანძური და პირობაა აღზრდა-განათლებისა. მაშინ, როცა აქ, სემინარიაში „მარტო ჩხუბსა და ოინობას სწავლობენო“ (იხ. 23 მარტის დღიური).

ამგვარი რეჟიმის მიუხედავად, ავტორმა შეძლო თავი დაეღწია, „ოინობისათვის“, „მატყუარა ქურუმობისათვის“ და სულ სხვა გზა აერჩია. ამ გზაზე კი ის ბევრს ოცნებობდა, სხვადასხვა ფილოსოფოსთა და რევოლუციურ მოაზროვნეთა გავლენაში ექცეოდა, ხშირად ერთიმეორის მოპირდაპირე ტალღებზედაც დაცურავდა, თუმცა ერთი მაინც ცხადია: მას არ მიაჩნდა სამარცხვინოდ სემინარიიდან გარიცხვა იმ ბრალდებით, რაც მას და მის სხვა ამხანაგებს ინსპექტორ კუვშინსკიმ და კერსკის რევიზიამ წარუყენეს.

აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ ეს დღიურები განსაკუთრებულ და საინტერესო პერიოდში იწერებოდა. 70-იანი წლების თბილისის სასულიერო სემინარიის მწვავე რეაქციულ ხანაში, როცა კერსკის რევიზიის შედეგად სემინარიიდან განდევნილი იყო მშობლიური ენა, საუკეთესო მასწავლებლები და მოსწავლეები, მოსწავლეს არ ჰქონდა უფლება წაეკითხა არამც თუ რაიმე სკოლისგარეშე საკითხავი წიგნი, არამედ გაზეთებიც კი: „ბერძნული ენის გაკვეთილის დროს მასწავლებელმა შეამჩნია, რომ ერთი შეგირდი ახალგამოსულ „დროებას“ კითხულობდა. მასწავლებელმა, რასაკვირველია, იმწამსვე გაზეთი გამოთხლიშა შეგირდს ხელიდან და სემინარიის გამგეობას წარუდგინა. შეიქნა „ფილოსოფოსთა“ თათბირი... გაცხარებული ბაასისა და განკითხვის შემდეგ გადაწყვიტეს: თუმცა ღირსი არ არის შებრალებისა, მაგრამ რა გაეწყობა, მოწყალება ვუყოთ და ვუბრძანოთ, თვითონვე შემოიტანოს თხოვნა, გამოაცხადოს, რომ აღარ სურს სემინარიაში სწავლა და წავიდეს. თუ თვითონვე არ შემოიტანა, მაშინ ჩვენ ისეთი მოწმობით გავაგდოთ, რომ შემდეგ არც ერთ სხვა სასწავლებელში აღარ მიიღონ!..“ (იხ. სერგეი მესხის ნაწერები, ტ. 1, გვ. 319).

„რას იტყვით ამაზე თქვენ, ჩვენო მამებო, რომელნიც მუდამ გვესაყვედურებით: ქართული ენა აღარ იცითო?— სვამს კითხვას ისევ ს. მესხი, ალბათ, ძველი თაობის საყურადღებოდ.

ამ ამბებით აღშფოთებული გრიგოლ ორბელიანი თავის მეგობარს ლევან მელიქიშვილს და სხვებსაც სწერდა ამ უკუღმართი განკარგულების შესახებ, მაგრამ მხცოვანი პოეტის შფოთვასა და დრტვინვას ბევრი არაფერი შეეძლო. ეს „საქმიანობა“ შეხმატკბილებული იყო ცარიზმის აგენტებს შორის პეტერბურგიდან თბილისამდე.

სასწავლებლის მმართველობამ, რომელმაც „მავნებლობად“ შეაფასა შეგირდების საყვარელი მასწავლებლის იაკობ გოგებაშვილის მუშაობა, რადგან მისგან „მოსწავლეებს საკითხავად ეძლეოდა უმთავრესად საბუნებისმეტყველო წიგნები“ და რომ იგი თავის ბინაშიაც კი უმართავდა ლიტერატურულ კითხვა-ბაასს სემინარიის მოწინავე და ნიჭიერ მოსწავლეებს, „რომელთაც გაუტკბათ გემოვნება ბოკლისა და საზოგადოდ უარყოფითი მიმართულების წიგნების კითხვისა“ (კერსკის რევიზიიდან), სემინარიელებს უფრო მწვავედ აგრძნობინა ის წნეხი, რომლის ქვეშ იყვნენ ისინი მოქცეულნი.

ამ რევიზიისა და სემინარიის საბჭოს დადგენილების გამოცხადების შემდეგ ჩვენი დღიურების ავტორი ამგვარ ანგარიშებს აძლევს თავის თავს; „მე რომ ცუდი ყოფაქცევისა და ზნეწამხდარი ვყოფილიყავი, ან უნიჭო და უსარგებლო, და ერთი რომელიმე ამ მიზეზებისა გამო გამოვერიცხეთ, ძლიერ შევწუხდებოდი, რადგანაც ეს შემთხვევა მაგრძნობინებდა ჩემს უვარგისობას, მაგრამ არც ერთი ამ მიზეზთაგანი არ იყო ჩემი გარიცხვის მიზეზი...“

მაშასადამე, მისი შეგნება უკვე იმ „სფერამდეა ამაღლებული“, რომ ყველა ამ ზემოჩამოთვლილ მიზეზში ის არ ურევს მისი გარიცხვის საბაბს, მას ეს საბაბი არათუ სამარცხვინოდ და მომაკვდინებელ ცოდვად მიაჩნია, პირიქით, თავი მოაქვს იმით. ძლიერ შემოკლებით ეს ინციდენტი შემდეგში მდგომარეობს: 1873 წლის 6 დეკემბერს თბილისის ალექსანდრეს (დღევანდელ კომუნართა) ბაღში კავკასიის მეფისნაცვალს, დიდ მთავარს მიხეილ ნიკოლოზის-ძეს სამი ფორმაჩაცმული სემინარიელი შეხვდა. მათ არათუ ქედი მოუხრიათ და თაყვანისცემით მისალმებიან (როგორც ამას ეთიკეტი მოითხოვდა) „ძლიერთა ამა ქვეყნისათა“,—თავაწეულთ, ქუდებიც კი ოდნავ არ შეურხევიათ და ბობოლა მოხელის ჩასვლისთანავე სიცილიც კი აუტეხიათ. მოთმინებიდან გამოსულ მეფისნაცვლის ამალას იქვე დაუპატიმრებია სამივე მოსწავლე, რომელნიც დავით კეზელი, სტეპრელაშვილი და ალ. მაჭავარიანი აღმოჩენილან.

დაპატიმრებას მათი ბინებისა და სემინარიის ბურსის გაჩხრეკა მოჰყვა, რამაც აღმოაჩინა დ. კეზელის (IV კლასის მოსწავლის) დღიურები და წერილები. აქედან გამოირკვა, რომ არსებობდა სემინარიელთა არალეგალური წრე, სადაც იკითხებოდა მსოფლიოს გამოჩენილ მწერალთა, მოღვაწეთა და მეცნიერთა თხზულებანი. ამ გამოძიებასა და ჩხრეკას მოჰყვა კერსკის რევიზია, სემინარიელთა გარიცხვა, სასულიერო სასწავლებლისა და სემინარიის მთელ რიგ მასწავლებელთა მოხსნა, დაქვეითება და რამდენიმე მოსწავლის დაპატიმრებით დასჯაც (თბილისის განყ. ჟანდარმერიის საქმე №9).

წინამდებარე დღიურების ავტორი, როგორც ამ წრის აქტიური წევრთაგანი, სემინარიიდან გარიცხულ იქნა 1874 წლის 21 მარტს და ამით მან დაჰკარგა სემინარიის დასრულების დიპლომი, რაც სულ რაღაც სამი თვის

შემდეგ უნდა მიეღო. 1873 წლის 14 დეკემბრის დღიურში ის უკვე წინასწარ გრძნობს ამ მოლოდინს, რისთვისაც ხმაწეული და ნერვული ტონით კიცხავს კეზელის გაუფრთხილებლობას, მისი დღიურების ჩანაწერებს, რომელთაც ასე ააღელვეს მმართველობა და ამდენ ზარალში ჩაყარეს უდანაშაულო პირნი. დარწმუნებული უნდა ვიყოთ, თვით ი. მეუნარგიას ეს დღიურები რომ ალმოეჩინათ, არც მის ავტორს გადაუსვამდნენ თავზე ხელს, მის დღიურებშიც არანაკლები კრიტიკული აზრებია გაფანტული; მაგრამ მეუნარგიას აღელვება ამ შემთხვევაში გამოწვეულია კეზელის უტაქტობით და დაუდევრობით. მისი აზრით, ყოველ ასეთ საქმეს გონივრული სიფრთხილე და მოხერხებულება უნდა სდევდეს თან და არა ატაცება, ენის წვერზე მომდგარი ყოველი სიტყვის რვეულში ჩაწერა და ამ რვეულის სადმე როყიოდ მიგდება.

ამ მხრით ჩვენი დღიურების ავტორი უფრო გამოცდილი, დინჯი და მომზადებული ჩანს. მან ამ დღიურებში ბევრი საგულისხმო აზრიც გამოთქვა, რაც იმ პერიოდში უთუოდ პროგრესული სულისკვეთების გამომხატველი იყო. იგი თავისი მოქმედებით საკმაოდ შორს იხედება და პერსპექტივაში რაღაც სანუგეშოსაც ხედავს. „როდის იქნება ჩვენ მოგვივიდეს საქართველოსთვის კეთილდღეობის წინათმაუწყებელი?..“ კითხულობდა ის და ღვარძლიანი იერიში მიჰქონდა ცარიზმის შავ ჟანდარმერიაზე. „ფიქრი ნუ გაქვთ,—მიმართავდა ის ბერებსა და საერთოდ ეკლესიის მსახურთ,—მოვა დრო და ეს თქვენი ორგანიზული მოტყუილება ერთბაშად ჩაიფუშება... აბა დაიცადეთ რა ქნას მეოცე საუკუნემ?!“. ეს თითქმის წინასწარმეტყველური სიტყვები არც ისე ადვილი სათქმელი იყო მაშინ. მაგრამ, ჩანს, მის ავტორს, საშუალო სასწავლებლის უკანასკნელი კლასის მოსწავლეს, იმდენი მომზადება ჰქონია, რომ მის გარშემო არსებულ ვითარებასა და შექმნილ სიტუაციაში გარკვეულიყო.

აღსანიშნავია აგრეთვე მისი მსჯელობა 11 მარტის დღიურში. მას სავსებით სწორად აქვს განჭვრეტილი რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის საკითხები და დიდი რუსეთის მფარველობაში ყოფნის მნიშვნელობა ქართველი ხალხისათვის, რასაც შემდეგი სიტყვებით გამოთქვამს: „ყველა ჩვენგანს კარგად ესმის, რომ რუსეთის მფარველობა ჩვენთვის მეტისმეტად საჭიროა. თუ არა რუსეთის მფარველობა, ჩვენ ამდენ ხანს ჩაგვყლაპავდნენ ჩვენი ძველი და შეურიგებელი მტრები — სპარსეთი და ოსმალეთი. ვამბობ, ჩვენ, სემინარიელებს ეს კარგად გვესმის და ნამდვილი უსინდისობაა, რომ ამ აზრის ხალხზე ითქვას: ესენი რუსეთის მოწინააღმდეგენი არიანო“...

ეს წინააღმდეგობა მიმართული იყო არა რუსი ხალხისადმი, არამედ მეფის მოხელეებისადმი, თვითმპყრობელობის რეჟიმისადმი, ცარიზმისადმი, რომელმაც დიდი რუსეთი „ერთა საპყრობილედ“ აქცია. ამგვარი რეჟიმის ერთგულად დამცველ გმირად დღიურებში მოჩანს ინსპექტორი კუვშინსკი, რომელსაც ავტორი ასე ახასიათებს: „კუვშინსკის ქცევას მართე-

ბლობისათვის ვნების მეტი არაფერი სარგებლობა არ მოაქვს. თუ ამ საცოდავ კაცს მართლა კეთილის გულით სურს ხელმწიფის სამსახური, ნუთუ იმდენად ბრმა არის, რომ არ ესმის ამდენ შევიწროებას რა შედეგი მოსდევს?!..“

ამ სიტყვებმა არ შეიძლება არ მოგვაგონოს ვ. ლენინის ჭეშმარიტებით აღსავსე სიტყვები, რომ „მეფის რუსეთი ერების საპყრობილე“ იყო, ან კიდევ მისი საქმეების გამგრძობის ი. სტალინის სწორი დაკვირვება, რომ „ყოველივე ამით ცარიზმმა ადგილობრივ ნაციონალურ მასებს შორის წარმოშვა ყოველივე რუსულისადმი უღრმესი უნდობლობა. რაც ზოგჯერ მტრულ დამოკიდებულებად იქცეოდა“.

აი, სწორედ ეს მტრული დამოკიდებულება მოწინავე სემინარიელებისა მიმართული იყო ცარიზმისა და მისი დამქაშების წინააღმდეგ და არა ბელინსკის, პუშკინის, ჩერნიშევსკის, დობროლუბოვისა და პისარევის სახელებთან დაკავშირებული რუსეთის ხალხის წინააღმდეგ. ისინი, როგორც ვნახეთ, რუსი ხალხის ამ ნაწილს ეტრფოდნენ, რუსეთის მოწინავე მწერლობას, საზოგადოებრივ აზროვნებასა და ფილოსოფიას ეწაფებოდნენ და ამით ივსებდნენ იმ სულიერ სიცალიერეს, რასაც მათ სემინარიაში გაბატონებული რეჟიმის უსულგულო მოხელეები უქმნიდნენ.

სემინარიიდან გარიცხვის შემდეგაც ავტორმა კიდევ რამდენიმე, ერთგვარი დასკვნითი გვერდები მიუმატა თავისი დღიურების რვეულს, ხოლო დედის გარდაცვალების (1874 წ. 24 მარტი) შემდეგ დროებით დატოვა სამშობლო და საზღვარგარეთ, შვეიცარიაში წავიდა. იქ მას ბევრი მოწინავე ქართველი ახალგაზრდა, მისი მეგობრები ეგულებოდა და მათი დახმარების იმედიც ჰქონდა. მას ეს იმედი არ გაცრუებია. იგი მალე ჟენევის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის მსმენელი გახდა. დღიურების ეს რვეული, რომლის პირველ გვერდზე ეწერა: „პატიოსანნო ადამიანნო, ნუ გაჰხსნით ამ ჩემს დღიურებს ჩემს გარდაცვალებამდეო“,— მშობლიურ სახლში დააბინავა. მისი გახსნა და წაკითხვა მართლაც მის სიკვდილამდე არ მომხდარა. ამ სტრიქონების დამწერსაც მოუკრავს თვალი, ჯერ კიდევ ავტორის სიცოცხლეში, კარადაში შეწყობილი ამ რვეულებისათვის,[1] მაგრამ ეს სათნო წარწერა ისე მოკრძალებულს გვხდიდა, რომ მისთვის ხელის უბრალო ხლებასაც კი ვერიდებოდით.

ამჟამად კი, როცა მისი წიგნები და ხელნაწერები საარქივო დოკუმენტებად იქცა, ცხადია, დღიურებშიც ჩავიხედეთ. ჩავიხედეთ და ვნახეთ მისი ახალგაზრდობის დროინდელი, ზოგიერთი, საზოგადოებისათვისაც მნიშვნელოვანი შტრიხები, აზრები და განწყობანი და, რაც მთავარია, ეპოქის ზრახვები, იდეები და მისწრაფებანი.

---

[1] სამწუხაროდ, ი. მეუნარგიას დღიურების ერთი ნაწილი დაკარგულად ითვლება, რადგან ჩვენ არა მარტო ეს რუსულწარწერებიანი რვეული გვინახავს, არამედ, ქართულწარწერიანიცა შემდეგი სიტყვებით; „პატიოსანი კაცი სხვის დღიურში არ ჩაიხედავს“. ასეთი რვეული ამჟამად მის არქივში არ იპოვება. ამ დღიურების რვეულიც ბევრ ადგილას არის მოხეული და დაზიანებული.

ნათქვამია, როგორიც სხეულია, ისეთიც სულიაო. ყოველ დროს, ეპოქას აქვს გარკვეული აღნაგობის სხეული, რომელშიც შესაბამისი სულია მოქცეული. ამ შესაბამისი სულის ერთ-ერთი მასაზრდოებელი მისი სკოლაა — ეპოქის სუნთქვასთან, მის სისტემასთან შეთანხმებულ-შეპირობებული. აკი თვითონაც აღნიშნავს დღიურების ავტორი—სემინარია კლასიკური სასწავლებელია, რომელსაც დაკისრებული აქვს ადამიანის გონების გახსნა და ზნეობის ამაღლებაო, — მაგრამ იქვე დაცინვით დასძენს, რომ „სულ ყველაფერი ეს ხდება სემინარიის პროგრამების შემდგენელთა თავში, ნამდვილად კი სემინარიელები ძლიერ შორს არიან გონებით, ზნეობით და სხვა მხარის გახსნიდან. მეტისმეტად უშინაარსოა სემინარიის სწავლა. თითქოს არაფერი ჰყვება კაცს იქიდან ისეთი, რომელიც ცხოვრებაში პირდაპირი გამოსადეგი და სასარგებლო იყოს“ (14 მარტის დღიური).

შეიძლება მკითხველს გაუკვირდეს საშუალო სკოლის, ისიც სასულიერო სემინარიის, თუნდაც უკანასკნელი კლასის მოსწავლის ამგვარი მსჯელობა, მაგრამ ამ მხრივ ოდნავი ჩაფიქრებაც საკმარისია, რათა მიხვდეს მკითხველი, რომ ეს დღიურები იწერებოდა 70-იან წლებში იმ მოსწავლის მიერ, რომელსაც არალეგალურად მაინც მოუხერხებია გაცნობოდა მსოფლიო ლიტერატურის ნიმუშებსა და გამოჩენილ მოაზროვნეთა თხზულებებს და რომლის გულშიც უკვე ჩაისრულა სხივი რუს მესამოციანელთა იდეებისა.

რამდენადაც თბილისის სასულიერო სემინარიამ ჩვენი ქვეყნის გასული საუკუნის ლიტერატურაში, პოლიტიკურ, პედაგოგიურ, ფილოსოფიურ აზროვნებაში განსაკუთრებული და მეტად თავისებური ადგილი დაიჭირა, ამდენადვე საინტერესოა ამ სასწავლებლის ისტორიისა და იმდროინდელი საზოგადოებრივი ურთიერთობისათვის შუქის მომფენი ზოგიერთი მასალის გამომზეურებაც.

სასწავლებელი, რომელიც დაარსებული იყო მე-19 საუკუნის პირველ ოციან წლებში (1817 წ.), ამ ხნიდან ოქტომბრის რევოლუციამდე საქართველოში წარმოადგენდა სასულიერო წოდების—ცარიზმის დაგეშილი შავი ჟანდარმერიის დასაყრდენს და რომელსაც უნდა გამოეზარდა მხოლოდ „მეფისა და მამულისათვის“ „თავგანწირული მებრძოლები“,— ხშირად წინააღმდეგობაში ვარდებოდა.

ჩვენი ქვეყნის მე-19 საუკუნის შესანიშნავ მოღვაწეთა საგრძნობი ნაწილის ცხოვრება ამ სასწავლებელთანაა დაკავშირებული. მთელი რიგი ჩვენი გამოჩენილი მწერლები და საზოგადო მოღვაწეები, რომლებიც „ცუდკაცობაში“, „მეფის ორგულობაში“ იყვნენ შენიშნული, ამ სასწავლებლიდან „გამოგდებული“ არიან ე. წ. „მგლის ბილეთით“.

სულისშემხუთველი რეჟიმი სემინარიაში ი. მეუნარგიას შემდეგაც არ შემსუბუქებულა. პირიქით, 90-იან წლებში ამ სასწავლებლის ატმოსფერო ერთიორად მომწამვლელი იყო სასულიერო მთავრობისა და გადაც-

მულ პოლიციელთა წყალობით, რომელნიც სასწავლებლის ხელმძღვანელებად იყვნენ დანიშნულნი. ი. მეუნარგიას დღიურების დაწერიდან 25 წლის შემდეგ ამ სემინარიის მოსწავლე გ. პარკაძე თავის მოგონებაში ასე გვიხატავს სემინარიის რეჟიმს: „ვაი იმათ, ვინც გარეთ გასული დანიშნულ დროზე არ დაბრუნდებოდა. კარცერი და ყოფაქცევაში ნიშნის დაკლება არ აცდებოდა მას. ერთხელ ჩაიწერებოდა ე. წ. „კონდუიტში", ხოლო მეორედ უკვე სასწავლებლიდან გააძევებდნენ. ყველაფერში მოსწავლეს თავს დასტრიალებდა ბერების მზვერავი თვალი. სემინარიელს სასტიკად ჰქონდა აკრძალული ქალაქში და ბიბლიოთეკაში სიარული, წიგნებისა და გაზეთების კითხვა, ჟურნალ-გაზეთებში თანამშრომლობას ხომ, აბა ვინ გაბედავდა? სემინარიელს აკრძალული ჰქონდა თეატრსა და წარმოდგენებზე სიარული. სამაგიეროდ დილით, გაღვიძებისას, ჩაის და სადილობისას, სწავლის დაწყება-გათავებისას, ღამით, დაწოლის დროს, სემინარიაში მოწაფენი ლოცვაზე უნდა მდგარიყვნენ".[1]

ეს დღიურები საყურადღებოა იმ მხრითაც, რომ მასში მოცემულია ავტორის—ჯერ კიდევ სემინარიის უფროსი კლასის მოსწავლის შეხედულება პედაგოგიკაზე, სწავლა-აღზრდაზე, სემინარიის სასწავლო პროგრამებზე, სწავლების მეთოდებზე და შეთვისებულის ცხოვრებაში გამოყენებაზე, მაშინდელ მწერლობაზე, ჟურნალისტიკაზე და სხვ. საგულისხმოა ის კითხვებიც, რომელთაც ავტორი აყენებს და თვითონვე უპასუხებს თავისებური გაგებით; მათ მრავალი სახის ფანტაზია და ახალგაზრდული ოცნებები სდევს.

დღეს, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ეს დღიურები ერთგვარი დოკუმენტური მასალებია, რაკი მისი ავტორი ერთი თვალსაჩინო მოღვაწე გახდა ქართულ მწერლობასა და საზოგადოებაში. საუკუნეებით დაგროვილ ქართულ მემუარულ ლიტერატურასაც მხოლოდ საბჭოთა სინამდვილეში დაუდგა მოთმენისა და დუმილის დარღვევის მომენტი. სულ რამდენიმე ათეული წლის განმავლობაში ქართული ლიტერატურის დიდი ხარვეზი შეივსო მემუარული მწერლობის ნიმუშების გამოქვეყნებით. ეს დღიურებიც, უეჭველია, გარკვეულ წვლილს შეიტანს ქართულ მემუარულ მწერლობაში, როგორც საყურადღებო მასალა ახალი დროის ახალგაზრდა მკითხველთათვის ჩვენი წარსულის შესასწავლად.

დღიურებს ვაქვეყნებთ შეუმოკლებლად, იმ სახით, როგორც ის ჩვენამდე მოღწეულია, ავტორის სტილის და წერის მანერის დაცვით. ასევე ქვეყნდება ტომში მოთავსებული სხვა მასალაც. თითოეული აქ მოთავსებული ნაწარმოების შესახებ ბიბლიოგრაფიული ცნობები და სხვა სახის შენიშვნები იხილეთ წიგნზე დართულ კომენტარიებსა და შენიშვნებში.

სოლომონ ცაიშვილი

1956 წ. 26 დეკემბერი.

---

[1] გაზ. „კომუნისტი", 1935 წ., № 287.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ილია ჭავჭავაძე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნანახი და განაგონი ილიას ცხოვრებიდან

როგორც აკაკის, „კაცია-ადამიანის“ დამწერსაც მწერლობაშიც მარტო ილია რომ დაეძახოს, მგონია, არა წახდეს-რა. თუ რუსულად ილია გრიგოლის-ძე ითქმის, ჩვენთვის მარტო ილია, როგორღაც, უფრო მოხერხებულია, უფრო ქართული.

ილია იყო ღარიბი ოჯახის შვილი. იმ ხანებში, როცა ის დაიბადა (1837 წ.), ჭავჭავაძიანთ გვარში დოვლათიანი სახლი მარტო ერთი სახლი იყო — ალექსანდრე გარსევანის შვილისა, საქართველოს მგოსნის, რომლის ოჯახისაგან გამოვიდნენ სამეგრელოს დედოფალი ეკატერინე, ნინა გრიბოედოვისა, თამარ ბატონიშვილი — ერეკლეს[1] მეუღლე, ბარონესა ნიკოლაი და სხვ. ამ დროებში „კნიაზიანთ“ ოჯახს კახეთში მარტო ალექსანდრეს ოჯახს ეძახდნენ. სხვების სიმდიდრე მარტო პური და ღვინო იყო. ილიას მამა გრიგოლიც, შექსპირის თქმისა არ იყოს, მარტო სისხლით იყო მდიდარი და არა ქონებით. მეტსახელად გრიგოლს თურმე პაჭუას ეძახდნენ. გრიგოლი ერთ დროს ოფიცრად მსახურობდა ნიჟეგოროდის დრაგუნის პოლკში და რამდენადმე განათლებული კაცი იყო. დედამისი, სახელად მაგდანი, იყო სომხის ქალი, ბებურიშვილის ასული.

როგორც დავით ერისთავს, ილიასაც არა ერთხელ სმენია მისი ხასიათის თვისების ახსნა სომხის ქალის შვილობით.

ერთხელ, როდესაც ილია დუშეთში მომრიგებელ მოსამართლედ იყო და ერთ სადილზე რაღაც შემთხვევის გამო სიტყვა წარმოთქვა, ეს სიტყვა სხვაზე უფრო ერთ სომეხს მოეწონა.

— უჰ, შენი ჭირიმე, კნიაზო, კარგი იმიტომა ხარ, რომ დედა სომეხი გყავსო, — უთხრა იმას სომეხმა.

— საკვირველია, თქვენმა მზემ, შენ დედაც სომეხი გყავს და მამაც და ასეთი თავხედი გამოსულხარ, — მიუგო გულნაკბენმა პოეტმა.

ილიას პატარაობაზე თვითონ მისგან არა ერთხელ გამიგონია, რომ იმან წერა-კითხვა სოფლის მთავრისაგან ისწავლა, რომ დედამისი სხვადასხვა მოთხრობებს და „ვეფხისტყაოსანს“ უკითხავდა იმას და სხვ. მაგრამ ამაებზე მე აქ არ ვილაპარაკებ გრძლად, რადგანაც ამაზე თვითონ მან დაწერა თავის მოკლე ავტობიოგრაფიაში.

მეთერთმეტე წელი რომ დაუდგა ილიას, ის ქალაქს ჩამოიყვანეს და ვიღაც რაევსკის პანსიონში მისცეს, აქედან იმან იწყო სიარული გიმნა-

[1]. ირაკლი ალექსანდრეს-ძე ბაგრატიონი (1827—1882).

ზიაში და რა დაამთავრა მერვე კლასი, გაემგზავრა პეტერბურგს 1857 წელს, საცა შევიდა უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე.

სანამ ქალაქს ჩამომიყვანდნენ, — გვითხრა ერთხელ პოეტმა (გოგებაშვილთან, სადილზე), — მე ხშირად მაციებდა და ტყლიპი გამიდიდდა (აბსტრუქცია მქონდაო, თქვა), ქალაქს რომ ჩამომიყვანა მამაჩემმა, ყველა ექიმი დამასიეს, მაგრამ ვერას გახდნენ რა. მაშინ ვიღაც ერთი ფერშალი მომიყვანეს ავლაბრიდან. კაბა ეცვა, თავზე კარტუზი ეხურა, ჩოფურა იყო. რომ ხატვა ვიცოდე, დავხატავ, ისე ცოცხლად მახსოვს იმის სურათი. იმან წამალი დამალევინა. წამისვა ტყლიპზე რაღაც და სთქვა: თავის დღეში ამას არ გააციებსო და, მართლა, მას აქეთ ჩემთვის არ გაუციებიაო, — დასძინა პოეტმა.

ჩვენ რომ რუსეთს მივდიოდით და კავკასიონის მთებზე ვიწყეთ ასვლა, — გვითხრა სხვა დროს ილიამ, — მლეთის დაშვებაზე შემოგვეყარა გრიგოლ ორბელიანი, რომელიც რუსეთიდან ბრუნდებოდა თბილისს. გრიგოლი ფეხით მოდიოდა, ჩვეულებრივად ზურგს უკან ხელშეწყობილი, პირმღიმარე, დაფიქრებული; დაშორებით მოსდევდა მას ნელის ნაბიჯით თავისი ეტლი. ჩვენ რომ დავინახეთ პოეტი თავისი ელემენტით — კავკასიის მთებით და ღრუბლით გარშემოზღუდული, აღტაცებით ვთქვით ერთმანეთში: სწორედ ეხლა, ამ დამშვიდებულ გულზე, ლექსს რასმე უწერს ამ მშვენიერს ბუნებასო, და იმ დროიდან დაწყებული სიკვდილამდის ილია იყო თაყვანისმცემელი გრ. ორბელიანისა.

*

* *

როგორც გიმნაზიაში, ისე უნივერსიტეტში ილიას ყველაფრით განსხვავებული დრო შეხვდა. თბილისში ის რომ ჩამოვიდა პირველად, აქ ვორონცოვისაგან დანერგილ ხეს ნაყოფი გამოეღო, „ცისკარი" გამოიცა.

ქართული თეატრი დაარსდა.

ჟურნალმა და დრამამ ცოტაოდნად ქართული საზოგადოება გამოაღვიძა.

თუ ეს გამოღვიძება ყველგან თვალსაჩინო არ იყო, თუ დაბლა, ხალხს სულ ისევ სძინავდა, მაღალ წრეებში, განათლებულ საზოგადოებაში, ქართველმა კაცმა თვალი გაახილა. ამ საზოგადოებას ილიაც ეკუთვნოდა, როგორც გიმნაზიის მოწაფე.

ნიადაგი და ატმოსფერო კარგი ჰქონდა მომავალ მგოსანს, რომ ამ პირობებში მას ჩანერგოდა გულში მამულისა და ენის სიყვარული.

ილიას რუსეთშიაც განსხვავებულ დროს შეხვდა მისვლა. როგორც ჩვენს დროში, შემდეგ იაპონიასთან წაგებული ომისა, სულ ყველაფერი რყევაშია და მიისწრაფის ახალი საუკეთესო ცხოვრებისადმი, ისე იმ დროს, შემდეგ ევროპის კოალიციისაგან დამარცხებისა, რუსეთი ახალი წესწყობილებისადმი მიისწრაფოდა, თავიდათავი მოთხოვნილება მაშინ-

დელი საზოგადოების საუკეთესო ნაწილისა იყო გლეხთა განთავისუფლება.

უნივერსიტეტი სათავეში ედგა იმ დროისათვის საჭირო რეფორმების შემოღების საქმეს და სწორედ მაშინ, როცა გლეხთა განთავისუფლების საქმე თავდებოდა, სტუდენტებმა არეულობა მოახდინეს.

ამ არეულობას მოჰყვა ილიას საქართველოში დაბრუნება.

რეფორმის წინადროებში აქ ილიას ან რა ადგილის შოვნა შეეძლო თავის ცოდნისა და აზრების საქმეში გამოსაყენებლად, ჟურნალ-გაზეთობა ამ დროს ჯერ საქმე არ იყო.

„ცისკარი" კი იბეჭდებოდა, მაგრამ ჟურნალს მკითხველი არ ჰყავდა. დაბეჭდილ ნომრებს რედაქტორი თვითონ უგზავნიდა გავლენიან, მწერლობის მოყვარე ნაცნობებს: გრიგოლ ორბელიანს, გიორგი მუხრან-ბატონს, მიხეილ თუმანიშვილს, კოლხიდელს,[1] პლატონ იოსელიანს და მათი შემწეობით დიდი გაჭირვებით არსებობდა ის თვითონ, მისი მესტამბეები და მისი ჟურნალი. თანამშრომლებისათვის ფული არ მოეძებოდა რედაქტორს და არც იყო მოსალოდნელი ახლო მომავალში, რადგანაც საზოგადო ცხოვრების პირობები ასეთი იყო მაშინ საქართველოში.

სამშობლოში ჩამოსულ ილიას გზაზე სვეტი დაუხვდა, რომელზედაც ეწერა: მარჯვნით წახვალ, — ჩინოვნიკი იქნები და მაძღარი, მარცხნით წახვალ, — მწერალი იქნები და მშიერი.

რომ მარჯვნით წასვლა, ე. ი. შესაფერი ადგილის შოვნა, არც ისე ადვილი იყო იმ დროს, ბუნებრივმა მიდრეკილებამ ილია წაიყვანა მარცხენა გზით. ილიამ ჯერ ცოტა ხანს „ცისკარში" ბეჭდა მისი ნაწერები და შემდეგ, 1863 წელს, საკუთარი ჟურნალი „საქართველოს მოამბე" გამოსცა.

ამ ჟურნალში დაბეჭდა პირველად ილიამ „კაცია ადამიანი", „გლახის ნაამბობი", „რამდენიმე სურათი ყაჩაღის ცხოვრებიდამ" და ბევრი ჩინებული ლექსი.

აქვე დაიბეჭდა ნაწერები ვიქტორ ჰიუგოსი, პრუდონისა, ბასტიასი, ბელინსკისა.

ახალმა ჟურნალმა ახალი სიტყვა გააგონა ქართველ საზოგადოებას. ეს სიტყვა მით უფრო დიდი მნიშვნელოვანი იყო და დროზე ნათქვამი, რომ საქართველოშიც მზადდებოდა ამ დროს გლეხთა განთავისუფლება, ორი წლის წინათ რუსეთში მომხდარი.

ახალი სიტყვა ძველებს არ მოეწონათ.

და ატყდა ძველსა და ახალს შორის კამათი, რომელმაც რამდენიმე წლის შემდეგ გამოიწვია ილიასა და გრიგოლ ორბელიანის ცნობილი პოლემიკა.

ძველ თაობას არ მოსწონდა არც ილიას ჟურნალი და არც ილიას სიტყვები. ამ დროის თავად-აზნაურთა ყრილობაზე, როგორც ქრისტეფო-

---

[1] გრიგოლ დადიანს.—ს. ც.

რე მამაცაშვილი მოწმობს, ერთს კრებაზე, საცა ილია ამტკიცებდა, რომ გლეხი მიწიანად უნდა გავათავისუფლოთო, ვიღაც თავადი იმას ხანჯლით მივარდა თურმე ისე, როგორც გაბრიელ ეპისკოპოსს დაუპირა მოკვლა ვიღაც კანდელაკმა ქუთაისში იმავე მიზეზის გამო.

*

* *

„საქართველოს მოამბე“ რომ გამოვიდა, ბატონიშვილს ერეკლეს წაეკითხა ჟურნალი და ეთქვა თავისიანებში: დემოკრატიული ჟურნალი არისო.

სასახლის კაცს, გიგო სუმბათაშვილს, ამისთვის ყური მოეკრა, დაეხსომებინა და, როცა შემთხვევამ ნება მისცა, ეთქვა ილიასათვის:

— ილიავ, წავიკითხე შენი ჟურნალი და უნდა გითხრა, დემოკრატიჩესკი არის.

— როგორ თუ დემოკრატიჩესკი?

— ისე, დემოკრატიჩესკი!

— მაშ რა გინდა იყოს?

— არისტოკრატიჩესკი.

— ეს თუნდ ბატონიშვილს ერეკლეს ეთქმის, მაგრამ შენ რაო ჩემო?

— ვითომ და რათაო?

— აბა, რა გაქვს შენ არისტოკრატიჩესკი, აი, თუ გინდა თავი (დიდი შნოს პატრონი არ იყო).

— თავი კი განზე იყოს, მაგრამ შენი ჟურნალი კი მაინც დემოკრატიჩესკი არის, — განუმეორა სუმბათაშვილმა.

„საქართველოს მოამბემ“ ზემოთქმული მიზეზების გამო დიდხანს ვერ იცოცხლა. საშუალება რომ შემოაკლდა, ილიამ „საქართველოს მოამბის“ გამოცემას თავი ანება...

*

* *

1864 წლის დამლევს ილია გაგზავნეს იმერეთს, ქუთაისის გენერალ-გუბერნატორის ცალკე მინდობილობათა მოხელედ. აქ დაევალა მას გაშოერკვია, რა ურთიერთობა სუფევდა მემამულეთა და გლეხკაცთა შორის, ბატონყმობისაგან წარმომდგარი.

როცა ბატონყმობა მოისპო და საგლეხო დაწესებულებები დამკვიდრდა თბილისის გუბერნიაში (4 ნოემბერი 1864 წ.), ილია დანიშნეს მომრიგებელ შუამავლად დუშეთის მაზრაში.

ამაზე უკეთეს ადგილს ილიასთვის კაცი ვერც კი წარმოიდგენდა. მომრიგებელი შუამავალი, კანონმდებლის აზრით, გლეხკაცის მამაა, მისი „მფარველი ანგელოზი“, როგორც ამბობდნენ იმ ხანებში, როცა ეს თანამდებობა არსდებოდა. კანონი იმას ავალებს იაროს სოფელ-სოფელ და

ადგილზე გაარჩიოს ნაბატონევთა და გლეხთა შორის მომხდარი ცილობა. ის არის ობლის პატრონი, სოფლის მართვა-გამგეობის მეთვალყურე, მასწავლებელი და მოძღვარი გლეხკაცობისა. ილიაც სწორედ საამისოდ იყო დაგეშილი და მერე ის დაინიშნა მომრიგებელ შუამავლად არა სადმე შორს, სამშობლოს გარეთ, როგორც დღეს არის, მაგალითად, გადავარდნილი ილია ჭყონია, დუტუ მეგრელი, არამედ თავისიანებში, არაგვის პირად, მცხეთიდან ორ ნაბიჯზე, მთიულეთის ახლო, მყინვარის კალთებზე, სადაც ის პოულობდა ყოველგვარ მასალას როგორც მგოსანი, ენის მოყვარე, მამულის ერთგული; მარტო მთიულეთი და მისი პოეზია რად ღირდა მგოსნისათვის... როცა ჩვენში შემოვიდა სასამართლოს რეფორმა (1868), ილიამ შუამავლობას თავი დაანება და ის დანიშნულ იქნა დუშეთის მომრიგებელ მოსამართლედ.

მომრიგებელ შუამავლად ყოფნის დროის ამბავი მე არა გამიგონია რა ილიასაგან. მხოლოდ, ერთხელ, როცა ჩინოვნიკების ქუდის კაკარდაზე, ჩამოვარდა სადღაც ლაპარაკი, ილიამ მთიულების გულუბრყვილობის ნამუშად გვიამბო შემდეგი:

„პოსრედნიკად რომ ვიყავი, ერთხელ ანაზდეულად მთიულეთს მოგზავნა მისვლა, საცა კვირა დღეს ხალხი მოგროვილიყო ერთს სოფლის სასამართლოში. რაღაც საქმის გამო მე მამასახლისს ვუბრძანე დაებარებინა ერთი გლეხი, რომელიც შორიახლო იდგა იქიდან. მამასახლისმა ბრძანება გზირს გადასცა. გზირი იქვე მიდგა განზე და, რაც ძალი და ღონე გააჩნდა, ხმამაღლა დაუძახა დაბარებულს. დაბარებულმა, დაბლიდან იყო თუ მაღლიდან, ხმა მისცა გზირს და მათ შორის გაიმართა ამგვარი მიძახილ-მოძახილი:

— გიბარებენ ჩქარა.!

— ვინ მიბარებს?

— ჩინოვნიკი.

— ვინ ჩინოვნიკი!

— აი, ქუდზე რომ ქათმის სკ — ვით რაღაცა აქვს, ის გიბარებს“.

ამის გამგონე ილია იტყოდა, ვითომდა ნაპოლეონის გენერალმა ვატერლოოს მინდვრიდან სიტყვა რომ შეუთვალა ინგლისელებს, რით იყო ამ სიტყვაზე უფრო გემრიელიო?

მომრიგებელ მოსამართლედ ყოფნის დროიდან მოგონება უფრო საინტერესოა.

თვითონ ილიამ გვიამბო:

— მოსამართლედ რომ ვიყავი, ერთი გლეხი მიწას ედავებოდა ყაზბეგს. — ბატონო, მიწა ჩემია, თეიმურაზ მეფის დროსა მაქვს ნაყიდი, მოწმეცა მყავს და ახლა ყაზბეგი მართმევს, მიშველე, დამიფარეო, — შემომჩივლა გლეხმა.

მე დავიბარე გლეხისაგან ნახსენები მოწმე.

— შენ მოწმე ხარ, რომ ესა და ეს მიწა ამ გლეხსა აქვს ნაყიდი თეიმურაზ მეფის დროს?

— დიახ, შენი ჭირიმე, მოწმე ვარ, თუნდ დამაფიცეთ, ფრჩხილის საკვეთი ამილია.

თურმე ძველი ჩვეულება ყოფილა, როცა მიწას იყიდდა ვინმე, დამსწრე მოწმეს ფრჩხილს მოსჭრიდნენ — ამისთვის გასამრჯელოს აძლევდნენ იმას — და ეს მოწმე ვალდებული იყო უფროსი შვილისათვის ეამბნა ამ ნასყიდობის ამბავი. შვილი შვილიშვილს გადასცემდა და ამგვარად ნასყიდობის ისტორია გადადიოდა მოდგმიდან მოდგმაზე. თუ ვისმეს შვილი არ ეყოლებოდა, იმათთვის უნდა ეამბნა, ვინც გვარში უფროსი იქნებოდა.

ილიას ეს ჩვეულება მეტად არ გაეგონა, ძლიერ მოეწონა და მოწმის ჩვენების თანახმად სადაო მიწა გლეხს მიუსაჯა.

ყაზბეგმა აპელაცია გადაიტანა, საცა წერდა: მომრიგებელმა მოსამართლემ მკვდრები ააყენა მიწიდან და ჩვენება ჩამოართვაო, Мертвых допрашивает-ო.

ამაზე ილია იტყოდა: ბაბილონში აგურზე იპოვეს წარწერა, ესა და ეს მამული ნასყიდია და ამ ნასყიდობის მოწმეა ესა და ეს, რომლის ფრჩხილი ამ აგურში არისო. გატეხეს აგური და შიგ ფრჩხილი ნახესო.

მეორე მოგონება, მოსამართლისაგან განაგონი: ერთხელ ილიამ ერთი ძმის მაგიერ მეორე გაასამართლა და საპატიმროში ჩასვა.

ვიღაც ზაქარიას ბრალდებოდა ხეების მოპარვა. საქმის გარჩევის დროს მოსამართლემ ბრალდებულის გვარი მოიკითხა.

— მე გახლავარ, ბატონო, — წამოიძახა გლეხმა.

— შენ წაიღე ხეები?

— დიახ, ბატონო, წავიღე.

რაკი დანაშაული ეჭვს გარეშე იყო, იქვე განჩინება დავწერე და ბრალდებული საპატიმროში გავგზავნე. ჯერ კიდევ საპატიმროში ყოფნა არ გეთავებინა დასჯილს, რომ ჩემთან მოვიდა მისი ძმა.

— შენ ვინა ხარ?

— ესა და ეს ზაქარია გახლავარ, ბატონო!

— როგორ ზაქარია, ის ხომ ციხეში არის?

— არა, შენი ჭირიმე, ციხეში ჩემი ძმა გავგზავნე. მე საქმეები მქონდა ქალაქში და არ მეცალაო, — უპასუხა გლეხკაცმა.

მომრიგებელ მოსამართლედ ილია დარჩა 6 თუ 7 წელი.

*

* *

1874 წელს ილიამ სულ გაანება თავი სახელმწიფო სამსახურს და შეუდგა თბილისის საადგილმამულო ბანკის საქმეს. ამ წელს თბილისის თავად-აზნაურთა კრებამ ის აირჩია კომისიის წევრად, რომელსაც დაევალა ბანკის წესდების შედგენა და როცა ეს წესდება თავად-აზნაურობამ

მოიწონა, ილია მათივე მინდობილობით გაემგზავრა პეტერბურგს და იქ მისი მეცადინეობით ეს წესდება დამტკიცდა. შემდეგ, 1875 წელს, ამ წესდების თანახმად, თბილისში გაიხსნა საადგილმამულო ბანკი და ილია არჩეულ იქნა ამ ბანკის გამგეობის თავმჯდომარედ.

ამის შემდეგ ილიას გაეხსნა ფართო ასპარეზი მოღვაწეობისა საქართველოს საქმეთა სასარგებლოდ, ამ დღიდან მთელი ოცდაათი წლის განშავლობაში თბილისში ქართული საზოგადო საქმე ისეთი არა დაწყებულა რა, საცა ილია თავკაცად არ ყოფილიყოს, თავმრჩევლად, საქმის გადამწყვეტად. ვიდრე დიმიტრი ყიფიანი ცოცხალი იყო, ვიდრე გაბრიელ ეპისკოპოსი მეტყველებდა, ვიდრე გრიგოლ ორბელიანი ზემოდან დაყურებდა ახალ თაობათა, ილია ჭავჭავაძეზე მაღლა კიდევ თუ იხსენებოდა სხვისი სახელი, მაგრამ მას შემდეგ, რაკი ესენი მიიცვალნენ, ილია დარჩა პირველ კაცად საქართველოში.

ამას იქით ილია არის: ილია ბანკირი, ილია რედაქტორი, ილია წერა-კითხვის საზოგადოების თავმჯდომარე, ილია დრამატიული საზოგადოების თავმჯდომარე, ილია სათავადაზნაურო სკოლების გამგეობის წევრი, თავმჯდომარის ამხანაგი, ილია მწერალი, ილია პოეტი, ილია წარმომადგენელი ქართული მწერლობისა, მასპინძელი უცხოელ სტუმარ-მწერალთა და სხვა და სხვა.

მე აქ ილიას ცხოვრებას არა ვწერ, ილიას ცხოვრების მასალას ვაქუჩებ, რომელიც ან თვითონ ილიასაგან გამიგონია, ან მის თანამედროვეთაგან მსმენია, ან მე თვითონ ჩემი თვალით მინახავს და ამიტომ ჩემს ნანახს და განაგონს ილიას ცხოვრებიდან მე აქ მხოლოდ დაახლოვებით ქრონოლოგიურად, მაგრამ მაინც უსისტემოდ ვწერ. მე ხომ მეწვრილმანე ვარ ქართული მწერლობისა და ჩემგან შეკრებილი წვრილმანებით მე თქვენ ილიას სურათი, ზოგიერთ შემთხვევაში მაინც, თუ ნათლად დაგანახეთ, ჩემს ვალს მოხდილად მივიჩნევ.

*

* *

მე გავიცანი ილია პირველად 1879 წელს.

ამ წლიდან დაწყებული მისი სიკვდილის დღემდე მე ილიას კეთილგანწყობილებას არ მოვკლებივარ. პირველ ოთხ-ხუთ წელს, როდესაც თბილისში ვცხოვრობდი, მე მასთან უფრო ხშირი მისვლა-მოსვლა მქონდა ჯერ როგორც წერა-კითხვის საზოგადოების გამგეობის წევრს და საქმის მწარმოებელს და შემდეგ როგორც გაზეთების თანამშრომელს.

საბწუხაროდ, იმ პერიოდიდან ჩემს სამახსოვრო წიგნში თითქმის არაფერი არ ჩამიწერია ილიას ცხოვრებიდან. მაშინ ჯერ არ მქონდა განზრახული შემედგინა ჩვენი მწერლების ცხოვრების აღწერა და ბევრი რამ ილიას ცხოვრებიდან, რასაც დღეს შეეძლო მისი ბიოგრაფიის გახალისება მე მიმავიწყდა. მხოლოდ შემდეგში, როცა მე ხელი მივყავი ორბელიანის, ბარათაშვილის, გიორგი ერისთავის და სხვათა ცხოვრების აღწერას, მე ყოველს შეყრაზე ილიას ვუყურებდი და ვუსმენდი როგორც მსხვერპლს,

„მუშტრის თვალით“, და როცა იმისგან მოვდიოდი შინ, მის ნალაპარაკევს ვწერდი ჩემს სამახსოვრო წიგნში.

სულ ყველაფერი, რასაც აქ მოვახსენებ მსმენელს, ან არის ამოღებული ჩემი სამახსოვრო წიგნიდან, ან თვითონ საკუთარი ჩემი მეხსიერებიდან და არაფერი არ ურევია აქ, რაც სხვის კალამს ეკუთვნოდეს, სხვისი ნაწერებიდან იყოს ამოღებული.

მაგრამ არც კი ვიცი, საიდან დავიწყო წერა, რა რიგზე ამოვწერო სამახსოვრო წიგნიდან ნანახი და განაგონი ილიას ცხოვრებიდან.

მგონია, ისევ ისა სჯობია თავიდან დავიწყო, „ათადამ-ბაბადამ“, როგორც თვითონ ილიას უყვარდა თქმა, ესე იგი, შინ მივიდე მასთან და ჯერ შინაური კაცი დაგანახოთ.

*

* *

ილია ჯერ იდგა ახალ ბებუთოვის ქუჩაზე, სტაროსელსკის[1] სახლის პირდაპირ, მერე, ოთხმოციანი წლების მეორე ნახევარში, ის გადავიდა კუკიას, თავის დის ლიზა საგინოვის სახლში, ბოლო დროს იმან იყიდა საკუთარი სახლი ანდრეევის ქუჩაზე.

ილიას არ ჰქონდა ფართოდ გაშლილი სტუმრიანი სახლი. მასთან თქვენ ვერ შეხვდებოდით ქალაქის მაღალ საზოგადოებას, Великосветская публика-ს. მის სალონში თქვენ შეეყრებოდით მხოლოდ მწერლებს, არტისტებს, საზოგადო მოღვაწეთ, ქალთაგან მარტო ნათესავებს.

თუ რამე საღამო გაკეთდებოდა მასთან, ან წვეულება იქნებოდა, მომსვლელები ამათ წრიდან იყო.

ილია იყო თავაზიანი კაცი, პურმარილიანი, მომლხენი. მას პირადად და მის სუფრას, რომელსაც ქართული კერძი თავის დღეში არ განშორებია, მუდამ ქართველი მოსამსახურენი მსახურებდნენ. საქართველოს საუკეთესო კაცს და მამულის მოყვარეს მუდამ სწავლული და მამულის მოყვარე მოსამსახურე ებედებოდა.

თვითონ ილიამ გვიამბო: ერეკლე ბატონიშვილს ვაჟი რომ დაებადა, დილაადრიანად ჩემთან შემოიჭრა ბიჭი და ჩვენ შორის ამგვარი დიალოგი გაიმართაო:

— მომილოცავს, ბატონო!

— რა, ბიჭო?

— ბატონის რძალს ვაჟი ეყოლა ამ დილას.

*

* *

1884 წ. იყო თუ 85-ს[2], როცა ილია წამოვიდა სამეგრელოს მთავრის ბიბლიოთეკის ჩასაბარებლად, ილია ისე გამხიარულდა რომ ბანძას, მექი

---

[1] სტაროსელსკი ილიას ქვისლი იყო.—ხ. ც.

[2] ნამდვილად 1885-ს იყო. ამაზე იხ. კომენტარები.—ხ. ც.

ფალავასას[1] და ჩემთან ცაიშში[2] სულ „ფარინა, ფარინა“ იმღერა და ფერ-ხულით გული შეიჯერა.

ილია აუჩქარებელი კაცი იყო, დინჯი, მძიმე. აუჩქარებელი ხშირად ნიშნავს ზარმაცს და ეს თვისება — ზარმაცობა — მაპატიეთ ამ სიტ-ყვის თქმა და ილიას ცილისწამებად არ უნდა მიეთვალოს.

დიმიტრი ყიფიანმა მისწერა იმას ერთხელ ქვიშხეთიდან სამდურავი, რას უგვიანებ წერა-კითხვის საზოგადოების საქმეებსო. სხვა რომ ვერა მოახერხა რა თავის გასამართლებელი, ილიამ პასუხად მისწერა მხცოვან პატრიოტს: არაფერია, ყველაფერს მოვასწრებთო, — რუსთაველმა სთქვაო:

„თქმულა, სიწყნარე გმობილი სჯობს სიჩქარესა ქებულსა“.

მეორე მაგალითი: 1890 წელს, როცა ქალაქმა ბათუმმა ითხოვა, თბი-ლისის საზნაურო ბანკს ნება მისცემოდა მიეღო გირაოდ ბათუმის მამუ-ლები, ფინანსთა მინისტრი ქალაქს ჩამოვიდა, მაგრამ ილია არ წარსდგა მასთან და არ წარუდგინა ამ საგანზე მოხსენება. როცა ამის გამო საქმის გადაწყვეტა დაგვიანდა და ილიას უსაყვედურეს, რატომ მინისტრი არ ნა-ხეო, მან პასუხად თქვა: ვერც ჩემი მისვლა დააჩქარებდა საქმეს და ვერც ჩემი მიუსვლელობა დააბრკოლებდაო.

* * *

მაგრამ ილია, როგორც ეს შეეფერება პოეტს, ხშირად და ადვილად მოდის აღტაცებაში და ეძლევა პათოსს ხანდახან სულ უბრალო მიზეზების გამო.

— ვაა... ვერ წარმოიდგენ — მითხრა ერთხელ იმან, — რაღაც შემ-თხვევის გამო, ბრაზილიის იმპერატორმა დონ-პედრომ შეუთვალა ვიქ-ტორ ჰიუგოს (აქ მგოსანი წამოდგა ზეზე და გამოიჭიმა მთელი მისი სიმაღ-ლით), შენი ნახვა და გაცნობა მწადიანო. ამის პასუხად ჰიუგომ შეუთ-ვალა მეფეს: მე სადარბაზოდ არავისთან არ დავდივარო. მაშინ იმპერა-ტორმა და მისმა ტახტის მემკვიდრემ თვითონ ინახულეს დიდი მგოსანი. ვიზიტის დროს, როცა მასპინძელმა, სიტყვაზე, „თქვენო უდიდებულესო-ბაო“ უთხრა მეფეს, მეფემ სიტყვა შეაწყვეტინა მგოსანს და უთხრა თავის მემკვიდრეს:—Сын мой, помни, здесь нет другого Величества, кроме Виктора Гюго...

ეს სიტყვები ილიამ დიდის ამბის-ყოფით წარმოთქვა, ეტყობოდა სი-ხარული, რომ ქვეყნის მბრძანებელი ასეთგვარად ემორჩილებოდა სიტყ-ვისა და ლექსთა მეფეს, როგორიც იყო ჰიუგო.

* * *

ლაპარაკში ილია უძლეველი იყო. მის დიალექტიკას, მის მოწრებულ სიტყვებს, მის მდიდარ ლექსიკონს ჩვენს ქართველობაში წინ ვერავინ უდგებოდა. ვის არ ახსოვს მისი სიტყვები საადგილმამულო ბანკის წევრთა

[1] მექი ფალავა—ვექილი, საზოგადო მოღვაწე, მემამულე სოფ. ბანძაში.—ხ. ც.
[2] ცაიში სოფელია სამეგრელოში, სადაურიც ი. მეუნარგია იყო.—ხ. ც.

საზოგადო კრებებზე წინააღმდეგ ძმათა მაჩაბელთა, ბევრი გრძნობდა, რომ სიმართლე ვანო მაჩაბლისაკენ იყო, მაგრამ ილიამ დაამარცხა ის თავისი დიალექტიკით და მოსწრებული სიტყვებით.

აი ერთი მაგალითი ილიას უძლეველობისა ლაპარაკში. „ვისრამიანის“ ბეჭდვა რომ იწყებოდა, უკანასკნელი რედაქციის დადგენა და ვარიანტების ერთიერთმანეთთან შეთანხმება მიანდეს ილია ჭავჭავაძეს, პეტრე უმიკაშვილს და ალ. სარაჯიშვილს. ერთს უძველეს ვარიანტში ამათ დაინახეს, რომ უ-ს ბრჯგუ არა აქვს. ილიას მეტი რა უნდოდა, ჩვეულებრივის ალტაცებით იმან დაიჟინა უ უბრჯგუოდ დავბეჭდოთო. უმიკაშვილი თვითონ თაყვანისმცემელი იყო ყოველგვარი არქაული ფორმისა, მაგრამ, ასე გასინჯეთ, იმასაც კი შეეშინდა ამგვარი გარდაწყვეტილებისა. რადგანაც კორექტორი ის იყო, ეშინოდა ბრჯგუს განდევნა იმისათვის არ დაეწამებინათ, იმან დაწერა ამ საგანზე დადგენილი გადაწყვეტილება და ხელი მოაწერინა ილიასა და სარაჯიშვილს, მერე წიგნიც დაიბეჭდა, რომელსაც გადაშლით თუ არა თვითონვე დაინახავთ შიგ რაები წერია. წარმოიდგინეთ, რა სიტყვები გამოვიდოდა, თუ ბრჯგუ არ ექნებოდა უ-ნით დაწერილ სიტყვებს: ჩვენ, — ჩუენ; მოსვენება — მოსუენება; გამოკვება — გამო...

— ილია, ეს რა გიქნიათ, როგორ დაგიბეჭდიათ! — ჰკითხეს პოეტს.

— წარმოიდგინეთ! მე რომ რუსეთში ვიყავი, პეტრეს გაუკეთებია. პეტრე, ეს რასა ჰგავს, როგორ დაგიბეჭდია?

— მე ისე დავბეჭდე, როგორც გადასწყვიტეთ.

— თავის დღეში მე ამგვარი დაბეჭდვა არ მიფიქრია.

— გიფიქრია კი არა, გითქვამს კიდეც და ხელიც მოგიწერია!

— უთხრა გაჯავრებით პეტრემ და გაიხსნა ჯიბე, ამოიღო ხელმოწერილი ბარათი და თვალწინ დაუდვა.

— თავის დღეში მე ეს არ მითქვამს, მე სხვარიგად მქონდა წარმოდგენილიო უთხრა ილიამ და თავის ლაპარაკით პეტრე დამნაშავედ გამოიყვანა.

*

* *

ილია ხელმოჭერილი კაცი იყო, სულ იმას ჩიოდა, მეტი აღარა ვართ ამ საქველმოქმედო საღამოების გამო. უცნობი ქალი ან კაცი რომ მოვიდოდა მასთან იმას სულ იმის ეშინოდა, ვაითუ ფული მთხოვოსო. ერთხელ საადგილმამულო ბანკში მასთან მოვიდა პლატონ იოსელიანის ცოლისაგან მოგზავნილი ქალი. ილიას ეგონა მთხოვნელი არისო და მიღების უარზე დადგა, მაგრამ მოგზავნილმა შემოუთვალა: პლატონ იოსელიანისაგან დარჩენილი ნაწერი მომაქვს თქვენს ჟურნალში დასაბეჭდადო და პოეტს გადასცა „მეფე გიორგის ცხოვრება“, იოსელიანისაგან შედგენილი, შემდეგ „ივერიის“ ნომრებში დაბეჭდილი[1].

[1] ვანო მაჩაბლისაგან განაგონი.

მაგრამ ამ ხელმოჭერილ კაცს არაფრად მიაჩნდა ასობით და ათასობით ფულის წაგება ბანქოს თამაშში.

ოთხმოციანი წლების დამდეგს ილია თითქმის ყოველ საღამოს თამაშობდა. იმის ჩვეულებრივი პარტნიორები იყვნენ: გიორგი შარვაშიძე[1] (დიმიტრიჩი), კონსტანტინე რეიტერი, კოლა ერისთავი, დავით ავალიშვილი. კრუჟოკში ან კლუბში ის ხშირი სტუმარი არ-იყო. იქ თუ წავიდოდა ის მხოლოდ ზაფხულობით. მე ხშირად გამოვსულვარ დილაადრიანად ალექსანდრეს ბაღში და შევყრივარ ილიას კუკიიდან მომავალს შემდეგ მთელი ღამის თამაშში გატარებისა.

განსვენებულ ილია ხონელისაგან გამიგონია: ილიამ მთელი ღამე თურმე ითამაშა სადღაც კლუბში და ათას ხუთასი მანეთი წააგო. შინ რომ დაბრუნდა და ეტლის გასასტუმრებლად ქისა ამოიღო, შიგ ნაშალი ვერ იპოვა, ერთი თუმნიანიღა შერჩენოდა იმას გაუტეხელი.

— ეჰ, საცა სხვა წავიდა, ესეც წავიდესო, — გაივლო მგოსანმა გულში და გაუწვდინა ქუჩერს თუმნიანი.

— აჰა, წაიღე, — უთხრა პოეტმა.

— ბატონო, აქ ერთი თუმანია.

— არაფერია, წაიღე, განუმეორა მან.

— გეტყობა, კნიაზო, წუხელის მოგიგიათ, ღმერთმა ყოველთვის ასე მოგაგებინოს, — დაუმადლა სულგრძელ მგოსანს თვალგაპრიალებულმა მეეტლემ.

*

* *

ახლა უნდა გადავიდეთ ილიას რედაქტორობაზე და გაზეთზე, მაგრამ ჯერ მოისმინეთ ეს რამდენიმე ნაწყვეტიც ჩემი დღიურიდან à báton rompu.

გაზეთ „ივერიის“ გამოცემას რომ მოჰკიდა ხელი ილიამ, ის დიდ ფაცაფუცში იყო. მე იმ დროს პეტერბურგში ვიყავი დროებით და რადგანაც გაზეთში თანამშრომლობა მქონდა აღთქმული (სხვათა შორის, გაზეთში უნდა დაწყებულიყო ჩემგან შეკრებილი ისტორიული და სამწერლო ნაკვესების ბეჭდვა, რომელზედაც ფსევდონიმად ლელო ეწერათ. თვითონ სათაური „ნაკვესი“ ილიასაგან არის გამოგონილი, მაგრამ ფსევდონიმი არ მოსწონდა.) 20 დეკ. 1885 წელს ილია მწერდა თბილისიდან:

„დაგვანებე, ჩემო იონავ, თავი და დაგვაობლე ამისთანა გაჭირვების დღეს... მაგრამ რა გაეწყობა? თურმე სოფელი ასეა. თუმცა . შენ ბევრს გვაკლიხარ, მაგრამ ჩვენ მაინც ჩვენსას არ ვიშლით და ვჩხირკედელაობთ 1-ს იანვრისათვის. ვნახოთ, ღერძი ბედისა როგორ დაიწყებს ტრიალსო. გიგზავნი გამოცხადებულს და ყველგან გაგზავნილ უწყებას ჩვენი ახალი გაზეთის გამოცემის თაობაზედ. ზოგიერთმა ჩვენგან ახლად შემოღებულ-

[1] თბილისის გუბერნატორი 80-იან წლებში და არა პოეტი და დრამატურგი.—ს. ც.

მა სიტყვებმა და ტერმინებმა მოწონების და დაწუნების ღაღადი მოჰფინეს ჩვენს სალიტერატურო არე-მარეს. ჩვენ ვნუგეშობთ და ვამბობთ: Значит, свет нас заметил. უარარაობას კიდევ ესა სჯობია. ახ ნეტავი ეხლა ჩვენთან იყო, ყინვამ მაგ უმადურ და უსიხარულო ქვეყნისაგული არ გაგიყინოს და არ დაგვლუპოს შენდამი მსასოებელნი.

შენი ფსევდონიმი არც ერთი არ მომეწონა. აქ მოვიგონეთ ორი ფსევდონიმი: 1. „მე ვარ და ჩემი ნაბადი", თუმცა გრძელია, მაგრამ შენზედ ზედგამოჭრილია; 2. „აბედი", ვითომ ნაკვესმა შენ ცეცხლი მოგიკიდა როგორც აბედს და შენ ჩვენ გადმოგვეცი. ეს უკანასკნელი კარგია, მაგრამ აკაკი წერეთელს საბუთს მისცემს ქართული აბედი რუსულ обед-ად გადააქციოს; მაინც შენ სხვის სადილების მაძებარს გეძახოდა და დაგცინოდა. ორში ერთი ამოირჩიე და ტელეგრამით მაცნობე.

ასოებისათვის ფული საჭირო არ არის, რადგანაც თვითონ ასოები აქ ჩამოვასხმევინეთ და ძალიან ცოტა განსხვავება აქვს მანდაურებთან, წიგნები რაც საჭირო იყო დავიბარეთ, ვიდრე შენი წერილი მომივიდოდა.

ნიკოლაძესა სთხოვე და შეეხვეწე ჩემს მაგიერ, ჩვენს გაზეთს თავისი ნაწერებით შეეწიოს. მომიტევოს ამჟამად, რომ საკუთარს წერილს არა ვსწერ, ეგ იმისთანა კაცი არ არის, რომ ამის გამო გაგვიწბილდეს და გულიდან ამოიღოს ჩვენი გაზეთი, წვრილმანმა წვრილმანს მოუკიდოს ცეცხლი.

ქალალდის თაობაზე სერებრიაკოვს[1] წერილი მივწერე და პასუხს ველი. ჯერ-ხანად Новое Обозрение-ს ქალალდს ვიხმართ.

კაცო, რატომ არა გვწერ, — ეგ ჩვენი მუხრან-ბატონი[2] რას სჩადის ღა როგორ მიჰყავს ჩვენი საზოგადო საქმეები? შენგან მიკვირს და მეოცება. ღმერთსა ვთხოვ, რომ სამერმისოდ არც ერთი შემემთხვას შენგან და არც მეორე. ასე, ჩემო იონავ, იყავ მშვიდობით და დღეგრძელობით და არ დაივიწყო, რომ შენ ერთადერთი მეგობარი გყავს და ის ერთადერთი — შენი ილია ჭავჭავაძე.

P. S. მოუთმენლად ველი შენს სტატიას. ოლიკომ[3] მოგიკითხა. მოიკითხე ყველანი, ჩემი ნაცნობები".

„ივერიის" პირველი ნომერი გამოვიდა 1 იანვარს 1886 წ.

„ივერიის" რედაქცია ამ დროს კუკიის ქუჩაზე იყო მოთავსებული პოეტის დის ლიზა საგინოვის სახლში. დაბლა იყო გამართული გაზეთის სტამბა, მაღლა იყო რედაქცია და იდგა თვით რედაქტორი.

რომ ახვიდოდით მეორე სართულზე, მარცხენა კარებს შეუაღებდით თქვენ გაზეთის რედაქციაში და მარჯვენას ილიას სადგომში. სადგომის ყურეში, შესვლისთანავე, მარცხნივ იყო რედაქტორის კაბინეტი — პატარა ტანის ოთახი — სწორედ ისე იყო მოწყობილი, როგორც ეს შეეფერებოდა მის პატრონს — პოეტს და მამულის მოყვარე რედაქტორს.

---

[1]. ილია სერებრიაკოვი — ოქრომჭედლიშვილი. (1835—1898) — ს. ც.
[2]. ივანე ბაგრატიონ-მუხრანბატონი (1812—1895).
[3]. ოლიკო — ილიას მეუღლე, ოლღა გურამიშვილის ასული.

შეხვიდოდით თუ არა კაბინეტში. ყველაზე უწინ თქვენს ყურადღებას იქცევდა ფერადი სურათებით აჭრელებული ჭერი ოთახისა. ჭერის ოთხ კუთხეზე იყო დახატული ფართო მედალიონები: მეფე ლუარსაბისა, დიმიტრი თავდადებულის, გიორგის — თამარის მამისა და დავით აღმაშენებლისა, შუაში იყო წმინდა ნინოსი.

კედლებზე ეკიდა: მეფე ერეკლეს და გორგასალის სურათები.

კედლებზედვე: სოფლის გლეხკაცი და ყასაბი გაბაევისა, მურილიოს გრავიურა, მითოლოგიური სურათები.

კაბინეტი სავსე იყო შკაფებით, მაგიდებით, წიგნებით, ქანდაკებებით.

რომ მიიხედ-მოიხედავდით, დაინახავდით: ერთგან შექსპირის ბიუსტს, სხვაგან გიოტესას, კიდევ სხვაგან რუსთველისას, გარიბალდისას.

აქა-იქ კედლებზე: კაკაბისა და ხოხობის ფიტულებს.

და რადგანაც ნამდვილ ქართველს ძველთაგან ანდერძად უწერია, თქვენ ამ კაბინეტში ნახავდით რვა ყანწს, ერთი მეორეზე უდიდესს.

მთავარი მაგიდა კაბინეტში სავსეა რაგინდარათი: წიგნებით, გაზეთებით, სამწერლო იარაღებით, სულ ყველაფერი ამ დიდ მაგიდაზე არეულ-დარეულია, რომ აქაც გამართლებულიყო ნათქვამი პოეტურ დაუდევრობაზე. აი აგერ ამომშრალი დიდი საწერელი, რომელშიც ვიღაცას მეორე მომცრო ტანის საწერელი ჩაუდგამს, აი შვლის ქანდაკება, რომელსაც რქაზე პოეტის ჩაჩი აქვს წამოცმული. აი გადაშლილი წიგნი, პაპიროსის ნამწვით შუაგულში, აი გლობუსი, საანგარიშე, სათვალე, გაზეთის ორიგინალები, ვეებერთელა წითელი ყარანდაში...

თუ საღამოა, ამ მაგიდასთან თვითონ რედაქტორი ზის და აქ ამ ვიწრო ქარხანაში მზადდება დღეს ის აზრი, რომელიც ხვალ შეიძლება სახელმძღვანელოდ გახდეს ყველა ქართველისათვის ბაქოდან დაწყებული სოხუმამდის და კავკასიის გარეთაც.

როგორც გაზეთის თავი—მესვეური ილია დიდად ნაყოფიერი იყო. ის ბევრსა წერდა და გრძლად წერდა. გრძლად წერა, სამწუხაროდ, მისი ნაკლულევანება იყო.

გაზეთი წიგნი არ არის, რომ კაცი დაუჯდეს იმას და იკითხოს. გაზეთის სტატია თუ ჟურნალის სტატიად გახადა კაცმა, რაც უნდა კარგად იყოს ის დაწერილი, თავის ღირსებას ჰკარგავს.

გაზეთი თქვენ ბულვარზე სადმე იყიდეთ, გზა-გზა მიმავლად იმას თვალი გადაავლეთ, ან მიჯექით სადმე, რომ ზელტერის წყლით სიცხიდან სული მოიბრუნოთ და უფრო მეტი ხანი მოანდომოთ იმას, რომ წაიკითხოთ ტელეგრამები, ახალი ამბები, მცირე შენიშვნები და ბოლოს თუნდ მეთაური წერილიც, თუ ის მოკლედ არის დაწერილი. მაგრამ თუ ეს წერილი გრძელია, არა ადვილად საკითხი, გაყოლებით დაწერილი, წინასიტყვაობით, სხვადასხვა წინადადებით ერთმანეთში აცმულ-გადაბმული, რომელსაც აჭრელებენ „როგორცა ვთქვი“, „რომელიც რომ“ და სხვა ამგვარები,

თქვენ იმას ვერ წაიკითხავთ. და თუ წაიკითხავთ, ღმერთმა მშვიდობა მოგცეთ, ბევრი დრო გქონიათ. უმეტესობა კი, ათი მკითხველიდან ცხრა, ამ სტატიას არ წაიკითხავს.

გრძელი სიტყვა მოკლედ ითქმის თუ შაირზე მარტო თქვა რუსთაველმა, ალბათ იმიტომ, რომ მეთორმეტე საუკუნეში არც გაზეთები იყო და არც მოწინავე სტატიები.

მე ხელთ არა მაქვს ილიას გაზეთის „ივერიის" კოლექცია და მაგალითს აქ ვერ მოვიყვან, მაგრამ ისე მახსოვს, რომ იშვიათია ილიას მოწინავეს არ ეჭიროს გაზეთში ორი-სამი სვეტი, ხან ოთხი, ხუთი, ექვსი.

გაზეთს ქვეყანა კითხულობს და ქვეყანას ამ გაუთავებელი სტატიებისათვის არა სცალია.

ფრანგები იტყვიან qaund vous voulez dire: il pleut, dites il pleut. ეს ქართულად ასე ითარგმნება: „თუ გინდათ თქვათ, რომ წვიმს, თქვით წვიმს". და ნუ მოჰყვებით „ათადან-ბაბადან", ნუ დაიწყებთ ციდან, ღრუბლიდან, ჰაერიდან, თქვით მოკლედ: წვიმს.

ასევე ითქმის საზოგადოდ იმგვარ მეთაურ წერილებზე, რომელსაც ეკუთვნოდა ილიას წერილები, ეს წერილები მოკლედ და პირდაპირ ვერ ეუბნებოდნენ მკითხველს იმას, რის თქმაც მის დამწერს უნდოდა და რაც, როგორც პოეტს, მას შეეძლო.

მეშინია, მეტის თქმა არ გამომივიდეს, მაგრამ არ შემიძლია შემთხვევით არ ვისარგებლო და ამ გრძელ მოწინავეებზე ორი-სამი სიტყვა კიდევ არა ვთქვა. გაზეთის ყოველი ნომერი, რომელშიც გრძელი მოწინავე წერილია დაბეჭდილი, წვალებაა საკითხავად.

საფრანგეთის ერთი დიდი ფილოსოფოსი ოგიუსტ კონტი ამბობს: მწერალს არ უნდა ჰქონდეს უფლება ათამაშოს მკითხველი თავის სურვილისამებრ, წეროს როგორც იმას უნდა, ყველაფერი კანონს და ზომას უნდა ემორჩილებოდეს, უნდა იყოს განსაზღვრული, რომ ყოველ ფრაზაში ქვემდებარე იყოს, შესმენილი, დამატებითი სიტყვა და კიდევ არ მახსოვს რა და შემდეგ ფრაზა თავდებოდეს, მძიმე დაესმოდეს. როცა მე ვხედავ ოთხი-ხუთ სვეტიან მოწინავე წერილებს გაზეთში, მეც ის ცხოვრებაში განუხორციელებელი ფიქრი მომდის, როგორც კონტს, რომ შეიძლებოდეს ამ გრძელი მოწინავეების შემოკლება თუნდ ისეთგვარად როგორმე, როგორც მაგალითად, სახელმწიფო სათათბიროში ამოკლებენ ორატორის სიტყვებს ხუთი წუთის ლაპარაკის შემოღებით.

ჩემი იდეალი გაზეთის მოწინავე წერილების მწერლისა არის საფრანგეთის ჟურნალისტი ჟირარდენი. აი როგორ ახასიათებს ჟირარდენის წერას საფრანგეთისავე მწერალი დანკური:

„ის (ჟირარდენი) იწყებს რაიმე საგანზე ლაპარაკს, წამოაყენებს წინ ერთს აზრს, თეზისს. მოუსვამს კალამს და ორ სტრიქონში საქმის ექსპოზიცია მზად არის. ორი-სამი სტრიქონი და ჟირარდენი შუაგულ კითხვამ-

დის არის მიწევნილი. ამის შემდეგ ის გადადის დასკვნაზე, ის წინდაწინ ხედავს, თუ თქვენ მასთან არა ხართ თანახმა და თქვენკენ მოიწევა. თქვენ შეიძლება ამაზე ესა და ეს მითხრათ; ახ, რაგვარად შებრალებით, — და ის მტვრად აქცევს თქვენს ნათქვამს, ან დაანახვებს სხვებს, რომ თქვენი ნათქვამი მტვრად აქცია და გასწევს და გასწევს. კიდევ ორი სტრიქონი. გათავდა? არა. იმას კიდევ აქვს სათქმელი უკანასკნელი სიტყვა, კიდევ უნდა გაისროლოს უკანასკნელი ისარი. ახლა მაინც გათავდა? არა. ერთი სტრიქონი კიდევ და ამ სტრიქონში კიდევ სულ ბევრი-ბევრი სამი სიტყვაა, ხანდახან ორი და ხშირად ერთი. ჰა, და გათავებულ მოწინავეს ხელი მოაწერა".

ამგვარად ილიას არ უწერია.

ილია — რედაქტორი თავის ნაწერს სანამ დასაბეჭდად გაგზავნიდეს, უკითხავს თავის თანამშრომლებს და ყოველგვარ რჩევას სიამოვნებით ითვისებს.

ნინო მუხრან-ბატონის[1] დასაფლავების გამო მოწინავე წერილი რომ დაბეჭდა ილიამ „ივერიაში", მეორე დღეს მკითხა:

— წაიკითხე ჩემი წერილი?

— წავიკითხე გუშინლამვე სტამბაში და ძალიან მომეწონა. მხოლოდ რომ გენებებიათ და სამღვთო წერილის სიტყვაც ჩაგეტანებიათ შიგ შრომისმოყვარე ქალის თაობაზე დაწერილი, წერილი ბევრს მოიგებდა.

— რა სიტყვები?

— ოფლითა შენითა სჭამდე პურსა შენსა.

— ოხ, მართლა რომ კარგი იქნებოდა, და რატომ ეს სიტყვები არ მიაწერე, რაკი სტამბაში მოხვედრიხარ, — მითხრა ნაღვლით რედაქტორმა, საზოგადოდ დეკლამაციის მოყვარემ.

სხვის ნაწერებს ის თავაზიანად ეპყრობა, მხოლოდ ენის მხრით რედაქტორი ულმობელია, მეტადრე დასავლეთ საქართველოდან გამოგზავნილი კორესპონდენციების და წერილების კითხვის დროს.

ენის მხრით ილია მართლა რომ კანონმდებელია ქართული ენისა.

ვიღაცამ უსაყვედურა ვიქტორ ჰიუგოს: ეს სიტყვა ფრანგული არ არისო.

— არ არის, მაგრამ იქნებაო, — თავმოწონებით უპასუხა საფრანგეთის დიდმა მგოსანმა.

იგივე ითქმის ილიასა და ქართულ ენაზე.

სანამ ილიამ არ დაუშალა ჩვენებს, ჩვენში ამბობდნენ უფალი კერესელიძე, უფალი მესხი, ეს უფალი ან იყო ამოღებული სამღვთო წერილიდან, ან იყო ნათარგმნი რუსული სიტყვიდან „Господин". ილიამ თქვა „უფალი მესხი"-ს თქმას „ბატონი მესხი"-ს თქმა არა სჯობიაო? და ეს

[1] და დავ. დადიანისა, ივანე ბაგრატიონი—მუხრან-ბატონის მეუღლე.—ს. ც.

სიტყვა მას აქეთ დაკანონდა ჩვენში და ამ სიტყვას ისე მაგრად აქვს მოკიდებული ფესვი ჩვენს ენაში, რომ მას ვერ განდევნის ახლა ჩვენი ენიდან ვერც „ამხანაგი“ და ვერც „მეგობარი“ ისე, როგორც ვერ განდევნეს ფრანგული ენიდან „monsieur“ ვერც დიდი რევოლუციის citoyen-მა და ვერც კომუნის. Compagnon“-მა.

მისგან მოგონილ სიტყვათაგან მახსოვს: სულთა-სწრაფვა, თვალთა ხედვის ისარი.

იმას არ მოსწონს იმერელთა წერილებში სიტყვები —„ვღებულობ“, „ამნაირად“. საცა ეს სიტყვები მოხვდება ილიას, მაშინვე შლის და სამაგიეროდ ზემოდან აწერს, სიტყვებს: „„ვიღებ“ „ამგვარად“.

საცა ჩვენ ჩვეულებრივად ვწერთ „მაგრამ“-ს, ილია ხშირად „გარნა“-ს წერს.

იმასვე ეკუთვნის, მგონია, ეს „ჰსჩადის“, რომელსაც ეხლამდის ვერ შევთვისებივარ, რომელიც არც ერთ ძველ წიგნში სადმე არ წამიკითხავს, არც ხალხში გამიგონია სურამის აქეთ მაინც. გადალმაც არ ვარ დარწმუნებული, რომ ხალხში „ჰსჩადის“ ითქმოდეს, შეიძლება თქვან ჩადის, სიტყვიდან ჩასვლა, მაგრამ „ჰსჩადის“ ქალაქში უნდა იყოს გაზვიადებული.

როგორც რედაქტორს, ილიას მუდმივ ერთი აზრი აქვს: გაზეთი არავის პირადობას უმართებულოდ არ შეეხოს. ამ მხრით ის დაშინებულია გაზეთ „დროების“ განურჩევლობით.

სხვისი პირადობის დამცველს თავის გაზეთში, ილიას არ უნდოდა, რომ თვითონ უმართებულოდ ეხსენებინა ვინმე სხვის გაზეთში. როდესაც ნიკო ნიკოლაძემ „Новое обозрение“-ში ერთი წერილი დაწერა მისი პიროვნების შესახებ, ილიამ თავი შეურაცხყოფილად მიიჩნია და ორი თავისი ამხანაგი მიუგზავნა სეკუნდანტებად ნიკოლაძეს — კოლა ერისთავი და სოსიკო შალიკაშვილი. მან პასუხად ჭავჭავაძეს გაუგზავნა ორი თავისი ამხანაგი, დათიკო გურამიშვილი და ნიკოლოზ სიმბორსკი[1] და მათ შორის გაიმართა დუელი. მოწინააღმდეგენი დადგნენ ბარიერზე გატენილი ფიშტოებით და ყველაფერი იმ წერტილამდის იყო მიყვანილი, საცა ტყვია უხდა გავარდნილიყო, მაგრამ ამ დროს სიმბორსკიმ შერიგების უკანასკნელი სიტყვით მიმართა დუელიანტებს და დუელი მორიგებით დამთავრდა.

არ ვიცი, ამ ორში ვინ ვის მოსთხოვა ბოდიში, რადგანაც მათი შერიგების ოქმი არ გამოქვეყნებულა. როგორც გამიგონია, ჭავჭავაძეს უნდა ეთქვას: მე შეურაცხყოფილად მივიჩნიე ჩემი თავი მარტო იმისათვის, რომ ნიკოლაძეს თუნდ ერთი წამით შეეძლო ეფიქრა, — რაც „ივერიაში“ დაიბეჭდა, ის ჩემი თანხმობით იყოო, ნიკოლაძეს ამაზე უნდა ეთქვას: თუ ეს ასეა, მაშ რაც ჩემს გაზეთში ვთქვი ჭავჭავაძის შესახებ, უკან მიმაქვსო.

---

[1] რუსი პოეტი.

რედაქციაზე და გაზეთზე ლაპარაკს აქ ჩვენ უნდა დავურთოთ აკაკის სიტყვებიც.

აკაკი თამარაშენში იყო მაჩაბლისას და დაძინების დროს „ივერიას" კითხულობდა. კითხვის დროს აკაკის მიეძინა და გაზეთს სანთლიდან ცეცხლი მოედო.

— ფუ, ფუ, ფუო — და ერთის ყოფით გააქრო ალი პოეტმა.

— მადლობა ღმერთს, წყალნარევი გაზეთია, თორემ ვერ დავაქრობდიო, — აამა მგოსანმა ილიას მოწინააღმდეგე ბანკის დირექტორს.

*

* *

ილიას, როგორც ბანკირს, ქართულ მწერლობასთან და ხელოვნებასთან კავშირი არა აქვს და ამიტომ მის მოღვაწეობაზე თბილისის საადგილმამულო ბანკში მე აქ დიდს არას ვიტყვი. პოეზია და ანგარიში, ქნარი და „ჩოთქი" როგორღაც ერთმანეთთან ვერ მიდიან, გარნა არ უნდა დავივიწყოთ, რომ ილია საზოგადო მოღვაწეა, რომ მისმა გონებამ და შრომამ მისგან დაწყებული და წარმართული ბანკი იმ ზომამდის მიიყვანა, რომ დღეს[1] ბანკის დამფუძნებელთ უკვე დაუბრუნდა უკანვე ძირითადი თანხა და როგორც ახლა, ამ წასვლაზე თბილისში შევიტყე, შარშან ბანკს ჰქონდა იმდენი შემოსავალი, რომ ოთხასი ათასი მანეთის ზარალი დაუფარავთ და კიდევ დარჩენილა წმინდა შემოსავალი ორასი ათასი მანეთი. ილიას ბანკის მოგებით უდგია დღეს სული თბილისის ყველა თავადაზნაურთა საზოგადო დაწესებულებათ.

დრო და ადგილი ნებას არ მაძლევს აქ ილიას ნაწერებზე ვილაპარაკო და ამით ვათავებ ამ მოგონებას პოეტის ცხოვრებიდან, თუმცა სამახსოვრო წიგნში ჯერ კიდევ არ გამომლევია მასალა ილიას შესახებ.

*

* *

დასასრულ, ორი-სამი სიტყვა ილიას საგურამოში ცხოვრებიდან.

ილია ყოველ ზაფხულს ამოდიოდა საგურამოს, დასასვენებლად. აქ ჰქონდა იმას ერთი პატარა ქვის სახლი, რომელიც გადაჰყურებდა არაგვის ხეობას. სახლის წინა აივნიდან მგოსანს თვალწინ ედგა მშვენიერი პანორამა კავკასიის მთებისა და ქვემოთ არაგვის ხეობისა.

ილია აქ ისვენებდა ქალაქის საქმეთაგან დამაშვრალი. ყოველ 20 ივლისს მის დღეობაზე აქ მოდიოდა მასთან მოსალოცავად დიდძალი ხალხი ქალაქიდან და საქართველოს სხვა კუთხეებიდანაც.

აქ, საგურამოში, უახლოვდებოდა ილია ხალხის ცხოვრებას და ენას.

---

[1] 1908 წელს.

ყოველ შეყრაზე და. გამოლაპარაკებაზე სოფლის ხალხთან ილიას, როგორც ფუტკარს, საზრდო გამოჰქონდა თავის სიტყვიერებისათვის.

დღეს ამა და ამ გლეხმა ლაპარაკში ესა და ეს ჩემთვის უცნობი სიტყვა თქვაო.— იტყოდა მგოსანი. ერთ ამგვარ სიტყვად, მახსოვს, იყო სიტყვა პეიტარი. აზრით გამოდიოდა, რომ პეიტარი კაცის წოდება უნდა ყოფილიყო და რომ ჩავიხედეთ, ლექსიკონში აღმოჩნდა, რომ პეიტარი საქონლის ექიმს რქმევია.

ხალხი იყო ილიასათვის წყარო მოკამკამე ენისა და გამოთქმისა...

ბ ა ნ დ ე ბ ი ლ ი

პოემა ი. ჭავჭავაძისა

ქართული ლიტერატურის გამოჩენილ პირთა იერარქიაში, მთელი ქართული სიტყვიერების უზენაესი პატრიარქის გრიგოლ ორბელიანის შემდეგ, პირველი ადგილი უკავია ილია ჭავჭავაძეს. მასთან ერთად, და ასე ვთქვათ, ერთს ხარისხსა და კლასში, დგას მხოლოდ აკაკი წერეთელი, გონებაუმახვილესი ქართველ მწერალთა შორის. სხვა, მეტ-ნაკლებად ბედნიერი ნიჭით დაჯილდოებული მწერლები, მიჰყვებიან ამ ლიტერატურული იერარქიის დაღმა დამავალ საფეხურებს.

ამიტომ ი. ჭავჭავაძის ახალი პოემის გამოჩენა არ შეიძლება არ იქნეს მიჩნეული მნიშვნელოვან მოვლენად მიმდინარე ქართულ ლიტერატურაში. ის იქნებოდა მოვლენად იმ შემთხვევაშიც კი, ახალი პოემა განსაკუთრებული ლიტერატურული ღირსებებითაც რომ არ გამოირჩეოდეს. და ეს აი რაზე იქნებოდა დამოკიდებული,—ი. ჭავჭავაძე ძუნწობს როგორც მწერალი, — ის დიეტაზე ამყოფებს თავის მკითხველებს რამდენიმე წლის განმავლობაში, და როცა ამის შემდეგ აწვდის მათ პოემას, ან რომელიმე მოთხრობას, მისი ნაწერების მკითხველი საზოგადოება, ე. ი. წერა-კითხვის მცოდნე მთელი ქართველობა მადააღძრული ეტანება მის თხზულებას, როგორც მონატრებულ საჭმელს გახსნილებისას, და თავისებურად დამშეული ამ თხზულების გამოჩენას, როგორც არ უნდა იყოს იგი, ანიჭებს ლიტერატურული მოვლენის ხარისხს. პოეტი ყურადღებასაც არ აქცევს თავისი მკითხველების მოუთმენლობას. მისი მუზა ოლიმპიური სიდინჯით ნეკრასოვის მუზასავით

„...поёт по прихоти свободной,
Или молчит, как гордая раба".

ი. ჭავჭავაძის მუზის ამ „ოლიმპიურ სიდინჯესა" და „თავისუფალ ხალისს" უნდა მიაწეროს ქართველმა საზოგადოებამ ის გარემოება, რომ თავისი ლიტერატურული მოღვაწეობის 25 წლის განმავლობაში მწერალმა დაწერა მხოლოდ შვიდი თუ რვა პატარა ზომის მოთხრობა და პოემა და რამდენიმე წვრილი ლექსი. ძნელი სათქმელია, თუ რაზეა და-

მოკიდებული ი. ჭავჭავაძის მუზის ასეთი სიდინჯე და ხალისი. ხალისსაც ხომ, რაც არ უნდა თვალით მიუწვდომელი და ასახსნელად შეუძლებელი იყოს ის, აქვს თავისი საფუძველი. ეს აიხსნება ი. ჭავჭავაძის პოეტური ნიჭის თვისებით, რომელიც იქ ვერ პოულობს აღმაფრენას, სადაც სხვა, უფრო გულმტკივნეული პოეტები, როგორც, მაგალითად აკაკი წერეთელი იღებს თემებს თავისი პოეტური თხზულებებისათვის, თუ ჩვენი ყოველდღიური, უშნო ცხოვრება, ჩვენი უბადრუკი სინამდვილე ისე უფერულია, რომ მას არ შეუძლია მისცეს საზრდო არც კარგს, არც ცუდს, არც არავითარ პოეტურ ნაწარმოებს საერთოდ! შესაძლებელია,—ღმერთმა უწყის ამ პოეტების საქმე, — ეს ვარაუდი მართალია, შესაძლებელია ჩვენს საზოგადოებრივ ცხოვრებას არ ძალუძს განაწყოს პოეტების გუნება, აღაშფოთოს ისინი ან აღაფრთოვანოს. მაგრამ თუ მიმდინარე სინამდვილე, მართლაც, ისე ღატაკია, რომ არ შეუძლია საზრდო მისცეს პოეტურ ნაწარმოებებს, კავკასიის დიდებული ბუნება, რომელმაც შეჰქმნა ლერმონტოვისა და პუშკინის დიდი სახელი და ხელოვნების მარადიული თემები, რომელთა წყაროს წარმოადგენს დაკვირვება ადამიანის სულიერ ბუნებაზე, ხომ მაინც არსებობს და შეიძლება გამოყენებული იქნეს მხატვრული თხზულებების საგნად! საიდანღაა, ამ შემთხვევაში ასეთი გაუგებარი პაუზა, რომელიც ძლიერ ახლოსაა პოეტის ძარღვების მგრძნობიარების ნაკლოვანებასთან, საიდანღაა ნაწარმოებთა ასეთი რაოდენობრივი სიღარიბე იმ მწერლისა, რომელიც მუშაობს საუკუნის მთელი მეოთხედის განმავლობაში?

ეს აიხსნება ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების საერთო პირობებით. ქართველი ხალხის ცხოვრებაში და საერთოდ მთელს ჩვენს მხარეში, ჯერ კიდევ შორსაა ის დრო, როდესაც შესაძლებელი იქნება ჩვენს შორის პროფესიული მწერლების არსებობა, რომლებსაც გარემოებანი მისცემენ საშუალებას მთელი თავისი გონებრივი ძალები მოახმარონ ლიტერატურულ და მეცნიერულ მუშაობას. თითოეული თანამედროვე მწერალთაგანი ეწევა ლიტერატურულ შრომას თავის ძირითად საქმესთან ერთად, მოცლისა და დასვენების წუთებში. მათი მუდმივი საქმეები კი სხვებია, ხშირად ძალიან ძნელი და არასასიამოვნო, რომელთა კეთების დროს წარმოუდგენელია წესიერი მეცნიერული და ლიტერატურული მუშაობა. სხვა უფრო ბედნიერი ხალხების ლიტერატურაში, რომელთაც მილიონობით განათლებული მკითხველი ჰყავთ, პოეტებს, მწერლებს, მხატვრებს შეუძლიათ აწარმოონ ის მუშაობა, რომელიც მათ გულთან ახლოსაა, სრულიად დარწმუნებულებს, რომ ეს მუშაობა მათ აუნაზღაურდებათ ასკეცად. ჩვენში კი ყოველივე პირიქითაა. ჩვენ განწირულნი ვართ უპასუხოდ დავტოვოთ ჩვენი გულის მიდრეკილებანი, ვიაროთ ჩვენთვის არასასიამოვნო სამსახურში, სიმწრის ოფლი ვღვაროთ ჩვენი ოჯახების გამოსაკვებად, განვიცადოთ კრედიტორებისა და სამოსამართლო ბოქაულების ვიზიტები და, თუ ყოველივე ამასთან ერთად, როგორღაც

მოვახერხეთ დროის მცირე ნაწილი დაგვეთმო მაღალი იდეალებისათვის, ჩვენი საკუთარი ნაწარმოებები უნდა ვბეჭდოთ ჩვენი მცირე სახსრებით და არ ვიქონიოთ არავითარი იმედი, რომ ავინაზღაურებთ დახარჯულ ჩვენი შრომით მონაგარ გროშებს, ასეთ პირობებში ძნელიცაა მოვთხოვოთ მუზას მწერლის მეტი ნაყოფიერება.

დაახლოებით ასეთსავე საზოგადოებრივ პირობებში უხდება წერა ილია ჭავჭავაძესაც. ამ პირობების დაძლევა აღემატება ერთი ადამიანის ძალლონეს. ამაზეა დამოკიდებული ნიჭიერი ქართველი პოეტის ნაწარმოებთა რაოდენობრივი სიღარიბე.

ვუბრუნდებით რა ი. ჭავჭავაძის ახალ პოემას „განდეგილს", ჩვენ ნებას ვაძლევთ თავს წარვუდგინოთ მკითხველებს მცირე რეტროსპექტიული მიმოხილვა მწერლის ლიტერატურული წარსულისა, რათა უფრო სწორად შევაფასოთ მისი ახალი ქმნილება და მივაკუთვნოთ მას შესაბამისი ადგილი ქართულ ლიტერატურაში.

ილია ჭავჭავაძემ მაშინ დაიწყო თავისი ლიტერატურული მოღვაწეობა, როდესაც ვინაკი იყო რუსეთში მოაზროვნე, პატიოსანი და განათლებული, ყველა მოითხოვდა ბატონყმობის გაუქმებას, რომელიც რუსეთის სამოქალაქო და გონებრივ წარმატებას ამუხრუჭებდა. მოწინავე რუსი საზოგადოება, სტუდენტები და პრესა თავს ესხმოდნენ ძველ საზოგადოებრივ წყობას და სიხარულით იყურებოდნენ მოსხივეისკარე მომავლისაკენ. ი. ჭავჭავაძეს, რომელიც მაშინ რუსეთში ღებულობდა სწავლა-აღზრდას, არ შეეძლო არ გაეზიარებინა საყოველთაო აღტაცება და არ დამდგარიყო აბოლიციონისტების მხარეზე. პირველი მისი პოემები, რომლებიც დაიწერა მისი ლიტერატურული მოღვაწეობის ამ ადრეულ პერიოდში: „აჩრდილი", „კაკო ყაჩაღი", მისი მოთხრობა „გლახის ნაამბობი", თუ მთლიანად არა, ნაწილობრივ მაინც, აგებულია მემამულეებისა და გლეხების ურთიერთდამოკიდებულების თემაზე. „განდეგილის" მომავალმა ავტორმა მათში გამოიჩინა შესანიშნავი პოეტური ნიჭი და ლექსის ღირსება, ისეთი ღირსება, რომლის გადაჭარბებაც მან ვერ შეძლო შემდეგ, მიუხედავად ოცდახუთი წლის თავის სამწერლო მოღვაწეობისა. ისიც კი შეიძლება ითქვას, რომ მისი პირველად დაწერილი ლექსები იყო მის აწინდელ ლექსზე უკეთესი, რომელშიც ხშირად გვხვდება დაუდევრობის ნიშნები, არაახალგაზრდა ასაკის მწერლის უზრუნველობისაგან წარმომდგარი.

გლეხთა განთავისუფლების შემდეგ ი. ჭავჭავაძემ შესცვალა თავისი პოეტურ თხზულებათა საგანი. მან აიღო უფრო ზოგადი თემა. ორი შემდეგი პოემა: „დედა და შვილი" და „მეფე დიმიტრი თავდადებული" თავისი შინაარსით ქადაგებენ მამულის სიყვარულს და თავდადების საჭიროებას მისი გადარჩენისათვის.

„განდეგილით" ი. ჭავჭავაძე შევიდა იმ წმინდა ხელოვნების სამფლობელოში, რომელიც არ წყალობს სხვადასხვა ჯურის ტენდენციებს, თავი-

სუფალი მხატვრული შემოქმედების ამ მოსისხლე მტრებსა და მკვლელებს, და ჩვენ სულით და გულით ვულოცავთ მწერალს თავისი პოეტური მოღვაწეობის ამ ახალ ფაზისში შესვლას.

ახალი პოემის თვით სახელწოდება მიგვითითებს მის შინაარსზე. ი. ჭავჭავაძის „განდეგილი"—ეს იგივე ლერმონტოვის „მწირია", იგივე მაიკოვის „ქურუმია", რომლებმაც უარჰყვეს ეს ქვეყანა, მაგრამ რომლებშიც წუთით გაიღვიძა ადამიანურმა ბუნებამ და დაარღვია მათი ჩვეულებრივი განდეგილური განმარტოება. ლერმონტოვმა გამოიყვანა თავისი „მწირი" ბუნების წიაღში, დაანახა მას მშვენიერი ქართველი ქალი, გაახსენა მშობლიური სახლი, ნათესავები, ტოლები და ხელახლა დააბრუნა იგი ბერის მშვიდობიან სენაკში, სადაც უხმაუროდ მოამზადა ის სიკვდილისათვის. მაიკოვმა თავისი ქურუმი გააძევა შორეულ უდაბნოებში, სადაც მას გაახსენდა მხოლოდ, თუ „როგორ იქნა ის მოტყუებით მიყვანილი სატრაპთან საშინელი გამოცდისათვის", სადაც მას კისერზე შემოეხვია მომხიბლავი ლესბიელი ქალის თოვლივით თეთრი ხელები, შემდეგ პოეტმა „კივილკივილით" გაუშვა ის, უკვე გამოფხიზლებული, აფრიკის თვალუწვდენელ უდაბნოებში სახეტიალოდ. ილია ჭავჭავაძემ მოათავსა თავისი „განდეგილი" მიუვალ გამოქვაბულში, მყინვარის მახლობლად, და მიუგზავნა მას ცთუნება მომჯადოებელი მწყემსი ქალის სახით, რომელიც გამოცხადდა მის წმინდა სენაკში. განდეგილმა შეხედა მას... მან გადადგა ნაბიჯი... დახარა თავი მისი ბაგისკენ და ის-ის იყო უნდა ეკოცნა, მაგრამ თავი შეიკავა, სძლია თავის სხეულს და გაიჭრა გარეთ თავის სენაკიდან.

ჩვენ გიამბობთ აქ ამ ლეგენდას და ამავე დროს აღვნიშნავთ თვით პოემის ლიტერატურულ ღირსებას. ვნახოთ, რამდენად ღრმად შესძლო ი. ჭავჭავაძემ აღებეჭდა თავისი პიროვნება, მის მიერ არჩეულ ლეგენდაში, რამდენად მისი მე, ბელინსკის გამოთქმით რომ ვთქვათ, გახდა ჩვენთვის სალხინებლად, იმ ბრძმედად, საიდანაც ყოველი თემა, როგორიც არ უნდა იყოს ის, უნდა გამოდიოდეს ოქროსავით გაწმენდილი.

იქ, სადაც ცამდის ატყორცნილა მყინვარი, მუდმივი თოვლისა და ჭექა-ქუხილის საბრძანებელში, თვალუწვდენელ მთების მწერვალებზე, სადაც ორბნი-არწივნიც ვერ აფრენილან, ძველ მიტოვებულ გამოქვაბულში ცხოვრობდა ერთი წმიდა ბერი, რომელიც განშორებოდა ამ ცოდვილ ქვეყანას. ის არ იყო მოხუცი..... მაგრამ აქ მოვიშველიოთ თვით პოემის ავტორის კალამი:

„სახე გამხდარი, კუშტი და მწყრალი
სიწმინდის მადლით დაჰშვენდებოდა,
და მალალს შუბლსა, ნაოჭად შეკრულს,
შარავანდედი გადაჰფენოდა.
მისთა მცხრალ თვალთა ღრმა მეტყველება
ესოდენ იყო წყნარი და ტკბილი,

თითქო მათ შიგან ჩასახებელა
თვით სათნოება, კდემით მოსილი;
თითქო ნელისა სიხარულითა
სამოთხის ღია კარს შეჰხარიან
და სულთან ერთად უფლისა მიმართ
სასოებითა მიისწრაფიან.
ლოცვით და მარხვით ხორც-უძლურქმნილი
ჰგვანდა წმინდანსა იგი წამებულს,
მრავალგზით ტანჯულს და ტანჯვათ ზედა
ძლევით-მოსილსა და განდიდებულს..."

მყინვარის ბუნების აღწერაში არაფერია განსაკუთრებით შესანიშნავი. ჩვენ იქ ვერ ვხვდებით ლერმონტოვის „ალმასის წახნაგს", იქ არ ჩანს არც გრ. ორბელიანის „ბუმბერაზ მთანი მდუმარედ ცათამდის აყუდებულნი". არის მხოლოდ ერთი დამახასიათებელი გამოთქმა, რომელიც ატარებს პოეტის პიროვნების ანაბეჭდის ნიშანს. ეს მაშინ, როდესაც ის ლაპარაკობს მყინვარის სიმაღლის შესახებ, რომელსაც ჯერ კიდევ ვერ მისწვდენია საზარელი „კაცთ ჟრიამული", მაგრამ ეს ცოტაა კავკასიის მთების სიდიადის გამოსახატავად. მხოლოდ განდეგილის პიროვნების აღწერაში პოეტი პირდაპირ შეუდარებელია. ზემოთ მოყვანილია ამ აღწერის ერთი ნაწილი, რომლის თუ უკეთესი არა ამ ნაწილზე, დაბლა მაინც არ დგას ქვევით წარმოდგენილი ადგილები.

მეუდაბნოეს ცხოვრება ღვთისათვის შესაწყნარებელი იყო:

„წამება მისი ღმერთს შეუწირავს.
ვედრება მისი ღმერთს უსმენია,
და სასწაული ნიშნად მადლისა
მღაღადებელზედ მოუვლენია.
ბნელსა სენაკსა, სად იგი მდგარა,
ჰქონია მზის მხრივ ერთი სარკმელი,
და მუნით თურმე გადმოდენილა
შუქი მზისა და მთვარის ნათელი,
ოდეს უდაბნოს გასწვრივ მთის წვერზედ
მზე სხივგაფენით ამოვიდოდა,
იმ სარკმლით სხივი მისი სენაკში
სვეტად ბრწყინვალედ ჩაეშვებოდა.
როს ლოცულობდა, იმ სხივსა თურმე
თვის ლოცვას მწირი ზედ დააყრდენდა.
და ხორცთუსხმელი მზის სხივი იგი
უფლის ბრძანებით ზედ შეირჩენდა....

ეს თავი, სადაც ლაპარაკია განდეგილის სენაკში მომხდარ სასწაულებრივ მოვლენაზე, არის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი პოემისათვის და, ჩვენი აზრით, არ არის საკმაოდ კარგად დახვეწილი. მასში არ არის ის დამაკავშირებელი, მოვლენის ხაზგამსმელი სტრიქონები, რომლებიც მოამზადებდნენ მკითხველს ზებუნებრივის აღსაქმელად და მთელ ყურადღებას თავს მოუყრიდნენ იმაზე, თუ რა იქნება შემდეგ. აჩქარებული

ფოტოგრაფის მსგავსად, პოეტმა ძლიერ ადრე მოხსნა ობიექტივს სარქველი, მაშინ, როდესაც მის წინ მდგარი გადასაღები მოვლენა ჯერ კიდევ არ იყო გამზადებული ობიექტივისათვის, და ამიტომაც თვით სახეც გამოვიდა უფერული. პოეტი ამბობს, განდეგილზე, რომ ის ლოცულობდა მზის შუქზე და როს ჰლოცულობდა, სხივსა თურმე თვის ლოცვანს მწირი ზედ დააყრდენდა და ხორცუსხმელი მზის სხივი იგი უფლის ბრძანებით ზედ შეირჩენდა...

ლექსების ჩქარა წაკითხვისას მკითხველს შეუძლია სრულიად უყურადღებოდ დასტოვოს ეს ადგილი, რომელიც საგულისხმოა მნიშვნელობით და სუსტია დამუშავების მხრივ.

ლოცვებში და ღმერთთან სულიერ ურთიერთობაში მიმდინარეობდა განდეგილის ცხოვრება. თუ როგორ ცხოვრობდა ის, ჰქონდა თუ არა მას ოთანე წინამორბედის გარეული თაფლი და მკალი მაინც — ამის შესახებ პოემაში არაფერია ნათქვამი, მაგრამ ეს, თუ გნებავთ, ჩავთვალოთ უბრალო ცნობისმოყვარეობად, რომელზედაც პოეტს შეუძლია არ გვიპასუხოს. როგორც არ უნდა ყოფილიყო.... მაგრამ ერთხელ, საღამოს ჟამს „ლოცვით დაღლილი“ მეუდაბნოე (ჩვენ ვირჩევდით, რომ „დაღლილის“ მაგიერ ყოფილიყო რომელიმე სხვა ეპითეტი) დადგა გამოქვაბულის კარებთან და დაფიქრებული უყურებდა მყინვარის მშვენიერ მიდამოებს. მთებს გადაღმა ჩამავალ მზეს და ტკბებოდა ბუნების ველური სიდიადით. უცებ ატყდა ძლიერი ქარი. მოზღვავდნენ ღრუბლები, შეიქმნა შემაძრწუნებელი ელვა, ჭექა, ქუხილი და წამოვიდა საშინელი ღვართქაფი. აბობოქრებული ცა ისეა აღწერილი, რომ უკეთესად აღარ შეიძლება, განსაკუთრებით სურათოვანია ის ორი სტროფი, სადაც პოეტი ამბობს, რომ

„უეცრად ატყდა რამ ნიავ-ქარი,
დაჰბერა კლდეთა, ნაპრალთ და მღვიმეთ,
და მყინვარიდან ვითა ვეშაპი
შავი ღრუბელი დაიძრა მძიმედ.
დაიძრა მძლავრი, უზარმაზარი,
ცაზედ განერთხო და გაიშალა,
და იქ, თითქო მტერს შეეჯახაო,
ჭექა-ქუხილით დაიგრიალა...“

მხოლოდ ერთი მცირე უყურადღებობა: აქ მოცემული აღწერის დამთავრებამდე თქვენ წარმოდგენილი გქონდათ, რომ განდეგილი იდგა გამოქვაბულის კარებთან და უცქეროდა აბობოქრებულ სტიქიონს; როგორც ამის შესახებ იყო ნათქვამი აღწერის დასაწყისში; მაგრამ აღწერის დასასრულს ველარ ვნახეთ განდეგილი ჩვენს ახლოს; აღმოჩნდა, რომ ის ჩვენთვის შეუმჩნევლად შევიდა თავის სენაკში და დადგა წმიდა ხატის წინ. რისთვისაა ასეთი წინააღმდეგობა? როდის დაბრუნდა განდეგილი თავის სენაკში და მან „დაღლილმა“ როგორღა შეძლო ხელახლა ლოცვა-ვედრება, ამის

შესახებ პოეტი სდუმს. კითხვის დროს ეს უფრო იქცევს ყურადღებას. მაგრამ ამას ნუ გამოვეკიდებით.

განდეგილი იყო დაჩოქილი და ლოცულობდა ქვეყნის ხსნისათვის, როცა უეცრად მას ლოცვა შეაწყვეტინა მისდამი მიღწეულმა ადამიანის ხმამ. ის მიიჭრა გამოქვაბულის კარებთან და დაუწყო ძებნა ადამიანს.

„თუ ძეა კაცის, რამ მოიყვანა
ამ დროს, ამ ღამეს ქვეყნისა რღვნისას?
მზეციც, ნადირიც თვის ბუდეში ჰძრწის,
მორიდებული ამ რისხვას ღვთისას!."

ჩვენ ვგონებ, ზევით არ ვთქვით, რომ გამოქვაბული იყო გამოკვეთილი კლდეში და მასში ასვლა შეიძლებოდა ძირს ჩამოშვებული ჯაჭვის საშუალებით. ბერმა ჩახედა ძირს, საიდანაც მოისმოდა მავედრებელი ადამიანის ხმა, რომელიც თავშესაფარს თხოვდა განდეგილს, რომ ნიაღვარს არ წაეღო ამ შემაძრწუნებელ ღამეში. მწირმა ყურად იღო მასთან მიწვეული სტუმრის თხოვნა და მიუთითა ჯაჭვზე, რომლითაც ის ავიდა მასთან სენაკში. აქ, ღამის წყვდიადში, სტუმრის პირველ სიტყვებიდანვე განდეგილმა უცნობ ადამიანში შეიცნო ქალი და წმინდა მამა შეძრწუნდა.

„თუ მაცდური ხარ, სჩანს ღმერთს სწადიან
მწირი ცოდვილი დღეს გამომცადოს"...

გაჩაღებული ცეცხლის ალმა გაანათა სტუმარი-ქალის სახე და განდეგილის თვალებმა იხილეს იშვიათი სილამაზე:

„ყმაწვილი ქალი, სავსე სიცოცხლით,
სავსე შვენების ჯადოთი, გრძნებით,
ნაზად, ამაყად ცეცხლაპირს იჯდა,
ვით მინდვრის შველი ყელმოღერებით.
ეშხითა მფრქვევსა მის შავსა თვალებს
თვით ცეცხლი სითბოს ეცილებოდა,
მის ელფერთაგან თვით ცეცხლის შუქი,
ვითა ძლეული, უკუ-ჰკრთებოდა."

პოეტი არ იშურებს ფერებს ბედისწერის მიერ მოგზავნილი ქალის დასახატავად: მხოლოდ ამ სილამაზეს შეეძლო შეეცდინა მოკრძალებული განდეგილი.

„თვით მადლს ტრფობისას რომ მოესურვოს
ხორცსხმულად ვლენა ოდესმე ქვეყნად,
უკეთესს სახეს ვერ ინატრებდა —
თავის სიცხოვლის გამომსახველად.
მაშინაც ვინ სთქვას, — ვინ ვის ამშვენებს,
მადლი ამ სახეს, თუ სახე მადლსა!...
თვით შური, მტრობა ვერ უპოვიდა
ქალს მშვენიერსა ვერაფერს ნაკლსა.
მის თვალთა ელვით, ღაწვთა შუქფენით,

ეროვნული ბიბლიოთეკა

გულმკერდის რხევით ვინ არ ათრთოლდეს!...
დახე მის ტუჩთა!.. თითქო თვით ტრფობას
თვის ნაზი კოცნა ზედ დარჩენოდეს.
ვის არ მოიმხრობს, მოინადირებს
ყოვლად ძლიერი მშვენიერება!...
თქმულა — მხეციც კი გააფთრებული
მის წინ დატკბება და დაწყნარდება.
და დაუწყნარდა ძალს მშვენებისას
იგი მწირიცა მწყრალი, გულმშრალი,
და უცოდველის გულის-ტკივილით
ქალს შეაჩერა ტყვექმნილი თვალი".

მათ შორის გაიბა საუბარი, სტუმარი აღმოჩნდა მწყემსი ქალი, რომელიც თავისი ცხვარით ბუნების სილამაზეს მიეზიდნა მყინვარის მწვერვალებისაკენ, სადაც მოუსწრო ჭექა-ქუხილმა. ამ ჭექა-ქუხილმა და მისმა მომდევნო, სეტყვამ დაღუპა მისი ფარა, მას უნდოდა გაქცეულიყო სახლში, მაგრამ გზა დაკარგა და ბედისწერამ მიიყვანა გამოქვაბულის კარებთან, რომლებიც გაიღო მის წინაშე და ამრიგად, ის გადარჩა გარდაუვალ სიკვდილს. მწყემსი ქალის მოთხრობამ, თუმცა ის უნაკლოა მხატვრული თვალსაზრისით, ვერ შეძლო ჩვენი მთლიანად დაკმაყოფილება; ის ცოტა გრძელია და გვაცნობს ისეთ წვრილმანებს, მაგალითად, ცხვრის შესახებ, რომლებსაც ძალიან ცოტა კავშირი აქვთ პოემის მკითხველების გულთან. მაგრამ საქმე ეს არ არის. საქმე ის არის, რომ პოეტი თავისი პოემის სამს ოცოცსტრიქონიან თავში თითქმის ერთი და იმავე გამოთქმებით გვიხატავს ამ მწყემსი-ქალის სახით რომელიღაც პოეტს, რომელიც აღტაცებულია ბუნების სიმშვენიერით.

იქნებ, ის ლეგენდარული მწყემსი-ქალი, რომელიც განდეგილთან მივიდა, მართლაც პოეტი იყო სულით, მაგრამ ჩვენ მოკლებული ვართ ამის ცოდნას ისევე, როგორც თვით ავტორი. თუ მან შექმნა მისგან პოეტი სოფლის მცხოვრებლებისადმი საკუთარი დაკვირვების საფუძველზე, ჩვენ თავს ნებას ვაძლევთ დავუპირდაპიროთ მათ ჩვენი საკუთარი და სხვათა დაკვირვებები, რომლებიც გამოთქმულია ზოგადი წესის ფორმით, რომ ადამიანი, რომელიც ცხოვრობს ბუნების წიაღში, რომელიც დაიბადა, იზრდებოდა და შეეჩვია რომელიმე მშვენიერ ადგილს, ვერც კი ხედავს და ვერც აფასებს თავისი სამშობლოს სილამაზეს. ეს ჩვენ ვართ, ცოდვილნი, მთელი წლობით ქალაქში გამოუსვლელად მცხოვრებნი და მოუკირწყლავი ქუჩების მტვერის მყლაპავნი, რომელსაც შეგვიძლია უფრო სიამოვნებით ამოვისუნთქოთ და გულაჩვილებულებმა ცრემლი დავღვაროთ პირველსავე შეხვედრილ მინდორზე. ღმერთო შეგვინდე, შეიძლება ჩვენ ცილს ვწამებდეთ ვისმე, მაგრამ გვგონია, რომ პოეტების ნერვები (გაღიზიანებულები, არანორმალურები) გვხვდებიან მხოლოდ ქალაქებში და მსხვილ ცენტრებში.

მაგრამ განვაგრძოთ პოემის შინაარსი:

მწყემსმ+ქალმა გაათავა თავისი მოთხრობა და განდეგილსა და მის გულუბრყვილო სტუმარ-ქალს შორის ჩამოვარდა ლაპარაკი განდეგილთა განმარტოებული ცხოვრების აზრის შესახებ. რად დავტოვოთ დედა, მამა, ნათესავები? რატომ ვთქვათ უარი სააქაო ცხოვრებაზე და მისგან მონიჭებულ სიხარულზე? ღმერთისათვის რატომ არის სასიამოვნო ადამიანების ყინულებში ცხოვრება? — ეკითხება ქალი განდეგილს სხვადასხვა დროს და თხოვს მას პასუხს. მათი ამ თემაზე საუბარი, კონტრასტი ცხოვრებასა და მის უარყოფას შორის პოემის ერთ-ერთი საუკეთესო ადგილია. დაღლილ მწყემს-ქალს ცეცხლისპირას წაეძინა.

„არავინ იყო... ხოლო ცეცხლა-პირს
ქალს დაღალულსა მისძინებოდა
და ცეცხლის შუქი მის ტურფა სახეს,
ვით საყვარელსა ზედ დაჰხაროდა.
საოცარ იყო მიძინებული,
იგი სიტურფე, იგი შვენება!..
თითქო მის შექმნას ერთად ცდილანო
თვით სიყვარული და ნეტარება.
თითქო თვით მადლსა შვენებისასა
თვისი საუნჯე აქ დაჰბნევია
და ეშხსა, ვითა იადონს ვარდზედ,
სული მის ღაწვზედ დაულევია“...

განდეგილს თითქოს მაგნიტი იზიდავდა მძინარე ლამაზ ქალისაკენ.

„დიდხანს დასცქერდა.. ნეტა რა სხივი
გულს ჩაეფინა ნელი და თბილი!...
ჰძრწის, მაგრამ იგი ძრწოლა რად არის
ესოდენ, ამო, ესოდენ ტკბილი!
აქამდისაც ხომ გული უძგერდა...
ეხლა სულ სხვაა მის გულის-ძგერა!...
ეხლა მის გული თითქოს ებანს სცემს
და ისმის ჩუმი ებნის სიმთ ყღერა.
როგორ იწამოს და რა დაარქვას
ამ ჯერ არცნობილს სიტკბოებასა?
თუ ცოდვა არის, ეგრე რადა ჰგავს
სულისთვის აღთქმულ უკვდავებასა?
ფეხი წინ წადგა.. არ იცის კი რად?
ქალს კვლავ ეძინა ნეტარის ძილით,
ძილში ჩაყოლილს ფიქრს, თუ ოცნებას,
ბაგე გაეპო ლაღის ღიმილით.
იმა ღიმილის გრძნეული ჯადო
ზედ დასაკვდომად კოცნას იწვევდა
და იმა წვევის მაცდურებასა
ზე-არსთა ძალიც ვერ გაუძლებდა...
და ვერ გაუძლო საწყალმა მწირმაც...
და დაიხარა თავი თუ არა,
უცებ გაშეშდა... ეჰა, წაწყმედავ,
ეს რა სურვილი გულს გაიტარა!...

ნუ თუ იძლია? არა და არა!...
მის სასოება არ დაუძლურდეს
და რაცა სწყურდა აქამდე მის სულს,
იგივე უნდა ბოლომდის სწყურდეს!"...

ეროვნული
ბიბლიოთეკა

განდეგილმა თავი შეიკავა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მაინც დანა-შაული ჩაიდინა მხოლოდ განზრახვით, რისთვისაც კიდეც დაისაჯა.

„მაგრამ ეს რაა?... „წაწყმდი თუ არა!..."
ეს ვინ ჩასძახის ნიშნ-გებით ყურში!
„დაგძლიე თუ არ!"... ეს ვინ გაჰკივის
გახარებული იმის მკვდარ გულში!
ეს რა ჰხარხარებს, ეს რა დასცინის!
ეს რა ხმა ისმის მის გარს ლხენისა!
მართლა ეგრეა, თუ ყველა ესე
მხოლოდ ცდომაა ყურთა სმენისა!
და შიშით, ზარით გარს მოიხედა...
კვლავ არვინ იყო... ქალს კვლავ ეძინა...
იდგა და უცებ ძრწოლით, კანკალით
პირქვე დაემხო ღვთისმშობლის წინა.
მით რა ეშველა?.. იგივ ქენჯნაა,
იგივე უნდა ბოლომდის სწყურდეს!"...
რად არ დადგება, რად არა სცხრება
იგი ნიშნ-გების წყეულთ ხარხარი!
სული გულს იწვევს ღვთისა ვედრებად,
გული სხვას ამბობს, არა ჰნებდება...
ნუ თუ ღვთისმშობლის საფარველ-ქვეშეც
წყეული ხორცი არ დაწყნარდება!...
ზედ აიხედა... დედა-ღვთის ხატსა
მავედრებელი შეჰმართა თვალი...
და ვაი, წმინდა ღვთისმშობლის ნაცვლად,
თვალწინ დაუდგა იგივე ქალი!
ეს რა ეწია? ამას რა ჰხედავს?...
ცხადია იგი, თუ აჩრდილია?
ნუ თუ მის ცოდვით თვით წმინდა ხატი
ამ ცოდვილ სახედ გარდაქმნილია?
ნუ თუ აწ ღმერთი ღირსად არ ჰხადის,
რომ დედა-ღვთისა კვლავ ინახულოს
და მის შეწევნით მისვე წინაშე
ხორცზედ კვლავ ძლევა ისასწაულოს?
პირჯვარი უნდა — ხელი არ ერჩის,
ლოცვის თქმა უნდა — ენა ებმება.
ხატის ხილვა სურს და იგივ... იგივ...
ქალი წყეული თვალთ ელანდება!
„აბა სძლიეო!" და კვლავ ვიღაცამ
გაიხარხარა იმის სენაკში...
აწ იმა ხარხარს ვეღარ გაუძლო
და როგორც გიჟი გავარდა კარში."

ხატის ეს შეცვლა მშვენიერი წყემსი-ქალის სახით სრულიად მოულოდნელია და სასიამოვნოდ აოცებს მკითხველს. როდესაც განდეგილმა თვალი მიაპყრო ხატს, ჩვენ ველოდით, რომ მასზე დავინახავდით საყვედურის ან მრისხანების გამოხატულებას, მაგრამ პოეტმა კიდევ უფრო უკეთესი ხერხი გამონახა იმ საშინელი სულიერი მდგომარეობის გადმოსაცემად, რომელშიც მაშინ მწირი იმყოფებოდა.

გამოქვაბულიდან ის „როგორც გიჟი გავარდა კარში" და მთელ ღამეს დაეხეტებოდა მთებში და მეორე დილას, როდესაც თავის სენაკში დაბრუნდა, მან ხელახლა იხილა თავისი საკვირველმოქმედი სხივი (მწყემსმა ქალმა, ალბათ იქ ღამე გაათია და დილაზე წავიდა თავისი ცხვარის საძებრად, მით არა მცირედად გაკვირვებული, რომ სენაკში ვეღარ ნახა სტუმართმოყვარე მასპინძელი).

„ამოვიდა მზეც.. მსწრაფლ უკუ-იქცა,
შევარდა სენაკს გახარებული,
და კვლავ მზის სხივი იმავე სვეტად
ჰნახა სარკმლიდან გადმოშვებული.
გულზედ მოეშო.. კვლავ სასოებით
დედა-ღვთისასა მიაპყრო თვალი,
კვლავ ჰნახა იგივ ცხოველი ხატი
მადლით, ნუგეშით გადმომზირალი.
არ შერისხულა, სჩანს. ჯერეთ ღვთისგან!...
და ღმერთს მადლობა ცრემლით შესწირა...
მივარდა ლოცვანს, დააყრდნო სხივზედ
და ეჰა, სხივმა არ დაიჭირა!...
დაესხა რეტი, თვალთ დაუბნელდა,
გაშრა, გაშეშდა ზარდაცემული,
ერთი საშინლად შეჰბღავლა ღმერთსა
და იქავ სხივ-ქვეშ უტევა სული."

ამით ჩვენ ვამთავრებთ მოთხრობას, იმ ლეგენდისას, რომელიც დაედვა საფუძვლად ი. ჭავჭავაძის პოემას, და იმ წვრილ-წვრილ შენიშვნებს, რომლებიც ჩვენ ვსცანით საჭიროდ პოემის კონცეფციის დასადასტურებლად თუ უარსაყოფად.

ამის შემდეგ, მივმართავთ რა პოემის წმინდა მხატვრულ მხარეს, მის ენას, ლექსს, პოეტურ ფორმას, ჩვენ ვართ ჩაყენებული გაძნელებულ მდგომარეობაში მით, რომ არ შეგვიძლია ვილაპარაკოთ ამ ნაწარმოების ყველაზე არსებით რამეზე, სახელდობრ ენაზე, ვინაიდან ვწერთ პოემის შესახებ არა იმ ენაზე,[1] რომელზედაც თვით ის არის დაწერილი. ჩვენი ცდა წარგვედგინა მკითხველისათვის, თუ შეიძლება ასე ითქვას, პოემის სიტყვიერი სიმდიდრე, იქნებოდა უნაყოფო.

მთელი პოემა დაწერილია ათმარცვლიანი ლექსით, რომელშიც რითმა რითმას მოსდევს გამოშვებით, „რითმა—მონა ქალიაო", სთქვა ფრანგული პოეტური ხელოვნების კანონმდებელმა. ი. ჭავჭავაძისათვის კი ის თავი-

[1] დაწერილია რუსულ ენაზე. დაბეჭდილია გაზეთ „კავკაზის" 1883 წ. № 53-ში.

სუფლად მოაზროვნე მსახური — ქალია, რომელიც ისწრაფვის თავისუფლებისაკენ. მას ხშირად აქვს ბრუნვითი და ნაზმნარი რითმები. ზოგჯერ ის თანდებულებითაც კი სარგებლობს, როგორც, მაგალითად, XIX თავში, რის გამოც ლექსი საერთოდ არც თუ ისე მჟღერადია.

ზევით ვაჩვენეთ ავტორის უკეთესი პოეტური ფორმები და შედარებები, დაგვრჩენია მხოლოდ ვისურვოთ, რომ პოეტმა თავი აარიდოს თავისი მხატვრული გამოთქმების ზოგიერთ განმეორებებს, რაც მისი ძველი ნაკლია.

საერთოდ, პოემა „განდეგილი" მდიდარი შენაძენია ქართული ლიტერატურისათვის, თუმცა საეჭვოა, რომ მან შეძლოს პირველი ადგილი დაიჭიროს ილიას მხატვრულ თხზულებებში.....

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სამახსოვრო ფურცლები აკაკის შესახებ[1]

(გვ. 1) თუ ხელობას არ ვუმტყუნე, მე მხოლოდ აკაკის ცხოვრებაზე შემიძლია აქ ვილაპარაკო, თუმცა კი ვიცი მკვდრებზე დაგეშილმა, ცოცხალზე ან რა უნდა ვთქვა, მეტადრე ამ პაპანაქება იუბილეს დროს.

აკაკის 50 წლის იუბილემ მისი 25 წლის იუბილეი მომაგონა. თვითონ მისგან განაგონად ჩამიწერია ჩემს წიგნში: „25 წლის სამწერლო მოღვაწეობისათვის საჩხერედან ერთი ქოთანი ლობიო გამომიგზავნესო". დრონი იცვალნენ. საბერძნეთი უფრო ხელუხვი თურმე იყო თავის პოეტისათვის: სიმონიდს იუბილეზე 56 ხარი მიართვეს მისმა თანამემამულეებმა.

კახაბერივით, აკაკიც სხვა კაცია. ამ წუთისოფელში ყველას აქვს სახელი, კარი, ოჯახი, აკაკი — კი, რაც მახსოვს, სულ მუდამ მარტოხელ კაცად, ობლად გამომწყვდეულია სასტუმროს ნომრებში თბილისში და ქუთაისში — და თავის ჩემოდანს დაჰყურებს ზემოდან, თითქოს საუკუნო სამგზავროდ გამზადებული. თვითონ მითხრა ერთხელ: „საკვირველი კაცი ვარ: ცოლი მყავს, არა მყავს, — შვილი მყავს, არა მყავს, — პენსია მაქვს, არა მაქვს". ავად რომ გახდეს აკაკი, ვერ გამიგია, ხინკალი ვინ უნდა მოუხარშოს იმას, ან სკიპიდარი ვინ უნდა წაუსვას გულმკერდზე?

და რას შვრება მერე ეს გამოულეველი სტუმარი სასტუმროსი?

(გვ. 2) მაშინ, როდესაც ჩვენი მწერლები და საზოგადო მოღვაწენი ან იყვნენ მასწავლებელნი, ან მოხელენი, ან სამხედრო მოსამსახურენი და თვისა და თვის თავზე ჯამაგირს იღებდნენ, აკაკი სულ მუდამ თავისუფალი კაცი იყო, იშთა-იშთა მღერალი, მწერალი, მოლაპარაკე, მოსიარულე. ერთადერთი თანამდებობა, რომელიც იმას ჰქონია მის სიცოცხლეში —ქართული ტრუპპის რეჟისორობა იყო. გამბეტას იმდენ ხანს არ შეჯჩენია მინისტრობა, რამდენსაც იმას ეს რეჟისორობა. ამასთან... „იტყოდეს ენა ჩემი კადნიერად, ანუ მივსცნე მე იმას ქებანი სიცრუისანი"... აკაკის სულ მუდამ ჩანგი არ უჭირავს ხელში და სამშობლოსა და ერს არ უმღერის. ხანდახან და ხანდახანზე უფრო ხშირად იმას, როგორც ილიას—რამეთუ კაცნი ვართ—სათამაშო ქაღალდიც უჭირავს ხელში... თამაშის სიყვარული ადრიდგან დაჰყოლია აკაკის და ამ თამაშის შორეული შედეგია ის, რომ დღეს ასე ანახორეტად ცხოვრობს სასტუმროებში და დიდი წერეთ-

[1] ამ ფრაგმენტის შესახებ ბიბლიოგრაფიული ცნობები და კომენტარი იხილეთ შენიშვნებში—რედ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

აკაკი და ი. მეუნარგია

ლის ოჯახის შვილი ხშირად მეავე კიტრით და ხაშით იკვებება, როგორც ამბობს მისი ცხოვრების მოწმე ზაქარია ჭიჭინაძე.

ამავე ვნების შედეგად უნდა დავსახოთ, რომ მისივე თქმისა არ იყოს, აკაკი არის გესლიანი, მკბენარი, მოუსვენარი და ცოტა არ იყოს ბოროტიც (ეს ჩვენში დარჩეს მკითხველო)[1]...

(გვ. 4) პეტრე დადიანმა სათვალე შუბლზე რომ დაიდვა, აკაკის ეთქვა: ეს იმიტომ, რომ ის ჭკუითაც არის ბრმა და არა მარტო თვალებითაო. როცა ერთს ჩვენს მწერალს[2] — სახელს არ ვიტყვი — ემუქრებოდნენ ჩიკვაიძის ამომრჩეველნი, პოლიცმეისტერს ზალიკო ჭავჭავაძეს ეთქვა აკაკისათვის: „ამ კაცს ნუ მოიშორებთ თავიდან, თუ შენთან იქნება, კაცი ხელს ვერ ახლებს“.

—ბიჭო, მე თვითონ ორი წელიწადია გასალახავად დავსდევ და ვერ მომიხერხებიაო, უთქვამს პასუხად აკაკის... და სხვადასხვა. არ ვიცი რომელი ერთი ვთქვა[3]...

ჩვენი საზოგადო მოღვაწე და მწერალი იშვიათად თუ გადარჩენია მისს ბასრ კალამს და ენას. იმას რომ არ უკბენია ისეთი, მგონი მარტო ქრისტეფორე მამაცაშვილი გადარჩა და ოდნავად დიმიტრი ყიფიანი.

თანამედროვე კაცი ხან სწამს და ხან არა აკაკის. ჩემს ალბომში კითხვებზე: რომელი მწერლის პროზა უფრო მოგწონს, რომლის პოეზია, — პასუხად ჯერ დასწერა: „გოგოლის“ და „შექსპირის“. მაგრამ მერე წაშალა და ზედ დააწერა: გამოიცანით ვინ! თქვენ გგონიათ: ი. ჭავჭავაძე, აზბეგი. გიორგი წერეთელი, გოგებაშვილი, ორბელიანი, ბარათაშვილი და სხვა ვინმე ახალთაგანი! არა! პროზა აირჩია არდაზიანისა და პოეზია გურამიშვილისა.

(გვ. 5) აკაკისაგან განვლილი შორი გზა მწერლობისა მოფენილია მისგან დაწერილი ფერადოვნებით შეზავებული ლექსებით. მაგრამ ლექსზე არანაკლებია და გამწე აკაკის იუმორით მჩქეფარე „ცხელ-ცხელი ამბები“, „ნადული“ და სხვა მსგავსი წერილები. ლექსში კიდევ ჰყავს აკაკის ბადალი, მაგრამ მახვილსიტყვაობაში, იუმორში, ან როგორც ის თარგმნის ამ სიტყვას, ხუმრობაში, იმას სწორი არა ჰყოლია და არცა ჰყავს ქართულ მწერლობაში. ჩვენში ყოველი მახვილი სიტყვა და აკაკის სიტყვა ერთი და იგივეა. ყოველი მოსწრებული სიტყვა ჩვენში აკაკის ნათქვამია, როგორც ყოველი ძველი ციხე-კოშკი თამარის ანაგები.

აკაკის რა არ უწერია ამ ნახევარ საუკუნეში: მოთხრობები, ფელეტონები, დრამატიული და კრიტიკული ეტიუდები, მაგრამ როცა სულ ყველა ესენი ჩაიძირება დროების მორევში, მისი ლექსები და მოსწრებული სიტყვები ამოტივტივდებიან და იცოცხლებენ. სამუდამოდ არა არის რა ამ

---

[1] მესამე გვერდი აკლია ხელნაწერს.—ს. ც.

[2] ნიკო ნიკოლაძეს.—ს. ც.

[3] „ამოვწერო ჩემი წიგნებიდანო“—წერს და შემდეგ გადაუშლია.—ს. ც.

ქვეყანაზე, მაგრამ სანამ ქართული სიტყვა-კაზმული მწერლობა ცოცხალი იქნება, აკაკის მახვილი სიტყვაც დავიწყებული არ იქნება. აკაკის ლექსი დარჩება სკოლაში, ქრესტომატიაში.

აკაკის მახვილსიტყვაობას, როგორც ჰეინესას, ხშირად თავისი მსხვერპლიც თან სდევს.

როგორც ჰეინე, აკაკიც მახვილსიტყვაობისათვის ხანდახან ჭეშმარიტებასაც ღალატობს.[1]

თვითონ ამბობს: „ტყუილასა, ბზუილასა“.... ტყუილას ხმა რომ გაუგდეს, აკაკის, იყო დრო მართალსაც არ უჯერებდნენ.

განსვენებულმა თეიმურაზ ლეკავამ არ დაუჯერა რაღაც იყო აკაკის, დანაძლევდნენ, და რომ აკაკი მართალი გამოდგა, ლეკავა ნახევარი საათით დააჩოქეს ნიკოლაძის სახლში.

(გვ. 6) თვითონ თითქოს დასცინისო თავის თავს.

„თამარ ცბიერი“ რომ დაიბეჭდა, აკაკიმ ერთი ცალი მომცა სახსოვრად. რომ დააწერა წიგნზე — „სახსოვრად იონა მეუნარგიას, აკაკისაგან“ მას უნდოდა რიცხვიც მიეწერა, მაგრამ რომ მოაგონდა პირველი აპრილი იყო, კალამი ხელიდამ გააგდო,—„არ დამიჯერებენო“.

მე აქ არაფერს ვიტყვი აკაკის შემოქმედებით ძალაზე, მის პოეზიაზე. ის რომ უმაღლესი მწვერვალია ჩვენი თანამედროვე მწერლობისა, იმას რომ იგივე შარავანდედი ამშვენებს ჩვენს ქვეყანაში, რა შარავანდედიც გარს ეხვია საფრანგეთში მასავით მოხუც ვიქტორ ჰიუგოს, ამის თქმა ხომ არავისთვის არ შეადგენს ახალ ამბავს.

ვინც არიან ახლა ახალგაზრდა მოლექსენი ესენი ყველა აკაკის შეგირდები არიან. ილია ჭავჭავაძის ლექსი ნაჭედია, ნაჭედია აგრეთვე ლექსები გრიგოლ ორბელიანისა, ვახტანგ ორბელიანისა, ნიკო ბარათაშვილისა, რაფიელ (გვ. 7) ერისთავისა. მსუბუქია, ნარნარია, პეპელაა, ფურჩქვნილი ვარდია, ნაზი იაა, ლექსი აკაკისა. ილიას, ორბელიანს, ბარათაშვილს, ერისთავს შეგირდები ცოტა ჰყვანან, აკაკის სკოლა კი მთელი ჩვენი თანამედროვე მწერლობაა. დღეს ვინც აკაკის ენისა და კალმის მიმდევარი არ არის, ხალხური ლექსის მიმბაძავია, რაზიკაშვილის პოეზიის მიმდევარი. ყველა ჩვენს მწერლებზე უფრო ხალხის სალაპარაკო და საფა სამწერლო ენას დაუახლოვდა აკაკი. კითხულობ მისს — „ცხელ-ცხელ ამბებს“, მისს სხვა ფელეტონებს და გრძნობ შიგ ენის მხრით არაფერი არ არის ნაძალადევი, ნათხზავი; ვის არ უნახავს თავის სოფელში ან ქალაქში უბრალო, უსწავლელი კაცი ლამაზად, ენაწყლიანად მოლაპარაკე? აკაკი იგივე ხალხში ჩამდგარი მწერალია, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ აკაკის ენას ამშვენებს მისი პოეტური შემოქმედება.

(გვ. 8) გრიგოლ ორბელიანი აკაკის ნაწერს ისე არ წაიკითხავდა, რომ გვერდზე კარანდაშით არ მიეწერა: „ბარაქალა აკაკიავ“, „ინშალლაჰ,

---

[1] „როგორც ჰეინეს, აკაკისაც აკლია სითბო, სიყვარული, ოღონდ ვისმე ისარი გაუყაროს გულ-მკერდში“ (ეს სიტყვები შემდეგ წაუშლია ავტორს.—ს. ც.).

აკაკი"... და მხოლოდ ერთხელ, როცა რაღაც ერთობ პროვინციული სიტ-ყვა ეხმარა ნაწერში აკაკის, გრიგოლ ორბელიანს მიეწერა. „აი, შე ღვი-ტიკელა იმერელო". თვითონ აკაკი არავის აპატიებდა ქართული ენის და-მახინჯებას.

ილია ჭავჭავაძეს რომ დაეწერა თავის პოემაში „მწველელი ძროხა", „მწველელი ძროხა კი არა მეწველი ძროხაო"—გაუსწორებია აკაკის.

ახლა, თუ გინდათ იცოდეთ აკაკის ხასიათის თვისება, მისი აზრი ჩვენს მწერლობაზე, ხელოვნებაზე, მოისმინეთ ეს პასუხები, რომელიც აკაკიმ მოაწერა ჩემგან მისდამი მიმართულ კითხვებზე:

(გვ. 9-10)

მე ვკითხე აკაკის:	**იმან მიპასუხა:**
რომელი თვისება უფრო მოგწონს კაცისა?	მამაცური სულგრძელობა.
რომელი თვისება მოგწონს ქალისა? .	გულწრფელი დაუდგრომლობა.
რას უფრო გინდა აკეთებდე?	მისთანა საქმეს, რომელიც თავ-აშვებულს ჭლაგმავდეს და გულ-გატეხილს ამხნევებდეს.
რითი განსხვავდება შენი ხასიათი? .	საფუძვლიანში სიმტკიცით და წვრილმანში უხასიათობით.
რომელია ყველაზე დიდი ბედნიერება? .	გარემოების ატანა.
რომელია ყველაზე დიდი უბედურება? .	გულუმაძღრობა.
რა ფერი უფრო გიყვარს?	დროზე მოხდენილი.
რა ყვავილი?	ვარდი.
შენ რომ აკაკი არ იყო, ვინ გინდა იყო? .	მაინც აკაკი.
სად უფრო გინდა ცხოვრობდე? . . .	ყველგან და არსად.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რომელი მწერლის პროზა უფრო მოგ-
წონს? . . . . . არდაზიანის.

რომლის პოეზია? . . . . . გურამიშვილის.

ვინ უფრო მოგწონს კაცთაგან ისტორი-
აში? . . . . . გიორგი ბრწყინვალე.

რომანში ვინ გირჩევნია კაცთაგან? . ავთანდილი.

ქალთაგან ვინ მოგწონს რომანში? . . ნესტანდარეჯანი.

რა სახელები უფრო გიყვარს? . . . . ელენე და არჩილი.

რა უფრო გძულს ქვეყანაზე? . . . . წვრილმანობა.

რა შეცდომას უფრო აპატიებ კაცს? . ყოველგვარს, თუ კი შეინანიებს.

რა სასმელს უფრო ეწყობი? . . . . . წყალს.

ვინ არის ყველაზე ლამაზი ქალი ქუ-
თაისში? . . . . . ის, რომელიც მე შემიყვარდება.

შენი ცხოვრების დევიზი რა არის? . . შრომა და მოთმინება.

რომელი ადგილი უფრო მოგწონს „ვე-
ფხის ტყაოსანისა? . . . . . ჩვენი კრიტიკოსებისაგან დაწუ-
ნებული.[1]

(მოგონებები აქ წყდება).

---

[1] ასეთივე კითხვები ი. მეუნარგიას აქვს მამია გურიელთანაც. მათ შორის განსხვავება შემდეგშია: იქ გამორჩენილია კითხვა „რას უფრო გინდა აკეთებდე?," სამაგიეროდ ჩამატებულია „ვინ უფრო მოგწონს ქალთაგან ისტორიაში?", რაც ამ შემთხვევაში არა გვაქვს.—ს. ც.

გრიგოლ ორბელიანი

გრიგოლ ორბელიანი

გარდაცვალება და დასაფლავება

„მერგო რიგი და აწ ჩემს საფლავს
დამზერ შენ.“

როგორ უნდა განისაზღვროს ის მწვავე გრძნობა და ის მწუხარება, რომელშიც მოჰყავს კაცი ამ საკვირველი კაცის სიკვდილს. რა ენამ უნდა ამოთქვას, რა კალამმა უნდა აღწეროს მისი ცხოვრება და მისი მნიშვნელობა. ჯერ, როდესაც მისი გვამი არც კი გაციებულა და მისი მაღალი სული ვერც კი ასულა იმ მაღალ მთაზე, „საცა გალობენ ანგელოზნი ღვთისა დიდებას“. ან კი, რა ნუგეშია სიტყვითკაზმული გრძნობის გამოხატვა, როდესაც დავკარგეთ ამგვარი კაცი. მარტო ვაებით და ტირილით თუ გამოვსთქვამთ ამ მწუხარებას, თორემ სიტყვა უღონოა აქ სულიერ მდგომარეობის გამოსახატავად.

ჯერ ერთი თვეც არ გასულა, მას აქეთ, რაც ვხედავდით ამ კაცს ჩვეულებრივად მხნეს, მრთელს, სიცოცხლითა და ძლიერებით აღსავსეს, რომელიც ოთხმოცი წლის სალმობას ვერ დაეძლია და დროთა მოქმედებას ვერ მოედრიკა. ის თითქო დასცინოდაო სიკვდილს და დაუკლებლად ესწრებოდა ყოველგვარ ცერემონიებს, დღესასწაულებს, მიცვალებულების დამარხვას, მაგრამ მოულოდნელმა ავადმყოფობამ — სახადმა — ერთს თვეზე გაიტანა მისი სიცოცხლე. ჩვენი დიდებული და საყვარელი პოეტი მიიცვალა გუშინ, 21-ს მარტს, ნაშუადღევის 4 საათზე და 35 წამზე. დღე იყო ორშაბათი, რომლისთვისაც ტყუილად არ უწოდებიათ მძიმე და შავი ორშაბათი.

მთელი ჩვენი საუკუნე სავსეა გრიგოლ ორბელიანის სახელით. ის დაიბადა იმ დროს, როდესაც საქართველო ჯერ კიდევ საკუთარ სამეფოს შეადგენდა და მას აქეთ, ეს ოთხმოცი წელიწადია, მის პიროვნებას ვხედავთ ჩვენი საშობლოს ისტორიის ყოველ ფურცელზე. მხნედ, ჭკვიანად, ბამულისათვის მოღვაწეობაში მან განვლო მთელი ეს საუკუნე, შთამომავლობიდან შთამომავლობამდე და დაასვა თავის ბეჭედი, მიაკედლა თავისი სახელი ყოველგვარ მოძრაობას, რომელიც ჩვენს ქვეყანას შეემჩნეოდა.

იშვიათი პოეტი, უცხო მოსაუბრე, მხნე მეომარი, გამოჩენილი მმართველი ორბელიანი ყოველ კაცისთვის, ყოველ წოდებისა და ჰასაკისათვის საყვარელი კაცი იყო, ხელმწიფიდან დაწყებული უკანასკნელ საწყალ კაცამდის.

ჩვენს ყოველდღიურ სიცოცხლეში, ყოველ დიდ შემთხვევაში, ყველგან ვხედავდით მის ნათლით სავსე და მომღიმარ სახეს. აქ მილიციონე-

რებს ამხნევებდა თავის სიტყვით, იქ არქეოლოგებს შესხმიდა ქებას და გზას ულოცავდა საქართველოს სახელით მთავარმართებელს და სხვ. და სხვ. ახლა გადახედეთ ამ საუკუნის საქართველოს სამოქალაქო და სამხედრო ისტორიას, მწერლობის თავგადასავალს, ყველგან დაგვხვდებათ იგივ და იგივ გრიგოლ ორბელიანი.

მაგრამ ვისაც არა სმენია მისი ტკბილი და ჭკვიანი მუსაიფი, არ უნახავს პოეტი და არ იცის მისი ხასიათი, იმას გაუჭირდება განსვენებულის დაფასება!

მისი ცხოვრების დაფასება ისტორიას ეკუთვნის. ჩვენ ამ აჩქარებულზე მოვაგონებთ მკითხველებს მის ცხოვრებიდან ზოგიერთ ეპიზოდებს.

თავადი გრიგოლ დიმიტრის-ძე ორბელიანი 1816 წელს შევიდა სამსახურში იუნკრად. პირველი ჩინი მიიღო 7 ივნისს 1821 წელს; ოსმალოს და სპარსთა ომიანობის დროს ის იღებდა მონაწილეობას და ახალციხის ციხეზედ იერიშით მისვლაზე, 1829 წელს ის დაჯილდოებულ იქნა მე-4 ხარისხის ვლადიმერის ჯვრით. 1831—1838 წ. ის მსახურობდა რუსეთის სხვადასხვა გუბერნიებში, ჯერ ქვევითა ჯარში და შემდეგ ნევის ზღვის პოლკში. სამშობლოში დაბრუნების შემდეგ, გრიგოლ დიმიტრის-ძე კიდევ იმყოფებოდა სამხედრო სამსახურში 1857-მდე, ამ ხნის განმავლობაში მას არა ერთხელ მიუღია მონაწილეობა მთიულებთან ომიანობაში, რისთვისაც ის დაჯილდოებული იყო ჩინებით; 1847 წელს იმას ჩააბარეს აფშერონის პოლკი; 1848-ს მიიღო ღენერალ-მაიორობა, 1850—დანიშნულ იყო ჭარისა და ბელაქნის სამხედრო ოლქისა და ლეკეთის (კარდონის ლინიისა) უფროსად; 1852—1854 წ. წ. გენ. არღუთინსკის ავადმყოფობას გამო ასრულებდა მის თანამდებობას მთელი კასპიის მხარის მართვით და 1855 წ. კიდეც დამტკიცდა ამ თანამდებობაში.

1857 წ. გრიგოლ ორბელიანი დანიშნულ იყო ღენერალ-ადიუტანტად.

1858 წ. მიიღო თავმჯდომარეობა მთავარმმართებლის რჩევისა და ამით გათავდა კიდეც იმისი სამხედრო სამსახური და შემდეგ თავისი დიდი გამოცდილებით ეხმარებოდა სამოქალაქო გამგებლობას. 1860 წ. ის დანიშნულ იქნა თბილისის გენერალ-გუბერნატორად და სანამ ეს ადგილი არ გაუქმდებოდა, 1866 წ., ასრულებდა ამ თანამდებობას. 1861 წ. მიიღო ინფანტერიის გენერლობა.

კავკასიის მთავარმმართებლების სხვაგან ყოფნის დროს, 1859, 1860, 1861 — 1863 და 1865 წლებში, ასრულებდა მთავარსარდლობას კავკასიის ჯარისას. ბოლოს, 1866 წ. დანიშნული იყო სახელმწიფო რჩევის წევრად, რომელ თანამდებობაშიც იყო მისი სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე.

1871 წელს თბილისმა იდღესასწაულა გრიგოლ დიმიტრის-ძის ორბელიანის 50 წლის აფიცრობის იუბილე. ამ წელს ჩამოვიდა კავკასიაში ხელმწიფე იმპერატორი, რომელმაც პირადად დაასაჩუქრა იუბილიარი

„ანდრია პირველწოდებულის“ ორდენით. ამ შემთხვევის გამო ხელმწიფე იმპერატორმა მიართვა შემდეგი რესკრიპტი:

„თავადო გრიგოლ დიმიტრის-ძევ, 7 ივნისს ამ მომავალი წლისას შესრულდა 50 წელიწადი მას აქეთ, რაც თქვენ აფიცრის პირველი ჩინი მიიღეთ. სიყმაწვილიდანვე შესწირეთ თქვენი თავი სამხედრო ასპარეზს და მიიღეთ მონაწილეობა ყველა ომში თურქებთან, სპარსელებთან და ლეკებთან 1822 წლიდან 1857-მდე. თქვენ, როგორც ყველგან და ყოველთვის, გამომჩენი სამაგალითო ვაჟკაცობისა, წინა უძღოდით ჯერ აპშერონის პოლკს, შემდეგ განაგებდით ჭარ-ბელაქნის სამხედრო მაზრას და ლეკის მხარეს; შემდეგ გებარათ 21 ქვეითი ჯარის დივიზია და მთელი ჯარი კასპიის ზღვის ნაპირებზე. არამც თუ მარტო სამხედრო სამსახურში, თქვენ სამოქალაქო სამსახურითაც დიდი ღვაწლი დასდეთ მამულს. როდესაც, 1858 წ., მოგიწოდეთ თქვენ მთელი მხარის გამგებლად, დიდი შრომა და გამჭრიახობა გამოიჩინეთ მის დამშვიდებაში, სამოქალაქო წესების დადგინების ისტორიაში კავკასიის იქით მხარეს თქვენ დაიჭერთ შესანიშნავ ადგილს.

ეხლა, როდესაც პირველად ვნახეთ კავკასის აქეთა მხარე მთლად დამორჩილების შემდეგ, მოვისურვეთ აღვნიშნოთ თქვენი მხნე და ქველი სამსახური. მამულისა და ტახტის წინაშე ამ ნახევარ საუკუნის განმავლობაში და მით დაგიმტკიცოთ ჩვენი კეთილგანწყობილება თქვენდამი. ამიტომ გვიწყალობებია თქვენთვის კავალრობა ჩვენის საიმპერატორო ორდენისა წმიდისა მოციქულისა ანდრია პირველწოდებულისა, რომლის ნიშნებსაც ამასთანავე გიგზავნით.

დავშთებით ყოველთვის უცვლელად გულითადი თქვენი მოსიყვარულე და მადლიერი.
ა ლ ე ქ ს ა ნ დ რ ე“.

ამავე იუბილეს დროს დიდმა მთავარმა მიხეილ ნიკოლოზის-ძემ, რომელიც საგანგებოდ ჩამოვიდა ამ დღეს ბორჯომიდან, შემდეგი სიტყვა უთხრა განსვენებულს:

„თავადო გრიგოლ დიმიტრის-ძევ! დღევანდელს ღირსსახსოვარ დღეს, როგორც თქვენთვის ისე კიდეე ყველა ჩვენთვის. მოგილოცავთ კავკასიის ჯარის სახელით, მოგილოცავთ მთელი კავკასიის და ბოლოს კერძოდ, ჩემი მხრითაც. ყმაწვილობითვე ჩვენ გამოჩენილ კავკასიის რაზმში სამსახურის დაწყებით, თქვენ ყოველთვის თანამოზიარე იყავით მისი ბედის და უბედობის; ყველგან და ყოველთვის დაგვიმტკიცეთ შესანიშნავი თვისებები მხედარისა და შემდეგ ათასგვარ თანამდებობაში, როგორც სამხედრო ნაწილში, ისე კიდევ სამოქალაქოისა. თქვენ ჩაუნერგეთ სიყვარული და პატივისცემა თქვენ ქვეშევრდომთა და ჭეშმარიტმა და დაუღალავმა მოღვაწეობამ მოგაგებინათ თქვენ გული ხელმწიფე იმპერატორისა. ჩემი ამ მხარეში ჩამოსვლისთანავე, მე ნამდვილ დავაფასე სარგებლობა და გამოცდილება თქვენი და თქვენმა ხასიათმა მაგალითად შემაყვარა თქვენი თავი და გამხადა პატივისმცემელი თქვენი. ეს თვით თქვენც კარგად იცით თავადო. დღეს კი ჩემი აქ მოსვლით მე მსურს საყოველთაოდ და ნამდვილ დაგიმტკიცოთ, თუ რა უზომოა თქვენი სიყვარული ჩემს გულში და რამდენად პატივსა გცემთ მე თქვენ“.

ეს საყვარელი და პატივსაცემი გვამი, რომელმაც მას აქეთ თერთმეტი წელი იცოცხლა, დღეს აღარ არის!

აღარ არის კაცი, რომელსაც ასე ცხოვლად უყვარდა თვისი ერი და სამშობლო, რომელიც საქართველოს წარსული დიდებით იყო სულდგმული და უფერულ აწმყოს შეჰყურებდა მწუხარებით, მას ამხიარულებდა ჩვენი ერის წარმატება და აღორძინება. როცა ომის

შემდეგ შემოგვიერთდა ჩვენ ბათუმის მაზრა, მან შემდეგი მგრძნობიარე სიტყვებით მიმართა ქალაქში ჩამოსულ ქობულეთელებს:

„ბატონებო!

„— რას მოასწავებს დღეს ჩვენი აქ შეყრილობა? რა გვიხარიან? რასა ვდღესასწაულობთ? კრება ესე წარმოგვიდგენს სასიხარულოს მას სანახავსა, როდესაც ერთი დედისა შვილნი, შავის ბედისა გამო განმორებულნი, დიდხანს ერთმანეთისათვის დაკარგულნი, ანაზდეულად, მოულოდნელად შეხვდენ, იცნეს ერთმანეთი და გადაეხვივნენ გულითადის სიყვარულითა.

„ჩვენც აგრეთვე — საქართველოს შვილნი — ვიყავით დაკარგულნი ერთმანეთისათვის საუკუნოების განმავლობაში; ბევრი ვიტანჯეთ მტერთაგან, ბევრი გაოხრება გამოვიარეთ, მაგრამ მაინც კი არ დაგვიწყებია დაშორებულნი ჩვენი ძმები. თვალი, გული გვეჭირა თქვენკენ, ბატონებო, და ვინატრიდით როდეს აღმოვა ჩვენი მზე შეერთებისა!! (გაცხარებული ტაშის-კვრა).

„და გვისმინა ღმერთმაცა და დღეს ჩვენ შორის ვხედავთ დაშორებულთა ძმათა. მოხარულნი, ვმადლობთ უფალსა და ვევედრებით, რათა შეერთება ესე ჩვენი იყოს უკუნითი უკუნისამდე შეურყეველად! და დღეის იქით ლხინშიაც, ჭირშიაც უნდა ვიყვნეთ ჩვენ ერთად, ვითარცა შვილნი დედა საქართველოისა!!..“

ასეთივე სიხარულით შეეგება განსვენებული ომიდან გამარჯვებით დაბრუნებულ მილიციონერებს. საქართველოს მკლავის ტრიალი და ძლიერება, მამა-პაპური სისხლი და მხნეობა სულს უდგამდა პოეტს. მან მიულოცა მილიციონერებს დაბრუნება შემდეგი სიტყვით:

„ძმებო! მოგილოცავთ მშვიდობით და გამარჯვებით დაბრუნებას! მოგილოცავთ დაბრუნებას იმ საშინელ ბრძოლიდამა, სადაცა თქვენი მამა-პაპების მხნეობა და სიმარჯვე არა ერთხელ განმტკიცებულა.

„ვინ არ ებრძოდა ძველად საქართველოს? ოთხივ კუთხივ მტერნი იყვენ შემოსულნი. არაბნი, სპარსელნი, ლეკები, თათრები არასოდეს მოსვენებას არ გვაძლევდნენ. მუდამ დღე იძულებულ ვიყავით იმათგან დაგვეცვა ჩვენი სარწმუნოება და სამშობლო. მუდამ ხელში ამოღებული ხმალი გვქონდა.

„და ჩვენ ვიგერიებდით ამ მტრებს.

„სიხარულით ვხედავ, რომ თქვენ იმ ძველ მამა-პაპათა სისხლი გიდგათ ძარღვებში. ვხედავ, რომ მამა-პაპათ გადმოეცოთ თქვენთვის თავიანთი მხნეობა, თავდადება სამშობლოსა და სარწმუნოებისათვის.

„ეცადენით, ძმებო, რომ ეგ მხნეობა, ეს თავდადება თქვენს შვილებს, ძმებსა და მეზობლებს გადასცეთ! (ყვირილი: **ვეცდებით**)!!

„ეხლა შინ წახვალთ და, თუ ვინიცობაა, კიდევ საჭიროებამ მოითხოვოს და მტერი კარს მოგვადგეს, გამოდით ისეთსავე მხნეობით და თავდადებით, როგორც ეხლა გამოიჩინეთ!“

დრო გვაჩქარის და იძულებული ვართ ამ მცირე ცნობებით გაეათაოთ დღეს ლაპარაკი გრიგოლ ორბელიანზე.

ამ დღეებში უფრო ვრცლად გავაცნობთ ჩვენს მკითხველებს მის დიდებულ პიროვნებას, მაგრამ ვინ არ იცის მისი ვინაობა. ვინ არ ეტყვის მას მისივე სამღვთო სიტყვებით:

„ტაძარი შენი სდგას გულსა ჩვენსა.“

დასაფლავების წინა-დღე

დღეს, მარტის 25-ს, მთელი ქალაქი მოაწყდა განსვენებულის სახლს. დილიდან საღამომდის შეუწყვეტელად მოდიოდა ქალაქის დაბალი ხალხი, რომელთაგან ტევა არ იყო ეზოში. ყოველი კაცი იწერდა პირჯვარს და თაყვანს ცემდა განსვენებულის გვამს — ზოგნი ფანჯრებიდან, ზოგნი, უფრო ბედნიერნი, თვით დარბაზში. ბევრს მოჰქონდა გვირგვინი და მღვდლებს პანაშვიდს ახდევინებდნენ. საღამოს შვიდ საათზე მთელი ეზო იყო აჭრელებული სანთლებით, როგორც აღდგომის დღეს ეკლესიის გალავანში. საღამოსვე დაიწყეს გვირგვინების მოტანა და კუბოზე დაწყობა. იმდენი გვირგვინებია, რომ კუბო არც კი ჩანს.

თანაგრძნობის დეპეშები იმდენი მოდის, რომ წაკითხვას ვერ ასწრებენ. ზოგიერთები მოგვყავს აქვე.

დეპეშა თავ. ა. მ. დუნდუკოვ-კორსაკოვისა:

„ტფილისს, თ. გიორგი[1] ორბელიანს. ეს-ეს არის დავბრუნდი თ. გრიგოლ დიმიტრის-ძის სახსენებელ პანაშვიდიდან. გთხოვთ განუცხადოთ ნათესავთა თავადისასა, ჩემი სრული გულითადი და წრფელი მწუხარება. ვსწუხვარ მით უმეტეს, რომ მის დაკარგვით მოაკლდა მთელს საქართველოს ერთი უკეთესთაგანი ღირსეული და მხნე წარმომადგენელი".

დეპეშა გრაფ ლორის-მელიქოვისა:

„თავადს გ. ორბელიანს. ეს-ეს არის დავბრუნდი თ. გრიგოლ დიმიტრის-ძის სახსენებელ პანაშვიდიდან. ვეჩქარები გამოგიცხადოთ ჩემი გულითადი მწუხარება. ჩვენს სამშობლოს ამგვარი ღირსეული კაცის დაკარგვა, ვიცი, ფრიად შეაწუხებდა. შეაწუხებდა იმ ხალხს, რომელიც თ. გრიგოლს ისე მხურვალედ უყვარდა წოდების და ჩამომავლობის განურჩეველად. განგებას სდომნია წაერთო ჩემთვის ნუგეში ერთხელ კიდევ მენახა და გამეგონა მისი კეთილი და გონიერი სიტყვა".

დეპეშა თელავის მაზრის მარშლისა:

„თბილისის გუბერნიის მარშალს. გთხოვთ გარდასცეთ გამოუთქმელი მწუხარება, რომლითაც მოცულია თავად-აზნაურობა და მთელი ხალხი კახეთისა ღირს სახსოვარის თ. გრიგოლ დიმიტრის-ძის ორბელიანის გარდაცვალებით. ხვალ დასაფლავების დღეს გარდახდილ იქნება პანაშვიდი მიცვალებულის სახსენებლად. ეს არის უეჭველი სურვილი კახეთის მცხოვრებლებისა, მე კი როგორც ამათი წარმომადგენელი, მივიღებ მონაწილეობას საყოველთაო სამწუხარო დასაფლავებაზედ".

დეპეშა სიღნაღის მაზრის მარშლისა:

„თბილისის გუბერნიის მარშალს. დიდი მწუხარებით მიეგება სიღნაღის მაზრის თავად-აზნაურობა საქართველოს თავად-აზნაურობის და კავკასიის ჯარის უხუცესი წარმომადგენლის გენერალ-ადიუტანტის თ. გრიგოლ ორბელიანის გარდაცვალებას. რადგანაც სიღნაღის თავად-აზნაურობას არ შეუძლიან პირადად სცეს გარდაცვალებულს პატივი, ამიტომ დასაფლავების დღეს შეიყრებიან საერთო პანაშვიდზე ეკლესიაში და შეევედრებიან ღმერთს, რათა განუსვენოს სულსა იმ ძვირფასი კაცისასა, რომლის სახელიც საუკუნოდ დარჩება პატივსაცემად ქართველი ერისაგან. მე მერგო ეს სამწუხარო მოვალეობა, ვსთხოვო თქვენს ბრწყინვალებას გარდასცეთ მიცვალებულის მახლობელთ სიღნაღის თავადაზნაურობის საერთო გოდება".

---

[1] ძმისწული გრიგოლ ორბელიანისა, პოეტის მიერ გაზრდილი.—ს. ც.

დეპეშა თავადთ ბაგრატიონ-დავითაშვილთა, ამირაჯიბთა, ფალავანდიშვილთა და ხერხეულიძეთა:

„გულით და სულით ვსწუხვართ ძვირფასი ქართველი პოეტის და დამსახურებული ღენერლის თ. გრიგოლ დიმიტრის-ძე ორბელიანის გარდაცვალებას".

ტელეგრამა ქუთაისის ქალაქის თავისა:

„ქუთაისის ქალაქის რჩევამ არაჩვეულებრივ კრებაზე მოისმინა რა ფეხზე ადგომით ფრიად სამწუხარო ამბავი გარდაცვალებისა თ. გრიგოლ დიმიტრის-ძე ორბელიანისა, გარდაწყვიტა გამოუცხადოს ნათესავთა თ. გრიგოლისა, მთელის ქალაქის მცხოვრებლების სახელით, მათი გულითადი მწუხარება და გაგზავნოს ერთი თავისი წევრთაგანი დასასწრებლად დასაფლავების დღეს".

ტელეგრამა გორის ქალაქის თავისა:

„თავ. გიორგი ორბელიანს. გორის ქალაქის რჩევის სხდომაზედ, 24 მარტს, ხმოსნებმა ერთხმად გადასწყვიტეს, გამოუცხადოთ თქვენს ბრწყინვალებას ის გულითადი მწუხარება, რომელსაც ჰგრძნობს მთელი გორის საზოგადოება ყოვლად პატივსაცემი, კავკასიის გმირის და საზოგადო მოღვაწის, თ. გრიგოლ დიმიტრის-ძე ორბელიანის გარდაცვალების გამო".

ტელეგრამა ბათუმის ბეგებისა:

„დიდებული პოეტის, პატრიოტის და კავკასიის გმირთა პატრიარქის, თ. გრიგოლ დიმიტრის-ძის ორბელიანის სიკვდილმა მეტად შეგვაწუხა".

დასაფლავების დღე

დღეს დილით მშვენიერი ამინდია, წუხელი ცოტა იწვიმა, მაგრამ დილა ადრიანად მუშები ასუფთავებენ ქუჩებს. ქუჩებში დიდი მოძრაობაა. იქ აყენებენ დესიატნიკებს, ცხენოსან ჯარს, აქ ამქრებს ბაირაღებით, ქვევით ჯარს, მოსწავლეთ თბილისის ყველა სასწავლებლებისა საქალებო, თუ ვაჟთა — ყველას თავ-თავიანთი ადგილი მიუჩინეს. აი, უკანასკნელი გვირგვინებიც,— გვირგვინი ქ. ქუთაისის საზოგადოებისაგან, ქუთაისის კლასიკურ გიმნაზიის ქართველ მოსწავლეთაგან, ქუთ. საქალებო გიმნაზიის ქართველ მოსწავლეთაგან და ქალების ჟურნალ „ქართულ ბიბლიოთეკისაგან". შემდეგ მოიტანეს გვირგვინი თბილისის აზნაურთა და კავკასიის ჯარისაგან.

გათენებისთანავე ურიცხვი ხალხი იკრიბება მიცვალებულის სადგომთან. მეკარენი ყველას არ უშვებენ მიცვალებულის სადგომის ეზოში. მისი სიმცირის გამო. მოვიდნენ ექიმებიც. ამათ უნდა მოელაპარაკნათ, შეიძლება თუ არა კუბო თავახდილი წაიღონ. მიცვალებული სახადით იყო ავად. ამით იქნება გავრცელდესო გადამდები ავადმყოფობა. გადასწყვიტეს კუბოს თავახდილი წაღება...

რა ამას მორჩნენ მოიწვიეს ფოტოგრაფი ფილიპოვიჩი, რომელმაც სამსახით გადიღო მიცვალებულის სურათი...

სიკვდილის დღიდან განსვენებულის სახეს თითქმის არაფერი ცვლილება არ დამჩნევია. იგივე სუფთა, გამხდარი სახე... ცხედრის დაშლის ნიშანიც არ არის...

კუბოს გარშემო აწყვია აუარებელი ათასფეროვანი გვირგვინები,

რომელთაგან უფრო საჩინოა გვირგვინი ორბელიანთა გვარეულობისა, თბილისის აზნაურთა, კავკასიის ჯარისა, სახელოსნო სასწავლებლისა, ჟურნალ „ქართული ბიბლიოთეკისა“, თბილისის და ქუთაისის კლასიკური გიმნაზიებისა და სხვ.

კუბო კაკლის ხისაა. კუბოს სახურავი, რომელზედაც ძევს ჯვარი, ხმალი და ქუდი მიცვალებულისა, მშვენივრად არის მორთული დაფნისა და ბზის ფოთლებით.

ათი საათის შესრულებას სულ რამდენიმე წამი აკლდა, მიცვალებულის სახლში მობრძანდა კავკასიის ჯარის უფროსის თანამდებობის აღმსრულებელი გენ. ჯომარჯიძე.

გენერალმა დასდო გვირგვინი „კავკასიის ჯარისა“ მიცვალებულის გვამს და თან წარმოსთქვა შემდეგი სიტყვა:

„დიდებულო წინამძღოლო ჩვენო, შენის მაღალის სახელით დამშვენებულია ფურცელნი კავკასიის ომიანობის ისტორიისა.

მოვალეობამ მომიხმო მე ამ მძიმე ვალის აღსასრულებლად: კავკასიის ჯარის სახელით შენს ძლეულ ცხედარს ვსდებ ამ გვირგვინს... და ამით ვამაყობ მე, ვამაყობ, რომ სახალხოდ შემიძლიან გამოვსთქვა ის უღრმესი ნდობა, იგი სიყვარული და მკვიდრი კავშირი, რომელიც არსებობდა შენსა და შენ თანამოიარაღეთა შორის.

შენი სახელმწიფო სახელოვანებითა უკვე მიიღეს ღირსეული საფასი ძვირფასი სიტყვებით ჩვენი დიდებულის წინამძღოლისა; ჩვენ, შენის თანამოსამსახურეთა და პატივმცემელთა ჯერად დარჩომილა მხოლოდ ერთი გულითადი მხურვალე წადილი და ჭეშმარიტი ლოცვა-ვედრება. მშვიდობა მიენიჭოს სულსა შენსა იქ, — სადაც ცხოვრება უსაზღვროა.

მშვიდობა შენდა ჭეშმარიტო ადამიანო!“

ათი საათიც შესრულდა და დარბაზში შემოვიდა შემოსილი ეგზარხოსი საქართველოისა, სასულიერო წოდების უმაღლეს წარმომადგენელთა კრებულით. შემდეგ ამისა შეუდგნენ მიცვალებულის გამოსვენების თადარიგს.

სამწუხარო პროცესიას წინ გაუძღვა დეპუტაციები სხვა და სხვა დაწესებულებათა და საზოგადოებათა გვირგვინებით. ორმოცამდე გვირგვინი იყო.

პირველად მიჰქონდათ ქალაქის ხალხის გვირგვინი ზედ წარწერით:

„შენ ძმას დაცემულს ხელს აძლევდი, რომ აღგედგინა“.

მეორე გვირგვინი იყო სტ. მელიქიშვილის სტამბის მუშებისაგან შემდეგი წარწერით:

„შენ იცოდი, რომ არიან ღარიბნიც,
არის სადმე სიმწარითა ცხოვრება!...“

მესამე გვირგვინი იყო მესტამბე — ი. გრ. მელიქიშვილისაგან შემდეგი ზედ წარწერით:

„ტკბილო პოეტო, დიდებულო, ნათლით მოსილო,
ძვირთ დროთ მოწამევ, ჭირნახულო, მამულის შვილო,

აწ განისვენე და საბსოვრად მხოლოდ გეკმარის,
რომ შენებრ სულნი ცას ასულნი ბევრი არ არის.
იგი, ვით, ზეცას ჩვენში რჩება მთლად ბედნიერი
და ვით ბედნიერს უნდ დამღერდეს მას მისი ერი."

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეოთხე იყო ქუთაისის და თბილისის სათავადაზნაურო სკოლებისა შემდეგი წარწერით:

„წენ მოგვითხრობდი
ყრმანი გისმენდით
გამოუცდელნი მოხუცებულსა".

მეხუთე იყო თბილისის კლასიკური გიმნაზიისა, რომელმაც თავისი გარეგანი სიმშვენიერით მიიქცია ყურადღება: ხელოვნური დაფნის ოქროს ფერის ფოთლების გარეშემო კარგა დიდი გვირგვინი, შუაში ქნარი სიმებით და ზედ **გ** და **ო**, ზევით გვირგვინი თავადის ხარისხისა და ქვევით ორი გადახლართული ზარბაზანი. გრძელ შავ ლენტზე იყო წარწერა:

„სულითა წრფელსა, მშვიდსა გულით,
ფიქრით განწმედილს."

მეექვსე იყო არა ნაკლებ მშვენიერი ქუთაისის კლასიკური გიმნაზიის მოსწავლეთაგან: დიდი, ლამაზის ხელოვნებით გაკეთებული დაფნის ქნარი უკვე გაწყვეტილის სიმებითა. თეთრი ატლასის ლენტზე იყო შემდეგი წარწერა:

„რა არის ჩვენი სიცოცხლე, თუ არა საქმე კეთილი?
თუ არ აღვადგენთ დაცემულს, არ ვექმნეთ ნუგეშ მცემელი?
თუ არა ვსდევნით ბოროტსა, მართლის არა ვართ მფარველი?
სხვის კვნესა თუ არ გვაწუხებს, სხვისა არ გვესმის ტკივილი?"

მეშვიდე ლაზათიანი გვირგვინი იყო რეალური სასწავლებლის მოწაფეებისა შემდეგის წარწერით:

„ვინ აღჩნდეს გმირი
რომ მის ძლიერი
ბედს დაძინებულს ხმა აღადგენდეს?"

მერვე, აზროვანი, მშვენიერი ხელოვნებით გაკეთებული გვირგვინი იყო სახელოსნო სასწავლებლისა. ქართული ხის ხმალი, ხისავე კალამი ერთმანეთში გადახარიხებული, პირველი იყო ნიშანი სამშობლოსათვის მებრძოლისა და მეორე კი ნიშნავდა პოეტს, მწერალს. ორივე ამათგანს ეხვიათ დაფნის გვირგვინები მრავალფერ ყვავილებით შეხამებულები. გარს ერტყა შავი ატლასის ლენტი შემდეგი წარწერით:

„შავთა დროთ ვერა შეპსცვალეს მის გული ანდამატისა,
იგივ მხნე, იგივ მღერალი, მოყვარე თავის მიწისა!“...

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეცხრე, გაზეთი „შრომის“ რედაქციისაგან ზედ წარწერით:

„ლექსთა მეფეს“.

მეათე, „ივერიის“ რედაქციისაგან შემდეგი წარწერით:

„გზა ცხოვრებისა შენ განვლე და ღღბეკდეცა ნავალი“.

მეთერთმეტე იყო „დროების“ რედაქციისაგან ზედ წარწერით:

„მეფეს სიტყვისას“.

მეთორმეტე გვირგვინი იყო წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებისაგან შემდეგი წარწერით:

„გსურდა განვახლდეთ
სულით ავმაღლდეთ
და განჭრეს ბნელი უმეცრებისა“.

მეცამეტე — წითელი ჯვრის საზოგადოებისაგან.

მეთოთხმეტე თბილისის თავადაზნაურთაგან შემდეგი წარწერით:

„დანატროდი მათ, ვისაც აქვნდა ტრფობა მამული-
სადმი გულს აღბეკდილად“.

მეთხუთმეტე — კავკასიის ჯარისაგან, დიდი მოქსოვილი, ცალ მხარეს მუხისა და მეორეს დაფნის ფოთლებისაგან შედგენილი. გვირგვინი ზედ წარწერით:

„თავად გრიგოლ დიმიტრის-ძე ორბელიანს,
კავკასიის მხედართაგან“.

მეთექვსმეტე გვირგვინი იყო მეთოთხმეტე გრენადერის პოლკისაგან, სადაც თ. გრიგოლი მსახურობდა ოდესმე. გვირგვინი ლამაზად იყო შეხამებული. ლენტებზე შემდეგი ეწერა:

„ძველს მეგობარს, მამას ლურჯი ფარაჯისას“.

მეჩვიდმეტე — ცოცხალი ყვავილებისაგან მშვენივრად გაკეთებული გვირგვინი იყო ქუთაისის ქალაქის საზოგადოებისაგან.

ბოდიშს ვიხდით, რომ სიჩქარის გამო, სხვა წარწერები ვერ გავაცანით მკითხველებს, რომ კიდევ უფრო გარკვეული აზრი შეედგინათ გარდაცვალებული ბ. ორბელიანის პატივისმცემელთა რიცხვზე.

დეპუტაციებს მისდევდა გარდაცვალებულის ორდენები, რომელნიც ხავერდის ბალიშზედ იყო დაწყობილი.

პირველ ბალიშზედ დაწყობილი იყო უცხო ქვეყნების ორდენები: პრუსიისა, მეკლენბურგისა, სპარსეთისა და იტალიისა.

მეორე ბალიშზე: ვლადიმერი მეოთხე ხარისხისა, ხმლებით; ანნისა და სტანისლავის ორდენები ექვსის მენდლით; დიდი და პატარა ჯვრები წმინდისა ნინოსი; ალექსანდრე პირველის იუბილეს მენდალი; ყმების განთავისუფლების ჯვარი.

მესამე ბალიშზე: სტანისლავის ორდენები მეორე ხარისხისა.
მეოთხე ბალიშზე: ანნა, პირველი ხარისხისა.
მეხუთე ბალიშზე: ვლადიმერი მეორე ხარისხისა, ვარსკვლავებით.
მეექვსე ბალიშზე: თეთრი არწივის ორდენი.
მეშვიდე ბალიშზე: ალექსანდრე ნევსკის ორდენი ჯვარი, ვარსკვლავი და ლენტი, და ალექსანდრე ნევსკის ორდენი ბრილიანტებით მორთული.
მერვე ბალიშზე: ვლადიმერის პირველი ხარისხისა, ვარსკვლავებით.
მეცხრე ბალიშზე: წმინდა გიორგის ჯვარი მეოთხე ხარისხისა.
მეათე ბალიშზე:ანდრია პირველ წოდებულის ორდენი.

რაწამს მოისმა არქიელის მგალობლების ხმა, გაგრძელებული „წმინდაო ღმერთოსი", მაშინვე სამხედრო და სამოქალაქო გენერლებმა ასწიეს კუბო.

სოფლის ნაცვლებმა და მამასახლისებმა დაძრეს თეთრი დროშა, რომელზედაც იყო გამოხატული ორბელიანთა ღერბი; დროშა მთელი პროცესიის წინ წაფრიალდა და მას თან მიჰყვა ათასობით ხალხი.

გარეთ, ქუჩაში, პირველად იდგნენ ამქრის წარმომადგენელნი თვრამეტი ბაირაღით, მარცხენა მხარე მთლად ჯარს ეჭირა, რომელსაც უფროსობდა გენერალი დეველი. პირველად იდგნენ კადეტის კორპუსის შეგირდები, მერე იუნკრები, თბილისის პოლკის ბატალიონი, ყაზახები გოლოვინის პროსპექტამდე. გოლოვინის პროსპექტზედ იყვნენ დაყენებულნი თბილისის ყველა სასწავლებლის მოსწავლენი.

ბანები, სახურავები, ფანჯრები და დერეფნები იმ ქუჩებზე, საითაც გაემართა პროცესია, გაჭედილი იყო ხალხით. ქუჩებში ტევა არ იყო.

11 საათიც შესრულდა და პროცესიამ მიაღწია ანჩისხატის ეკლესიას. დეპუტაცია, ჯარი და აუარებელი ხალხის გროვა დარჩა მოედანზე.

წირვის შემდეგ მაღალ ყოვლად უსამღვდელოესმა საქართველოს ეგზარხოსმა წარმოსთქვა სიტყვა,რომელშიც გამოხატა, სხვათა შორის, რომ გრიგოლ დიმიტრის-ძე ორბელიანი იმგვარ ადამიანთა რიცხვს ეკუთვნოდა, როგორსაც იოანე ღვთისმეტყველიო... შემდეგ წარმოსთქვა სიტყვა არხიმანდრიტმა გრიგოლიმ და მღვდელმა გ. ჯანაშვილმა.

იმავე წესითა და რიგით დაბრუნდა პროცესია ანჩისხატიდან და გაემართა ქაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიისაკენ.

ქაშვეთის ეკლესიის ეზოში უკანასკნელად გამოეთხოვა თბილისის მოსახლეობა ჩვენს დიდებულ პოეტს. აქ რამდენიმე სიტყვა წარმოითქვა. პირველად ილაპარაკა კორპუსის გენერალმა დეველმა. მღელვარებით აღსავსე ხმით და გრძნობით ის გამოესალმა მთელი კავკასიის მხედრობის სახელით კავკასიის ჯარის პატრიარქს.

მეორედ ილაპარაკა თ. ილია ჭავჭავაძემ, ხოლო მესამედ თ. აკაკი წერეთელმა.

---

[1] ორივე ჩვენი სახელგანთქმული პოეტის სიტყვები „დავბეჭდეთ" ამ კრებულის I ტომში (იხ. გვ. 455-458) და აქ არ გავიმეორებთ, ხოლო ნ. დ. ყიფიანისა და დიმ. ჯანაშვილის სიტყვები იხ. შენიშვნებში.—ს. ც.

ეროვნული
ბიბლიოთეკა



სერგეი მესხი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გაზეთი „დროება“ და სერგეი მესხი

თითქმის გაზეთის დაარსებიდან ეს ორი სახელი ერთად იხსენიებოდა, ერთად იბეჭდებოდა. ეხლა, როდესაც ის კაცი აღარ არის, რომელიც სერგეი მესხის სახელს ატარებდა, როდესაც გაზეთმა დაჰკარგა თავისი ლალა, თოთხმეტის წლის განმავლობაში თავისი სულისჩამდგმელი, არ იქნება უდროო გავიხსენოთ ამ გაზეთის თავგადასავალი და თან გადავათვალიეროთ იმ კაცის ცხოვრებაც, რომელმაც თავისი თავი ზედ შეაკლა მას.

4 მარტს 1866 წელს გამოვიდა პირველი ნომერი „დროებისა“ გ. წერეთლის რედაქტორობით. ეს ნომერი კარგა მოზრდილი იყო: ფელეტონს თავისი ალაგი ეჭირა, მოწინავე წერილს თავისი, დანარჩენი დაეპყრო პოლიტიკას, დაგვიანებულ ტელეგრამებს და მთავრობის განკარგულებას. პირველ მოწინავე წერილში რედაქცია უხსნიდა მკითხველებს გაზეთის მნიშვნელობას, უხსნიდა, რომ საზღვარგარეთ ყოველ ქუჩერსაც კი ჯიბეში გაზეთი უდევსო, თითქო არცხვენდა ამით, თუ კი ქუჩრები გაზეთებს კითხულობენ, თქვენ უფრო არ შეგფერითო; მაგრამ საზოგადოება ყრუდ დარჩა და გაზეთს არამც თუ ქუჩრები, იმისთანებიც კი არ ჰკითხულობდნენ, რომელთაც მოცლილი დრო (და ეს მოცლილი დრო ხშირად მთელი დღე იყო) ჭორებისათვის ჰქონდათ გადადებული.

მხოლოდ ორიოდე თავგამომეტებული ლიტერატორი შრომობდა მაშინ რედაქციაში და თითქმის გაზეთის ყოველი სტრიქონი რედაქციაშივე იყო დაწერილი. არსაიდან კორესპონდენციები, არსაიდან ახალი ამბები, პოლიტიკის წყაროდ მხოლოდ გაზეთი „კავკაზი“ (ასე იყო ნაბძანები) და, რაც უფრო საგრძნობლად იყო, არსაიდამ ხელის-მომწერლები! გადაათვალიერეთ პირველი ნომრები „დროებისა“ და თქვენ გაგაცვიფრებთ პოლიტიკის წათამაშება. მოზღვავებულს პოლიტიკას უჭირავს მომეტებული ნაწილი გაზეთისა, დანარჩენს ადგილზედ მოთავსებულან ტელეგრამები, მთავრობის განკარგულებანი და მხოლოდ ოაზისივით აქა-იქა მოსჩანან ათასში ერთი კორესპოდენციები. მკითხველი საზოგადოებაც, თუ კი იყო სადმე, გულცივად ეპყრობოდა გაზეთს; „რა „დროება“, რის „დროება“, ქართული გაზეთი ვისთვის რა საჭიროა!“ ჰქადაგებდა არა ერთი და ორი, ჰქადაგებდნენ მრავალნი და ამ გულცივობით გულს უკლავდენ იმათ, ვინც იტანდა ამ საზოგადო საქმისათვის შიმშილს, წყურვილს, უწყალო განუწყვეტელ შრომას და თან ყოველს ამაზედ კიდევ უარესს, საზოგადოების გულგრილობას, უმადურობას!

დროება გამოიცვალა და შეეცვალა სახე „დროებასაც“. პროვინციებში გამოჩნდნენ აქა-იქ ნიჭიერი ცხოვრების დამკვირებელნი და თავიანთი ნაშრომით გაუნახევრეს წვალება რედაქტორსა და უმთავრესად თანამშრომლებს. მართალია, ბევრს კორესპონდენციას შესწორება, წაშლა-წამოშლა, როგორც ამბობენ, გაშალაშინება ეჭირვებოდა, მაგრამ ამის სამაგიეროდ გაზეთს უფრო ჩვენებური სახე მიეცა, პოლიტიკა თავის კალაპოტში ჩაჯდა და გაზეთს გაზეთობა დაეტყო.

1869 წელს დროებით რედაქტორობა და მასუკან სრული რედაქტორობაც იკისრა 24-25 წლის კაცმა სერგეი მესხმა, რომელიც დიდი ხანი არ იყო, რაც პეტერბურღის უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო ფაკულტეტზე კურსგათავებული დაბრუნდა თავის სამშობლოში. ამ დროიდან ამ კაცის ცხოვრება მჭიდროდ შეკავშირებულია „დროების“ ისტორიასთან და ვინც კი მოინდომებს მის ბიოგრაფიის დაწერას, უნდა ფეხ-და-ფეხ მიჰყვეს რედაქციიდან სტამბამდე, სტამბიდან იმ დაწესებულებამდე, რომელსაც გაზეთის მეთვალყურეობა აქვს ჩაბარებული, ამ დაწესებულებიდან კიდევ რედაქციამდე და სხვ. სერგეი მესხის დროს ორჯერ დიდი ცვლილება მიეცა გაზეთს: 1875 წელს კვირაში სამჯერ დაიწყო მისი გამოცემა და 1877 წელს არ შეუშინდა იმ ძნელად ასატან შრომას, რომელსაც გაზეთში ყოველდღე მუშაობა ჰქვიან, და „დროება“ ყოველდღიურ ფურცლად გადააქცია.

ყოველდღიური გაზეთი ძნელი არ არის, სადაც რედაქცია ისეა მოწყობილი, რომ ყველას თავისი განყოფილება აქვს ჩაბარებული და რედაქტორი მხოლოდ ზედამხედველია გაზეთისა. უცხო ქვეყნების გაზეთებში და ზოგიერთ რუსულ გაზეთებშიაც შეიძლება წელიწადმა ისე გაიაროს, რომ რედაქტორმა ერთი სტრიქონიც არ დასწეროს. იქ რედაქციებს იმდენი შეძლება აქვთ, რომ რამდენიმე კაცი ყოველდღე შრომობს რედაქციაში და გადაწყვეტილს ფასს იღებს. ჩვენში სულ სხვაა, და სულ სხვა იყო მეტადრე იმ დროს, როდესაც სერგეი მესხმა მოჰკიდა ხელი „დროებას“. აქ აღარ გავიმეორებთ მრავალჯერ ნათქვამს იმ შრომაზედ, რა შრომაც ჩვენში ყოველდღიური გაზეთის რედაქტორს აწევს და ორიოდ სიტყვით გავაცნობთ მკითხველებს მხოლოდ იმ გარემოებას, რა გარემოების წყალობითაც სერგეი მესხმა შესძლო ამოდენა ხანს ამ სიმძიმე ტვირთის ზიდვა. სერგეი მესხს არა ჰქონდა შეძლება, არამცთუ ლიტერატურულ შრომისათვის ფასი მიეცა ვისთვისმე, ან მუდმივი თანამშრომელი ჰყოლოდა.— გაზეთის შემოსავალი თითონ გაზეთსაც არა ჰყოფნიდა; წლითი-წლობამდე გაზეთი ვალით გამოდიოდა და მომავალი წლის შემოსავლით უნდა დაეფარა წრეულს და შარშან აღებული ვალი. ამ გაზეთის შინაურულ საქმეს იმიტომ ვაცხადებთ, რომ მკითხველმა დაინახოს, რა ძნელი პირობებით იყო გარშემოზღუდული სერგეი მესხი და როგორ შეუძლებელია, რომ ამ გარემოებაში მომქმედს პირს არსად შეუფერებელი სიტყვა რამ არ წასცდენოდეს, უწესო რამ არ მოემოქმედოს.

სერგეი მესხს არა ჰყავდა არც ერთი მუდმივი თანამშრომელი, მაგრამ მას ჰქონდა ერთი ძვირფასი ღირსება, რომლითაც საუკეთესო თანამშრომლების გულს იზიდავდა: ის იყო კაცი თავაზიანი და თან პირში მთქმელი; უსიამოვნო ამბავს ისე თავაზიანად გეტყოდათ, რომ წინააღმდეგობას ვეღარ აკადრებდით და თითქმის სიხარულით ემორჩილებოდით იმის სიტყვას. ეს ღირსება იმ ადგილზედ, რა ადგილიც ეჭირა სერგეი მესხს, დიდი ღირსებაა და ამითი უნდა აიხსნებოდეს ის საერთო სიმპატია, რომელსაც ჩვენი ლიტერატურის მოღვაწენი გრძნობდნენ სერგეი მესხისადმი. ამით აიხსნება, რომ ჩვენი ლიტერატურის ყველა თვალსაჩინო პირთ უშრომნიათ სერგეი მესხისთან და უსასყიდლოდ შეუწირავთ საზოგადოებისათვის თავიანთი კალმის ნაწარმოები.

გარდა იმ საუკუნო მადლობისა, რომელიც ჩვენი გაზეთის დამაარსებელს ეკუთვნის, სერგეი მესხის სახელს, მის სიმპატიურ ბუნებას უნდა ვუმადლიდეთ, რომ დღეს „დროება" მთელი საქართველოს გაზეთად გარდაიქცა; მას უნდა ვუმადლიდეთ, რომ ამ თითქმის ხელოვნურ ნიადაგზედ აღმოცენებულმა მცენარემ ღრმად გაიდგა ფესვები და მრავალ ქართველ კაცს დღიურ საჭიროებად შეექმნა. სერგეი მესხმა მოიზიდა მრავალი უსასყიდლოდ მშრომელი პატიოსანი პირი, რომელთა დახმარებითაც დღეს ჩვენს გაზეთს შეუძლიან რედაქციის კაბინეტიდან ოთხსავ-კუთხეს თვალი ეჭიროს და მთელ საქართველოს თავზედ დასცქეროდეს. სერგეი მესხის საქმეა, რომ დღეს ვერავინ ვეღარ იტყვის: „რა „დროება", რის „დროება," ქართულ გაზეთს რა მნიშვნელობა აქვსო!". და თუ იტყვის, პირველი თითონვე იგრძნობს თავისი სიტყვების უკმეხობას და უმნიშვნელობას.

საჯოს თითონ მკითხველმა, რა უზომო მადლობაც ეკუთვნის მთელი ქართველობისაგან ამ უანგარო მუშაკს „ეკლიანს გზაზედ სოფლისა", მისთვის უფრო გაეკლიანებულზედ!

სერგეი მესხის გარდაცვალება და დასაფლავება

ჯერ, სანამ დასაფლავებაზე ვილაპარაკებდეთ, აი რამდენიმე დაწვრილებითი ამბავი მისს უკანასკნელ ჟამებზე და გარდაცვალებაზე.

განსვენებული სამი კვირის წინათ წავიდა აბასთუმანს, სახლობით. არც ერთს ექიმს არ ურჩევია მისთვის იქ წასვლა; ის თითონ გაექცა იმერეთის სიცხეს და როცა უკანასკნელად ავად გახდა, ექიმებმა გაიკვირვეს მისი იქაურ წყლებზე მისვლა, რომელიც მისთვის მაწყინარიც იყო თურმე. 19-ს ამ თვეს ექიმმა გოპაძემ შეატყო, რომ რამდენიმე დღის სიცოცხლე-ღა დარჩენია. ამ დღიდან გულის ტკივილმა და ხველამ უმატა. გარდაცვალების დღეს, დილას, ავადმყოფი ცოტა მოსულიერდა, საჭმელიც მიიღო ცოტა, მაგრამ ნასაუზმევს აუტყდა ხველა და უკანასკნელს ჟამს მიაღწია. „აქ გასკდა რაღაც... გული გასკდა..." შესჩიოდა ის მის უმცროს ძმას, რომელიც განუშორებლად იყო მასთან. „მიშველეთ, მიშველეთ.".." როცა უკანასკნელად შემოვიდა მასთან ექიმი გოპაძე ავადმყოფის დასამშვი-

ებლად, მან მოინდომა თბილი აბაზანა და მდოგვის დადება, მაგრამ განსვენებულმა დაიწყო ყვირილი: „თავი მანებეთ, მაცალეთ მოვკვდეო.“ კიდევ რამდენიმე წამი და გული სულ გაეღო; ავადმყოფი გალურჯდა, ერთი შეჰყვირა ხმამაღლა და იგრძნო რა უკანასკნელი წამი, გამოეთხოვა ოთახში მყოფთ: „მშვიდობით, მშვიდო...“ და განუტევა სული.

22-ს განსვენებული აბასთუმანში ესვენა, სანამ თბილისიდან ჩამოიტანდნენ ტყვიის კუბოს.

23-ს, განსვენების წინათ, ათ საათზე, დიდი საზოგადოება შეკრბა პანაშვიდზე. აქ იყო წარმოთქმული სამი სიტყვა: ტერ-სტეფანოვისა, ბავრელისა და კოლუბანსკისა. კუბო შეამკეს სხვადასხვაგვარ გვირგვინებით, რომლის წარწერას ქვემოთ ვბეჭდავთ.

პანაშვიდის შემდეგ კუბო წაასვენეს ქუთაისს ზეკარის ვიწროებით. საზოგადოებამ კარგი მანძილი გააცილა. გზაზე, სადაც კი შეეტყოთ განსვენებულის გარდაცვალება, ყველგან ხვდებოდნენ გვირგვინებით. ერთს ამ გვარ გვირგვინზე ვკითხულობთ ამ წარწერას:

„მესხეთის და ჯავახეთის გლეხთა და მუშებისაგან.
მათთვის თავ-განწირულს“...

ღამე სამგლოვიარო პროცესიამ ბაღდადს ჩამოაწია.

24-ს დილას, ათ საათზე, განსვენებული ჩამოასვენეს ქუთაისს. ბალახვანის ეკლესიასთან დაუხვდა ცხედარს მოხუცებული დედა და ახლო ნათესავები. იქიდან წამოასვენეს პირდაპირ სობოროში, საცა იყო დანიშნული წირვა და პანაშვიდი. ამ წირვას მრავალი ხალხი დაესწრო, საღამოს ჩამოვიდნენ დასაფლავებაზე დასასწრებლად რამდენიმე კაცი თბილისიდან და იმერეთის სხვადასხვა კუთხიდან.

25.. რვა საათზე, იყო დანიშნული პანაშვიდი და გასვენება მიცვალებულისა სოფ. რიონს, რომელიც ქუთაისიდან რვა—ცხრა ვერსტზეა. დანიშნულ დროზე ხალხმა მოიყარა თავი ეკლესიაში და დაიწყო პანაშვიდი... მაგრამ ჯერ ვნახოთ ეს რა გვირგვინები აწყვია ცხედარზე, ვის გამოუცხადებია განსვენებულისთვის ამდენი თანაგრძნობა!

სხვადასხვაგვარ ყვავილების და სხვადასხვა ხელოვნებით გაკეთებულ გვირგვინებზე ვკითხულობთ:

— „მამულის ერთგულ შვილს და კეთილ მუშაკს ახალციხის მოქალაქე ქართველებისაგან“.

— „საქართველოს უკვდავ მუშაკს. სამესხო-საათაბაგო“.

— „სერგეი მესხს ქუთაისის ახალგაზრდობისაგან“.

„ვგრძნობდი სიკვდილსა, თან მომდევდა მარტო სიმართლე
უკანასკნელად ამ სოფელსა ვუთხარ მშვიდობა,
და მიხაროდა სიკვდილის წინ უტანჯველობა“.

— „სერგეი მესხს. ქუთაისის ვაჭრებისაგან“.

— „სერგეი მესხს. ქუთაისის კლასიკური გიმნაზიის მოსწავლეთაგან:

„შენ გაიარე ქვეყნის გზა ძნელი
„და გაუდექი ახლა სხვა გზასა,
„მამულის შვილო მხარე მშობელი
არ დაივიწყებს შენსა ამაგსა“.

„დროების“ რედაქცია.

— სერგეი მესხს. „დროების“ ამწყობებისაგან:

„დროთ, კაცთ შუღლისგან იტანჯვიდი ხშირად მართალი,
„რომ აღგედგინა მაღალი ზნე და სამართალი“.

— „დაუღალავს მოღვაწეს. გაზეთი „შრომა“.

„არა ჩვენ ვსცრემლობთ მარტონი,
სტირიან ყმანი მხცოვანნი
„ნუ შეგვშრინ ცრემლნი თუალთაგან
და გულთა მისი ხსოვანი“.

— „სერგეი მესხს. გაზეთი, „შრომის“ ამწყობთაგან:

„სულ წვალებაში განლიე
„თოთხმეტი წლისა დღენია,
„ცდილობდი მუშათ შველასა,
„სადაც მიგწვდოდა ხელია“.

— „სერგეი მესხს. „ქართული ბიბლიოთეკა“:

„დაგნატრით შენ რომ სიცოცხლე შენი
„შენსა მამულსა შესწირე მსხვერპლად.“

—„სერგეი მესხს. ქუთაისის სათავად-აზნაურო სკოლა:

„შენი თავგანწირული შრომა გულს ჩაგვებეჭდა სამაგალითოდ.“

— „თოთხმეტის წლის კეთილო მოღვაწევ, გაზეთის „დროების“ სამაგალითო მშრომელო და პატიოსანო კაცო, სერგეი სვიმონის-ძევ მესხო, საუკუნოდ იყოს ხსენება შენი. ე. ხელაძის სტამბა“.

ამათ გარდა შემდეგი კერძო პირების გვირგვინებიც იყო.

— „სერგეი მესხს. გიორგი წერეთელი“.

„საქმეთა შენთა აღგიგეს უკვდავი ძეგლი ჩვენ შორის.“

— „სერგეი მესხს. ანტონ ალოის-ძე დე-კამპოკასსო.

„არ არის მკვდარი, ვინც მოკვდეს
და ხალხს შესწიროს დღენია,
„მკვდრად იგი თქმულა, ვისაც აქ
სახელი არ დარჩენია.“

სანამ პანაშვიდი გათავდებოდა სობორო და სობოროს წინ ფართო მოედანი სულ ხალხით გაივსო. ცხრა საათზე გვირგვინები დაემწკრივნენ მოედანზე... მგალობლებმა დაიწყეს „სულთათანა“ და კუბო გამოასვენეს ეკლესიიდან. კუბოს მიჰყვნენ ჭირისუფლები და ათასობით ხალხი. ხალხს უკან მისდევდა მუსიკა.

პროცესიამ, აუარა ბაღს, მერე გაემართა პოლიციის გვერდით და კათოლიკების ქუჩით იმ ადგილამდის, საცა ებრაელების ახალი სინაგოგა შენდება; იქ გადუხვია ვიწრო გზაზე, რომელიც გელათს მიდის და, როცა ქალაქის საზღვრებამდე მივიდა, კუბო დაასვენეს და საზოგადოება გამოეთხოვა განსვენებულს. აქ წარმოითქვა რამდენიმე სიტყვა. პირველად გამოესალმა განსვენებულს მისი ძველი მეგობარი, გაზ. „დროების“ დამფუძნებელი გ. ე. წერეთელი.

სიტყვა გიორგი წერეთლისა. „ოჰ, ვით ძნელ არს მეგობრისთვის მეგობარსა როს მარხვიდე!..“ გული კვდება, სული იტანჯვის, ძმაო სერგეი, შენი ცხედრის შემხედვარე. რად გამოაკლდი შენს ტოლსა და ამხანაგებს, რომელნიც შენის მხნე შრომით და მამაცური თავგანწირულებით იყვნენ გულ-დაიმედებულნი საქველმოქმედო ასპარეზზედ? რად ჩასვი წყვდიადს ბნელში შენის შვილობით სახელ-განთქმული მშობელი და ერთგული ცხოვრების მეგობარი ? რად დასწვი და დასთუთქე ასე უწყალოდ შენი აღმზრდელი მკერდი, რომელსაც ოქროთი უნდა მოეჭედოს თავები მაგ, შენისთანა ღირსის მამულისშვილის გამოზრდითა. აწ საქართველოში ისეთი წერა-კითხვის მცოდნე არ მოიპოვება, რომ სერგეი მესხის სახელი არ გაეგონოს, მისის მამაცური სიტყვებით გულში არ ჩავარდნოდეს მამულისადმი წმინდა სიყვარული...

თოთხმეტი წლის განმავლობაში ამ ქველმოქმედმა კაცმა აუტანელი ჯაფით ატარა მაღლა ქართული ლიტერატურის დროშა. არც ერთი კაცი არ მოიძებნება ჩვენ შორის, რომ არ გრძნობდეს ამ დიდს ღვაწლს; მაგრამ ჯერ კიდევ არ დასდგომია დრო მას ღირსეულად დაფასებისათვის. ვერც ერთი თქვენთაგანი იმ საშინელს ჯაფას და თავ-განწირულებით ბრძოლას ვერ წარმოიდგენს, რაც მე და ჩემს ამხანაგებს გვინახავს და გამოგვიცდია სერგეი მესხთან შრომაში.

კვირის-კვირობამდის, თვის-თვეობამდის, დღე-ნიადაგ უძილობა, მუდამ რკინის მტვერში ყოფნა და მითი სუნთქვა, იმ მძიმე ჰაერით ფილტვების ლპობა!.

ვის არ ახსოვს სერგეი მესხის თურაშაულ ვაშლივით აწითლებული ლოყები, მისი ლამაზი სახე და სიცოცხლით აღვსილი დიდრონი თვალები; მისი ქორფა და ჭეშმარიტად გმირული ტანის აგებულება; ამასთანავე მისი სულის სიმტკიცე, ყველასგან საყვარელი და მიმზიდველი ხასიათი; მისი გამბედავი სიტყვა, რომლითაც ის დიდსა და პატარას ყურში ჩასძახოდა: დრო არის, განვიღვიძოთო, დრო არის აღვადგინოთო ჩვენი სამშობლო ენა...

მის მიერ ტარებულს დროშის ქვეშ შედიოდნენ არჩეულნი მუშაკნი, სიყვარულით და პატივისცემით უდგნენ მხარში მას და ერთგულად მუშაობდნენ ჩვენი ერის გამოსაღვიძებლად. მაგრამ ფრიად მძიმე შეიქმნა მედროშესთვის იმისი ტვირთი. იგი მაშვრალი ნელ-ნელა სუსტდებოდა ამ სახელოვანი დროშის ტარებითა. ერთი მხრით რკინითა და ტყვიით დატვირ-

თული სტამბის ჰაერი ჰგლეჯდა ნელ-ნელა მის ფილტვებსა; დაუღალავი მისი მარჯვენა თან-და-თან სუსტდებოდა; მისი თურაშაული ვაშლივით წითელი ლოყები გადიქცენ ყვითელ სანთლის ფრად, რომელიც წმიდა მსხვერპლად დნებოდა სამშობლოს საკურთხევლის წინ.

დასუსტდა მისი მარჯვენა, გავარდა ხელიდან დიდებული დროშა და აჰა, გულგარღვეული მდებარეს იგი უძრავად ჩვენს წინაშე. ვსტიროდეთ, ძმანო, ამ პატივცემული კაცის უდროოდ დაკარგვას. ვსტიროდეთ, დასნო, მამულის ერთგულნო, რომ ჩვენს წრეს გამოაკლდა ერთი საუკეთესო შრომელი!.

ნეტავი იმ დედის გულს, რომლის ძენიც სამშობლო მამულს დაუმტკიცებენ მსხვერპლით სიყვარულს. საქმემან შენმან აღგიგო, ძმაო, უკვდავი ძეგლი; საუკუნო იყოს შენი ხსენება!"

როცა გიორგი წერეთელმა გაათავა სიტყვა, წარმოსდგა ბატ. ცერცვაძე და ქუთაისის მოქალაქეთა სახელით მიმართა განსვენებულს შემდეგი სიტყვა:

სიტყვა ქუთაისის მოქალაქეთა წარმომადგენელ სვიმონ ცერცვაძისა. აჰა, შენ, მამულის ერთგულო შვილო, სერგეი! აჰა! გვირგვინი ყვავილებით შემკულ დაფნისა, ნიშნად გამოუთქმელის შენდამი თანაგრძნობისა ქუთაისის მოვაჭრეებისაგან. ჩვენ, თანამგრძნობელნი შენი დაუფასებელი ჩვენდამი ღვაწლისა, დავსცქერით რა შენს უენოდ მდებარე გვამს, — და თან თვალწინ წარმოვიდგენთ შენს აურიცხველს ღვაწლს, რომლისთვისაც დასთმე ყოველი შინაურული თავისუფლება, ახალგაზრდული, ქვეყნისადმი ცელქური ლტოლვილება, სიმდიდრის ძებნა; რომლისაგანაც შენ ჯერ ისევ ახალგაზრდა შეიქენი მსხვერპლად — წარმოვიდგენთ რა ყოველს ამას, ვივსებით გამოუთქმელის ჭმუნვითა და ვაებითა.

უნდა გავსტყდე და ვსთქვა, საყვარელო ძმაო სერგეი, რომ, ბევრმა ჩვენთაგანმა მხოლოდ მაშინ დაინახა თავისი თავი ქვეყნის სარკეში, მხოლოდ მაშინ გაიცნო თავისი ვინაობა,როდესაც შენ, შენი გაზეთი გაგვაცან. ბევრნი ჩვენთაგანნი, რომელნიც ჩხირით ძლივს არჩევდნენ ნაწერ ასოებს. ახლა, როდესაც შეაყვარე შენი გაზეთი და ყური ადევნეს შენს წვრთნას და ქადაგებას, — შეიქმნენ გამოცდილნი და შეგნებულნი მამულისშვილნი, ბევრმა ჩვენის სამშობლო საქართველოს კუთხეებიც კი არ ვიცოდით რიგიანად; ეხლა კი, შენის გაზეთის მეოხებით, ვიცნობთ არა თუ ჩვენს სამშობლოს, არამედ მთელს ქვეყანას კიდით-კიდემდე. და თუ ეს ასეა, თუ ამ ცოდნამ შემდეგშიაც უფრო კიდევ უმეტესად გაიდგა ფესვი ჩვენს შორის, თუ დავუახლოვდით სწავლა-განათლებას, ამის მიზეზი მაინც კიდევ შენ იქნები და მაშინაც შენ უფრო უმეტესად გეკუთვნის პატივი ჩვენგან, რადგანაც შენ ჩაჰყარე პირველად შენის გაზეთის საშუალებით ჩვენს გულში საძირკველი სწავლა-განათლების სურვილისა, და შენ გამოგვადგმევინე პირველი ნაბიჯი ბნელის ბურუსიდან.

თუმცა შენმა ამოდენა თავგანწირულმა შრომამ ამაოდ არ ჩაიარა და სინათლე მოჰფინა ჩვენი ცხოვრების გზასა, მაგრამ, სანაცვლოდ — წაერთვა სამშობლოს შენისთანა შვილი, შვილი, რომლისაგანაც ეროვნულ-ველოდით კიდევ უფრო მეტსა...

ასე სრულდება ნება შემოქმედისა! და რადგან აღარ შეგვიძლიან არარა გოდებით, არარა სასყიდლით დახსნა სიკვდილისაგან ჩვენი საყვარელი და პატიოსანის მოღვაწისა, მივცეთ, ძმანო, მაინც ამას თავისი ღირსეული ამა ქვეყნად პატივი და შევავედროთ ღმერთსაც, რათა განუსვენოს სულსა ამისსა სასუფეველსა ცათასა, იქ, სადაც განისვენებენ პატიოსანნი მამულისშვილნი და ჩვენც საბადლოდ ამისა მოგვეცეს კვლავაც კიდევ ამისთანა სვინიდისიანი და პატიოსანი მამულის-შვილები.

* * *

შემდეგ ილაპარაკა ვ. ს. მიქელაძემ. სამი თვეა, რაც ჩვენ გამოვესალმეთ ნადიმობაზე ამ კაცსაო, სთქვა ატირებულის ხმით ორატორმა. მაშინ ყველა ჩვენგანს იმედი გვქონდა, რომ ის ოდესმე ხელახლად შემოვიდოდა ჩვენს წრეში, ხელახლა აიღებდა იმ კალამს, რომლითაც ემსახურა ჩვენს საზოგადოებას თოთხმეტი წლის განმავლობაში და განაგრძობდა მსახურებასაო, მაგრამ ნაცვლად ამისა ჩვენ დღეს დავმზერთ მის კუბოსაო. ყველამ ვიცით რა ძვირფასი სარგებლობის მოტანა მიუძღვის განსვენებულს ჩვენი საზოგადოების წინაშე. იშვიათია ესეთი დაუღალავი და გამტანი მუშაკი. ჩვენი საზოგადო ასპარეზზე მომქმედი პირები გულმოდგინედ ეკიდებიან საქმეს, მაგრამ იმათი გულმოდგინება ორ-სამ წელს იქით არ გასტანს ხოლმე და განსვენებულმა კი თოთხმეტი წელიწადი აიტანა ჯაფა, სანამ ზედ თავი არ დააკლა მისგან შეყვარებულ საქმესაო...

უკანასკნელად ილაპარაკა ბატ. ე. მჭედლიძემ, გაზეთის „შრომის" რედაქტორის თანაშემწემ. ყველაზე უფრო კარგად მისი მოქმედების დამფასებელი მისივე ნაწერები არისო, მისგანვე წარმოთქმული სიტყვებიო, სთქვა ბატ. მჭედლიძემ განსვენებულზე. როცა მან გადაავლო თვალი ამ ნაწერებს, იქ იპოვა, სხვათა შორის, განსვენებულისაგან წარმოთქმული მწარე სიტყვები... ორატორმა კარგად განმარტა ეს მშვენიერი სიტყვები და სიტყვა დააბოლოვა.

უკანასკნელი სალამი მისცა ქალაქმა განსვენებულს და კუბო დაასვენეს ფაეტონზე — (ქუთაისში ჯერ ბალდახინები არ არის). მეეტლემ დაჰკრა მათრახი ცხენებს და საუკუნოდ მიგვიღო თვალთაგან ძვირფასი კაცი, რომლის დაკარგვას ჩვენ მივსტირით.

საუკუნოდ იყოს მისი ხსენება!

ქუთაისი, 25 ივლისს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა



ალექსანდრე ყაზბეგი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ალექსანდრე ყაზბეგი

„ელგუჯას“ შესახებ

მსჯელობა გვიხდება ახალ მოთხრობაზე, რომლის ბეჭდვა გაათავა „დროებამ“ წარსულს კვირაში.[1]

მიხვდებით, რომ „ელგუჯაზე“ ვაპირებ ლაპარაკს და დიდადაც მოხარული ვარ, რომ პირველად მე მომიხდა ქართულ მწერლობაში ამ მოთხრობაზე სიტყვის თქმა. „ელგუჯას“ ავტორი ბ-ნი მოჩხუბარიძე (ალექსანდრე ყაზბეგის ფსევდონიმია) ჯერ ახალი კაცია მწერლობაში და მისი მოთხრობა, მისი პირმშო ქმნილება არის. შეიძლება ბევრს არც კი წაეკითხოს ეს ჩინებული მოთხრობა, რომლის ბეჭდვა ოთხი თუ ხუთი თვე გაგრძელდა დროგამოშვებით და ამიტომაც ვარ მოხარული, რომ პირველად საჯაროდ ვაღიარო ბატონი ალ. ყაზბეგი, როგორც ნიჭიერი მწერალი და მისი „ელგუჯა“, როგორც ძვირფასი განძი ჩვენს ლიტერატურაში.

როცა „ელგუჯას“ კითხვას პირველად მივყავ ხელი, ჩვენ დარწმუნებული ვიყავით, რომ ამ მოთხრობაში ყველა იმ ნაკლულევანებას შევხვდებოდით, რომელიც განუშორებელია თითქმის ყოველ ახალ ქმნილებაში, ყოველ გამოუცდელ მწერალში, მაგრამ — არ ვიცით ამ უსაფუძვლო წინასწარ დარწმუნების ბრალია, თუ სხვა რაიმე მიზეზი — ჩვენ ამ მოთხრობის წაკითხვამ დაგვარწმუნა, რომ ნიჭიერი კაცი თავისუფალი ყოფილა ამ საზოგადო კანონის მონობიდან. ბატონმა ალ. ყაზბეგმა ერთბაშად შემოდგა ფეხი ქართულ მწერლობაში, როგორც დახელოვნებულმა მწერალმა და დიდი გემოვნების მქონე ხელოვანმა.

უბრალო, გაუხარებელ სოფლის ცხოვრებაში, კლდოვან და მიუვალ ადგილზე, ცხვრის ფარასა და დათვების გვერდით ახალგაზრდა მწერალმა გაგვაცნო ისეთი ცხოვრება, რომელიც მთელ მხარეს აყვარებს გატაცებულ მკითხველს. ისე ხელოვნურად აამუშავა ალ. ყაზბეგმა თავისი მარჯვენა, რომ მის ხელში კალამი ბურღს დაემსგავსა, რომელმაც გააპო მთიელის მაგარი, სქელი კანი და დაგვანახა მისი ლბილი და ნორჩი გული — ღრმად მგრძნობიარე და პატიოსანი.

კარგა ხანია ქართული ნაწერის კითხვას ასე არ უსიამოვნებია ჩვენთვის, როგორც ვისიამოვნეთ „ელგუჯას“ კითხვით.

---

[1] ამოღებულია სტატიიდან „საუბარი“, რომელშიც სხვადასხვა საკითხზეა მსჯელობა. იხ. „დროება“ 1881 წ. № 269. ლელოს ხელმოწერით.—ს. ც.

აი მოკლე, სულ მოკლე შინაარსი მოთხრობისა:

ელგუჯა, 22 წლის ყმაწვილი, მოხევეა. იმას შეუყვარდა ანაზდად ერთი ჩერქეზის ქალი მზაღვე, რომელიც ვიღაც ოსმა მოუყვანა ძღვნად გაგი ჩოფიკაშვილს. ელგუჯამ მზაღვეს ხელი სთხოვა გაგის, მაგრამ გაგიმ არ მისცა. სიყვარულით გაგიჟებულმა ჭაბუკმა მოიტაცა მზაღვე, რომელსაც თვითონაც დიდად შეუყვარდა ელგუჯა. გაგი გაედევნა კადნიერ ელგუჯას და როდესაც საქმე სროლაზე მივარდა, ელგუჯამ გაგის დაუჭრა ცხენი და ცხენიანად კლდეზე გადააგდო. ელგუჯას ამისთვის შემოერტყა რუსეთის მთავრობის ჯარი, რომელიც მაშინ ახლად შემოსული იყო საქართველოში, დაუხოცეს ამხანაგები, წაართვეს მზაღვე და თვითონაც სიკვდილის პირამდი დასჭრეს. როცა ამ ჭრილობიდან გამორჩა ელგუჯა, იმან როგორც იყო მზაღვე შეირთო. მაგრამ არც ოჯახში დასცალდა იმას დიდხანს ბედნიერება, მაზრის უფროსმა მზაღვეს სილამაზით გამოჯავრებულმა, მიგზავნა ელგუჯასთან ყაზახები და მოაკვლევინა ის. ამით თავდება მოთხრობა.

ჩვენ აქვე მოვიყვანთ ზოგიერთ ადგილს ალ. ყაზბეგის მოთხრობიდან, მაგრამ მანამ ცოტა ნაკლოვანებაზედაც უნდა შევჩერდეთ.

ჯერ ერთი, რომ ენა ვერ არის მოთხრობის შესაბამი. მოთხრობაში, რომანებში და საზოგადოდ ბელეტრისტულ თხზულებებში ენას იმდენივე ადგილი უჭირავს, რამდენიც ავტორის ფანტაზიას, მისს პოეტურ ნიჭს. ყაზბეგის წერის კილო კარგია. ის ლამაზად უხდება, როგორც ბუნების აღწერას, ისე სულიერი მოძრაობის და ხალხის ზნეობის უკლებად გამოსახვას, მაგრამ სუსტია ფორმებით და კარგი ფრაზებით. ასე რომ ყაზბეგის ენა, რომელიც არ არის ურიგო საზოგადო კითხვაში, ცალკე და ფრაზა-ფრაზით გარჩეული, ვერ არის გამართული და დახვეწილი.

ამ ნაკლოვანების გარდა თვითონ მოთხრობაში არის ზოგიერთი უსწორ-მასწორობა. მისი შესავალი სულ უნდა გამოირიცხოს მოთხრობიდან, როგორმე უნდა გადაკეთდეს მოთხრობის ბოლო და შემოკლებულ იქნას სვიმონა ჩოფიკაშვილის ტირილი. გაზეთის სტატია ნებას არ გვაძლევს ამაზე უფრო დაწვრილებით ვილაპარაკოთ, მაგრამ ეს ისეთი უსწორ-მასწორობაა, რომელიც ამხილებს ავტორის აჩქარებულ მუშაობას და არა ნიჭის ნაკლულევანებას.

განსაკუთრებით საქები ამ ახალ მწერალში ის არის, რომ იმას თითქმის ყოველი მოთხრობის ნაწილი სიმეტრიულად აქვს ერთმანეთთან შეთანხმებული, ეპიზოდები არც ნამეტნავად აქვს აწერილი და არც ნაკლებად...

ახლა მოვიყვანოთ რამდენიმე ადგილი მოთხრობიდან, თუმცა არ ვიცი რას უფრო მივცე უპირატესობა ხალხის ზნეობის აღწერას, კაცის სულის მოძრაობის გამოხატვას თუ ბუნების გამოსახვას. მოვიყვანოთ ისეთი ადგილები, რომელნიც ხელში მოგვხვდებიან.

წაიკითხეთ ეს მათიას სიყვარულის აღწერა:

„...მათიას ცხვარი გაერეკა საძოვარზედ. თითონ დაყუდებული იყო შვინდის კომბალზედ და მთებს გაჰყურებდა. ცხვრები, ერთი-ერთმანეთის შურით ერთმანეთს წინ გადაურბოდნენ და გაუმაძღრად სწიწკნიდნენ ბალახს.

ცხვარი ძოვნით მიდიოდა და შორდებოდა მწყემსს, რომელიც ისევ იმ ადგილს გაუნძრევლად იდგა და ერთის ალაგისათვის მიეჭცია ყურადღება. საკვირველი იყო, რომ ყოველთვის მუყაითი მათია, განთქმული მწყემსი, რომელიც ერთხელაც არ მოშორდებოდა თავის საქონელს — დღეს ასე ჩაფიქრებულიყო და ერთს ალაგას მისციებოდა. იქნება იმ მშვენიერმა სურათმა გაიტაცა, რომელნიც თვალწინ ეხატებოდნენ? არა, ის იმ დროს არც იმ ამაყად აყუდებულს მთებსა ხედავდა, არც მშვენივრად გადაფენილ ტყეებს, არც ნაჩხატებს, რომელიც ჩხრიალით თეთრ რძესავით ქაფდებოდა, გადმოდიოდა კლდეებიდან და ათას წინწკლებად იფანტებოდა; არც მწვანედ მოდებულს ველებს, რომელიც ათასფერის სურნელოვან ყვავილებით ბუნებას შეემკო. მაშ რა უნდა ყოფილიყო იმ ჟამად ისე ამ კაცის გონების ასე რიგად მიმზიდველი და გამტაცებელი?“..

მეორე ადგილზე ესევე მათია წარმოდგენილია ველზედ მწოლიარედ. სიყვარულისაგან შეპყრობილს არ ეძინება.

„...ამოიოხრა და გადაბრუნდა მეორე გვერდზე. მთვარე, რომელიც იმ ღამეს, თითქოს ისე გაკაშკაშებულიყო, დედამიწას ნაზ სხივებს ჰფენდა და კაცის გულს მღელვარებას უღვიძებდა. მათიას გადაბრუნებაზედ მთვარის შუქი პირდაპირ პირისახეზე მიადგა და ძალათი თვალები გაახელინა. მთიული ამობრუნდა გულალმა და მთვარეს გატაცებით ყურება დაუწყო. შუქი თანაგრძნობით უალერსებდა იმის გახუნებულ გრძნობას და ეუბნებოდა: „შენ უბედური ხარ და მე, მარტო მე თანაგიგრძნობ. მე მომენდე, მე არასოდეს არ გაგცემ, მარტო მე შემიძლიან შენი საიდუმლოს შენახვა“...

ახლა ეს ორი ყოჩის წაკიდება ნახეთ, როგორ არის აღწერილი:

„...ყოჩები უკან-უკან წავიდოდნენ, გადაუდგებოდნენ ერთმანეთს განზედ და, როდესაც საკმაოდ განშორდებოდნენ, კამარით და ლაზათიანის ხტუნაობით, ყელმოღერებულები ერთი ერთმანეთისაკენ გაექანებოდნენ, მიახლოვებულნი შუბლს ერთმანეთს მედგრად აჯახებდნენ, შემდეგ, გაბრუებულები, ფრუტუნით გაიქნევდნენ თავს და ისევ ხელმეორედ განშორდებოდნენ, რათა ხელახლად ეცადათ თავიანთი რქების, კისრის და თავის სიმაგრე და ძალა“...

აი ბუნების აღწერაც:

„შავი ღრუბელი გამოჩნდა ჩრდილოეთის მხრით. ჰაერი შესდგა, თითქო იმ ადგილას თავის დღეში ქარს არ გაეკროლა; ჩამოცხა კიდეც. ღრუბელი თანდათან იზრდებოდა, თითქოს უხილავი ძალა ჰბერავდა; ცა ტყვიის ფერად მოიქცა. ერთბაშად დაჰკროლა ქარმა და აქაურობას კორიანტელი აადინა; ფოთლებმა შრიალი დაიწყეს, მაღალი ხეები შეირყა და თითქოს ვიღაცას ეშუქრებოდნენ, თავების ქნევა დაიწყეს. ქარი ისევ ჩავარდა, ხმაურობა შეწყდა, ისევ ჩამოცხა და, სულთქმა გაძნელდა; ერთბაშად იეჭეა, იგრიალა და წამოვიდა ხშირი შხაპუნა, ქარიშხალში არეული წვიმა. მთებიდან ჩამონადენი პატარა წყლები წუთზედ ნიაღვრებად გადაიქცა; ისეთ ნიაღვრებად, რომლის ძალასაც წინ ეღარა უმაგრდებოდა რა“...

ამ ადგილებში მიაქციეთ ყურადღება მარტო სურათებს, შედარებებს, ფანტაზიას; დაივიწყეთ ენის უსწორობა და, მგონია, თქვენც დამეთანხმებით, რომ მოთხრობა „ელგუჯა“ მოვლენას შეადგენს ჩვენს მწერლობაში.

ყველაფერში, ყოველთვის და ყოველგვარ ჯერ ღირსების ძიება არის ჩემი დევიზი და ხშირად რაიმე ღირსების მიმხედი, თვალს ვარიდებ ნაკლულევანებას. ბ-ნ ყაზბეგს იმდენი ღირსება აქვს, რომ მე არ მინდა მისი

ნაკლულევანება დავაყვედრო მას. დარწმუნებული ვარ, რომ თვითონ მას შეუძლიან სხვაზე უკეთ, საკუთარი ნაკლოვანების გასწორება, რადგანაც ეს ნაკლოვანება აჩქარებით მოსვლია მას. თუმცა არ შემიძლიან არა ვთქვა, რომ იმ პირობებში, რომელშიაც ბ-ნი ყაზბეგი წერდა თავის მოთხრობებს, უნაკლულოდ წერა შეუძლებელია. დღეს ერთ ფელეტონს აქ დაწერდა და დააბეჭდვინებდა, ხვალ გორში დასწერდა, ზეგ ქუთაისში, მაზეგ ფოთში და ბათუმში. არც გასწორება, არც მეორეჯერ გადაკითხვა და არც უკანასკნელი რედაქცია. ჩქარა, ფელეტონი! ეტყოდნენ რედაქციაში ავტორს, და ამ ფელეტონებიდან ნელ-ნელა ცხვა, ცხვა და ჩინებული მოთხრობა გამოცხვა.

ჟურნალი „ივერია", 1883 წ. № 1

საამურმა, გამაცოცხლებელმა ნიავმა დაუბერა კავკასიის მთების ხეობებიდან ჩვენს სულშემხუთველ ჰაერს, ჩვენს, თითქოს ცივილიზებული ცხოვრების ორომტრიალში მოქცეულ ადამიანებს, როდესაც ჟურნალ „ივერიის" იანვრის წიგნში ბ. მოჩხუბარიძის უკანასკნელმა მოთხრობამ ჩვენს წინ გადაშალა ამ ხეობების მკვიდრთა ზნე-ჩვეულებანი და ყოფა-ცხოვრება. გამოგვაფხიზლა მთის ჰაერმა და მიგვიზიდა იმ პატრიარქალური ზნე-ჩვეულებების წმინდა სავანეში, დედამიწის იმ საუცხოვო კუნჭულში, რომელსაც ჯერ კიდევ არ შეჰხებია არც შური, არც ბოროტება, არც ვერაგობა, არც ცილისწამება, არც სხვა კეთილი ნაყოფი ჩვენი თანამედროვე ცივილიზაციისა. თითქოს ჰაერთან ერთად, ზნე-ჩვეულებანიც თანდათან იწმინდებიან იმის მიხედვით, თუ მიწის ზედაპირი რამდენად მაღლდება ზღვის დონედან.

უბრალოა და მარტივი ბ. მოჩხუბარიძის მიერ დახატული ცხოვრება მთიელებისა. რომელიღაც დღეობაზე მისი მოთხრობის გმირმა შეიყვარა მთავარი გმირი — ქალი ციკო და სთხოვა ქალის მშობლებს მისი ხელი. მიიღო რა უარი, ვაჟმა მოიტაცა ქალი მისი მშობლების სახლიდან და ჩაიკეტა თავის მიუდგომელ სახლში. ქალის მშობლებმა და მეზობლებმა ალყა შემოარტყეს ამ სახლს და მოსთხოვეს ვაჟს ტყვე ქალის დაბრუნება. მაგრამ მოხდა ის, რომ ვაჟის ერთმა მავედრებელმა შეხედვამ, მისი თვალების ერთმა გაელვებამ სრულიად შესცვალა ქალის განწყობილება, რომელსაც მანამდის არ ჰქონდა სურვილი დათანხმებულიყო გამტაცებლის სიყვარულზე. როცა დაჰკითხეს, ციკომ განაცხადა, რომ თავისი სურვილით დანებდა საქმროს., მაშინ მეზობლებმა ძირს დაუშვეს თითქმის გასასროლად მომარჯვებული თოფები და თავ-თავიანთ სახლებში დაბრუნდნენ. მაგრამ ციკოს არ ეწერა ბედად ოჯახური ბედნიერების განცდა.

ჯვარის წერის დროს მისი ქმარი დააპატიმრეს ადგილობრივმა ხელისუფლებმა, ბრალად დადეს მთიელების აჯანყება და გადაგზავნეს თბილის-

[1] ამოღებულია 1883 წ. გაზეთ „კავკაზის" № 44-ში მოთავსებულ სტატიიდან", რომელშიც გარჩეულია ჟურნალ „ივერიის" 1883 წ. № 1.

ბით, არამედ მისი საყოფაცხოვრებო მხარეებით, მისი მხატვრული დამუშავებით.

ორი წლის წინათ, როდესაც ბ-ნმა მოჩხუბარიძემ დაბეჭდა თავისი პირველი მოთხრობა „ელგუჯა", ქართველი მკითხველი საზოგადოება მას შეხვდა აღფრთოვანებით და მიესალმა ლიტერატურაში დიდი და მომავლისათვის კიდევ უფრო საიმედო ბელეტრისტული ნიჭის გამოჩენას. გაზეთ „დროებაში" ამ მოთხრობის დაბეჭდვის დამთავრებასთან დაკავშირებით ჩვენ თვითონ შემდეგს ვწერდით: ბ-ნი მოჩხუბარიძე ჯერ ახალი კაცია მწერლობაში და მისი მოთხრობა „ელგუჯა" მისი პირმშო ქმნილებაა... როცა „ელგუჯას კითხვას პირველად მივყავი ხელი, ჩვენ დარწმუნებული ვიყავით, რომ ამ მოთხრობაში ყოველ იმ ნაკლოვანებას შევხვდებოდით, რომელიც განუშორებელია ყოველ ახალ ქმნილებაში, ყოველ გამოუცდელ მწერლობაში, მაგრამ არ ვიცით, ამ უსაფუძვლო წინასწარი დარწმუნების ბრალია, თუ სხვა რაიმე მიზეზი — ჩვენ ამ მოთხრობის კითხვამ დაგვარწმუნა, რომ ნიჭიერი კაცი თავისუფალი ყოფილა ამ საზოგადო კანონის მონობიდან. ბ-ნმა მოჩხუბარიძემ ერთბაშად შემოდგა ფეხი ქართულ მწერლობაში, როგორც დახელოვნებულმა მწერალმა და დიდი გემოვნების მქონე ხელოვანმა.

უბრალო გაუხარებელ სოფლის ცხოვრებაში, კლდოვან და მიუვალ ადგილზე, ცხვრის ფარასა და ძოვების გვერდით ახალგაზრდა მწერალმა გაგვაცნო ისეთი ცხოვრება, რომელიც მთელ მხარეს აყვარებს გატაცებულ მკითხველს. ისე ხელოვნურად ამუშავა მწერალმა თავისი მარჯვენა, რომ მის ხელში კალამი ბურღს დაემსგავსა, რომელმაც გააპო მთიელის სქელი, მაგარი კანი და დაგვანახა ლბილი და ნორჩი მისი გული, ღრმად მგრძნობიარე და პატიოსანი".. („დროება", 1881 წ. 269).

მასუკან ჩვენ მეტი ინტერესით ვადევნებდით თვალყურს ყოველ მცირე მოთხრობასაც კი, რომელიც იბეჭდებოდა ბ-ნ მოჩხუბარიძის ხელმოწერით. ველოდით, რომ მისი ბრწყინვალე დებიუტის შემდეგ მისი შემდგომი ნაწარმოებები გაამართლებდნენ ჩვენს მოლოდინს. მაგრამ სინამდვილეში აღმოჩნდა, რომ ჩვენი მოლოდინი მხოლოდ სანახევროდ გამართლდა. მოჩხუბარიძის ორ უკანასკნელ ნაწარმოებში ჩვენ ვპოულობთ ავტორის იმავე შემოქმედებითს ძალას, იმავე გულთბილობას, იმავე მხატვრულ ალღოს, იმავე გულისხმიერებას და დამკვირველობას, რაც ჩვენ გვაოცებდა მის პირველ ზევით დასახელებულ ნაწარმოებში, მაგრამ მაინც როგორღაც ისე არ გამოდის. აქ ყოველ ნაბიჯზე მკითხველი აწყდება რაღაც დაუმთავრებელს, ბოლომდე უთქმელს. ის ხშირად ხედავს, რომ რომელიმე მხატვრული მოთხრობა, საინტერესო ეპიზოდი წყდება უცებ დაუხვეწელი დასკვნითი სტრიქონებით, რომლებიც გაძლიერებული სისწრაფით მიგვაქანე-

ბენ ამბის დასრულებისაკენ. თითქოს ავტორმა მიზნად დაისახა, რაც შეიძლება ჩქარა დაუსვას თავის ნაწარმოებს უკანასკნელი წერტილი.

აიხსნება ეს ერთი გარემოებით, რომლის შესახებაც აქ მსურს ვთქვა ორიოდე სიტყვა. ბ-ნი მოჩხუბარიძე იწყებს თავის ნაწარმოებთა ბეჭდვას, როგორც კი მოასწრებს თავისი მომავალი ნაწარმოების შინაარსის მონახვას ერთი საგაზეთო ფელეტონის მოცულობით. რა იქნება შემდეგ, რა სიძნელეები წამოიჭრება შემდეგში იმის გამო, რომ მან ასე და არა სხვაგვარად დაამთავრა მოცემული ფელეტონი — ამის შესახებ ის არც კი ფიქრობს. ამასთანავე საგაზეთო მუშაობა მისგან მოითხოვს სიჩქარეს, მოთხრობის წარმართვას tambour battant, მხატვრული ნაწარმოები კი ამას ვერ ითმენს. არაერთხელ უწერია ბ-ნ მოჩხუბარიძეს თავისი მოთხრობები ნაგლეჯ-ნაგლეჯად, ერთი ფელეტონი თბილისში, მეორე — ქუთაისში, ფოთში ან ბათუმში, სხვადასხვა გარემოებაში, არათანაბარი სულიერი განწყობილებით.

ბ. მოჩხუბარიძის უკანასკნელ ნაწარმოებთა შედარებითი წარუმატებლობა აიხსნება მისი მუშაობის ამ სიჩქარით. მან, ვგონებ, არ უწყის, რომ არც ერთი რომანისტი, რომელიც პატივსა სცემს თავის სახელსა და ნიჭს, არ გადაწყვეტს დაიწყოს ბეჭდვა თავისი ნაწარმოებისა, სანამ მას არ დაამთავრებს და აუცილებლად არ გაავსებს შესწორებებით ცალკეული ნაწილებისა და ეპიზოდების შესათანხმებლად. მისი საბოლოო რედაქციის დროს ევროპის საუკეთესო რომანისტები: დოდე, ზოლა, დელპი თავის რომანებს წერენ რვა, ცხრა თვის, ზოგჯერაც მთელი წლის განმავლობაში, და მათი ნაწერები გადაეცემა ხოლმე პერიოდულ გამოცემებს გამოსაქვეყნებლად მხოლოდ მაშინ, როდესაც დასანანებელი აღარა დარჩებათ რა თავის ადგილას დაუსმელი აღარც ერთი წერტილიც კი. ფლობერმა საკუთარ ნაწარმოებებზე ამ თანგადაყოლას თითქმის ავადმყოფური ხასიათი მისცა, როდესაც ის ამტკიცებს, რომ ადამიანს თავის ცხოვრებაში შეუძლია დასწეროს მხოლოდ ერთი წიგნი.

ბ-მა მოჩხუბარიძემ კი რაღაც ორ-სამ წელიწადში სამი დიდი და რამდენიმე წვრილი მოთხრობა გამოაცხო. მათი ენა ძლივ-ძლივობით მისდევს მისი კალმის სისწრაფეს, სიმსუბუქეს, — მის სულიერ მოძრაობაში დაფარულ აზრთა და სურვილთა გამოსახატავად და ისიც არაბუნებრივი ხერხით როგორც ის მუშაობდა თავის ნაწარმოებებზე. არ შეიძლება სინანული არ გამოვთქვათ ამაზე: ნიჭი კარგავს თავის ბრწყინვალებას ამგვარი ლიტერატურული მუშაობის დროს, ის მთლიანად ვერ აისახება თავის ქმნილებებში, და არ შეუძლია შეიცნოს თავისთავი, როდესაც მასში იხედება როგორც სარკეში.

მაგრამ შედარებით უკეთესობა ბ-ნ მოჩხუბარიძის პირველი ნაწარმოებისა იმ მოთხრობასთან შედარებით, რომელსაც ახლა ვარჩევთ არ ართმევს ამ უკანასკნელს თავის ღირსებებს, ჩვენ ვთქვით ზემოთ და ახლაც ვიმეორებთ აქ, რომ მოჩხუბარიძის უკანასკნელი მოთხრობის მხატვრული

დამუშავება და საყოთაცხოვრებო მხარე იქცევს მკითხველების ყურადღებას. იმისათვის, რომ იიქონიოთ წარმოდგენა ავტორის მხატვრულობის შესახებ მოგვყავს აქვე მისი მოთხრობის შემდეგი ადგილი:

„გუგუა გავიდა ნარიანის ჩონჩხებში სწორედ იმ დროს, როდესაც ამაყად ამართულს გათეთრებულს ყინვარს მზის უკანასკნელი სხივების გვირგვინი დაედგა და თავის სიმაღლიდგან სიამაყით გადმოსცქეროდა გამხეცებულს თერგს, თერგიც ათას ჩანჩქერებს ისროდა ქვიდგან ქვაზედ. ქაფდებოდა, იკვრებოდა ბურთსავით, განიბნეოდა წვრილს ნამად და გამაცოცხლებელს ფარდახტად ედებოდა ყნოსიერს, ხავერდის მსგავსს, ნაზის ფერადით აჭრელებულს ბალახიანს ველებს, — გაჰქონდა რალაცა მედიდური, თითქოს ერთხმად გადაქცეული გრიალი, რომელიც ხან ამაღლდებოდა და ემსგავსებოდა გამძვინვარებულის ლომის ხმას. ხან შეყვარებულის ნაზ ჩურჩულად გადაიქცეოდა. იმისდაგვარად თუ ქარი საიდგან და რა ძალით დაჰბერავდა. რა რიგად დატრიალდებოდა ხვეულს და უსწორ-მასწორო მთებში. ეს იყო რალაც ამაყი, მედიდური ხმა, გათამამებული ღრიალი, ღრიალი, რომელშიაც გამოისმოდა ათასგვარი დამყვავებელი და გულის აღმძრავი ნაზი ხმები.

გუგუა დაყრდნობილი თავის თოფზედ, მოხიბლული მშვენიერის სურათებით და ნეტარების აღმძვრელის ხმებით, გაჰყურებდა მთებს, სტკბებოდა და ნაზს, მარტო მთის ხალხისაგან ნაგრძნობს, ნებიერებას ეძლეოდა.

ის ამ გატაცებაში იყო, როდესაც ცის ტატნობზედ, ერთს ფიწალო კლდის წვერზედ, გამოჩნდა ხარ-ლაღი, რომელიც იქამდის გამოიზნიქა კლდეზედ, რომ კაცი იფიქრებდა — გადმოვარდნას აპირებსო; მაგრამ პატიოსანი პირუტყვი თითქოს ერთბაშად გაქვავებული დარჩა და შუბლი მიუშვირა გამაგრილებელს ნიავს. შეუჩვევარ თვალს ის, უეჭველია, ქვისაგან გამოკვეთილი ეგონებოდა, ისე გაუნძრევლად და გადმოხრილი იდგა. ცოტა ხანს შემდეგ წყნარად გაიქნია თავი, გადახტა მეორე კლდის კინწიროზედ და ხელისგულის ოდენა ადგილზედ ოთხივე ფეხი ერთად მიტანილი შესდგა. იქიდგან გადმოხტა მესამეზედ, მეოთხეზედ და ამგვარად დაიწყო ვარჯიშობა იმ მარტო შესახედაც გულისგამხეთქს კლდეებზედ, თითქოს უნდოდა ეჩვენებინა თავის სიმარდე და ფეხის ძარღვების სიმაგრე.

გუგუა გასცქეროდა და მოელოდა, რომ სათოფედ მოახლოვდებოდა, მაგრამ ხარ-ლაღი იმ ადგილს არ შორდებოდა. მოხევე წამოდგა, მოეფარა მთას და მალვით სათაური ისე წამოუარა, რომ ან ჯიხვს არ დაენახა, ან ქარს სუნი არ მიეყარა იმისაგან. მრნადირე გადაწვა კლდეზედ და ისე დაინახა ჯიხვი, რომელსაც ვარჯიში მოსწყენოდა, გასულიყო კლდის ნაპირად, ამოედო სამი ფეხი ქვეშ, მეოთხე კი, პირდაპირ გაეშვირა და ისე დაწოლილიყო. ნისლი, რომელიც — წყნარად მოცურავდა მთის წვერზედ, მიახლოვდა ჯიხვს და ნახევრად გახვია შიგ. პირუტყვს ეტყობოდა, რომ იმას ასიამოვნებდა გრილი ნოტიო ნიავი, რომელიც ნისლის აუცილებელი თანამგზავრია, და ამის გამო სიამოვნებით იწვდიდა კისერს და აგებებდა თავს მომავალს ნისლს. გუგუამ გადაუშვირა თოფი, მაგრამ შენანდა პირუტყვი, რადგანაც არ უნდოდა სიამოვნება მოეკლო იმისათვის. მაგრამ დაჰბერა ქარმა და თეთრის გაპენტილის ბამბასავით ნისლი საჩქაროდ წამოვიდა. მოხევეს შეეშინდა, რომ ნისლი ჯიხვს არ გადაჰფარებოდა და იმისთანა ხარ-ლაღი ხელიდგან არ გამოეცალა. გავარდა თოფი, შეხტა ჯიხვი და რამდენჯერმე გადატრიალდა ჰაერში, გადმოვარდა კლდეზედ და ჩაიჭედა ქვების შუა ხევში“...

ადგილის სიმცირე გვაიძულებს დავკმაყოფილდეთ ბ. მოჩხუბარიძის მხატვრული აღწერილობის ამ მცირე ნიმუშებით და გამოვტოვოთ დიდ ძალი მხატვრული გვერდები, რომელთა წაკითხვა სულიერად ატკბობს მოთხრობის მკითხველს.

თავისი საყოფაცხოვრებო მხარეებით ბ. მოჩხუბარიძის მოთხრობას

შეიძლება ეწოდოს მთლად ენთოგრაფიული მოთხრობა, მისგან აღწერილ ზნე-ჩვეულებათა და ურთიერთ-დამოკიდებულებათა უბრალოება, მეგობრისა და მიცემული სიტყვისადმი ერთგულება, მორჩილება ღმერთისა და უხუცესისადმი, სისხლის აღება და შურისძიება შეურაცხყოფისათვის, უშიშრობა, პირდაპირობა, ოჯახური კერის სიწმინდე და ქართული მოდგმის მთიელების სხვა დამახასიათებელი მხარეები იმდენივე საინტერესონი არიან, რამდენადაც ჭკუის სასწავლნი.

ჩვენ უარს ვამბობთ ამის შემდეგ ბ-ნ მოჩხუბარიძის მოთხრობის მიმართ შაბლონური, ჩვეულებრივი აზრის გამოთქმაზე და თავს .ვანებებთ მსჯელობას იმის შესახებ, თუ რა ისტორიულმა მონაცემებმა, რა სოციალურმა პირობებმა შექმნეს სწორედ ასეთი და არა სხვაგვარი ცხოვრება მთიელებისა და რამდენად სწორად აგვისახა ეს ცხოვრება მოჩხუბარიძემ, ჩვენ ვამჯობინებთ, რომ ვუჩვენოთ მოჩხუბარიძის ზოგიერთი წმინდა ლიტერატურული ნაკლოვანებები.

ზოგადი საყვედური, რომელიც შეიძლება ვუთხრათ მის ნაწარმოებებს, ესაა შინაარსის ერთგვარობა თითოეულ მათგანში, პირველად ეს იმ ქალთან შეხვედრაა., შემდეგ სიყვარული და მოტაცება, მერე შურისძიება, საპყრობილე და ბოლოს მოქმედი პირების სამწუხარო, ტრაგიკული სიკვდილი. ვერც ერთმა მოთხრობამ ვერ აიცილა თავიდან ეს შინაარსი: ამასთანავე ყოველივე ამას თან ახლავს ერთგვარი გარემოცულობა. ერთი და იგივე დაბეზღებები, ყაზახებისა და ძალაუფლების მქონეთა ერთი და იგივე უხეშობა და ძალადობა, ერთი და იგივე მიკერძოება-მიმდგმურობა თავის ნაწარმოებში გამოყვანილ დამცირებულთა და შეურაცხყოფილთადმი და ხშირად უსამართლო თავდასხმები დამამცირებლებზე და შეურაცხმყოფელებზე (ეს უკანასკნელი განსაკუთრებით ცუდ შთაბეჭდილებას ახდენს მოთხრობაში). ჩვენ შეუძლიათ მოგვიგონ: „სწორედ ესაა მთიელების მთელი ცხოვრება; სხვა შინაარსის მიცემა მას არც შეეძლო — მწერლისათვის“. მაგრამ იქიდან, რომ მთიელთა ცხოვრებაში ჭარბობს ზევით ჩამოთვლილი მოვლენები, სრულიადაც არ შეიძლება დავასკვნათ, რომ რომანისტს არ შეეძლო წარმოედგინა ჩვენთვის მთიელთა ცხოვრება ამ თოფის სროლისა და მკვლელობათა გარეშე, ამ მდივანბეგების უხეში ძალადობის გარეშე, რომ მას არ შეეძლო ეჩვენებინა ჩვენთვის ინტიმური, ასე ვთქვათ, მშვიდობიანი მხარე მათი ცხოვრებისა, გაშლიდა რა თავის მოთხრობას რომელიმე გაჩაღებული კერის გარშემო. დედაბერისა, ბებიასა და მის ლოყაწითელ შვილიშვილ-გოგონასა და ახალგაზრდა მეზობელ მწყემსს შორის. კიდევ ერთი ნაწარმოები ბ. მოჩხუბარიძის მისი ჩვეულებრივი ხერხებითურთ, კიდევ ერთი მათრახი კაზაკისა მთიელის ზურგზე — და მწერალს დაემუქრება საფრთხე, გახდება მოსაწყენი და დარჩება მკითხველებისა და თაყვანისმცემლების გარეშე.

ამ ზოგად ნაკლს მოსდევს ავტორის ჩარევა მოთხრობის მოქმედების მსვლელობაში და მის მიერ მსჯავრის წარმოთქმა პირებისა და ამბების

მიმართ. რომანისტების უახლესმა სკოლამ სრულიად განდევნა რომანებიდან და მოთხრობებიდან ავტორის პიროვნება და მკითხველებს მიანდო თვით გამოთქვან მსჯავრი ადამიანებსა და ახალ მოვლენებზე. ა. დოდეს ახალ რომან „l' Evangeliste"-ში თქვენ ვერ შეხვდებით ვერც ერთ ეპითეტს, რომელიც ავტორს ეკუთვნოდეს. ბ-ნ. მოჩხუბარიძეს აქვს ეს ცოდვები. ის მარჯვნივ და მარცხნივ არიგებს სიტყვებს. „პატიოსანი", „უპატიოსნო" და მსჯავრს დებს თავისი მოთხრობის მოქმედ პირებს. ბ-ნ მოჩხუბარიძის ნაწერების ერთ-ერთს ყველაზე ძირითად ნაკლს შეადგენს ენის არასისწორე საერთოდ და მთიელთა განვითარებისათვის შეუსაბამო მეტყველება, რომელსაც მიმართავენ მოთხრობის გმირები, მისი ხევსური გლეხის ქალი ხმარობს დამოკიდებულ წინადადებებს და ყურადღებას არ აქცევს მიმღეობებს და აბსოლუტივებს, რომელიმე მწყემსის წამოძახილები კი მოცემულია ელისაბედ დედოფალის ეპოქის ტრაგედიის სიტყვებით!.

ბ-ნ მოჩხუბარიძის დასახელებული მოთხრობის ჩვენი გარჩევის დასკვნად ვუსურვებთ მწერალს მისი უკანასკნელი მოთხრობის ნაკლოვანებანი გამოისყიდოს მისთვის შესაძლებელი, გააზრებული დახვეწილი სრულიად მხატვრული ნაწარმოებით. ვისაც მეტი აქვს მოცემული უფლება გვაქვს მისგან მეტიც მოვიკითხოთ.

ამ წერილის მომეტებული ნაწილი ჩვენ, დავუთმეთ ბ. მოჩხუბარიძის მოთხრობას, ვინაიდან ყველა იმ სტატიებიდან, რომლებიც შესულია ჟურნალ „ივერიის" პირველ ნომერში, მხოლოდ ის წარმოადგენს ერთგვარ შენაძენს ქართული ლიტერატურისათვის...

„მოძღვრის" გამო

არ იქნა, ვერ დაუწინაურდა „ელგუჯას" ბ. მოჩხუბარიძე, ვერა და ვერა. ეს პირველი მისი მოთხრობა იმდენად კარგია, იმდენი, მართლა, პოეტური დაკვირვებებით არის აღსავსე, იმდენად „სწორეა ნამდვილთან," ე. ი. მთასთან და მთიელებთან და საზოგადოდ ისეთი ხელოვნებით არის აგებული,რომ ყოველი ახალი მოთხრობით მართლა ადვილი არ არის გაუსწროს თვით ავტორმაც ამგვარ ჭეშმარიტად შესამჩნევ თხზულებას. „ელგუჯას" შემდეგ დაწერილი მოთხრობები: „მამის მკვლელი," „ელისო," ეს უკანასკნელი „მოძღვარი" და სხვა წვრილმანი ამბები იმ თავ-მოთხრობასთან, სულ უბრალო ნაწერებად მოჩანან, რომელთა გარეკა „ელგუჯას" ამალაშიც „რა იქმნების". „ულგუჯასათვის" საკადრისი, სრული თვისი ნიჭი, მთელი თვისი ხელოვნება ავტორმა ჯერ მარტო „ელგუჯაში" გამოიჩინა. ეს მოთხრობა პირველი ნაბიჯი იყო მისთვის, მაგრამ რომ იტყვიან, ლომის ნახტომიო, სწორედ ის იყო. ერთმა ჩვენმა უპირველესმა მწერალთაგანმა ტყუილად არა თქვა: მოჩხუბარიძემ არ იცის, რომ „ელგუჯას" შემდეგ იმას ნება არა აქვს რამდენიმე წელი კალამი ხელში აიღოსო!

საბედნიეროდ თუ საუბედუროდ, ბ. მოჩხუბარიძემ ამ კანონს, რომელიც შეიძლება მართალიც იყოს, მაგრამ ცოტა არ იყოს, მოიქართულებს, ყური არ ათხოვა და საა-ოთი ხელს ათიოდე ძოთაირობა დასწერა, დრამებსა და ვოდევილებს გარდა, — ასე რომ ჯერ დროებით ის ყველა ჩვენს ახლანდელ მწერლებზე უფრო ნაყოფიერი ბელეტრისტი შეიქნა. ამ ხანში ლიტერატურული ღირსებითაც კი დაიჭირა იმან საპატიო ადგილი; პატარა მწერლობაში ის დადგა პირველ რიგზე, ჩვენს უპირველეს მწერალთა გვერდით და როგორც ყმაწვილ კაცს, დიდი მომავალი გაეხსნა წინ. წერის სიადვილე მისი ხელობა არის. მის ფრაზებს და კილოს არ ეტყობა ნაძალადევობა, ბუნების აღწერის სხვადასხვაობა გამოულეველად დგას მის საწერელში, მოთხრობა და დიალოგი თავისუფალი აქვს და მოხერხებული, წერის გულმოდგინება ხომ მისი თვისებაა. ერთი სიტყვით, ბ. მოჩხუბარიძის ნაწერებში სულ ყველაფერი გვეუბნება ჩვენ, რომ ეს ნაწერები მხოლოდ მცირედი ნაწილია იმ ლიტერატურულ ნაწარმოებთა, რომლის მოლოდინის ნება აქვს დღეს მისგან ქართულ მწერლობას.

გაამართლებს თუ არა ბ. მოჩხუბარიძე ამ იმედს, ეს მისგან არის დამოკიდებული. თუ არ გაამართლა, ამის მიზეზი მისი ნიჭი არ იქნება, — რომლის უარყოფა შეუძლებელია — ამის მიზეზი იქნება სულ სხვა გარემოება, რომელსაც, როგორც ეკალს, შეუშთვია არა ერთი ტალანტი ჩვენი მწერლობისა; ამისი მიზეზი იქნება ჩვენი საზოგადო სისუსტე: გონებრივ-საზოგადოებრივი ცხოვრების უმყოფელობა, მწერლობის სიღარიბე, მკითხველების სიცოტავე, სხვადასხვა ნივთიერი დაბრკოლება, ცოტათი კრიტიკის არყოფნაც და სულ ყველაფერზე უფრო ჩვენი ერის სიმცირე, რომელიც ყოველგვარ ჩვენს აღმაფრენას ფრთებს აჭრის, და არის მიზეზი ჩვენი სიღარიბისა ქონებრივად, გონებრივად და ზნეობრივად. სად მხატვრობა, სად მუსიკა, სად პოეზია, სად ხელოვნება, თუ მთელს ერში იმდენი კაციც არ მოიპოვება ამ ხელოვნებათა დამფასებლად, რამდენ მართალ კაცსაც უნდა ეპატიებია და დაეხსნა ლოთის ქალაქი დაქცევისაგან. დამფასებელს თავი ვანებოთ, უბრალო მკითხველები ვთქვათ. სად არის ჩვენში იმდენი მკითხველი, რომელთაც, არ ვამბობ მატერიალურად უზრუნველჰყონ თვისი მწერლები, მარტო ცარიელ კითხვითა და თანაგრძნობით მაინც გაამხნეონ და წერის ხალისი აღუძრან მწერალსა? თუ ეს უკანასკნელი მაინც არ იქნება, რა ხასიათის პატრონი უნდა იყოს მწერალი, რომელიც, მას შემდეგ რა კი სიყმაწვილის მწერლობის ჟინი ამოიყარა, არ მოტყდეს და გული არ აუცრუვდეს მწერლობისათვის, როგორც ვხედავთ დღემდე მაგალითს სულ ყველა ჩვენს მწერლებში გამოუკლებლად. კარგი მწერალი, რომელსაც მკითხველი არა ჰყავს, იგივე კარგი აქტიორია, რომელიც, რაც უნდა კარგი მოთამაშე იყოს, მხარჩამოშვებულად ჰთამაშობს, თუ ცოტა მაყურებელი ჰყავს.

გარდა ამ, თუ შეიძლება ასე ითქვას, სტიქიური დაბრკოლებისა, ბ. მოჩხუბარიძეს აქვს მეორე დაბრკოლებაც, რომელზედაც არ შემიძლია

აქვე არა ვთქვა რა: სულ ყველაფერში უხვი ბუნება ნიჭიერების გაცემაში ცოტა არ იყოს ხელმოჭერილი დედა არის. იგი სულ არ მისცემს კაცს ნიჭს, ან თუ მისცემს მარტო ერთ რასმე საგანზე. ხშირად დიდკაცებს ისეთი ნაკლულევანება აქვთ, რომელიც უბრალო სიკვდილის შვილს არ მიეტევება, — „გენიოსებზე ნაკლები ჭკუის კაცის მნახველი არა ვარო", ტყუილად კი არა თქვა თეოფილე გოტიემ. ჩვენს ნიჭიერ მწერლებსაც ესა სჭირთ ბევრ-წილ. ზოგი პოეტია ჩვენში, რომელსაც ძლიერი ენა აქვს, მაგარი, ცეცხლში გატარებული და ნაჭედი ლექსი, ფართო და ვრცელი შეხედულება, რომელიც, ვიქტორ ჰიუგოსავით თავის ლექსებს რიტორიკის ყველა კანონების დაცვით აშენებს, რომელსაც ხშირი ანტითეზები აქვს, ხშირი და საჩინო ეფექტები, მაგრამ რომელსაც სითბო აკლია და სიმარტივე, და მაშასადამე, გზა აქვს დაკარგული გულთან მისაღწევად. ზოგი პოეტია, რომლის ლექსი მსუბუქია და თავისუფალი, რომლის ენა მოსწრებულია, რომელიც გულსაც ხვდება, გონებასაც, რომლის შედარება, კილო, მოტივი, პოეტური აღმაფრენა ნამდვილი მგოსნისა არის, მაგრამ რომელსაც ხასიათი არ მისდევს, დედა აზრი მისი ქმნილებისა, იდეა, კარგად გაიკვლიოს და სწორე საძირკველი დაუგოს თავის ნაწერს; ზოგი პოეტია, რომელსაც თავისი კალამი თითქო ხალხისათვის მიუცია და იმდენად შეუთვისებია ამ ხალხის გული და ენა, რომ გეგონება ეს ხალხი უკარნახებსო იმას მისს მშვენიერ ლექსებს, მაგრამ რომ მისცე ამ პოეტს ქნარი და უთხრა: აბა დაუკარ, მგოსანო, გაგვაგონე თქვენი გულის დარდები, არა ქვეყნიური თქვენი ხმა, ის თქვენ ვერ დაგაკმაყოფილებთ, რადგანაც იმას აკლია ის სუბიექტური დვრიტა, ის სულიერი საუნჯე, რომელიც შეიქმს ნამდვილ პოეტსა.

ბ. მოჩხუბარიძის სიმდიდრეცა და სიღარიბეც საკმაოდვე გამოაშკარავდა მის ნაწერებში. როგორც ერთი მოხეური სიმღერა ამბობს, მოჩხუბარიძე „მთის შვილია, მთაში გაზრდილი". ყველა ეს დიდი პოეტები, რომელთაც უგალობნიათ დიდება კავკასიის მთებისა: პუშკინი, ლერმონტოვი, გრიგოლ ორბელიანი შორიდან ეარშიყებოდნენ ამ მთებსა, მოჩხუბარიძე კი შვილია იმ მთისა, რომლის სახელი ნამდვილ გვარად გახდომია და როგორც ერთგულს და მორჩილ შვილს „მაღალის და წმინდა ადგილების სიყვარული იმას ძვალსა და რბილში გასჯდომია", როგორც ის თითონ ამბობს ერთ ადგილას („მოძღვარი", გვ. 5), სულ ყველაფერი, რაც კი შეადგენს მთის დიდებას, მის შემამკობელ მშვენიერებას: „ჩაბნელებულნი უფსკრულნი", „თვალგადაუწვდენელნი კლდენი", „ბუმბერაზ მთანი" — როგორ შემიძლია არ მოვიგონო ეს სიტყვები ორბელიანისა — განრისხებული და მძვინვარე ცა და ჰაერი, ნისლი, ღრუბელი გადმოფენილი მთის ფერდოებში, მთიელები თავისი პატრიარქალური წმინდა ხასიათით, თემით, ხატით, რწმუნებით, სისხლით, სტუმრის მოყვარეობით და ყველაზე უფრო მთიელები თავიანთი „ცხორით", ვამბობ, სულ ყველაფერი რაც კი შეადგენს მთის დიდებას, რის სანახავადაც სხვები

ორი-სამი ათასი ვერსტიდან მოდიან, რომ შესთხოვონ ამ ბუნების სიდიადეს, ცოტაოდენიც არის მაინც, ზეცით მონაბერი სული, ბატონ მოჩხუბარიძეს თვალწინ ჰქონდა, როცა დაიბადა და ამ დიდებულს ატმოსფერასთან შეეზარდა.

დამბადებელს უნებებია, რომ ამ კაცს საკმაო ნიჭი გამოჰყოლოდა, აეწერა ღირსეულად ბუნების ეს სიდიადე და მართლაც თავი და ბოლო მოჩხუბარიძის მნიშვნელობისა, როგორც მწერლისა, უმთავრესი, შესამჩნევი ხასიათი მისი ტალანტისა არის ბუნების აღწერილობის ხელოვნება. მე იშვიათად მინახავს არამც თუ ქართულ მწერლობაში — აქ ხომ სულ არ არის — არამედ რუსულსა და ფრანგულ მწერლობაშიაც ისეთი ხელოვნური აღწერა მრისხანე ბუნებისა, როგორითაც არის სავსე „ელგუჯა". ყოველ შემთხვევაში ეს აღწერა არაფრით არ ჩამოუვარდება იმ აღწერას, რომელიც ბერნარდენ სენ-პიერსა აქვს თავის „პოლ და ვირჟინიაში" და, რომელსაც სამაგალითოდ ქრესტომათიებშიც კი ბეჭდავენ ხოლმე. უნდა ადგილი მქონდეს და საგაზეთო სტატია არ მავიწროებდეს, რომ ყველაფერი, რასაც აქ ვამბობ ციტატებით დავამტკიცო ბ. მოჩხუბარიძის ნაწერებიდან. მთის ბუნების აღწერა, ნადირობის გამოსახვა, თემის ყრილობის დახატვა არამც თუ ცოცხალნი და ნამდვილნი არიან ბ. მოჩხუბარიძის კალმის ქვეშ, არამედ გამსჭვალულნი არიან ისეთი მაღალი ღირსებით, რომელიც „ელგუჯას" საუკეთესო ბელეტრისტულ თხზულებად ჰხდის მთელს ჩვენს თანამედროვე მწერლობაში. ამ მოთხრობას ერთი ისეთი jouffle[1] დაჰკრავს, რომელიც ძალაუნებურად ამაღლებს და წმინდა ადგილებთან მიჰყავს თვით მკითხველი. არის აქ ისეთი ადგილები, რომელთაც კეთილმოწიწებაში და ენთუზიაზმში მოჰყავთ კაცი, ამ ადგილებში ბ. მოჩხუბარიძე სტილსა სწვდება, სტილს.

მაგრამ... მაგრამ შევამოკლოთ ლაპარაკი და დავუბრუნდეთ იმ დაბრკოლებას, რომელმაც შეიძლება გზა გადაუღობოს ბ. მოჩხუბარიძეს მომავალში, — მე ვფიქრობ, რომ მისი ლიტერატურული ასპარეზი ძლიერ შევიწროებულია. ჩვენს მწერლობას მხოლოდ ის შეუძლია მოსთხოვოს იმას, რაც იმისთვის ბუნებას მიუცია, ე. ი. ლიტერატურული პეიზაჟები კავკასიის მთებისა და ეთნოგრაფიული სურათები. ასე, რომ მისი ნაწერების ტერიტორია ლარსში იწყება და დუშეთში თავდება. ჯერ დროებით რაც კი რამ დაუწერია იმას ამ შინაარსით არის. არა მგონია, რომ ამ წრეს გარეშე ბ. მოჩხუბარიძემ გააკეთოს რამე შესამჩნევი, არა მგონია, რომ იმან შეძლოს ან ფსიქოლოგიური რომანის დაწერა, ან სხვადასხვა სამოქალაქო და საზოგადო მოტივებზე აგებული მოთხრობების შედგენა. ამას ბევრი რამ ისეთი პირობა სჭირია, რომელიც არც თითონ იმას აქვს და რომლის მასალა არც ისე ადვილად იშოვება ჩვენს შორის. მის მოთხრობებში სუსტია ის, რაც უკვე აღწერა არ არის.

---

[1] ეს სიტყვა უდრის რუსთველის სიტყვას „ზეცით მონაბერს".

თუ პოეტის სიტყვები არ გაამართლა და ბ. მოჩხუბარიძემ არ გამოიჩინა „სიხარბე და გაუმაძღრობა," ის უნდა დარჩეს მთის მოარშიყედ, მის მაქებრად, მის ჰომეროსად, როგორც თქვა გრიგოლ ორბელიანმა. ბარში ის მოუწვევარი სტუმარი იქნება და ბევრსაც დაჰკარგავს.

მაგრამ ვთქვათ, რომ ბ. მოჩხუბარიძე მართლა დარჩა თავის ქერქში და არ უმტყუნა თავის ღირსებას, არ დაატანა ძალა თავის ნიჭს. ამ შემთხვევაში ერთი ლიტონი კითხვა გვებადება ჩვენ თვალწინ, ერთი და იგივე საგანი, რომელსაც მოჩხუბარიძემ ექვსი თუ შვიდი მოთხრობა შესწირა, შეიძლება თუ არა, გაუხდეს იმას მასალად შემდეგი მოთხრობებისათვის? „ელგუჯა", „მამის მკვლელი", „ელისო", „მოძღვარი", სულ ერთი და იგივე თხზულებაა, რომელსაც ერთიდაიგივე ნაქსოვი აქვს, ერთიდაიგივე ლიტერატურული ძვალი და რბილი. მათში მხოლოდ სხვადასხვა შინაარსია, რომელსაც, ჩემის ფიქრით, არავითარი მნიშვნელობა და ღირსება არა აქვთ. გაჰყვება თუ არა მოჩხუბარიძეს საგზალი იმდენი სხვადასხვაობა იჩინოს ამ ლიტერატურულ ქსოვაში, იმდენი სხვადასხვა ფერები იხმაროს ბუნების მხატვრობაში, რომ ერთი მოთხრობა მეორის განმეორება არ გამოვიდეს? — ეს ისეთი კითხვაა, რომლის დადგენის ნებას გვაძლევს ჩვენ, „ელგუჯას" შემდეგ დაწერილი მოთხრობები.

ამ საგანს კენჭი რომ ჩამოუტარონ მე იმდენად თაყვანისმცემელი ვარ ბ. მოჩხუბარიძის ნიჭისა, რომ კენჭს თეთრ უჯრაში ჩავუგდებ. ნიჭიერი კაცისათვის, რომელსაც დიდი დაკვირვება აქვს და მადლიანი სული, კავკასიის ბუნება და კავკასიის ერი ყოველდღე და ყოველ წამ სხვადასხვაობას წარმოადგენს, და ყოველსავე ამას შეუძლიან შინაარსი მისცეს ახალ მოთხრობას. ნიჭიერი მწერალი არა თუ თვით საგნის სხვადასხვაობაში და ცვალებადობაში იპოვის წერის შინაარსს, იგი თვით ერთსა და იმავე საგანს, რომელიც უცვლელია მარადჟამ, შექმნის სხვადასხვა ლიტერატურული ნაწარმოების შინაარსად. ამ შემთხვევაში სულ ყველაფერი დამოკიდებულია იმ გარემოებაზე, რა მხრით, რა თვალით და რა გუნებით უცქერის საგანს თვით მწერალი. ერთს თავის საუკეთესო რომანში („ერთი ფურცელი სიყვარულის წიგნიდან") ემილ ზოლამ ათჯერ ასწერა ერთი და იგივე პარიზი იმისდა მიხედვით თუ რა გუნებაზე იყო რომანის მოქმედი პირი, დიდი ქალაქი ხან ამ სახით წარმოუდგებოდა, ხან იმ სახით. კავკასიის ამწერს უფრო ფართო ასპარეზი არ უნდა ჰქონდეს, უფრო ბევრი საგანი არ უნდა დაუხვდეს თვალწინ, ოღონდ-კი კალამი შემოავლოს? უეჭველია, ეს ასე არის, მაგრამ ამისთვის საჭიროა, რომ მწერალს ნიჭს გარდა საკმაო გულმოდგინება და მოთმინება ჰქონდეს. დოდე და ზოლა, რომელნიც ითვლებიან ახლა საფრანგეთის საუკეთესო რომანისტებად, თავიანთ ყოველ რომანს წერენ რვა-ცხრა თვე. როგორც დედა, რომელიც ამ ხნის განმავლობაში ზრდის თავის მუცელში შვილსა, ისინიც რვა-ცხრა თვეს ანდომებენ ყოველი თავიანთი რომანის დაბადებას, ხოლო თვითონ ფიქრი კი რომანისა ამ ხანზედ მომეტებული უტარებიათ. ბ. მოჩხუბარიძე კი,

ქადასავით აცხობს რომანებს. ასეთ აჩქარებულ მუშაობაში ან კი როგორ შეიძლება კაცი ან პლანს ჩაუფიქრდეს, ან გარეგან სიტურფესა და ტეხ-ნიკურ სიკეთეს. მწერალ ბელეტრისტს მოთბინება ჰმართებს, გულმოდ-გინება, სულგრძელობა. ნიჭი უნდა ამუშაოს კაცმა, თორემ ის მიწაში ჩაფლული ტალანტია. ბევრი მუშაობა უნდა, ბევრი კითხვა, ბევრი ვარჯი-შობა. მწერალი თუ არ იცნობს თავისი ჟანრის საუკეთესო ნაწერებს, თუ არ ადევნებს თვალყურს ლიტერატურის მოძრაობას, ხელოვნების მდგომარეობას, ის ჩამორჩება თავის დროებას, მკითხველები წინ გაუს-წრებენ და ნიჭი უნაყოფო დარჩება. მხოლოდ დიდი შრომით, მეცადინე-ობით და ნიჭით შეუძლია კაცს დაიმსახუროს დიდი სახელი.

ამ უკანასკნელი მოსაზრებიდან ერთი დასკვნა უნდა გამოვიყვანოთ ბ. მოჩხუბარიძის შესახებ. ისევ ისა სჯობია, დასაწყისში მწერლის თქმისა არ იყოს, ბ. მოჩხუბარიძემ თავისი წერილების რაოდენობა შეამოკლოს ღირსების სასარგებლოდ, როგორც ამბობდნენ ჩვენში ძველად. ცოტა და კარგი სჯობს ბევრს და უვარგისსა, ეს ყველამ იცის და ყველაზე უფრო ისეთმა ნაგეშმა და ნაზმა ხელოვანმა, როგორიც არის ბ. მოჩხუბარიძე — ალექსანდრე ყაზბეგი.

მოჩხუბარიძის უკანასკნელ მოთხრობაზე „მოძღვარზე" მე ბევრს ვერა-ფერს ვიტყვი: გარდა ორი თუ სამი პოეტური ფურცლისა, გარდა ორი თუ სამი კარგი ფრაზისა (მოდი და ნუ მოიგონებ ამ ფრაზას: „ღამის წყვდია-დისთვის განთიადს ნისკარტი ეკრა", ან ამ სიტყვებს, რომელსაც ავტორი ათქმევინებს ციმბირში გაგზავნილ ონოფრეს: „მოვკვდები და მოძმეთ ცრემლიც არ ეღირსება მარტოდ გამქრალ გულსა, ჩემის ქვეყნის ღრუ-ბელიც კი ვერ მოაღწევინებს ჩემს ქვეყანაში მოკრეფილს წყალსა, რომ ცრემლის მაგიერ იმან მაინც დანამოს მკერდი") ვერაფერი ვერ ვიპოვე მოთხრობაში შესანიშნავი. ნაკლულევანება კი ცოტა არ არის. თავი და პირველი ნაკლულევანება, რომელიც საზოგადოა მოჩხუბარიძის მოთხრო-ბებისა, არის პლანის უმწიფარობა და რაღაც საჩოთირო, ნაწერში გაუ-ლნობელი და ნაწერისაგან მოუნელებელი ლიბერალური ტენდენცია, რო-მელიც ჯირკივით გორავს აქა-იქ როგორც დაუპატიჟებელი სტუმარი, რო-გორც რაიმე უცხო ელემენტი. ამ ტენდენციასა და რომანის მშვენიერებას-თან ისე არ მოხერხდება შინაური შეკავშირება, როგორც წყალსა და ზეთს შორის. პლანის სისუსტე და ტენდენციის უვარგისობა ისეთ მსხვილ ნაკლულევანებას შეადგენენ, რომ ამათთან, სხვებზე ლაპა-რაკი არც კი ღირს, მაგრამ არ შემიძლია კიდევ ერთზე არა ვთქვა ორიოდე სიტყვა. ვინ იცის ბეჭდვითი სიტყვამ ეგებ უფრო შეაგონოს ბ. მოჩხუბარიძე, ვიდრე კერძო ლაპარაკმა და ამ ლაპარაკით ხომ თავი მოვაძულეთ იმას ყველა ნაცნობ-მეგობრებმა. მე ვამბობ იმ დრამატიულ ელემენტზე, რომელიც თანდათან უფრო დიდ მონაწილეობას იღებს მის მოთხრობებში. რას უზამ კაცი? მოჩხუბარიძეს წარმოუდგენია დრამატურ-გი ვარო და არა ერთ კომედიაზე და დრამაზე უცდია თავი, მაგრამ მე რომ

მკითხო, ყველა იმის პიესას „მოძღვრის“ ერთ გვერდად არ გავცვლი, სახელდობრ იმ გვერდად, რომელიც იწყებს მეორე თავს. საუბედურად, დრამის შესაფერმა ენამ, დრამატიულმა რეზონიორობამ ლამის წალეკოს მისი მოთხრობები. კითხულობ მშვენიერ აღწერას და უცებ გხვდება გზაზე ამგვარი ტირადა: „გახედე მთებსა! აქ უცხოვრიათ ენს მამა-პაპათ, აქ მოუკლავთ სევდა, აქ აღძგერებიათ გული, აქ უცოცხლიათ და აქ დახოცილან“... ამ სიტყვების წაკითხვაში არ მოგაგონდებათ ბ. ალექსიმესხიშვილი დავით ერისთავის დრამაში? ერთი-ღა აკლია დაიძახოს: როინ... მაგრამ რა ბევრი ვილაპარაკო! მე ვიცი რომ ჩემი ხმა არის ხმად მღაღადებლისა უდაბნოსა შინა.

როდესაც ბ. მოჩხუბარიძე დაიბადა ქვეყნად, მყინვარის მწვერვალზე შეკრებილან თურმე სხვადასხვა ხელოვნების ანგელოზნი და რჩევა უქმნიათ. ერთს უთქვამს: ახალშობილისთვის მიმინიჭებია საუკეთესო ბელეტრისტული ნიჭი, მეორეს ეთქვა: მისი კალმისთვის დამინებებია ხევის სულისა და გულის გამოთქმა, მესამეს — ქორეოგრაფიის მფარველს, ბავშვისათვის მიუნებებია ლეკურისა და ჩეჩნურის თამაში, ბოლოს მეოთხეს, განზე მიმდგარს და მოღვრემილს ღაღადუყვია: მე მიმიცია მისთვის დრამების წერის სურვილიო. ამ სიტყვაზე უეცრივ ცა მოიღრუბლა, დაბნელდა, ატყდა ქარიშხალი, ამას მოჰყვა ჭექა-ქუხილი, და მთელი ხევი თითქმის წარღვნით არ წაილეკა. რაც ბოროტმა სულმა იმას მიანიჭა, იმის წართმევას ნუთუ ჩვენ ვერ შევიძლებთ!...

12 აპრილი, 1886 წ.
ცაიში

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნიკოლოზ გიორგის-ძე დადიანი

ნიკოლოზ გიორგის-ძე დადიანი იყო სარდალ-მსაჯულთ-უხუცესი სამეგრელოს მთავრის ლევან გრიგოლის-ძის დადიანისა (1812 — 1846). ჩამომავლობით შვილის-შვილი სამეგრელოს მთავრის ოტია ბეჟანის-ძის დადიანისა (1728 — 1744).

თავის დროს ეს იყო ოდიშ-ლეჩხუმის პირველი კაცი, რომელსაც ხალხი უწოდებდა „დიდ-ნიკოდ", განსასხვავებელად მეორე ნიკო დადიანისაგან, შხეფელისაგან, რომელიც იყო აფხაზეთის მთავრის მიხეილ შარვაშიძის სიმამრი და შემდეგ დიდი-ნიკოს გარდაცვალებისა მსაჯულთ-უხუცესივე სამეგრელოს სამთავროსი.

როგორც მთავრის შვილის-შვილი, ნიკო დადიანი, ჯერ ისევ ჭაბუკი, დანიშნული იქნა სამეგრელოს სამთავრო საქმეთა უმაღლესი გამგეობის წევრად. ეს იყო 1805 წელს, შემდეგ სამეგრელოს რუსეთთან შეერთებისა და მთავრის გრიგოლ დადიანის გარდაცვალებისა. ამ წელს ხელმწიფე იმპერატორის ალექსანდრე პავლეს-ძის ბრძანებით, სამეგრელოს ტახტის მემკვიდრის ლევან დადიანის მცირე წლოვანებისა გამო, სამეგრელოს მმართველად და მემკვიდრის მზრუნველად დანიშნულ იქნა ქვრივი განსვენებულის მთავრისა დედოფალი ნინო, საქართველოს უკანასკნელი მეფის გიორგი XII-ის ასული, და ამას მიეცა შემწედ ოთხი წევრისაგან შემდგარი რჩევა. ნიკო დადიანი იყო ერთი ამ ოთხთაგანი. დანარჩენ სამს შეადგენდნენ: ძმა განსვენებულის მთავრისა ჭყონდიდელი ბესარიონ, სახლ-უხუცესი თ. გიორგი ჩიქვანი და ლეჩხუმის სარდალ-მოურავი თავ. ბერი გელოვანი[1].

რჩევას ჯერ გემო არ გაეღო ქვეყნის მართვისა, რომ ნიკო დადიანს შეხვდა წასვლა პეტერბურგს სამეგრელოს საქმეთა გამო. დედოფალმა ნინომ გაგზავნა ის ხელმწიფე იმპერატორთან და მასთან ერთად ბეჟან დადიანი და დეკანოზი იოანე იოსელიანი. ამ სამთა დეპუტაციას უნდა დაეცვა ტახტის წინაშე უფლება სამეგრელოს მთავართა ლეჩხუმზე, რომელსაც ართმევდა დედოფალს იმერეთის მეფე სოლომონ II; და ეთხოვა დაებრუნებიათ სამეგრელოსათვის ანაკლია, რომელიც წაერთმია იმ დროს აფხაზეთის მთავარს ქელეიშ-ბეგს.

ამასთან დეპუტაციას უნდა ეთხოვა: ებრძანებიათ რუსეთის ჯარისათვის სამეგრელოს მმართველობის შემწეობა წინააღმდეგ ურჩთა და კაცის

[1] იხ. „История войны", დუბროვინისა. ტ. IV, გვ. 408.

სულის საზღვარგარეთ გამყიდვ[illegible]თა; მოეტანინებიათ ყირიმიდან სამეგრელოში ფართალი და სხვა სა[illegible]ქრო საგნები; გამოეგზავნათ სამთავროში მცოდნე კაცები ალმოსაჩენად მადნეულობისა და სხვადასხვა.

დეპუტაცია პეტერბურგში დიდი პატივით იქნა მიღებული. ვისაც [illegible]ნდა ჰკითხო დღეს სამეგრელოში ამ დეპუტაციის ამბავი, ყველას პირზე [illegible]ერია დეკანოსი იოანე იოსელიანის სიტყვები, მიმართული ხელმწიფისადმი. როდესაც დეპუტაცია წარსდგა ხელმწიფესთან და იოსელიანმა მიართვა მისს დიდებულებას სასწაულთმოქმედი ხატი ვლანქერის ღვთისმშობლისა, ამან მოახსენა ხელმწიფეს დავით წინასწარმეტყველის სიტყვებით: „წყალობასა და სამართალსა გაქებდენ შენ, უფალო!“

ხელმწიფემ უხვად დააჯილდოვა დეპუტაციის წევრნი, უბოძა დადიანს (ნიკოს) გარდა ნივთიერი საჩუქრისა, ჩინი პოლკოვნიკისა და ბრძანა აღესრულებიათ ყოველი სურვილი სამეგრელოს დედოფლისა და მმართველობისა.

პეტერბურგიდან რომ დაბრუნდა, ნიკო დადიანი ჩადგა სამეგრელოს მმართველობაში, მაგრამ მალე იმასა და დედოფალს შორის ატყდა უკმაყოფილება. დადიანი და მასთან ერთად უმაღლესი საზოგადოება სამეგრელოსი უიმისოდაც არ იყო კმაყოფილი დედოფლისა, რომელსაც სწამებდნენ გრიგოლ დადიანის მოწამლვას (ამბობენ, ქათამი შეაწვევინა და შხამი შეატანაო), და როცა იმან დაიახლოვა ყმაწვილკაცობა და იმათი რჩევით იწყო მოქმედება, სამეგრელოს უმაღლესი საზოგადოება განზე გაუდგა დედოფალს. თავის მხრით დედოფალიც ემდუროდა ნიკო დადიანს იმ ზომამდის, რომ 1808 წელს, როდესაც ნიკო დადიანის მონაწილეობით და ბრძანებით დაიჭირეს დედოფლის ფავორიტი გუგუშვილი და ციხეში ჩასვეს, დედოფალმა მთავრობასთან უჩივლა დადიანს. 16 ოქტომბერს 1808 წელს გენერალი რიკგოთი სწერდა გუდოვიჩს: — ნინო დედოფალი აცხადებსო, რომ პოლკოვნიკი ნიკო დადიანი, ტარიელ დადიანი, პეტრე მზეიძე, ხახუ ჩიჩუა, ხიტუ, ბეჟან და სხვა ფალავები წინააღმდეგნი არიან ჩემნიო, ჩემი ერთგული აზნაური გუგუშვილი დაიჭირეს და ციხეში ჩასვესო[1].

მაგრამ ნინო დედოფლის მთავრობაც მალე გათავდა. 1812 წელს ლევან დადიანს შეუსრულდა 20 წელი და თანახმად ხელმწიფის ბრძანებისა ის შეიქნა სამეგრელოს მთავრად სრული უფლებით. აქამდის მტერმოყვარე სამეგრელოს მმართველისა, ნიკო დადიანი ამას იქით გახდა ერთგული მოსამსახურე მთავრისა, მისი მთავარი ვეზირი.

ნიკო დადიანმა, რამდენიც შესძლო, ჯერ ჰმოძღვრა სიტყვიერად თავისი ახალგაზრდა მბრძანებელი და ბოლოს თავისი მოძღვრება შესახებ ქვეყნის და სამთავრო ოჯახის მართვისა გამოუსახა მის წესდებულებაში, რომელსაც დაარქვა სახელად „დასტურლამა“. გარდა სამსახურის მოვალეობისა სხვა გარემოებაც აწვევდა ნიკო დადიანს შეედგინა ახალგაზრდა

[1] Акты Кавк. Археограф. ком. ტ. II, გვ. 516.

მთავრისათვის „სამთავრო წესდებულება“ და განკარგვა მფლობელობა-თა“. ლევან დადიანი იყო გაზრდილი ნიკო დადიანის დედის მარიამ აბა-შიძის ასულისა და, ამავე დროს, „დიდი ნიკო“ იყო მისი მკვიდრი ბიძა-შვილი[1], რომელსაც ამგვარად ორკეცი მოვალეობა ქონდა და სურვილიც, რომ მისს მთავარსა და გაზრდილს კარგად წარემართა სამთავროს საქმე-ნი. როგორც ვახტანგ სჯულისმდებელს, არც ამ დასტურლამის დამწერს ჰქონდა იმედი, რომ მისგან შედგენილ კანონდებას შეასრულებდა მისი გაზრდილი მთავარი. „ესე შვიდი წელი და სამი თვე არის,— სწერდა ნიკო დადიანი მთავარს,— რომელ თუმცა მეცნიერი ესრეთ გაწუხებთ მრავლის ესე ვითარის მოხსენებით, ხელმწიფევ ჩემო, და უმდაბლესად მოგახსენებ ყოველთვის ოდეს ჟამს ვიხილავ, რომელ წესდებულება მიეც თავსა შენსა და სამფლობელოსა შენსა-თქო, რომელსა ზედა მემოწმებიან ყოველნი მახლობელ თქვენსა თანა გამზრახნი, გარნა ეს შვიდის წლისა და სამისა თვის მრავალნი და ზედა-ზედა მოხსენებანი ჩემნი ყოვლითურთ უნაყო-ფოდ იხედებიან. აწ უკანასკნელად ამას ამა ჩემსა მოხსენებასა მოგარ-თმევ უმდაბლესად, რომელიცა ვრცელი გონება და კეთილნი დიდსულო-ბანი შთამონასირთა თქვენთანი იმედს მცემს რათა ინებებთ და განაშვე-ნებთ თავსა შენსა და სამფლობელოსა შენსა, და უკეთუ არა დასძლო ლბედობამან ჩემმან კეთილსა, მაშინ მე არა ძალმიძს ყოფნა მშობელსა მამულსა ჩემსა სამთავროსა შინა თქვენსა და ცრემლით განგიბან ხელთა და ფეხთა აღზრდილსა მოხუცებულისა დედისა ჩემისასა და წარვალ შორსა, სადა არა მესმოდეს კვალად სამწუხარონი ჩემთვის ხმანი“.[2]

მაგრამ ვერც დაწერილმა კანონმა იმოქმედა მთავარზე და ვერც მუქა-რამ. ლევან დადიანი დარჩა სიკვდილის დღემდე ისევ იმ კაცად, მთავრად-მონადირედ, რაც ის იყო მთავრობის დასაწყისში.

და ვერც ვეზირმა შეასრულა თავისი მუქარა. უფლება ტკბილია: ნიკო დადიანი დარჩა სიკვდილის დღემდის პირველ კაცად სამეგრელოში და იმას თიქრადაც არ მოსვლია სამშობლო ქვეყნიდან ექსორია ექნა თავის-თავისთვის.

როცა 1828 წელს ატყდა თათრის ომი და სამეგრელოს ჯარმა გამოი-ჩინა თავი ფოთს და მუხა-ესტატეს, ამ ჯარის უფროსს სარდალთ-უხუ-ცესს ნიკო დადიანს, ამ დროებში უკვე გენერალს, მოუვიდა მთავრობის დიდი მადლობა.

ნიკო დადიანი მარტო სამსახურით არ იყო პირველი კაცი სამეგრელო-ში. ის იყო პირველი სწავლითაც. უეჭველია, თავის დროსთვის ის არის ერთი საუკეთესო სწავლული და მწერალთაგანი მთელს საქართველოში. გარდა „დასტურ-ლამისა“ მისგან ნაწერთა შორის შესანიშნავია: ისტორია სამეგრელოსი, რომელიც იყო დაბეჭდილი ჟურნალს „ივერიაში“ 1877 წელს[3].

---

[1] ლევანის პაპის-კაცია II-ის ძმის გიორგის შვილი იყო. — ს. ც.
[2] „დასტურ-ლამა“ ნიკო დადიანისა.—დასკვნა.
[3] ივერია 1877 წ. № 5—17.

როგორი აზრის კაცი იყო ნიკო დადიანი, რაგვარ იცოდა იმან საეკლესიო წიგნები, ფილოსოფია, ისტორია, პოლიტიკა, რა კარგის და თან დამოუკიდებელის ენით წერდა და ლაპარაკობდა ის იმ დროს, როცა ჩვენში ჯერ ისევ ანტონ კათალიკოსის ენა მეფობდა, რა რიგ მწყურვალე იყო იგი სამეგრელოს განათლებისა და მოსურნე მისი სამოქალაქო აღორძინებისა?—ამას ცოტა ოდნავ მის „დასტურლამიდანაც" დაინახავს მკითხველი. ამასთან დადიანი იყო კაცი ღვთის მოშიში, რომელმაც ბევრი სარგებლობა მოუტანა ეკლესიას. სხვათა შორის იმან განაახლა კორცხელის ეკლესია, ზუგდიდის ახლო. ამ ეკლესიაში ერთს სვეტზე ვკითხულობთ შემდეგ წარწერას: „ყოვლად შეუმკობელისა და დარღვეულისა ეკლესიისა ამის განმაახლებელი, აღმაშენებელი და შემამკობელი ნიკოლაი დადიანოვი გვედრებ აღმკითხველთა შეწყალება ჩემი ღვთისა მიმართ ითხოვოთ რათა თქვენცა შეგიწყალოს ქნ. ჩყიე წელს, ივნისის იბ." ეკლესიის კანკელზედაც არის მოხსენებული, რომ ეს ეკლესია არის განახლებული ნიკო გიორგის ძის დადიანოვისაგან, სადიდებლად მთავრის ლევან დადიანისა, სადღეგრძელოდ მისის (ნიკოლოზის) მეუღლის მარიამ ერისთავის ასულისა და მოსახსენებლად მამისა მისისა გიორგის და დედისა მარიამ აბაშიძის ასულისა[1].

დასტურლამის დამწერის პიროვნების დასახასიათებლად შემდეგი ამბავი უამბნიათ ჩემთვის:

ნიკო დადიანის დროს ერთმა შეძლებულმა გლეხ-კაცმა, გვარად გუგუჩიამ, სამრეკლო ეკლესიას დიდი ზარა შემოსწირა. დადიანმა მოისურვა შემომწირველის ნახვა და როცა შეხვდა ერთხელ მორთულ-მოკაზმულ, მოიხმო და უთხრა:

— ღმერთმა აგაშენოს, ჩემო ძმაო; კარგი კაცი ყოფილხარ, სამაგალითო საქმე გიქნია, ეკლესიისათვის ზარა შემოგიწირავს, მაგრამ ერთს გეტყვი:

— მიბრძანე, შენი ჭირიმე.

— იმ ზარაზე შენი სახელი და გვარი დააწერინე.

—არა, ბატონო, მაგას ნუ მიბრძანებ. მე ის ზარა ისეთ ვისმე შევწირე, რომ იმან ჩემზედ უკეთესი წერა იცის, თითონ მოგეხსენებაო,—უპასუხა გლეხ-კაცმა.

„მაჯობა, შენ ნუ მომიკვდე, ამ ყაძახმა", სთქვა თურმე ამის გამგონე დადიანმა[2].

ნიკო დადიანი გარდაიცვალა შუა-ხნის კაცი. დავით დადიანის მოძღვარს დავით ჩიხლაძეს, რომელსაც ლურჯ ქაღალდზე უწერია ქორონიკონი დიდთა შემთხვევათა წარსულისა და ამა მდგომარის საუკუნეთა[3], რიცხვთა შორის დაბადებულთა და მიცვალებულთა მთავართა და მეფეთა,

---

[1] ნახე ბროსეს არქ. მოგზაურობა Rapport IX, გვ. 7 და 8.

[2] მიხ. მეუნარგიასაგან გაგონილი.

[3] ეს ქორონიკონი ინახება უგ. თავ. გრიგ. დადიანის წიგნთ საცავში.

მიტროპოლიტთა და მთავარ-ეპისკოპოსთა, ორი საერო კაცისთვისაც უცია პატივი ხსენებისა. ეს კაცნი არიან იმერეთში· გრიგოლ წერეთელი და სამეგრელოში ნიკო დადიანი. ამ· უკანასკნელის შესახებ ასე წერს:

„ღენერალი ნიკო დადიანოვი გარდაიცვალა 1834 წელს, თებერვალს 25-ს“.

იმ დროს, როცა ნიკო დადიანი გარდაიცვალა, მთავარი ლევან დადიანი თბილისს იყო და როგორც კი მიიღო ამბავი იმის გარდაცვალებისა. მაშინვე ჩამობრძანდა სამეგრელოში და დაესწრო მის დასაფლავებას, მარტვილს.

გრიგოლ დადიანისაგან გამიგონია:

დიდი ნიკო რომ გარდაიცვალა, პატარა ნიკოს მიუწერია თავ. ვასილ ბებუთოვისათვის, რომელსაც დიდი მეგობრობა ჰქონდა დადიანის ოჯახთან.

— სამეგრელო დაიღუპა, ნიკო დადიანი გარდაიცვალაო.

ნიკო დადიანს დიდძალი ჩამომავლობა დარჩა. მალაქია ჩაჩიბაიამ, რომელმაც კარგად იცის მისი ოჯახის თავგადასავალი, ასზე მეტი სული ჩამომითვალა, მისგან შთამონასირი, დღეს ზეზე მდგომი. ნიკოს ჰყავდა ოთხი ვაჟი: გიორგი, ბესარიონ, პეტრე და პავლე და ორი ქალი: ბათუ და კესარია. სამნი პირველნი იყვნენ შესანიშნავნი კაცნი, რომელთაც განაგრძეს განმავლობა მამის სახელისა სამეგრელოში მთელი ნახევარი საუკუნე. მთავარი დავით დადიანი იმათ ეძახდა „три мушкетера-ს[1]“. გიორგის გავლენა უფრო გაძლიერდა მას შემდეგ, რაც იმან მიათხოვა ერთი თვისი ქალი აფხაზეთის მთავარს მიხეილ შარვაშიძეს და მეორე სამეგრელოს მთავრის ლევან დადიანის შვილს კონსტანტინეს. პეტრე ახლდა დედოფალს ეკატერინეს, როცა ის წარბძანდა რუსეთს იმპერატორი ალექსანდრე მეორის დაგვირგვინებაზე და იყო ყოველს საზოგადო კრებაზედ სამეგრელო-იმერეთში თავი მოლაპარაკე კაცი.

დიდი ნიკოს ჩამომავლობიდან საზოგადო ასპარეზზე არიან შესანიშნავნი, გარდა ხსენებულთა სამთა მუშკეტერთა: მამია გურიელი (პოეტი),[2] გიორგი შარვაშიძე (დრამატურგი და მოლექსე)[3], დავით დადიანი (მწიგნობარი და მოლექსე), კოწია[4] და ლევან[5] დადიანი (ლექსთა მთხზველნი), ნიკო დადიანი[6] (ზუგდ. მაზრის თავად-აზნ. წინამძღოლი) და გრიგოლ შარვაშიძე[7] (ღენერალი)

---

[1] Закавказския воспоминания ბოროზდინისა.

[2] მამია გურიელის დედა ეკატერინე (იგივე ბათუ) ნიკო დადიანის ქალი იყო.—ს. ც.

[3] მწერალი გიორგი შარვაშიძის დედა ალექსანდრა (შინაურობაში ცუცუ) ნიკოს შვილიშვილი იყო—გიორგის ქალი.—ს. ც.

[4] დავითი (1831—1907) და კოწია (1847—1903) გიორგის-ძენი—ნიკოს შვილიშვილები ორივე პოეტები იყვნენ, მათი ლექსები და პოემები იბეჭდებოდა „დროებაში“, „ივერიაში“, „მოამბეში“ და სხვ.

[5] ლევანი პეტრეს-ძე—ნიკოს შვილიშვილი.

[6] ნიკო ბესარიონის-ძე—ნიკოს შვილიშვილი. ს. ც.

[7] ნიკოს ქალის კესარიას შვილი, ალიბეგ შარვაშიძის ვაჟი.—ს. ც.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დავით დადიანი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დავით დადიანი და მისი დრო

(მასალები)

დავით დადიანის დაბადება. მისი გაგზავნა აღსაზრდელად ქუთაისს და თბილისს. სამეგრელოს სამთავროს მემკვიდრედ დამტკიცება. დავით მოურავთა-ზედა მოურავი. სამეგრელოს არევ-დარევა.

დავით დადიანი დაიბადა 26 იანვარს 1813 წ. სოფელ ჭაქვინჯის ციხის მახლობლად, საცა მამამისს სამეგრელოს მთავარ ლევან დადიანს ქონდა უბრალო ოდა, რომლის ბუხარი დღემდე[1] ზეზე იყო. 26 იანვარი დავით აღმაშენებლის დღე არის და მთავრის ოჯახი ამ დღეს ამას შემდეგ ყოველწლივ დღესასწაულობდა.

გრიგოლ დადიანმა მიამბო: — დავითის მიმრქმელი იყო ცაიშელი მიტროპოლიტი გრიგოლი, ლალა — პეპუ ჩიჩუა და ძიძა, — როგორც მეგრელს ამის უთქმელობა არ მარგია, — ივანე ორზოლიას ცოლი მაიკო.

რომ წამოიზარდა დავითი, ლევან დადიანმა სამეგრელოს მომავალი მთავარი გაგზავნა ქუთაისს, სადაც მას ჰყავდა დიდძალი ნათესაობა დედის მხრით (დედა მისი, დედოფალი მართა, იყო თავად ზურაბ წერეთლის ასული). აქვე ეგულებოდა მას დავითის მფარველად იმერეთისა და გურია-სამეგრელოს მმართველი თავადი ვასილ ბებუთოვი[2], სამთავრო სახლის დიდი მეგობარი, რომლის სახელს ხშირად შეხვდება კაცი წარსული საუკუნის სამეგრელოს ისტორიაში.

ბებუთოვის რჩევით, ლევან დადიანმა ითხოვა, მისი შვილები დავითი და გრიგოლი მიეღოთ სასწავლებლად პაჟების კორპუსში. მთავარმართებელმა გენ. ერმოლოვმა და შემდეგ პასკევიჩმა კიდეც აღძრეს ამ საგანზე საჭირო შუამდგომლობა,[3] მაგრამ სანამ პაჟების კორპუსიდან პასუხი მოვიდოდა დავითის შესახებ, არვიცი რაგვარად, დავითი მიღებულ იქნა კორნეტად ლეიბ-გვარდიის ყაზახების პოლკში.

როდესაც ბებუთოვი გადაიყვანეს ქუთაისიდან, ლევან დადიანმა დავითი თბილისს გაგზავნა.

---

[1] 90-იან წლებში.—ს. ც.

[2] ვ. ბებუთოვისა და ლევან დადიანის მიმოწერა დაცულია ხუგდიდის მუზეუმის სამთავრო არქივში—ს. ც.

[3] იხ. პასკევიჩის წერილი ლევან დადიანთან, 16 აპრ. 1834 წ. Акты Кавказской археографической комис., том VII, გვ. 395.

აქ ახალგაზრდა მთავრის ძეს, რომელსაც ნათესაობითი კავშირი ჰქონდა საქართველოს სამეფო სახლთან, წრედ დაუხვდა თბილისის რჩეული საზოგადოება. ამ საზოგადოების საშუალებით დავითი დაუახლოვდა მთავარმართებლის ამალას და თვით მთავარმართებელსაც — ბარონ როზენს, — რომელმაც დავითი მოკლე ხანში თავის საგანგებო მინდობილებათა მოხელედ დანიშნა.

სხვას ვისმეს დავითის ადგილზე მთელი თავისი მოცალეობა და ახალგაზრდა გულის სიმხურვალე სამსახურისათვის უნდა მიეცა ამ მაღალ წრეში, მაგრამ დავითს სამსახურისათვის ამ დროს მხოლოდ სანახევროდ თუ ეცალა. ის იყო სამეგრელოს სამთავროს მემკვიდრე და ამ მემკვიდრეობის მიღებაზე იმას სულ მუდამ-დღე უნდა ეფიქრნა, რადგანაც მამამისს გადაწყვეტილი ჰქონდა მისსავე სიცოცხლეში გადაეცა მთავრობა დავითისათვის და თვალი სულ იმისკენ ეჭირა.

დავითისათვის მთავრობა რომ არ აეცდინა და შემდეგ თავისი სიკვდილისა ტახტის მემკვიდრეობაზე ცილობა არ ამტყდარიყო, როგორც შემდეგ კაცია დადიანის სიკვდილისა, ლევან დადიანმა 1831 წელს სთხოვა მთავარმართებელ პასკევიჩს, წარედგინა მისი შვილი დავითი ხელმწიფე იმპერატორთან სამეგრელოს მთავრის მემკვიდრედ დასამტკიცებლად. ხელმწიფემ კეთილ-ინება მისი დამტკიცება ამავე წელს, რაზედაც ეცნობა ლევანს ჩერნიშევის წერილით პასკევიჩთან 27 მარტს 1831 წ.[1]

სამეგრელოს საქმეები ამ დროს თანდათან უარესად მიდიოდა. მთავარმა ლევან დადიანმა, ნადირობით და ლხინით უფრო დამაშვრალმა ვიდრე მმართველობით, რომლის სისუსტემ საქმე იქამდის მიიყვანა, რომ შიგ სამთავროში იმას ზოგიერთი პროვინციები ურჩობას უწევდნენ, დაიწყო თავისი განზრახვის სისრულეში მოყვანა და მის მემკვიდრეს მიანდო „მოურავთა-ზედა მოურავობა“ და „წინამჯდომელობა მდივანშიდ“, ე. ი. ირწმუნა მას უმაღლესი ადგილი სამეგრელოს ადმინისტრაციასა და სასამართლოში. ამაზე ლევან დადიანმა აცნობა მთავარმართებელ ბარონ როზენს, რომელსაც სთხოვა შემოეთვალა მისთვის ამ მისს განზრახვას ის კეთილსაიმედოდ თუ სცნობდა.

ბარონ როზენმა ამის პასუხად მთავარს მოსწერა:

„დიდად გმადლობთ იმ ნდობისა და პატივისცემისათვის, რომელშიც მე თქვენ დამიმოწმეთ თქვენი განზრახვის შეტყობინებით. ვისწრაფი გაცნობო, რომ რაკი თქვენს უგანათლებულესობას სურს თქვენს შვილს, უმაღლესად დამტკიცებულს მემკვიდრედ, ამ თავითვე მიანიჭოთ მონაწილეობა მმართველობაში და აპირებთ, თქვენი ავადმყოფობის გამო, დანიშნოთ იგი მმართველად სამეგრელოსა, მოურავთა-ზედა მოურავად და მდივანბეგთა უფროსად, მე ჩემის მხრით, არაფერ ისეთს არ ვხედავ, რაც შეიძლება იქნეს საწინააღმდეგო მთავრობისა, რომ მოიყვანოთ ასრულებაში თქვენი განზრახვა, მით უმეტეს, რომ ის არის უმაღლესად დამტკიცებუ-

[1] იხ. Акты Кавказск. археогр. ком. т. VII, გვ. 399.

ლი სამეგრელოს მემკვიდრედ; დაახლოვებით ვიცნობ თქვენს უგანათლებულესობის შვილს თავ. დავითს და სრულიად დარწმუნებული ვარ, რომ მისი კეთილი თვისებანი განუყრელად იქნებიან მასთან და თქვენგან მისადმი მინიჭებული მოვალეობის აღსრულებით ის დაგანახებს, რომ არის ღირსეული თქვენი შვილი. რაც შეეხება იმ დარიგებას, რომელსაც თქვენ მთხოვთ მისთვის, მე არ ვხედავ საჭიროდ გაუმეორო მას ერთი და იგივე, მე მხოლოდ ვთხოვ მას გაიხსენოს ჩემი დარიგებანი ამ სამი წლის განმავლობაში, როცა ის იყო ჩემთან, რომელთაგან უმთავრეს ის არის, რომ ვიდოდეს თქვენი უგანათლებულესობის კვალზე და ხელმძღვანელობდეს იმ კეთილგანზრახვით, რომლითაც თქვენ ყოველთვის განსხვავდებოდით წინაშე მთავრობისა"[1].

ძლიერ ცოტა მასალები მაქვს ხელში, რომ კვალდაკვალ მივყვე დავით დადიანის ცხოვრებას იმ დღიდან დაწყებული, როცა ის დაინიშნა, როზენის თანხმობით, მოურავთა-ზედა მოურავად იმ დრომდის, როცა იმის ხელში გადავიდა სრული უფლება სამეგრელოს მართვა-გამგეობისა, ე. ი. 1840 წლამდის.

სხვა მასალათა შორის მე ხელთა მაქვს ორმოციოდე ბარათი დავით დადიანისა სხვადასხვა წლებში მინაწერი თავის ძმა გრიგოლ დადიანთან. ამ წერილებიდან ჩანს, რომ დავითმა დიდი გულმოდგინებით მიჰყო ხელი სამეგრელოს ადმინისტრაციის და სასამართლოს ხელმძღვანელობას. „განკვირდებოდიმცა თუ სადმე გეხილა დაუსრულებელი შრომა ჩემი" — სწერდა ის გრიგოლ დადიანს ერთ წიგნში, რომელიც არის დაწერილი 29 ტირისკონს, 1834 წელსა. „პასუხი ვერ მოგწერე, საყვარელო ჩემო. სხვა და სხვაებს მიზეზებს დავსდებ განსამართლებლად ჩემდა... აჰა, ძვირფასო ჩემო მიზეზი: შეცულყოფა უმრავლესთა მიერ საქმობათა და გამგეობათა, რომელიცა მერწმუნა მე ჩვენისა მშობლისაგან, რომელმანცა გარდმოანაკადა ჩემზედ უმაღლესი დარწმუნება და ღირს-მყო წოდებად განსხვავებულისა. ყურადღებით მართებელად პროვინციების მოურავთა-ზედა მოურავობა, შინაგან მეგრელიისა, წინამჯდომელობა მდივანშიდ ეინა საგანმზრახოშიდ. ესოდენი მრჩობელი მოწყალება ჩემზედ და დარწმუნება არა ნებას მცემდნენ საქმეებთაგან განშორებისა".

ერთი წლის შრომის შემდეგ დავითი სწერს თავის ძმას:

„ვცდილობ საქმეების წარმართვას შორის რეგვენთა და ბრიყვთა გონებათა. ნუ დამგმობ აქამომდე თუ ვერა შემოვიყვანე დიადი ცვალება, ხელნი და ფეხნი შეკრულნი მაქვნ"[3].

ამავე წელს ერთ ვრცელ წერილში (რომლის პირველი ნახევარი დაკარგულად უნდა ჩაითვალოს) დავითი აუწერს თავის ძმას სამეგრელოს საქმეთა მიმდინარეობას და სხვათა შორის უჩივის მას თავის მარტოობას სამეგრელოს მართვა-გამგეობის სარბიელზე.

---

[1] წერილი 24 ოკტ. 1834 წ. № 6051, Акты Кавказск. арх. ком. ტ. VIII, გვ. 437.
[2] ტირისკონი, ე. ი. ნოემბერი.
[3] წერილი 13 იანვ. 1836 წ.

„...მოურავნი ლეჩხუმისანი დაცვლილ არიან ჩემს მიერ და სხვანიც საზოგადო, დაწყობილება სრულიად სამეგრელოსა ზედა მალ განეცემიან. მე ფრიადსა ვალალებასა შინა მყოფი, ურიცხვთა საქმეთაგან გარემოცული ქვეყანასა მას ყანდარეთისასა, ვარ ჭმუნვარებით პირად-პირადთა გამო საქმეთა და არ მივის მისთანა ვინმე, რომელს იგი წარვუთხრა ყოველი გრძნობილი ჩემგან საამო და სამწუხარო და მით მივსცე თავსა ჩემსა მათ მიერ ლხენა“...

„ფრიადსა ვალალებასა შინა მყოფს“ ახალგაზრდა მმართველს წინ გადაეღობა სხვადასხვა დაბრკოლება. და ეს დაბრკოლება უმეტეს ნაწილად ძველი თაობისაგან მომდინარეობდა, რომლის თავხედობას დავითი ალაგმვას უპირებდა. ამათ წრეს ხანდახან თვით ლევან დადიანიც უჭერდა მხარს და ამის გამო, დავითმა მოარიდა თავი მამის ურჩობას, დაუტოვა სამეგრელო და 1838 წ. ზაფხულის დამლევს ის თბილისს წავიდა.

იქიდან დავითი სწერდა მის ძმას გრიგოლს: „ნაცვლად სიამოვნებისა და მადლობისა ღვაწლისათვის მარად შიშს (და) ლანძღვას ვეღარ გავუძელ. რაღა დროს აწი ჩემი ლანძღვა არის. მოვშორდი და მოვარიდე (ამათ) თავი. პარტიები მრავალი გაკეთდა ოდიშში საწინააღმდეგოდ ჩვენდა. საქმობა აღარ არის. მამულს და ადგილს (მამა) ბზესავით იცემება. მამაჩვენს ერთ წუთს თავის მდგომარეობაზე ვერ ნახავს ვეღარც სტუმარი, ვეღარც მასპინძელი. მე ვეღარ გავსძელ და გამოვიქეცი“[1].

მეორე წერილში მასთანვე ისა წერს: „შინაურობა ჩვენი ფრიად აღრეულს მდგომარეობაშია. შემოსავალი დატაცებულ, სამართალი დადუმებულ, წესი და წყობილება აღრეულ, ვაჭრობა დაცემულ, მე ვეღარ შემძლე მუნ რისამე წარმატებისა დავუტევე ყოველი და ვსცხოვრობ თბილისს გოლოვინისგან პატივცემული მეტად. ორი რაიმე გარემზომი წინამიდგა: ანუ ჯერ იყო შფოთი მამისათანა მოსპობისათვის ამა ყოველთასა, ანუ დაცვა სამღვთოისა სჯულისა და აწი უკანასკნელი აღვირჩიე მინდობილმან ღვთისამან“[2].

მაგრამ ლევან დადიანის თითქმის 35 წლის ოდიშ-ლეჩხუმის მმართველობას ბოლო ჰქონდა მოღებული. თუ ავადმყოფობიდან ის როგორმე მოიბრუნებდა პირს, მისი დრო ნადირობას და ლხინს უნდებოდა და ქვეყნის მმართველობა უპატრონოდ იყო მიშვებული. ამის გამო ბევრგან სამეგრელოში უწესობა მოხდა. საჩიჩუოში ნამდვილი აჯანყება ატყდა მთავრის წინააღმდეგ. კაცია ჩიჩუამ სამიათას კაცს იარაღი აკიდა და ციხეები გაიმაგრა. ამათ ხელს უწყობდა დიდი ნიკო დადიანის შვილი გიორგი. ამ დღის მომსწრე ლევან დადიანმა განიზრახა თავისი მემკვიდრის დავითისათვის, რომელიც დღემდის მოურავთა-ზედა მოურავიც იყო და უზენაესი სასა-

---

[1] წერილი გრიგოლ დადიანთან 14 სექტ. 1838 წ.

[2] წერილი გრ. დადიანთან 1 დეკემბ. 1838 წ. წერილის ეს ადგილები დაწერილია „ველიზარიონის“ I თავის (გვ. 3) მიბაძვით: ჰსჯულნი დავიწყებულ იქმნენ, შემოსავალნი დატაცებულ და სხვ.—ს. ც.

მართლის თავმჯდომარეც, გადაეცა სამეგრელოს მმართველობა და თვითონ უარი ეთქვა მთავრობაზე. ამ განზრახვის სისრულეში მოყვანას ლევან დადიანმა ხელი მიჰყო იმავე 1838 წელს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

II

დავით დადიანი—სამეგრელოს მმართველი. მისი ჯვარის-წერა. მთავრობის გადაცემის ცერემონია ზუგდიდში.

დავით დადიანის თბილისში წასვლა 1838 წელს, მამის ურჩობის თავის არიდებაც იყო და დამაშვრალის კაცის სულის მოთხოვნილებაც, განშორებულიყო რამდენიმე ხნით მაინც სამეგრელოს ჭაობებსა და საზოგადო სიღარიბეს. როგორც ახლა, ისე ყოველთვის, საქართველოს სატახტო ქალაქი ანდამატი იყო, რომელიც იზიდავდა საქართველოს პროვინციებიდან საუკეთესო მამულიშვილებს და „გადმოანაკადებდა“ მათ ზედა კეთილსა ზნეს და განათლებას. ყველა ამასთან თბილისი ბებია მისის, ნინო დედოფლის სამშობლო იყო და იმ მაღალს ქართველთ საზოგადოებაში, რომელთანაც დავითი უკვე იყო გაცნობილი, იმას ეგულებოდა აერჩია მისი საბედო, სამეგრელოს მომავალი დედოფალი.

სამეგრელოში დავითის შემდეგ საქმეები თანდათან უარესად მიდიოდა. ღონემიხდილმა ლევან დადიანმა, მოუხშირა წიგნები თავის მვმკვიდრეს, დაბრუნებულიყო სამშობლოს და სამთავრო საქმეებისთვის უფრო მაგრად მოეკიდა ხელი.

1838 წლის 1 დეკემბერს დავითი სწერდა მისს ძმას გრიგოლს: „აწ გრძნობს რა მამაჩემი მტკივნეულობასა თვისსა, მოვალეობასა ფრიადსა და ვერღა ასრულებასა, სურს წერილითა თავისითა საკუთარის ხელითა ჩემდა არა ერთგზის მოწერილითა შთამაბაროს მე მმართველობა ყოვლისა მეგრელიისა და კუთვნილთა მისდა სამფლობელოთა, მე წინედმხედველი ყოველთა სიძნელეთა, რაიცა შეუდგების ამა ორთა გარემზომთა საქმეთა, ვარ ყოვლად წინააღმდეგისა აზრისა. გარნა საჭიროება ჩვენის სახლისა და სამთავროისა ესრედ მაიძულებს, რომ აჰა უკანასკნელს მივცემ მოლოდებას შენს რჩევას თუ ამაზედ როგორ აზრსა და რჩევას მომწერ და მყისვე შევუდგები ასრულებასა“.

დავითი ცხადად ხედავდა, რომ მისი გამთავრების დრო ახლოვდებოდა და თავის მხრით ისიც შეუდგა ამის თადარიგის დაჭერას.

შემდეგი წლის დამდეგს, თებერვალში, დავითი დაბრუნდა ზუგდიდს და აქ მამამისს განუცხადა თანხმობა, მამის სიცოცხლეშივე მიეღო მთავრის უფლება. მთავარმა მამამ, ამის გამო შუამდგომლობა გაგზავნა კავკასიის მთავარმართებელთან, რომ ამ უკანასკნელს გამოეთხოვა ხელმწიფის ნებართვა,—სამეგრელოს მთავრობა გადაეცა შვილისათვის.

ამავე დროს დავითმაც გამოითხოვა მშობლებისგან ნებართვა ჯვარის დაწერაზე. თბილისში ყოფნის დროს დავითი დაუახლოვდა საქართველოს მგოსნის ალექსანდრე ჭავჭავაძის ოჯახს, რომელთან დაახლოვებას ეძიებ-

და მაშინ მთელი იმ დროის თბილისის მაღალი საზოგადოება და რუსეთიდან შამილთან საბრძოლველად ჩამომავალი სამხედრო არისტოკრატია. ალექსანდრეს ქალიშვილთაგან ერთი, ნინო, შეირთო შესანიშნავმა რუსმა მწერალმა გრიბოედოვმა, მეორე — სოფიო, ბარონ ნიკოლაიმ, შემდეგში სახალხო განათლების მინისტრმა. მესამე ქალს, ეკატერინეს, თავს ევლებოდნენ ჩვენი შესანიშნავი მწერლები: ტატო ბარათაშვილი, გრიგოლ ორბელიანი, გიორგი ერისთავი...

თავის ლექსში:

ვითა ჰეპელა
არხევს ნელ-ნელა...

ბარათაშვილი შენატროდა ამ ბედნიერ კაცს, ვინც თავის სუნთქვას გაიგრილებდა ეკატერინეს საყურეს ჩრდილში. გრიგოლ ორბელიანის:

წინანდლის ვარდო...

ეკატერინეზედ არის დაწერილი. როდესაც თავ. ივანე მუხრან-ბატონმა, რომელსაც მსგავსადვე უთქმოდა გული ეკატერინესთვის, დავით დადიანის და ნინო შეირთო, ჩვენი დრამატურგი გიორგი ერისთავი სწერდა გრიგოლ ორბელიანს: „ივანე მუხრანსკის დავით დადიანის და ნინო შეურთავს, ღმერთო, ეგებ ეხლა კატინკა მე მხვდეს“-ო.

მაგრამ ეკატერინეზე თვალი ექირა დავით დადიანს[1] და ეკატერინესაც სხვაზე უფრო სამეგრელოს მომავალი მთავარი მოსწონდა, რომლის ხელში იმას „ეკატერინე დედოფლის“ წოდება მოელოდა. დავითმა ხელი სთხოვა ეკატერინეს და, რა რომ თანხმობა მიიღო მისგან, ალექსანდრე ჭავჭავაძემ დალოცა ყმაწვილი კაცები და 18 მაისს 1839 წელს, დავითმა და ეკატერინემ ჯვარი გადაიწერეს ქაშუეთის ეკლესიაში.

---

[1] როგორც სამეგრელოს მთავრის არქივიდან ირკვევა, ეკ. ჭავჭავაძის შერთვამდე დავ. დადიანს დანიშნული ჰყოლია სვანეთის (ბუბეხევის თემის) მთავრის ციოყ მურზაყანის-ძის დადეშქელიანის დაი დარეჯანი, რომელიც 1823 წ. ლევან დადიანს თავის შვილის დავითისათვის გამოუთხოვია სვანეთის დამოყვრების მიზნით. 12 წლის შემდეგ დავითს დარეჯანი შეუტოვებია. ამ შემთხვევას სვანეთსა და სამეგრელოს სამთავროებს შორის ურთიერთობა მეტად გაუმწვაფებია. სვანეთის ფაქტიური მმართველი დიგორხანი (მცირეწლოვანი ციოყის დედა)—სვანეთში განთქმული თავისი სისასტიკითა და დაუცხრომლობით—ამ საქმის შესახებ მოხსენებით ჰხლებია მთავარმართებელ ბარონ როზენს თბილისში. ბარონ როზენი ალ. თარხნიშვილის ხელით ლევან დადიანს უგზავნის შემდეგ წერილს: „ჩემთან მოსულმა სვანეთის კნეინამ დიგორხანმა მომახსენა, რომ სვანეთის მთავრის ციოყის დაი დარეჯანი დანიშული ჰყავს ცოლად თქვენს მემკვიდრეს, დავითს და 12 წელია, რაც იგი ცხოვრობს თქვენი ბრწყინვალების ოჯახში. მას ჩამოუტანია თქვენს ოჯახში დიდი მზითევი. რადგანაც ამჟამად თავ. დავითს არა აქვს სურვილი მასთან ცხოვრებისა, სვანეთის კნეინა თხოულობს, რომ დარეჯანი გამოგზავნონ მასთან თბილისში და თანვე გამოატანონ მის მიერ თქვენს ოჯახში მიტანილი მთელი მზითევი, რომლის სიასაც ამასთანავე გიგზავნით“...

აღნიშნული წერილის შემდეგ ბარონ როზენს საქმე მოუგვარებია: დადეშქელიანის მოთხოვნილება დადიანის მხრით, დაუკმაყოფილებია, ხოლო დავ. დადიანის ყოფილი მეუღლე დარეჯანი მიუთხოვებია ჯახელ თავად დავით აფუხაზისათვის, რომლისთვისაც დაუნიშნავს პენსია წელიწადში 150 ჩერვონეცი (იხ. საქ. ცენტრ. არქივი—სვანეთის შესვლა რუსეთის ქვეშევრდომობაში, საქმე № 7, გვ. 52—53, 71—76; Отношение Б. Розена Вице-канцлеру Несельроду და აგრეთვე письмо Левану Дадиани от Б. Розена 21—III—1835 г. № 1626 ამის შესახებ იხ. აგრეთვე მიმოწერა მთავრის კანცელარიისა მთავარმართებელთან—ზუგდიდის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში.—ს. ც.

ამასობაში ლევან დადიანის მთავრობაზე უარის თქმა და შუამდგომლობა, —გარდაეცათ მთავრობა დავითისათვის — ადიოდა მთავარმართებლის კანცელარიიდან მინისტრის კანცელარიამდის და ბოლოს, 1840 წლის მარტში მოხსენდა ხელმწიფე იმპერატორს, რომელმაც კეთილინება ლევანის თხოვნაზე გამოეცხადებია თანხმობა. 25 მარტს, 1840 წელს ჩერნიშევი სწერდა მთავარმართებელს გოლოვინს:

„ჩემს უქცეშევრდომილეს მოხსენებაზე იმის შესახებ, რომ სამეგრელოს მართვა-გამგეობის საქმე ჩაბარდეს სამეგრელოს აწინდელ მთავრის შვილს როტმისტრ თავად დავით დადიანს, ხელმწიფე იმპერატორმა უმაღლესად კეთილ-ინება ებრძანებია: ნება მიეცეს თავ. დადიანს, მართოს სამეგრელოს საქმეები, ამასთანავე მასთან დაინიშნოს საჭირო რჩევისა და თვალყურის გდებისათვის კეთილსაიმედო შტაბ-აფიცერი, თანახმად წინადადებისა, რომელიც განმარტებულია თქვენს წერილობითს მოხსენებაში ამა წლის იანვრის 16-სა დღესა"[1].

ამ მოწერილობის თანახმად კავკასიის მთავარმართებელმა გოლოვინმა მიანდო ქუთაისის გუბერნატორ ესპეხოს წასულიყო ზუგდიდს და გამოეცხადებია სამეგრელოს საზოგადოებისათვის უმაღლესი ბრძანება, რომ მთავარ ლევან დადიანის თხოვნით, სამეგრელოს მთავრის უფლება გადაეცა მის მემკვიდრეს, უგანათლებულესს თავადს დავით დადიანს, რომლისადმი საზოგადოებას ემართა ამას იქით იგივე მორჩილება, როგორიც ემართა მას დღემდის მთავრისადმი. ესპეხო მოვიდა ზუგდიდს 10 მაისს, 1840 წელს. 11 მაისს დილით, გამოუცხადა უმაღლესი ბრძანება მთავრის სასახლეში შეკრებილ საზოგადოებას მთავრის და მისი მემკვიდრის დასწრებით. შემდეგ მთელი კრება გაემართა ეკლესიაში, სადაც წირვის შემდეგ იქნა ფადახდილი პარაკლისი და ეპისკოპოსი გიორგისაგან წაკითხული ეკლესიის გარეთ, ლევან დადიანის მიმართვა საზოგადოებისადმი უფლების გადაცემაზე მემკვიდრისადმი.

ამის შემდეგ ლევან დადიანმა ჩააბარა თავის მემკვიდრეს უმაღლესად ბოძებული ბაირაღი და ხმალი. მოხსენება ამ საგანზე გაუგზავნა მთავარმართებელს გუბერნატორმა ესპეხომ ყულევიდან იმავე წლის 19 მაისს. აი როგორ არის შემდგარი თვით ეს მოხსენება:

„თანახმად მარტის 31-ის მოწერილობისა, სამეგრელოს მთავრისაგან წინასწარ უწყების შემდეგ ამ თვის 10-ს ჩამოვედი ზუგდიდს, სადაც თავის დროზე, 11 რიცხვისათვის, მოწვეულ იყვნენ მისი უგანათლებულესობის გავლენიანი პირნი, როგორც დადიანის გვარისანი, ისე საზოგადოდ, სამეგრელოს თავად-აზნაურობისანი, რომელთაც 11-ს დილის 9 საათზე, მთავრის სასახლეში შეკრებილთ გამოვუცხადე მისი იმპერატორებითი უმაღლესობის უმაღლესი თანხმობა მისი უგანათლებულესობის თხოვნაზე — სამეგრელოს მართვა-გამგეობის გადაცემის შესახებ მისი შვილი-

[1] Акты Кавказ. арх. ком. т. IV, зз. 180.

სათვის და ავუხსენი მათ, რომ იმ ფიცის ძალით, რომელიც მათ მიუცია ხელმწიფე-იმპერატორისათვის, ისინი მოვალენი არიან მთავარ დავითს ისევე ემორჩილნენ და უერთგულონ, როგორც აქამდე ემორჩილებოდნენ და ერთგულობდნენ მთავარ ლევან გრიგოლის-ძეს.

ამის შემდეგ მთავარმა გამოუცხადა დამსწრეთ, რომ იგი თავის, უმაღლესად დამტკიცების ღირსქმნილი, ნებით გადასცემს თავის ძესა და მემკვიდრეს თავის ძალაუფლებას და ურჩია ყველა თავის ქვეშევრდომთ, თავად დავითსაც ისევე პატივცემით, მორჩილებით და ერთგულებით მოეპყრან, როგორითაც აქამდე თვითონ მას ეპყრობოდნენ. ამის შემდეგ, როგორც მთავარი, ისე მისი მემკვიდრე, ჩემთან ერთად, აიღეს რა ხელმწიფე იმპერატორის მიერ უუმოწყალესად მისთვის ბოძებული დროშა, ყველა დამსწრეთა თანხლებით გაემართნენ ეკლესიაში, სადაც საღმრთო წირვისა და ხელმწიფე იმპერატორისა და მთელი უმაღლესობის სახლობის სადღეგრძელო პარაკლისის გადახდის შემდეგ, ჭყონდიდელმა გიორგიმ, ეკლესიიდან გამოსვლისას, საყოველთაოდ წაიკითხა მთავრის მომართვა იმის შესახებ, რომ იგი, მთავარი, თავის ძალაუფლებას გადასცემს თავის ძეს დავითს, და ამის შემდეგ თავადმა თავის ძეს ჩააბარა უმაღლესად ბოძებული დროშა და ხმალი.

პატივი მაქვს მოგახსენოთ ამის შესახებ, და მოვალედ ვრაცხ ჩემს თავს დავსძინო, რომ თავადმა ლევანმა, თუმცა თავისი ძალაუფლება სამეგრელოს მართვა-გამგეობისა თავის ძესა და მემკვიდრეს თავ. დავითს გადასცა, მაგრამ ცხადზე უცხადესია, რომ სიცოცხლეში მთავრის ტიტული არ შეიძლება არ ატაროს მისი უგანათლებულესობის პიროვნებამ, ამიტომ პატივი მაქვს გთხოვთ და გვიბრძანოთ, როგორ ვუწოდოთ თავად დავითს: ამ სამთავროს მემკვიდრე, როგორც აქამდე ერქვა, თუ უნდა ატაროს ტიტული სამეგრელოს მთავრისა, მსგავსად მისი ბებიის, დედოფალ ნინოსი, რომელიც სამთავროს მემკვიდრეს თავად ლევანის მცირეწლოვანობის დროს, სამეგრელოს დედოფლის ტიტულს ატარებდა.

ამ უკანასკნელ ამბავს მოგახსენებთ, როგორც თვით სამეგრელოს მთავრისა, ისე მისი მემკვიდრის, თავად დავითის თხოვნის თანახმად"[1].

გიორგი ეპისკოპოსისაგან წაკითხული მიმართვა საზოგადოებისადმი მთავარ ლევან დადიანისა იყო შედგენილი ამგვარად:

მაღალპატივცემულო საზოგადოებავ მეგრელიისა სამღვდელოთა, თავადთა, აზნაურთა და სხვათა.

კეთილ-მოქმედებითმან მეუფებამან რუსეთის საიმპერატორო ტახტისამან სახლსა ზედა მეგრელიის მთავრისასა განაბნია რა ბინდი, რომელითა მოცულ იყო მხარე ესე ჩვენი, განკურნა წყლულებანი მისნი, იმ დაუდგრომელთა დროთა შინა მიღებულნი, რომელნი გლეჯდენ გულსა მეგრელიისასა, დაშთენილ იყო ოდენ შინაგანითა კეთილდაწესებითა დამყარება კეთილ-დღეობისა სამთავროისა საუკუნოდ; ამაზედ იყო მიქცეული

[1] Акты Кавказск. арх. ком. ტ. IX, გვ. 180.

ყოველი ჩემი ყურადღება თვით იმ დროიდგან, რა რომ უმაღლესის ნებით შემდგომად ნეტარ ხსენებულისა მშობლისა ჩემისა გრიგოლ დადიანისა მივიღე მე მართველობა მეგრელიის საფუძველთა ზედა სათხოვართა მუხლთათა უმაღლესად დამტკიცებულთა სურვილი ჩემი ეძიებდა მას, რათა აღორძინებითა მოქალაქობისათა და განცოცხლებითა ჭრომისა და ხელოვნებისა სამფლობელო ჩემი დადგენილ თანასწორ სხვათა სამთავროთა წარმატებასა შინა საშუალ ამა ჩემისა მზრუნველობისა თქვენ გამოცდილებით უწყით რა ერთგულ ქვეშევრდომად დიდისა ჩვენისა ხელმწიფისა და მორჩილ სჯულიერისა თქვენისა მთავრისა, განასხვავეთ თავნი თქვენნი ყოველსა წინეთ განზრახულებასა შინა ჩემისა სასარგებლოდ მამულისა, რომლისათვის გარდა სხვათა მრავალთა მოწყალებათა ხელმწიფისათა დაჯილდოებულ არს ვითარცა სახლი მთავრისა, ეგრეთვე თვით თქვენცა კვალად მით, რომელ სიყვარული გულისა ჩემისა პირმშო ძე ჩემი დავით უმაღლესითა ღრამოტითა ჩყლა წელსა მაისის ლ, ცნობილ და დამტკიცებულ არს მემკვიდრედ მაღლისა ღირსებისა მთავრისა სამეგრელოისა და სხვათა სამფლობელოთა.

რაოდენ საჩინო იყო მაღალი დანიშნულება ესე ძისა ჩემისა დავითისათვის, ჯერეთ წელთა სიჭაბუკისათა ეგოდენ სამღვთო ვალად ვთვლიდი მისცემოდა მას განსწავლა შესაბამი წოდებისა მისისა, რომლისადმიცა იყო იგი განმზადებული ხელმძღვანელობასა ქვეშე კერძოდ საკუთარისა ჩემისა და კერძოდ გამოცდილთა და კეთილსაიმედოთა მოხარისხეთა სახელმწიფოთათა და ესრეთ მშთებოდა მე მეფიქრა მხოლოდ კეთილ ყამიერად და შენებისათვის შინაურთა საქმეთა ჩემის სამთავროისათა, და მხილველსა თვით თვალითა ჩემითა მმართველობისა ქვეყნისა მისა მიერ ჩემისა დამეტკბო დღენი ცხოვრებისა ჩემისანი.

მოაწია ბედნიერმან დრომან ამან და მემკვიდრე მეგრელიისა დამაჯილდოებელი ჩემისა მოლოდებისა გზითა ჭეშმარიტ ღირსებისათა დაუახლოვდა გულსა ჩემსა, ამასვე შორის შრომათა და ძნიადთა ტვირთთა ხელმწიფის სამსახურისათა განმავლობასა შინა ოცდაათის წლისასა ფრიად უდროოდ მომაკლეს მე სიმრთელე, მგრძნობელი, რომელ ძალნი ჩემნი სუსტდებოდნენ უაღრესად განგრძობად მართველობასა მეგრელიისა, მაშინ ამა მართალთა მიზეზთა გამო მე მაქვნდა ბედნიერება ყოვლად უქვეშევრდომილესად შევრდომად ხელმწიფე იმპერატორისადმი თხოვნითა განთავისუფლებისათვის ჩემისა და შთაბარებისათვის მართველობისა მეგრელიისა და სხვათა ამასთანა შეერთებულთა სამფლობელოთა საყვარლისა ძისა ჩემისა სამეგრელოის მემკვიდრის დავითისადმი.

აწ უწყებულ ვიქმენ ყოვლის უპირატეს მართველის საქართველოისა შინა რომელ ხელმწიფე იმპერატორმან თხოვნასა ზედა ჩემისა კეთილ ინება გარდმოცემად ნებისა თვისისა. აღსასრულებლად ჩემისა სურვილისა ღირს ქმნილისა უმაღლესისა დამტკიცებისა, დღეინდელის რიცხვიდან გარდამოვსცემ საყვარელსა ძესა ჩემსა დავითს ტვირთსა სამღრთო მოხარისხეობისასა მართველობისა მეგრელიისასა და სხვათა მასთან შეერთებულთა პროვინციათა, ერთად მცხოვრებთა ყოვლისა ხარისხისათა და თვით შესახებთა მათდამი საქმეთაცა, ნამდვილ იმ სამართალთა ზედა მემკვიდრეობისათა, რომელნი გამომხატველ არიან სათხოვართა პუნკტთა შინა უმაღლესად დამტკიცებულთა განსვენებულის ჩემის მშობლის გრიგოლ დადიანისადმი და თვით უმაღლესსა ღრამოტასა შინა ბოძებულსა ჩყლა წელსა მაისის ლ: დღესა მასა ჩემისა დავითისადმი. ერთად ამასთანავე გარდამოვცემ მას დიდებასა მთავრის სახლისა სამკვიდროდ ხელმწიფე იმპერატორისაგან ბოძებულსა ნიშნად სარდლობისა დროშისა, და ხმალსა შემდგომად ამისა გამოგეცხადებათ მცხოვრებთა სამთავროისათა, რათა ყოველსა შემთხვევისა ყოველთა საქმეთა შინა მიიქცეოდეთ ახლად დადგენილის მას სჯულიერისა განმგებლისადმი.

შთამბარებელი მმართველობისა სამთავროისა მე არა ძალმიძს რათა არა მივიქცე საყვარელისა ძისა ჩემისა დავითისადმი წინადადებითა ჩემთა გრძნობათა და ჰაზრთა მისდა სამოძღვრებელად რომელთათვის საღღესასწაულოდ ვიტყვი აქ:

საყვარელო ძეო ჩემო! პირველ და უმთავრეს სჯულად დაიცავ უფსკრულსა შინა გულისასა რათა გიყვარდეს ღმერთი, იყავ ერთგულ ხელმწიფისა და მამულისა, მზა

იყავნ თავი თვისი სამსახურსა ზედა მასა უკანასკნელ სისხლისწვეთამდე, პატივ ეც ჰსჯულთა, აწ ვითარცა მბრძანებელი და ვითარცა მამა იზრუნე რწმუნებულთა შენდა მცხოვრებთათვის, ვითარცა სახლისათვის მამისა, იზრახეიდე რათა მართველობითა შენითა ესენი იყვნენ კმაყოფილნი, არ მიუშვა არავინ თვით მნებელობისათვის და არც ნება შეიწროებად ურთიერთისა. ვინ არ იცის, რომელ ქვეშევრდომთა სურსთ ცხოვრება და მოქმედება მათ საქმეთა, რომელთა შინა ხედვენ თვისსა მთავარსა, მაშა თანაგიძს მიცემად მაგალითისა კეთილისა, რათა მით მმართველობასა შენსა ეძლუოდეს დამყარება მართლმსაჯულებისა ნივთისა და საქონლისა უშიშროება და მიცემა თვითეულისადმი დაცვა სჯულისა.

შემდეგი ყოვლისა ამას განამართლებ იმ მაღალსა დანიშნულებას, რომლითა ყოვლად უმოწყალესმან ხელმწიფემან ღირს ჰყო დამტკიცება შენდა, წინაალმდეგს შემთხვევასა შინა იშიშვოდე, რომელ თვითოეულისა აღუსრულებლობისათვის მოქალაქეობითისა, ვალდებულებისა შეუდგების ბოროტ შემთხვევითი დაცემა.

მიმცემი საყვარლის ძისა ჩემისა დავითისადმი მამობრივთა კანონთა თანამდებ ვარ მოგაგონოთ თქვენ, მაღალ პატივცემულნო საზოგადოებანო, მეგრელიის სამთავროისანო, ვალისათვისაც თქვენის დამოკიდებულებასა ჰსჯულიერის ხელმწიფებისადმი შემწირველი მსხვერპლად ძისა ჩემისა დავითისა, რომელზედ ჯერეთ ჭაბუკოვანთა წელთა შინა დაიდვა ტვირთვი მართველობისა მოწოდებითა მშობლისათა, შთაგაბარებ რა თქვენ ყოველნო ერთგულნო მთავრის სახლისანო, გარიგებთ, რათა მორჩილ ექმნეთ ყოველთა განკარგულებათა მისთა, ერთგულად ჰგიებდეთ სამსახურსა ზედა ხელმწიფე იმპერატორისა, განსვენებით დაცვა მთავრისა თქვენისა შეურაცხეთ საკუთარ თქვენს მყუდროებად, ოდესცა საქმენი მისნი იქნებიან კარგსა მდგომარეობასა შინა, მაშინ ყოველნი თქვენ იქნებით კეთილ-დღეობასა შინა და თვით პირველი და უმთავრესი ყოვლისაგან იგი არს, რომელ დამფარველი ღირსებათა ამათ არ განსდრკენ კეთილისაგან, ხოლო აწ თვანიერ ყოველთა სიძნელეთა წინ სდგას თქვენთვის კეთილ-ეამიერი დრო დაუნჯებად საწადელთა სახიერებათა, ოღონც იყოს თქვენ მიერ დაცული ერთგულება და სიმართლე თქვენთა მოქმედებათა შინა.

დასასრულ მშთების მე სრული სასოება, რომელ თქვენ ყოველნი რომელნი ერწმუნებით მართველობასა ძისა ჩემისასა. წინად ჩემგან თქვენდა მოცემულსა, ვაიხსენებთ რა მამა-პაპათა თქვენთა ერთგულებათა მთავრის სახლისადმი, აღასრულებთ ყოველთა მას, რომელთა ბრძანებენ, ვითარცა სამღთონი ეგრეთვე სამოქალაქო ჰსჯულნი დადგინებულის თქვენზედ მთავრისადმი და მით გვირგვინოსან ჰყოფთ და განასაუკუნოებთ საქმეთა მისთა შთამოებისათვის თქვენისა და ესრეთ აღმასრულებელნი ყოვლისა ზემორე აღწერილისა ურთიერთს შორის დამოკიდებულებისასა ჰსცნობთ ვითარცა კეთილად მმართველობისასა და იხილავთ თავთა თქვენთა ბედნიერებასა.

გამომხატველი ამა აქტისა შინა უმაღლესის ნებისა გარდაცემისათვის სამთავროისა მმართველობასა ძისა ჩემისა დავითისადმი და მით დაჯილდოებით ყოფილი უსასიამოვნესითა კმაყოფილებთა, რათად, თქვენთან ვთსთხოვ უზენაესსა, რა მან მისცეს ძალი და მადლი კეთილად აღსრულებისათვის დადებულის მასზედ ახლისა ტვირთის, ხოლო მე მიმცემი თავის თვისისა ნუგეშინისცემისადმი დატკბობითა დღეთა ცხოვრებისა ჩემისათა, საღმთო ვალად ვრაცხ ვეგო მარადის ერთგულ ქვეშევრდომად ხელმწიფე იმპერატორსა, რომლისათვის გული ჩემი დაიცავს სიჭაბუკესა თვისსა უაღრესად სნეულისა ჩემისა.

აქტი ესე იქმნეს დაცულ საქმეთა შინა მთავრისათა, ხოლო პირი აქტისა ამისა განსაცხადებლად ზოგად ყოველთა მეგრელიის ერთასა, ებრძანების უზენაესსა მეგრელიის სასამართლოსა წარგზავნოს ყოველთა ეკლესიათა შინა ყოვლად უსამღვდელოესობის ჰყონდიდელის გიორგის მიერ მაისს ია დღესა... გრიგოლიოპოლს.

ნამდვილისა თანასწორობას და ხელმოწერილობას მთავრის მიერ: მემკვიდრე მეგრელიისა დ ა ვ ი თ[1].

ეროვნული ბიბლიოთეკა

III

ლევანის გარდაცვალება. დავითის წერილი ნიკოლოზ პირველთან. დავით დადიანის ტახტზე ასვლა. ინვენსტიტურა.

ამის შემდეგ დავით დადიანი იყო სრული უფლებით აღჭურვილი სამეგრელოს მთავარი, თუმცა სანამ მამამისი ლევან ცოცხალი იყო, ის ამის შემდეგაც იწერებოდა და იწოდებოდა სამეგრელოს მემკვიდრე-მმართველად. როგორც თინათინს, რომელსაც როსტევანმა გადასცა თავისი ტახტი, აკლდა „მართოდენ კეისრობა", ისე დავით დადიანს, რომელსაც მამამისმა დაუთმო მთავრობა, აკლდა მართოდენ მთავრის სახელი, მთავრობა.

სამეგრელოს მმართველად დავით დადიანი იჯდა მამამისის ტახტზე 1840 წლიდამ 1846 წლამდე. ამ წელს სოფელ აბასთუმანს[2] გარდაიცვალა მთავარი ლევან დადიანი და თანახმად მთავარმართებლის თავ. ვორონცოვის წარდგინებისა, 1846 წლის 4 დეკემბერს ხელმწიფე იმპერატორმა ნიკოლოზ პავლეს-ძემ მემკვიდრე-მმართველი დავით დადიანი დაამტკიცა სამეგრელოს მთავრად.

ლევან დადიანის გარდაცვალების გამო მისმა მემკვიდრემ შემდეგი წერილი მისწერა ხელმწიფე იმპერატორს მთავარმართებლის თავ. ვორონცოვის საშუალებით:

უქვეშევრდომილესი წერილი თავადის დადიანისა
1846 წ. აგვისტოს 8-სა დღესა.

„ჩვენს ოჯახსა ზედა განრისხებულსა მამა ზეციერსა ენება წარსულ ივლისის 30-ს ამიერ ჩათვლით წარეყვანა ჩემი ძვირფასი მშობელი და კეთილისმყოფელი, ხოლო თქვენი იმპერატორებითი უმაღლესობის ერთგული ქვეშევრდომი. შევუდექი რა სამეგრელოს მართვას თანახმად 1831 წლის მაისის 30-ს თქვენი იმპერატორებითი უმაღლესობის მიერ უმოწყალესად ბოძებულ ღრამოტისა, ბედნიერად ვთვლი ჩემს თავს შევუვრდე პატივსაცემელ ფერხთა თქვენთა, უუმოწყალესო ხელმწიფეო, და

---

[1] ეს ტექსტი დედანში მოყვანილია რუსულ ენაზე, რის გამო ავტორი აღნიშნავს: „ეს მიმართვა საზოგადოებისადმი, მთავრის ლევან დადიანისა, მინდოდა ქართულად მომეყვანა, ისე როგორც ის იყო დაწერილი და წაკითხული გიორგი ეპისკოპოსის მიერ, მაგრამ იმის პირი ვერ ვიშოვე... და ამიტომ მომყავს აქ რუსულ ენაზე, ისე, როგორც ის არის დაბეჭდილი კავკ. არქ. კომისიის აქტებში" (ტ. IX). ჩვენ ამჟამად ამ მიმართვის ქართული ტექსტის პირი მოვიპოვეთ საქართველოს მუზეუმის პალ. განყ. (1362) და ვაქვეყნებთ უცვლელად, ხსენებული რუსული ტექსტის ნაცვლად.—ხ. ც.

[2] სოფ. ზუგდიდის რაიონში, ამჟამად იწოდება ძველ აბასთუმნად, სადაც სააგარაკო სასახლე ჰქონდათ სამეგრელოს მთავრებს, უკანასკნელად (1910 წლამდე) ამ სასახლეში ცხოვრობდა ანდრია დავითის-ძე დადიანი.—ხ. ც.

განგიცხადოთ ჩემი უქვეშევრდომილესი ერთგულება. მსგავსად ჩემი ღვთივგანსვენებულის მშობლებისა, თავმდებად დავიყენებ უზენაეს გამჩენს, რომ ურყევლად ერთგული და თავდადებული ვიქნები ტახტისა და თქვენის წმინდა გვარისა, აგრეთვე ღვთისა და თქვენის იმპერატორებითი უმაღლესობის მიერ ჩაბარებულ სამეგრელოს ხალხისა. მიგვიღეთ, ხელმწიფეო, მე და თქვენი ერთგული და თქვენთვის თავდადებული მეგრელები თქვენი უმაღლესობის საფარველ ქვეშ და ნება გვიბოძეთ ჩემი სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე მოწიწებით მაქვნდეს ბედნიერება ვიყო თქვენი იმპერატორობითი უმაღლესობის, უმოწყალესის ხელმწიფის, ერთგული ქვეშევრდომი"[1].

ეს წერილი მთავარმართებელმა თავ. ვორონცოვმა წარუდგინა ხელმწიფე იმპერატორს შემდეგი რაპორტით:

უქვეშევრდომილესი რაპორტი თავადის ვორონცოვისა 1846 წ. აგვისტოს 28-ს დღესა, № 664 კიხლოვოდსკით.

„წარსულ ივლისის თვის 30-ს გარდაიცვალა სამეგრელოს მთავარი თავადი ლევან დადიანი. მისმა უფროსმა შვილმა დავითმა შემატყობინა, რომ იგი შეუდგა სამეგრელოს მართვას თანახმად თქვენი იმპერატორობითი უმაღლესობის მიერ 1831 წ. მაისის 30-ს ბოძებული ღრამოტისა და მთხოვს თქვენს ფერხთა ქვეშე შევუვრდო, უუმოწყალესო ხელმწიფეო, თავისი და მისი ხალხის უქვეშევრდომილესი ერთგულება და თქვენს იმპერატორობითს უმაღლესობას მივართვა მისი წერილი.

ვასრულებ თავად დადიანის სურვილს და წმინდა მოვალეობადა ვთვლი დავსძინო, რომ თავის მამის ხანგრძლივი ავადმყოფობის დროს დიდი ხანია მართავდა სამეგრელოს და არ მეეჭვება მისი ერთგულება თქვენ იმპერატორობითი უმაღლესობის ტახტისადმი და ის უქვეშევრდომილესნი გრძნობანი, რომელთაც ის გამოსთქვამს"[2].

ამის პასუხად მთავარმართებელს თავ. ვორონცოვს მოუვიდა ჩერნიშევისაგან შემდეგი წერილი:

წერილი თავად ჩერნიშევისა თავად ვორონცოვთან მიწერილი 1846 წ. დეკემბრის 4-ს, № 1750

„ხელმწიფე იმპერატორმა, თქვენი ბრწყინვალების ოქტომბრის 16-ის № 1003 მოხსენება რომ მივართვი, უმაღლესად კეთილინება დაემტკიცებია ამ წერილთან ერთად პროექტი საინვენსტიტუტო გრამოტისა სამეგრელოს მთავრის თავად დადიანისათვის.

ამის შესახებ მე მოვახსენე საგარეო საქმეთა სახელმწიფო კანცლერს. ახლა გრაფ კარლ ვასილის-ძისაგან მივიღე ნამდვილი გრამოტა ოქროს

---

[1] Акты Кавк. арх. комиссии, т. X. გვ. 271.

[2] Акты Кавк. арх. ком., т. X გვ. 261.

ფარჩის ყდაში ჩასმული. ეს გრამოტა ნოემბრის 30-ს ღირს-იქმნა უმაღლესის ხელისმოწერისა. დაეკრა სახელმწიფო ბეჭედი და ჩაედვა ოქროცურვილ ვერცხლის კიდობანში. მე პატივი მაქვს გრამოტა თქვენს ბრწყინვალებას გამოვუგზავნო, რათა მიართვათ თავ. დავით დადიანს, და უმორჩილესად გთხოვთ პატივი მცეთ და მისი მიღება მაცნობოთ"[1].

ამ პასუხთან თავ. ვორონცოვს მოუვიდა ხელმწიფისაგან დამტკიცებული ინვენსტიტურის გრამოტა დავით დადიანის სახელზე, რომლის პროექტი თვით ვორონცოვისაგან იყო შედგენილი.

IV

ბროსეს აზრი დავით დადიანზე. მთავრის ქართული და რუსული კანცელარია: ივა ბერი, ანდრი გეგეჭკორი. ვორონცოვის ბეჭდის ძებნა.

დავით დადიანი განაგებდა სამეგრელოს სამთავროს 13 წელიწადს.

ფეოდალურ სამთავროში, საცა ყველაფერი ბატონის ნებაზე იყო დაფუძნებული, საცა, მაშასადამე, დიდისა და პატარასათვის სავალდებულო, დაწერილი კანონი არც კი არსებობდა, საცა არც ხალხის განათლებას, არც საზოგადო ცხოვრების განვითარებას, არც ვაჭრობას, არც მრეწველობას, რომელნიც არ არსებობდნენ, არ შეეძლოთ თავი მაღლა აეწიათ და მოეთხოვათ მთავრისაგან საზოგადოებრივი ცხოვრების გაუმჯობესება, ახალგაზრდა მთავარს (დავით დადიანი იყო 27 წლისა, როცა ის შეიქნა სამეგრელოს მმართველად) ფართო ხასიათი და ქვეყნის სიყვარული უნდა გამოეჩინა, რომ თავიდანვე სამეგრელოს საქმეების გაუმჯობესებას და რეფორმების გზას დასდგომოდა და მართლაც, დავითის თანამედროვე, საქართველოს მეისტორიე მარი ბროსსე, რომელიც ესტუმრა მთავარს 1848 წელს, აი რაგვარად აგვიწერს სამეგრელოს მთავარს და მის საქმეებს:

„ვინც იცნობს დავით დადიანს, ყველამ იცის, რომ სრულებით არა სჭირია მას კაცმა აქოს. ეს მთავარი შესანიშნავია თავისი ჭკუით, შესანიშნავია თავისი აღზრდით, რომელიც მან ს.-პეტერბურგში მიიღო: უცხოვრია ევროპაში და იქ ცხოვრების დროს გაეცნო ახალ აზრებს და იცის რა აკლია მის ხალხს, მის ქვეყანას. და ყოველ ღონესა ხმარობს გააუმჯობესოს მდგომარეობა როგორც ერთისა, ისე მეორისა. თავის ქვეყანაში ისეთი ზართვა-გამგეობა მოაწყო, როგორიცაა საქართველოს იმ ნაწილებში, რომელიც უშუალოდ რუსეთის კანონებს ემორჩილებიან. თვითმპყრობელური მართვა-გამგეობის მაგიერ, შემოიღო სამოურავოები. მთელ სამეგრელოში თორმეტი მოურავია. ესენი არიან სამოურავოების უფროსები, მოურავებს ემორჩილებიან მაზრის უფროსები, რომელთა საშუალებით მთავრობა საქმეს იჭერს სოფლის უხუცესებთან. ხალხი მოგებულია. იმის მაგიერ, რომ შორს იაროს მთავართან საჩივლელად, ან სადმე გზის პირას ელოდოს მის გამოვლას, იქვე ახლოს ჰყავს უფროსი,

[1] Акты Кавк. арх. ком., т. X, გვ. 261.

რომელსაც მინიჭებული აქვს უფლება, გაარჩიოს მთხოვნელთა სარჩ-ვარი. ბევრნი ძალიან კმაყოფილნი უნდა იყვნენ ამ მდგომარეობით. მოურავი თავისი ხშირ-ტოტებიანი ხის ჩრდილის ქვეშ მოუსმენს მთხოვნელს, ხელ-მძღვანელობს ადათით ან ვახტანგ მეფის კანონებით და განაჩენს მაშინ-ათვე გამოიტანს. მანქანა მეტად მარტივია და ადვილადაც მოძრაობს. მართლაც რომ სასიამოვნოა ხოლმე ამ მანქანის მუშაობის ყურება.

დადიანის ფიქრი, როგორც ეტყობა, მეორე საგანსაც მიუპყრია: ის ცდილა მეგრელს განცალკევებით, განმარტოებულად ცხოვრებაზე ხელი აეღო და ერთობლივ ცხოვრების სიტკბო და სარგებლობა განეცადა. და-დიანმა ამისათვის დააარსა ზუგდიდში ქალაქი და ბაზარი. მეგრელი ჯერ გაოცდა,— ეს რა გააკეთესო და ერთბაშად ვერ მიხვდა რაც ამბავი იყო; მაგრამ როცა აქ თავისი ნაწარმოები გამოიტანა, როცა გამოიტანა თავისი ხამი, აბრეშუმი, თავისი თუთუნი, თავისი ზედმეტი ღომი ან სხვა რამ და დაუხვდნენ მყიდველები, რომლებიც ელოდებოდნენ, დაუხვდათ დუქ-ნები, საცა ელაგა ფართალი, აბრეშუმის ქსოვილები, შუშის ჭურჭლეუ-ლობა, რკინეულობა, ერთი სიტყვით, ყველაფერი რაც საჭიროა, სასარ-გებლოა, სასიამოვნოა თუნდ სულ ხელმოკლე ოჯახში, — ჰო, მაშინ ისიც შეეცადა გამოეტანა,აქ მეტი ნედლი მასალა და თვითონაც უფრო გაეფარ-თოვებინა თავისი წარმოება".

ცოტ-ცოტად დავით დადიანის კარგი მმართველობა სულ ყველაფერს დაეტყო სამეგრელოში: სოფლის მეურნეობას, მრეწველობას, ვაჭრობას, ადმინისტრაციას, სასამართლოს, საეკლესიო საქმეებს... მაგრამ სანამ ამაებზე ვილაპარაკებთ, ჯერ იმ დაწესებულებაზე უნდა ვთქვათ ცოტა რამ, საიდანაც ვრცელდებოდა სამეგრელოში მთავრის განკარგულება. მე ვამბობ მთავრის კანცელარიაზე.

დუბროვინი წერს: სამეგრელოს მთავრები წერილობით საქმის წარ-მოებას გაურბოდნენო[1]. ძველის-ძველად რაც იყო სამეგრელოში ეს დაბე-ჯითებით არ ვიცი, მაგრამ ეს კია, რომ მეთვრამეტე საუკუნეში და ცოტა იმის გადაღმაც და გადმოღმაც ადმინისტრაციული განკარგულება და სა-მართალი მართლა უფრო სიტყვიერად ხდებოდა და წყდებოდა, ვიდრე წერილობით. არსებობდა მთავრის მიწერილობა თანამდებობის კაცებთან, რადგანაც ათასში ერთხელ ამგვარ მიწერილობას, უმეტეს ნაწილად მთავრის მოძღვრებისაგან ნაწერს, კიდევ როგორმე შეეყრება კაცი სოფ-ლითი-სოფლად, იწერებოდა წყალობის წიგნები, სიგელები. მაგრამ არ იყო დაწესებულება, საცა უნდა დაცულიყო სამთავრო საქმეთა წარ-მოება და მიწერ-მოწერა, დღევანდელი ენით რომ ვთქვათ, არ იყო კან-ცელარია. ის როგორც დაწესებულება შემოიღო პირველად მთავარმა დავით დადიანმა. სამეგრელოს სამთავროს გაუქმების შემდეგ ქუთაისის გუბერნიის სამმართველოსადმი გაცემულ მთავრის კანცელარიის საქმე-

[1] Ист. войны и влад. русск. на Кавказе т. I. кн. II. зз. 265.

ებიდან[1] (Дела канцелярии Владетеля Мингрелии) ჩანს რომ პირველი საქმეები დღემდის ჩვენამდის ჩამოწეული, ეკუთვნის დავით დადიანის მემკვიდრეობის დროის მმართველობას. 1836 წლამდე შედგენილი საქმე გუბერნიის სამმართველოში არ არის, აქედან ცხადია, რომ წერილობითი საქმის წარმოება, პირველად შემოიღო სამეგრელოში მთავარმა დავით დიდიანმა.

დავით დადიანს ორი კანცელარია ჰქონდა: ქართული და რუსული.

ქართული კანცელარიის მდივანი იყო იეროდიაკონი ივანე ხოშთარია, ივა ბერად წოდებული. ამას დიდად უჯეროდა მთავარი, მაგრამ სამეგრელოს დიდკაცობა ემდუროდა. თუ ამათ მთავართან თხოვნა არ გაუვიდოდა ივა ბერის ბრალი იყო და შემდეგ მთავრის გარდაცვალებისა, როცა საჭყონდიდლოში გლეხების ამბოხება ატყდა, დიდკაცობამ შური იძია ღირსეულ მდივანზე. ის დააბეზღეს უმაღლეს მთავრობასთან და ივა ბერი ხელფეხ შეკრული სამეგრელოდან სადღაც გადაკარგეს[2]. ივა ბერის მწერლებად იყვნენ თევდორე ხოშთარია, შემდეგში სასახლის მოძღვარი და ორი სხვა უმაწვილი კაცი. მთავრის კაბინეტის პირად სეკრეტრად იყო ნადიაკვნარი გიორგი სხვიტარია.

მთავრის რუსულ კანცელარიას განაგებდა დეკაბრისტი პოტოცკი, ბესტუჟევის ამხანაგი, რომელიც ციმბირიდან იყო დაბრუნებული. გრიგოლ გურიელისაგან გამიგონია, ეს კაცი დიდი იეზუიტი იყო და ერთხელ დავითი მოსწამლაო. რუსულ კანცელარიაში მწერლებად იყვნენ ანდრი გეგეჭკორი და ევგენი დგებუაძე.

იმ დროებში, რომელზედაც ჩვენ ვლაპარაკობთ, ანდრი გეგეჭკორი იყო, თუ არა ერთადერთი, იშვიათი მეგრელი, რომელმაც რუსული წერა-კითხვა იცოდა. ამის გამო ამ საჩინო კაცის თავგადასავალი დღემდის არ დავიწყნია სამეგრელოს. დავით დადიანმა რაღაც შემთხვევისა გამო ის გალახა (გაროზგა).

საზოგადოდ დავით დადიანი ყოველ ხელობას და სწავლას დიდად აფასებდა თავის სამთავროში და რა იყო მიზეზი მთავრის ამ ზომამდე გულის წყრომისა ვერ შევიტყე. თუ მიდგომაში არ ჩამოერთმევა მის ძმას გრიგოლ დადიანს, იმან მიამბო: „ანდრი გეგეჭკორი წაეკიდა ერთ მწერალს, მის ამხანაგს და დავითმა ამის გამო ის დატუქსა. ამან თურმე იუკადრისა შენიშვნა და სიტყვა შეუბრუნა მთავარს, „დედა შეაგინაო“ და მთავარმა ამის გამო ის დასჯაო“. ბესარიონ ხოფერიას, გეგეჭკორის დასჯის მიზეზად ის გაუგონია, რომ ის გაარშიყებია მთავრის ადიუტანტის ორლოვის ცოლს, რაც უნდა ყოფილიყო მიზეზი გეგეჭკორის დასჯისა. ანდრი გეგეჭკორი იმდენად შეაძრწუნა მთავრის ძალადობამ, რომ ის ჭკუიდან შეირყა. რომ დადიანი გონს მოეყვანა, როზგის ქვეშ მწოლარე ანდრიმ დაუძახა თურმე მთავარს:

---

[1] ამ არქივის უდიდესი ნაწილი დაიწვა 1905 წ.—ხ. ც.
[2] მცხეთაში ცხოვრობდა, როგორც ბერი.—ხ. ც.

— ვისა სცემ, დავით?

— ანდრისო, დაუძახა თურმე გულმოჯერებულმა, მაგრამ შეუბრალებელმა მთავარმა.

მეორე მწერალ ევგენ დგებუაძეზეც ვთქვარ ერთი სიტყვა დ. დადიანის ისტორიაში. ამას რომ დაუმთავრებია სწავლა მარტვილის სასწავლებელში, მამამისს ის გაუგზავნია ქუთაისს ექვთიმე წერეთელთან[1], რომელიც გუბერნიის მმართველობის სეკრეტარი იყო, ამ უკანასკნელს კი გაუმწესებია ჯამაგირზე მაზრის სასამართლოს მწერლად 120 მანეთად წელიწადში. ეს რომ მთავარს შეუტყვია, დაუბარებია მამამისი და უთხოვნია მისი შვილი მოეყვანა და მთავრის კანცელარიაში დაეყენებია. მამამ მთავრის თხოვნა ბრძანებად ჩასთვალა და ის მაშინვე წავიდა ქუთაისს, მაგრამ იქ ურჩიეს, ნუ წაიყვან, სწავლას მოცდებაო, გაფუჭდებაო და მამა ხელცარიელი დაბრუნდა. ეს რომ მოახსენა მთავარს, ბრძანა: ოთხი მოსახლე გლეხი ჩამოართვით დგებუაძეს სანამ შვილი არ მოიყვანოსო. მეტი გზა არ იყო. ქუთაისის მაზრის სასამართლოდან ევგენი დგებუაძე მთავრის კანცელარიაში გადმოიყვანეს[2].

როგორც მერაბ გრიგოლიამ მიამბო — ქართული კანცელარია მთავრისა იდგა სასახლის ეკლესიის გვერდით. რუსული კანცელარია იმაზე ცოტა მოშორებით, არხის გადაღმა. რუსული კანცელარიის სეკრეტრად იმან დამისახელა ერთი ვიღაც ლატარი.

მთავრის კანცელარიას დიდძალი მიწერ-მოწერა ჰქონდა გამართული. ეს კანცელარია იყო ერთადერთი დაწესებულება სამეგრელოში, საცა მიდიოდა მთავრის სახელზე ყოველგვარი ქაღალდი, როგორც შიდა სამეგრელოდან (თხოვნები), ისე ცირკულიარები გუბერნატორიდან და სხვა საქმის ქაღალდები სხვადასხვა უწყებიდან. როცა დავით დადიანი მმართველი იყო სამეგრელოსი, იმას თხოვნას აძლევდნენ შემდეგი ტიტულით: „მემკვიდრე-მმართველს მეგრელიისას დავით ლეონის-ძე დადიანს“ (ნახე დაბეჭდილი ბლანკი უზენაეს სასამართლოს საქმეში 1832 წ.). სამეგრელოს გარედან მთავარს ქაღალდი მოსდიოდა რუსულ ენაზე. მთავრის კანცელარია, თუ ქაღალდის ხასიათი ითხოვდა, გზავნიდა მოწერილობის ასლს მაზრის მდივანბეგებთან რუსულ ენაზე და მაზრის მდივანბეგები მოახსენებას წარმოუდგენდნენ მთავარს ქართულად. და რაზე გინდათ მოწერილობა არ მიეღო მთავარს? ესა და ეს ფრანგი კილიანი გაქცეულა და თუ სამეგრელოში აღმოჩნდეს დაიჭირეთ და წარმოადგინეთო; ამა და ამ მეგრელმა ამა და ამ კაცს ცხენი მოპარა და თუ აღმოჩნდეს ჩამოართვით და პატრონს გამოუგზავნეთო; ამა და ამ ჯანოევს სომხის ფული მართებს, გადაახდევინეთ და გამოუგზავნეთ მოვალეს დასაკმაყოფილებლადო და სხვადასხვა.

ამ სხვადასხვაობაში მე ერთ ახირებულ მიწერ-მოწერას წავაწყდი

---

[1] მამა იყო ცნობილი მწერლის გიორგი წერეთლისა.—ს. ც.

[2] გრ. ანჯაფარიძის ნაამბობი.

გუბერნიის მმართველობის საქმეებში. 1852 წ. მთავარს მოუვიდა ქუთაისის გუბერნატორის ქაღალდი, რომელშიაც აცნობებდნენ მას, რომ ქუთაისსა და გორს შუა მთავარმართებელს ვორონცოვს დაკარგვია თითზე წამოსაცმელი ბეჭედი და სთხოვდნენ გამოეცხადებიათ სამეგრელოში, რომ იმ ბეჭდის მპოვნელს საჩუქრად მიეცემა გლეხთაგანს 50 მანეთი. მთავარმა ეს მოწერილობა ყველა მდივანბეგებს დაუგზავნა ცირკულარით და შეიქმნა ოდიშ-ლეჩხუმში გორში დაკარგული ბეჭდის ძებნა. ამ ცირკულარის პასუხად ჯვარის დივანბეგი თავ. ჩიქვანი სწერდა მთავარს 3 თებერვალს 1853 წელს, № 99: „შეუდექი რწმუნებულ ჩემდამი მაზრასა შინა ყოველს სოფელშიდ თითოეულად მოპოებას კავკასიის ნამესტნიკის მოგზაურობის დროს დაკარგულის ბეჭდისა, მაგრამ ვერა სადა გავხადე ღონე მისის მოპოებისათვის"[1].

№ ახალი საქმე იყო სამეგრელოში და თუ უნომროდ რამე დაიწერებოდა არ ეგონათ თანამდებობის კაცებს. ერთხელ მაზრის მდივანბეგმა კაცია დადიანმა მოსწერა ჯვარიდან მთავარ დავით დადიანს:

— ბოდიშს ვიხდი თქვენთან, ბატონო მთავარო, მთაში ვიმყოფები და ამ მოხსენებას უნომროდ გიგზავნიო.

— არაფერია, ბიძიავ, მისწერა იმას ხუმრობით მთავარმა, მე დიდი ხანია ვიცი, რომ შენ ნომერი გაკლიაო[2].

V

დავითის საქმეთა აღნუსხვა. სხვადასხვა მოგონებანი.

ამ წიგნის მთავარი დანიშნულება ის არის, რომ სხვადასხვა დროს სხვადასხვა პირთაგან განაგონი ცნობები დავით დადიანის მთავრობის შესახებ ერთად მოაქუჩავოს და რამდენადაც შეიძლება ეს ცნობები სისტემაში მოიყვანოს.

ნამდვილი ისტორია კი დავით დადიანის მთავრობისა, ვიცი, ამ ცნობების გამოქვეყნებით არ დაიწერება, რადგან ზეპირ-გადმოცემა, თუ ეს გადმოცემა არ არის განმტკიცებული წერილობითი საბუთებით, არ შეიძლება არ ასცდეს ჭეშმარიტებას. მხოლოდ მაშინ, როცა წიგნში მოყვანილი კერძო პირთაგან განაგონი ამბები შეუფარდდება იმ წერილობითი მასალებს, რომლებიც ჯერ გამოურკვეველად განისვენებს მთავარმართებლის კანცელარიის და ქუთაისის გუბერნიის სამმართველოს არქივებში, შესაძლებელი იქნება დაიწეროს უტყუარი ისტორია სამეგრელოს უკანასკნელი მთავრისა. მაგრამ არქივების გადახედვას და მით შეცთომის გასწორებას ყოველთვის მოესწრება კაცი და ზეპირად გადმოცემული ისტორია კი გაიფანტება დროთა მიმდინარეობისაგან.

როცა მე ვთხოვე დავით დადიანის მინისტრად ნამყოფს, სახლთ-უხუ-

---

[1] Дело канц. владет. Мингрелии № 1721/25

[2] ბესარიონ ხოფერიას განაგონი.

ცესს დათა ჩიქვანს, ჩემთვის ჩამოეთვალა თუ რა გააკეთა დავით დადიანმა სამეგრელოს სასარგებლოდ, მან პასუხად მითხრა შემდეგი:

დავით დადიანმა:

გაანთავისუფლა მებატონეთა მონობიდან სამღვდელოება;

აკრძალა კაცის სულის გაყიდვა სამთავროს გარეშე;

აკრძალა გამზითვება, ან როგორც ის ამბობდა მოთხრა:

ჩამოართვა ბერებს უფლება უკანონოდ-მობილ ბავშვებზე. ეს ბავშვები დავითის წინათ, ბერებს მიყავდათ და დავითმა დედებს დაუტოვა თუ ეცოდინებოდათ მამა ვინ იყო, იმას წილს ადებინებდა ბავშვის აღსაზრდელად;

აკრძალა გლეხების დატყვევება და გალახვა მებატონეთაგან. დამნაშავეთ სასტიკად სჯიდა;

მოშალა მემკვიდრედ დარჩენილი ქალის მამულის ჩამორთმევა მებატონისაგან. თუ მამას მარტო ქალი დარჩებოდა მემკვიდრედ და ამ ქალს უნამუსობა დაუმტკიცდებოდა, მამული მებატონეს მიქონდა.

სხვებმა მითხრეს:

გზები და არხები გაიყვანეო.

ყოველწლივ ათ-თორმეტ მეგრელს გზავნიდა თბილისში სხვადასხვა ხელობის სასწავლებლადო;

ტყვეთა ყიდვა და ქურდობა აღაგმაო;

მიწის მეურნეობას და ვაჭრობას ხელი შეუწყოო;

სასამართლო და ადმინისტრაცია ფეხზე დააყენაო.

სულ ყველა ამაებზე, რაც რამ ზეპირი გადმოცემით გამიგონია, ან სხვადასხვა ნაწერი წყაროებიდან შემიტყვია, ამ წიგნის შემდეგ თავებში წაიკითხავს მკითხველი.

აქ კი რამდენიმე ჩემგან შეკრებილი მოგონება უნდა მოვათავსოთ დავით დადიანის ცხოვრებიდან, რომ შემდეგში, უადგილობისა გამო, ეს მოგონებანი წიგნის გარეშე არ დამირჩეს დაუბეჭდავად.

დავით დადიანზე სახლთ-უხუცესმა დათა ჩიქვანმა მიამბო:

სეფიეთში რაღაც ჭირი გაჩნდა და როდესაც ამაზე ამბავი მოუვიდა მთავარს, მიბრძანა წავსულიყავ იმ სოფელში, დამეთვალიერებია მანდაურობა და გარემოება მომეხსენებია მისთვის. „თუ მართლა ჭირია, მე საჩქაროდ მოვალ იქ. უნდა ზომები მივიღოთ რამე, ხომ ხედავ რუსები როგორ მუშაობენ, ფოჩტიდან დაჩხვლეტილი წიგნები მოგვდისო“,—მიბრძანა მთავარმა.

(აქ უეჭველია, ხოლერაზედ არის ლაპარაკი. 1847 წელს 26 ივნისიდან 1-ლ ნოემბრამდის სულ გახდა ავად სამეგრელოში ხოლერით 1385 კაცი, რომელთაგან გარდაიცვალა 508, ამავე წელს მუცელ-კეთილით გახდა ავად 8012 კაცი; ამათგან გარდაიცვალა 4032)[1].

მღვდელმა სამსონ თვალთვაძემ მიამბო:

---

[1] წიგნი დავით დადიანისა მიწერილი რაევსკისთან.

დავით დადიანი ყურადღებას აქცევდა, რომ არ შეხებოდნენ ძველი დროების ისტორიულ ნაშთებს, მეტადრე ძველ ეკლესიებს და მონასტრებს. არ ვიცი ვისი განკარგულებით, მაგრამ ეს კია, რომ ბერძნის კალატოზებს შეულესიათ წალენჯიხის ეკლესიაში ზოგიერთი ადგილები და კირ-ქვეშ მოუყოლებიათ ამ ეკლესიის ძველი მხატვრობა. ეს რომ დაუნახავს დ. დადიანს, ის განრისხებულა და გაურეკია იქიდან ბერძნები. ბერძნებს დადიანის კაცებმა ფოთამდის მისდიეს.

სხვა წვრილმანები:

თავ. ნიკო ფალავამ მიამბო:

დავით დადიანს ვაჟკაცები უყვარდა:

ბაკიჩია გეგელია, რომელიც შეკვეთილის ბრძოლას გამოქცევია, მთავარმა ვირზე შესვა პირუკუღმა, თავზე ლეჩაქი დაახურა და ისე არონინა სახალხოდ. მას აქეთ იმას და მისიანებს „გირინიში გიმახვენჯის"[1] ეძახდნენო სამეგრელოში.

ცნობილმა მღვდელ-მონაზონმა ბენედიქტემ, ცოონის მონასტრის ვექილმა, მიამბო:

დავით დადიანი ხშირად თურმე იმეორებდა გურულის მოსწრებულ სიტყვას.

ომის დროს სოჭის მახლობლად ერთი გურული გაქცევია გაცხელებულ სროლას.

— აჰ, შე ჭაკო გურულო, სად მიიპარები, არა გრცხვენიან ტყვიას გაექეცო, უთხრეს გურულს.

— თუ კაი ულაყი ხარ იქ მიბრძანდი და დაინახავ შენს სეირსო, უპასუხა უკან მიხედვით გურულმა.

მერაბია გრიგოლიამ მიამბო:

ერთხელ გორდში შინაყმებმა სიმღერა გააბეს ხის ქვეშ, სანამ მზარეულები ძროხას მოუხარშავდნენ იმათ. ეს რომ დაინახა მთავარმა, უქმად დროსტარების მტერმა, ბრძანა არც ერთს სადილი არ აჭამოთო და იმ დღეს მომღერლები ხახამშრალნი თურმე დარჩნენ. ამის მომთხრობმა დასძინა: ყველა მაშინდელ სიმღერებში დადიანს მხოლოდ ის სიმღერა მოსწონდაო, საცა არის ნათქვამი.

შინა ვაგე, ვაგეოსა,
ვოო შინა ვოგეგე[2].

გრიგოლ დადიანმა მიამბო:

ერთხელ დავით დადიანს გულბაათ ჭავჭავაძე ესტუმრა, რომელიც თავის დროს განთქმული იყო ღვინის სმით.

---

[1] ვირზე შემჯდომი, უფრო კი ვიროსანი. — ს. ც.

[2] ვფიქრობ სწორად ვერ არის ჩაწერილი. ეს სიმღერა სვანურია, და როგორაც მომისმენია იქ შემდეგ სიტყვებს ამბობენ:

ვოსა ვორგილ, ვორგილ ვოსა
ვოო შინა ვოგეგე. — ს. ც.

— აბა, დადიანო, ერთი თქვენი მარანი მაჩვენეთ, უთხრა მთავარს ცოლის ნათესავმა.

— მიბრძანდით, ბატონო! წიწა, შენ წაუევი გულბაათს — უთხრა მთავარმა მის ძმას კონსტანტინეს (შინაურობაში წიწას ეძახდნენ) და რამდენიც აზარფეშა და ბადიები დაცალოს სახსოვრად მიართვიო.

რომ დალია და დალია გულბაათმა, დავითს შეეშინდა, ე. მანდ არა დაემართოს-რა სტუმარსაო, მაგრამ გულბაათმა მიირთვა ოთხი-ხუთი დიდი აზარფეშა და ორი-სამი ბადია ოჯალეში და არხეინად ეახლა სასახლეში სიძებატონს.

თავ. კონსტანტინე დადიანმა მიამბო.

თბილისში ყოფნის დროს დავითს ყვავილი დაემართა და ძლივს გადაურჩა სიკვდილს. ამბობენ აცრილი თუმცა იყო, მისთვის სპირტი წაუსვამთ, გამიზეზებია და რომ აქიმი პრიბილი არ მიშველებოდა, მისი მორჩენა შეუძლებელი იყოო. ქართველ მოლექსეს ლარაძეს ენახა ახალგაზრდა მთავრის შვილი და ეს ლექსი დაუწერია მისთვის:

ყვავილთ მეფე ყვავილთაგან
ვნახე სრულად დანასებით,
ვკითხე, აგრე რამან შეგქმნა
შენ ხელმწიფე აგრე ვებით.
მან მითხრა თუ ყვავილთ მიმტრეს,
შევიქენი ასე ვნებით,
პირი სრულად დამილებეს
ღაწვი ვარდი...

საზოგადოდ ნათქვამია:

დავითი იყო სამეგრელოს პირველი მთავარი, ნანახი და ნაკითხი, შედარებით კარგად განათლებული, რომელსაც ყველაფერი ხელს უწყობდა სამეგრელოს სამთავროს მმართველობას გასძღოლოდა ახალი დროების შესაფერად. დავითმა ზურგი აქცია მამამისს, ლევან დადიანის, ფეოდალურ წეს-წყობილებას. მისთვის არ იყო არც ქორი, არც მიმინო (ბათუ ფალავას მიმინოს თავი გააგდებია, იმიტომ რომ ფალავამ მწყერობის დროს გლეხკაცს ღომის ყანა გაუთელა), არც კურდღელ-მწევარი, არც გამოუ-ლეველი სიმღერა, ლხინი და სროლა ლევან დადიანისა.

რეფორმის გზაზე დამდგარს, დავითს უნდოდა მისი ახალი მმართველობა ყველაფერს დასჩენოდა... თვით მეგრელების ტანისამოსს და პირის სახესაც.

წვერმოშვებული კაცი იმას არ უყვარდა. ცაიშის მოურავი ბეხუ ჯორდანია დაიბარა და ძალაუნებურად წვერი მოაპარსვინა.

არ უყვარდა თმა უკან გადავარცხნილი, ბოხოხი, ჩალმა.

ერთხელ ზუგდიდში წინ შეეგება იმას ჩალმიანი კაცი.

— ვინ არის ეს თათარი? — იკითხა მთავარმა.

— ეს, თათარი კი არა, ალექსი ჩიქვანია, ბატონო, ოტიას შვილი. — უპასუხა მხლებელმა.

— მოხადეთ ახლავე იმას თავსახური და გაგზავნეთ მეფურნეესთან, აიღოს ლეჩაქი და მის ფასში პური გაუგზავნოს ბაღის მუშებს, — ბრძანა მთავარმა.

ლეჩაქი 6 ალაბი[1] გამოდგა და მუშებს ხუთი პური გაეგზავნა[2].

ღარიბ ქვეყანაში დავითს არც ის მოსწონდა, რომ ტანისამოსი ერთობ მდიდრულად კაზმული ყოფილიყო.

ერთ ვიღაც კოხტად ჩაცმულ ქავთარაძეს მესტი ჩაეცვა სირმით გაწყობილი. მთავარი მიუახლოვდა იმას, დაადვა ფეხზე ჯოხი და უთხრა:

— აბა დახედე ჩემს წაღებს, დაკერებული მაკვია. შენ, ეს რა გიქნია, შე პლუტო, ჰაა! — და ხელი თურმე ჩაუფაჩუნა თავში.

VI

სატახტო ქალაქი და სასახლეები, ზუგდიდის ბაღი. ელაქერნის ხატი.

„საქონლის ყიდვა-გაყიდვისათვის არც დუქნები აქვთ და არც მოედნები, ისე რომ ვერსად ვერ ნახავთ, ხალხი იკრიბებოდეს სანოვაგის საყიდლად. მხოლოდ სომხების ქალაქში[3], რომელიც აშენებულია აწინდელი მთავრის დროს, არის მოედანზე რამდენიმე დუქანი, სადაც იყიდება სხვადასხვა სპარსული ტილო და შალი[4].

„ახალი ზუგდიდი შენდება ვრცელს მინდორზე, რომელსაც სამზღვრავენ: აღმოსავლეთით სასახლე და ბაღი დადიანისა; ჩრდილოეთით რამდენიმე სასახლეები და პატარა მდინარე; დასავლეთით დროებითი სასახლე თავადის გრიგოლისა, ძველი სასახლე მთავრისა და დაღმართით, წყლისაკენ, რომელზედაც გამწკრივებულია სახლები და მათ შორის ახალი, ჯერ კიდევ მოუთავებელი სახლი თავ. გრიგოლისა... და დასასრულ, სამხრე-

---

[1] ალაბს არშინს ეძახიან სამეგრელოში. — ს. ც.

[2] ნიკო ფალავასაგან განაგონი.

[3] ავტორს ამ ცნობისათვის ასეთი შენიშვნა გაუკეთებია: „არ ვიცი რომელია ეს სომხების ქალაქი. უეჭველად ზუგდიდია (თუ არა სენაკი), რადგან ლამბერტის რუკაზე არც ლაილაშია ნახსენები და არც“ (შენიშვნა დაუსრულებელია)... ნამდვილად კი აქ ლაპარაკია დადიანი ლევან II-ის მიერ მე-17 საუკუნის ორმოციან წლებში სოფელ რუხს დაარსებულ საგაპრო პუნქტზე, სადაც ვაპრობდნენ სპეციალურად ამ საქმისათვის ‘ჩხარიდან გადმოყვანილი სომხები. ამ ადგილას შემდეგ ნასომხარი ერქვა. გამოჩენილი ისტორიკოსი ივანე ჯავახიშვილი სხვადასხვა წყაროებზე დამყარებით ამ ქალაქის დაარსებაზე შემდეგ ცნობას იძლევა: „ფ. გორგიჯანიძის სიტყვით, ბაღდადში შეპყრობილი „მეფე გიორგი ორ წელიწადს დადიანს ჰყავდა“ ტყვედ და ძლივს მოახერხა მისმა შვილმა მამის დახსნა. ალექსანდრე მეფე (ლაპარაკია იმერეთის მეფეზე.—ს. ც.) იძულებული იყო დასახსნელად მიეცა „მურასა გვირგვინი, მრავალი ოქროსა და ვერცხლის ჭურჭელი, თვალმარგალიტი, მურასა იარაღი“ და ამას გარდა კიდევ „ნაპირის ალაგნი, ჭილაძენი და მიქელაძენი, და რაც ჩხარში ვაჭარნი ესახლნენ სომხები“ დადიანისათვის დაეთმო, რომელმაც უკანასკნელი თავის სამთავროში გადაიყვანა და მათით „რუხის ქალაქი ააშენა“. ამ ცნობას თვით ლევან დადიანიც ადასტურებს, რომელსაც ილორის წმ. გიორგის ხატის 1651 წ. წარწერაში სხვათა შორის ნათქვამი აქვს: „ამავე ჟამსა ავყარეთ სრულებით ქალაქი ჩხარისა, მოვასხით ზუგდიდს და დავასახლეთ ადგილსა რუხისასა“ (ქართველი ერის ისტორია, ტ. V, გვ. 36).—ს. ც.

[4] „სამეგრელოს აღწერა“ არქანჯელო ლამბერტისა, თარგმანი ალ. ჭყონიასი გვ. 167.

თით, საკმაოდ ვრცელი ბაზარი, აგებული დავით დადიანისაგან, რომელსაც ეტყობა სახეში ჰქონია დაეფუძნებია აქ დიდი ვაჭრობა თავის ქვეყნის მიწის ნაყოფისა და ერთმანეთთან თუ გარეშეებთან დაახლოებით, გაევრცელებინა აქ იდეები განათლებისა. რამდენიმე ასეული სახლი გაშენდა აქ ორ-სამ წელს საყოველთაო სასარგებლოდ. თუ ეს მოძრაობა გაგრძელდა, ზუგდიდს მალე დაეტყობა აყვავება"[1].

„ლევან დადიანმან სიმდიდრით აღზევებულმან ჰყო სასახლე იბ ოდიშსა შინა ყოველთა მოწყობილობითა, რამეთუ არა წარიღოს ერთიდამ მეორესა შინა არა რაიმე სახმარნი ანუ ცხენნი და გარემო, წყაროთა უახლოესთა დასდვა ფიალნი ოქროსანი და უშორესთა ვერცხლისა დაბმულნი ძეწკვებით, რათა სმიდენ მგზავრნი მით, ვინაიდგან ვერვინ იკადრებდა ქურდობასა ანუ პარვა-ავაზაკობასა ქვეყანათა შინა მისთა"[2].

მცხოვრებნი 1851 წელს ზუგდიდში ითვლებოდა 2000 სული. მთავრის კანცელარიის საქმეში № 1437/51 ჩანს, რომ ამ წელს ანაკლიაში იყო 200 სული, ლენტეხში — 630 და მარანში — 352;

„დიდსა ველსა ზედა არს ზუგდიდი სასახლე დადიანთა დიდშენი და პალატებიანი, ზღუდე-გოდლიანი"[3].

ბარონ როზენის მიმართვა გრაფ ნესელროდესთან
1837 წლის იანვრის 29-სა დღეს, № 66.

საგარეო საქმეთა სამინისტროს საქმეებიდან თქვენი ბრწყინვალება კეთილსინებებთ და იხილავთ, რომ ნეტარხსენებულმა იმპერატორმა ალექსანდრე I-მა, 1806 წელს, მაისის 31, სამეგრელოს ყოფილი დედოფლის, კნეინა ნინო გიორგის ასულის სახელობაზე დაწერილ რესკრიპტთან ერთად გაუგზავნა საჩუქრად მთავრის ოჯახს და მთელ სამეგრელოს ხალხს წმინდა ხატი ვლაქერნის ღვთისმშობლისა. თანაც უმაღლესად ბრძანა აეშენებიათ ოდიშში (ქვემო სამეგრელოში) იმ ადგილას, სადაც დედოფალი ირჩევდა, ეკლესია ვლაქერნის ღვთისმშობლის სახელობაზე და ამისათვის პირველ ხანებში 2 ათასი ჩერვონეცი მიეცათ, ამავე დროს გამოითქვა მისი უმაღლესობის სურვილი, რომ ის ადგილი, საცა აშენდება ეს ეკლესია, გადაიქცეს სამეგრელოს მთავართა საცხოვრებელ ადგილად და შემდეგში, როცა მის გარშემო მცხოვრებნი გამრავლდებიან, აქაურობა იქცეს ქალაქად და იწოდებოდეს გრიგორიოპოლად, განსვენებულ უგანათლებულეს თავად გრიგოლ დადიანის, სამეგრელოს აწინდელ მთავრის მამის, მოსაგონებლად.

ერთი მხრით მთავრის, გიორგის ასულის ნინოს წასვლამ რუსეთში, მეორე მხრით მაშინდელმა ადგილობრივმა გარემოებამ ხელი შეუშალა მისს უგანათლებულესობას გაეკეთებია რაიმე უმაღლესი ბრძანების ასასრულებლად, ხოლო სამეგრელოს მთავარმა ლევანმა ასეთი უმაღლესი ზრუნვა მის სამთავროსათვის განსაკუთრებულ წყალობად ჩასთვალა ხელმწიფის მხრივ და ზრუნვას არ აკლებდა გამოენახა საშირო თანხა იმპერატორ ალექსანდრეს უმაღლესი ნების ზედმიწევნით ასასრულებლად; ეკლესიისათვის ადგილად აირჩია სოფ. ზუგდიდი და შეუდგა, შეძლებისადა კვალად, თავის ხარჯით ქვითკირის ეკლესიის შენებას ვლაქერნის ღვთისმშობლის სახელობაზე. ეს ეკლესია სრულიად დამთავრდა 1830 წელს და მთავარმა ეს ადგილი თავის მუდმივ საცხოვრებლად გაიხადა.

---

[1] ბროსსე Rapports sur un Voyage archeologique, ნაწ. პირველი მეშვიდე მოხსენება გვ. 20—21.

[2] იხ. „ქართლის ცხოვრება", გამოცემა დავ. ჩუბინოვისა, ნაწ. მეორე გვ. 199.

[3] „ლეოლრაფიული აღწერა საქართველოსი ბატონიშვილის ვახუშტის მიერ". გვ. 396.

ეს ორი ათასი ჩერვონეცი — კი, რომელიც უმაღლესად გადადებული იყო ამ ეკლესიის ასაშენებლად გასაწევ ხარჯებისათვის პირველ ხნობითად, 1808 წლიდან ჩემ წინამოადგილეთა დროს დანიშნულებისამებრ არ მოხმარებულა და ინახებოდა ჯერ მთავარმართებლის ხაზინაში, ხოლო შემდეგ საზოგადოებითის შეწევნას საბრძანებელში. მაგრამ რადგან ეს ფული, თავად დადიანის მიერ თავის საფასით ეკლესიის აშენების შემდეგ მისს საკუთრებას შეადგენდა, მე თანახმად მისი მოთხოვნისა 1833 წ., განკარგულება გავეცი ეს ფული უსარგებლოდ მას დაბრუნებოდა.

ამას წინათ ჩემს სამეგრელოში ყოფნის დროს მე ვნახე ზუგდიდში აშენებული ეკლესია, მომეწონა და მასალის ადგილობრივ ფასების კვალობაზე მისი აშენება 15 ათას მანეთზე მეტად უნდა დამჯდარიყო და ამიტომ სამეგრელოს მთავრის მიერ ამ ტაძრის აშენება ყოვლადვე ქების ღირსია.

ამ ჟამად მთავარ დადიანს განზრახვა აქვს დიდი ზეიმით გადმოასვენოს წმინდა ხატი ვლაქერნის ღვთისმშობლისა ზუგდიდში ახლად აშენებულ ტაძარში მარტვილის მონასტრიდან, სადაც ეს ხატი დროებით დასვენებული იყო. სურს აგრეთვე, ის ადგილი, სადაც აშენებულია ვლაქერნის ღვთისმშობლის სახელობაზე ეკლესია, იწოდებოდეს გრიგორიოპოლად, ამიტომ ითხოვს ვიშუამდგომლო — მისმა იმპერატორობითმა უმაღლესობამ უმაღლესად ნება დართოს ამაზე.

ჩემის მხრით, ადგილობრივი პირობების მიხედვით, არამც თუ შესაძლებლად მიმაჩნია დაკმაყოფილებულ იქნეს სამეგრელოს მთავრის თხოვნა. პირიქით, მის განზრახვას აზრადა აქვს, ერთი მხრით, ასრულება ნეტარხსენებული იმპერატორ ალექსანდრე I-ის სურვილისა, ხოლო მეორე მხრით, სამეგრელოში კეთილწესიერების დამყარებისა, პატივ მაქვს ზემორე-ხსენებული თქვენს ბრწყინვალებას ვაუწყო, თან დავურთო პირი 1806 წლის მაისის 31-ს უმაღლესად მოძებულის რესკრიპტისა და უმორჩილესად გთხოვთ იშუამდგომლოთ, რათა მთავარ დადიანს მისმა იმპერატორებითმა უმაღლესობამ უმაღლესად ნება დართოს ზუგდიდი იწოდებოდეს გრიგორიოპოლად, სადაც მთავარს შეეძლოს, როცა სამეგრელო უფრო კეთილად მოეწყობა, ადგილობრივი პირობების შესაფერი საქალაქო მართვა-გამგეობა შემოიღოს თავის მიხედვისამებრ იმ უფლების ძალით, რაც მას უმაღლესად მინიჭებული აქვს[1].

მიმართვა საიდუმლო მრჩევლის ბლუდოვისა ბარონ როზენთან
1837 წლის ნოემბრის 4, № 5783.

მივიღეთ თქვენი უდიდებულესობის წერილი წარსული სექტემბრის 9-ისა იმის შესახებ, თუ რა ძნელია ქ. გრიგორიოპოლის აშენება თანახმად არქიტექტორის წესებისა, ამის შესახებ მოვახსენე მინისტრთა კომიტეტს, რომელმაც წარსულ ოქტომბრის 12 ჟურნალით დაადგინა: რადგან ძნელია ქ. გრიგორიოპოლის აშენება თანახმად არქიტექტორის წესებისა, ნება მიეცეს მთავარს ააშენებინოს მცხოვრებლებს სახლები ისე, როგორც მათ ჩვეულებად აქვთ და იციან, მხოლოდ უბნები, ქუჩები და მოედნები უნდა გაყვანილ იქნეს თანახმად ამ ქალაქის საზოგადო გეგმისა.

კომიტეტის ამ დადგენილებაზე მისმა იმპერატორებითის უმაღლესობამ საკუთარის ხელით მოაწერა და ბრძანა: „ეს ადგილი მინახავს და ვეჭვობ აქ როდისმე გაშენდეს ქალაქი, რადგან იქაურობა ხავსსა და ჭაობშია, სამეგრელოს მთავარს რომ ვასიამოვნოთ, მარტო იმისათვის თუ შეიძლება ამ ადგილს გრიგორიოპოლი ვუწოდოთ. მაგრამ ქალაქის სახელი მაშინლა უნდა ვუწოდოთ, როცა მართლა ქალაქი გაშენდება“.

„პატივი მაქვს გაუწყოთ ეს უმაღლესი ბრძანება სათანადო განკარგულების გასაცემად[2].

---

[1] Акты Кавказ. арх. ком. т. VIII, გვ. 439.

[2] იქვე, გვ. 440.

ვლაქერნის ხატი

ვლაქერნი ეწოდებოდა ძველად სტამბოლის კუთხეს, რომელიც ამჟამად ბარეობს ქალაქის ჩრდილო განაპირას. ამ ადგილას იყო აშენებული ეკლესია ვლაქერნის ღვთისმშობლისა, რომელშიც ესვენა შესანიშნავი ხატი ღვთისმშობლისა ამავე სახელით. ეს ეკლესია დღეს არ არსებობს, მაგრამ ხატი ღვთისმშობლისა, „რომელმანცა დაიცვა და დაიფარა, კონსტანტინეპოლი განადგურებისაგან 626 წელს", დღესაც არსებობს და დაცულია სამეგრელოს თავადის მუზეუმში. როგორც ამბობს პლატონ იოსელიანი, ეს ხატი მისცა საქართველოს ერს საბერძნეთის კეისარმა ჰერაკლემ მეშვიდე საუკუნეში ქრისტეს შემდეგ. მას აქეთ რა ალაგას ესვენა „სასწაულთმოქმედი" ხატი ცნობა არა მაქვს[1]. „ქართლის ცხოვრებიდან" ვიცით მხლოდ, რომ ეს ხატი მეჩვიდმეტე საუკუნეში გიორგი გურიელმა, იმერეთის მეფე ალექსანდრე მეოთხესთან საბრძოლველად წამოსულმა, „განსძარცვა" და ჰყო სამკაულად თვისად"[2]. მეცხრამეტე საუკუნის დამდეგს, 1805 წელს, სამეგრელოს მთავრინა ნინოს სურვილისამებრ ეს ხატი წაასვენა პეტროგრადს საგანგებო დეპუტაციამ, რომელსაც შეადგენდნენ დიდი ნიკო გიორგის-ძე დადიანი, ბეჟან მანუჩარის-ძე დადიანი და კარის დეკანოზი იოანე იოსელიანი და მიართვა სამეგრელოს ხალხის სახელით ხელმწიფე იმპერატორს ალექსანდრე I-ს ისე, როგორც ოთხი წლის წინათ იმავე იმპერატორს მიერთვა საქართველოს მეფის ჩამომავალთაგან წმინდა ნინოს ჯვარი[3]. ალექსანდრე პირველმა ეს ხატი ძვირფასად შეამკო და დაუბრუნა სამეგრელოს.

სამეგრელოს დეპუტაციის წევრი ნიკო დადიანი, აი რაგვარად აგვიწერს თუ როგორ მიერთვა ვლაქერნის ღვთისმშობლის ხატი ალექსანდრე ხელმწიფეს.

„მივედი ქალაქს სანკტ-პეტერბურგს, შეგვიწყნარეს და მიგვიღეს სამაგალითოთა პატივითა, რომლისა აღწერა დიდსადამე განგრძელდების და შემდგომად რამდენიმე ხანისა ინება და ღირსი ვიქენით ხილვად და თაყვანისცემად მისი იმპერატორებითის დიდებულების მოწყალისა და დიდისა ხელმწიფისა ალექსანდრე პავლეს-ძისა და ყოველთა მისთა ფამილიათა და შემდგომად ხილვისა წარეგზავნეთ იოანე დეკანოზის ხელით. რომელთაცა გვქონდა ძღვნად წაღებული ჩვენის მთავრინის ნინა დედოფლისაგან ხატი ვლაქარან ღვთისმშობლისა და მიართვა რა, მიიღო წესაბამითა პატივითა და დაასვენა თვისის: სასახლის ეკლესიასა შინა დიდის ცერემონიითა: ჩვენ ვიყავით სანკტ-პეტერბურგსა შინა გამოუთქმელითა ცხოვრებითა ერთსა წელსა და შემდგომად გამოგვისტუმრეს დიდი პატივით ყოველითურთ კმაყოფილნი, ყოველივე თხოვნა მთავრისა ჩვენისა ინება მიცემა იმპერატორებითის დიდებულებამ და პრძანა აღსრულება: წარმოეგზავნა წყალობად ესენი: შეამკო უძვირფასესად ხატი ვლაქარანისა ღვთისმშობლისა და წარეგზავნა კვალად სახლსა შინა დადიანისასა, რათა მუნ განისვენოს წინდად ჩემის საფარველის დიდებისა და თქვენის ჩემ ერთგულებისა; მასთან წარმოატანა ყოველი-

---

[1] იხილეთ პლ. იოსელიანის Древн. памятн. Тифлиса, გვ. 17.

[2] „ქართლის ცხოვრება", ნაწილი მეორე, გამოც. დავ. ჩუბინაშვილისა, გვ. 209.

[3] იხილე საბინინის წიგნი.

თერთ დაუკლებელი ერთი ხელი შესამოსელი სამღვდელო და სამთავრო. შესაბამი მისისა ბოძებისა: ბრძანა აშენება ეკლესიისა სახელსა ზედა ვლაქერან ღვთისმშობლისასა სამეგრელოსა შინა ხარჯითა მისის იმპერატორებითის დიდებულებისათა და იქმნეს მუნ ქალაქი და ეწოდებოდეს სახელად ქალაქსა მას გრიგოლიოპოლი სახელოვან განსვენებულისა გრიგოლი დადიანისა".

უფრო გვიან, შემდეგ მთავარ დავითის გარდაცვალებისა, დიდოფალმა ეკატერინემ კვალად შეამკო რა ხატი, მისცა შემდეგი წარწერაც:

„დღეს მას ოდესცა კეთილდღეობით განიგებოდა დიდი სახელმწიფო ყოვლისა რუსეთისა თვითმყრობელობათა მართლმორწმუნესა იმპერატორისა ალექსანდრე მეორისათა და ოდესცა მეშურნენი დიდებულისა მისის სახელმწიფოსანი მეფენი დასავლეთისანი ქრისტეს ჯვრის მოსავად სახელის მდებელნი თავისა თვისისანი თანა შეიკრბენ მოწაფისა თანა ცრუწინასწარმეტყველის მაჰმადისა ხონთქრისათანა ოსმალთასა კავშირთასა მამობითსა სავნებლად მართლმადიდებლობისა და მაშინ ქვეყანაზეცა ჩვენსა განიცდებოდა პირად-პირადთა ზედა ამოსვლათაგან. ჰოი, ყოვლად უწმინდესო, დედაო ღვთისაო, მე მინდობილმან მფარველობასა შენისადმი სამეგრელოს მმართველა მთავრინა ეკატერინა დადიანმან, ასულმან კახეთის თავადის ღენერალ-ლეიტენანტის ალექსანდრე ჭავჭავაძისამან შენდობისა შ-დ ყ-დ პატიოსნისა ვლაქერნის ხატისა შენისა, რომელ და შორის მისსა ნაწილისა წ-ის შენის სარტყლისა ძველიდგანვე აქვნდა სახლსა დადიანთასა უღელვოდ ნავთსაყუდელად განსაცდელთა შინა, და რომლიცა ჩყვ-სა წელსა შინა, ოდესცა სამეგრელო იქმნა მიძღვნილი მეგრელიის მმართველა მთავრინა ნინასაგან ასულისა საქართველოს მეფის გიორგი მეათცამეტისა, ხელმწიფე იმპერატორის ალექსანდრე პირველისადმი, გარნა მათმან დიდებულმან სათნო ჰყო სახელითა თვისითანვე წარმოგზავნა მისვე ნინასადმი მისაქცევად სახლადვე დადიანთა ა-დ უმწყალესთასა რესკრიპტთა ლ-ა-ს მაისისა მასვე ჩყვ-ს წელსა, რომელსა შინა თქმულ არიან შემდგომნი ძვირფასნი სიტყვანი: „იყავნი იგი ორკერძოვე წინდად და ბოწამედ სამარადისოისა ჩემდამო თქვენისა ერთგულებისა და ჩემისა განუშორებელისა თქვენდა მფარველობისა და მიერითგან განგრძობასა შინა ერგასთა წელთასა შენითა ბეოხებითა იქმნა დაცულ სახლი სამთავრო დადიანთა და სრულიადცა სამეგრელო უშფოთველად ამათმან მომხსენებელმან და ძალისაებრთა მადლობათა შემომწირველმან ვიგულსმოდგინე მორთმევა შენდა კიდობნისა ამის, რომელ შორის ეგებოდეს რა ყ-დ პატიოსანი ხატი შენი წმიდით სარტყლითურთ შენით იყავნ იგი განმაძლიერებლად მართლმადიდებლობასა, აღსამაღლებლად დიდის ჩვენის ხელმწიფისა სახლისა, წარსამართებლად ძისა ჩემისა ცხრაწლოვანისა მემკვიდრეობით სამეგრელოს მთავრის და რუსეთის ხელმწიფის გვარდიის პორუჩიკის ნიკოლოზ დავითის-ძის დადიანისა და ყოვლისა სამეგრელოსა მთავრის სახლისა საოხრად ღვთისადმი შესვენებულის მეუღლის ჩემის მეგრელიის მთავრის და რუსეთის ღენერალ-მაიორის და კავალერის დავით ლეონის-ძის დადიანისა წელსა განხორციელებითაგან სიტყვისა ღვთისა ჩუნვ-სა იანვრის დ-სა საზაფხულოსა სასახლესა შინა გორდს".

„Сия киота Делана в Москве 1857 году на фабрике двора Его Имп. Вел. фабр. церковной утвари Наколая Даниловича Полтавцева"[1].

* * *

„მთავარს ორმოც-და-ათზე მეტი სასახლე აქვს, რომელთა შორის უმშვენიერესია ზუგდიდის სასახლე, იგი აგებულია საუცხოვო ქვისაგან და შესანიშნავია, როგორც სიდიდე-სივრცით, ისე ფანჯრების, აივნების და სპარსულის მხატვრობის მშვენიერებით. შემდეგ მთავრისა, ყველა დიდე-

[1] სახატე ესე გაკეთებულია მოსკოვში 1857 წელს მისის იმპერატორებითის უდიდებულესობის სასახლის ფაბრიკაში საეკლესიო სამკაულის მკეთებლის ნიკოლოზ დანიელის-ძის პოლტავცევის მიერ.

ბულთ მეტ-ნაკლებ, რამდენიმე სასახლე აქვთ და ერთიდან მეორეში გადადიან"[1].

ზუგდიდის სასახლე. სად, რა ადგილას იყო ძველად ძველი ზუგდიდის სასახლე მე ვერ მიმიკვლევია. უეჭველია, იქ, საცა ახლა ამართულია ეკატერინე დედოფლის სასახლე, რაისის პლანით განახლებული.

მთავარი კორპუსი ამ სასახლისა არის დაფუძნებული თაღებზე, რომლის ქვეშ დავით დადიანის დროს ღვინის სარდაფი იყო მოთავსებული. ამ თაღებზე იდგა ქვა-აგურის სახლი, რომელშიაც ცხოვრობდა მთავრის და პუპი და რომელსაც ამის გამო პუპის სახლად უწოდებდნენ. შემდეგ პუპის გათხოვებისა ამ სახლში დავით დადიანმა დროებითი სახელოსნო მოაწყო, სადაც მზადდებოდა პარკეტები ახალი სასახლისათვის. დავით დადიანის გარდაცვალების შემდეგ ეს სახლი დიდხანს იყო მიყრუებული, სანამ ეკატერინე დედოფალმა არ განაახლა ის და არ აღაშენა ზუგდიდის ეხლანდელი მთავარი სასახლე თვისი ფლიგელებით, ფრონტონით და ლამაზის ჩუქურთმებით შემკობილი მოაჯირ-აივნებით ჩრდილოეთის მხარეს.

პუპის სახლის მოშორებით იდგა დავით დადიანის დროებითი სამყოფი სახლი, რომელიც დაიწვა 1836 წელს. ერთ წერილში გრიგოლ დადიანთან, 1836 წლის 13 იანვარს, დავით დადიანი სწერს თავის ძმას: „წარსულს წელს, 17 დეკემბერს, მწუთრი სასახლე ჩემი ყოველითავე ავეჯეულობით დაიწვა. ყოველი ესე დაგვავიწყა უსასტიკესმან სენკვეთებამან დისა ჩვენისა ნინოსამან, რომელსაცა ეცა ელდა, როს იგი აღტყინებასა ალმურისასა უვიცთა მიერ ზახილი იწარმოვა ვითარმედ დავითს ცეცხლი მოეკიდაო"... და მერე განაგრძობს მეგრულ ენაზე: „მუთუნი ვაპეუ, მარა ოკო ვთქუათ ბრელქ დუმაჭუშო. მუ მენარღებუნა, ვართი ყუდე ორდ მუთუნი. თაში თქვი, ნამუდა ჯვეში-ჯვეში დიდებაქ დო ხეშნაჭარა წინგეფქ აჭუშო"[2].

ამ სასახლის სამაგიერო სახლი თვითონ დავითმა ააშენა მისგანვე გაშენებულ ზუგდიდის ბაღის ნაპირას, იმ ადგილის მახლობლად, საცა დღეს აგებულია სამეგრელოს თავადის ნიკოს საკუთარი სასახლე.

„ვიწყე უკვე შენებათათვის სასახლეთა მზადება ყოველთა გვართა მასალათა და შეწევნითა ღვთისათა, თუ სადმე ვიმეღონე გაისს მომზადება სრულიად. მერმისს ვიწყებ შენებასა ნამდვილ სამთავრო სასახლისასა"— სწერდა მთავარი მის ძმას გრიგოლ დადიანს ერთს უთარიღო წერილში, რომელიც უნდა ეკუთვნოდეს 1837 ან 1838 წელს.

ეს ნამდვილი სამთავრო სახლი მალე აიშენა დავით დადიანმა. როგორც მიამბო მერაბ გრიგოლიამ, სახლი იყო ორსართულიანი და შეიცავდა 28

---

[1] „სამეგრელოს აღწერა" არქანჯელო ლამბერტისა, თარგმანი ალ. ჭყონიასი, გვ. 39.

[2] არაფერი დამწვია, მაგრამ მაინც ასე ვთქვათ: ვითომ ბევრი რამ დაგვეწვა. რა გვენალვლება. არც სახლი წარმოადგენდა მაინც და მაინც დიდ რამეს. ასე თქვი რომ ძველი დიდება და ხელნაწერი წიგნები დაეწვა-თქო".—ს. ც.

ოთახს. შუაგული სახლისა იყო აგებული ქვისაგან, მაგრამ, როცა სახლი ააგეს და ის საკმაო არ გამოდგა, იმას მიაშენეს წაბლის ბალკებით აყვანილი ოთახები. ეს სახლი რომ მოეწყო კარგად ისე, როგორც ეკადრებოდა მთავრის სასახლეს, დავით დადიანმა სთხოვა მთავარმართებელ ვორონცოვს, ნება გამოეთხოვა მისთვის ხელმწიფისაგან საზღვარგარეთიდან მოეტანინებია სახლის საჭირო მოწყობილობა უბაჟოდ და როგორცა სჩანს შჩერბინინის წერილიდან[1], ხელმწიფე იმპერატორმა ნება მისცა მთავარს მოეტანინებია ბაჟგადუხდელად ყულევის ტამოჟნით სასახლის მოწყობილობა 25 ათას მანეთად შეფასებული. სამწუხაროდ, ამ სასახლესაც ის ბედი ეწია, რაც წინა სასახლეს. ომარ ფაშამ ზუგდიდი რომ აიღო 1855 წელს, ამ სასახლეში დაჭრილები და ავადმყოფები დააყენა, მაგრამ როცა გრიგოლ დადიანმა ზუგდიდი დაიბრუნა, ისკანდერ ფაშამ სასახლეს ცეცხლი წაუკიდა და დასწვა (1856 წელს). დამწვარი სასახლე ხელ-ახლა განაახლა დიმიტრი ყიფიანმა და შიგ სამეგრელოს მმართველი ჭილაშვილი დააყენა, მაგრამ ამ განახლებულ სასახლესაც ის ბედი ეწია, რაც წინა სასახლეს, ცეცხლმა ესეც გაანადგურა, რის შემდეგ სასახლე არ განუახლებიათ და მისი ნაშთი მასალები მოახმარეს სამეგრელოს თავადის ნიკოს ახალ სასახლეს.

ამ სასახლის მახლობლად, ბაღის ყურეში პრინცესსა სალომეს ეზოს გვერდით იდგა ოცდა-ოთხ ოთახიანი წაბლის ფიცრული, რომელშიაც ცხოვრობდნენ სასახლის მოსამსახურენი.

სასახლის პირდაპირ, ცაცხვის ქვეშ, იდგა ქვა-ტახტი, რომელზედაც სამეგრელოს მთავრები დასხდებოდნენ, როცა სამართალს აჩენდნენ[2].

სასახლის ცოტა მოშორებით, ორანჟერეიას გადაღმა, მთავარმა ააშენა სასტუმრო სახლი, რომელიც აწერილი აქვს თავის მოგზაურობაში საქართველოს მეისტორიეს, მარი ბროსსეს. ეს სახლი იყო ორ-სართულიანი, ჯვარედინად აგებული. ქვედა სართულში, რომელიც ქვისაგან იყო აშენებული, თავსდებოდა მრავალი ოთახი — სტუმრების მისაღებად დანიშნული. ზედა სართულში იყო la salle de doncuets, სასტუმრო, სალხინო ზალა. ამ ზალას, რომელშიაც იყო მოწვეული ბროსსე აღდგომის ღამეს 1848 წელს, ის ამ გვარად ასწერს: „ზედა სართულიც ჯვარის მსგავსად არის აგებული ფიცრისაგან. ერთ ლამაზ კიბეს, რომელიც ასცილდება თუ არა მიწას, მალე იყოფა ორად, აყავს კაცი ზედა დარბაზში. დარბაზის შუაგულ ადგილას არის გაშლილი ჯვარისავე მსგავსად სუფრა, 32 კაცის დასატევი. ეს სუფრა არის გაშზადებული მთავრის ოჯახისა და დარბაზის ერისათვის; დარბაზის ზედაპირი გამშვენებულია კოლოფის მსგავსად გამოწეულ და ჩუქურთმებით გამშვენებულ შავად და ყვითლად შეღებილი

[1] წერილი 19 იანვ. 1853 წ. № 365, ნახე дело канц. влад. Мингр. № 272/$_{42}$.

[2] აღნიშნული ქვა-ტახტი დიდხანს იყო დაცული, ამ ბოლო დროს ის სრულიად გაცვეთილ-გადალესილია ამ სასახლეში ამჟამად მოთავსებულ სასწავლებლის მოსწავლეთაგან, შუაზეც გატეხილა და ზუგდიდის მუზეუმმა თავის აივანზე დააწყო.—ს. ც.

ხის ჭერით, რომელზედაც ჰკიდია ხის ჯაჭვი კანდელისთვის გამზადებული. ოთხსავე მხარეს კედლის გაყოლებაზე არის მიდგმული სკამები, რომელზედაც ეტევა სამასზე მეტი კაცი და როცა მაგიდებს მოუმატებენ 500 კაციც. თითოეულ დარბაზს აქვს მსგავსადვე გამშვენებული ჭერი და სკულპტურა. სახლის გარშემო გაშლილი აივნები გამშვენებულია სვეტებ-შუა გაყოლებულ ხისაგან ხელოვნურად ნაქარგით. მეტადრე კარგი სანახავია ეს აივანი შორიდან, როცა არის განათებული ღამის სიბნელეში. შენობის ხელოვნება თათრულია, რომელსაც სჭარბობს ზემოდან ვიწროდ შეჭრილი აღმოსავლეთის არკები.[1]

ზუგდიდის მთავარი სასახლის მარჯვენა მხარეს, ფერდობის გაყოლებაზე, იყვნენ გამწკრივებულნი: მთავრის ძმის გრიგოლ დადიანის სასახლე, მისი გამზრდელის მანუჩარ ბატონიშვილის ნაშენი, წალენჯიხის მხრიდან მოტანილი ზუგდიდს, უზენაესი სასამართლო, მთავრის სასტუმრო სახლი, მაზრის სამდივანბეგო, კაცია ჩიჩუას სასახლე, მთავრის სალარო და მაღალი სამ-სართულიანი ციხე, შეიარაღებული ზარბაზნებითა და ჯაზეირებით, საიდანაც ყოველ დიდ დღესასწაულზე ციხის უფროსი შენგელაია[2] ზარბაზნებს ისროდა.

სასახლის გვერდით დავით დადიანმა გააშენა მშვენიერი ბაღი. ამის გამშენებელი იყო ტრიესტიდან მოწვეული მებაღე ბ. ჟოზეფი, გვარად ზაბინი.[3]

ბაღში იყო დარგული იშვიათი ხეები, მაშინ ჯერ ჩვენში უცნობი: მაგნოლია, ტიულპანი, ბეგნონია, მიმოზა, პრობკის ხე, კვიპاროსი, კრიპტომერია, ლაგუსტრემია, სხვადასხვა ტუიები. ჟოზეფის პლანით გაშენდა ბაღში მშვენიერი ქვის ორანჟერეია, რომელსაც პირი სასახლისაკენ ჰქონდა მიქცეული და დაინერგა ხეების ლაბირინტი. შემდეგ გაკეთდა ვრცელი აუზი, რომელსაც ასაზრდოებდა მდ. ჩხოუშიდან გამოყვანილი არხი. ჩრდილოეთისაკენ ამ აუზის შუაგულში ბაღიდან შედიოდა ალლეია და აქ ამაღლებულს ადგილზე იყო გაშენებული მუნვე დანერგული ხეებისაგან შემდგარი ფანჩატური, რომელშიაც საღამ-საღამოობით სასეირნოდ გამოდიოდა მთავრის ოჯახობა. აქედან უყურებდნენ ნავით მიმოსვლას აუზში და გედების ცურვას ან ცოცხალ-ცოცხალი თევზების ჭერას სასროლი ბადით.

სამხრეთის მხრით იმ ადგილზე, საცა აუზიდან გამოდის წყალი, იდგა თლილის ქვისაგან აყვანილი საყავე, აქ მთავარი და მისი ოჯახობა წვეულებით მიირთმევდნენ ყავას.

აუზის მახლობლად იყო მაღალი მესრებით შემოკავებული ადგილი, საცა იყო დამწყვდეული 30 ირემი. ეს ირმები დიდხანს იყვნენ აქ, სანამ,

---

[1] Vayage archèologique I livraison VII rapports, 54 გვ.

[2] შენგელაია ხურაბი, პაპა ჩვენი ბელეტრისტის ლეო ქიაჩელისა—ს. ც.

[3] Дело канц. влад. Мингрелии № 602/1847.

ერთმა მათგანმა ვიღაც კედია[1] არ მოკლა; ამის შემდეგ მთავარმა წააყვანია ირმები ეწერს, საცა შემოალობინა მათთვის ორასი ქცევა ტყე-ველი. ამის ღობვაში, როგორც ამბობენ 1500 კაცი ტრიალებდა. ბაღში განწყვეტლად 60 კაცი მუშაობდა. უმეტეს ნაწილად ლენტეხელები. დავითი მუდამ დღე მოდიოდა მათთან და მუშაობას თვალყურს ადევნებდა. საღილს რომ მოუტანდნენ მუშებს, ესენი ჭამას ისე ვერ დაიწყებდნენ სანამ მთავარი არ წააკითხებდა მათთვის „მამაო-ჩვენოს", — დაისწავლიანო, — იტყოდა.

ბაღის ყურეში, პრინცესსა მიურატის ეზოს მახლობლად, იმ ადგილას, საცა იწყება დიდი ალლეია, ბაღს ამშვენებდა მშვენიერი თუჯის კარები, სტამბოლიდან მოტანილი.

გორდის სასახლე ალექსანდრე ჭავჭავაძის რჩევით იყო აშენებული არქიტექტორის ვასილიევის პლანით. ძველად, და ლევანის დროსაც აქ უბრალო ოდა იდგა და მთავრები ამოდიოდნენ სანადიროდ. იმ ადგილას, საცა ახლა სასახლეა აშენებული, ალექსანდრე ჭავჭავაძის თანდასწრებით გადახდილ იქნა პარაკლისი და საფუძველი დაედვა სასახლეს 1841 წელს, ამ სასახლეში ატარებდა ზაფხულს თავადი სამეგრელოისა ნიკოლოზ. ამ სასახლეში გარდაიცვალნენ: დედოფალი მართა, დადიანი დავით და დედოფალი ეკატერინე.

სამეგრელოს მემკვიდრე ნიკო ნიკოლოზის-ძემ ამ სასახლეს სულ ჩხირი მიატეხა.

მურის სასახლე ვრცელი შენობა იყო. მურის ციხის დაშვებაზე ცხენის წყლის პირად. სასახლეს ისეთი დიდი აივანი თურმე ჰქონდა, რომ ორას კაცზე მეტი სადილად დაჯდებოდა, ერთი თავი ამ აივნისა აწეული იყო, საცა დაიდგმებოდა სუფრა მთავრისა და დედოფლისა და რჩეულთა თავად-აზნაურთა. მთავარმა გრიგოლ დადიანმა[2] ჯვარი რომ დაიწერა, ლხინი ამ სასახლეში გადაიხადა. ამ ქორწილზე ამბობენ: სტუმრებისათვის საგანგებოდ აშენებული სეფა ლავაშით იყო გადახურულიო.

სალხინოს სასახლე. ლევან დადიანამდის სალხინოში სამეგრელოს მთავრებს უბრალო ხის ოდა ედგათ.

როცა კაცი დადიანის სიკვდილის შემდეგ სამეგრელოს მთავრობას ედავებოდნენ ერთმანეთს გრიგოლ დადიანი და მანუჩარი, ეს უკანასკნელი, როგორც სალიპარტიანოს ბატონი, სალხინოს იჯდა. ანა დედოფალი, კაცია დადიანის ქვრივი, სწერდა კავკასიის მთავარმართებელს, თავ. ციციანოვს სალხინოდან: სალიპარტიანოს ნუ ჩამოართმევ ჩემს შვილს მანუჩარსო[3]. თითონ მანუჩარი სწერდა მასვე: სალიპარტიანო მამაჩემმა მე მიბოძა; ჩემ ძმას თუ სამთავროს აძლევთ, მე ამას მაინც ნუ ჩამომართმევენო.

---

[1] სამთავრო აზნაური იყო, ზუგდიდში ეს გვარი ამჟამად ხშირია. — ს. ც.

[2] დავითის პაპამ.—ს. ც.

[3] წერილი 18 იანვარს, 1805 წ.

მთავარს ლევან დადიანს არჩილ ბატონიშვილმა და გიორგი გეგელიამ ურჩიეს სალხინოში ფიცრულის ნაცვლად ორ-სართულიანი ქვის სასახლე აეშენებინა და მთავარმაც ააშენა ეხლანდელი სასახლე, რომელიც მხოლოდ ჩვენს დღეებში, მისმა შვილის-შვილმა პრინცესსა სალომე მიურატმა მოათავა შემდეგ დედამისის, ეკატერინე დედოფლის, გარდაცვალებისა (1882) სალიპარტიანო რომ ერგო იმას წილად მემკვიდრეობით. სასახლის მდებარეობა იმ ადგილას ახლო, სადაც არის სამშობლო „ოჯალეშისა" (სასახლიდან ორ ვერსტზე) მდინარე წაჩხურის ნაპირად, რომელიც იყო და არის განთქმული შესანიშნავი კალმახებით, თვითონ პლანი სასახლისა, რომლის ქვედა-სართულის შუაგულ დარბაზში ჩატანებულია უზარმაზარი ქვევრი, რომლის გარშემო შიგ დარბაზში გაკეთებულია სალხინოდ გამზადებული მუხის სვეტებზე აყვანილი ფანჩატური ლამაზად მოქარგული თაღით, სრულიად ამართლებენ სასახლის წოდებას „სალხინოს" და მოწმობენ, რომ ამგვარი სასახლის აშენების აზრი ამ ადგილზე, სწორედ უნდა მოსვლოდა ისეთ მთავარს, როგორიც იყო ლევან დადიანი, რომელსაც მთელი მისი სიცოცხლე ლხინსა და სიმღერაში გაუტარებია.

90 წლის მოხუცმა ივა ხურცილავამ მიამბო სალხინოს აშენების შესახებ: სასახლეს აშენებდნენ ბერძნები და თურქები. ასი უღელი კამეჩი და ასი უღელი ხარი გვება მარხილებზე (ურმები მაშინ არ იყო) და საშენებელი მასალა ლეცავედან დაგვქონდა. ღამღამობით ხარ-კამეჩებს ბეჭვაიებს ვაბარებდით.

სასახლის უფროსი — კამენდანტი — იყო ბეჟან დგებუაძე, რომელსაც სადგომი სასახლის ეზოშივე ჰქონდა. რომ გაჭირდა სახლის აშენება, მთავარი სწყევლიდა იმათ, ვინც მისი აგება ურჩიეს.

სასახლის შენების დროს მოკვდა უფროსი ოსტატი თურქი ოსმანი, რომელიც იქვე სალხინოს ეზოში დამარხეს.

სასახლის უფროსი ხელოსანი ლევანის დროს იყო ბოშია ბასილაია. ქეშიკები — სვანები: გაბოლა და გახო.

მებაღე — ანასტა ბერძენი, რომელიც ლაშხიას ჩამოესიძა. სალხინოს ხეები ამ დროს არის დარგული.

წაჩხურის კალმახს იჭერდნენ სასახლისათვის გულორდავები და ლაშხიები.

ამჟამად სალხინოს სასახლე არის ერთადერთი, ლევან დადიანისაგან აშენებული სასახლე, რომელშიც აღმშენებლის ჩამომავლობა დგას, დრონი იცვალნენ და ლხინის სასახლე შეიქმნა დღეს შრომის სასახლედ. ცენტრად სალიპარტიანოს მეურნეობისა და მრეწველობისა[1]. ლევან დადიანისეული ლხინი აქ მხოლოდ ერთხელ გაიმართა, როცა პრინცმა ლუსიანე მიურატმა ჯვარი დაიწერა მარიამ როჭანის ასულზე.

სასახლის გვერდით დგას ეკლესია, აგებული მთავრის კაცია მეორის

1 ამჟამად აქ მევენახეობის დიდი კოლმეურნეობაა მოწყობილი. — ს. ც.

დადიანისაგან 1782 წ. ეკლესიის ერთ-ერთ სვეტზე მისი ბრძანებით ამოჭრილია შემდეგი წარწერა:

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ქრისტესა დედავ.
მცირე წვლილს ვბედავ,
შენს სახლად იძღვენ ეს ეკლესია,
შენს მიერ შენდა
გძღვნობ ვით შეგშვენდა,
ჩემზე მხედველ ჰყავ ჩემი მესია,
მე დადიანმან,
შენგან მმოსავმან
კაციამ გიგე სახლი ესია
და, მეუღლით და ძით
მნათობდა მბაძით
მრჩობლ სუფევა გვეც უმჯობესია.

ეკლესიის გარედან სპონდიოს ქვა აქვს შემოვლებული. ეს ქვა, როგორც მითხრეს, აბაშის წყალვარდნილიდან არის მოყვანილი. ლევან დადიანის დროს ამ ეკლესიას წინიდან სამრეკლო მიაშენეს.

VII

სასახლის წყობილება. ზუგდიდის ახალი სასახლეები. სასახლის ბალი. აღდგომისდღესასწაულის გადახდა. ყაბახი, ფერხული და სხვა გასართობები. მ. ბროსეს სტუმრობა და მისგან აღდგომის დღეობის აღწერა.

დავით დადიანს თავის სასახლეში უნდოდა შემოეღო ევროპული წესები, ის წესები, რომელიც უნახავს პეტერბურგსა და თბილისში;

მოუხსენებლად ვერავინ შევიდოდა მასთან.

მოუწვევლად ვერავინ დაჯდებოდა მის სუფრაზე თვით მახლობელნიცა.

მთავრად ყოფნის დროს ის სადილზე იწვევდა მდივანბეგებს, მაზრის უფროსებს და ხანშესულ თავად-აზნაურებს.

ხანდახან კი სასახლის ხალხს თავის მთავრობას აგრძნობინებდა.

თავადმა გრიგოლ გურიელმა მიამბო: ერთხელ გიორგი ჩიჩუა და მე შევედით ერთად სასახლეში. სადილობის დროს მთავარმა თავის სუფრაზე მე მიმიწვია და გიორგი ჩიჩუა არა. მე ეს გამიკვირდა, რადგანაც ვიცოდა: რომ გიორგი ჩიჩუა პირველი თავადიშვილი იყო სამეგრელოში და ჩემი გაკვირვება მთავარს გაუზიარე.

—შენ რა გენაღვლებაო, მიბრძანა მთავარმა.

ამ დღეს, — დასძინა გურიელმა, — ივანე ჩიქოვანიც სასახლეში იყო და იმასაც ცალკე სუფრა დაუდგესო.

სასახლეში მთავარს საკუთარი მხლებლები — კანვოის რიგის კაცები ყავდა დამბაჩითა და ხმლებით შეიარაღებული. ამათი უფროსი იყო თავ. გრიგოლ ტარიელის-ძე დადიანი. საღამოს მოხსენდებოდა ამას მეორე დღეს ვინ უნდა ყოფილიყო სასახლეში მორიგედ („დეჟურნად") და იმას

წინა-სალამოს შეატყობინებდნენ, რომ მეორე დილას ალიონზე სასახლეში ყოფილიყო. რიგის კაცები იყვნენ: პეტრე მხეიძე, გიორგი გელოვანი, თეიმურაზ ახვლედიანი, ხოსია ჩიქვანი, არჩილ ფალავა, დუტუ ბატონიშვილი[1], გრიგოლ დგებუაძე, გახუ ფალავა, სოლომონ ფალავა. მორიგეები გაჩერებული იყვნენ სასახლის დარბაზებში, ან აივანზე. თუ ვინმე მთხოვნელი მოვიდოდა, ესენი დაუხვდებოდნენ, თხოვნას ჩამოართმევდნენ და ბატონს მიართმევდნენ. თუ სადმე მთავარი წაბრძანდებოდა, ესენი თან ახლდნენ ცხენით თუ ფეხით.

კავკასიის აქეთა მხარის მმართველობის მეისტორიე ბ. ივანენკო წერს: „ზუგდიდში გაშენდა სასახლე და მშვენიერი ტროპიკული ბაღი. სამზარეულოს განაგებს chef de cuisine შვეიცარიელთაგანი, მთავრის კარზე იმყოფება ზედმიწევნით გაწვრთნილი, ზრდილობიანი, მარდი, თვალტანადობით მოხდენილი ახალგაზრდობა სამეგრელოს თავადთაგან, რომელნიც რუსულად ლაპარაკობენ. ისინი მორიგეობენ და მოახსენებენ მთავარს სტუმრებისა და მთხოვნელების შესახებ, გადაცემენ ბრძანებას და ყველგან ახლავან მთავარსა და დედოფალს, როგორც ბრწყინვალე ამალა"[2].

დავით დადიანის სასახლის ამალაში, როგორც ძველად, გამოულეველნი იყვნენ ხუმარანი.

პირველი ადგილი ამათში ეჭირა ერთ ჯუჯას, რომელსაც ივან იაკოვლევიჩს ეძახდნენ. ეს კაცი რომელიღაც ექსარხოსს ჩამოეყვანა თბილისში სარატოვიდან და ექსარხოსისათვის დავით დადიანს გამოერთმია. 35 წლის კაცი, ტანით პატარა, იმ ზომამდე პატარა, რომ როდესაც უნაგირზე შესვამდნენ იმას, უზანგის სიგრძე 5 — 6 ჯოგზე უნდა დაეყენებიათ, პირტიტველი ივან იაკოვლევიჩი სულ ბალღსა გავდა და აკვირვებდა კაცს, როცა მუსაიფში გაერეოდა და ლაპარაკობდა, როგორც ხანში შესული კაცი. ივან იაკოვლევიჩი მუდამ მთავრის ოჯახში იყო, მთავრის სუფრაზე იჯდა, მთავრის მიღების და ცერემონიების მონაწილე იყო.

ხუმარა ივანე ტარიელის-ძე — ქართველთაგანი, ხუმარა ხერგიანი სვანი, სულ მუდამ ართობდნენ დარბაზის ერს.

ხშირი სტუმრები იყვნენ სასახლეში: ხუმარა ნიკო ჩარკვიანი, ხუმარა გლახუა მიქელაძე.

უკანასკნელის მოსწრებულ სიტყვად გამიგონია:

აფხაზეთის მთავარი მიხეილ შარვაშიძე მარტვილს მიბრძანდებოდა, ჭყონდიდელმა იმის შესაგებებლად გაგზავნა რამდენიმე წარჩინებული პირები და მათ შორის გლახუა მიქელაძე, რომელიც თურმე ვერ იჯდა კარგ ცხენ-უნაგირზე.

— გლახუა, ამისთანა კარგი უნაგირი სად გიშოვია?—ჰკითხა დაცინვით მთავარმა მიქელაძეს.

---

[1] ასე ეძახდნენ მთავრის მოგვარეებს. ხალხი დღესაც ასე იხსენიებს დადიანებს—ს. ც.

[2] ნახე ივანენკოს თხზულება, Гражд. управление Закавказьем., გვ. 487.

— ბატონო, ბაბუა თქვენი რუხის ომიდან გაქცეული რომ მირბოდა მეფე სოლომონი ამ უნაგირზე იჯდა და ისე მისდევდაო, უპასუხა გლახუამ.

სასახლის მოსამსახურეთუხუცესი იყო თავ. ივანე ჩიქვანი. იმის ხელქვეითნი იყვნენ: უფროსი მოლარე ბეჟუკი დევდარიანი, უფროსი მეღვინე ბერუკელა კუხალეიშვილი, მებაღე — ავსტრიელი ჟოზეფი, მზარეული — ფრანგი სოლომონი.

— ჩემი მზარეული როგორ მოგწონს, ჰკითხა ერთხელ მთავარმა მსაჯულთ-უხუცესს როსტომ ჩიქვანს. დახე, რა რბილი ხორცია, თვითონ ადნება კბილზე.

— სწორედ იმიტომ მგონია, ბატონო მთავარო, რომ თქვენი მზარეული ყარსიდან უნდა იყოს მოსულიო, უპასუხა ჩიქვანმა.

უფროსი ქეშიკი — ჩაგუნავა.

ერთი, დავითის წერილი, მიწერილი გრიგოლ დადიანთან მემკვიდრეობის დროს, იხსენიებს თავქეშიკად ამ ჩაგუნავას. „ჩაგუნავა მომიკვდა უეცრად, ძალიან დამაკლდა საწყალი და ძალიანაც ვწუხვარ მის სიკვდილს, შენ ნუ მომიკვდები, ჩინებული მცველი იყო და ვაპირებდი ოცდათხ კაცს მის ხელთქვეშ ქეშიკებად დაზრდას, ის უცხოდ დაზრდიდა ამ გვარობაშიდ ჩინებული იყო“ — სწერს მემკვიდრე თავის ძმას[1].

მოსამსახურეების და, საზოგადოდ, დარბაზის ერის კეთილ-ზნეობას დავით დადიანი დიდ ყურადღებას აქცევდა.

ერთხელ, აღდგომის წინადღეს, დავითმა თვალი მოკრა, რომ ერთი ვილაც ჯგუშია ძლიერ ახლო და გულსმოდგინედ ეარშიყებოდა სასახლეში მყოფ ერთ ყმაწვილ ქალს. ეს რომ მთავარმა დაინახა, მოატანია წკნელი, გააწვინა არშიყი ყმაწვილი იატაკზე და გაროზგა. ეს შეურაცხყოფა ვერ აიტანა თავმომწონე ყმაწვილმა და იმ დროს, როცა ზარის ხმა იწვევდა ხალხს გაბრწყინვებულს ეკლესიაში, ჯგუშიამ დაიდვა. შუბლზე დამბაჩა და თავი მოიკლა[2].

მრუშობის გიებას დავით დადიანი არავითარ შემთხვევაში არ დარიდებია.

როცა ლევან დადიანი გაასვენეს, ზუგდიდიდან სამგლოვიარო პროცესიას თმაგაშლილად და ჩვეულებრივი ტირილით და მოთქმით მისდევდა დავით დადიანის მახლობლად მართა დედოფლის პირისფარეში ედემყვავილისა. „შენ მიდიხარ ბატონო, მაგრამ მე უბედურმა რა ვქნა, მე ვის მიტოვებ“, მოსთქვამდა ის და ეს მოთქმა არ თავდებოდა, „მე ვის მიტოვებ ბატონო, მე ვის მიტოვებ ბატონო“, მთავარი ამაზე გაგულისდა, მიუბრუნდა იმას და თავისებური წვრილი ხმით ხმამაღლა უთხრა პასუხად: „გიორგი ჩიქვანს, გიორგი ჩიქვანს“. თურმე ედემყვავილისას სწამობდნენ გიორგი ჩიქვანთან კარგ განწყობილებას და ეს მთავარსაც სცოდნიაო[3].

[1] წერილი, 113 იანვარი, 1836 წ.
[2] გრ. ანჯაფარიძისაგან განგონი 1896 წ.
[3] მაიკო კობახიძისაგან (მეუნარგიასი) განგონი.

აღდგომის დღეობა. მეტადრე განთქმული იყო გურია-საჩეგრელოსა და იმერეთში დავით დადიანისაგან აღდგომის დღესასწაულის გადახდა. ყოველგნით მოდიოდნენ ამ დღისთვის ზუგდიდს: გურიელები, ერისთავები, წერეთლები, ჭავჭავაძენი, თარხნიშვილები, დადიანები, აფხაზეთის თავად-აზნაურნი რჩეულის მომღერლებით, მოთამაშეებით, საუკეთესო ცხენებით და მორთულ-მოკაზმულობით. ერთხელ დღესასწაულზე მთავარმა მოიწვია ქუთაისის გენერალ-გუბერნატორი გაგარინი ცოლით და როცა სტუმრები მიუახლოვდნენ ზუგდიდს, თვითონ მთავარი და დედოფალი მიეგებნენ წვეულებს ცხენდაცხენ. წვიმიანი დღე შეიქნა და დედოფალს წითელი მაუდის საწვიმარი ესხა, მიამბო თავ. კონსტანტინე ერისთავმა — რაც მაშინ მოდა იყო.

ერთი ამგვარი დღეობის დამსწრე იყო 1848 წელს საქართველოს ისტორიკოსი **მარი ბროსსე.** აი რაგვარად ასწერს ის ამ დღესასწაულს:

„შაბათ საღამოს, 10—11 საათზე, დაიწყო ლიტურგია. დადიანი, მდიდრად ჩაცმული, თავის მეუღლით და სხვა თავადნი და მათი ოჯახობა დაესწრნენ წირვას. ეკლესია გაჭედილი იყო ხალხით. სხვათა შორის აქ ნახავდით ქრისტიანობა-მიღებულ აფხაზებს, რომელთაც გამოიცნობდით მოპარსული თავებით და მხრებზე გადაგდებული **თეთრი ბაშლაყებით:** მეგრელებს და იმერლებს რუსულ სერთუკებში გამოწყობილებს, წითელი საყელოებით და მკერდზე ორდენებით და ქართლელებს ფერად-ფერადი ტანისამოსით, ძველი ჩვეულებისამებრ წითლად შეღებილ წვერ ულვაშებით. ეკლესია იყო ბრწყინვალედ განათებული შიგნით და გარედან. მლოცველები იყვნენ წირვაზე კრძალვით და აყოლებდნენ ხმას ძილის პირების გალობას. რელიგიური მდუმარება მათი დაირღვა მხოლოდ მაშინ, როცა ბრწყინვალედ შემოსილმა მიტროპოლიტმა გააღებინა აღსავლის კარები და წარმოსთქვა ეს ორი სიტყვა: „ქრისტე აღსდგა". ეს სიტყვები რომ გაისმა, შეიქნა ეკლესიაში ერთი ყოფა, მხიარულება, მძლოცვა, დაუსრულებელი ამბორის-ყოფა, ყველანი უახლოვდებოდნენ მთავარს და დედოფალს, რომ მიელოცნათ დღესასწაული და დაემოწმებინათ მათთვის პატივი და ერთგულება. ყველას ეტყობოდა პირის სახეზე და **თვალებში** მხიარულება... წირვა გაგრძელდა დილის ხუთსაათამდის: არც დადიანს, არც ალებს ერთი წამი რა არის არ შეუსვენიათ შვიდი საათის განმავლობაში... ნაწირევს დადიანის სტუმრები და მათ შორის მეც მიგვიწვიეს სუფრაზე სალხინო დარბაზში[1].

მთავრის **სუფრიდან** რომ ავდექით გავემართეთ მიტროპოლიტთან, სადაც გველოდა სხვა სუფრა, ზოგიერთებს კიდევ შერჩენოდათ მადა და აქაც იგემეს საჭმელი, თუმცა აქაური ჭამა-სმა უფრო თეფშებისა და ჭიქების რახა-რუხი იყო, მაგრამ როცა აქედან გადავედით მთავრის ძმასთან, გრიგოლ დადიანთან და დავინახეთ სუფრა მძიმედ დატვირთული ჰომერიული საუზმით, ჩვენ სიცილი ვერ შევიკავეთ... სულ ყველა ამას, დილის შვიდ საათამდის მოუნდით და შვიდ საათზე კი დავიშალეთ მოსასვენებლად.

„სამ საათს შემდეგ სასახლის მოედანი აივსო ხალხით. მთავარი და მანდილოსნები გამობრძანდნენ სასახლის აივანზე და აქ იღებდნენ დღესასწაულის მილოცვას. უკანასკნელი მეგრელი არ დარჩენილა, რომ არ მოსულიყო მთავართან და დედოფალთან, არ ეამბორნა მათი ტანისამოსისათვის და არ მიერთმია მათთვის წითელი კვერცხები.

მალე დაიწყო მოედანზე სხვადასხვა თამაში და შეჯეგა. შუაგულ მინდორში ამართეს გრძელი ოთხ-საჟენიანი ჯოკა, რომელზედაც დაადეს ერთი მშვენიერი ვერცხლის თასი. ცხენოსნები ჭენებით გამოქანდებოდნენ ჯოკისაკენ და რა დაუახლოვდებოდნენ, ესროდნენ ჯოხს, რომ თასი ძირს ჩამოეგდოთ. თუ ჯოხი ჯოკას მოხვდებოდა და იმის

---

[1] ამ დარბაზის აღწერილობა მოთავსებულია ზუგდიდის სასახლის აღწერაში.

შერყევით თასი ჩამოვარდებოდა ჯერი არ იყო, ჯოხი უთუოდ უნდა თასს მოხვედროდა, რომ ამგვარად გადმოგდებული თასი მსროლელს მოეგო, წარმდგარიყო მთავართან მადლობის მოსახსენებლად და მთავრისაგან მისი სიმარჯვის ქება მოესმინა. ამ თამაშს ეტყვიან ყაბახს. ერთი საათი, საათ-ნახევრის განმავლობაში ორმოცდა-ათზე მეტმა ცხენოსანმა სინჯა თავიანთი მკლავის სიმარჯვე, მაგრამ ამათში მხოლოდ სამმა ისახელა თავი: მალხაზ აფაქიძემ, დავით ფალავამ და ბათუ ფალავამ, რომელთაც ტაში დაუკრეს.

„სხვაგან, ბაზრის მხრით, ამართული იყო სხვა ჭოკი, რომელზედაც დადებული იყო ვერცხლის აბარფეში. ეს აბარფეში უნდა ჩამოეგდოთ შორიდან თოფის სროლით, ნაცელად იმისა, რომ ზეზე მდგარიყვნენ და ისე ამოეღოთ ნიშანში აბარფეში, ესენი ჯდებოდნენ, თოფს თავს უდებდნენ ორჯოხზე და ისე სროლობდნენ, მაგრამ რამდენიმე საათის განმავლობაში ვერც ერთმა ვერ მოახვედრა ნიშანს, მხოლოდ მეორე დღეს ჩამოაგდეს ეს აბარფეში და ისიც იმიტომ, რომ ამ დღეს უფრო ახლოდან დაუწყეს სროლა. ამას მოყვა ცხენების ჭენება...

„ნაშუადღევის ორ საათზე დადიანმა მიიწვია სადილად თავად-აზნაურობა იმ მშვენიერს დარბაზში, სადაც გათენებისას ვიჯექით საუზმედ და ხალხი — ბაღში. ვინ ჩამოთვლის რამდენი ხარი და ძროხა დაიკლა ამ დღეს და რამდენი კასრი ღვინო დაილია, რომ დაეკმაყოფილებინათ შვიდი კვირის მარხვით დამშეული წვეულები. სადილი გაგრძელდა 5 საათის განმავლობაში... დიმიტრი გურიელს მოეყვანა აქ განთქმული მომღერლები, რომელნიც ყველას დიდად მოსწონდა და რომელნიც მართლა ღირსნი იყვნენ ყურადღებისა. რა შეწყობილი სიმღერა, რა დაუღალავი ყელები, რა საკვირველი ჰარმონიული ხმა გამოდიოდა იმათი აყვანილი მკერდიდან და ფარავდა ამ ვეებერთელა ლხინის ხმაურობას. უნდა ვთქვათ მეგრელთა პატივსაცემად, რომ გარდა ხმაურობისა და სიხარულით აღტაცებისა თითოეულს ისე ზრდილობიანად ეჭირა თავი, რომ ქალები დაურიდებლად იღებდნენ მონაწილეობას საერთო მხიარულებაში. არც დარბაზში, არც ბაღში. არსად მე არ შემინიშნავს ერთი კაციც, რომელსაც ღვინოში დაეხრჩოს თავისი ჭკუა-გონება და ღმერთმა კი იცის რა ნექტარიც რამ არის ოჯალეში. მეტადრე ახალი, სხვა ღვინოებთან გარეული მთავარმან მოატანია ჩვენთვის 18 წლის ოჯალეში. სასმელად ცოტა მაგარი, მაგრამ კარგი, მე არ შემიძლიან არ შევადარო ის საუკეთესო ბორდოს; საქართველოში იმის მეტოქედ მე არ ვიცნობ სხვა ღვინოს, გარდა ატენის ღვინისა. მთელ დედამიწაზე იმას მარტო ტოკაის ღვინო თუ სჯობია.

„მაგრამ კმარა ამაზე ლაპარაკი. მეორე დღეს ორშაბათს, იმავე ადგილს შეიკრიბნენ წინადღის წვეულები და გაიმართა ლხინი მიტროპოლიტის სახელით, მესამე დღეს წვეულება იყო სახლთ-უხუცესისა.

„ყოველ საღამოს ხალხი იკრიბებოდა მინდორზე და იმართებოდა ნაციონალური თამაში — ფერხული. ფერხულს იწყებენ ორი-სამი წყვილი ერთიმეორესთან მკლავებგაყრილი, ან ხელებ ჩაკიდებული რიტმიული მოძრაობით — ჯერ უკან დაწევით. მერე წინ წამოწევით და სიმღერით „ო, ა, ო, გორა და შარა"[1]; რომელსაც იმეორებენ განუწყვეტელად. ცოტ-ცოტად დამწყებ წყვილებს ემატებიან სხვები და მალე იშლება ვეებერთელა მრგვალი წრე...

„ოთხშაბათს, 14 აპრ. ერთმა, დადიანის ძმამ გამართა ნადირობა, რომელსაც დაესწრო 200 ცხენოსანი კაცი...

„ხუთშაბათს, -5 აპრ. მე წავედი ზუგდიდიდან აფხაზეთს..."

ბროსსეს აღწერილობას აქ უნდა დავურთოთ ზედ ის ორი-სამი მცირე რამ, რომელიც მე ჩამიწერია ჩემს დღიურში სხვადასხვა პირთაგან განაგონად.

---

[1] მეგრულად მღერიან „ვოო, რაშა" და არა „გორა და შარა", როგორც მოსმენია ბრუსეს.—ს. ც.

ჯერ ერთი მთავრის ძმის გრიგოლ დადიანის ნაამბობი: „ჩემი ძმა დავით სააღდგომოდ ხალათს გასცემდაო: აღმოსავლეთის წესის მიმსგავსებით ხალათს ეტყოდნენ ჩოხას, ახალუხს, შალს, ბაშლაყს და სხვ., რომლითაც ის აჯილდოებდა მისს მეგობრებს და ერთგულებს.

თავ. დათა სალიკის-ძე ჩიქვანმა მიამბო: დათა გუგუნავას შეკაზმულ ცხენზე გალესილ ლეკურს დაუდებდნენ პირ-აღმა და გუგუნავა იმას გადაახტებოდაო.

მანვე მითხრა: აღდგომის ლხინში, როცა ყოველი კაცი იძახოდა ურა-ურას, სიკოია გიგინეიშვილი ყვიროდაო: „გავხედნი, გავხედნიო“.

VIII

საგარეო საქმეები. განწყობილება რუსეთის მთავრობასთან. მეზობლის რიდი. საიდუმლო წერილი დავით დადიანისა. მთავრის ვექილები სამეგრელოს გარეთ,—მათი იურისდიქცია.

რუსეთის მთავრობასთან, რომლის მფარველობის ქვეშ იმყოფებოდა სამეგრელო, დავით დადიანს კარგი განწყობილება ჰქონდა, ბევრად უკეთესი ვიდრე შამამის ლევან დადიანს, რომელმაც არ დარიდა და მთავარმართებლისაგან გამოგზავნილი მოხელე სმიტტენი, რაღაც ურჩობისა გამო, გააწვინა და გააწკეპლინა ნოჯიხევის სასახლეში, მარტვილის ახლო[1].

დავითის დროს კავკასიის მთავარმმართველად იყვნენ: ბარონი როზენი, გოლოვინი, ნეიდგარდი და ვორონცოვი. დავითი ყველა ამათთან დაახლოებული იყო.

ბარონ როზენი, რომელიც დავითის გამზრდელად ითვლება, ეწვია სამეგრელოს მთავარს ლევან დადიანს 1836 წელს. დავითმა დააწყო თბილისში მთავარმმართველის მოგზაურობის მარშრუტი და გასწია ზუგდიდს, რომ აქ მოეწყო მართებული შეყრა მეფის მოადგილისა.

„12 ამ თვისას ვემგზავრები მე წინამსრბოლად ბარონისა მეგრელიად,—სწერდა დავითი თავის ძმას გრიგოლ დადიანს 12 სექტ. 1836 წელს. — სამი დღის უკან ბარონიც წამობრძანდება, თანხლებული ვასილ ბებუთოვით.“

ბარონ როზენი ჩამოვიდა ზუგდიდს და დაჰყო აქ სამი დღე. მისმა სამეგრელოში ყოფნამ ის ნაყოფი არ მოიტანა, რასაც ეტყობა, ელოდა დავით დადიანი.

ის სწერდა თავის ძმას გრიგოლს: „გეკითხა მთავარმმართებლის იქ ყოფნამ რა შესძინა მეგრელიასო და რა საკითხავია? მე გკითხავ, მგელი რომ შეიპყრა და ოცდა-ათ წელს ღრამატიკა ასწავლო, რას ისწავლის, არა თუ სამდღეობით ბარონის მეგრელიად ყოფნამ გამოიღოს ესე ვითარი ნასწაული! რას მკითხავ, დადექ შენთვის, ჯერ ღმერთს ჩვენზედ არ მო-

[1] გრ. დადიანისაგან განაგონი.

უცლია და როცა მოიცლის მაშინ კიდეც გავკეთდებით. რაიცა გიხილავს, იგი არს და მომეტებული"[1].

1837 წ. მოვიდა ზუგდიდს ხელმწიფე იმპერატორი ნიკოლოზ პავლეს-ძე. კავკასიის მეისტორიე ივანენკო ხელმწიფის მოსვლაზე წერს:

„1837 წ. ის (მთავარი ლევანი) შეხვდა იმპერატორს ნიკოლოზ პავლეს-ძეს თავის სამფლობელოს საზღვარზე ჩვეულებრივი ჩოხით გამოწყობილი, მაგრამ გენერლის ეპოლეტებით მხრებზე და ფრთადაშვებული სამკუთხიანი ქუდით. ის და დედოფალი მუხლმოყრილნი მიეგებნენ დიდებულ სტუმარს. ხელმწიფემ ორივეს აკოცა და მათი ერთგულებითა და გულუბრალოებით კმაყოფილი იგი მთელი სამი დღის განმავლობაში დარჩა ზუგდიდს, ლევანთან სტუმრად"[2].

თუმცა დავითი მაშინ მთავარი არ იყო, მაგრამ ხელმწიფის დიდი ზეიმით მიღება მისი საქმე იყო და მისი ხარჯით იყო მორთული.

1838 წელს დავითი წავიდა თბილისს ბარონ როზენის გასაცილებლად და ახალი მთავარმართებლის გოლოვინის შესაყრელად. დავითი დიდად ნაღვლობდა, რომ როზენმა დატოვა კავკასია. ერთ წერილში გრიგოლ დადიანთან (რომელსაც გაშავებულ ადგილზე წერტილები უზის), მთავარი სწერდა:

„სულო ჩემო გრიშა! მე ჩამოველ თბილისს, გასაცილებლად უძვირფასესი ბარონისა, რომელიცა არის... პატიოსანი, ხოლო სოფლის ამაოებისაგან... და კაცთაგან მისგან ნაკეთილმოქმედე(ბთა) დატეეებული, გიობილი, განბასრული. ამასთანავე (შესაგებე)ბელად ღოლოვინისა. ხოლო რამდენსამე დღეს... მისი მოსვლისა უნდა წავიდე ექსპედიციად. სადაც მიდის მხედრობა მენგრელთა რიცხვით ას-ერგასი"[3].

რუსეთის მფარველობის ქვეშ მყოფ დავით დადიანს გარეშე მტრის შიში არ ჰქონდა, მაგრამ რამდენადაც არის აფხაზეთის რიდი ჰქონდა. შიგ სამთავროში იმას სამეგრელოს ძლიერი ფეოდალები ეურჩებოდნენ, ეწყობოდნენ რა ესენი აფხაზეთის მთავარს. ამათში პირველი ადგილი ეჭირა გიორგი ნიკოს-ძე დადიანს და შემდეგ თავადთ ჩიჩუებს. ჯერ კიდევ 1836 წელს მემკვიდრეობის დროს, ის სწერდა თავის ძმას გრიგოლს:

„გიორგი აფხაზეთშია აბრაგად, რევს მიხაილს და ბუნტობს, აფხაზეთი ქედ-ფიცხლობს ჩემზედ და ორნივე მექადიან სიკვდილს. გიორგის დადიანობა[4] უნდა და თავიც მიაკარგა. როგორც უკუდო ვირი წავიდა კუდის საძებრად და ყურებიც მიაჭრეს ისრე მოუვიდა"[5].

ორი წლის შემდეგ ის სწერდა მასვე: „ჩიჩუები ერთიანად აბუნტდნენ. რასაკვირველია, გიორგი — ნიკოს შვილი შუაში ურევია და დიდი აყალ-

---

[1] წერილი 18 დეკ. 1836 წ.
[2] Гражд. управ Закав. В. П. Иваненко, გვ. 486.
[3] წერილი 24 თებერვ. 1838 წ.
[4] ე. ი. სურს სამეგრელოს მთავარი „დადია" გახდეს.—ს. ც.
[5] წერილი-თბილისიდან გრ. დადიანს, 20 აგვ. 1836 წ.

მაყალია სამეგრელოში. უთავესი დამწყებნი არიან კაცია ჩიჩუა და გიორგი, ჩვენი დეიდაშვილის ქმარი"[1].

მას შემდეგ რა რომ დავით დადიანი გამთავრდა, მთავარსა და ფეოდალებს შორის თითქო ზავი ჩამოვარდაო, მაგრამ ბოლო დროს, ეტყობა, მათი განწყობილება ხელ-ახლა აიშალა. გარდაცვალებამდის ორი თვის წინათ მთავარი სწერდა მის ძმას გრიგოლ დადიანს შემდეგ საიდუმლო ბარათს:

პირი

საიდუმლოდ

უფალს ღვარდიის პოლკოვნიკს და კავალერს თავადს გრიგოლ ლევანის-ძე დადიანს

მივიღე ცნობა რ-ლ ნიკოს-ძეთ თ-დთ გიორგი და პეტრე დადიანოვებთ აქვთ თურმე საიდუმლოდ გზავნა კაცებისა აფხაზეთში და საქმობა რაიმე რომელთანა მე პირთა თანა და საეროდცა იხმიანებენ წინაალმდეგ აზ-სა აწინდელისა მართველობისა სამეგრელოს სამთავროისასა და ვითომც ექმნასთ წინადადება, რომელთამე პირთადმი რაიმე წინაალმდგომისა სჯულიერისა უფლებისა გარნა არა ჰყოლოდნენ, აგზავნიან თურმე აფხაზეთს ხშირათ თა-დს რომელიღაც ჩიჩუას, და ჩაჩიბაიას და ერთსაც ბერიძე ხუცის შვილსა თუ ძმის-წულს და კიდევ ორს სხვას ვისმეს, რომელნიც თურმე ხშირად და განუწყვეტლად დაიარებიან, აწინდელისა მართველობისა მეგრელიის სახალხოდ ურიგოდ გახმიანება ადრევე ჰქონიათ მათ განსუნებულს ანტონ ჭყონდიდელთან და შემდგომ შინაგან სამთავროისა თუ გარეგან ხშირათ. ხო, რაღაც წინადადება სხუათა შორის თ-დს, საპილაოს მაზრის II კლასის მდივანბეგს თ-დს გიგო ფალავასთან, რომელიც თურმე ყოფილა წასულს მაისის თვეში სადღაც სატირლად სამურზაყანოში და იქედან გამოუარია მას გიგო ფალავას გიორგისას და იქ ჰქონიათ მოუბნება თ-დს ბერ ჩიქოვანთან, თ-დს ალექსი ჩიქოვანთან, თ-დს ელიზბარ დადიანოვთან და ოთხს-ხუთს სხუათა თავადებთან. შემდგომად ამისა ერთს მათგანს თ-დს გიგო ფალავას, იმერეთში ყოფილან იქ ზოგნი ჩვენებურებიც, ულაპარაკნია სხუა და სხუა საწინააღმდეგო აზრი; ესე ყოველივე მოწევნილი ჩემდამი გარემოება გეუწყებისთ თქუენ რათამცა ჰყოთ ამაზედ ბეჯითი კუალში ჩამდგომი და შეტყობა არა განძლიერდეს ბოროტი აზრი ბოროტის მოქმედთა და ქამთა თვისსა იქმნას მოსპობილი.

მთავარი მეგრელიისა **დავით დადიანი**

№ 905
ივნისის 27-ს
1853 წელსა.

იმავე წელს, რა წელსაც ეს წერილი დაიწერა ატყდა აღმოსავლეთის ომი. ამ ომმა დაამტკიცა, რომ დავით დადიანს ტყუილად არ ჰქონია ფიქრი აფხაზეთის მტრობაზე.

სამეგრელოს მთავარი შინაური საქმეების გამგეობაში დამოუკიდებელი ბატონი იყო, რომელსაც მხოლოდ პოლიტიკური ერთგულება ეთხოვებოდა რუსეთისა. ამის გამო სამეგრელოს ქვეშევრდომთა ინტერესების დასაცველად სამეგრელოს გარეშე, მთავართა — ლევან და დავით დადიანებს, ყავდათ იმ ადგილებში, სადაც უფრო მიდიოდნენ მეგრელები სა-

[1] წერილი გრ. დადიანთან, 6 ოქტ. 1838 წ.

მუშაოდ, ან საცხოვრებლად, როგორც მაგ. თბილისში და კასპიის მხარეში, ქუთაისში, სოხუმს, მათი წარმომადგენელნი, ან როგორც მაშინ უწოდებდნენ იმათ, ვექილები, რომელთაც ვალად ედვათ გაეწიათ სამეგრელოსთვის იგივე სამსახური, რა სამსახურსაც ეწევიან სხვა ქვეყნებში ელჩებულები.

არსებობდა თუ არა დებულება მთავრის ვექილთა სახელმძღვანელოდ, ამაზე ცნობა არა მაქვს. მაგრამ ვგონებ, რომ ამგვარი დებულება არ უნდა არსებულიყო, რადგანაც ერთ წერილში, რომლითაც დავით დადიანი აუწყებდა თავ. ლევან ჩიქვანს ვექილად დანიშვნას, ის აძლევდა ახალდანიშნულ ვექილს ვრცელ დარიგებას, თუ როგორ უნდა ემსახურნა იმას. მომყავს აქ ამის გამო ეს წერილი უკლისად:

ჩემს ვექილს, პორუჩიკს, თავადს ლევან ჩიქოვანს:

აღგირჩიეთ და ამასთანავე დაგნიშნეთ რა ვექილად ჩემად, საქართველოში და სხვათა კავკასიის გარდმოღმა ადგილებთა შინა გასრულთა სამეგრელოს მცხოვრებელთა, ვალად ვდებთ გაქვნდესთ გულსმოდგინება სიწრფოებით აღსრულებასა ზედა ამის დიდის ჩემის მინდობილობისათა, რომელზედაცა სრულიად იმედნეულ ვარ პირადი მთნობი თქვენი მარად შემისწავებიეს რა თქვენ შორის სიწრფოება და ერთგულება სრულყოფთ ჩემს მოლოდინებას, ხოლო ხელ სამძღვანელად მოქმედებათა თქვენთათვის მოგცემთ შემდგომს დარიგებას:

ა) პირველად უნდა გამოცხადდეთ თქვენ თანამდებობისამებრ თქვენისა უფალს სამოქალაქო ნაჩალნიკთან და მიიღოთ მასთან წარწერილობანი რწმუნებულთა მისდამი მხარეთა ადგილობრივ მეუფროსესთანი რომელ მიგიღებდენ თქვენ ვექილად ჩემსა და მოქცემდენ ჯეროვანს შემწეობას ვითა წინამოადგილესა თქვენსა, რა ამისათვის ამასთანავე ვწერე მისს ბრწყინვალებას უფალს სამოქალაქო ნაწილის ნაჩალნიკს და ტფილისის სამხედრო გუბერნატორს.

ბ) რომელნიცა მცხოვრები ჩემის სამთავროისა არიან ან გასრულნი სავაჭროდ თუ სხვათა საქართველოში მათი სია იქონიეთ და მისცემდეთ წლიურს ბილეთს მათგანს თითოეულს და უბილეთოდ ნურავინ ნუ დაგირჩებათ.

გ) ვინაიდგან გასვლითა მცხოვრებთა ადგილობრივის სამსახურისათა გვაკლდების სამსახური მის წილ ვისაც მისცემდეთ წლის ბილეთს. გამოართმიდეთ ფულს უკეთუ მოჯამაგირედ იყოს თქვენის მიხედვისამებრ სამის მანეთიდან ხუთ მანეთს და სხვათა შემძლებელთა ხუთის მანეთიდან ათამდის.

დ) საბატონო ყმანი, რომელნიც იქნებიან მუნ და ისურვებენ მოქცევასა თავის ყმისას უნდა მაშინვე მიიღოთ საშვალება მოქცევისა მათისა უკეთუ არ ექნებათ მიზეზი ჯეროვანი.

ე) უნდა იქონიოთ წიგნი-რვეული, რომელშიაც უნდა ჩაიწერებოდეს თითოეული ბილეთის ნომერი და ქვეშ უნდა მოაწეროს მან, რომელსაც ბილეთი მიეცემა თავის სახელი და გვარი და რამდენი ფულიც შემოუტანია და ვინიცობა

რამდენიმე და ამაზედ თქვენის მიხედვისამებრ მრმახსენებდეთ გარემოებისა ამათსა რაიცა ჩემდამო მოსაწვთნელ იყოს შემდგომის ჩემის განკარგულებისათვის.

ი) არიან მრავალნი ესე ვითარნიცა, რომელთაც დაუტოვებიეს ცოლშვილი და იქ სხვა ცოლი შეურთავს, ანა სხვა დანაშაულობაში შეცვენილან, რომელთაც სჯული სდევნის საზღვეულად და სახელი და გვარი გარდაუსხვაებიათ, ამათი გარჩევა ხამს რათა მიეცეს კანონიერი განკარგულება.

ი) იპონიეთ მკაცრი მხედველობა, რომელ თვინიერ ვაჭრობისა და ჯამაგირს ქვეშ ყოფნისა და სხვათა სასარგებლოდ წასრულთა უბრალოდ და უსაქმოდ რომ არვინ დაწოწიალობდეს და თუ შეხვდეს ესრეთ ყოფა ვისმეს წარმოგზავნიდეთ თვისად ადგილად და თუ ბრალეულად აღმოჩნდეს და შეეწამოს ურიგო ყოფა-ქცევა ადგილობრივ მართებლობას წარუდგენდეთ ესე ვითარცა მოქმედებისამებრ მისისა განსაკითხველად.

ია) უკეთუ შეხვდეს ვისმეს საქმე მცხოვრებთა ჩემის სამთავროისათა რომელ შეავიწროვოს ვინმემ ან წართმევით, ან ფულის დაკავებით, ან როგორმე სხუა, თქვენი პირადი ვალია, რომ შეხვიდეთ მის მდგომარეობაში და ადგილობრივ მთავრობასთან უშუამდგომლოთ.

იბ) არავის თავისთვისით არ ემძლავროთ არცლა შეავიწროოთ ვინმე, არამედ უკეთუ შეგხვდეს ვისმესგან უსმინარობა ან ესრეთი რამ საქმე ყოველსავეზედ მიიქცეოდეთ ადგილობრივი მეუფროსეებთადმი და მათის განკარგულებით იქმოდეთ ჯეროვან შესახებელს.

იგ) აგრეთვე დაწესებულ სასამართლოებში შეიტანდეთ უკეთუ სასამართლო რამე საქმეები შეგხვდებათ ესე იგი ადრევე გარდასრულის კაცის ამოყვანა მოახლობით ისე, რომელნიც ჩაწირილან უმართლოდ და მირჩენილა თუ სხვანი მსგავსნი ამისნი.

იდ) რომელიც გუბერნატორის შესახებელი საქმე იქნეს გუბერნატორთან მიიქცეოდეთ და საჭირო და მძიმე საქმეზედ თვით მთავარ-მართებელთან საქმის გარემოების მიხედვით.

მთავარი მეგრელიისა, ლენერალ-მაიორი და კავალერი დავით დადიანი[1].

1851 წ. ზუგდიდი, აპრ. დღესა

თბილისში და კასპიის მხარეში სხვადასხვა დროს იყვნენ ვექილები: ბერი ჩიქოვანი, ლევან ჩიქოვანი, გიორგი ხახუს-ძე ჩიჩუა და ბეჟან აფაქიძე, სოხუმს — ნიკო ხოფერია.

IX

მთავრის შემოსავალ-გასავალი. გადასახადები. სამთავრო ფინანსები.

ლარიბ ქვეყანას მთავარიც ლარიბი ჰყავდა.

ჩემს ხელთ არის ნინო დედოფლის ბეჭდით დამოწმებული და შემდეგში ლევან დადიანისაგან დამტკიცებული თამასუქი (უთარიღო), რომლისაგან ჩანს, რომ მთავარს გრიგოლ დადიანს აუღია სესხად გიორგი გუგუშვილისაგან ორი ქესა და ორასი მარჩილი (ექვსას სამოცი მანეთი) და თვით ნინო დედოფალს მართებია მისივე (გუგუშვილის) ვალი სამი ქესა და ოთხას სამოცი მარჩილი (ქესა სამასი მანეთია და მარჩილი ექვსი შაური).[2]

ლევან დადიანის და დავითის დროს მთავრების სილარიბე უფრო გამ-

---

[1] Дело какц. влат. Мингрелии № 602/1847.

[2] ეს თამასუქი გადმომცა ალექსანდრე დიმიტრის-ძე გუგუშვილმა.

წვავებული იყო. თვითონ დავით დადიანი აგვიწერს თავის სიღარიბეს და გაჭირვებას. იგი სწერს თავის ძმას გრიგოლ დადიანს:

„მოგეწერა ფულისათვის ჩემთვისა. შენსა სიყვარულს ვფიცავ, როგორც მილიონი ისე ერთი აბაზის მშოვნელი მე ოდიშიდან და სრულიად სამეგრელოდამ არ ვიყო, არც მშობელთაგან ვიცოდე რამე. აქამდის თუ რასმეს გიგზავნიდით, ჩემგან ნაშოვნი იყო, ზოგს ვაჭრობაში, ზოგს სხვა რამეებში პოდრატულს საქმეებში ვერეოდი და მათგან ვპოვნილობდი... მე თუ რამე მქონდეს ვისთვის მინდა, თუ არა შენთვის, რომელიც კვერთხად მეგულები. თუთხმეტი ათასი მანეთი მქონდა, ნინოს მზითვად მინდოდა, ხელმწიფის მოსვლაზე დავხარჯე. ეს ფული ვაჭრობით და პოდრატით მოვიღვაწე. ერთი აბაზი არ დაუხარჯავს მამას და დახარჯვამ შენი ჭირი წაიღოს, არც შემეწია მუშაობაზე და სწორედ გითხრა, ჩვენის უბედურებით, ვერ მოიცლიდა ოჯალეშისაგან... სამეგრელოდამ, მემოწმოს ამაზე სვინდისი და ჭეშმარიტება, ასი მანათი არა მეშოვნოს რა რაც შენ მოგშორებივარ. მე ვსცხოვრობ ჩემის ჯამაგირით და ან ნივთებს უნდა დავუწყო ყიდვა, საათს და ამისთანებს, რომ გამოვიკვებო თავი“[1].

სხვა დროს დავით დადიანი სწერდა გრიგოლ დადიანს:

„ფულის საქმე თეიმურაზსაც მოეწერა, რომ გჭირია. მივსწერე შინ, თუ გამიგონეს. მე ერთი გროში არ მაქვს ღმერთმან იცის. სანამ მქონდა არც მამას და არც დედას არ ვაწუხებდი, მოგართმევდი ხოლმე. ახლა რაიცა აღარ მაქვს რა გამოგიგზავნო, როგორც შენ ასი მილიონი, ჩემი სახლიდამ თუმანი არ ვიცოდე, ღმერთია მოწმე. ახლა ვეცადე ბევრი, მაგრამ აღარავინ მასესხა და ერთს ადგილს მაქვს იმედი რამდენიმე ვიშოვო. მანამ თუ გჭირია, ისესხე ქუთისოვიდამ, ან კორსაკოვიდამ და საღდგომოდ მოგიხერხებ. ამაზე რატომ მამას არა სწერ წიგნს? არა თუ ფული, სულიც არა მშურს თქვენთვის და რათ მინდა რამე თქვენს გარეშე. ამისათვის გწერდი ჩამოდი-მეთქი და ნახე აქაურობათქო.

იქნება მე მემდეროდე, დავითი ფულს არ მიგზავნისო. საიდამ და სიდგან გამოგიგზავნო. სამეგრელოს შემოსავლიდამ არა თუ ახლა რამ შემომდიოდეს, არც აბაზი ვიცი შემოსრული; თქმა არ დამიკლია, მაგრამ საქმით ბინა არ გაქვს მიცემული და, ღმერთია მოწმე, ღამე ძილი არ მქონდეს მწუხარებით. ერთი რომ თქვენს საკადრისად არ ხართ, მეორე ნაკლულოვანებაშიაც ხართ.

აი ამისთვის გწერდი ჩამოდითქო. შენს მერე ჩვენ თუ რამე დაგვაკლდა თორემ არა გაგვიკეთებია რა. ასე ქენი, მანამ ეგებ მოიხერხო და მაშინ უკანასკნელად ნივთებს გავყიდი და მოგართმევ, თუ სხვა ვერ ვიშოვე“[2]....

ამას წერდა დავით დადიანი მემკვიდრეობის დროს. შემდეგ, როცა ის

---

[1] წერილი გრიგოლ დადიანთან 14 სექტემბერს, 1838 წ.

[2] წერილი გრიგოლ დადიანთან 25 ნოემბერს, 1838 წ.

გახდა სამეგრელოს მმართველად, ის სწერდა გრიგოლ დადიანს იმავე კილოზე:

„მწერ ნუ ხარ პირშავიო და თუ მქონდეს და არ გიგზავნიდე, მაშინ ვიქნები შენთან პირშავად. ეხლა თუ ვისესხებ თორემ არსაითლონე არ მაქვს შენ ნუ მომიკვდე. ეს ქალების დათხოვება, ამდენი სტუმარი, მასპინძელი, მტერი და მოყვარე მე დამაწვა ყველა. რომ იცოდე ჩემი ამბავი შეგებრალები. იმ საზომზე მივალ ხოლმე, ნეტავი შორს მქნა სადმე-თქო. შენი მოძულებული მოვკვდე თუ ჩემი ცოლის ძმა[1] მეწვია და ერთი სატევრის მეტი რამე მქონოდა მისაცემი, ან მით არ გამესტუმრებიოს. შენ რძალს მინისტრის მოსვლისათვის კაბა არა აქვს ძველის მეტი ის შენი რძალი ნუ მომიკვდეს და ის ვერ ვუყიდე, დამიჯერე"[2].

ევროპულად განათლებული ქალის, ალექსანდრე ჭავჭავაძის ასულის მთავრის სახლში დედოფლად შემოსვლამ, თვითონ დავით დადიანის თბილისში დიდხანს ცხოვრებამ, დაბადეს სამთავრო სახლში სხვა და სხვა ოდიშ-ლეჩხუმისათვის არაჩვეული მოთხოვნილება, რომლის დაკმაყოფილებამ დიდ-ძალი ხარჯი მოითხოვა და ამ ხარჯს ულეველი წყარო უნდოდა.

და სად იყო ეს წყარო?

დავით დადიანამდის სამეგრელოს მთავარი პირველი მებატონე იყო ოდიშ-ლეჩხუმისა და როგორც ასეთს, იმას მარტო გლეხების გადასახადი და სამსახური ყოფნიდა სარჩოდ. 1860 წლის კამულიარიის აღწერით სამთავრო გლეხები ითვლებოდა სამეგრელოში 14 ათასი სული,[3] რომელნიც ერთი მეორეზე შეადგენდენ 3 ათასს ოჯახს. თითოეული ოჯახი იხდიდა მთავრის სასარგებლოდ ბეგარას: საკლავს (ღორს, თხას, ცხვარს), ღვინოს ერთიდან ათ კოკამდის, ღომს — ერთიდან ხუთ ქილამდის[4] — და ქათმებს. ამასთან ამავე გლეხებს ემართათ: საკურზუალო, საბაზიერო, სამეჯოგო, სამეჯინიბო, საკულუხო, საბოჭი ქათამი[5] და სხვა ამგვარი გადასახადი და სამსახური, რომლითაც მდიდარი იყო ფეოდალური ქვეყანა არა მარტო ჩვენში. სულ ყველა ესენი, ფულად ნაქცევი საკმაო სახსარს აძლევდა სამეგრელოს პირველ მებატონეს ცხოვრებისათვის.

მაგრამ სამეგრელოს პირველი მებატონის სალაროს ზოგი სხვა შემოსავალიც ჰქონდა, რომელიც ეკუთვნოდა სამეგრელოს მთავარს საერო საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად. ამ შემოსავალს შეადგენდნენ გლეხთა ზოგადი გადასახადი:

---

[1] იგულისხმება დავით ალექსანდრეს-ძე ჭავჭავაძე.

[2] წერილი გრ. დადიანთან სუჯუნიდან, 31 მარტს, 1842 წ.

[3] ამ აღწერილობით მთავარს ჰყავდა, 14 ათასი სული, ეკლესიას 15 ათასი, ბატონიშვილებს 22 ათასი და დანარჩენ თავად-აზნაურებს 60 ათასი. მაღალწოდებას შეადგენდნენ: თავადობას 1309 სული, აზნაურობას 10361 სული და სამღვდელოებას 2340 სული.

[4] ქ ი ლ ა—ორი ბათმანი ანუ ერთი ფუთი.

[5] რაფიელ ერისთავის გამოკვლევით ლეჩხუმში მთავარს გლეხები ყოველ თვეში თითო ქათამს აძლევდნენ (ხახ. Кавказская Старина № 6).

ს ა უ რ ი: ნახევარი მანეთი ფულად ოდიშში და მანეთ ნახევრის, ან ორი მანათის საკლავი ლეჩხუმში.

ს ა ხ უ რ ო: ერთი ბურაკი, ერთი თხა, ერთი კოკა ღვინო, ორი ბა-მანი — ერთი ქილა ღომი, ერთი ქათამი. ეს გადასახადი შემოიღო ლევან დადიანმა ზუგდიდის ეკლესიის აღშენების დროს და სანამ მთავრობა იყო, ხდებოდა ყველა გლეხს.

ს ა ც ი ხ ო: ერთი კოკა ღვინო, ერთი ქილა ღომი, ერთი ქათამი (ეს ხდებოდა ციხის რაიონში).

ამას გარდა მთავრის სალაროს შემოსდიოდა: ნავების ბაჟი, ბორანის ბაჟი, ტყის ბაჟი (თუ ტყეს სამთავროს გარეთ გაიტანდნენ ბაჟი ათისთავი იყო), პირუტყვის ბაჟი (ათისთავი) და ტამოჟნის ბაჟი. მას აქეთ, რაც ანაკლია და ყულევი ლევან დადიანმა დაუთმო რუსეთის მთავრობას, ამ ადგილებში რუსებისაგან გაკეთებული სადამოჟნო ზასტავებისათვის რუსეთის ხაზინა აძლევდა სამეგრელოს მთავარს წლისთავზე თორმეტ ათას მანეთს.

მაგრამ დავით დადიანს სულ ყველა ეს შემოსავალი ეცოტავებოდა და იმან მთავრის უფლებით დაბეგრა მთავრის სასახლის სასარგებლოდ საბატონო და საეკლესიო გლეხები, შეაწერა ამ გლეხებს ახალი გადასახადი — ს ა უ დ ი ე რ ო, რომელსაც ერთი-მეორეზე შეადგენდნენ: ერთი ღორი, 10—15 კოკა ღვინო, ერთი-ხუთი ქილა ღომი და ერთი ქათამი. ვ. ნ. ივანენკოს ამოუკრეფია მთავარმართველის კანცელარიიდან ცნობა, რომლიდან ჩანს, რომ დავით დადიანს საუდიერო შეუწერია ექვსი ათასი საბატონო გლეხთა ოჯახისათვის[1].

თუ რა შეაწერა სახელდობრ საბატონო და საეკლესიო გლეხებს დავით დადიანმა, ამის მაგალითად და ნიმუშად მომყავს აქ ერთი საბატონო გლეხის და ერთი საეკლესიო გლეხის გადასახადის აღწერილობა იმ სიიდან, რომელიც შეადგინა 1848 წ. 1-ლ მარტს სახლთუხუცესმა თავადმა დათა ჩიქვანმა სოფელ ცაიშში. ამ აღწერილობიდან ჩანს, რომ ცალ-ცალკე იყვნენ აღნუსხვილნი: ცაიშის მონასტრის მიჩემებული გლეხები, რიცხვით 94 და საბატონო გლეხები, რიცხვით 45. სიებში გლეხები და მათი გარდასახადი ამ გვარად არიან აღწერილნი:

ცაიშის მონასტრის მიჩემებული გლეხი ქუჩუია ქირია (№ ა) „არს მამრითი სქესის, ექვსი სული, რომელსაც მართებს სამთავრო გარდასახადი ერთი ბეგარა ღორი, ერთი ქილა საუდიერო ღომი, ორი ქილა ბეგარა ღომი, აგრეთვე ხუროს ხარჯი მართებს ერთი საკლავი, ერთი ქილა ღომი და ერთი კოკა ღვინო, ექვსი ვოკა ბეგარა ღვინო და ერთი კოკა საუდიერო ღვინო, ერთი კოთხო ლობიო, ამასთან ერთი ლანდი აბრეშუმი მართებს ცაიშის ეკლესიისა, აგრეთვე ახლის პურის ძღვენი მართებს ოთხი დედო-პური, ოთხი სულუგუნი, საბოჟი ქათამი, ცხენის ჩაბმა, ტვირთობა, ნადობა და მუშაობა“.

[1] იხილე „Гражд. управл. Закав“. В. Н. Иваненко. გვ. 488.

საბატონო გლეხი ქვაცა წიწავა (№ ა): „არს მამრითი სქესი — სამი სული, რომელსაც მართებს სამთავრო გადასახადი ერთი საუდიერო ღორი, ერთი ქილა ღომი და ერთი კოკა ღვინო საუდიერო, აგრეთვე ხუროს ხარჯი მართებს ერთი საკლავი, ერთი ქილა ღომი, ერთი კოკა ღვინო, ერთი ლანდი აბრეშუმი მართებს ცაიშის ეკლესიისა, საბოჭი ქათამი, ცხენის ჩაბმა, ტვირთობა, ნადობა და მუშაობა".

სრულიად საეკლესიო გლეხთა გარდასახადმა სოფ. ცაიშში შეადგინა სახლთუხუცესის აღწერილობით: სამი დიდი ძროხა, სამი ქაბულა[1], ორი ხბო, 84 ბეგარა თუ საუდიერო ღორი, 127 ქილა ღომი, 199 კოკა ღვინო, 8 ნახევარი ქილა ლობიო. აგრეთვე ხუროს ხარჯი 19 საკლავი, 19 ქილა ღომი, 19 კოკა ღვინო, 68 ლანდი აბრეშუმი ცაიშის ეკლესიისა.

საბატონო გლეხთა სამთავრო გარდასახადმა შეადგინა: ოცი საუდიერო ღორი, 24 ქილა ღომი, 24 კოკა ღვინო, აგრეთვე ხუროს ხარჯი: 11 საკლავი, 11 ქილა ღომი, 11 კოკა ღვინო, ცაიშის ეკლესიისა 22 ლანდი[2] აბრეშუმი.

საეკლესიო გლეხები დავით დადიანს სულ უნდოდა ჩამოერთმია სამღვდელოებისათვის, მაგრამ ეს იმან ვერ მოახერხა. მარტვილის ეპისკოპოსს, რომელსაც დიდი მამული ჰქონდა საჭყონდიდლოში, მთავარმა შეაძლია იჯარით 12 ათასი მანეთი იმ პირობით, რომ გლეხები სულ შემოსულიყვნენ მთავრის უწყებაში, მაგრამ თითონ საჭყონდიდლოს გლეხებში ასტეხა ამან უკმაყოფილება და მისი განზრახვა ჩაიშალა.

სახლთ-უხუცესმა დათა ჩიქვანმა მიამბო: დავითს ისეთი კარგი მრჩევლები ყავდა, როგორიც იყვნენ ალექსანდრე ჭავჭავაძე, ივანე დაგიორგი მუხრან-ბატონები, ბარონ ნიკოლაი დავასილ ბებუთოვი და იმათგან იცოდა, რომ სამეგრელოს სამთავრო დიდხანს არ დარჩებოდა დამოუკიდებელ სამთავროდ, რომ საბოლოოდ ამას და მისს შვილებს მარტო ის დარჩებოდა, რაც ექნებოდა ხელში სამეგრელოს სამთავროს გაუქმების დროს და ამის გამო დავითმა მამულის და სხვა ქონების შეძენას მაგრად მიჰყო ხელიო.

მთავრის ამგვარმა სამეურნეო პოლიტიკამ ასტეხა დიდი უკმაყოფილება, როგორც თავად-აზნაურთა შორის, ისე სამღვდელოებაში და გლეხ-კაცობაში და ამ უკმაყოფილების შედეგი იყო გლეხების ამბოხება ჯერ საჭყონდიდლოში და შემდეგ მისი სიკვდილისა მთელ სამეგრელოში. ამ ამბოხებას მოჰყვა მისგან გამოწვეული სამეგრელოს ავტონომიის გაუქმება.

---

[1] ქ ა ბ უ ლ ა — უშობელი.

[2] ლ ა ნ დ ი — ერთი ამოღება (სამუხელი). — ხ. ც.

X

მიწის მეურნეობა: სიმინდი, პურის ჯიშები, მეაბრეშუმეობა. სხვადასხვა კულტურები.

თუ არა უმეტესი ნაწილი სამეგრელოს სამთავროს ნიადაგისა, ნახევარი მაინც ხომ დღესაც მოფენილია გვიმრით, ეკალით, ბარდ-მაყვალით, ბუჩქნარით, ისლით, ტყე-ტევრით. დავით დადიანმა სამთავროს გამგეობას რომ მიჰყო ხელი ამ სამოცდაათი წლის წინათ კაცის ხელით მოწევნილი მიწა ბევრად უფრო ნაკლები იყო, ვიდრე ახლა არის, დავითის მამა ლევანი ზუგდიდის ნაპირას ირმებზე ნადირობდა. იმ დროს ხალხიც ცოტა იყო სამეგრელოში და სიმინდს — ამ უმთავრეს საზრდოს ხალხისას — მარტო თავის სარჩოდ იწევდნენ, რადგანაც მაშინ გარეშე ქვეყნებში სიმინდს არ ეზიდებოდნენ, როგორც დღეს.

ხშირად სამეგრელოს ჭაობიანი და ცოტად დამუშავებული მიწა სამეგრელოს მკვიდრთ საკმაო საზრდოსაც არ აძლევდა. სამეგრელოს მთავრის კანცელარიის საქმიდან ჩანს — ხსენებული კანცელარიის საქმეები დღეს ქუთაისის გუბერნიის სამმართველოში ინახება, — რომ 1851 წელს სამეგრელოში სიმინდი ნაკლებ მოსულა და დავით დადიანს კაცები გაუგზავნია ოსმალეთში სიმინდის მოსატანად.[1]

იმ ქვეყანაში, საცა არც გზები იყო, არც არხები, არც ფაბრიკები და ქარხნები, დადიანისათვის ცხადი იყო, რომ სამთავროს მკვიდრთა წინ-წაწევა კეთილდღეობისადმი შეეძლო მხოლოდ მიწის მუშაობას და მთავარმაც ამ მიწის მუშაობას მიაქცია განსაკუთრებული ყურადღება.

შემოიღო სამეგრელოში კომბოსტოს თესვა და კარტოფილის მოწევა[2].

კუბიდან მოაყვანია მცოდნე კაცები და სენაკის მიდამოში დააწყებინა ენდროს პლანტაცია.[3].

აბასთუმანში გააშენებია ზეთის-ხილი.

ხელი მიჰყო სამთავროში თუთის გაშენებას და 1850 წელს ზუგდიდში ააშენებია აბრეშუმის ამოსახვევი ფაბრიკა[4].

გამოაწერია კავკასიის სამეურნეო საზოგადოების საშუალებით სამი ამერიკული გუთანი[5].

ცდილობდა კარგი ჯიშის ხარი და ძროხა გაემრავლებია სამთავროში.[6]

ერთს შესანიშნავს „უსტარში", რომელიც არის შედგენილი 1852 წელს და შესწორებული თვითონ დავით დადიანის ხელით, დაწვრილებით აღწერილია, თუ რა მოიწეოდა სამეგრელოში მეცხრამეტე საუკუნის პირველ ნახევარში. ეს „უსტარი" დაწერილია 1852 წელს პასუ-

---

[1] Дело канц. влад. Мингрелии № 1188.

[2] Дело канц. влад. Мингрелии № 1851/1443.

[3] იქვე № 1128.

[4] იქვე.

[5] იქვე, 1443.

[6] დათა ჩიქვანისგან განაგონი.

ხად თავადის ვასილ ბებუთოვის წერილისა. 28 დეკემბერს 1951 წელს ბებუთოვი სთხოვდა სამეგრელოს მთავარს — გაეგზავნა „რუსეთის გეოგრაფიულ საზოგადოებისათვის“ სამეგრელოს მოსავლისა და ვაჭრობის აღწერილობა, რომელიც ამ საზოგადოებას უნდა მოექცია რუსეთის ვაჭრობის აღწერილობაში.

ამ წერილის პასუხში აი, რა გვარად არის აღწერილი სამეგრელოს მიწის მეურნეობა:[1]

„ღ ო მ ი: ძველ ჟამთა შინა, უხსოვარის დროიდგან სამეგრელოს სამთავროსა შინა მიღებულ არს თესვა ღომისა; ამას სთესენ სიხშირით და ხმარობენ პურის წილ, ხოლო გარემოებასაცა შინა სყიდიან მებრ-საჭიროებათასა, აფხაზეთს, გურიას და იმერეთს. რიცხვი გასაყიდელთა რაოდენობისა მიზეზის გამო ცნობასა არ მოყვანილებისასა შეუძლებელ არს, ხოლო ნაყოფი ესე არს სიუხვით მომცენარე და თავსა შორის თვისსა ხუთასჯერ მამრავლი.

ღომის ჩალასა თივისა წილ ხმარობენ საზამთრო საკვებად უსიტყვოსათა და ყანასა მარგვლენ მცხოვრებნი თოხითა ორგზის, ვიდრემდე მოიკრიფებოდეს. ტომი ღომისა ორგვარობენ: ერთი ზედ იწოდების მოცოროზად. ესე მოცოროზი არს საადრეო, გარნა უმცირესსა ნაყოფისა გამომღებელ, ხოლო მეორე ღომი მოგვიანებო, რომელი ოქტომბერში მოიწევის განალა უუხვესი და ითესების ივნისის განსაშვალებამდე.

ს ი მ ი ნ დ ი. სიმინდისა თესვა სამეგრელოსა შინა, ვითა მასმიეს ეს მოხუცებულთაგან, იქნების ოთხმოცდა-ხუთი წელი რაც შემოუღიეს დუნაიას სამფლობელოთაგან[2], რომელიც მოზავებისა ძალით ჰავასა და ნოტიოსა შინა უგამძლისობითსა ფესვისა და მარცვალთა სიუხვისა ჟამადჟამად განუვრცელებიათ მცხოვრებთა მოწევა მისი და ან გარეშე იმისა რომელ ზოგად იზრდებიან ამა ნაყოფითა, რომელსაც აცხობენ პურსავით და აგრეთვე ღომებრცა შებოლვენ. ჟამსა კეთილ ნაყოფიერებისასა საზღვარგარეთსა სათათრეთში ჰყიდიან, რაისაცა რაოდენობა არა ეგრეთ ცნობილი არს ესევე მეზობელთა ქვეყნებთა ქველყოფენ მიხედვისამებრ მუნ შინათა მოსავლისა და მათ შორის საჭიროებათასა, ნაყოფი ესე თავისა შორის თვისსა მიხედვისამებრ პოხიერისა აგარაკისა, გინა მწირისა ერგასითგან ვიდრე ორასამდე თავისა შორის თვისისა გამომღებელობით მამრავლობელ არიან: ყანისა გამარგლილობასა სამგზის მოითხოვს — ესე მცენარე მოიწევის დამლევ ენკენისთვიდან ოქტომბრის შვამდის და მაშინ

[1] ნახ. გუბერნ. სამმართველოში: Дело канц. втад. Мингрелии № 1443/52.

[2] ამრიგად სიმინდის თესვა უნდა იყოს შემოღებული სამეგრელოში 1767 წ. მაგრამ ეს ასე არ არის. იტალიელი მისიონერი ლამბერტი, რომელმაც 1633 წლიდან 1653 წლამდე —20 წელი იცხოვრა სამეგრელოში, წერს: „პირველს წელიწადს აქ სთესენ ღომს, მეორეს სიმინდს და მესამეს პურს“. (ნახე. ალ. ჭყონიას გამ. გვ. 58). მაშასადამე, სიმინდი სამეგრელოში 134 წლით ადრე იყო ცნობილი. დოც. ს. ჯიქიას ცნობით (მეცნ. აკადემიის მოამბე ტ. V, № 2, 1944) სიმინდის მეგრულ-ლაზური და აფხაზური სახელწოდება ლაზუტი მიუთითებს იმაზე, რომ ის უფრო ძველ დროიდან ყოფილა გავრცელებული ლაზიკაში. ს. ც.

მოსტეხენ, ხოლო ნაქრცველთა ინახვენ საზამთრო საკვებად ძროხათა და თხათა და აგრეთვე ჩალასა სიმინდისასა მოსჭრიან ესე ვითართა თივის საპირო სახმეველთა: მსუყე ადგილთა შინა აღიზრდების ესეოდენ სიმაღლეზედ, რომელ ცხენოსანი კაცი ჩალასა შორის ვერ გამოჩნდების, ხოლო ოთხსა და ზოგი ხუთსაცა ტაროსა გამოიღებს თითოეული ლერწამი და არს ორგვარი: ერთი საგვიანო და უხვად გამომცენარე მოყვითანო, მეორე თეთრი პაწაწა ტარო, გარნა ორმოცს დღეზედ მოიწევის დათესვის შემდეგ.

პ უ რ ი: იფქლსა და პირად პირადთა ხორბალთა სთესენ მხოლოდ ზემო მეგრელიისა შინა მხარესა, რომელსა ეწოდების ლეჩხუმი, რამეთუ ქვეყანა მეგრელიის ქვეყნებთა ადგილებს იფქლსა ძნიადრე და ვერა მარადის მოიყვანენ რამეთუ სინოტიისა ძალით კერძო — ესე ექვემდებარება გაზაფხულის წვიმიერობასა და წყალდიდობასა, ესთა რა მზე მოიქცევა გაზაფხულისა იწყებს ხშირთა წვიმათა ადიდროვდებიან მდინარენი და ლანქერი ჩამომავალნი მათთაგან საშინელისა ოხვრითა ჩამოედინებიან მიდამოთა ველთა ზედა და მორწყავენ ყოველთა ვაკეთა, ხოლო მთის კალთისა ფერდობთა ჩამორეცხენ და მოხვეტენ. ესე გაგრძელდების უხშირესად მარტის ცხრიდან მაისის შუამდე. ამისთვის მცხოვრებნი შემდგომად გაზაფხულის წვიმებისა რაც ჩამოიდინებიან ლანქერი, დასთესვენ სიმინდს ვიდრე ათს ივნისამდე და ღომს პირველ რიცხვს ივლისამდე, რომელიც არღა უკვე ექვემდებარებიან შიშსა წალანქერვისასა. გარნა ზემოსა სამეგრელოსა ლეჩხუმისა მდებარეობა ესე ვითარ არსა რომელ არც ეგოდენ ხშირად წვიმს როგორცა ქვემოსა მეგრელიასა ოდიშს და არცა მდინარენი ჟამსა ადიდროებისა გარდივლენ, რამეთუ აქვს დიდილნი ლობნაროვანსა შორის კალაპოტსა. ქვემოსა მეგრელიასა ოდიშს რამოდენიმე ითესვის იფქლი, გარნა სხვა ხორბალი ზემოთქმულთა მიზეზთა გამო უხშირესად შორს ვერ გამოიტანენ აღდგინებასა ნაშრომთასა; ხოლო ზემოსა მეგრელიასა ლეჩხუმს ითესებიან ხორბალი შემდგომისა ტომისანი: ა) იფქლი, ბ) მახა, გ) ზანდური დ) ხულუგო, ე) ქუბა.

ი ფ ქ ლ ი მისცემს ხუთგზის სიმრავლით და ითესების შემოდგომაზედ.

მ ა ხ ა ითესების შემოდგომაზედ და ერთი სამად ნაყოფიერ არს მსგავსად იფქლისა, ფქვილი მისი არს სპეტაკი, მარცვალი მსხვილი და მოკლე და არ მომკიან მას არამედ მოსჭრიან ხუვლსა და კოროლსა მისსა ხმარობენ დასახურავათ სახლთა და საბძელთა, ხოლო უადრეს იფქლისა მოიწევის და არ გაერევის მავნებელი ვითარ იგი ღვარძლი და მსგავსნი.

ზ ა ნ დ უ რ ი ითესვის მარტში, გაიზრდების სიმაღლით ვიდრე ორ ალაბ ნახევარი, თავი აქვს მობრტყელო, მოიწევა აგვისტოში, მოკრეფენ მახასაებრ და ნაყოფიერობს ერთი ოთხად.

ხ უ ლ უ გ ო ს სთესვენ მარტში, მარცვალი აქვს მსხვილი. გალეწვენ იფქლსავით, მოსავალი აქვს ერთი ხუთად და ოდეს ცუდის ზამთრის ძალით იფქლის მოსავალი დაზარალდება, მაშინ უმეტეს დასთესვენ მარტის

თვეში, გარნა უხმს—ყე ფრიადი სიმკაცრე და დარაჯი რამეთუ დათვს მწოვედ უყვარს და სჭამს მას.

ქ უ ბ ა, რომელ არს არეანოი. ქუბასა სთესენ სამეგრელოსა სამთავროსა სვანეთსა, აქვს ნაყოფი მომცემლობა უხვი, ვითა ერთი ათად, თავი მსხვილი და მოგრძო და არს შავი ფქვილი მისი, ამისათვის სთესვენ მრავალს. არა უწყებულ არს რიცხვი თუ რაოდენ ისყიდება, ხოლო სყიდიან იმერეთში და უმეტეს რაჭაში და ზემოსვანეთსაც სიმრავლით გააქვს.

ქ ე რ ს ა სთესვენ ზემო მეგრელიასა შინა ლეჩხუმსავე და უხვს თავსა შორის თვისსა ერთს ათ-თუთხმეტამდე, სყიდიან რაჭასა და სვანეთში.

მ უ ხ უ დ ო, ო ს პ ი, ლ ო ბ ი ო და სხვა. მუხუდოს სხვადასხვა გვარს ოსპს, ზანდურს სხვადასხვა გვარს, ლობიოს სხვადასხვა გვარს, დოგვს სთესენ ლეჩხუმში მრავალს, აგრეთვე ქვემო ოდიშს მეგრელიას ხანდურ ლობიოს, ხანჭოლას მრავალს სთესვენ და სყიდიან იმერეთში, რაჭასა და გურიას. კომბოსტო ყვავილიანი, კარტოფილი და სხვანი მებრნი საბახჩეულო მრავალი ახლად შემოღებული არიან და გამოცდილება ქმნილ არს თვით მთავრის დადიანის მიერ და მარჯვეთ მოეზავა ჰავასა, გარნა ჯერეთ არა განუვრცელებელ არიან ესენი საზოგადოდ მცხოვრებთა შორის.

ბ რ ი ნ ჯ ი ს თესვასა განირთვიან სამეგრელოს სამთავროსა შინა ძველთაგან ძველ უხსოვარის დროიდან მხოლოდ ორი, ზუგდიდის მაზრის სოფელს ხეთისა და ხორგის მცხოვრებნი; ბრინჯსა ამას არა რწყვენ, არამედ უძებნიან ნოტიო ალაგს და არს ფერით მოწითანო, ნოვაგათ გემრიელ, წვრილი მარცვლები, სთესენ დამლევ მარტს, მოიწევის ოქტომბერში, ნაყოფ გამომღებლობა ერთი ათათ და ისყიდება ყოველსა მეგრელიას მკვიდრთა შორის და უმცირეს ნაწილს იმერეთსა შინა.

ფ ე ტ ვ ს ა სთესენ დაღა თუ ზოგად მცხოვრებელნი, არამედ უმეტეს საკენჯად ბუმბლართა და ნაკლულევანების დროს გამოაცხობენ თქვილს პურებრ, გარნა არა ეგოდენ ნოყიერ და გემრიელ არს, ვითარ სიმინდისაგან ქმნული უცომოდ. ორი გვარი არს ფეტვი თეთრად და შავად წოდებული, თეთრი ფეტვი უფროს შავისა ნაყოფიერ არს არამედ შავს აქვს თვისი სასარგებლო ხასიათი, რომელ თვენახევრით უადრეს თეთრსა მოიწევის.

კ ვ ა ხ ი. კვახს უწოდებენ გოგრათსა და არს სხვადასხვა გვარისა ძლიერ დიდ-დიდისა და მცირე-მცირესი და სთესვენ ზოგად მცხოვრებნი სამეგრელოისანი და ხმარობენ საზრდოდ სხვა-და-სხვა მაგვარად, ხოლო არს გემრიელი ნოყიერი და შემრგე.

ვ ა ზ ი. საკენახე არს ორ გვარი: დობილო და საკენახე. დობილოდ უწოდებენ ვაზთა მათ აშვებულთა მაღალთა ხეთა ზედა, რომელთაცა აშვებიდგან ხეზედ არღა გასხვლენ ათ-თორმეტი წლის და ადგილ-ადგილ ათ-თუთხმეტის წლისაც განმავლობაში და მერმე გადაჭრიან რტოთა რომელნი ნამეტნავათ აღორძინებულ იქნებიან და დამაჩრდილობელ ვაზთა

და თვით ვაზთაცა გასხვლენ და მესამეს წელს კვალადვე გამოიღებს ნაყოფსა ნასხლევი იგი და ადგილთა მათზედა დასთესვენ მას წელიწადს ღომს თუ სიმინდს და ესრეთითა სახითა ისხვლების მარადის ვაზი და ესრეთ ყოფენ ამას, რამეთუ კერძო ქვემოისა მეგრელიისა არს დაბლობი და ქვემდებარე სარწყულობათა და ამათ ძლით ნამოანთა ბუღთა, რომელსაც დაღათუ უმაღლეს ძლიერისა ბუღისა ამოორთქლილის ჭენჭყობთაგან არა იქნა: ისურში (?) ერთიან გაშავჭანდებიან და მით დასნეულებულ ჩამოცვივდებიან, მაგრამ რა მაღლობზედ იქნება მტევანი ვაზისა მას მზე და ქარი უადვილესად გააშრობს და მის ძალით დაცამწიფდის ჟამსა თვისსა, სხვები, ყურძენი ექვემდებარება ყოველსა გვარსა სნეულებასა ვითარცა ევროპასა შინა და სხვათა მხარეთა.

ვ ე ნ ა ხ ი ეწოდების მას, სადაც ქვემდებარება ადგილი უმცირესსა სინესტეს და არს ჰაერი მშრალი, მუნ დაბალს ვენახს აშენებენ ვითარ იგი ზემო მეგრელიაშიდ ლეჩხუმს უმეტეს ნაწილში ადგილებთა ბანძისათა ქვემო მეგრელიაშიდ და მას წელს, რომელსაც გვალვა იქნების საკმათ მოსავალი მოიწევის და უპირველესი ღვინო არს ოჯალეშისა, რომელიცა მოდის სალხინოს მაღალს ხურმის ხეებზედ შეშვებულს ვენახის ნაყოფთაგან. აგრეთვე სხვა ღვინოებიც კარგი ზოგ-ზოგ ალაგს და ზოგ-ზოგ ალაგს მდარე, გარნა ყოველგან მრავალი და სყიდიან იმერეთს და შავს ზღვის ნაპირას ციხეებში და შინაგან სამთავროისა მცხოვრებელნიცა დიდძალსა სმენ, ასე რომე არცა დიდი, არცა მომცრო მოხუცებამდის ყმათაგან არ არიან დარჩენილი რომ ყველანი არა სვამდენ საკმაოდ, აგრეთვე მთხლისა და ჭაჭისაგან ხდიან ოტკას, რაოდენობა გასასყიდელისა და მოსავლისა განსაზღვრა შეუძლებელია, ხოლო სთელვენ ყურძენს ოჯალეშისასა დეკემბერს პირველს რიცხვში სხვა ყურძენთა უადრეს ვითა და სად რა ჟამს მოიწევის, არიან კვალად თეთრი ღვინოცა ნაქები: ჭკვიშური, წალენჯიხური, ჭაქვიშური და ჭვიტილოური.

ა ბ რ ე შ უ მ ი: ძველთა დროითაგანვე გამოაკეთებდიან მომცრო მომცრო თავის ოჯახის საჭიროებისათვის ჩასაცმელად, გარნა ეს მეშვიდე წელიწადია განამრავლეს თუთის ხეები მცხოვრებთა და ეს მეორე წელიწადია ფაბრიკაც გაკეთდა ზუგდიდს გრაფ როზმორდუქის მიერ, რომელიც სყიდულობს პარკსა და ახვევს ფრანციულ გვარად. ამან მოიყვანა თან ორი დედაკაცი ფრანციიდან აბრეშუმის ამოხვევის ოსტატნი და პირველ წელიწადსვე ასწავლეს ამათ სხვათა ქალთა აქაურთა გვარი ხვევისა და აწ უკვე არიან ათ-თუთხმეტი მცოდნე ქალი აქაური, რომელნიცა მსგავსად ფრანციული ქალებისა ახვევენ. ეხლა შენდება დიდი ფაბრიკა, სადაცა დაიდგმის თავის გამართულობით სამოცი მაშინა და წელსავე იწყებს მოქმედებას. შარშან პირველად ამოიხვა ათსა-მეტი ფუთი ძაფი აბრეშუმისა და გაისყიდა ლიონსა შინა ორას ერგასის მანეთად თითოეული ფუთი. წელს ამონახვევი ათის გორგლისაგან შეაწევს ოცდა-ათ ფუთამდე; მცხოვრებთა უწინ არ ესიამოვნებოდათ ფაბრიკის გაჩენა ზუგდიდს, რა-

მეთუ არა იცოდენ ნაყოფი სარგებლობისა მისისა და იყვნენ დიდი წინა-ამდგომი, გარნა რა გასინჯეს ორი მოსავლის პარკად გასყიდვის სარგებლობა, ახლა განამრავლეს მოწევა პარკებისა და ქალნიც წადიერად გამოდიან მხვევლებად, ხოლო მცხოვრებთა ოჯახში გაკეთებული აბრეშუმი ისყიდება თბილისს, გააქვსთ ოსმალოში, აგრეთვე აფხაზეთში ვიდრე სამი-ათას ფუთამდე. კარგს მოსავალზედ ფასი ორმოცის მანეთიდან ფუთში ვიდრე ერგასისამდე. უმეტეს ნაწილს ხმარობენ მცხოვრებნივე გამოიქმან მისგან დარაიას, სამალაჯას, ქათანას ქვეშსაგებად, პერანგებად, კაბებად და სარტყლებად, სამალაჯა ისყიდება ორ მანეთად და სამად, ქათანა შვიდ აბაზად, დარაია მანეთად. თვალსაჩინოა განდიდებასა თანა სახვეველს ფაბრიკის გრაფის როზმორდუქისა, მცხოვრებელთა და მსყიდველობასა პარკთაგან მრავლებისათა, მცხოვრებელნი განამრავლებენ მოწევასა მისსა. რამეთუ წასულ წელს მცხოვრებთა მარტო სოფელს ზუგდიდისათა მოუვლინეს მოციქულნი გრაფს როზმორდუქს თხოვნად მისსა, რათამცა მარტო იმათგან ისყიდოს პარკი რაც ფაბრიკისათვის დასჭირდებოდეს მაშინ.

თ ა მ ბ ა ქ ო. თამბაქოს თესვა მცხოვრებელთა შორის მიღებულა ოსმალეთიდან მთავრის დადიანის კაციას ბატონობაშიდ. და აწ ყამთა ყამად ვრცელდების. საუმჯობესო თამბაქო მოდის მხარეთა წალენჯიხისა და ჯგალისათა და გაისყიდების წელიწადში ვიდრე თუთხმეტის ათასიდან ოც ათას ფუთამდე; ეხლა წესდება სიგარის ფაბრიკა ზუგდიდსა შინა ზედა-მხედველობასა ქვეშე გრაფის როზმორდუქისა.

ე ნ დ რ ო. ენდროს ოსტატი მოყვანილ არს მთავრის მიერ კუბიდგან, ხელოვანი ოსტატი ებრაელთ ნათესავით, და თესლი დაბარებული კუბითგან რომელმანც დაბასა სენაკს გააკეთა ენდროს პლანტაცია, და იპოვა მარჯვე და ვარგისად, რამეთუ აქა ჰავაცა შესწევს ესე ვითართა ნაყოფ გამომღებელობათა, ვინაიდგან ველური ენდრო მრავლად აღმოცენდებიან ველსა და სოფლისანი სთხრიან და ხმარობენ თავიანთ საჭიროებისათვის.

კ ა ნ ა ფ ი, ს ე ლ ი დ ა ბ ა მ ბ ა. კანაფს სთესვენ ლეჩხუმში ყოველი მცხოვრებელნი და სყიდიან იმერეთს და რაჭას. სელს მრავალს ადგილს სთესენ და ხმარობენ ძაფად თუ ტილოდ და არ ისყიდება გარეშე. ბამბა, ითესება არა მრავალთა შინა სოფელთა, მოდის კეთილად და თავიანთ საჭიროებად ხმარობენ.

ხ ე ხ ი ლ ი: ნიგოზი, ზეთისხილი, ბროწეული, კომში, ვაშლი, მსხალი, ქლიავი, ტყემალი, ღოღნაშო, შინდი, წაბლი, ჯონჯოლი, თხილი, ხურმა; ნიგოზს სყიდიან კაკლად, ხდიან მისგან საუცხოო ზეთს და ეგრეთვე თვით ნიგოზის ხესაც სყიდიან; ზეთისხილი მოდის მთასა ზედა ურთისასა, სადაც ძველთაგანვე უხსოვარ დროიდგან ყოფილა ნერგოული გარნა არ ისყიდება გარეშე სამთავროსა, აწ მახლობელ ზუგდიდისა სოფელს, აბასთუმანს, კუთვნილსა სამეგრელოს მთავრისასა, კეთდება დიდი პლანტაცია ზეთისხილისა. კომში, ვაშლი, მსხალი სხვადასხვა გვარისა იყიდება იმერეთს და რაჭას; ქლიავი სხვა-და-სხვა გვარის კეთდება ჩირად და ის-

ყიდება და ტყემალისა, ღოღნაშოსა და შინდისაგან კეთდება ტყლაპი და ჩურჩა, ხოლო ისყიდება იმერეთს და უმეტეს თურქეთში. ჯონჯოლი შინაგან იხმარება, თხილი ოსმალოში, ხურმა დიდძალი ისყიდება თურქეთში, აგრეთვე წაბლის ხე.

ხ ე ნ ი ა რ ი ა ნ: მუხა, წიფელი, დაფნა, ბზა, ურთხველი (იგივე ულპობელი), ძელქვა, ნაძვი, ფიჭვი, თელა, ლიფონი, ცაცხვი, რთხმელა, და სხვანი. ამათგან ბზა ისყიდება და იზიდება ზღვის ნაპირს, დაფნა ისყიდება ფურცლად და კაკლებად და არს გაცემული მთავრის საკუთარი ტყენი დაფნისსანი იჯარად, ცაცხვისაგან აკეთებენ საწნახელებს და სყიდიან იმერეთს.

პ ი რ უ ტ ყ ვ ი: ჯოგები ძროხის ქვემოსა მეგრელიისა ყავსთ სიმრავლით უმეტეს ზუგდიდის მაზრას შინა, სადაც გლეხთა ყავს ასობით უმეტესი და უნაკლესი ძროხები აგრეთვე ღორები და თხები, ცხვარი მცირედ, კამეჩი საკმაოდ.

თ ე ვ ზ ნ ი: თევზის სიმრავლე არის ტბასა შინა პალიასტომისასა, რომელიცა ეკუთვნის სამეგრელოს მთავრინას და იჭირვიან: ზუთხი, კობრი, მაზიდა, კაპარჭინა და ისყიდება იმერეთს, გურიას და შინაგან სამთავროსა, აგრეთვე პირად-პირადთა მდინარეთა შინა იჭირვიან: ზუთხი, ფოროჯი, კალმახი, ორაგული, წვერა, ტოფი, რცამი, ღლავი და სხვადასხვა ტომი თევზთა.

ს ა ნ თ ე ლ ი დ ა თ ა ფ ლ ი. მრავალთა ყავს ფუტკარი და გამოიღებენ ტყით გინაცა ველურსა თაფლსა და სანთელსა და სყიდიან ყულევს, გურიას და იმერეთს, ხოლო თაფლისაგან იქმონან თაფლუჭას და რამდენიმე, გამოდის კიპრუჭი.

ბ ე წ ვ ე უ ლ ე ბ ა ნ ი. კვერნას, წავს, მელას და დათვს, მოინადირებენ და სყიდიან სიმრავლით.

XI.

გზები და არხები. მორენასის მოხსენება. არხის გაყვანაზე მომუშავე გლეხთა გასამრჯელო. კატორღაში გაგზავნა.

დავით დადიანის დროს ოდიშში შემდეგი გზები იყო:

შუა სამეგრელოს გზა: ზუგდიდი — ჭაქვინჯი — ლესიჭინე — ჯოლევი — ნაჯახოვო — ხონი. ამ გზით წავიდა ზუგდიდიდან ქუთაისს ხელმწიფე იმპერატორი ნიკოლოზ პავლეს-ძე 1837 წელს და ამის გამო ეს გზა მაშინ ძლიერ კარგად იყო შეკეთებული.

ზუგდიდი — ცაიში — ხეთა — ნოჯიხევი. აქედან ერთი ხაზი მიდიოდა ყულევს და მეორე საჭილაოს. საშუალო სამეგრელოს გზა მთაგორიანი იყო და მთავრობას უნდოდა უფრო სწორი გზით შეეერთებია ზღვა ხონთან, ~~ქუთაისთან და იქით.~~ ჩვენი ქვეყნის მეისტორიეს ბროსეს შეხვედრია 1848 წელს ხობის წყალზე პოლკოვნიკი თავ. გალიცინი, რომელიც

განაგებდა მაშინ ამ გზის კეთებას[1], ხსენებული პოლკოვნიკი სწერდა დავით დადიანს 10 მარტს 1847 წელს: „მთავარმართებლის მონდომებით ვაკეთებ გზას ყულევიდან სურამამდის. გთხოვთ თქვენი სამთავროდან დღეში 150 მუშა დამახმაროთ და 60 ურემი. მუშებს საჭმელი ექნებათ და მიეცემათ დღეში თითო შაური. საჭმლის ჭმევა აქვს მინდობილი აკოფოვს. წელს მუშაობა უნდა მოხდეს ცხენის წყლიდან ნოჯახოვომდის და რის გამოგზავნასაც ინებებთ ნოჯახოვს უნდა მოვიდეს[2].

ზუგდიდი — რუხი — ოცარცე — ოქუმი — ბედია — ოჩამჩირე. ენგური გაჭედილი იყო რუხის ციხესთან. ჯერ კიდევ მემკვიდრე დავით დადიანი სწერდა მისს ძმას გრიგოლს: „გზა კი ჩინებული კეთდება, ხიდიც ჩინებული ოცარცეს, რუხის მახლობლად უჩინებულესი“[3].

ზუგდიდი — დარჩელი — ანაკლია.

სენაკი — ნოქალაქევი — მარტვილი — ბომბუას ხიდი — გორდი.

ნოქალაქევი — სალხინო.

ლეჩხუმში:

ოყურეში — ცაგერი — მური.

მური — ლენტეხი — ჩოლური — ლაშხეთი.

მური — ლაილაში — ჟოშხა — ჭრებალო...

დავით დადიანის დროს განახლდა არხი, რომელიც ერთ დროს აერთებდა ხობის-წყალის ტოტებს ცივსა და ციას (ცივა) რიონთან, ახლანდელ ჭალადიდს ახლო. როგორც მოწმობს კავკასიის პირველი მთავარმართებელი თავ. ციციანოვი (1802 — 1806), ამ არხის გაყვანის აზრი დაებადა თავდაპირველად სამეგრელო-იმერეთში გაგზავნილ რუსი მოხელე ლიტვინოვს. რადგანაც იმ დროს ფოთი თურქების ხელში იყო და ჯარების პროვიანტისა და სხვა საქონლისათვის მეტი გზა არ იყო მარჯვე, მოწევნილიყო ორპირამდის, ლიტვინოვმა მიანდო ინჟენერ-ლაშქარევს შეერთებია ყულევი ჭალადიდთან არხით, რომ ამ გზით ეზიდნათ ზღვით მოტანილი საქონელი იმ ადგილამდის, საიდანაც ადვილად შეეძლებოდათ დაერიგებიათ პროვიანტი, როგორც სამეგრელოს სხვადასხვა ნაწილებში ისე, თუ დასჭირდებოდათ, გურია-სამეგრელოშიაც. თუ მართალია ბ. მორენასის ცნობა, ეს არხი საბოლოოდ დაუმთავრებია სამეგრელოს მთავარს ლევან დადიანს 1824 თუ 1825 წელს. აი რას სწერდა ეს კაცი კავკასიის მთავარმმართებელს პასკევიჩს (1827 — 1831) 5 აპრილს 1830 წ. „ჩემის აზრით უფრო შესაფერისი იქნება ფაზისი (რიონი) ზღვას შევუერთოთ მდინარე ხობის-წყალისა და ცივის საშუალებით. ცივი, პატარა და ღრმა მდინარეა და შეერთვის ხობის წყალს და ამ ადგილიდან თოფის სასროლი მანძილია ზღვამდე. ამ წყალზე შეიძლება მოეწყოს ნავებით ზიდვა საქონ-

---

[1] Rapports sur um voyage archelogique dans la georgie, ნაწილი პირველი მეშვიდე მოხსენება, გვ. 52.

[2] ნახე Дело канц. влад. Мингр. № 497/47.

[3] წერილი, 13 იანვარი, 1836.

ლისა, თითო ნავს 3000 ფუთამდე ტვირთის გადატანა შეეძლება. მენავეობა ამ მდინარეზე შეიძლება ჭალადიდამდე ვერსნახევრის მანძილზე. თვით ჭალადიდი რიონის მარჯვენა ნაპირზეა, 25 ვერსზე ზღვის შესართავთან. „თავარმა დადიანმა ცივიდან ფაზამდე 1824 თუ 1825 წელს არხი გააყვანინა მდინარე ცივიდან რიონამდე, რომლითაც წყალდიდობის დროს დადიოდნენ ნავები 2500 ფუთამდე საქონლით დატვირთულები. ამ ნავებით დღეს გადააქვთ სახელმწიფო ფქვილი ფოთიდან მარანში. ამ არხს მარტო შეკეთება და მოვლა დასჭირდებოდა, რომ თხელი წყლის დროსაც შესაძლებელი ყოფილიყო იმით სიარული"[1].

ამას წერდა მორენასი მაშინ, როდესაც ფოთი უკვე რუსების ხელში იყო.

არა სჩანს საქმიდან რა განზრახვით მოკიდა ხელი ვორონცოვმა ამ არხის განახლებას, მაგრამ ეს კია, რომ მთავარმმართველი დიდ ყურადღებას აქცევდა ამ არხის განახლებას და მთავარი დავით დადიანი დიდად ხელს უწყობდა ამ განახლებას.

მთავრის კანცელარიის საქმეებიდან ჩანს, რომ დავით დადიანისაგან დანახმარ მუშებს დღეში ეძლეოდათ სამ-სამი შაური. ამ ფულით თითოეული მუშისათვის ყიდულობდნენ დღეში ორ გირვანქა ღომს, ნახევარ გირვანქა ხორცს, ნახევარ გირვანქა ლობიოს, და ერთ მანერკა ღვინოს. და რაც ფული გადარჩებოდა ამათ სყიდვას, მუშებს იქვე ურიგებდნენ.[2]

ამგვარად დახმარებისათვის მადლიერი ვორონცოვი სწერდა დავით დადიანს:

„პოდპოლკოვნიკმა პოტოცკიმ შემატყობინა, რომ თქვენ სურვილი გამოგიცხადებიათ გამოგვიგზავნოთ მეგრელები მუშებად არხისა და მდინარე ხობის წყალის კალაპოტის გასაწმენდად ყულევსა და რიონს შუა, დღეში სამ შაურად. ჩემს თავს მოვალედა ვსთვლი თქვენს უგანათლებულესობას უდიდესი მადლობა გამოვუცხადო დახმარებისათვის ამ ყველასათვის სასარგებლო საქმეში.

მთავარი შტაბის უფროსმა თქვენ უკვე მოგახსენათ ჩემის მხრით რადარა განკარგულებაა გაცემული იმის თაობაზე, რათა თქვენ ქვეშევრდომებს, ვინც აქ იმუშავებენ, ქირა მაშინათვე მიეცეთ, მე ვუბრძანე სამუშაოთა ხელმძღვანელს, პორუჩიკს ცილლეს, მუშებს ქირა ყოველდღე მისცეს პირადად ხელში.

გაუწყებ რა ამას თქვენს უგანათლებულესობას, გთხოვთ მიიღოთ რწმუნება ჩემის თქვენდამი პატივისცემისა და ერთგულებისა, თავადი მ. ვორონცოვი."[3]

ამ არხის რიონთან შესართავზე იყო საბაჟო, საცა მთავრის მებაჟეები

---

[1] Акты Кавк. арх. ком. т. VII, გვ. 210.

[2] ნახე შტაბის ნაჩალნიკის კოცებუს წერილი დავით დადიანთან, 28 იანვ. 1847 წ. Дело канц. влад. Мингр. № 442/1846.

[3] Дело канц. влад. Мингр. №42/1846.

გუკოჩია ჭოჭუა, იესიკა ჭოჭუა და მახუია გვიჩია ახდევინებდნენ მთავრის სასარგებლოდ ბაჟს.

ამას გარდა დავით დადიანის დროსვე განიზრახა კავკასიის მთავარმართველმა ვორონცოვმა გაეუმჯობესებია ნავთ-სვლა რიონით იმ ადგილიდან, საცა ამ მდინარეს ერთვის გუბისწყალი ცივის არხამდის და ფოთამდის[1], მთავარმმართველმა დააწესა „Комиссия для устройства судоходства по р. Риону" და ამ კომისიის მხედველობის ქვეშ სწმენდნენ რიონს, იღებდნენ იმისგან შიგ ჩასილულს და ჩაძირულს ხეებს, ამიშვლებდნენ წყლის ნაპირას ხე-ტყიდან 10—12 საჟენის სიგანეზე, რომ დაუბრკოლებლად ეტარებიათ იქიდან ნავები. რომ მიწის პატრონები ზარალში არ შეეყვანათ ხეების მოჭრით, კომისიას ფასი ჰქონდა დადებული თითოეულ ხეზე, რომელიც მოიჭრებოდა რიონის ნაპირად,— შეფასებული იყო:

კაკლის ხე — 6 მანეთად, ბეოლის — 1 მან. მსხალი — 2, ვაშლი — 2, ბია — 3, ბროწეული — 2, ვაზი — 3, ატამი — 1, ლეღვი — 2.

29 იანვარს 1847 წ. ვორონცოვმა გამოუგზავნა დავით დადიანს მიწის პატრონთათვის დასარიგებლად 1903 მანეთი[2].

მთავრობისგან არხების გაყვანით წაქეზებულმა დავით დადიანმა თითონ განიზრახა გაეყვანა არხი მდ. ჯუმიდან ჭურიას შტომდის, რომ ამგვარად გაეადვილებია საქონლის მოტანა ზუგდიდს და რამდენიმე ვერსტი კიდეც გაათხრევინა ეს არხი, მაგრამ იმის დამთავრება მას არ დასცალდა.

არხებში მუშაობა ერთობ მძიმე მუშაობა იყო, იმდენად მძიმე, რომ იქ გაგზავნილ კაცებზე ამბობდნენ კატორღაში გაგზავნესო. ერთხელ აღდგომის წინა დღეს, ამ არხის გაყვანის დროს, ერთი საჭყონდიდელი კაცი ჩამოვარდა ხიდან და მოკვდა. მკვდარი ნოჯიხევს გაგზავნეს ბეჩუნა ჯორჯიკიასთან, მოურავთან. მან მაშინვე გაგზავნა განსვენებული თეკლათს — ჯარუკია თევზაიასთან და ნიკოლა სალაყაიასთან. აღდგომის დღე იყო, როცა სხვისი გარდაცვალებულისთვის მოცალეობა არავის ჰქონდა და ამათ მკვდარი ისევ უკან დაუბრუნეს ჯორჯიკიას. ეს, რომ მოხსენდა მთავარს, დიდად განრისხდა და ბოქაულთ-უხუცესს კონსტანტინე დადიანს უბრძანა თევზაიასთვის გადაეხდევინებია ასი მანათი და სალაყაია სამაგალითოდ დაესაჯა.

XII

ადმინისტრაცია. ოდიშ-ლეჩხუმის მაზრებად დაყოფა. ამ მაზრების ხელისუფალნი. მთავრის ცირკულარი მდივან-ბეგებზე. ქურდობა. ქურდები და მათ წინააღმდეგ ბრძოლა.

დავით დადიანმა ოდიშ-ლეჩხუმი დაჰყო რვა მაზრად (დღეს ოდიშ-ლეჩხუმი არის დაყოფილი 9 საპრისთაოდ[3]). ამ მაზრებს შეადგენდნენ:

---

[1] ნახე Отчет кн. М. С. Воронцова, 1849—1851 г. Акты арх. ком. т. X. გვ. 890.

[2] იხ. Дел. канц. влад. Мингрелии № 477/1847.

[3] იგულისხმება ამ ნარკვევის დაწერის პერიოდი — რედ.

ზუგდიდის მაზრა სოფლებით: ზუგდიდი, ცაიში, ხობი, ნოჯიხევი, ბია, ხორგა, აბასთუმანი, ლედგებიე, კორცხელი, ახალდაბა, ყულისკარი, ხიბულა, კირცხი, ოჩხომური, ჭაქვინჯი, შამგონა, დიდი-კოკი, კახათი, დარჩელი, ჭითაწყარი, განარჯიას-მუხური, ორსანტია, პატარა კოკი, ანაკლია.

ჯვარის მაზრა სოფლებით: ჯვარი, ხუდონი, ლია, ნაგუროუ, კუხეში, საჩინო, ჯგალი, წალენჯიხა, ობუჯი, ჯუმითი, ლეწურწუმე, ალერტი, გურძემი, ნამიკოლოუ, თამაკონი, ეინოთა, ლეცაავე, წაჩხური, კურზუ, ხანწკი, ოცინდალე, ჭოდა, მუხური, ლექარჩე, ნაკიკიანო, ნაჯაგუუ, ახუთი, საველკუო, ლეგერსამე, დოშაყი, კიწია, მოიდანახე, ნოღა.

ზუბის მაზრა სოფლებით: ზუბი, ზენი, ქვალონი, საგვასალიო, ხორში, საგაბესქირიო, ახალ-დოხორე, ციზეთი, მეორე ხორში, მაცხოვრის-კარი, საჯიჯავო, ზანა, საწულეისკირო, ეკი, იმანიერი, საფაღავო, უფალ-კარი, უშაფათი, ლეძამამე, ნასაჯოგუ, ფოცხო, მოხაში, ლესიჭინე, ოჩხომურისპირი, საფაქიო ზანა.

სუჯუნის მაზრა სოფლებით: სუჯუნა, ეწერი, ესაკეთი, ზანათი, მთავარანგელოზი, მაცხოვარ-კარი ანუ კაპანა, რობა, ონტოფო, სეფიეთი, კადარი, აბაშა, გულუხეთი, სამიქაო, ონოღია, ნაგიბეროუ, ბანძა, ორქა, ჯოლევი, კვაუთი, ნოქალაქევი, კოტიანეთი, სორტა, სენაკი, გეჯეთი, წყემი, ნოსირი, შხეფი, თეკლათი, სახარბედიო.

საჭილაოს მაზრა სოფლებით: ილორი, ნაფაღოური, სანავარდო, ნაჩხიტური, ქვიშანჭალა, ქორეისუბანი, ტოლები, ეკალე, გულეკარი, კეთილარი, ნაფარცხევი, ტყვირი, ცილორი, კოდორი, შვაქალაქი, კვათანა, წალიკარი, სირიაჩქონი, საქოჩაქიძო, წყარიძგა, მუხური, საღვამიჩაო, ჭალადიდი, პატარა-ფოთი.

მარტვილის მაზრა სოფლებით: მარტვილი, გორდი, ინჩხური, ხუნწი, ეუშქი, კინჩხა, დიდღვაბუნა, ბალდა, საელიავო, ქვაითი, სუჩხე, საწისქვილო, რონდიში, ღვედი, ბომბოთი, ნალეფსოუ, I ნახუნოუ, II ნახუნოუ, III ნახუნოუ, აბედათი, ნაჯახოუ, I ნაგვაზოუ, II ნაგვაზოუ.

ლაილაშის მაზრა სოფლებით: ლაილაში, ლაჯანა, ღუ, სურმუში, თაბორი, გუნდუში, ჭყვიში, საირმე, ლაბეჭინა, ეოხშა, ზედა-ღვარდია, ზოგიში, ცაგერი, ალპანა, აჭარა, დღნორისა, საჩხეური, ჩორთისა, ჭამლეთი, ონჭყიში, მექვენა, ვანი, ქორენიში, ტვიში, ორხვი, დერჩი, სასაში, მედეცი, ჭახუნდერი, ჩუკული, ხერია, ახალშენი, ჩიხარეში, შექედი, ნაცველი, მელე-მახაში, საყდარი, შვიდილა, ჭველიერი, მამატვიში, მოწდი.

მურის მაზრა, ორმოცდა ხუთი სოფლით ლეჩხუმ-სვანეთში.

მაზრების უფროსებად იყვნენ დანიშნული მაზრის მდივანბეგები, ან მეორე ხარისხის მდივანბეგნი. სხვადასხვა დროს მაზრის მდივანბეგებად იყვნენ:

ზუგდიდს — თეიმურაზ აგიაშვილი, კაცია ჩიჩუა, დუტუ დადიანი.

სუჯუნას — ალექსი ბატონიშვილი, ტაია (ტარიელ).[1]
მარტვილს — ანტონ ახვლედიანი, მაქსიმე ქოჩაქიძე[2].
ლაილაშს — ფარნაოზ გელოვანი, მურს — ალექსი ჩიქვანი, [illegible]ეტუ ფაღავა.
საჭილაოს — გიგო ფაღავა, ზუბს — ანტონ ჩიქვანი და სხვ.

წერილობითი დებულება, რომელსაც უნდა განესაზღვრა მაზრის მდივანბეგების მოვალეობა არ არსებობდა. მაზრის მდივანბეგებს თითქმის იგივე მოვალეობა აწვათ, რის მოვალენიც არიან დღევანდელი პრისტავები. განსხვავება იმაში მდგომარეობს, რომ მაზრის მდივანბეგები წვრილმან საქმეებსაც სწყვეტდნენ, რომლის გარჩევა დღეს სოფლის სასამართლოს და მომრიგებელ მოსამართლეს ეკუთვნის.

შენიშვნა: ავტორის აქ გამოთქმული აზრით, რომ მდივანბეგებისათვის წერილობითი სამოქმედო დებულება დავითის დროს არ არსებობდაო, არ შეეფერება სინამდვილეს. აქვე მოგვყავს დავით დადიანის მიერ გადმოცემული ინსტრუქციის ნიმუში „დარიგება მეორე კლასის მდივანბეგთადმი," რომელიც ნაწილობრივ სამოქმედო დებულებაა. ცხადია, თუ მეორე კლასის მდივანბეგთადმი იყო ასეთი ოფიციალური ინსტრუქცია გამოცემული, მით უფრო გამოცემული იქნებოდა ის პირველი კლასის მდივანბეგთადმიც. აი ეს საბუთიც (ს. ც.):

„1840-სა წელსა დარიგება მიცემული მეგრელიის მეორე კლასის მდივანბეგთადმი.

1. დასაწყისად ვალდებულებათა თქვენთა სათანადო არს, იყოთ მოყვარე და შეეთვისოთ საზოგადოებასა; ცხადჰყოთ მათ შორის ჭეშმარიტებისადმი ესრეთი პატივისცემა, რომელ თვით სიტყვანი თქვენნი შერაცხილ-იქმნენ სარწმუნოდ; განაშორეთ თავი თქვენი პირმოთნეობასა, რამეთუ პირმოთნეობა არის დიდი ბიწი.

2. დანერგეთ მცხოვრებთა შორის კეთილზნეობითი წესიერება, მორჩილება სჯულიერთა ხელმწიფებათადმი, შრომის მოყვარეობა; განამხნევეთ იგინი მიწის მოქმედებისადმი, მამულის გამრავლებისა და ვაჭრობისადმი; განაშორეთ იგინი მცონარეობისაგან, რომელ არს დედა ყოველთა ბიწიერებათა, შეგონებათა, რომელ ყოველი ბედნიერება თუ უბედურება წარმოსდგების თვით თავსა მათისაგან და ოდესცა ყმათაგანნი ჰპოვოთ დაჟინებულსა უქმობასა შინა, მაშინ ნება გეძლევისთ შტრაფად განუწესოთ მუშაობა, რომელ ოდენ ერთი ღონისძიება არს განდევნად მცონარებისა.

3. რადგან დავანი არიან მავნებელნი და მათ შეუდგებიან თვით სიღარიბეცა და სხვანიცა ბოროტ-შემთხვეულებანი, მაშა თანა გაძსთ კეთილის თქვენის რჩევითა მოსპოთ იგინი მცხოვრებთა შინა.

---

[1] პირველი პაპის მამა იყო და მეორე პაპა ჩვენი მწერლის შალვა ნიკოს-ძე დადიანის.—ს. ც.

[2] მამა პოეტი გ. ჭალადიდელისა.—ს. ც.

4. დაიცევით საკუთრება თითოეულისა და ალაგმეთ ლაღნი თვით მნებელობისა მოქმედებასა შინა მათსა, რამეთუ ყოველი დარწმუნებული უშიშროებისადმი სჯულიერად განკარგვად თვისის საკუთვნელისა და დარწმუნებული, რომელ ნაყოფნი შრომისა მისისანი არა მიიღებიან ძლიერისა მიერ, განაღვიძებს თავსა თვისსა, რათა შეიქმნას სასარგებლო სახლეულობისა თვით მამულისაცა.

5. შედით მდგომარეობათა შინა მცხოვრებთასა და ვითარცა საგანთა შინა ჰპოვოთ საჭიროება, ანუ ნაკლულევანება, მომახსენეთ მე, ვითარ საზედ შესაძლებელ იქმნეს, რათა იგინი მოვიდნენ უმჯობესობასა შინა.

6. უკეთუ რომელსამე შინა გამოჩნდეს ადამიანთა შორის სნეულება ანუ პირუტყვის ჭირი, მაშინ დაუყონებლივ შეტყობითა დაახლოვებულთ მიზეზთა მომახსენეთ მე. ხოლო მასვე შორის ვიდრე იქმნების ჩემგან განკარგულება, მიიღებდეთ ზომასა, რათა ქვემდებარენი სნეულებისადმი იყვნენ განცალკევებულ კარგად მყოფთაგან, რათა შეერთებითა ერთი მეორესთანა არა განხშირდეს სნეულება.

7. იქონიეთ ფიცხელი ზედამხედველობა, რათა რწმუნებულს თქვენდა მაზრასა შინა არ მიმოიფარვიდნენ თავთა გარდამხედნი რჯულისანი და აგრეთვე ლტოლვილნი მოპარულის საქონლითა, ანუ ნივთითა, გააფრთხილეთ ყოველნი მცხოვრებნი, რათა მათ არა თუ მისცენ იმ ნაირთა კაცთა სადგური, არამედ ვალად ედებისთ შეიპყრან და წარმოგიდგინონ თქვენ, ხოლო თქვენ — ჩემთან; წინააღმდეგ შემთხვევასა შინა აღუსრულებლობისათვის ამისა შეუვრდებიან დასჯასა იგინი, რომელნიცა აღმოჩნდებიან დამნაშავედ.

8. საჩინოდ შემთხვევისათვის, ესე იგი, კაცისა კვლისა და მსგავსისა ამისა, თანამდებ ხართ მომახსენოთ მე, ხოლო დამნაშავეთა მოიძიებდეთ და პყრობილად წარმოგზავნიდეთ ჩემთან.

9. მეზობლობისა გამო აღასრულებდეთ ყოველსა სახელმწიფოსა და სამთავრო მსახურებასა მცხოვრებთადმი შესახდომელსა, გარნა მით რათამცა გამოწვევანი და თუ სხვანი მსგავსნი ამისა მოთხოვნილებანი იყვნენ მათზედ შეწერილნი ერთზომად, ესრეთ რომელ ერთი მეორისა უმეტესისა შეწერითა, ანუ თქვენგან წარგზავნილის კაცის ბოროტ-მოქმედებითა არა, მოხდეს ძვირის ხმევა და იწროება მცხოვრებთა შორის; ამისათვის შეადგინეთ განსაკუთრებითი ანაწერი, რომელსა სოფელსა რაოდენი სახელდობ კაცი ანუ ხარ-ურემი შეხვდების და ანაწერი იგი წარმომიდგინეთ მე.

10. უკეთუ მოხდეს, რომელ გამოიაროს ჯარმა რუსისამ, მაშინ მიეცეს მას ყოველივე შესაძლისი შემწეობა, ხოლო ავადმყოფნი სალდათნი წარიყვანონ ერთის სტანციით მეორე სტანციამდინ ქირის აუღებლად.

11. მომეცით მე ცნობა, სახასო ადგილ-მამულთან არა არიან იმისთანანი, რომელნი შეიძლებოდნენ გაიცნენ იჯარით სასარგებლოდ მთავრის სახლისა?

12. უნდა გაქვნდესთ საკუთარი მზრუნველობა ძთავრის სახლის შემოსავლის შემატებისათვის და ამასთანავე იძეცადინოთ, რათა აღმოაჩინოთ იმისთანა ადგილ-მამულნი, რომელნი დაუდევნელობისა გამო არიან უქმად დარჩენილნი და რომელთაგან შესაძლებელ არს მიღება სარგებლობისა.

13. უკეთუ ვისმეს ეჭიროს დაფარვით, სახასონი ყმანი და მამულნი, გაქვსთ უდიდესი ვალი მოხსენებად ჩემდა განცხადებითა, რომლის დროთგან უკანონო ფლობა იგი დაწყებულ არს, ხომ არ მომხდარა იგი ბოროტ-მოქმედებათა გამო მოურავთა ანუ სხვათა მიზეზთა; რაოდენი მიუღიეს მფლობელს მისსა წლიური შემოსავალი.

14. მიიღებდეთ საჩივართა რწმუნებულის თქვენდა მაზრისა მცხოვრებთა თუ სიტყვებითა და წერილობითა, განიხილავდეთ მათ გარდასწყვეტდეთ საფუძველსა ზედა არსებულის სამთავროსა შინა მეგრელიის სჯულებისა, საჭიროებისა შინა ძველსაცა ქვეყნის ჩვეულებისა.

15. ნება გეძლევისთ თქვენ შეხვიდეთ განხილვისა შინა საქმეთა და შეუდგეთ განაჩენსა იმ საქმესა ზედა, რომელნი იქმნებიან საღირალნი. არა უმეტეს ას-ორმოცდა-ათის მანეთისა. და განაჩენი თქვენი მოიყვანეთ აღსრულებასა შინა, მაშინ ოდესცა ორნივე მხარენი იქმნებიან კმაყოფილნი; წინააღმდეგსა შემთხვევასა შინა, უკეთუ ერთი მხარე დაშთების კმაუყოფელი, მაშინ თანამდებ ხართ განაჩენი თქვენი წარადგინოთ თანადართვითა თქვენის ჰაზრისათა უზენაეს მეგრელიისა სასამართლოსა შინა განსახილველად და დასაბოლოებლად, ეგრეთვე მათ საჩივართ, რომელნიცა გაიბჭობიან თქვენთანა, არა ეკრძალების, უკეთუ ჰპოებენ თავსა თვისსა მართლიადათ, მიიქცენ საჩივარითა უზენაეს სასამართლოსა შინა.

16. ვალი წოდებისა თქვენისა მოითხოვს მიცემად ყოველთადმი მართლმსაჯულებისა და მეტადრე დაცვად უბრალოდ დაჩაგრულთა თანასწორ ყოველთა მოჩივართა მიეცით პასუხი თვით. დაუყოვნებლად, რათა განგრძობითა დროსათა საჩივრისათვის არ მოსცდნენ იგინი შინაურთა თვისთა საქმეთა.

17. უკეთუ თავად-აზნაურნი, ანუ გლეხთაგანნი აღმოჩნდნენ წინააღმდეგ თქვენის ბრძანებისა, მაშინ ესრეთი მათი სჯულისა გარდახთომა მომახსენეთ მე ყოვლისა საქმისა გარემოებისა აღწერითა, ხოლო გლეხნი დაისჯებოდნენ თქვენგან პოლიციურის წესდებულებისამებრ და თუ იმითაც არ მოიქცნენ იგინი შენანებისადმი და დააშაონ რაიმე, მაშინ იგინი წარმომიგზავნეთ მე მისაღებელად მათზედა ღირსისა ზომისა.

18. უკეთუ ვისმეს თქვენდა რწმუნებულის მაზრის კაცსა ჰქონდეს რაიმე სადავო ვისთანმე გარეშე ჩვენის სამთავროისა, საჩივარი იგი მიიღებოდეს თქვენ მიერ, რომელიც წარმოიგზავნებოდეს ჩემთანა თქვენის მოხსენებითა.

19. ძველნი საქმენი დააბოლოვეთ შესაძლებელის სისწრაფით და საჩინოთა მათგანთათვის, რომელნი მიაქცევენ თვისსა ზედა ყურადღებასა, მომახსენეთ მე ვითარი დასასრული მიეცეს მათ თქვენგან.

20. რადგან გამოცდილებით ცნობილ არს, რომელ ბოქაულნი და მაგიერნი ჩვენი კაცნი, ვითარცა უწინარეს ამისა იყვნენ, არიან მავნებელნი მცხოვრებთა ესრეთ, რომელ იგინი, ჩაუდგებოდნენ რა მცხოვრებთა, არა ზოგავდნენ უკანასკნელის მოღებითა, ამისთვის ბოქაულნი იგინი ამიერიდან ნულარა იქმნებიან, არამედ ნაცვლად მათსა იყვნენ თქვენ მიერ აღმორჩეულნი ოთხი იასაულნი, ანუ სხვადასხვა სოფლებთა შინა, ვითარცა დაინახოთ საჭიროდ, კეთილ-საიმედონი კაცნი, რომელნიცა წარმოადგინეთ ჩემდა დასამტკიცებლად.

21. მოიყვანეთ ცნობაში და მომახსენეთ მე დებულება, რაიცა სძევს რწმუნებულს თქვენდამი მაზრაში მცხოვრებთა სამოურავო გადასახადი.

22. გარდა ჩემისა ბრძანებისა აღასრულებდეთ ყოველსა მოთხოვნილებასა უზენაესს სასამართლოს სამეგრელოისასა და შესახებელთა მისთა საქმეთა წარუდგენდეთ პირისპირ.

23. თანაგაძსთ თვეში დაივლიდეთ თქვენს განსამგებლო სოფლებს და განიხილავდეთ მოქმედებასა მუნებურთა მოხელეთასა, რათა იყვნენ ფრთხილ, ბეჯით და მართალ რწმუნებულსა მათზედა საქმესა ზედა.

24. აწინდელი მოურავები მათ სოფლებთა შინა მყოფნი მიიქცნენ თავისთვის, გარნა მაშინ როდესაც ჩაიბარებთ თქვენთან მათგან ყოველსავეს და რაიცა აღმოჩნდეს საჩივარი, ანუ სხვანი რაიმე გარემოებანი მომახსენეთ მე.

25. მინდობილსა თქვენდა მაზრასა უსაქმოდ და თვინიერ ჩემის ნებართვისა ნუ განშორდებით.

26. დასასრულ, დარწმუნებული ვარ, თქვენ ხელთ-მძღვანელი ამა დამოძღვრებითა განამართლებთ ჩემსა რწმუნებასა და მით დაიმსახურებთ ორნაირსა პატივსა, ერთს დაფუძნებულსა საზოგადოსა ჰაზრსა ზედა, ხოლო მეორესა პატივდებასა ღირსებისა თქვენდა, რომელ აღუსრულებლობა აქ წარმოწერილთა კანონთა მიგამთხვევსთ თქვენ იმ პასუხის გებასა, რომელსა ბრძანებენ სჯულნი."

მთავარი მეგრელიისა დავით დადიანი.

ამაზე უფრო ადრე დავით დადიანს გაუცია ინსტრუქცია სამეგრელოს უმაღლეს სასამართლოსადმი; ამ ინსტრუქციით იგი მოითხოვდა სასამართლოს ყოველგვარი დადგენილება, განაჩენი და განკარგულება წარმოებული იქნეს წერილობით და ყოველი საქმე რეგისტრირებული სპეციალურ ჟურნალში. ამის დამადასტურებელი საბუთიც მთლიანად აქვე მოგვყავს (ს. ც.):

„სამეგრელოს უზენაეს სასამართლოს"

შესვლისა ჩემისა მმართველობასა შინა სამეგრელოისასა განვიხილე, რომელ მცხოვრებნი მისნი, თავადნი, აზნაურნი, სამღვდელონი და თითქმის გლეხნიცა აწარმოებენ რა სყიდვასა და გასყიდვასა, ანუ მიმზითვებასა, ჩუქებასა და დაგირავებასა უძრავთა გინა მოძრავთა, ყმათა და მამულთასა, კერძოობითით ბარათით შეიკვრიან, ისე რომ სინამდვილე ანუ

სიყალბე მათ სიგელთასა ძნელად გამოსაცნობელ არს, რაისაგან გამოდის მრავალნი უწესოებანი და საქმეთ წარმოებასა შინა სიძნელენი. მოსასპობელად მომავლისა დროისათვის ყოველსა ამათ სიძნელეთ სრულად სამთავროისა შინა ჩვენსა დავსდებ შემდგომსა განკარგულსა.

ა. თავადნი გინა აზნაურნი და სამღვდელონი უკეთუ სყიდულობდენ ურთიერთისაგან ანუ გასყიდვიდენ გინა აგირავებდენ მამულსა და ყმასა უმცირეს ასორმოცდაათის მანეთისასა და იმოწმებდეს, რომელ არავითარიმე საშუალება დაბრკოლებისა არს მას შინა მაზრის გამგებელთ მეორე კლასის მდივან-ბეგისაგან და დასამტკიცებლად წარმოუდგენდნენ სამეგრელოს უზენაეს სასამართლოს.

ბ. უმეტეს ასორმოცდაათის მანეთისა საღირლის ყმისა და მამულის ნასყიდობაებთა წარმოადგენდეს უზენაესი სასამართლო მეგრელიისა ჩემს დასამტკიცებლად.

გ. ხოლო თამასუქი ვახშისა ორმოცდაათ მანეთამდის დაიმტკიცებოდეს მაზრის მდივანბეგთაგან და უმეტესი ამისა უზენაესის სასამართლოსაგან.

დ. გლეხთა ნუ მიეცემათ ნება ნურცა ყმის გასყიდვისა, ნურცა სყიდვისა, ნურცა მიმზითვებისა გინა დაგირავებისა.

ე. იქონიონ ვითარცა სასამართლომ, ეგრეთვე მაზრის მეორე კლასის მდივანბეგთაცა ამა საგანზედა განკერძოებული ჟურნალი ნომერსა ქვეშე და წლითი-წლად ესრეთი ჟურნალი წარმოიგზავნებოდეს დასაცველად ჩემს კანცელარიაში.

ვაცნობებ რა სამეგრელოს უზენაეს სასამართლოს, უბრძანებ განუცხადოს ყოველთა მოხელეთა ჩემთა სამფლობელოსა შინა ესრეთი სჯულის დადება და პირველის იანვრითგან ჩყმა-ის წლით იხელმძღვანელოს და შემდგომი ყოველი წერილობითი საბუთი თვინიერ ზემოთქმულთა წესთაებრ დამტკიცებული იქნას უქმი.

მემკვიდრე მმართველი მეგრელიისა **დ ა ვ ი თ დ ა დ ი ა ნ ი.**

№ 1, ჩყმა-სა წელსა

ა იანვარს ქრიგორიოპოლს[1].

თითოეული მაზრა იყო დაყოფილი რამდენიმე სამოურაოდ. ბროსსე წერს თავის მოგზაურობაში, ოდიშ-ლეჩხუმში სულ 12 მოურავი იყოო, მაგრამ მითხრეს, იმათი რიცხვი მეტიც იყოო. თითოეულ დიდსა და რამდენსამე წვრილ სოფელს თითო მოურავი ყავდა. მოურავები, ან როგორც დავით დადიანი უწოდებდა მათ საქართველოს მიმსგავსებით, ნაცვლები, სამოურაოში იცავდნენ წესიერებას და ასრულებდნენ უმაღლესის მთავრობის მოწერილობას. წერილობითი დებულება არც მოურავების მოვალეობას საზღვრავდა, მაგრამ რა ევალებოდა ნაცვალს, ეს სჩანს ერთს

[1] ორივე ეს საბუთი გამოქვეყნებულია გაზეთ „შრომაში", პირველი—1882 წლის № 35-ში, მეორე—1881 წლის № 10-ში. მათი ორიგინალი ჯერ-ჯერობით ცნობილი არ არის. ს. ც.

წერილიდან, რომელიც მიუცია დავით დადიანს 1847 წელს ხობის სოფლის ნაცვლის ბეჩუნა ჯორჯიკიასათვის. აი რას ავალებს მთავარი მისგან ახლად არჩეულ თანამდებობის პირს:

კეთილშობილს, ხობის სოფლის ნაცვალს ბეჩუნა ჯორჯიკიას.

აღმოგირჩიეთ რა ნაცვლად გიორგი ჯორჯიკიასი ნაცვლის წოდებაშიდ ხობის სოფელში, გაძლევთ შემდეგ დარიგებას:

ა) აღასრულებდეთ სიმართლით და გარდაუხვევლად ბრძანებათა და მონდობილებათა ჩემთა და მაზრის მდივანბეგის თქვენდა რწმუნებულ სოფელში.

ბ) რომ დღესასწაულზე და ვნებათ-კვირაში წირვა-ლოცვას არ დააკლდეს ერთი მცონარებით, თუ არ შეხვდეს დამაბრკოლებელი მიზეზი.

გ) იქონიეთ თვალ-ყური, რომ უზიარებელი არავინ მოკვდეს, და თუ წირვა-ლოცვის გაცდენა ან უზიარებლად ვინმეს სიკვდილი მოხდეს და ბრალი დარჩეს მღვდელს, მაშინ არქიმანდრიტს აცნობეთ პირდაპირი მიწერილობით.

დ) უკეთუ სნეულება რაიმე გაჩნდეს კაცთა შორის თუ პირუტყვთა შორის, მაზრის მდივანბეგს მოახსენეთ და მეც მომახსენეთ მაშინვე დაუყოვნებლივ.

ე) ქურდობისა და მსგავსი მოქმედებისაგან დაიფარე ხალხი და თუ იმისთანა მოხდეს რაიმე, პირდაპირ მომახსენე მაშინვე.

ვ) გლეხი-კაცი არაფელზე შემიწუხო დებულ გარდასახადის გარდა, აგრეთვე დაუნაშავლად არავინ დაისჯება, კაცს თავის დანაშაული დასჯის ღირსებისამებრ. თუ ამას გარდახვედი ჩემთა საშველი აღარ გაქვს, ვერავინ ვერ გიშველის ჩემგან.

ზ) მუშათა გამოწვევა თუ საზოგადო რამე შეხვდება მოთხოვნილება სოფელს, ზომიერად იქნას გამოყოფილი, რომ აქამდი იცოდნენ, ზოგს ხელს აფარებენ და არ გამოყავდათ და ზოგი გამოყავდათ, ამათ ჯაფა მეორეთ ედებოდა და სიმძიმილად უჩნდათ, ამიერიდგან ეს არ მოხდეს, თორემ ყოფაცხოვრებისაგან განგაყენებ.

ს) ჩემი შემოსავალი არაფელი დამაკლდეს, უმცირესიც.

თ) თუ ვინმე გაიქცეს სადმე გლეხი-კაცი, გაქცევის მიზეზი, აგრეთვე სად წავიდნენ, მყისვე მომახსენე, რა რიცხვში და რამდენი სახელდობ.

ი) რაზედაც დათხოვილი ხარ თუ ის ქენი, ჩემი ორგულება იქნება და როგორც ორგულს ისე მოგეპყრობი და თუ აღასრულებ, მაშინ ერთგულება იქნება და როგორც ერთგულს ისე წყალობას და სიბრალულს მიიღებ ჩემგან.

მთავარი მეგრელიისა დ ა ვ ი თ დ ა დ ი ა ნ ი[1].

№ 1941. ჩყმზ-ს წელსა კზ-ს ივნისს, გორდს.

მოურავების ხელ-ქვეშ მსახურებდნენ მოხელეები. ესენი იყვნენ დაბალი ხარისხის ხელისუფალნი, რომელთაც მოჰყავდათ სისრულეში სხვადასხვა გვარი განკარგულებანი მთავრობისა. მოხელენი, როგორც მოურავნი, უმეტეს ნაწილად კეთილშობილთა წოდებას ეკუთვნოდნენ.

დუბროვინის და ივანენკოს გამოკვლევით ქართლ-კახეთში და იმერეთში „საბატონო სოფლების სამსაჯულო და საპოლიციო გამგეობა ებარა ბატონს, მემამულეს, ხოლო ქალაქებსა და სახელმწიფო და საუფლისწულო სოფლებისა — მოურავებს. ეს პირნი ან თვითონ არჩევდნენ საქმეებს, ანდა მომჩივან-მოპასუხეთ ურჩევდნენ მედიატორეებთან მიმართვას. სასამართლოს ასეთი გადაწყვეტილებით უკმაყოფილოდ დარჩენილ პირს შეეძლო საქმე მეფესთან გაესაჩივრებია“.

---

[1] დედანი ამ წერილისა იპოვება ქუთაისის დეპუტატთა საკრებულოში.

დავით დადიანმა ამის მიმსგავსებით დააწყო სამეგრელოს დაბა-სოფლების ადმინისტრაციული გამგეობა. პოურავებზე საჩივარი, ან მაზრის მდივანბეგთან შეჰქონდათ ან მთავართან.

სამეგრელოს უმაღლესი სამმართველო დაწესებულება იყო, „უზენაესი სასამართლო", რომელიც შესდგებოდა მდივანბეგებისაგან. ეს სასამართლო უფრო სამსაჯულო დაწესებულება იყო, ვიდრე ადმინისტრაციული, მაგრამ როგორც მოხსენებულია ამ წიგნის მე-13 თავში ამ სამსაჯულო დაწესებულებას ადმინისტრაციული მოვალეობაც აწვა. 1842 წელს, როდესაც დავით დადიანი თბილისს წავიდა, სამეგრელოს უმაღლესი მმართველობა მიანდო უზენაეს სასამართლოს. წასვლის წინ მთავარმა შემდეგი ბრძანება გაუგზავნა ხსენებულ სასამართლოს:

მეგრელიის უზენაეს სასამართლოს

ჩემის ტფილისს წასვლისა გამო ვიდრე ჩემს შემოსვლამდე ჩემს სამფლობელო მეგრელიაში მივანდობ მას სასამართლოს შინაგანთა საქმეთა, მართვიდენ ერთად რომლისათვის ამასთანავე მივწერე ყოველთა მაზრის მდივანბეგთა, რომელ იგინი მოხსენებითა მას შინა მიიქცნენ საქმეთა თვითცა სამმართველოსა ვიდრე ჩემს მობრუნებამდე, ხოლო სასამართლო უაღრესთა საქმეთა თვისისა შესახებელისათა წარმომიდგენდეს მე ტფილისსა შინა უკეთუ შევხვდეთ რაიმე ესრეთი საშური.

მემკვიდრე მეგრელიისა დ ა ვ ი თ დ ა დ ი ა ნ ი.

№ 1159, ა-ს მაისს ჩყმზ წ. ზუგდიდს.

როგორც ამ წიგნის სხვა ადგილას გვაქვს მოხსენებული, დავით დადიანის დროს უზენაეს სასამართლოს წევრებად იყვნენ მდივანბეგნი: სიკო ჩიქვანი, ანტონ ჩიქვანი, ანტონ ახვლედიანი, გიგო ფაღავა, ივანე ჩიქვანი, და ვახტანგ ჩიქვანი.

უზენაეს სასამართლოს თავმჯდომარე იყო, მსაჯულთ-უხუცესი თავ. როსტომ ჩიქვანი.

ადმინისტრაციაზე ლაპარაკი არ იქნება სრული თუ აქ არ მოვიხსენიეთ რაგვარად სდევნიდა, დავით დადიანი ქურდობას.

დავით დადიანის დროს სამეგრელოში ქურდებად ასახელებდნენ: ბანძაში ზურაბ ფაღავას, ონოლიაში რომელიღაც გაბუნიას, ნოჯიხევში უჩა ჯორჯიკიას, ცაიშში გიორგი ჟორდანიას. მოპარული ხარ-ქამეჩი და ცხენი ამათ ეკითხებოდათ. მათი გზა იყო: ხონი, ბანძა, ნოჯიხევი, ცაიში, და სამურზაყანო[2].

წერილობითი საბუთი არ ეთანხმება ამ ცნობას, თუმცა ეს ცნობა ეკუთვნის უზენაეს სასამართლოს წევრს თავ. პეტრე დადიანს. ქუთაისის გუბერნიის სამმართველოში არის საქმე დაწყებული 1852 წ. № 455 სამეგრელოს უზენაესი სასამართლოსი, რომლისაგან ჩანს, რომ იმ წელს,

[1] Дело канц. влат. Мингр. № 37/1842

[2] პეტრე დადიანისაგან გამაგონი.

მარტო ზუგდიდის მაზრიდან დაუბარებიათ 104 კაცი და ამათ ფიც ქვეშ უჩვენებიათ მაზრაში 50 კაცი ქურდობით განთქმული, რომელთა სია ამ საქმეშია მოყვანილი.

თუმცა ლევან დადიანის დროიდან სისხლის სამართალი, როგორც ეხლა, სამეგრელოს დამნაშავეთათვის სწარმოებდა ქუთაისის ოლქის სასამართლოში, „В Кутаисском областном суде", დავით დადიანმა ქურდობას ადმინისტრაციული სასჯელით დაუწყო დევნა.

კორცხელის მცხოვრებს მაკარაძეს დაუცხრომელი ქურდობისათვის მთავარმა, ვახტანგის კანონის ძალით, ხელი მოსჭრა.

სეხი თოფურია, ფალავას გლეხი, გავარდნილი ქურდი, მთავარმა ჩამოახრჩო ხეზე ქვატახტს, ჭაქვინჯის საზოგადოებაში. რომ დასჯა სამაგალითო ყოფილიყო, მთავარმა თოფურიას ჩამოხრჩობაზე დიდძალი საზოგადოება შეკრიბა. თოფურიამ, რომ მოკიდეს იმას ხელი მაღლა ასაყვანად, დაიწყო მთავრის გინება და ამ გინებაში იმას სული ამოხდა.

რუსეთის მთავრობამ დავით დადიანს ამ სასჯელის გამო პასუხი მოსთხოვა. მთავარმა მოკლედ მოახსენა: ქურდი ხალხმა დასაჯაო.

ქურდობის ასალაგმავად დავით დადიანმა უბრძანა ზუგდიდის მაზრის მდივანბეგს კაცია ჩიჩუას, დაეწვა ოჯახი ქურდებისა: დავით სოლომონის ძის ჩიჩუასი, ბასა ლოლუასი და უტა ლოლუასი[1].

ქვალონელი დავით ჩიჩუა დატუქსა მთავარმა: წუწკი ხარ, ქვეყანა შეაწუხეო და როცა ჩიჩუამ სიტყვა შეუბრუნა, ჯაჭვი შეაბა იმას და ციხეში გაგზავნა.

1842 წელს, მსაჯულთ-უხუცესს თავ. ნ ი კ ო დ ა დ ი ა ნ ს წარმოუდგენია მემკვიდრისათვის სოჭაში ჯარის ცხენის ქურდი უტა ლოლუა, მემკვიდრეს რეზოლუციად დაუდვია: „ლენტეხს გაიგზავნოს და ეცნობოს ნიკოს[2]".

ერთხელ ყულევში, ტამოენის მოხელე გოგი ჯანოევისას, საცა იყო ჩამომხტარი, დავით დადიანს ორი მისი ნათესავი ყმაწვილი კაცი მოგვარეს: ნიკო და იოსებ ჯაიანები, რომელთათვის მოხსენდა, რომ ქურდობენო. ამის გამგონე დადიანმა წამოავლო ხელი ჩიბუხის ტარს და ორივე ძალზე დაზილა.[3]

ზუგდიდის მაზრის მდივანბეგის თანაშემწეს თ. პეტრე მხეიძეს სწერდა მთავარი საკუთარი ხელით:

„ეს რამდენიმე ხანია ისევე გაძლიერდა ქურდობა ანაკლიის გზაზედ და ქურდობის გარდა მგზავრთ რომ დაიხელებენ ხელგამოუღებლად წაართმევენ რამეებს. უმეტეს სხვათა უწესოებანი წარმოებენ გზაზედ მცხოვრებელთა ჭითაწყარელთა და დარჩელთაგან. გარემისაქცევლად გულვება-

---

[1] მიხა ჩიჩუას და დავით გვათუას ნაამბობი.

[2] Дело канц. влад. Мингр. о разн. предметах по донесению верх. правл. на—7 акт, 32.

[3] ბესარიონ ხოფერიასაგან განაგონი.

თა უწესოებისა განუვრცელობათა და უსმინარობათა მოგიწერთ, თქვენო ბრწყინვალებავ, სოფლის ანაკლიის და ჭითაწყარის სამზღვარზედ, სადაც დათარჯულია განსვენებულის ბატონის მამისჩემისაგან და მიჩენილი ორთავე სოფლების ადგილები, იქ გააკეთეთ კარგი ჯიხური ვიწრო გასავალში და დააყენეთ რიგიანი და სიმართლის მქონებელი კაცები დარაჯად, რომ ვინც ნახონ საეჭვო კაცები წარმადენელი ცხენთა და რქიან პირუტყვთა, შეაკავებდნენ და არ გაუშვებდნენ გარემოების შეტყობამდე და აქვნდესთ მხედველობაცა იმა სოფლებთა მცხოვრებელთა გამვლელ-გამომვლელთა საეჭვოთა კაცთა საქონელთა ზედა და ალსრულებისათვის მომახსენეთ"[1].

XIII

Სასამართლო. ძველი და ახალი კანონები. რუსთო ქულა. რუსული კანონის შემოსვლა. პანკრატიევის რაპორტი.

სამეგრელო რომ შეუერთდა რუსეთს, პირობა დაედვა, სამთავროში იგივე სამართალი დარჩენილიყო, რა სამართალიც იყო ძალაში წარსული საუკუნის დამდეგს. ცოტა შემდეგ, 1816 და 1825 წ. აღიძრა საკითხი: კაცის კვლა, ტყვეთა ყიდვა და ავაზაკობა გარჩეულიყო რუსეთის კანონის ძალით ქუთაისში, სამხედრო-სამსჯავრო კომისიაში და მთავარმა ლევან დადიანმა ამაზე თავისი თანხმობა განუცხადა რუსის მთავრობას.

სამოქალაქო საქმეებისა და წვრილმანი დანაშაულების სამართლის გაჩენას ეწეოდა ოდიშ-ლეჩხუმში, ისე როგორც იმერეთში, მდივანი, ან რჩევა, რომელსაც დავით დადიანი უწოდებდა ჯერ საგანზრახოს[2], და ბოლოს უზენაეს სასამართლოს.

უზენაეს სასამართლოს იურისდიქცია წერილობით არ იყო დაწვრილებით დაკანონებული. სხვადასხვა საქმეებიდან ჩანს, რომ უზენაესი სასამართლო სამართლის გამჩენი დაწესებულებაც იყო და ადმინისტრაციულიც.

დავით დადიანი თბილისს რომ წავიდა 1842 წელს, სამთავროს უმაღლესი მმართველობა უზენაეს სასამართლოს მიანდო.[3]

ხუთი-ექვსი ოფიციალური საქმეებიდან, რომელიც სხვათა ხელნაწერთა შორის მე გადმომეცა მთავრის დავით დადიანის ძმის გრიგოლისაგან, ჩანს, რომ უზენაეს სასამართლოს ჰქონდა მინდობილი გამოეძია რამდენად მართალი იყო გრიგოლ ტარიელის-ძის დადიანისაგან ხალხში გავრცელებული ხმა — სამეგრელო აღრეულიყოს, საჩივარი გაგზავნილიყოს მთავრისაზედ და თითონ ის, გრიგოლ ტარიელის-ძე დადიანი დაყენებულ იყოს მთავრისაგან სამეგრელოში ჟანდარმად.

სასამართლოს წევრებს ანტონ ჩიქვანს და გიგო ფალავას ჰქონდათ

---

[1] წერილი დავით დადიანისა 18 მარტიდან № 399.

[2] წერილი გრ. დადიანთან, 29 ტირისკონს, 1834 წ.

[3] Дело канц. влад. Мингр, № 37/1842.

მინდობილი 1857 წელს გამოეძიათ, რატომ ატყდა ხალხის ამბოხება სალიპარტიანოში.

სასამართლოს წევრს ანტონ ჩიქვანს ჰქონდა მინდობილი გამოეძია ხვარძიკიების და ჩიქვანების საჩივარი პეტრე მხეიძეზე, რომელმაც აიკლო მათი ოჯახი მაშინ, როცა ზუგდიდი აიღო ისკანდერ-ფაშამ.

სულ ყველა ამგვარი საქმეები უფრო ადმინისტრაციული თვისებების საქმეები იყო, ვიდრე სამსჯავრო.

პირდაპირი დანიშნულება კი უზენაესი სასამართლოსი იყო სამართლის გაჩენა მომჩივან-მოპასუხეთა შორის.

უზენაეს სასამართლოს წევრებს, მდივანბეგებს ირჩევდა მთავარი.

სანამ თანამდებობას მოკიდებდა ხელს მდივანბეგი, იმას უნდა მიეღო ფიცი ძლიერ ხატზე.

მდივანბეგების სხდომას თავმჯდომარეობდა მდივანბეგთ-უხუცესი ან მსაჯულთ-უხუცესი, დავითის დროს ამ თანამდებობას ასრულებდა თავ. როსტომ ჩიქვანი. მდივანბეგებად იყვნენ: სიკო ჩიქვანი, ანტონ ჩიქვანი, ანტონ ახვლედიანი, გიგო ფაღავა, ივანე ჩიქვანი, ვახტანგ ჩიქვანი.

უზენაეს სასამართლოს მდივანი იყო ოქროპირ ასათიანი.

როგორც გადმომცა მსაჯულთ-უხუცესად ნამყოფმა თავ. პეტრე დადიანმა, საქმის გარჩევას ესწრებოდნენ ხან სამი, ხან ოთხი, ხან ხუთი მდივანბეგი. სასამართლოს სხდომა უმეტეს ნაწილად ინიშნებოდა იქ, საცა ბრძანდებოდა მთავარი, რომლის სასახლიდან იმათ ყოველდღე მოსდიოდა ულუფა, როცა გარემოება მოითხოვდა, მდივანბეგები მიდიოდნენ სხვადასხვა ადგილს სესსიად და იქ აჩენდნენ სამართალს. ხშირად მოურავები ატყობინებდნენ მდივანბეგებს რა საქმეები იყო მათ სამოურავოში გასარჩევი.

მომჩივან-მოპასუხეს უზენაეს სასამართლოში ახდევინებდნენ „საბჭოს“ ათის-თავს.

მომჩივან-მოპასუხე გლეხები და აზნაურები უზენაეს სასამართლოს მოახსენებდნენ თავიანთ საჩივარს და საჩივრის პასუხს დაჩოქილად, როგორც ჩინეთში. ვინც მოისურვებდა შეეძლო თავის მაგიერ სასამართლოში წაეყენებია ადვოკატი, მაშინდლურად ასაბია. განთქმულ მოლაპარაკედ დაუსახელებიათ ჩემთვის აბაშელი მაძინია ქოიავა და ჭალადიდელი გუკოჩია ჭოჭუა.[1]

პეტრე დადიანმა მიამბო: ვახტანგის კანონი დიდი ხანია შემოღებულია სამეგრელოში, ოტია დადიანის დროს მაინც (1744 წ.), გაგონებით ვახტანგი სიძე[2] იყო დადიანის და მისგან დაწერილი კანონი სიძეობის დროს გამოუგზავნა მთავარს. ერთი უსამართლობა ამ კანონისა ეს იყო: ძმა რომ უმემკვიდროდ მოკვდებოდა მისი მამული მებატონეს მიქონდა. კარგი

[1] ბესარიონ ხოფერიასაგან განაგონი.

[2] ეს ცნობა სწორი არ არის, ვახტანგ VI მეუღლე რუსუდანი ჩერქეზთ ბატონის ქალი იყო.—ს. ც.

მხარე ეს ქონდა კანონს: საქმე მოწმის ფიცით თავდებოდა, მოწმე იკითხვოდა მართლის მთქმელი, არა-ქურდი, კარგი ყოფაქცევისა, არც მტერი, არც მოყვარე. ამისაგან ტყვილად ფიცის მიღება შეუძლებელი იყო და საქმე სიმართლით წყდებოდა.

დავით დადიანის დროის სასამართლოზე ლაპარაკს, უმართებულო იქნება არ დავსძინო აქ რამდენიმე სიტყვა თვით იმ კაცზე, რომელიც უდგა მართლ-მსაჯულების სათავეს მთელი მისი მთავრობის განმავლობაში. მე ვამბობ თავ. როსტომ ჩიქვანზე.

როსტომ ჩიქვანი არის იშვიათი ფიგურა წარსული დროებისა მთელ სამეგრელოში. „დიდი ნიკო" დადიანს შემდეგ, რომელმაც დაუწერა ლევან დადიანს „დასტურლამა", ანუ მოძღვრება სამთავროს გამგეობისა, სამეგრელოს სამთავრო მმართველობაში სხვა არავინ მეგულება მასზე მეტად დიდ მნიშვნელოვანი და სახელგანთქმული, მოსწრებული სიტყვის პატრონი, დიდებულთა წინაშე უშიშარი, თვით მთავრის ურჩი, როდესაც ამას მოითხოვდა მართლმსაჯულება. როსტომ მთელი ხალხის საყვარელი კაცი იყო. ფიზიკურად კოჭლს, იმას ხალხში მოკლედ „როსთო ქულას"[1] ეძახდნენ.

როსტომ ჯერ კიდევ 1819 წელს იყო დანიშნული „მდივანბეგად მთელი სამეგრელოისა". მერე, 1838 წელს ლევან დადიანისაგან დაინიშნა ის სახლთ-უხუცესად და ამ თანამდებობაში დაჰყო იმან 1847 წლამდის. ამ წლის 1 მარტს მთავარმა დავით დადიანმა მისცა მას ახალი თანამდებობა მსაჯულთ-უხუცესისა მისგან ახლად დაწესებულ უზენაეს სასამართლოში. ის სწერდა მას: „თქვენ, ვითარცა დიდი ხნის ნამსახურს და ერთგულს ჩვენის სამთავრო სახლისა და ცნობილს, როგორც ჩვენგან, ისე სრულიად ჩვენის სამთავროსგანაც დიდ მისანდო და სამართლიან პირად, აღგირჩიეთ ღირსეული და სათანადო ადგილიცა და დაგნიშნეთ ჩვენს სამთავროში უზენაეს სასამართლოს მსაჯულთ-უხუცესად და თან ბოქაულთ-უხუცესად".. როსტომმა ბოქაულთ უხუცესობაზე უარი განაცხადა და მიიღო მსაჯულთ-უხუცესობა, რომელშიაც ის დარჩა სიკვდილის დღემდის, 1854 წლამდის.

ნიმუშად როსტომის პირუთვნელი სამართლიანობისა, მისს შვილისშვილს, გუძა ჩიქვანს მოყავს პაპამისის ცხოვრების აღწერიდან შემდეგი ამბავი: სამთავრო აზნაური უჩიოდა მამულს ხაზინას, ე. ი. მთავარს. საქმე განიხილა უზენაესმა სასამართლომ და განაჩენი დაადგინა როსტომის აზრზე: სასამართლოს განჩინებით მამული გამოირიცხა ხაზინიდან, ჩამოერთვა მთავარს და დაუბრუნდა მომჩივანს. საქმე, როგორც წესი ითხოვდა, წარუდგინეს მთავარს ხელმოსაწერად და დასამტკიცებლად. მთავარმა არ დაამტკიცა განჩინება და წერილობით დაუბრუნა როსტომს. მთავარი სწერდა: „ამ განაჩენს ბრალი ედება ხაზინის ზარალისა, ამისათვის მოგან-

[1] როსთომ კოჭლი—ასე ეძახდნენ თურმე როსტომ ჩიქოვანს (1767—1854) ზედმეტად.—ს. ც.

დობთ თქვენ და გთხოვთ ამ საქმეს კარგად დახედოთ, დაკვირვებით გაარჩიოთ და თქვენი აზრი მომახსენოთ მეო". ამის პასუხად როსტომმა მისწერა მთავარს: „ამ საქმეს დავხედეთ, დავაკვირდით, და გავარჩიეთ, სამართალმა სადაო მამული არგო მომჩივანს და უკეთუ თქვენის უფლებით ჩამოართმევთ, ეგ თქვენი საკუთარი ნება იქნება და არა სასამართლოსი". ამ მიწერ-მოწერის შემდეგ განჩინება ძალაში შევიდა.

უზენაეს სასამართლოში მარტივად საქმის წარმოება და საჩივრის ხანდაუზმელად გადაწყვეტილება ხალხს დიდად მოსწონდა. შემდეგში, როცა რუსული საქმის წარმოება შემოვიდა სამეგრელოში, დაულეველი ფორმალისტობა გაჩნდა, ძველი დროის კაცები ძველ დროს უფრო შენატრიდნენ. ერთი ვიღაც გუთუ აფაქიძე, რომელსაც ბრალდებოდა მენიკი დადიანის ასულის გაპარვა, დიდხანს თურმე იჯდა ციხეში, სანამ მის საქმეს ახალი სამართალი გაარჩევდა და ამასობაში ის ხშირად დაყავდათ გამომძიებელთან და სასამართლოში. ამ ფორმალისტობით მოთმინებიდან გამოსულმა აფაქიძემ გამოთქვა ხალხში დღემდის დარჩენილი ლექსი, რომელშიაც ის აქებს როსტომ ჩიქვანს. აი იმ ლექსის ნაწყვეტი:

ხასილას კანი ვეგებძ,
ფიცარიში გინანჯირა . . .
მინილენან, დოჭარუნა,
გიმილენან, ღოსოფუნა,
ხოლო ღორონთქ ნუ მოლას
გუმარჩქინეთ როსთო-ქულა[1]...

ამას უნდა დავსძინოთ, რომ თუ უზენაეს სასამართლოს განაჩენი არ აკმაყოფილებდა რომელსამე მხარეს, უკმაყოფილო პირს შეჰქონდა საჩივარი მთავართან, მთავარი ეცნობოდა გარემოებას და თუ საჩივარი პატივდებაში იყო მისაღები, წინადადებას აძლევდა სასამართლოს ხელახლა გაერჩია საქმე და ახალი მსჯავრი დაედვა საქმისათვის. წინააღმდეგ შემთხვევაში განჩინებას ბეჭედს ასვამდა და ამ განჩინებას ამის შემდეგ ეძლეოდა ღრამოტის ძალა.

რაპორტი გენერალ პანკრატიევისა გრაფ ჩერნიშევთან 1831 წლის ივლისის 2-ს, № 375.

სენატორებმა, რომელთაც ამიერ-კავკასიის მხარეში რევიზია მოახდინეს, თავიანთს მოხსენებაში გრაფ ივანე თედორეს-ძის მიმართ, ამა წლის აპრილის 1-ს განმარტეს, რომ იმათ ყურადღება მიაქცეს ყველა იმ უფლებათ, რაც ამ მხარეს ჰქონდა მინიჭებული იმ დროიდგან, რაც რუსეთს შეუერთდა და დაინახეს, რომ ზოგიერთ პროვინციას განსაკუთრებული უპირატესობა ჰქონდა, ამიტომ საჭიროდ და სასარგებლოდ დაინახეს განეხილათ რუსეთის ადგილობრივი მთავრობის მოქმედებანი ამ უფლებათა შენარჩუნების შესახებ.

---

[1] თარგმანი: გვერდზე ტყავი აღარ მაძევს ფიცარზედა გორაობით...
შევლენ, წერენ განაჩენებს, გამოვლენ და ისევ ხვენ.
ღმერთმა კვლავ ნუ მოგვიშალოს მოსამართლედ კოპლი როსტომ.—ს. ც.

მაგალითად, სამეგრელოს, რომელმაც რუსეთის ქვეშევრდომობა 1803 წელს მიიღო, მანამდე მისი მთავარი მართავდა იმ მოთხოვნილებათა პუნქტების თანახმად, რომლებიც უმაღლესად დამტკიცებულ იქმნა იმავე წელიწადს. ამ პირობათა მესამე პუნქტის ძალით სამეგრელოს მთავარს უფლება აქვს სამართალი თვითონ აწარმოოს თავის სამთავროში. მაგრამ რადგან სიკვდილით დასჯის ან სხეულის ასოების მოჭრის უფლება რუსეთის ქვეშევრდომთა შორის არავის უნდა ჰქონდეს, ამიტომ საჭიროა მთავარს მიეცეს სახელმძღვანელოდ ისეთი კანონები, რომლებიც უჩვენებენ, თუ როგორ უნდა დაისაჯნენ კაცის კვლისათვის, ტყეთა გაყიდვისათვის, ქურდობისა და ყაჩაღობისათვის; სანამ ასეთ კანონებს მივცემდეთ, მთავარს ნება ჰქონდეს ძველებური წესით გაასამართლოს დამნაშავენი, რათა ბოროტმოქმედებას გასავალი არ მიეცეს, რადგან ლმობიერ სამართალს ხალხი შეჩვეული არ არის.

დღემდე სამეგრელოს მთავრებს არა ჰქონიათ რუსეთის კანონები ხსენებულ ბოროტებათა დასასჯელად; მაგრამ მიუხედავად ამისა, სიკვდილით ან სხეულის ასოს მოჭრით, სამეგრელოს მთავრების ლმობიერების წყალობით, აქ არავინ დასჯილა. ეს უფლება შეიცვალა თანახმად საქართველოს მმართველთა ბრძანებისა, რომელიც გამოეცხადათ ადგილობრივს ხელისუფლების წარმომადგენელთ გენერალ რტიშჩევის მიერ 1816 წ. და გენერალ-მაიორის ველიამინოვის მიერ 1825 წ. და ამ ბრძანებათა თანახმად ბოროტმოქმედნი უნდა გაესამართლებინათ რუსეთის კანონებით.

საქართველოს მმართველთა მიერ გაცემულ განკარგულებაში, სამეგრელოში სიკვდილით დასჯის გაუქმების შესახებ, ალბათ ,აზრადა ჰქონდა მათს მართვა-გამგეობაში მყოფ მხარის მცხოვრებთა კეთილდღეობა; მაგრამ ეს განკარგულებანი ეწინააღმდეგებიან სამეგრელოს მთავრის მოთხოვნათა პუნქტების მე-3 მუხლს და სამეგრელოს მთავართან შეუთანხმებლად მისთვის უმაღლესად ბოძებულნი უფლებანი შელახულნი არ უნდა იყვნენ. მთავარს ამ პუნქტების ძალით შეეძლო თავის ნებით დაესაჯა დამნაშავე სიკვდილით და სხეულის რომელიმე ასოს მოჭრით; მაგრამ კეთილგონიერების და ლმობიერების გავლენით ასეთი სასჯელისაგან თავს იკავებდა და თვითონ მას 15 წლის განმავლობაში ერთხელაც არ განუცხადებია უკმაყოფილება თვისთა უფლებათა დარღვევის შესახებ.

ამიტომ სენატორებს შესაძლებლად მიაჩნიათ სამეგრელოში ჩადენილი სისხლის სამართლის დანაშაულობათათვის დამნაშავენი გაასამართლონ სამხედრო სასამართლოს ქუთაისის კომისიაში. მაგრამ რათა შემდეგშიაც არ ჰქონდეს სამეგრელოს მთავრებს მიზეზი მე-3 მუხლში გამოთქმულ უფლებათა დარღვევის გამო უკმაყოფილების გამოცხადებისა, საჭიროა ეს კითხვა გამოირკვეს მასთან ოფიციალურ მიწერ-მოწერით.

მისმა ბრწყინვალებამ საქართველოს მთავარსარდალმა ყოველივე ეს სამეგრელოს აწინდელ მთავარს გენერალ-ლეიტენანტს თავად დადიანს (იგულისხმება ლევანი—ს. ც.) გამოუცხადა, და სთხოვა: თქვენ რა აზრისა იქნებით იმის შესახებ, რომ სისხლის სამართლის საქმეები ქუთაისის სამხედრო სასამართლოს კომისიაში გაირჩესო.

ამაზე სამეგრელოს მთავარმა თავადმა დადიანმა უპასუხა: მე თანახმა ვარ ხელი ავიღო ამ უფლებაზე, რომელსაც მიანიჭებს უმაღლესად დამტკიცებულ — პირობათა მე-3 მუხლით დავსაჯო ჩემი ქვეშევრდომნი სიკვდილით ან სხეულის ნაწილების მოჭრითა, ხსენებულ პუნქტში ჩამოთვლილ დანაშაულთათვის და ამიერიდან არ მოვითხოვო ამ მუხლით მონიჭებული უფლების აღდგენა. მაგრამ მისი უგანათლებულესობა ამასთანავე დასძენს, სამართალში მიცემა ჩემთა ქვეშევრდომთა, რომელთაც ავაზაკობა ძვალსა და რბილში აქვთ გამჯდარი, ხელს ვერ აიღებინებს ხსენებულ ავაზაკობათა ჩადენაზე, რადგან ამათ დედის მუცლიდანა აქვთ გამოყოლილი ურჩობა; ამათ იმედი ექნებათ ამათუიმ საშუალებით თავი დააძვრინონ სასჯელს და ამასობაში განაგრძონ ავაზაკობათა ჩადენა. ამიტომაც, დასძენს მთავარი, ჩემის აზრით, თუ გვინდა ჩემს სამთავროში მშვიდობა და სიწყნარე სუფევდეს, უკეთესი იქნება ასეთი დამნაშავენი, ჩემი წარდგენილების თანახმად, სამშობლოდან გაძევებულ იქმნენ და გაიგზავნონ რუსეთში სამუდამოდ საცხოვ-

რებლად ან და მანამდე, სანამ სრულებით შეინანიებენ თავიანთ დანაშაულს. ასეთი გზით ავაზაკობა სრულებით ამოიფხვრებაო..

ყოველისავე ამის განხილვის შემდეგ, ჩემის ფიქრით, საჭიროა დავადგეთ ამ გზას: რადგან სამეგრელოს მთავარი მას შემდეგ, რაც ის რუსეთის ქვეშევრდომად გახდა, არ იყო აღჭურვილი იმ კანონებით, თანახმად მასთან დადებულ პირობათა მე-3 მუხლისა, რომელთა ძალით მას შესძლებოდა სისხლის სამართლის დამნაშავენი გაესამართლებინა ისე, რომ სიკვდილით არ დაესაჯნა ან სხეულის ნაწილების მოჭრა არ მიესაჯნა, და რადგან საქართველოს მთავარმართებლების განკარგულებათა თანახმად თავის-თავად გაუქმდა მთავრის უფლება (თავის შეხედულებით დაესაჯნა დამნაშავენი) და ამ უფლების გაუქმებისათვის უკმაყოფილება არავითარი განუცხადებია, — ამიტომ ამიერიდან სამეგრელოს მკვიდრნი უნდა დაისაჯნენ კაცის კვლისა ტყვეების გაყიდვისა, ათ თუმნის ზევით საღირალის ქურდობისა და ყაჩაღობისათვის რუსეთის კანონების თანახმად ქუთაისში დაარსებულ სამხედრო კომისიის მიერ და ეს მით უფრო, რომ თვით სამეგრელოს მთავარმა ამაზე თანხმობა გამოაცხადა, ხოლო დანარჩენ დანაშაულისათვის დამნაშავეთ დასჯის მთავრის სასამართლო. ამ შემთხვევაში არ უნდა დავივიწყოთ ის გარემოებაც, რომ რადგან სამეგრელოში რუსი მოხელენი არ მოიპოვება, შეუძლებელია უამათოდ კანონიერის წესით გამოძიება დამნაშავეთა მიერ ჩადენილ დანაშაულისა, უამისოდ კი სამხედრო სასამართლოს მეტად გაუჭირდება ჭეშმარიტების აღმოჩენა და სასჯელის განსაზღვრა. ამიტომ ძალაუნებურად უნდა დასჯერდეს სასამართლო სამეგრელოს მთავრის გამოძიებას. ეს გამოძიება სრულ გამოძიებად ჩაითვალოს. ამ გამოძიებაში უნდა დასახელებული იყოს: ვინ და როგორი დანაშაული ჩაიდინა, მოწმეები დაესწრნენ თუ არა, არის თუ არა ცხადი და სახელდობრ როგორია საბუთები,—ერთი სიტყვით, ეს გამოძიება რამდენად-კი შეიძლება, უნდა უახლოვდებოდეს წესიერ გამოძიებას.

ყოველსავე ამას წარმოვუდგენ თქვენს ბრწყინვალებას კეთილგანსახილველად და თან პატივი მაქვს დავსძინო: იქნებ კეთილინებოთ და ამის ასასრულებლად გამოითხოვოთ უმაღლესი დამტკიცება, რათა ამით შევსებულ იქნეს სამეგრელოს მთავართან, როცა იმან რუსეთის ქვეშევრდომობა მიიღო, დადებული პირობა, და მომავალში აცილებული იქნეს ყოველგვარი გაუგებრობა ამ საქმის შესახებ[1].

XIV

სახალხო განათლება. პასკევიჩის წერილი. სკოლები. დავით დადიანი მწიგნობარი. დავითი შინაურობაში.

1852 წელს დავით დადიანი შეეკითხა ოდიშ-ლეჩხუმის მდივანბეგებს, მოეხსენებიათ მისთვის, სხვა ცნობათა შორის, ისიც თუ რამდენი სასწავლებელი იყო რწმუნებულს მათდამი მაზრებში. ამ კითხვაზე რვა მდივანბეგიდან შვიდმა მოახსენა, რომ მათ მაზრებში სასწავლებელი არ მოიპოვებოდა და მხოლოდ ერთმა, მარტვილის მდივანბეგმა მოახსენა, რომ მის მაზრაში არსებობდა ერთი — მარტვილის სასულიერო სასწავლებელი.[2] ამ სასწავლებელში, როგორც ჩანს მოხსენებებიდან, ამ დროს სწავლობდნენ სასულიერო მოსწავლენი 37 და სამოქალაქონი 5, მასწავლებელი იყო ორი.

მარტვილის სასწავლებლის დაფუძნებაზე მთავრის კანცელარიის საქმეებში დაცულია შემდეგი ცნობა, 8 თებერვლის 1830 წ. კავკასიის მთავარი მმართველი პასკევიჩი სწერდა ლევან დადიანს:

---

[1] Акты Кавк. арх. комиссий, т. VII, гз. 399.

[2] Дело канц. влад. Мингрелии, № 1583/1852.

„მოწყალეო ხელმწიფევ, თავადო ლევან გრიგოლის-ძევ!

განვითარებისათვის სასულიეროთა ყრმათა თქვენის უგანათლებულესობის სამფლობელოთა შინა წინასწარ დადებულ არს გახსნა სასწავლებლისა, რომელსაცა ზედა თქვენც მოწყალევ ხელმწიფევ განაცხადეთ ძზაყოფნა თქვენი მგონებელმან, რომელ უმჯობეს და უადვილეს არს ამისადმი ხელისყოფა და წარმოგზავნა მეგრელიასა შინა მასწავლებლისა მაშინ ოდეს შევალს სამეგრელოს ეპარხიის მმართველობასა შინა მიტროპოლიტი დავით.

ესე ვითარი თქვენის უგანათლებულესობის პასუხი ვაუწყე მე საქართველოს ექსარხოსს და მივიღე აწ მისის მაღალ ყოვლად სამღვდელოებისაგან ცნობა, რომელ სახელობითის უმაღლესის უქაზითა სახელსა ზედა უწმინდესის მმართებელის სინოდისასა წარსულის 1829 წ. ივნისის 23-სა დღესა მეგრელიასა შინა დაცარიელებულსა არქიელის ადგილსა ზედა შემდგომად სიკვდილისა მუნებურის მიტროპოლიტის ბესარიონისა ყოვლად უმოწყალესად განწესებულ იქმნა მმართველი იმერეთისა შინა ჯრუჭის მონასტერისა მიტროპოლიტი დავით. საქართველო-იმერეთის სინოდალნის კონტორას უქმნიეს უკვე ჯეროვანი განკარგულება შეყვანისათვის ამა ყოვლად-სამღვდელოსი სამეგრელოს ეპარხიის მმართველობასა შინა. ამის გამო საქართველოს ექსარხოსი დაფუძნებული ხსენებულსა თქვენის უგანათლებულესობის პასუხსა ზედა, გონებს უკვე შესაძლებლად ხელისყოფასა თქვენს სამფლობელოსა შინა სასწავლებლის გახსნისასა და წარმოგზავნასა მანდ თბილისის სემენარიის მიერ დანიშნულის მასწავლებლისა რომან ბორისოვისა[1]. გარნა არა ხელის-მყოფელი ამისადმი ითხოვს ჩემსა და თქვენსა ამაზედ თანხმობასა რათამცა მისმან მაღალ ყოვლად სამღვდელოებამან შეიძლოს ქმნად განკარგულებისა წარმოგზავნისათვის აღმორჩეულის მასწავლებლისა და გამოტანებისათვის საჭიროს რიცხვისა სასწავლებელთა წიგნთა მაუწყებელი ამისი თქვენის უგანათლებულესობისადმი. უმორჩილესად გთხოვთ პატივი მცეთ მე შეტყობინებითა თანახმანი იქმნებით ამ წარმოგზავნისა თქვენის უგანათლებულესობის სამფლობელოსა შინა აღმორჩეულის მასწავლებლის და საჭიროთა წიგნთა სასულიეროს სასწავლებლის განხსნისათვის.

ჰეშმარიტითა პატივისცემითა და სრულიადითა გულსმოდგინებითა მაქვს პატივი ყოფად თქვენის უგანათლებულესობის უმორჩილესი მოსამსახურე: გრაფი ივან პასკევიჩი ერევანსკი“.[2]

მარტვილის სასულიერო სასწავლებელი გაიხსნა 1830 წელს. პირველი ზედამხედველი სასწავლებლისა იყო დეკანოზი რომანოზ ბარისოვი. მას მოჰყვნენ შემდეგში დეკანოზი დავით მაჭავარიანი, ივანე ჭიჭინაძე... რამდენად მარტვილი იყო ამათი დროის ზნე, ეს იქედან ჩანს, რომ, როდესაც

[1] ნამდვილად კი ბერიძე იყო სოფ. დიღმიდან.—ს. ც.

[2] Дело канц. влад. Мингрелии, № 2406/1830.

ამ უკანასკნელს სასწავლებლიდან შეგირდი გაქცევია, ის პირდაპირ მთავარ დავით დადიანს სწერდა: „სასწავლებლიდან გამექცა მოსწავლე თავადი ასლან აფაქიძე, გთხოვთ კეთილ-ინებოთ და ბრძანოთ იმისი სასწავლებელში დაბრუნება“[1].

მარტვილის სასწავლებელი იყო გახსნილი „განვითარებისათვის სასულიეროთა ყრმათა“. მთავარმა ლევან დადიანმა აღძრა შუამდგომლობა, რომ ესრეთივე სასწავლებელი გახსნილიყო სამეგრელოში „თავად-აზნაურთა ყრმათათვის“. ის სწერდა გენერალ-ადიუტანტს სტრეკალოვს 4 აგვისტოს 1830 წელს:

„მსურს რა, სამეგრელოს სარგებლობა მოჰქონდეს ხელმწიფე იმპერატორისათვის, რომლის მზრუნველობითაც ამიერ-კავკასიის მხარე განათლებას ღებულობს, მე ვსთხოვ თქვენს აღმატებულებას სამეგრელოს ახალმოზარდ თავად-აზნაურთათვის დაგვინიშნოთ მასწავლებელი. ეს ჩვენი საყოველთაო სურვილია. ამისათვის მივუჩენ შესაფერ სახლს, მოსამსახურეს, გაუჩენ საჭმელად პურს, ღვინოს, ხორცს, და გარდა ამისა 200 მანეთს ვერცხლის ფულს. სასწავლებელს დავაარსებთ ისეთ ადგილას, საიაც ყველაზე უკეთესი ჰაერია.

თქვენის აღმატებულებისაგან სანამ სასურველ პასუხს მივიღებდე, მე შევუდგები წინასწარ განკარგულების გაცემას, რათა, მასწავლებელს, ჩამოვა თუ არა, ხელად შეეძლოს შეუდგეს თავის თანამდებობის ასრულებას“.[2]

რა შედეგი მოჰყვა მთავრის შუამდგომლობას სათავადაზნაურო სასწავლებლის დაფუძნებაზე ეს არ ვიცი, მხოლოდ ეს კია, რომ 1852 წ. მაშასადამე, შუამდგომლობის აღძვრიდან 20 წლის შემდეგ, როცა, როგორც ვთქვით, დავით დადიანი შეეკითხა მაზრის მდივანბეგებს სასწავლებლებზე, სამეგრელოში მხოლოდ მარტვილის სასწავლებელიღა იყო და, მაშასადამე, სათავად-აზნაურო სასწავლებელი არ არსებობდა.

ამბობენ, დავით დადიანი, თუმცა თვითონ კარგი მწიგნობარი, — არ იყო მოყვარე სახალხო განათლებისა. წერა-კითხვის გავრცელებაზე უფრო ის ცდილობდა გაევრცელებია თავის სამთავროში სხვადასხვა ხელობის ცოდნა. ამის გამო, ამბობენ, ის ყოველ-წლივ გზავნიდა 12 ყმაწვილ კაცს თბილისში, რომ ესწავლებია მათთვის სხვადასხვა ხელობა, ამათშორის იყვნენ: სოლომონ დგებუაძე, პავლე მეუნარგია, ნიკო ბასილაია.

დავით დადიანი მწიგნობარი

დავით დადიანს ქართული ენა დეკანოზ დიმიტრი ალექსი-მესხიშვილისაგან უსწავლია. „ხშირად შევიყრებით ხოლმე: მიმბაში, დიმიტრი, ნა-

---

[1] Дело канц. влад. Мингрелии, № 1545.

[2] Акты, т. VII. гг. 398.

ზირი, მამა ეგნატე, დეკანოზი, მე, და ვართ ერთ ბაასში და ყოფაში“ — სწერდა დავითი თავის ძმას გრიგოლ დადიანს.[1]

დავითის ენა იყო, როგორც ძველად ამბობდნენ, უფრო „მწიგნობრული, ვიდრე უბნობითი“, ანუ მარტივი, ყოველ-დღიური სალაპარაკო ენა. ამ ენაზე თარგმნა იმან ტაციტის ისტორია. მისი თარგმანი გრიგოლ დადიანის თქმით, ასე თურმე იწყებოდა: „მოიწია ამბავი რომად, რომელ პირად ბრძოლა დაბოლოვდა და პომპეოს მიმოდავლის ქალაქებთა შინა თავისუფლად სამხედროთა წინამიღებათაგან. მაშინ მანალოს ერთმან ტრიბუნათაგანმან წინა დასდვა შემდგომი დაწესება: პომპეუსმან დაიპყრას ყოველი მხარე, რომელსა ფლობდა ღლაბირონ, შეაერთოს მას ბითვინია და წინაეწყოს მიტრიდატს და ტიგრანს მმართველი ზღვაურთა ძალთა და ხელმწიფებული...“ და სხვ.

„შენსავით დამემართა, შენ იცი ასე, პრტყლად წერა“-ო—ეტყოდა მთავარი მის ძმას გრიგოლს, ქართულ მწერლობაში „კოლხიდელად“ ცნობილს.

დავით დიდი მოყვარე იყო ქართული მწიგნობრობისა. მისი ქართული ხელთნაწერი ბიბლიოთეკა, რომელიც შემდეგ მისმა შვილმა, სამეგრელოს თავადმა ნიკომ „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას“ შესწირა, ერთი საუკეთესო ბიბლიოთეკათაგანი იყო, თუ არა ერთად -ერთი საქართველოში. დავითი სულ მუდამ იმის ცდაში იყო, რომ ამ ბიბლიოთეკისათვის ახალი და ახალი ხელთნაწერი წიგნები შეეძინა „გმადლობ ლექსიკონებისა, სალიუსტოს და ტიტა ლივიასთვის“ — სწერდა დავითი თავის ძმას გრიგოლს.[2] „ჩემი კვინტოს კურციოს“, სახლი რომ დამეწვა სხვათა შორის ისიც დამეწვა“ — სწერდა მთავარი მასვე[3] „ჩინებული წიგნი ვიშოვე გადასაწერად კნეინასაგან რეზანს, იონას[4] კალმასობა“, — სწერდა მასვე.[5]

დავითს დიდი განწყობილება ჰქონდა ქართული ენისა და მწერლობის მოყვარეებთან. მისი მახლობელნი იყვნენ მისი დროის ფილოსოფოსი პლატონ იოსელიანი და ისტორიკოსი ბროსე.

პლატონი რომ ათონის მთაზე წავიდა, დავით დადიანს გამოუარა, რომელმაც ის დიდი პატივით მიიღო, — მიამბო გრიგოლ დადიანმა.

— პლატონ, ეს რა ამბავია ამ სიშორეზე მიდიხარ და ბიჭი არ გახლავს, კითხა დადიანმა.

— თქვენმა მზემაცა, კუდის ამწევი რად მინდა, განა მარტო ვერ წავალ? — უპასუხა ფილოსოფოსმა.

— ვერა, ვერ წახვალ, უთხრა მთავარმა და ერთი კაცი ააბლა მომსახურედ.

---

[1] წერილი 20 აგვისტოს 1836 წ.

[2] წერილი 29 ტირისკონს 1834. წ.

[3] წერილი 18 დეკემბ. 1836 წ.

[4] როგორც ჩანს იოანე ბატონიშვილის „კალმასობას“ მაშინ იონა ხელაშვილისად თვლიდნენ.—ს. ც.

[5] წერილი ვორონეჟიდან 7 ივნისს 1835 წ.

— ათონიდან დაბრუნებულზე პლატონმა დავით დადიანს ტიბიკონი მოუტანა, რომელიც მთავარმა ისე კარგად იცოდა, რომ თუ მღვდელს ეკლესიაში რაიმე შეეშლებოდა, მაშინვე გაუსწორებდა.

ბროსე მოვიდა სამეგრელოში 1848 წელს საალდგომოდ. მთავარმა ის დიდი სიამოვნებით მიიღო და სამეგრელოში მოგზაურობის დროს აახლა მას თავადი სიკო დგებუაძე.

ერთხელ, მოგზაურობიდან დაბრუნებული ბროსე, მთავარმა მიიწვია ვახშმად და სუფრაზე გვერდით მოისვა. დაღლილი თურმე იყო მსწავლული და ორი-სამი ჭიქა ოჯალეშის შემდეგ იმას იქვე სუფრაზე მიეძინა და იქედან საწოლ ოთახში გაიყვანესო, — მიამბო მე მთავრის ძმამ, გრიგოლ დადიანმა.

დავით დადიანი, მოცლილ დროს ლექსსაც თურმე ეწყობოდა, 1835 წელს ის სწერდა თავის ძმას გრიგოლ დადიანს:

„თუთხმეტ დეკემბერს მეჯლიში გადვიხადე დღესა ნინოს დაბადებისასა ჩემს სახლში. დიდი ამბავი მქონდა მრავალი შეყრილობა და საღამოს ტრანსპარანტები. ტრანსპარანტში იყო გამოხატული ვენზელი გვირგვინით ნინოსი. მარცხნით ლექსი ესე ჩემ მიერ შეთხზული და მარჯვნით დოხტურის შპრინგელის მიერ შეთხზული რუსული.[1]

აჰა ასული მთავრისა, დღესავე ამას შობილი.
ქვეყნისა მაშვენებელად, მბადისა მიერ შექმნილი,
მით მოკვდავთ აღმოეჩინა, შვენება, სათნო და სრული
სისრულე დაბადებულის, ნინო სიკეთით აღმკული.

დავით დადიანი შინაურობაში

ერთმა მთავრის მახლობელმა კაცმა დავით დადიანის გარეგნობა ამგვარად ამიწერა: „ხმელი, ოდნავ განზე ცხვირმოხრილი — პატარაობისას დაცემულაო მითხრეს — დიდი მრგვალის თვალებით, რომელნიც ორბიტიდან გარს იყვნენ გამოწეულნი“.

განსვენებულმა გრ. დადიანმა მიამბო: „ჩემს ძმას დავითს ისეთი დიდი ძლიერება ჰქონდა თვალში, რომ მძინარე კაცს თვალს რომ გაუჩერებდა, იმას ჯერ გააზმორებდა და მერე გამოეღვიძებოდაო. სიარულის დროს იმას ყოველთვის მოკაკული ჯოხი ეჭირა და ამ ჯოხზე დაყრდნობით იცოდა ლაპარაკი.

ბურნუთის კოლოფი სულ მუდამ თან ჰქონდა. — „ბურნუთს მომეხმარე მალე, ნუ დასტანჯე ჩემი ცხვირიო“ — სწერდა დავითი თავის ძმას გრიგოლს.

22 წლის რომ იყო დავითი, ის, როგორც მემკვიდრე, მთავარმართებელმა ბარონ როზენმა წაიყვანა პეტერბურგს, სადაც ხელმწიფე იმპერატორმა უბოძა მას სტანისლავის ორდენი მეორე ხარისხისა, რომელსაც მაშინ ვარსკვლავი ჰქონდა.

---

[1] წერილი გრ. დადიანთან ზუგდიდიდან 17 დეკ. 1835 წ.

ახალგაზრდა მემკვიდრეს ეს ორდენი დიდად შვენოდა და იმას გარეშე ქვეყნის პრინცს ეძახდნენ პეტერბურგში.

XV

ეკლესია და სამღვდელოება. მთავრის ბრძანებულება სამღვდელოებაზე. სამეგრელოს ეპისკოპოსები—ჭყონდიდლები. თავად-აზნაურები. რუსეთის მეფის მიერ დროშით დაჯილდოება.

დავით დადიანის დროს სამეგრელოს სამწყსო შეადგენდა ერთ ეპარქიას, რომლის კათედრად იყო მარტვილის სობორო. მეცხრამეტე საუკუნის ორი სხვა ეპარქიები სამეგრელოსი — ცაგერისა და ცაიშისა — მამამისის ლევან დადიანის დროს იყვნენ გაუქმებულნი.

სამეგრელოს სამთავროში — ოდიშ-ლეჩხუმს — დავითის დროს იყო:

სამრევლო ეკლესიები	242
სასახლის ეკლესიები	32
სასაფლაო ეკლესიები	6
ზედმიწერილი ეკლესიები	28
ამათ რიცხვში: ქვითკირის ეკლესია	150
ფიცრისა	148

სამეგრელოს ეპისკოპოსი ანტონ[1] ჭყონდიდელი, რომლის მოხსენებიდან მოგვყავს ეს ცნობები[2], არ იხსენიებს თუ რა მდგომარეობაში იყვნენ ეს ეკლესიები, მაგრამ სულ ყველაფრიდან ჩანს, რომ ეს ეკლესიები მეტად ღარიბნი იყვნენ. ის დრო ჯერ კიდევ არ იყო შორს, როცა დიდი ნიკო დადიანი (1834 წ.) სწერდა მთავარს ლევან დადიანს: „ფიცხლად აღეკრძალა მღვდელთათვის ჩალით შეხურვილს ეკლესიაში საღმრთო ლიტურგია[3]. არანაკლებ გაუხარებელ მდგომარეობაში იყო დავითის დროს სამეგრელოს სამღვდელოება.

სოფლის ღარიბ ეკლესიას ან ვინ ემსახურებოდა თუ არ ისევ ღარიბი გლეხ-კაცი. ანტონ ჭყონდიდლის გამოანგარიშებით თითოეულ მრევლს ამ დროს ას-თერთმეტზე მეტი კომლი არ ყავდა და ამ ას-თერთმეტ კომლს უნდა შეენახა თავის ხარჯით, — რადგანაც სხვა წყარო არ მოიძებნებოდა, ეკლესიაც, მღვდელიც, დიაკვანიც, მაგრამ სამრევლოს თვითონ რომ არა გააჩნდა რა, სამღვდელოებას თავის ოფლით უნდა ერჩინა თავი, ე. ი. იმ დროის ენით რომ ვილაპარაკოთ, უნდა თვითონ ემუშავა თავისი ყანა, რადგანაც სხვა გზა არ იყო, — ქონებით უზრუნველმყოფელი. ეს კიდევ არაფერი, სამღვდელო პირნი გლეხთაგანნი იყვნენ და რადგანაც გლეხები თავად-აზნაურთა ჰმსახურებდნენ, ხშირად ესენი მებატონის ყანაზედაც მუშაობდნენ და მებატონეთ ახლდნენ მოგზაურობაში იმათი ხურჯინებით.

---

[1] იგულისხმება ჭყონდიდელი ანტონ II (+1852), შვილი გიორგი ნიკოლოზის-ძე დადიანისა და არა ანტონ I (1777—1815) ოტია დადიანის-ძე.—ს. ც.

[2] მოხსენება ანტ. ჭყონდიდელისა, დაწერილი 17 ოქტ. 1852 წელსა, № 865. ნახე: Дело канц. влад. Мингрелии, 1852, № 1583.

[3] „დასტურ-ლამა" ნიკო დადიანისა, ქართველთა ამხანაგობის გამოცემა, 1897, № 41, გვერდი 36.

ასე იყო ქართლ-კახეთში, იმერეთში, გურიაში, ასე იყო სამეგრელოშიაც.

მიიღო თუ არა დავით დადიანმა სამეგრელოს მმართველობა, იმან პირველსავე წელს მიაქცია ყურადღება სამეგრელოს სამღვდელოების ამგვარ მდგომარეობას და სასულიერეთა დამოკიდებულება მებატონეთაგან მოსპო თავის სამთავროში შემდეგი უქაზით უზენაეს სასამართლოსადმი:

მეგრელიის უზენაეს სასამართლოს.

ღირს პატივის-ცემა სახლისადმი უფლისა და მის გამო დაუფასებელი კეთილობა ვალად სდებენ ჩვენ ზედა, რათამცა სამღვდელონი, ვითარცა მსახურნი საკურთხევლისანი, იყვნენ ჩემს სამფლობელოს შინა თავისუფალნი მონებისაგან მებატონეთასა. ამისათვის ყოველნი სამღვდელონი მიიღებენ დღეიდამ თავისუფლებას შემდგომთა საფუძველთა ზედა: ა) სამღვდელოთა მათ ეძლევისთ თავისუფლება ერთად მათითა შვილებით, რომელნიცა იშვებიან ამა ათას-რვაას-ორმოცდა ერთის წლიდან; ბ) შვილნი მღვდელთანი, ამა წლამდე შობილნი, სურვილისაებრ მათისა შესვლად სამღვდელოდ ვისდაცა უნდა კუთვნილ იყოს, პირადის თავის დახსნისათვის მოვალე იქნებიან მისცენ თავიანთ მებატონეს ოცდა-ხუთი მანეთი, მაშინ ოდენ უნდა მიეცესთ მათ თავისუფლება თავიანთ მებატონეთაგან და აქვსთ ნება შევიდნენ სამღვდელო წოდებაში; ხოლო იმ შვილთა სამღვდელოთაგანთა, რომელნიც შობილნი არიან ჩყმა-სა წლამდე და არ მდგომარეობენ სამღვდელო ხარისხოვანებასა შინა დაშთებიან სრულსა მფლობელობასა შინა მებატონეთასა და ადგილმამულნი და ყმანი, რომელნი მოპოებულ არიან განთავისუფლებულთა სამღვდელოთა მიერ უნდა დაშთეს მათსა კუთვნილობასა შინა, ხოლო სხვანი ადგილ-მამულნი და ყმანი, რომელნი მისცემიათ მათ ან მებატონეთ მიერ ანუ სხვათა სახითა ზესულან მათსა სარგებლობასა შინა მებატონეთ განკარგულებისამებრ ან წოდებასა ქვეშე მემკვიდრეობისათა ეპყრათ მათ, შეირაცხებიან საკუთვნელად მებატონეთასა და რომელთა სამღვდელოთა ექნებათ მათზედ მდგომარეობა ანუ სარგებლობა თანამდებ არიან აძლიონ მებატონეთა ყოვლისა გამოსვლისა ათის თავი; ე) შენობანი სახლკართა ვითარ აქვსთ სამღვდელოთა მათ ეგრეთვე ეკუთვნიან მათ შეუხებლად ვისამე პირისა; ვ) ესრეთსა საფუძველთა ზედა მიეცათ რა თავისუფლება სამღვდელოთა, სხუებრ ვერ განვლიან ამათ ჩვენის მთავრობრივის დამოუკიდებლობისაგან იგინი თანამდებარიან ეგნენ მფლობელობასა შინა სწორეთ იმ სახით, ვითარცა სხვანი ქვეშევრდომნი ჩვენნი თავისუფალისა მდგომარეობისანი. განკარგულებისა ამის ჩვენისათვის ვაცნობებთ რა მეგრელიის უზენაესს სასამართლოს წინადაუდებ რათა ცხად-ჰყოს ესე ყოველთა მათდამი მისდამიცა ჯერ არს, ხოლო საჭირო შემთხვევათა შინა იხელმძღვანელოს. ამინ.

მმართველი მემკვიდრე მეგრელიისა **დ ა ვ ი თ დ ა დ ი ა ნ ი.**

№ 300 კვ იანვრის ჩყმა-სა წელსა, ზუგდიდი.

მთავრის საქმეებიდან, რომელნიც არიან დაცულნი ქუთაისის გუბერნიის სამმართველოში, ჩანს:

სამეგრელოს ეპისკოპოსი გიორგი გარდაიცვალა 1842 წ., თანახმად უმაღლესი ბრძანებისა იმავე წლის 14 ნოემბრიდან ცაგერის არხიმანდრიტი ანტონი ეკურთხა სამეგრელოს ეპისკოპოსად სიონის სობოროში 1843 წ. 14 თებერვალს, ხსენებული ეპისკოპოსი გარდაიცვალა 1852 წ. 9 დეკემბერს და დაასაფლავეს 19 დეკემბერს დავით მიტროპოლიტმა, გურიის ეპისკოპოსმა ექვთიმემ და აფხაზეთისა გერმანემ.

მთავარმა ითხოვა ეკურთხებიათ მის ადგილზე ცაიშის არხიმანდრიტი ზაქარია, მაგრამ სანამ ნამესტნიკს ამაზე ქაღალდი მიუვიდოდა, ისიდორე ექზარხოსს იგი უკვე წარედგინა სინოდში კანდიდატად და შემდეგ 1853 წელს, 7 ივნისს, იგი ხელ-დასმული იქნა სამეგრელოს ეპისკოპოსად სიონის სობოროში.

ზაქარია ეპისკოპოსი გარდაიცვალა სალხინოს სასახლეში 15 მარტს, 1854 წელსა.

8 სექტემბერს, 1854 წელს მის ადგილზე ხელ-დასმულ იქმნა სამეგრელოს ეპისკოპოსად არქიმანდრიტი თეოფანე[1].

თავად-აზნაურები

მოაზნაურე არა-აზნაურები არ უყვარდა მთავარს.

თეკლათელმა ნიკო გრიგოლიამ, წმინდა გიორგის კავალერმა, დავითს თხოვნა მიართვა, რომელშიაც თავი აზნაურად მოიხსენია. თხოვნაზე დავითმა დასდვა რეზოლიუციად, რომელიც გაეგზავნა მაზრის მდივანბეგს: ძთხოვნელს გადახდეს ათი მანეთი უზენაეს სასამართლოს ქაღალდისა და ფელნის ფასად და გამოეცხადოს ახალი თხოვნა შემოიტანოს, სადაც აზნაურად არ იხსენიებდეს თავს.

ანდრი ხუხუნს, რომელსაც მსგავსივე თხოვნა მიურთმევია, მთავარმა გაუჩინა 50 წკეპლა. ხუხუნი დასჯიდან როსტომ ჩიქვანმა იპატივა, მაგრამ სამაგიეროდ იმას ათი სტაქანი წყალი დაალევიეს და „ალაიაში“ გარონინება გადაწყვიტეს. „ალაიაში“, ე. ი. ზუგდიდის ალლეიაში გაატარებდნენ, იმას, ვინც რამე სამარცხვინო საქმეს ჩაიდენდა.

ერთმა ვიღაც მელიამ ქაქუჩია თოფურიას თხოვნა დააწერია დადიანის მისართმევად. თხოვნაში თოფურიამ მელია აზნაურად მოიხსენია. დადიანმა მისცა ბრძანება მაზრის მდივანბეგს თხოვნის დამწერს თოფურიას ჯარიმა გადახდოდა და თხოვნის მიმრთმევს მელიას ზურგზე საგზალი აეკიდნა და კატორღაში წასულიყო სამუშაოდ. კატორღად იხსენიებოდა ქაშინ არხის გაყვანა ცაიშიდან ცივის ტოტამდის.[2]

აზნაურობის წოდების გაცემაზე დავითი ერთობ ხელმოჭერილი კაცი იყო. მთელ მის მთავრობაში იმან მარტო სამ კაცს მისცა აზნაურობა:

---

[1] გვარად გაბუნია იყო.—ს. ც.
[2] ბესარიონ ხოფერიასაგან განაგონი.

დათაია ჭედიას, გიორგი ხაბურზანიას და ბობოხიძეს. უკანასკნელს მთავრის მემკვიდრის ნიკოს აღზრდისათვის. აზნაურობა მის დროს ერთობ ღარიბი იყო და დასუსტებული. 1850 წელს, როცა ქუთაისში აპირებდა ჩამოსვლას მემკვიდრე ცესარევიჩი, დავითმა მასთან წარსადგენად მოიწვია: 53 თავადი და მარტო 9 აზნაური, ეს აზნაურნი იყვნენ: ზალიკა, სიკო და გიგო კორძაიები, გლახუა ახვლედიანი, მეთოდე ხოშტარია, ივა გაწერელია, ლომკაცი გუგუშვილი, ფილიპე იოსელიანი და ნიკო ხოფერია.[1]

1831 წელს მთავარ-მართებელმა პასკევიჩმა იშუამდგომლა ხელმწიფის წინაშე განესხვავებიათ სამეგრელოს ხალხი ბაირაღით იმ მონაწილეობისათვის, რომელიც მიიღეს მეგრელებმა თურქებთან ომში, ხელმწიფემ დაამაყოფილა ეს შუამდგომლობა და უბოძა მეგრელებს ბაირაღი შემდეგი გრამოტით:

წყალობითა ღვთისათა ჩვენ, ნიკოლოზ პირველმა, იმპერატორმა და თვითმპყრობელმა რუსეთისამა და სხვათა და სხვათა და სხვათა ჩვენს სამეგრელოს ხალხს.

იმ გულმოდგინეობამ და ვაჟკაცობამ, რომელიც გამოიჩინა სამეგრელოს ხალხმა 1828 და 1829 წლების განმავლობაში წარმოებულ ომში ოტომანის პორტას წინააღმდეგ, მიიპყრო ჩემი განსაკუთრებული მოწყალება ამ ხალხისადმი და ამის აღსანიშნავად მე უმოწყალესად მიბოძებია მისთვის ამასთან ერთად წარმოგზავნილი საპატიო დროშა და გვიბრძანებია: ეს დროშა, როგორც ნიშანი ჩვენი ხელმწიფებრივის ყურადღებისა სამეგრელოს ხალხის ერთგულებისა და სამსახურისათვის, სამეგრელოს ხალხმა ლაშქრობის დროს უნდა ატაროს, თუ ვინიცობაა კიდევ მოუხდა გალაშქრება ჩვენის იმპერიის წინააღმდეგ ამხედრებულ ხალხზე.

ვგიებთ ჩვენის იმპერატორებითის მოწყალებით კეთილგანწყობილი ამ სახლისადმი, „ნ ი კ ო ლ ო ზ ი“.

ალექსანდრია, პეტერჰოფის მახლობლად 1831 წ. ივნისის 25.

ბარონ როზენის განკარგულებით ეს ბაირაღი და გრამოტა უნდა ყოფილიყვნენ დაცულნი სამეგრელოს მთავრის სასახლეში.[2]

XVI

ვაჭრობა. ვაჭრები. იარმარკები. სავაჭრო ადგილები. მრეწველობა. აბრეშუმის ქარხანა.

დავით დადიანი ძალიან მონდომებული იყო სამეგრელოში ვაჭრობა განევრცო და ვაჭრებს დიდად მფარველობდა. მისი დროის თავი ვაჭრები იყვნენ: ცხაკუნია და აბრამა მიხაილაშვილები, დათაია და ერისთო ჭედიები, გიგო ჯანუაშვილი, ოსმან შერ-ოღლი, ხუშუტ საინ-ოღლი[3]. უფრო უმეტესად სამეგრელოში თურქები ვაჭრობდნენ.

ვაჭრობა უფრო სტამბოლთან ჰქონდათ გამართული. დათაია ჭედია მომეტებულ ხანს სტამბოლს იყო და რასაც აქედან ვაჭრები შეუთვლიდნენ იმას გზავნიდა. სამეგრელოდან გაჰქონდათ სტამბოლს: აბრეშუმი, ხელის მარცვალი, თაფლი, თაფლის სანთელი, ტყავი.

---

[1] Дело канц. Вл. Мингрелии, № 1027.

[2] ამჟამად ინახება ზუგდიდის სახ. ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში.—ს. ც.

[3] ორი უკანასკნელნი ლაზები იყვნენ—შელია და სანაია.—ს. ც.

სავაჭრო ადგილები იყვნენ: ზუგდიდი, სენაკი, სუჯუნა, ლაილაში, ანაკლია, ყულევი.

იარმუკები დავითის დროს იმართებოდა: სენაკს — ფერისცვალების კვირაში, ცაგერს — ენკენობას, ჯვარში—გიორგობისთვის 10-ს, ხობში—მარიამობის თვის 15-ს.

სავაჭრო ადგილებში და იარმარკებზე, გარდა გარედან მოტანილი საქონლისა, იყიდებოდა: აბრეშუმი—რა მოიწევდნენ, ივნისსა და ივლისში; აბრეშუმის ნაქსოვი—შემოდგომაზე; ბეწვეულობა—ზამთარში, დეკემბერში, იანვარში და თებერვალში; სიმინდი—გაზაფხულზე; ღომი—ზამთარში; თამბაქო — ზამთარში; სანთელი — მარტში. ეს ცნობები არის მოთავსებული დავით დადიანის უსტარში, რომელზედაც არის ლაპარაკი ამ წიგნშივე სოფლის მეურნეობის აღწერაში.

დავით დადიანს ვაჭრობიდან შემოსავალიც კარგი ჰქონდა მისი დროის კვალობაზე. გოგისა ყიფიანს ზუგდიდის, ანაკლიის და ყულევის ვაჭრებისაგან შემოსული კაპიტალი ებარა,— ის ახდევინებდა ვაჭრებს დაწესებულ გადასახადს;

გიგო გობეჩიას ებარა სენაკის კაპიტალი. ამას წლის თავზე შემოუვიდოდა 5-6 ათასი მანეთი.[1]

ვაჭრობის მფარველს, დავით დადიანს დაზარალებული ვაჭრები დიდად ებრალებოდა,: ერთხელ ვიღაც გაკოტრებულ ვაჭრისთვის ხელის მოსამართავად დავით დადიანმა უბრძანა სახლთ-უხუცესს დიდი წვეულება დაჰ სადილი გაემართა. ამ სადილზე დადიანმა ხელის-მოწერა ჩამოურიგა წვეულებს. ყველამ შესწირა რამდენიმე, გარდა მდივანბეგის ვახტანგ ჩიქვანისა.

— მე თუ გიყვარდე, მოაწერე რამე უბრძანა დადიანმა.

— არა, თქვენ ნუ მომიკვდეთ, ჩვენ თითონ იმდენი ღარიბები გვყავს, რომ ვერ აუდივართ.

— მოაწერე მეთქი!

— არ მომიკვდეს შენი თავი.

— როგორ თუ არა, გაიყვანეთ აქედან, გაზი, გაზი...

წვეული სადილიდან გააგდო, მდივანბეგობა ჩამოართვა და სოფელში გაგზავნა.[2]

მრეწველობასაც მიჰყო ხელი დავით დადიანმა, მაგრამ, საცა გარშემოზღუდული პირობები ხელს არ უწყობენ მრეწველობას, იქ მარტო სურვილს, თუნდ მთავრისას, ან რა უნდა გაეკეთებია.

1848 წელს მთავარმა მოიწვია ზუგდიდს გრაფი როზმორდუკი, ტომით ფრანგი. ამან თან მოიყვანა აბრეშუმის ამოღებაში დახელოვნებული

---

[1] გიორგი გელოვანისაგან განაკონი.

[2] სახლთუხუცესის დათა ჩიქვანისაკან განაგონი.

ფრანგის ქალები და გამართა ზუგდიდში ქარხანა. 1852 წელს ამ ქარხანაში 15 მეგრელი ქალი მუშაობდა. ქარხანამ დაამუშავა 1851 წ. 13 ფუთი ძაფი, რომელიც გაიყიდა ლიონში ფუთი 250 მანეთად.[1] 1852 წელს ქარხანამ დაახვია 30 ფუთი ძაფი. მთავარი დიდად ხელს უწყობდა აბრეშუმის მოწევას. ეს ახალი საქმე იყო ჩვენს მხარეში და თვით მთავარმართებელმა თავ. ვორონცოვმა მიაქცია ყურადღება ამ წარმოებას. იმ ანგარიშში, რომელიც მთავარმართებელმა წარუდგინა ხელმწიფეს 1849—1851 წლებში შემდეგს ვკითხულობთ:

„სამეგრელოს მთავარმა დავით დადიანმა დიდად ხელი შეუწყო აბრეშუმის მრეწველობას იმით, რომ ერთს პატივცემულ, საფრანგეთის ქვეშევრდომს გრაფ როზმორდუკს სამეგრელოს მთავარ დაბაში, ზუგდიდში, მოუწყო სამაგალითო ქარხანა, რისთვისაც როზმორდუკმა გამოიწერა რამდენიმე ფრანგი ქალი, ეს ორი წელიწადია, ამ მრეწველობას დიდი სარგებლობა მოაქვს. აღსანიშნავია ისიც, რომ ზოგი ამ ფრანგ ქალთაგანი აქაურებს გაჰყვა ცოლად, და ეს უეჭველია ხელს შეუწყობს ხალხში უფრო გავრცელდეს აბრეშუმის ამოღების გაუმჯობესებული ხერხები.“[2]

სამწუხაროდ, არც ამას და არც არყის გამოსახდელ ქარხნებს, რომლებიც დავით დადიანმა ააგო ზუგდიდში და სალხინოში, დიდხანს არ უარსებნიათ.

XVII

დავით დადიანის გარდაცვალება და დასაფლავება. ეკატერინე დედოფლის მმართველად დანიშვნა.

თავადმა, გრიგოლ დადიანმა მიამბო:

დიდი მარხვა იყო. დავითი, ჩემი ძმა, კაბინეტში იჯდა ზუგდიდს და რაღაცას წერდა. ხელიდან კარანდაში გაუვარდა, დასწვდა, აიღო და რომ აიხედა, კარი გაიღო და კაბინეტში დავით მიტროპოლიტი შემოვიდა, რომელიც დიდი ხნით გარდაცვლილი იყო. აჩრდილი მიუახლოვდა მთავარს, დაჰკრა მხარზე ხელი და უთხრა;

— დავით, მაისის თვეში უნდა წამოხვიდეო და გავიდა. დავითი წამოდგა, გაიხედა გარეთ და ჰკითხა მოსამსახურეს:

— აქედან ხომ არავინ გასულა?

პასუხად რომ მიიღო, არავინ გასულაო, გაჩუმდა და არავის არა უთხრა რა მოჩვენებაზე.

მაისი რომ გავიდა, დავითმა ეს ამბავი მე მითხრა.

— არაფერია, მაისში მოკვდებიო, გითხრა მიტროპოლიტმა, მაგრამ ის კი არ უთქვამს, რომელ მაისში უნდა მოხდეს ეს—დავაიმედე მე.

ეს ამბავი მიამბო მე დავითმა ჭანის-წყლის პირად, საცა დავისვენეთ გორდიდან ზუგდიდს მიმავლებმა.

---

[1] Дело канц. влад. Мингрелии, 1852, № 1443.

[2] Акты Кавк. арх. ком. т. X, гз. 886.

ვორონცოვს მოეწერა მისთვის, წაეყვანა სოხუმს სამეგრელოს მილიცია და მთავარი მიეჩქარებოდა ზუგდიდს, რომ აქ გამოეწყო ჯარი. მაგრამ დაეწია იმას შიკრიკი, რომელმაც მოუტანა ამბავი, რომ მილიციის გაგზავნა არ შეიქნა საჭირო. მთავარი მაინც წავიდა ზუგდიდს და რომ აქედან ამობრუნდა გორდს, ავად გახდა მუცელ-კეთილით.

17 დღე იყო ავად, ქუთაისის გუბერნატორმა გაგარინმა თავისი ექიმი გამოუგზავნა და ავადმყოფი მორჩა, ფერისცვალებისათვის მთავარმა მოიწვია გორდს ანტონ ჭყონდიდელი და ეპისკოპოსი იმერეთისა გერმანე. სწორედ ამ დღეს მთავარი ხელ-ახლა გახდა ავად და 30 აგვისტოს 1853 წ. გარდაიცვალა გორდის[1] სასახლეში.

მთავრის ძმამ გრიგოლ დადიანმა, ეკატერინე დედოფლის მინდობილობით, შემდეგი სიტყვებით აუწყა მთავრის გარდაცვალებაზე სამეგრელოს საზოგადოებას.

„მწუხარე და მგლოვიარე მთავრინა მენგრელიისა ეკატერინე ალექსანდრეს-ასული და სახლი ესე სამთავრო გაცნობებთ: რომელს ესვიდა დიდებად თვისად სამეგრელო, მთავარი მისი დავით დადიანი გარდაიცვალა თვესა აგვისტოსა ოცდაათსა. პოლკოვნიკი გ რ ი გ ო ლ დ ა დ ი ა ნ ი“.

სამეგრელოს ეპისკოპოსმა ზაქარიამ დაუგზავნა ოდიშ-ლეჩხუმის სამღვდელოებას ცირკულიარი, რომლის ნიმუში ვნახე მე ცაიშის ეკლესიაში.

„ბლაღოჩინის თანამდებობის აღმასრულებელს მღვდელს მიხაილ მეუნარგიას[2]

მთავარი ჩვენი დავით დადიანი გარდაიცვალა დღევანდელს რიცხვში, რაზედაც თქვენ გაცნობებთ რა, წარმოგიწერთ თქვენის საბლაღოჩინოდან წამოიყვანოთ ათი მღვდელი ფილონით და ოლარითა, მოხვიდეთ გორდს ერთად. აუცილებლად სამს .რიცხვსა სექტემბერსა, ხუთშაბათ საღამოს. მეგრელიის ეპისკოპოსი ზაქარია. 30 აგვისტო 1853 წ.“

ამგვარი წერილები დაიგზავნა სოფლითი-სოფლად მთელს ოდიშ-ლეჩხუმში და გასვენების დღეს მარტვილის გზაზე შეკრბა ურიცხვი საზოგადოება, სოფელ-სოფელ ჩამწკრივებული განუწყვეტელის ლენტად გორდიდან მარტვილამდის. როცა პროცესია, რომელსაც მიუძღოდა წინ ფეხით სამეგრელოს ეპისკოპოსი და სამღვდელოება, მიუახლოვდებოდა თუ არა რომელსამე სოფელს, ამ სოფლის მკვიდრნი იტყოდნენ ზარს,— იმართებოდა ჩვეულებრივი ტირილი.

* * *

დავით დადიანი დასაფლავებულია მარტვილის ტაძარში. მის საფლავს შემდეგში მისმა ქვრივმა ეკატერინემ დაადგა მშვენიერი ძეგლი. საფლავს

[1] ნ. ნიკოლაძე თავის მოგონებებში შეცდომით აღნიშნავს თითქოს დავითი თბილისში გარდაცვლილიყოს და ქუთაისში ჩამოესვენებოთ. იგი შეცდომაში შეჰყავს, ალბათ, ამ მომენტთან დაკავშირებულ იმ გლოვის წესებს, რაც იმერეთის მიტროპოლიტმა დავითმა. წერეთელმა, დავ. დადიანის ბიძამ) ჩაატარა მაშინ ქუთაისში (იხ. ნ. ნიკოლაძე, ტ. I, (გვ 24).

[2] მ. მეუნარგია—1824—1904 ამ წიგნის ავტორის—იონა მეუნარგიას მამა.—ს. ც.

ადევს მარმალილოს ფიქალი, რომელს ზემოთ მშვენივრად გალესილ მრგვალ სვეტებზე არის აყვანილი მარმარილოსვე ბალდახინი. ბალდახინის შუა ადგილზე არის ჩამოშვებული საუკუნო ლამპა. იმ კედელზე, რომლის ახლო არის აყვანილი ეს ძეგლი გაკრულია მარმარილოს ფიცარი შემდეგი ქართულ-რუსული წარწერით:

„მფლობელი სამეგრელოისა მთავარი დავით ლევანის-ძე დადიანი იშვა კბ-ს იანვარს ჩყიგ-სა წელსა, აღსრულდა ლ-ს აგვისტოს ჩყნგ-სა წელსა".

„აჰა ესერა ღმერთი შემწე ჩემდა და უფალი შემწყნარებელ სულისა ჩემისა". ფს. ნგ.

„Помянбсуне уфалоо сулиа Шесвенебулисаа Моніса амиса Шениса"—„Владетель Мингрелии, Князь Давид Леванович Дадиани родился 26-го января 1813 года, скончался 30-го августа 1853 года".

„Се Бог помошник мой и Господь заступник души моея".

„Помяни господи душу усопшаго раба твоего".

დავით დადიანის გარდაცვალების გამო კავკასიის მთავარმართებელმა მ. ს. ვორონცოვმა ხელმწიფე იმპერატორს 20 სექტემბერს 1853 წ. შემდეგი მოხსენება გაუგზავნა:

„წარსულ აგვისტოს 30-ს გარდაიცვალა სამეგრელოს მთავარი თავადი დავით დადიანი. უქვეშევრდომილესად მოგახსენებთ რა ამას თქვენს იმპერატორებითს უმაღლესობას, ჩემს თავს მოვალედ ვთვლი დავსძინო, რომ თანახმად იმ გრამოტისა, რომელიც თქვენ, უმოწყალესო ხელმწიფეო, უბოძეთ სამთავროს, მემკვიდრეობა ეკუთვნის მის უფროს შვილს ნიკოლოზს, მაგრამ რადგან იგი ჯერ 7-ის წლისაა და საჭიროა, როგორც იმისთვის მზრუნველი, ისე მმართველები სამთავროს სამართავად, სანამ სრულწლოვანი გახდებოდეს, მე ვკადნიერდები მოგახსენოთ უქვეშევრდომილესი ჩემი აზრი. რათა იმნაირადვე, როგორც იყო განსვენებულის ბებიის, ნინოს დროს და აგრეთვე როგორც იყო გურიაში 1827 წ., როცა გურიის მთავრის თავ. მამია გურიელის გარდაცვალების შემდეგ, სანამ მემკვიდრე სრულწლოვანი არ შეიქმნებოდა, დაწესდა საბჭო თავადის სოფიო გიორგის ასულის თავმჯდომარეობით, ახლაც განსვენებულის თავ. დავით დადიანის მეუღლე, თავადი ეკატერინე ალექსანდრეს ასული, ყოვლად ღირსეული ზნეობრივის თვისებებითა, ჭკუითა, აზრ-შეხედულებითა, დაინიშნოს შვილის მზრუნველად და სამეგრელოს დედოფლად, სანამ შვილი 20 წლისა გახდებოდეს, ეკატერინეს დასახმარებლად და რჩევისათვის დაენიშნოს: ძმები განსვენებულისა პოლკ. თავ. გრიგოლი და მისი იმპერატორობითის უმაღლესობის ხელმწიფის მემკვიდრის პოლკის როტმისტრი თავ. კონსტანტინე დადიანი და ჭყონდიდელი ყოვლადსამღვდელო ზაქარია.

ამ ჩემს მოხსენებას თქვენს იმპერატორობითს უმაღლესობას ფეხქვეშ გავუგებ და გამოვითხოვ თქვენს უმოწყალესს ბრძანებას, უბოძოთ ინვენსტიტურა განსვენებულის უფროსი ვაჟის და მისი კანონიერი მემკვიდრის, თავ. ნიკოლოზის სახელობაზე. ვკადნიერდები ამას დავსძინო თხოვნა: უკეთუ თქვენ, უმოწყალესო ხელმწიფეო კეთილს ინებებთ და დაამტკიცებთ ნიკოლოზის დედას, თავად ეკატერინე დადიანს, თავის შვილის მზრუნველად და სამეგრელოს დედოფლად, უმოწყალესად უბოძოთ წმ. მთავარმოწამის ეკატერინეს პირველი ხარისხის ორდენის კავალეროსანი დამობა.

ეს უმდაბლესად მირთმეული მოხსენებანი სავსებით ეთანხმებიან სიკვდილის წინათ გამოთქმულ სურვილს მთავრის დავით დადიანისას, რომელიც თავის სიცოცხლის უკანასკნელ წამამდე აღივსებოდა ცხოველის სურვილითა განემტკიცებინა თვისნი ქვეშევრდომნი წმინდა სარწმუნოებაში, რომელიც მტკიცე კავშირია სამეგრელოსი მართლმადი-

ფებელ რუსეთთან, ეს ნათესაობა უფრო გაეძლიერებინა და თავიანთ ქვეშევრდომთა-თვის ჩაეგონებინა იგივე გრძნობანი რუსეთის ტახტისადმი უქვეშევრდომლეს ერთგულებისა, რომლითაც იგი მარადჟამ იყო გამსჭვალული."[1]

ამის პასუხად თ. ვორონცოვს მოუვიდა შემდეგი წერილი ჩერნიშევისა 8 ოქტომბრიდან 1853 წლისა.

ხელმწიფე იმპერატორმა წაიკითხა თქვენის ბრწყინვალების უქვეშევრდომილესი რაპორტი წარსულ სექტემბრის 20, № 887, სამეგრელოს მთავრის, გენერალ-მაიორის დავით დადიანის გარდაცვალების შესახებ, თანახმად თქვენი მოსაზრებისა უმოწყალესად კეთილინება და ბრძანა: რადგან მთავრის მემკვიდრე, უფროსი შვილი მისი, თავ. ნიკოლოზი, მცირეწლოვანია, განსვენებულის ქვრივი, თავადი დადიანისა დაინიშნოს მზრუნველად შვილისა და სამეგრელოს დედოფლად, სანამ შვილი 20 წლისა გახდებოდეს, დამხმარეებად და მრჩევლებად მიეცეს განსვენებულის ძმანი, რომლებიც იმყოფებიან ცალკე კავკასიის კორპუსთან: ლეიბგვარდიის-პრეობრაჟენსკის პოლკის პოლკოვნიკი თავ. გრიგოლ დადიანი და მისი იმპერატორებითი უმაღლესობის ხელმწიფის მემკვიდრის ატამანის პოლკის როტმისტრი თავ. კონსტანტინე დადიანი, აგრეთვე ყოვლად სამღვდელო ჰყონდიდელი ზაქარია. ამასთანვე მისი იმპერატორებითმა უმაღლესობამ კეთილინება ებრძანებინა საინვენსტიტურო გრამოტა გადაიგზავნოს თავ. ნიკოლოზ დადიანის სახელობაზე.

ამასთან ერთად ხელმწიფე იმპერატორმა თვისის კეთილგანწყობილების აღსანიშნავად დადიანის მიმართ, უმოწყალესად ინება უბოძოს მას დიდი მოწამის წმ. ეკატერინეს კავალერ-ქალის პირველი ხარისხის ორდენი[2].

*

* *

დავით დადიანს დარჩა სამი შვილი: ნიკოლოზ, შემდეგში სამეგრელოს თავადი (დაიბ. 1847 წ. 4 იანვარს, გარდაიცვალა 1903 წ. 24 იანვ.), სალომე, შემდეგში პრინცესსა მიურატისა (დაიბ. 1848 წ. 20 ივლ. გარდაიცვალა 1913 წ. 10 ივლისს) და ანდრია, შემდეგში თავადი დადიანი სამეგრელოისა (დაიბ. 1850 წ. გარდაიცვალა 1910 წ.), ამათ გარდა, იმასვე ყავდა და სიცოცხლეშივე დაეხოცა შვილები: მართა (დაიბ. თებ. 1840 წ. გარდ. იმავე წელს), ლევან (დაიბ. 17 თებ. 1842 წ., გარდ. 1844 წ. 28 აპრილს), ალექსანდრე (დაიბ. 22 მარტს 1843 წ., გარდაიცვ. იმავე წელს 15 დეკ.) და თამარი, უმრწემესი მისი შვილი, პეტერბურგში გარდაცვლილი (1853 — 1860)[3].

---

[1] Акты Кавк. арх. ком. т. X. гл. 261.

[2] Акты Кавк. арх. ком. т. X. гл. 262.

[3] კიდევ ჰყოლია—ნინო (1845 9/I—1848 8/VIII).—ს. ც.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეკატერინე ჭავჭავაძე-დადიანისა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეკატერინე ჭავჭავაძე-დადიანისა

სამეგრელოს ყოფილი მფლობელი, უგანათლებულესი თ-დი ეკატერინე ალექსანდრეს ასული დადიანისა, საქართველოს უკანასკნელი დედოფალთაგანი, რომლის დაკარგვას ახლაც დასტირის მთელი სამეგრელო,—შთამომავლობით ეკუთვნოდა ქართველ თავად ჭავჭავაძეთა გვარს. ის იყო შვილის-შვილი ერეკლე მეორეს მეფობისდროინდელ ცნობილი სახელმწიფო მოღვაწის თ-დ გარსევან ჭავჭავაძისა, რომლის სახელიც დაკავშირებულია საქართველოს რუსეთთან შეერთების ისტორიასთან, და ქალი უნიჭიერესი ქართველი პოეტის ალექსანდრე ჭავჭავაძისა, რომელიც ახალი ქართული მწერლობის ერთ-ერთი დამაარსებელთაგანია.

საქართველოში დედოფლის თანამედროვე ქალთაგან იშვიათად თუ ვინმე აღზრდილა იმგვარ ბედნიერ წრეში, როგორშიაც იზრდებოდა სამეგრელოს მომავალი დედოფალი.[1] იგი დაიბადა 1816 წლის 19 მარტს — საქართველოს შინაური მდგომარეობის სრულ აღრეულობისა და მოუწესრიგებლობის ხანაში, როცა აღზრდა ბავშვებისა და განსაკუთრებით ქალთა სქესისა ნაკლებად იპყრობდა ქართველთა ყურადღებას. ერეკლეს გაუთავებელმა ომებმა, აღა-მაჰმად-ხანის შემოსევამ, რუსთა შემოსვლამ საქართველოში და ამის შედეგად ბატონიშვილთა მიერ ტახტის დაბრუნების ცდებმა, კახეთის აჯანყებამ და მცირე დროის განმავლობაში სხვა, მსგავსმა ერთიმეორის მომდევნო ამბებმა, საისტორიოთ შესაფასებელი ქართველი ბალხის ჩვეულებრივი ისტორიული ფიზიონომია და მის საზოგადოებრივ ცხოვრებას მისცეს რაღაც დროებითი ხასიათი.

ამგვარმა გაურკვეველმა მდგომარეობამ შესაბამისი გავლენა მოახდინა ბავშვთა აღზრდის ერთადერთ წყაროზე—ოჯახზე. ის თანდათან დაშორდა აღზრდის იმდროინდელ ტრადიციებს, ეერც ამ ახლად მოვლენილი ცივილიზაციის საშინაო ქცევის წესები აითვისა და ამგვარად, ახალგაზრდობის აღზრდის მოთხოვნილებას ძალიან სუსტად აკმაყოფილებდა. გამოჩნდნენ აქა-იქ ამ ახალი ცივილიზაციის მხოლოდ გარეგნული მიმბაძველები. ჩაცმულ იქნა პირველი ევროპული ფეხსაცმელი (ботинки), დახურულ იქნა პირველი ევროპული ქუდი (шляпа), შეძენილ იქნა პირველი ეტლი და პირველად იქნა გაწვდილი ხელი, ხელის ჩამოსართმევად. ამ რეფორმების მომსწრენი და მოწმენი დღემდისაც სიამოვნებით იგონებენ იმ განვლილ

[1] ასე უწოდებდნენ მეგრელები თავიანთი მთავრის მეუღლეებს.

დღეებს და ასახელებენ იმ პირველ ადამიანებსაც, რომელთაც გადადგეს ეს გაბედული ნაბიჯები.

მაგრამ სულ სხვა მდგომარეობაში იყო დედოფლის მამის ალექსანდრეს ოჯახი. ალექსანდრე იყო რუსეთის იმპერატორების ეკატერინე მეორისა და ალექსანდრე პირველის ნათლული, იზრდებოდა პაჟთა კორპუსში, იცოდა, გარდა რუსულისა, ფრანგული, სპარსული და ქართული ენები და სამსახურებრივ იერარქიაში ერთი უმაღლესი ადგილთაგანი ეკავა. მისი ოჯახური პირობებიც საგრძნობლად განსხვავდებოდა დანარჩენ თავად-აზნაურთა ოჯახთაგან, ის ყველაზე უკეთესად იყო მოწყობილი. მის ოჯახში იკრიბებოდნენ იმ დროინდელი თბილისის „რუსთა სამხედრო და სამოქალაქო ახალშენის" საუკეთესო წარმომადგენელნი და, სხვათა შორის, მისი ოჯახის ხშირი სტუმარი იყო რუსული ლიტერატურის ისტორიაში უკვდავი პოეტი ა. გრიბოედოვი, რომელმაც შემდეგში ალექსანდრეს უფროსი ქალი ნინო შეირთო. თბილისის ადგილობრივი მოსახლეობა, რომელთა შორის ალექსანდრე გარსევანი-ძეს პირველი ადგილი ეკავა, მის სალონში ეცნობოდა და უახლოვდებოდა პირველ რუს კავკასიელ მოღვაწეებს, ხოლო როდესაც დროთა განმავლობაში საქართველოში გამოჩნდა ევროპული განათლების მქონე პირველი ახალგაზრდები, თავადი ალექსანდრეს სახლი გახდა ცენტრად მის მიერ შექმნილ მცირერიცხოვან ინტელიგენტური წრისა. იმ დროინდელი ქართული მწერლობის მნათობნი: გრ. დ. ორბელიანი, გ. ერისთავი, მ. თუმანიშვილი, ვ. ორბელიანი, ალ. ორბელიანი, ნიკ. ბარათაშვილი და სხვანი, იკრიბებოდნენ მასთან საღამოებზე და კითხულობდნენ თავიანთ პირველ ნაწარმოებთა. თვითონ ალექსანდრე ახალისებდა ამ საღამოებს თავისი შესანიშნავი ლექსებით, რომელთაც, რამდენიმე ხნის შემდეგ, ქუჩებში მღეროდა ქალაქ თბილისის მოსახლეობა.

გასაგებია, თავადის ახალგაზრდა ასული, რომელიც ამგვარ წრეში იზრდებოდა, მიუხედავად დროის საერთო არახელსაყრელობისა, სრულიად დამაკმაყოფილებელ და სასურველ შინაურ აღზრდას მიიღებდა. ფრანგული და რუსული ენები, პირველხარისხოვანი ქართველი და რუსი **პოეტების გაცნობა, საღმრთო სჯული, გალობა, ცეკვა, ლეკური, Savoire viore — აი რას სწავლობდა ის ბავშვობის წლებში. შესანიშნავი და** მრავალფეროვანი ნიჭით დაჯილდოებული, მოძრავი, ტანადი, ლამაზი იგი, მის მიერ მიღებული აღზრდის შედეგად, შეიქნა თავისი თანამედროვე ახალგაზრდობის სათაყვანებელ კერპად. ეკატერინეს გრაცია, ლეკური და სიმღერა ატყვევებდა ამ ახალგაზრდობას და აღაფრთოვანებდა საუკეთესო ქართველ პოეტებს, როგორიც იყვნენ: გრ. ორბელიანი, ნ. ბარათაშვილი, თეიმურაზ ბაგრატიონი და სხვ., რომელნიც თავისი საუკეთესო ლექსებით ამკობდნენ მას.

ბევრი ამ ახალგაზრდათაგანი შემდეგში შეიქნა მისი ხელისმაძიებელი, მაგრამ არც ერთის წინადადება ეკატერინემ არ მიიღო.

მხოლოდ მაშინ, როცა ის უკვე 23 წლისა შეიქნა, კიდევ რამდენიმე ყოყმანის შემდეგ, მისი არჩევანი შეჩერდა უგანათლებულეს თავად დავით ლევანის-ძე დადიანზე.—სამეგრელოს სამთავროს ახალგაზრდა მემკვიდრეზე. ახალგაზრდა, განათლებული, ლამაზი, მთავრის ტახტის მემკვიდრე და კოლოსალური ქონების მფლობელი, თავ. დავით ლევანის-ძე ეკატერინესათვის მართლაც შეადგენდა საუკეთესო პარტიას მისი ხელის ყველა მთხოვნელთა შორის. თავიანთი ასულის არჩევანი მშობლებმა მოიწონეს და 1839 წლის 18 მაისს ეკატერინე ალექსანდრეს ასულმა იქორწინა მისი ხელის მაძიებელზე.

ამ ქორწინებიდან რამდენიმე თვის შემდეგ, თავად დავითის მამამ, სამეგრელოს მფლობელმა ლევანმა მხრებიდან მოიხსნა მთავრის მოვალეობის ტვირთი თავისივე მემკვიდრის სასარგებლოდ. ამგვარად ახალგაზრდა მეუღლენი სამეგრელოს მმართველობის სათავეში აღმოჩნდნენ.

ამ მძიმე საქმეს ეკატერინეც შეუდგა თავისებური ახალგაზრდული მონდომებით. ახალი მმართველობის დასაწყისიდანვე სამეგრელომ ცვლილება იგრძნო მანამდე მასში გაუგონარი რეფორმების შემოღებით, სამეგრელოს უმაღლესი ადმინისტრაციის წარმომადგენელთადმი მიმართვაში, რაც პირველი იყო სამეგრელოს სამთავროს ცალკე არსებობის დღიდან, ე. ი. მე-14 საუკ. დასაწყისიდან, სამეგრელოს მთავარი თავისი ქვეყნის დაბალ წოდებას სცნობდა ადამიანური უფლებების ღირსად, რაც რამდენიმედ მოგვაგონებს განთქმულ „ადამიანის უფლებათა დეკლარაციას". მიმართვის უაღრესად მოფიქრებულ, ზუსტ და გონიერ გამოთქმებში, მთავარი არიგებდა თავის სამფლობელოს ადმინისტრაციულ თანამდებობათა პირებს, რომ ისინი ყოფილიყვნენ ჰუმანიურნი, და თავაზიანნი ხალხთან, შეუმსუბუქონ მას გაჭირვება, მიაწვდინონ სათანადო ცნობები უმაღლეს მმართველობას, რათა დროულად იქნეს მიღებული მკაცრი ზომები მოსახლეობის ქონებრივი უშიშროების დასაცავად. ის, აგრეთვე მოუწოდებდა უმაღლეს ადმინისტრაციას წაეხალისებია ხალხი პატიოსანი შრომისათვის და სხვ. ამასთანავე მთავარმა დააარსა სამეგრელოში უმაღლესი სასამართლო, გააუქმა მოსახლეობის დამარბეველ ბოქაულთა (გადასახადების ამკრეფთა), თანამდებობანი, რომლებიც იასაულებით შესცვალა, ამასთანავე თვითონ გახდა თავის სამთავროს პირველი ფაქტიური მოსამართლე და მინისტრი.

დავით დადიანმა, როგორც მორწმუნე ადამიანმა, ლიტერატურისა და ეკლესიის კეთილმოწყობის მოყვარულმა, განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია ეკლესიის მდგომარეობის გაუმჯობესებას და სხვათა შორის გლეხური წოდებიდან გამოსული მღვდლები გაანთავისუფლა საგადასახადო ბეგარისაგან. ბან აგრეთვე სასახლეში შექმნა უმდიდრესი ბიბლიოთეკა საქართველოში იმ დროს არსებულ ბიბლიოთეკათა შორის.

მან მალე გააფართოვა თავისი მოქმედების გეგმა. მას კარგად ესმოდა

თუ ხალხის კეთილდღეობისათვის რა მნიშვნელობა ჰქონდათ სამეგრელოს ბუნებრივ სიმდიდრეებს, ამიტომ განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია ამ სიმდიდრეთა ექსპლოატაციას; ამ თუთის ხეების ქვეყანაში, სადაც კლიმატური პირობებიც მეტად ხელისშემწყობი იყო მეაბრეშუმეობისათვის, მან მოიწვია მეაბრეშუმე ფრანგი, ვინმე გრაფი რაზმორდუკი და დააარსა აბრეშუმის ძაფსახვევი ქარხანა, რასაც შესანიშნავი შედეგები მოჰყვა.

გარდა ამისა, სამეგრელოს ბუნებრივ სიმდიდრეთა სხვა ქვეყნებში გასატანად და აღებმიცემობის გასაძლიერებლად მან გადაწყვიტა ზუგდიდის მახლობლად მდებარე ონარიის ჭაობიანი ადგილები ზღვასთან შეერთებია არხით, რომელსაც 20 ვერსზე მეტი სიგრძე ექნებოდა, და იქ ნავთსადგური აეგო.[1] ის უკვე შეუდგა ამ აზრის განხორციელებას, მაგრამ უდროო სიკვდილმა არ დააცალა დაწყებული საქმის დაბოლოება. ასევე აუსრულებელი დარჩა მისი სურვილი—ცაიშის მინერალურ წყლებზე აბანოები გაემართნა.

ჩვენ ვლაპარაკობდით ეკატერინეს მეუღლის მოღვაწეობაზე, მის საქმეებზე, ხოლო ჯერ არაფერი გვითქვამს თვითონ დედოფლის მონაწილეობის უნარიანობაზე სამეგრელოს მმართველობის საქმეებში. თქმულება: „მითხარი ვისი მეგობარი ხარ შენ"... ამ შემთხვევაში საუკეთესოა და გამართლებული. დედოფალი იყო უახლოესი მრჩეველი და თანამშრომელი თავისი მეუღლისა ყოველგვარ საქმეში. ის იყო დამამშვიდებელი მისი ფიცხი ხასიათისა და შემაკავებელი მამისაგან მემკვიდრეობით მიღებული სიმკაცრისა, რაც მეღავნდებოდა ზოგიერთ მის სამწუხარო განკარგულებაში. მაგრამ მარტო ამ რჩევითა და კეთილი გავლენით არ ამოიწურებოდა ეკატერინე ალექსანდრეს ასულის მნიშვნელობა. ზუგდიდში აბრეშუმსახვევი ფაბრიკის მოწყობა მთლიანად მისი ინიციატივისა და მეცადინეობის შედეგი იყო. დიდი ჯაფა იყო საჭირო დაერწმუნებინათ ადგილობრივი ქალები, რომ ამ ფაბრიკაში მუშაობა და საერთოდ აბრეშუმის მოყვანა არ იყო არც ქალთა პატიოსნებისა და ღირსების დამამცირებელი და არც რამ შეცოდება ღვთის წინაშე. განსვენებულს თვითონვე მოუხდა შემოვლა მთელი სოფლებისა, რათა გაეფანტა მოსახლეობაში საუკუნოებით დამკვიდრებული ცრუმორწმუნეობანი და დაემტკიცებინა ის აზრი, რომ საფაბრიკო მუშაობაში არა არის რა ქალის პატიოსნებისა ან ღირსების შემლახავი.

დედოფლის პირადი შრომისა და მეცადინეობის ნაყოფია ზუგდიდის სამთავრო სასახლის ის უმშვენიერესი ბაღი, რომლის ბადალი ამ ჟამად მთელ ამიერ-კავკასიაშიც არ მოიპოვება. ზუგდიდი — სამეგრელოს მთა-

[1] ამით ორი დიდი საქმე კეთდებოდა: ჭაობიანი ადგილების დაშრობა და ნავსადგურის მიახლოება ზუგდიდთან 10 ვერსით მაინც 30-ის ნაცვლად. მაშინ მხოლოდ ანაკლიასა და ფოთში იყო ამგვარი „ბუხტები", რომლებიც ზუგდიდიდან 30—40 ვერსით იყვნენ დაშორებულნი. ს. ც.

ქართა ადგილსამყოფელი, რომელიც ამჟამადაც 200 — 300 ხის ქოხის შემცველ უმნიშვნელო დაბას წარმოადგენს, იმ დროს ხომ კიდევ უფრო საწყალი სოფელი იქნებოდა, ათიოდე თუ ოცოდე პაწაწა სახლისაგან შემდგარი. ამ მიყრუებულსა და უდაბურ მხარეს რაიმე სიცხოველე რომ მისცემოდა, დედოფალმა გადაწყვიტა თავისი სასახლის ახლო გაეშენებია საუკეთესო ბაღი, ამისათვის გამოიწერა საჭირო თესლეული და სხვადასხვა მცენარეთა ნერგები ვერსალიდან, მეფე ლუი ფილიპეს სასახლის ბაღიდან და მართლაც გააშენა ისეთი შესანიშნავი ბაღი, რომლის მსგავსი კავკასიაში ჯერ არც კი მოიპოება. ეს ბაღი დააზიანა და ააოხრა ისკანდერფაშამ თურქების უკანასკნელი შემოსევის დროს, მაგრამ იგი თავის მფლობელის მიერ კვლავ აღდგენილი იქნა და დღესაც დამადასტურებელია დედოფლის ენერგიისა და დიდი შრომის მოყვარეობისა.

მაგრამ დიდხანს არ გაგრძელებულა ეს ბედნიერი ცხოვრება დედოფლისა თავის მეუღლესთან. 1853 წლის 30 აგვისტოს სამეგრელოს მთავარი დავითი მოულოდნელად გარდაიცვალა, ეკატერინეს დარჩა საზრუნავად ოთხი მცირეწლოვანი ბავშვი. მათგან უფროსი, ნიკო, კანონის მიხედვით სამეგრელოს სამთავრო ტახტის მემკვიდრე, იყო სულ ექვსი წლისა.

მემკვიდრის მცირეწლოვანებისა გამო ჩვენი მთავრობა, რომელსაც ეკუთვნოდა სამეგრელოს მთავართა უფლების ინვენსტიტურა, იძულებული იყო დაენიშნა სამეგრელოსათვის რეგენტი. არჩევანი მთავრისავე სასახლეზე შეჩერდა. როგორც ჭკვიანი და განათლებული ქალი, დედოფალი, იმპერატორ ნიკოლოზ პავლეს-ძის ნებით დადგენილ იქნა სამეგრელოს დროებით მმართველად ახალგაზრდა ნიკოლოზ დავითის-ძის სრულწლოვანებამდე.

ამ დროიდან იწყება დედოფლის სიძნელეებით აღსავსე პოლიტიკური ცხოვრება. თუმცა პატარა იყო სამეგრელო, რომლის მოსახლეობა ლეჩხუმთან ერთად სულ რაღაც 200 ათასს მოსახლეს შეადგენდა, მისი მართვა მაინც მოითხოვდა სათანადო ცოდნასა და გამოცდილებას, რაც ეკატერინე დედოფალს, რომელიც მაშინ არც კი იყო 40 წელს მიღწეული, არ შეიძლება ჰქონოდა თავისი მმართველობის დაწყებიდანვე.

რასაკვირველია, მცირე მოცულობით, მაგრამ სამეგრელოსათვის, როგორც ცალკე სამფლობელოსათვის, საჭირო იყო საკუთარი სახელმწიფოებრივი წყობილება, თავისი სასამართლო, ადმინისტრაცია, მხედრობა. ეკლესია. ყველა ამ საკითხის მოწესრიგება, როგორც ეს თავიდანვე იყო შემოღებული, დამოკიდებული იყო სამეგრელოს მთავართა პირადნება-სურვილზე.

ამგვარად, დედოფალს დააწვა ისეთი პასუხისმგებლობა, რომელსაც ყოველ წუთში შეეძლო ჩიხში მოემწყვდია თავის მძიმე პროფესიაზე შეჩაღარავებული ყოველი სახელმწიფოებრივი მოღვაწეც კი. მით უმეტეს, როცა მდგომარეობა არც ისე სახარბიელო იყო; დედოფლის განკარგულებაში არ მოიპოვებოდა საკმაოდ განათლებული ადამიანები, რომელთაც

შეეძლოთ ყოფილიყვნენ მისთვის მრჩეველებად და მინისტრებად. უმაღლესი სასამართლო შედგებოდა იმგვარ წევრთაგან, რომელთაც არ ჰქონდათ სახელმწიფო მართვისათვის საჭირო მომზადება, თუმცა ცოტა ოდენი განათლება მოეპოებოდათ. ამასთანავე, დღიდან მეუღლის გარდაცვალებისა, დედოფალს მოუხდა ბრძოლა მთავარ დავითის მმართებლობასთან მტრულად განწყობილ კონსერვატიულ პარტიასთან. ეს პარტია, რომლის სათავეში იდგა ბევრი თავად დადიანთაგანნი და აგრეთვე თავად ფალავების მრავალრიცხოვანი გვარი, იყო ძლიერი და გავლენიანი, და თუმცა აშკარად არ გამოსულა მმართველობის ხელში ჩაგდების პრეტენზიებით, მაგრამ სულ მუდამ ოპოზიციაში ედგა სარეგენტოს და ხელს უშლიდა ყოველი მისი განკარგულებისა და დადგენილების ცხოვრებაში გატარებას.

დედოფალმა თავისი შესანიშნავი საღი გონებისა და ტაქტის წყალობით, დასძლია ეს გზად შეხვედრილი დაბრკოლებანი და სწრაფად გაერკვა მის წინაშე მრავლად წამოჭრილ სიძნელეებში. მეუღლის სიკვდილიდან რამდენიმე ხნის შემდეგ მან შეკრიბა სამეგრელოს თავადაზნაურობა თავ. არჩილ დადიანის სახლში, მარტვილის (სამეგრელოს მთავართა აკლდამის) მახლობლად და აქ, კავკასიის მეფისნაცვლის თანაშემწის თავ. ე. ბებუთოვის თანადასწრებით ზავით შეეკრა თავის ხალხს. ამის შემდეგ ის მხურვალედ შეუდგა ქვეყნის მმართვას: დგებოდა დილის ექვს საათზე და 8-დან 2 საათამდე იღებდა მოხსენებებსა და მთხოვნელებს, 2 საათზე, სადილის დროისათვის ის სწყვეტდა მუშაობას, რომელსაც საღამოობით კვლავ ანახლებდა და ძალიან დიდხანს განაგრძობდა. ხალხში მეტად სასურველი შთაბეჭდილება შეიქმნა. მისი მმართველობით კმაყოფილნი იყვნენ და მისდამი მტრულად განწყობილი პარტიაც, დედოფლის მოხერხებულობით, ტაქტითა და მოვალეობისადმი სინდისიანი დამოკიდებულებით ცოტ-ცოტად განიარაღდა და ხელი აიღო ბრძოლაზე.

ბედნიერება, თითქოს, უღიმოდა ახალგაზრდა დედოფალს. მან გამოიტირა ქმრის დაკარგვა, მიიზიდა თავისი ქვეყნის მოსახლეობის კეთილგანწყობილება და მმართველობის საქმეებსაც შეეჩვია, რომ ანაზდად... დაიჭექა აღმოსავლეთის ომმა. სამეგრელო, როგორც მონაპირე ქვეყანა შავი ზღვისა, რომლის ტალღებზე თავისუფლად დასცურავდნენ რუსეთის საწინააღმდეგოდ შეკავშირებული ევროპის სახელმწიფოების სამხედრო გემები, შეიქმნა ამ ომის დაწყებისთანავე სამხედრო მოქმედების ასპარეზად.

მაშინ კავკასიაში შედარებით მცირერიცხოვანი ჯარი იდგა და ისიც უმაღლესი ბრძანების თანახმად გადაყვანილ იქნა მცირე აზიაში ყარსის გარემოცვისა და აღების მიზნით. ხოლო მტრის შემოსევის საფრთხისაგან რიონის დაბლობის დასაცავად რჩებოდა მეტად მცირერიცხოვანი ძალები. მთავრობამ გადაწყვიტა ეწარმოებინა აქ თავდაცვითი ბრძოლები და ჩაება იმდენი ჯარი, რამდენიც საკმარისი იყო მოსახლეობის დასამშვიდებლად

და, მტრის მიერ დაბლობის დაკავების შემთხვევაში, სურამის უღელტეხილის დასაცავად. არსებული ძალებით, რასაკვირველია, ზედმეტი იყო ფიქრი მტრის მოგერიებაზე, რომელიც 10-ჯერ მაინც სჭარბობდა ჩვენ ძალებს.

1854 წლის 7 მაისს თურქებმა სროლა აუტეხეს რედუტ-კალეს (ყულევს). ეკატერინე ალექსანდრეს ასულს ზუგდიდში, თავის სასახლის აივნიდან ესმოდა თურქების ზარბაზნების გრიალი და ხედავდა სვეტებივით აშვერილ კვამლს, რომელიც სქელ ღრუბლებად აწვებოდა ყულევს. ყულევის აღების შემდეგ თურქების შემოსევა სამეგრელოში და მისი დაკავება გარდაუვალი იყო. ნახევარ საუკუნოვანი დასვენების შემდეგ სამეგრელო იძულებული იყო ეწარმოებინა ომი თავის ძველ მტერთან, რომელიც თავს აბეზრებდა მას მთელი საუკუნეების მანძილზე. თურქების შემოსევამ სამეგრელოს მოსახლეობაში საყოველთაო პანიკა გამოიწვია. დედოფალმა რაზმის მეთაურის განკარგულების თანახმად, შეკრიბა მილიცია, ყოველ კომლიდან თითო კაცი ზუგდიდისა და ჯვარის უბნებში, აგრეთვე, თითო კაცი ათი კომლიდან სამეგრელოს სხვა ნაწილებსა და ლეჩხუმში. ეს მილიცია მან გააგზავნა თავის სამთავროს საზღვრების დასაცავად, თვითონ კი თავისი ბავშვებით ადგილი გადაინაცვლა საზაფხულო რეზიდენციაში, გორდში.

თურქები სწრაფად არ წამოვიდნენ წინ. ისინი დაკმაყოფილდნენ რედუტ-კალეს. აღებითა და მცირე, 2 ათასი კაცისაგან შემდგარი, დესანტის გადმოსხმით სოხუმში, სეფერ-ბეის წინამძღოლობით. არც იმათ ჰყავდათ თავისუფალი ლაშქარი სამეგრელოს დასაკავებლად, ხოლო მცირე ძალებით ვერ ბედავდნენ ქვეყნის შიდა ნაწილებში შეჭრას. მხოლოდ შემოდგომისათვის, სევასტოპოლის დაცემის შემდეგ, მათ მიეცათ ამის შესაძლებლობა. მაშინ გადმოვიდა აფხაზეთში დიდი ძალებით თურქეთის სარდალი ომარ-ფაშა, რომელიც ოქტომბრის თვეში გაემართა სამეგრელოსაკენ აფხაზეთსა და სამურზაყანოზე გავლით.

ჩვენს მხარეზე კი ყველაფერი რიგზე არ იყო. სამხედრო მოქმედების გეგმა შედგენილი თავად ივ. კ. ბაგრატიონ-მუხრანბატონის მიერ, უეჭველად კარგი იყო, რომელმაც იმპერატორ ნიკოლოზ პავლეს-ძის უზენაესი მოწონება მოიპოვა და რომელმაც საკუთარი ხელით ინება მიეწერა მოხსენების ფურცლის ნაპირზე სიტყვები: „ჭკვიანური და მშვენიერია“, მაგრამ უბედურება იმაში მდგომარეობდა, რომ ჩვენი ძალები მეტად განსაზღვრული იყვნენ და მათთვის მძიმე იყო მტრისადმი გამკლავება.

აგვისტოს თვეში სამეგრელოში ჩამოვიდა რაზმის უფროსი ი. კ. ბაგრატიონ-მუხრანბატონი, რომელსაც ცოლად ჰყავდა სამეგრელოს მთავრის დავითის და, ნინო ლევანის ასული. ის იცნობდა სამეგრელოს, ჰქონდა კარგი სამხედრო წარსული და უკეთესად, ვიდრე სხვა რომელიმეს, შეეძლო გამოეყენებია სამეგრელოს ადგილობრივი მილიციის დახმარება. დასტოვა რა ხარაგოულში, სურამის უღელტეხილის დასაწყისთან, არტილე-

რიის ნაწილი და სორტაში, ახალ-სენაკის მახლობლად რეზერვი, თავადი მუხრანბატონი გაემართა ენგურის ნაპირისაკენ და იქ 25 ოქტომბერს შეხვდა მრავალრიცხოვან მტერს ომარ-ფაშის წინამძღოლობით.

ჩვენ აქ დაწვრილებით ვერ გამოუდგებით ომარ-ფაშის ექსპედიციის აღწერას, არც ამ ომის მონაწილე ადამიანთა და ამბების შეფასებას. ჩვენი მიზანია განვსაზღვროთ დედოფლის ამ ომში მონაწილეობის ადგილი. ამ მიზნისათვის ჩვენთვის საკმარისია მივუთითოთ მხოლოდ ზოგიერთ ფაქტებზე.

25 ოქტომბერს თურქებმა გადმოლახეს მდ. ენგური სოფელ კოკის მახლობლად იმ დროს, როდესაც თავადი მუხრანბატონი, მსტოვართაგან შემცდარი, იცავდა მდინარეზე რუსების გადასასვლელს, კოკიდან 15 ვერსით დაშორებულს. შეცდომა გამოუსწორებელი იყო. მუხრანბატონმა დაუყოვნებლივ დაიხია ზუგდიდისაკენ, ხოლო აქედან იმავე ღამეს — რადგანაც იმერეთიდან შემოსვლის შიში ჰქონდა, სოფელ ხეთაზე გავლით გაემართა შიდა სამეგრელოში, მდინარე ცივისა და ტეხურისაკენ.

ხმა, ომარ-ფაშის გამარჯვებისა და თავად ბაგრატიონის უკანდახევის შესახებ, ელვის სისწრაფით მოედო მთელ სამეგრელოს. მთავრის სატახტო ადგილი, ზუგდიდი და ახლო მდებარე სოფლები, მტრებისაგან სრულიად დაუცავნი დარჩნენ. ადგილობრივი მილიცია, რომელიც ჩვენი არმიის რიგებში იყო, გაიბნა და შინისაკენ იჩქაროდა საკუთარი ოჯახის და ქონების გადასარჩენად.

მუხრანბატონის მდგომარეობა მეტად სამძიმო შეიქნა. მან არა მარტო არ მიიღო დამხმარე ნაწილები, რომელსაც ის ელოდა, არამედ დაჰკარგა ის უმნიშვნელო ძალებიც კი, რომლებიც მის განკარგულებაში იყო. ამასთან ერთად ის აშკარად ხედავდა ომარის ძალების უპირატესობას, ჰქონდა სწორი ცნობები მისი ჯარების შეიარაღებაზე და შეგნებული ჰქონდა ისიც, რომ მას თავისი .სუსტი ძალებით არ შეეძლო სამეგრელოს ველებზე მტრებს გამკლავებოდა. თურქები კი გაემართნენ ზუგდიდისაკენ და ის უბრძოლველად დაიკავეს, ხოლო აქედან შიდა სამეგრელოში შეიჭრნენ თავად მუხრანბატონის კვალდაკვალ. ამ მდგომარეობაში მყოფ რაზმის უფროსს შეეძლო მხოლოდ სახიფათო რისკი გაეწია, შებრძოლებოდა ომარს, ან დაეხია უკან უშიშარ ადგილისაკენ, თუ დამხმარე ძალებს მიიღებდა. კეთილგონიერებამ ჩააგონა მას გაეკეთებია უკანასკნელი. მან გადასწყვიტა ცხენის-წყალზე გადასვლა და დაბა ხონში დაბანაკება.

დედოფალმა გაიგო 25 ოქტომბრის დამარცხებისა და ზუგდიდის აღების ამბები ქვაშიხორში, ახალ-სენაკის ახლოს. უაღრესად შეწუხებული ამგვარი მარცხით, ის სწრაფად გაემართა თავად ბაგრატიონის შესახვედრად, რათა მისგან რჩევა ეთხოვა თავისი მომავალი მოქმედების შესახებ. მუხრანბატონმა არ დაუმალა მას საფრთხე, რომელიც სამეგრელოს ემუქრებოდა. მას აუცილებლად მიაჩნდა დედოფლის სამეგრელოდან გასვლა, მისი და მისი ბავშვების სიცოცხლისა და თავისუფლების უზრუნველსაყოფად, და ამიტომ სთხოვდა დაუყოვნებლივ გამგზავრებულიყო თბილისს, ან ქუთა-

ისში, ხოლო სამეგრელოზე მზრუნველობა მიენდო არმიისა და მილიციისათვის, რომელთა ძალებს ვერაფერს შემატებდა ის თავისი იქ ყოფნით. დედოფალი დათანხმდა მუხრანბატონის ამ წინადადებაზე და გაემგზავრა გორდში, ბავშვების წამოსაყვანად, რომ თბილისში გამგზავრებულიყო, მაგრამ აქ მან ერთბაშად შესცვალა თავისი განზრახვა. გორდში თავმოყრილ ლეჩხუმის თავადაზნაურობის მოთხოვნის თანახმად მან გადასწყვიტა არ დაეტოვებინა სამეგრელო ამგვარი საფრთხის დროს. დააბინავა თუ არა ბავშვები ლეჩხუმის ერთ-ერთ შორეულ მონასტერში, დედოფალი გაათქეცებული ენერგიით შეუდგა სახალხო თავდაცვის ორგანიზაციას გამარჯვებული მტრის წინსვლისადმი წინააღმდეგობის გასაწევად. მისი გადაწყვეტილებით ქვეყანა ქმაყოფილი დარჩა. შეშინებულ სამეგრელოს მოსახლეობისათვის დედოფლის იქ, მხოლოდ ყოფნაც კი ერთგვარ ნუგეშს წარმოადგენდა.

უჩვეულო მოუსვენრობითა და აღელვებით ელოდნენ გორდში ცნობებს მტრის მცირეოდენ მოძრაობის შესახებ. ცნობები კი „უაღრესად" არასანუგეშო ხასიათისა იყო.

ქვემო სამეგრელოს მოსახლეობა ტოვებდა თავიანთ სახლებს და ტყესა და მთებში მიეშურებოდა, თან მიჰქონდათ საგძალი, ვისაც რამდენი შეეძლო, მტერი კი სულ წინ მოიწევდა. ასეთ დაძაბულ მდგომარეობაში დედოფალმა მიიღო ბარათი თურქების ჯარების სარდალ ომარ-ფაშისაგან, რომელიც უაღრესი პატივისცემით იწვევდა მას ზუგდიდში და მოუწოდებდა კვლავ სათავეში ჩადგომოდა ქვეყნის მმართველობას, თან არწმუნებდა მას თავის კეთილ-განზრახვაში, რომ ის მსურველი იყო მიენიჭებინა სამეგრელოს ხალხისათვის დამოუკიდებლობა და ავტონომია.

თურქეთის გენერლის ამგვარმა დამოკიდებულებამ სამეგრელოს მოსახლეობისადმი დედოფალი ცოტათი დაამშვიდა.

მან უბრძანა ზუგდიდის უბნის უფროსს თავად ნ. ბ. დადიანს (მაზრის თავადაზნაურობის ახლანდელ წინამძღოლს) გამოცხადებულიყო ზუგდიდში და წინანდებურად გასძღოლოდა უბნის საქმეებს, ამ წერილის შესახებ კი აცნობა მურავიოვსა და ქუთაისის გუბერნატორ კოლუბიაკინს, ხოლო თვით წერილი უპასუხოდ დატოვა, მიუხედავად კოლუბიაკინის თავხედური პასუხის პროექტისა, რომელიც მას გამოეგზავნა ომერ-ფაშისათვის გადასაცემად.

გორდიდან დედოფალმა რამდენიმე დღით გადაინაცვლა ლეჩხუმში. აქ მან მიიღო ომარის მიერ მეორე წერილი, რომლითაც სარდალი მას ზუგდიდში იწვევდა, მაგრამ ამ წერილმა პირველზე კიდევ უფრო ნაკლებად იმოქმედა ეკატერინე ალექსანდრეს ასულზე. ის მხურვალედ განაგრძობდა მის მიერ დაწყებულ სამხედრო სამზადისს, მეტად სწუხდა სამეგრელოს მოსახლეობის იმ ნაწილის ბედზე, რომელიც მტრის შემოსევას განიცდიდა. მტერი კი, ცხენის-წყლის ნაპირებზე დამდგარი, ჰფლობდა

[1] ნიკო ბესარიონის-ძე დადიანს.—ს. ც.

მთელ სამხრეთ და დასავლეთ სამეგრელოს და საფრთხეს უქმნიდა ქუთაისს. ამ დროს სამეგრელოში გავრცელდა ერთიად სასიხარულო ამბავი — ყარსის აღების შესახებ.

ყარსის დაცემის მნიშვნელობა ყველასათვის ნათელი იყო. ამით ორი სამეგრელოშიც მთავრდებოდა და თურქეთის გენერლის უკან დახევა გარდაუვალი იყო. მას აქ ჯარი გადმოსხმული ჰყავდა, მხოლოდ იმისათვის, რომ აქეთ მოეზიდა მცირე აზიიდან რუსეთის ძალები, მაგრამ რაკი ყარსი უკვე აღებული იყო და იქმნებოდა შესაძლებლობა მუხრან-ბატონისათვის დამხმარე ნაწილების გამოგზავნისა, ომარის ექსპედიციის მიზანი ჩაშლილი იყო და ამ გენერალს უკანვე უნდა დაეხია.

ასეც მოხდა.

მაგრამ ჩვენ ისევ დედოფლის მოქმედებას მივსდიოთ. რუსეთის ჯარის მიერ ყარსის აღების ცნობის მიღებისთანავე, დედოფალი დაუყოვნებლივ გაემგზავრა მუხრან-ბატონთან ხონში, სადაც ჩავიდა მრავალრიცხოვანი მილიციის თანხლებით. აქ თავ. მუხრან-ბატონმა განუახლა მას თავისი წინადადება სამეგრელოდან გამოსვლის შესახებ, მაგრამ ვერც ახლა დაიყოლია დედოფალი. მათ შორის აღმოცენდა უთანხმოება, რასაც საბოლოო განხეთქილებაც მოჰყვა. დედოფალი მილიციის თანხლებით გავიდა ცხენის-წყალს გაღმა და დადგა სოფ. ნაგვაზავოში, თურქების ბანაკის ახლოს. აქედან სამეგრელოს მილიცია აწარმოებდა თურქებზე ხშირ ხავდასხმებს და ცდილობდა ხელი შეეშალა მათი წინსვლისათვის.

უგანათლებულესი თავადები გრიგოლი და კონსტანტინე და მთელი უმაღლესი თავად-აზნაურობა შემოიკრიბა სამეგრელოს მთავარსარდლის ძველი დროშის გარშემო, რათა მტერზე თავდასხმა ეწარმოებია. თვით დედოფალი ეკატერინე, რომელიც შემდგომ დაჯილდოვებული იქნა მედლით გიორგის ლენტზე, უშუალო მონაწილეობას ღებულობდა ამ თავდასხმებში, მაგრამ უნდა გამოტეხით ითქვას, რომ ყველა ეს შეტაკება უნაყოფო იყო და წარმოადგენდა უძლიერესი მტრის წინააღმდეგ მხოლოდ როგორც ძალების, ისე სახსრების უნაყოფო ხარჯს. აქ დედოფალმა მიიღო ორი ბარათი საფრანგეთისა და ინგლისის რწმუნებულთაგან — გრაფ მეფრესა და ლონგუორტისაგან, რომლებიც აგენტებად იმყოფებოდნენ თურქეთის გენერალთან.

ომარ-ფაშა, დედოფლის ამგვარი დუმილის შემდეგ შეეცადა ეწარმოებია მასზე ზედმოქმედება ზემოდასახელებულ სახელმწიფოების რწმუნებულების საშუალებით. პირველმა მათგანმა, გრაფ მეფრემ, ფრანგებისათვის ჩვეული პათოსით აცნობა ეკატერინეს შეერთებული არმიების გამარჯვების შესახებ დუნაისა, ყირიმსა და ინგურის ნაპირებზე და, ომარის მსგავსად, იწვევდა მას თავისი ქვეყნის მართვას შესდგომოდა. L'Europe a maintenant les yeux ouverts, სწერდა მას ექზალტირებული ფრანგი, — elle est décidée à ne plus souffrire que ces peuples restent plus longtemps plongès dans l'ignorance, qui enfante la misére, elle veut que,

Vous entriez dans la grande famille des nations civilisées, que Vous profitiez, enfin des avantages, dont le ciel a été si prodigue envers votre pays... („ევროპამ ახლა თვალები გაახილა; მეტის მოთმენა არ შეიძლებაო და გადასწყვიტა კავკასიის ერნი, გონებრივის სიბნელითა და სიღარიბით შეწუხებულნი, გაათავისუფლოს; ევროპასა ჰსურს, რომ თქვენ შეუერთდეთ განათლებულ ხალხს, რომ იმ განძით და სიმდიდრითა, რომელიც უფალს თქვენი ქვეყნისათვის მოუმადლებია, თქვენვე სარგებლობდეთ"...).

ამ ლამაზმა ექზერციციამ, რომელიც სიცილის მომგვრელი სიტყვებით: Votre altesse me pardonnera ma franchise თავდებოდა, კიდევ უფრო ნაკლებად იმოქმედა დედოფალზე, უფრო გონიერი და ცივი ინგლისელი, უალრესად ზოგად გამოთქმებში ურჩევდა მას თავის რეზიდენციაში დაბრუნებას. თავისთავად ცხადია, რომ დედოფალმა არ გასცა პასუხი არც ერთ ამ თავაზიან ბარათს.

დაბოლოს, როგორც იყო, დეკემბერში მუხრან-ბატონმა მიიღო დახმარება. მას უკვე, თუ არ შეეძლო თურქების სამეგრელოდან განდევნა, საშუალება მაინც ეძლეოდა ხელი შეეშალა მტრის შეუფერხებელი წინსვლისათვის. ომარმა, გაიგო რა ამის შესახებ მსტოვარებისაგან, თავისი ჯარის წინსვლა შეაჩერა. მან იცოდა, რომ კავკასიის უმაღლესი სამხედრო და სამოქალაქო ხელისუფლების მთელი ყურადღება ყარსის აღების შემდეგ, მიპყრობილი იყო მისკენ და ამისათვის კი თავის თავს არასაკმაოდ ძლიერად ხედავდა. მან საჭიროდ სცნო შესდგომოდა უკანდახევის სამზადისს. მურავიოვს, მართლაც არ დავიწყებია სამეგრელო. მან გააგზავნა იქ საჭირო ჯარი და თავისი თანაშემწე თავადი ბებუთოვი, „პროვინციისათვის დახმარების გასაწევად".

თურქებმა იწყეს უკან დახევა. ომარმა ჯარებს თავი მოუყარა ქვალონში და იქიდან გაიკაფა, თავისთვის გზა ყულევისაკენ, სადაც იჩქარა მისულიყო ერთთვიანი დროებით შერიგებისა და მეომარ სახელმწიფოთა შორის ზავის დადების შემდეგ.

1856 წლის იანვარში, ბანაკში ორთვიანი ცხოვრების შემდეგ, ეკატერინე ალექსანდრეს ასული დაბრუნდა თავის გორდის სასახლეში. ის დარჩა იქ თურქების ჯარების საბოლოო ევაკუაციამდე და ამავე წლის გაზაფხულის ბოლოს ინახულა ისკანდერ-ფაშის მიერ გაპარტახებული თავისი ზუგდიდის სასახლე და ბაღი.

სამეგრელო რამდენადმე დაზიანდა თურქების მიერ, მაგრამ მას მალე მოუშუშდა მტრის მიერ მიყენებული უმნიშვნელო ჭრილობები და ქვეყანა ისევ თავის ჩვეულებრივ ცხოვრებას შეუდგა.

1856 წლის ივლისში ეკატერინე ალექსანდრეს ასულმა მიიღო მიწვევა აწ უკვე გარდაცვლილ რუსეთის იმპერატორ ალექსანდრე მეორის კორონაციაზე. ის გაემგზავრა რუსეთში ზღვით, თავისი ბავშვებისა და სამ-

თავროს წარჩინებული თავადების თანხლებით, რომელთა შორის პირველი ადგილი ეკავა პეტრე დადიანს[1], მთავარ დავითის მინისტრს.

ოდესაში თვეზე მეტხანს დაყოვნების შემდეგ დედოფალი გაემგზავრა კორონაციაზე დასასწრებად მოსკოვში კარეტებით, რომლებიც გამოუგზავნეს მას სასახლის სამინისტროს განკარგულებით. მოსკოვში ის დიდი პატივით იქნა მიღებული; ამ დღესასწაულზე მას დათმობილი ჰქონდა ერთ-ერთი პირველი ადგილთაგანი, ხოლო კორონაციის დამთავრების შემდეგ, რამდენიმე ხნის განმავლობაში მიწვეულ იქნა სტუმრად პეტერბურგში, სადაც დიდი ნაცნობობა გაიჩინა.

ზამთრის დასასრულს, თავად ბარიატინსკის კავკასიაში ჩასვლასთან თითქმის ერთდროულად, ეკატერინე სტატს-დამის წოდება მინიჭებული, დაბრუნდა კავკასიაში და რამდენიმე თვით თბილისში შეჩერდა.

მისი სამეგრელოში არ ყოფნის დროს, სამთავროში იფეთქა გლეხების აჯანყებამ. ხალხი დრტვინავდა სხვადასხვა ბეგარისა და გადასახადის სიმძიმის ქვეშ; წინა წლის მოუსავლიანობამ ამ მხარეში გამოიწვია სურსათის დიდი ნაკლებობა. ამგვარ მდგომარეობაში სამთავრო ადგილ-მამულის მოურავებმა ჩვეულებრივ მოვლენად მიიჩნიეს ემუშავებინათ გლეხები არა მარტო უსასყიდლოდ (ამ მხრით ხომ ვალდებულნი იყვნენ ისინი), არამედ მისივე ხარჯით, მათი იარაღითა და საკვებით. ეს კიდევ ცოტაა. მთავრის დოვლათის ამ „მოამაგეებმა“ უარი უთხრეს მუშებს უმინდოდ დაეფქვათ მათი სიმინდი მთავრის წისქვილში, იმ დროსაც კი, როდესაც ისინი მუშაობდნენ მთავრის ბაღში. ამან მოთმინებიდან გამოიყვანა მთავრის გლეხები. ოცდა-ორმა კაცმა, რომელნიც სალხინოს მამულში მუშაობდნენ, სამუშაო დატოვეს და ერთმანეთს შეჰფიცეს არ დაბრუნებულიყვნენ უკან იმ შემზღუდველ პირობებში, რომლებშიაც ისინი იმყოფებოდნენ. ისინი დაბრუნდნენ თავიანთ სოფელში და დააფიცეს მთელი იქაური მოსახლეობაც; ეს მოსახლეობა თავის მხრივ, დაიძრა უახლოეს სოფლისაკენ და ისიც დააფიცეს და ამგვარად, სოფლიდან — სოფელში, მაზრიდან — მაზრაში ამბოხებული გლეხების ასეულმა და ათასეულმა გიგანტური გაფიცვა მოაწყვეს მებატონეების წინააღმდეგ და თანდათანობით თავისუფლდებოდნენ.

ადგილობრივ ხელისუფლების წარმომადგენლებს არ შესწევდათ ძალა მოძრაობის შესაჩერებლად. ისინი ყოველდღიურად უგზავნიდნენ თბი-

---

[1] პეტრე იყო მესამე ვაჟი დიდი ნიკო დადიანისა—ერთი „სამი მუშკეტერთაგანი“, როგორც მათ უწოდებდნენ. იგი განთქმული იყო თავისი მჭევრმეტყველებითა და გონებამახვილობით. ერთს საზოგადოებაში როცა მას შეეკითხნენ თუ რით აიხსნება ახლანდელ ნასწავლ ახალგაზრდებს ცოდნა რომ არ ემჩნევაოო, მან მიუგო: „სწავლა—სტუმარია, ჰკუა მასპინძელი. მოგეხსენებათ ცუდ მასპინძელთან სტუმარი დიდხანს არ გაჩერდებაო“ (ი. მეუნარგიას უბის წიგნიდან). ეს პეტრე ბიძა იყო მამია გურიელისა, რომელიც ხშირად სწერდა მას წერილებს ლექსად. ლექსის თქმას არც პეტრე გაურბოდა

ლისში მყოფ დედოფალს შიკრიკებს და ატყობინებდნენ ამბებს აჯანყების წარმატების შესახებ, მაგრამ დედოფალი სამეგრელოში ჩამოსვლას რატომღაც აყოვნებდა. დაბნეული და შეშინებული სამეგრელოს უმაღლესი წოდება მოუთმენლად ელოდა მის ჩამოსვლას და, როდესაც მიღებული იქნა ცნობა მისი თბილისიდან გამოსვლის შესახებ, შესახვედრად სამთავროს საზღვარზე, საჭილაოში, თავი მოიყარა სამეგრელოს მთელმა თავად-აზნაურობამ 2-3 ათასი კაცის შემადგენლობით. ბოლოს დედოფალიც ჩამოვიდა საჭილაოში, სადაც მთელი კვირა აცდევინა თავად-აზნაურობას. მას აქვე მოახსენეს „ბუნტის" (როგორც ისინი ეძახდნენ) მდგომარეობის შესახებ. დედოფალი გაემართა ზუგდიდისაკენ და ისე ჩავიდა იქ, რომ მას არავითარი განკარგულება არ გაუცია შექმნილი მდგომარეობის ირგვლივ. აქ, მან თავისთან მოიწვია აჯანყების მეთაურნი, ის ურჩევდა მათ ხელისუფლებისადმი მორჩილებას, ჰპირდებოდა მდგომარეობის შემსუბუქებასა და კანონიერი მოთხოვნების დაკმაყოფილებას. ზოგიერთ მათგანს მან საჩუქრებიც კი მისცა, ამით ფიქრობდა ის მათს გადმობირებას, მაგრამ მისი ცდა უნაყოფო გამოდგა; გლეხობა არ მშვიდდებოდა.

როდესაც მმართველობისა და თავად-აზნაურობის უკანასკნელი ზომები აჯანყების ჩასაქრობად ამოწურული იქნა და, როდესაც ორივე ისინი დარწმუნდნენ თავიანთს უილაჯობაში, დედოფალმა დახმარებისათვის კავკასიის მეფის ნაცვალს თავად ბარიატინსკის მიმართა. თავად ბარიატინსკიმ, მიიღო თუ არა დედოფლის წინადადება სამეგრელოს შინაურ საქმეებში ჩარევის შესახებ, აჯანყების ჩაქრობა დაავალა ქუთაისის გუბერნატორს, კოლუბიაკინს, რომელმაც, მცირე ხნის განმავლობაში, სძლია მეამბოხეებს და სამეგრელოში წესრიგი დაამყარა.

რუსეთის მთავრობის სამეგრელოს საქმეებში ჩარევას უკვალოდ არ ჩაუვლია. კავკასიის უმაღლესმა მმართველობამ დაინახა, რომ ხელისუფლების პრესტიჟი მხარეში საფუძვლიანად შერყეული იყო, გადასწყვიტა, სამეგრელოს მემკვიდრის სრულწლოვანობამდის დედოფალი რუსეთში გაეწვიათ, ხოლო ქვეყნის მართვა დაევალებიათ „სამეგრელოს მმართველობის საბჭოსათვის".

ეს გადაწყვეტილება, რომელიც გამოწვეული იყო საერთო სახელმწი-

თურმე. ექვთიმე თაყაიშვილი გადმოგვცემს „ქილილა და დამანას" ერთ ხელნაწერზე (საქმუზეუმის S ფ. 36/3183) პეტრე დადიანის მიერ მინაწერ ორ ასეთ შაირწყობილ სტროფს

I

სიტყვას ვიტყვი მეტად მბრიანს, თუ შეესმის კაცსა მღვთიანს,
მოვახსენებ ბრძენსა-ჭკვიანს, არ გამხილებ გიჟ ბნედიანს,
ვის ღმერთი სწამს ადამიანს, ნუ ჩახედავს ვისრამიანს,
დაუბნელებს დღესა მზიანს, ჯოჯოხეთში ნახავს ზიანს.

II

კუპიდონ მკრა გულს ისარი, დამიკოდა, დამიწყლულა,
ცნობა სრულად დამიფანტა, სასიკვდილოდ მიმარულა,
ვესტას ტაძრისთვის სანთებლად, თავი ჩემი დანიშნულა,
და თვალცრემლიან_არს ბულბული, ვარდზედ სარი რა დასმულა.—ს. ც.

ფოებრივი მოსაზრებებით, მოყვანილი იქნა სისრულეში 1857 წლის ზაფხულში. იმავე წლის აგვისტოში ეკატერინემ მიიღო იმპერატორ ალექსანდრე მეორის საკუთარი ხელით დაწერილი ბარათი, რითაც მეფე იწვევდა მას პეტერბურგში, 30 ათასი მანეთის დანიშვნით ყოველწლიური ხარჯისათვის, სამეგრელოს სამთავრო ტახტის მემკვიდრე ნიკოლოზის სრულწლოვანობამდე. დედოფალიც დიდი ხნით გაემგზავრა რუსეთში, და ამით საბოლოოდ და დაუბრუნებლად მოიხსნა მან თავისთავიდან სამეგრელოს სამთავროს მმართველობა. მის ამ გამგზავრებასთან ერთად დამთავრდა სამეგრელოს დამოუკიდებლად არსებობის ხუთსაუკუნოვანი ისტორიაც.

თავისი ცხოვრების დანარჩენი დრო ეკატერინემ მყუდროდ გაატარა თავის ოჯახში. ის, როგორც კეთილი და მოყვარული დედა იღწვოდა ბავშვების აღზრდისათვის და კიდეც მათი მომავლის უზრუნველსაყოფად ყოველივე შესაძლებელი გააკეთა. თავისი უფროსი ვაჟის, ნიკოლოზის, სრულწლოვანების შესრულების დროისათვის, მან მოაწყო მისი მთავრის უფლებებზე ხელის აღება და ამის საზღაურად მის მიერ ერთი მილიონი მანეთის მიღება და მაიორატის დაწესება, აგრეთვე უზრუნველჰყო დანარჩენი ორი შვილიც მათთვის სიცოცხლის განმავლობაში პენსიის გამოთხოვით. თავისი ერთადერთი ქალიშვილი სალომე მიათხოვა პრინც ამილ მიურატს, რომელიც ნაპოლეონ მესამის ახლო ნათესავი იყო, ხოლო თავისი უფროსი ვაჟის ნიკოლოზის დაქორწინებით დაუნათესავდა გრაფ ადლერბერგის ოჯახს.

თავისი სიცოცხლის უკანასკნელ წლებში დედოფალი თითქმის ნიადაგ სამეგრელოში ცხოვრობდა. მას დიდად იზიდავდა სოფლის მყუდროება. აქ, როგორც ქვეყნის ამაოებათაგან განშორებული სინიდის დამშვიდებული დედა, რომელმაც ყველაფერი გააკეთა თავის ბავშვებისათვის, და, როგორც ქალი — ყოველთვის გულისხმიერი ყოველივე კეთილი საქმისადმი, ის სიცოცხლის უკანასკნელ დღეებს ატარებდა თავისი ქალიშვილისა და სიძის წრეში.

მან სიკვდილამდე სრულიად შეუსუსტებლად შეინარჩუნა თავისი შესანიშნავი მეხსიერება და ჯანსაღი, ქალური საზრიანობა. წარსული წლის აპრილის თვეში მან უამბო ამ სტრიქონების დამწერს თავისი მამის ბიოგრაფია და ზეპირად წაუკითხა ზოგიერთი მისი ლექსი, რომლებიც მას ალბათ, აღარ წაუკითხავს თავისი ახალგაზრდობის დღიდან.

ადრე გამომჟღავნებულმა მისმა ავადმყოფობამ — გულის სიმსუქნემ — ამა წლის დაწყებიდან მის ახლობლებში ერთგვარი შიში გამოიწვია. მარტსა და აპრილში დედოფალი შეიქნა კიდევ უფრო უარესად, ხოლო მაისში საქმე იქამდისაც მივიდა, რომ იძულებული შეიქნენ ეცნობებიათ ყველა ახლობელისათვის მისი საშიშარი მდგომარეობის შესახებ. ექიმები ვორონოვი, დიკი, ბეზრუკოვი, რომელნიც მას მკურნალობდნენ, პირველად ურჩევდნენ მას დაუყონებლივ მარიენბადში გამგზავრებას, მაგრამ

სიკვდილის მოახლოების წინათგრძნობით შთაგონებულმა დედოფალმა მტკიცე უარი სთქვა საზღვარგარეთ წასვლაზე; ამბობდა, რომ ურჩევნია სიკვდილი თავისი საკრძალის — მარტვილის ახლოს, რათა აქ ეძინოს მიბარებული მიწას, ვიდრე ის, რომ მკვდარმა იმოგზაუროს ევროპაში.

სამწუხაროდ, მისი წინათგრძნობა მართლდებოდა. ივნისში ის გადაიყვანეს, ქუთაისზე გავლით, გორდის საზაფხულო სასახლეში. აქ ის მთის სუფთა ჰაერის წყალობით, ერთხანად თავს ცოტა უკეთ გრძნობდა, მაგრამ მალე სრულიად ჩაწვა ლოგინად. მასთან მრუშორებლად იყვნენ რამდენიმე ექიმი ქუთაისიდან და სპეციალურად პეტერბურგიდან დაბარებული, ექიმი პეჩკოვსკაია, მაგრამ ყველა ისინი უძლურნი იყვნენ ავადმყოფობასთან ბრძოლაში. ექიმმა რემმერტმა, რომელმაც ის ინახულა აგვისტოში, დაადასტურა მხოლოდ მისი უიმედო მდგომარეობა. კიდეც, 13 აგვისტოს საღამოს ხანგრძლივი წვალების შემდეგ დედოფალმა განისვენა თავისი სიცოცხლის 66-ე წელს.

მისი დაკრძალვა შესდგა იმავე თვის 21-ს მარტვილის კათედრალურ საკრებულოში, სამეგრელოს მთავრების უძველეს სამარხში. წინადღით განსვენებულის ნეშტი გადატანილ იქნა ძვირფასად შემკული კატაფალკით და მრავალათასიანი ხალხის თანხლებით უკანასკნელ სადგომში. გორდიდან მარტვილისაკენ მიმავალ გზაზე გამოეფინა ახლომახლო მდებარე სოფლების მოსახლეობა ქალებითა და ბავშვებითურთ. როდესაც სამგლოვიარო პროცესია გაუსწორდებოდა ხალხის ამ მასებს, აწყობდა მცირე შესვენებას, რათა საშუალება მიეცათ მოსახლეობისათვის მათი ჩვეულების, მიხედვით, გამოეტირათ თავისი უკანასკნელი დედოფალი. ისინიც ასობით ეხვივნენ კუბოს გარშემო და ხმამაღლა ტიროდნენ.

მეორე დღეს დილით ადრე დაიწყო მარტვილისაკენ ხალხის განუწყვეტელი დენა. სამეგრელოსა და ლეჩხუმის ყველა კუთხიდან, აგრეთვე იმერეთიდან, გურიიდან, მოაწყდა ხალხი, რათა უკანასკნელი ვალი მოეხადათ საყვარელი დედოფლის წინაშე.

საყოველთაოდ ცნობილ პირთაგან დაკრძალვის დღისათვის ჩამოვიდნენ: ნინო ლევანის ასული ბაგრატიონ-მუხრანბატონისა შვილით კონსტანტინეთი, პრინცი ოლდენბურგელი, ქუთაისის გუბერნატორი, უგანათლებულესი თავადები გ. და ზ. შარვაშიძეები, დ. ი. ყიფიანი, გ. დ. შარვაშიძე, ქუთაისის გუბერნიისა და მაზრის თავად-აზნაურების წინამძღოლნი და სხვ. ამ დღეს შეკრებილ პირთა რიცხვი 7-8 ათასამდე კაცს აღწევდა.

დედოფლის პატივისმცემლებმა, რომელთაც ვერ შესძლეს დასწრებოდნენ ამ დაკრძალვას, წერილებითა და დეპეშებით მიუსამძიმრეს განსვენებულის შვილებს. მათ პატივი დასდო დეპეშით აგრეთვე ხელმწიფე იმპერატორმა, დიდმა მთავრებმა მიხეილ ნიკოლოზის-ძემ და კონსტანტინე ნიკოლოზის-ძემ და იმპერატრიცა ევგენიამ, აგრეთვე საფრანგეთის მრავალმა მეგობარმა გამოუცხადა მათ თავისი ღრმა თანაგრძნობა.

დილის 10 საათზე მათმა უსამღვდელოესობამ იმერეთის ეპისკოპოსმა გაბრიელმა და გურიისა — ალექსანდრემ, სწირეს ლიტურგია. წესის აგების შემდეგ, ამ ორს შეუერთდნენ სამეგრელოს ქორეპისკოპოსი ბესარიონი და იმდენი სამღვდელოება, რამდენის დატევაც კი შეეძლო მარტვილის უზარმაზარ ეკლესიას. ეპისკოპოსმა გაბრიელმა წესის აგების დაწყებამდე წარმოსთქვა ერთი იმ უაღრესად საგულისხმო დამრიგებლური სიტყვათაგანი, რომელნიც მხოლოდ მას შეუძლია წარმოსთქვას. მან ააგო თავისი სიტყვა საღვთო წერილის ტექსტზე: „ამაოება ამაოებათა"... წესის აგების შემდეგ სიტყვები წარმოსთქვეს გურიის ეპისკოპოსმა ალექსანდრემ და ვინმე თავადმა ჩიქოვანმა.

განსვენებულის ცხედრის მიწაში მიბარება შესრულებული იქნა საღამოს 5 საათზე იმ ჩვეულებრივი სამარხვო სადილის შემდეგ, რომელიც მიერთვა 7-8 ათასამდე სულს.

მრავალრიცხოვან დამსწრეთა ქვითინში სამეგრელოს წარჩინებულმა თავადებმა სამარეში ჩაუშვეს კუბო, რომელსაც თან მისდევდა უკანასკნელი და გამოსათხოვარი გულითადი სიტყვა მხცოვანი გენერლის, უგანათლებულესი თავ. გრ. ლ. დადიანისა — „მშვიდობა ცხედარსა შენსა" — გაიმეორა ამ სიტყვის შემდეგ დაკრძალვის დამსწრე მრავალათასიანმა საზოგადოებამ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ფურცლები სემინარიელის დღიურიდან[1]

Житейскаго моря
Живое волнение
Гёте

1873 წ. 5 თებერვალს

ეს ორი თვეა რაც მოკვდა ჩემი უძვირფასესი მეგობარი მ. ს[1]. გამშორდა საუკუნოდ ჩემი სიჭაბუკის იმედი... განისვენა დიდმა სულმა ამ ჩვენის ქვეყნის მწუხარებიდან... მე ის მიყვარდა, ძლიერ მიყვარდა, მაგრამ ბუნების კანონმა თავისი გაიტანა, მოაკლო ჩვენს მამულს ერთი საიმედო შვილი... ახ, ღმერთო ჩემო, რა ბევრ იმედს ვამყარებდი შენზე, უდროოდ დამჭკნარო ბუნების ყვავილო!!. ბევრმა არ იცის რა კაცი იყავ შენ, ჩემო მიხა, ბევრი ულირსად სჯიდა შენზე, მაგრამ ზოგნი გიცნობდნენ შენ. შენ რომ მომწერე ერთხელ: „Мое сердце знают не многие“,—ეს მხოლოდ მე მესმის ისე როგორც შენ... შენ იყავი დიდი, მაგრამ საზოგადოდ დიდების ბედი ასეთია—„Они обречены роготову недугу“, როგორც ამბობს შენი შექსპირი[2]. შექსპირი?!! მე მითხრეს, ვითომ შენ სულის უკანასკნელ ამოძრობისას იმეორებდი შექსპირისა და ჰამლეტის[3] სახელებს!.. ახ საწყალო, ვის ჰყვარებია შექსპირი ისე, როგორც შენ! რას ფიქრობდი შენ ჰამლეტზე? რამდენს ამაღლებულს და წმინდა გრძნობებს ითხოვდა შენი გონებიდან დიდი ჰამლეტის სახელი... შენ რომ იტყოდი

---

[1] დღიურები ყდაში ჩასმული საერთო რვეულშია ჩაწერილი. მის პირველ გვერდზე ზემოთ აწერია:

Ученика тифлисской духовной семинарии Ионы Михайловича Меунаргия.

ხოლო ამის ქვევით, იმავე გვერდის შუა ადგილას:

Честные люди!
не раскрывайте этот мой дневник до мой смерти.

გადაშლით თუ არა მეორე გვერდზე სამი შემდეგი მინაწერია:

„მე ვარ მდიდარი გულწრფელითა სიყვარულითა,
რომელიც სიტყით კახმულს გრძნობას გარდემატების“
კორდელია

ჰმ! ასე ნორჩი და ასე გულქვა.
ლირი

წელს მასხარებს ლილახანა წაუხდათ,
მასხარობას ბრძენნი გვეცილებიან,
ჭკვა რომ ძნელი მოსავლელი გაუხდათ,
პამპულად და მაიმუნად ხდებიან“.

(ბუმარას სიტყვები „მეფე ლირიდან“. ი. ჭავჭავაძისა და ივ. მაჩაბლის შექსპირის ტრაგედიის ეს თარგმანი პირველად გამოქვეყნდა ქურნ. „კრებულის“ 1873 წ. № 10-ში (ოქტომბრის ნომერში). საყურადღებოა, რომ დღიურის ავტორი გამოქვეყნებამდე, ხელნაწერშივე გასცნობია მის ქართულ თარგმანს. —ს. ც).

ბერნესთან[4] (შენს საყვარელ ბერნესთან): Но это Шекспир, мы должны повиноваться и молчать!... რამდენი მაღალი და კეთილი გრძნობები დაიმარხა შენს გვამთან, ჩემო უძვირფასესო მეგობარო. ეხლა უფრო ვაფასებ შენს სახელს.,. ეს თითქმის ყოველთვის ასე ხდება... გეტე[5], ბერნე, ჰეინე[6], დობროლუბოვი[7] (შენი საყვარელი დობროლუბოვი), შილლერი[8], ბაირონი,[9] მილლი[10], კანტი[11], კონტი[12], გუმბოლტი[13], ვუნდტი[14], ბოკლი[15]. ეს ვინ ჩამოსთვლის ყველა იმ სახელს, რომლებიც შენ გიყვარდა და, რომელთა აზრებს შენ ჰქადაგებდი! რათ სწავლობდი ამაებს? იმისათვის რომ მომკვდარიყავ? „Не расцвел.

и отцвел."

რიტორის ენა რომ მქონდეს ბევრს რასმე ვიტყოდი შენზე. შენ სწორედ, იყავი ის მეტეორი, რომელზედაც ასე ხშირად ამბობენ მიცვალებულზე „სიტყვებისათვის". ახ, მინდა კიდევ ვილაპარაკო შენზე... შენ დიდად ღირხარ ჩემთვის, რამდენჯერ გაგიმეორებია შენ ინაევის[16] სიკვდილზე შილლერის სიტყვები:

„Скольких славных жизнь поблекла
Скольких низких род щадит
Нет великого Патрокла
Жив презрительный терсит".

ოხ, როგორ საზარელია შენი სიკვდილი. რაც უფრო დრო მიდის თანდათან უფრო შენზე ვფიქრობ, მაგრამ

„Тебя уж нет, тебя уж нет
Ты не придешь к нам уж опять".

შენ არ მოხვალ!! აი რაშია უბედურება, აი რა არის ჩემთვის სამწუხარო და საზარელი... სად წადი კაცო?!.

„В страну безвестную, откуда путник к нам не возвращался",— როგორც შენ იტყოდი ხშირად ჰამლეტის სიტყვებს „ах, разрешите мне жизнь загадку! მითხარით, არის ამ ქვეყნის მეტი სადმე ქვეყანა?! რა კარგი რამ არის სარწმუნოება — რამდენ კაცს აიმედებს ის!.. რა უბედურებაა—მატერიალისტების შეხედულება, მაგრამ უბედურება ის არის, რომ ისინი მართალნი არიან... ეხ, რა ვქნათ, Нет дорог к не возвратному"... დაიკარგა მიხა სანებლიძე. ასე დავიკარგებით ყველა... მშვიდობით ჩემო მეგობარო, მიხა. მე შენ ვერ გნახავ. შენი სახე, შენი გრძნობით სავსე მაღალი სული ჩემს სიცოცხლეში არ ამოიშლება ჩემის გულიდან.

P. S. მიხა მოკვდა 1872 წლ. 26 ნოემბერს. ეს დღე ყოველთვის შეწირული მექნება შენზე მოგონებისათვის.

1 5 თ ებ ერ ვ ა ლ ს 1 8 7 3 წ.

ეს ჩემი „ფსიხატორიუმი" დღიური არ არის; მე ძვირად დავწერ ამაში იმას, რაც ყოველდღე გადამხდება. ეს, ჩემის ფიქრით, საჭიროც არ არის...

არა. მე ამაში უნდა დავწერო სხვადასხვა წიგნებიდან მიღებული შთაბეჭდილება, ან ის ფიქრები, რომლებიც ხშირად მეწვევიან ხოლმე... ვეცდები, რომ ხალხის ჩვეულებები ზოგიერთი მაინც ავხსნა ისტორიის შემწეობით. ხან გადავთარგმნო რუსულიდან ლექსები, ან, — აი დიდება შენ ღმერთო,—თითონ ამ სიბერის დროს დავწერო ლექსი... მე, ჯერ, საუბედუროდ, არ ვარ რიგიან გზაზე დამდგარი, ნამეტურ დიდს და გამოულეველს საკაცობრიო კითხვაში: ვართ ჩვენ თავისუფლები თუ არა? მინდა რომ კონსერვატორს არ მეძახდნენ და ახალი მეცნიერება მიყვარს, მაგრამ როგორღაც, არ მინდა ძველიც დავაგდო (თუ ძველი დაეძახება თავისუფლებისათვის მოლაშქრეებს). ბევრჯერ მქონია კამათი ამხანაგებთან სხვადასხვაგვარად ამ საგანზე... არიან ისეთები, რომლებიც ნეცესარიანებს ემხრობიან. სახელმწიფო სჯულდებას ბავშვურად უყურებენ, მწარედ პატრიოტობენ და ბევრ სხვა რამესაც სჩადიან. მე უნდა გამოუტყდე ჩემს თავს, თუმცა ნეცესერიელები კარგი არგუმენტით ამტკიცებენ თავიანთ აზრსა, თუმცა იმათ მხარეზე არის ჩემი საყვარელი ფილოსოფოსი კონტი და ისტორიკოსი ბოკლი, მაგრამ მე როგორღაც კაცს ვერ ვართმევ თავისუფლებას. ის რასაც ეძახიან „მე" უნდა იყოს (ახ, იტყვის მკითხველი, რა ძველი კაცია ამის დამწერია), ეს კიდევ იმდენად არ არის წინააღმდეგი ჩემის რწმენისა, რამდენადაც მიმართვები „ღვთის და ხელმწიფის კანონებთან". ისინი ვერ ხედავენ, ჩემის ფიქრით, სჯულის მოცემა რამდენად ძნელია და ასე ჰგონიათ, რომ უსჯულოდ შეიძლებოდეს კაცის ცხოვრება... მე მგონია სამოთხე ქვეყანაში თავის დღეში არ იქნება (თუმცა არც იქ არის, სადაც რიგია, სხვას ვიღა ჩივის!). კომუნიზმი ძნელად მისაღებია; ერთი სიტყვით —ამ მხრივ კონსერვატორი ვარ... ბარემ იმასაც ავხსნი რატომ...

მე არ ვიკვეხნი, რომ ეს ჩემი აზრი მტკიცედა მაქვს ჩანერგილი გონებაში. არა. მე ვფიქრობ ესენი ჩქარა გაჰქრებიან ჩემს აზრებიდან... რომ შემეძლოს ამაღლება იმ სფერამდე, რომელზედაც იდგნენ ლასსალი[17], ბერნე. რასაკვირველია, ჩემს აზრებს გამოვცდი სახელმწიფოზე, მაგრამ რადგანაც იქ არა ვარ და სათანადოდ არ მესმის ყოველგვარი პოლიტიკის შნიშვნელობა, მსურს ვიყო სახელმწიფოს კაცი. მხოლოდ იმას კი ვიტყვი, რომ ის ჩემი ამხანაგები, რომლებიც ხმას ამოიღებენ ამ საგანზე, არიან გატაცებულნი. ოხ, კარგი გამახსენდა, გატაცებულობა მეჯავრება... ძველი ვარ რაღა!.. არც პატრიოტიზმი მესმის კარგად რა არის... ჩემის ფიქრით ეს ნიშნავს მიწა-წყლის სიყვარულს, მაგრამ ფეტიშიზმი, ან სანტიმეტალიზმი არ არის საჭირო... არც კოსმოპოლიტობაა ძლიერ საჭირო... იცხოვრე, აასრულე საკაცობრიო მოთხოვნილებანი... გარემოებას ვერ წაუხვალ... ჩემის ფიქრით „ძმობა, ერთობა, თავისუფლებას" ვინც კი თაყვანს სცემს. ლოღიკის კანონს თუ არ შესცოდა, ისე პატრიოტიზმს ყურსაც არ ათხოვებს... თუ ყველა ერთია — თათარი, ურია, ფრანგი, რუსი, ქართველი... რა მიზეზით უნდა ვარჩიო ებრაელს ქართველი?.. ბევრი ებრაელი ბევრ ქართველს სჯობს... ეხ, რა შორს წავედი!. დამა-

ვიწყდა კიდეც რაზე ვლაპარაკობდი... საკვირველი არ არის... მამიდან დაყოლებული, სასწავლებლის და სემინარიის მთავრობიანად და უმეტესი ნაწილი წიგნებისა, ამას გვასწავლის ჩვენ... ძლიერ დიდი კაცი უნდა იყო, რომ ეწინააღმდეგო გარემოებას...

19 თებერვალს 1873 წ.

იაპონიის ეხლანდელი იმპერატორი, როგორც ჩანს ამის მოქმედებიდან, ძლიერ გონიერი კაცი უნდა იყოს. სახუმრო საქმეა, რომ ათ-ოც წელიწადში იაპონია ევროპიის სახელმწიფოებს დაემსგავსება... სახუმრო საქმეა, რომ იმ დალოცვილმა 30 მილიონ კაცს ანგლიური ენა ჩაუდო... მე იმნაირ პერიოდში ვარ, რომ ჩემს სიცოცხლეში სტოიკობას ვიჩენ... რაც არის ის კარგია, თითქმის ამ აზრზე ვარ დამდგარი... საკვირველია, კაცის ცხოვრება! წინათ სულ ამის წინააღმდეგი ვიყავ: თითქმის კარგ საქმეს თანაუგრძნობდი, და ვსწუხდი როგორც კი ცუდ შემთხვევებს გავიგონებდი... მაგრამ ეხლა კი ჩემთვის სულ ერთია—კარგიც და ავიც. რას ჰქვიან „კეთილი“ ან „ბოროტი“, რით განირჩევა პირველი მეორისაგან, — მე ვერ ვპოებ ვერავითარ გარჩევას იმაში, თუ რით უნდა სჯობდეს ლონდონის პირველხარისხოვანი ლორდი იტალიის დაცცარონებს. პირველი: ბევრს ლხინობს, ნეტარებს, დროსა ჰკლავს და უშრომლად ცხოვრობს, მეორე: სტირის, დაეხეტება, უსახლკაროა, ქურდობს და იძლებს კუჭს, მაგრამ საქმეში კი ორნივ ერთნი არიან, ორნივე კაცნი არიან, სისხლი ორივეს წითელი აქვს და ძვალი თეთრი, ორივე ერთი გზით მიდის, ერთი ბოლო აქვს და, თუ საღმრთო წერილს დაუჯერებთ, უკანასკნელნი უკეთეს საჩუქარს ღებულობენ „საიქიოს“... ან კიდევ ვინა სჯობს, ჰეროსტრატე[18] თუ ალექსანდრე მაკედონელი[19], არისტოტელი[20], პლატონი[21] და სხვ... სულ ყველა ერთნი არიან... აქ, საჭიროდ ვრაცხ მოვიყვანო ერთი საზოგადო კანონი... აი რისთვის: ბევრს ეს აზრი პარადოქსად ეჩვენება; ხანდახან მეც, რასაკვირველია, ამის წინააღმდეგიც ვარ, მაგრამ მე მგონია, როგორც ეხლა ჩემში, ყველა კაცის სიცოცხლეში იქნება ისეთი მომენტები, როგორშიაც ვარ ეხლა მე...ამისთვის, თუ კაცმა ოდესმე ეს წაიკითხოს, მოიგონოს, რომ ეხლანდელ შემთხვევაში მე ჩემს აზრს ვრაცხ სრულებით სიმართლის ბანაკიდან... სოლომონს[22] ტყუილად კი არ ეძახიან ბრძენს, ის ასეთ აზრს ჰქადაგებდა თავის კოგელეტში.. აგრეთვე მე აი, ახლო ხანში მსურს წავიკითხო „მსოფლიო ისტორიის კომედია“ შერრისა[23]... ვგონებ ის ისეთი წიგნია, რომელიც ეხლანდელ ჩემს მდგომარეობას ესაბამება. ეს ერთი... მეორე, მსურს შევისწავლო ჩვენი კლასიკური ლიტერატურა, ე. ი. რუსთაველის[24] პერიოდი. განსაკუთრებით ჩვენი სიამაყე „ვეფხვის ტყაოსანი“... (შემდეგ სამი სტრიქონი წაშლილია ავტორისაგან— ს. ც.), რომ შემეძლოს რამდენიმედ მაინც შევეწიო ჩვენს ყმაწვილ ლიტერატურას... „ყმაწვილი“... აფსუს! მდიდარო ქართულო ენა... აფსუს, რომ ვერა ხარ ისეთი კარგ გარემოებაში, რომ გაშალო შენში დამალული სიმდიდრე. მე აქ სრულებით არ ვვარდები წინააღმდეგობაში, როგორც

ამას ზოგიერთები იფიქრებენ. აი რისთვის: მე მინდა ქართულმა ენამ იხაროს არა მარტო იმიტომ, რომ მე პატრიოტი ვარ... არა! მე იმას ვფიქრობ, შეიძლება ამ ენამ ისეთი რაიმე მისცეს კაცობრიობას, როგორც აჩუქა ინგლიის ლიტერატურამ შექსპირის, ბაირონის ქმნილებების სახით... განვითარების კანონი, ენის წარმატების სჯული დიფფერენციაში მდგომარეობს. ეს უკანასკნელი მოსაზრებები არა აქვს არც გიორგი მუხრანსკის[24] (რომელმაც დასწერა, როგორც ამბობენ, რომ ქართული ენა მოისპოსო და რუსულს შეუერთდესო) და არც დიდს და წარჩინებულს იაპონიის იმპერატორს... ამ აზრის არ მეშინია... ამას ვიტყვი ვინც გინდა პატრიოტთან, თითონ ნ. ლ — თან...[26] იმისათვის, რომ მე ამაში დარწმუნებული ვარ...

ამ ჟამად სპინოზას[27] ვკითხულობ. ძლიერ გამიტაცა ამ გენიოსმა. ნეტავი თქვენ ურიებო, რამდენი დიდი კაცები გყავდათ... სპინოზა, ჰეინე, ბერნე, ლასსალი... ვათავებ სოლომონის სიტყვებით: „ყოველივე ამაო არს“!!.

9 მ ა რ ტ ს[1]

დღეს გავათავე „ფაუსტის“ კითხვა სტრუგოვშიკოვისა[28] და გრეკოვის[29] თარგმანით... „ფაუსტი“, გაგიგონიათ თქვენ ეს სიტყვა?! თუ გაგიგონიათ რა უნდა გითხრათ სხვა ამაზე. ჩემის ფიქრით გოეტემ აი როგორი მხარე დახატა კაცობრიობისა თავის ქმნილებაში: ყოველი ადამიანის სიცოცხლეში არის ისეთი პერიოდი, როდესაც იმას მოსწყინდება თავისი ხელობა და კითხავს თავის თავს: რას ვაკეთებ მე ჩემის ხელობით ქვეყანაზე? რა სასარგებლოა სწავლა, ხელობა, სიყვარული და სხვ... ეს ნამეტურ მოხდება მაშინ, როდესაც კაცმა სრულიად შეიტყო თავისი ხელობის საიდუმლეობა. საზოგადოდ, ასეთ შემთხვევებში ისე მოხდება ხოლმე, რომ ის ვერაფერს ვერ ჰპოვებს თავის ხელობაში და სიმდიდრეს ეძებს მხოლოდ სხვის ხელობებში... ანდაზაც ამბობს: შინაურ მღვდელს შენდობა არა აქვსო... სწორედ ისე უყურებს კაცი თავის ხელობას და, როდესაც იმ ხელობაში არაფერი საიდუმლო იმას არ დარჩება, ის არ უყენებს იმნაირი კრძალულებით, როგორც წინათ. თუმცა უსრულოდ და უშინაარსოდ, მაგრამ ამგვარი სულიერი მოვლენები მეც დამმართნია... ბევრჯერ მითქვამს: რა ოხრად მინდა სწავლა, რას მიკეთებსო?! გოეტემ ფაუსტში ამგვარი მდგომარეობა გამოხატა, მაგრამ ფაუსტი ერთი ხელობის კაცი კი არ არის, — ის ფილოსოფოსიც არის, ღვთისმეტყველიც, მედიცინის დოქტორიც, უსწავლია ყველანაირი მეცნიერება და გვარწმუნებს, რომ ყველა ეს სწავლა კაცს არაფერს უკეთებსო. ის ადგილი, სადაც ფაუსტი ამბობს ამ აზრებს, არის საუკეთესო ადგილი მთელს ტრაგედიაში. ის ამბობს: ყველაფერი ვისწავლე, მაგრამ ჩემი სწავლა გროშად არა ღირსო და როგორც ყოველთვის, ის ეთხოვება შინაურს მღვდელს და ენდობა გარეშეს — ის სტოვებს გონებას, მეცნიერებას და უნდა მიენ-

[1] გვერდზე ფანქრით მიწერილია: „ეს ახლა არ მოგწონს“.

დოს ეშმაკს, კუდიანებს, რომ ისიც ისწავლოს და ეგებ დააკმაყოფილოს თავისი გაუმაძღარი სურვილი... ეთხოვება ევროპას და ენდობა აზიას... საკვირველია, ერთის შეხედვით იმის ასეთი მოქცევა, მაგრამ, რომ კარგად დავაცქერდეთ, ის გასაკვირი არ არის. იმიტომ, რომ ფაუსტში მოხდა ცვლილება ცხოვრების დანიშნულებაზე და მიზანზე. ფაუსტი —პატიოსანი და სწავლულია, კაბინეტის ნომეცი, ეძებს ჭეშმარიტებას, იმას სწირავს თავს, ამავე დროს „ფიქრით მსოფლიოს შემოუვლის“ ხოლმე (Мыслью вселению об'емлет).

ხორციელმა მოუძლურებამ, სიბერემ ბევრი ვერაფერი დააკლეს იმას, მაგრამ როდესაც ფაუსტი მოასწრებს ყველაფრის თვალის გადავლებას, როდესაც ის, როგორც სასმელსა და საჭმელს, დაეწაფება წმინდა აზრს, ჭეშმარიტებას და, როდესაც ის იმას კარგად თუ ცუდად იპოვის, ის ჰკითხავს თავისთავს: „რა გამიკეთა მე ჩემმა სწავლამაო“. ეს ფაქტი ხდება სკეპტიკი, მაგრამ სკეპტიციზმი, როგორც ყოველთვის, იმას არ აკმაყოფილებს და ისევე ისე ეშურება დადებითსა და მტკიცე სწავლას, ის მიდის სულ სხვა სფეროზე და ირჩევს მაგიას... საზარელი მეფისტოფელი გამოუჩნდება იმას მეგობრად და პირობას აძლევს, რომ დაუკმაყოფილებს სურვილებს, მაგრამ, აბსოლუტური მხრისაკენ ნუ იწევაო... ფაუსტი ეთხოვება თავის წინანდელ გონიერ ცხოვრებას და გადადის ეშმაკისაკენ, უწოდებს იმას და, როდესაც ნახავს მეფისტოფელს, ის ძრწის ეშინია და ზნეობითი სისუსტეს იჩენს... შემდეგ, ეშმაკის პირველი გამოცხადებისა, ის ისევ იგონებს თავის ფილოსოფიას, თავის საგნებს და არ უნდა იცხოვროს იმის გარეშე. მაგრამ რადგანაც იმაშიაც ვერაფერს ჰპოებს, სურს ბოლო მოუღოს თავის სიცოცხლეს და ეწაფება შხამს, მაგრამ სანატრელი და ყველასათვის საამური გალობა ქრისტეს აღდგომაზე მას წინანდელ დროებას ახსენებს და ის ისევ ურიგდება ქვეყანას... მეფისტოფელი ისევე უმეგობრდება, შეაყვარებს მარგარიტას, მაგრამ ფაუსტი არც ამ ცხოვრებით რჩება კმაყოფილი საბოლოოდ...

ტრაგედია სავსეა ღრმა აზრებით და მშვენიერი პოეზიით. რა იყო პირველი და უკანასკნელი ფაუსტის ცხოვრებისა, იმის ალფა და ომეგა?.. რა სწადდა იმას და რასთან მივიდა? იმისი სურვილი იყო ესწავლა ყველაფერი; ბევრი ისწავლა და მივიდა იქამდის, რომ არაფერი არ მოსწონს, არაფერი არ აკმაყოფილებს. უკმაყოფილება! აი, რა არის ფაუსტში დიდი და გამოსაჩენი მხარე... უკმაყოფილება იმ ზომამდის, რომ თავისთავს ემუქრება სიკვდილით, თვითმკვლელობით. ეს როგორღაც არ შეშვენის გონიერ კაცსო, — იტყვიან ზოგიერთები. „კაცი ორ დღესა ხარ, მაინც მოკვდები, რაღას იკლავ თავს, სულელი ყოფილა შენი ფაუსტიო“. ნუ ჰკადრებთ ფაუსტს ამ სიტყვებს, ის არ არის სულელი... იმის სისულელე ზოგიერთის გონიერებას სჯობს. შექსპირი ამბობს: „Мудрой глупец лучше глупого мудреца“, სწორედ ასეა ფაუსტიც. მართალია, თავის მოკვლა არარის საქები საქმე... გაგიკვირდებათ ჩემგან გაგონება,

მაგრამ, რა გაეწყობა, უნდა ვთქვა, არც სიცოცხლეა დიდი ნიჭი. ამ აზრზე დიდი ხანია ვდგევარ, სახელდობრ მასუკან, რაც გავიცან ნაპოლეონ I[30], ბაირონი, რუსსო[31], ფაუსტი[32], და სხვ. ძლიერ მომწონს შერრის სიტყვები, სადაც ის ამბობს კაცობრიობის იდეალებზე... რის მოქმედი ხარ კაცო, — იბადები, ცხოვრობ, სწუხხარ, იკარგები. არარაისაგან მოხვალ და არარადვე იქცევი... თუ ასეა არა სჯობია, სულ არ დაბადებულიყავი, თუ დაიბადები არ გირჩევნია, რომ არ იწუხო თავი და ჩქარა მოკვდე?! თუ ეს ასეა, მაშ რად გეშინია სიკვდილისა, რად ეგები ფეხთ ქვეშ, კაცობრიობის ამ დაუსრულებელ მტერს... არა გრცხვენია! რისი გეშინია, რას იმალები! ადექ, მიეგებე მკერდით შენს მტერს და ებრძოლე, მოკვდი—სიცოცხლე რას გიკეთებს, ბევრი, ბევრი ორი დღე იცოცხლო. თუ იცი, რომ ხვალ მოკვდები სირცხვილი არარის, რომ მთელი ქვეყანა შეაწუხო ლოცვით და ვედრებით ხვალემდი ნუ მომკლავო, რა იქნება რომ ღღეს მოკვდე!.. მაგრამ საწყალო კაცო, შენ სუსტი ხარ, გონება შორს არ გიჭრის და არ შეგიძლია ამ საქმეს შეხედო ობიექტურად. აი, რაში მდგომარეობს შენი გონებითი შორს განუჭვრეტელობა. აი, კაცობრიობავ, რითი გჯობს შენ, შენი ნაწილი ფაუსტი — ჭკვიანი სულელი. „მიეცით საწყალს იდიოტ-ყმაწვილს,—ამბობს შენზე შერრი—მისი თიხის ლულა, ლამბაქით წყალი და საპნის ნატეხი და თქვენ დაინახავთ როგორი გულმოდგინეობით დაიწყებს ის ჰაერზე აშვებას იმ ლამაზ და სხვადასხვა ფერიან ბუშთებისას, რომლებსაც უწოდებენ იდეალებს“...

11 მაისს

ეხ, რა უხეირო ვარ, რომ ჩემი სიტყვა ასრულებაში ვერ მომყავს. ამაში მე საზოგადოდ სხვებიც მამტყუნებენ და მართალია, ბევრჯერ სხვები მართალს ამბობენ ჩემზე, მაგრამ სპინოზასი არ იყოს, რა ჩემი ბრალია, რომ მე ასეთი ვარ!.. გარემოების წინააღმდეგობა არავის არ შეუძლია... ვინ ვიპოვოთ ისეთი კაცი კაცობრიობაში, რომელიც გარემოების წინააღმდეგ წასულიყოს? მგონია არავინ არ იყოს. თვითონ დიდი ენერგიული ნაპოლეონ პირველიც გარემოების შვილი იყო. თვითონაც ამბობდა „მე გარემოების შენობა ვარო“... აი სწორედ ყველა კაცს შეუძლია თქვას თავის თავზე ნაპოლეონივით „მე გარემოების შენობა ვარ“... ყველას ვინც უნდა იყოს! ნეცესარიანების მოწინააღმდეგეთ ვარწმუნებ და მგონია თვითონ ისინიც დარწმუნებულნი არიან პროზაული პრაქტიკის შემწეობით, რომ კაცს პირობები და გარემოებები აკეთებენ... (კარგი, თუნდ, სრულებით ნუ ვიტყვით) ამას იმიტომ ვამბობ, რომ გარემოებანი ისე დამეხლართნენ, რომ ეს ჩემი „„ფსიხატორიუმი“ ხელშიაც ვერ ავიღე ამდენი ხანია... ვინ ჩამოსთვლის ყველა იმ ცუდ გარემოებას, რომლებშიაც მე ვიყავი მას აქეთ, რაც მე ეს რვეული ხელში არ ამიღია. მე ამას სრულებით არა ვრაცხ საჭიროდ... აი, თუ გინდა ეხლა, როდესაც ამ სტრიქონებსა ვწერ, სამი დღის „იმერული ავადმყოფობით“ მოუძლურებული კაცი ვარ, და ლოგინზე წამოგდებული, ხელის ძიგძიგითა ვწერ... რამ უნდა დაბადოს ჩემს გონებაში

კარგი რაიმე აზრი. ერთი მხრით სიცხე, მეორე მხრით სისუსტე და ავადმყოფობა სისხლს მიშრობენ... ახ, გარემოებავ გარემოებავ!!! ამ ახლო ხანში წავიკითხე „Метафизика нравов" კანტისა კუნოფიშერით,[33] დიდი, დაუფასებელი და წმინდა კაცის ქმნილება... კანტი სწორედ მე-19 საუკუნის ქრისტეა, იმის კატეგორიული იმპერატივი, იმისი მორალი, სინდისი სწორედ ქრისტეს მოძღვრების სწორია... ამაზე შემდეგ...

13 ივნისს 1873 წ.

რას ჰქვია ვრცელი ჭკუა და ვინ არის თანაგრძნობის ღირსი?

ეს კითხვა სწორედ კაზუისტიკურია. ამის ახსნა სხვადასხვაგვარად შეიძლება და ყველა წინააღმდეგ მხარეს შეუძლია თქვას მე მართალი ვარო... თითქოს სულ ყველა ფილოსოფიური სისტემა ასეთი იყო; ყველა მათგანი დაჯერებული იყვნენ, რომ არა, მე მართალი ვარო, მაგრამ მე მინდა მივმართო ისეთ ზომას, რომელმაც მართლად გასაჯოს და, რომლის გამორკვევა ყოველ მიზეზს გარეშე მისაღები იყოს... (დოღმატიკური). ასეთი ზომა სხვა რაღა იქნება, თუ არა ისევ ჩვენი ჭეშმარიტი გონება, ჩვენი ჭკუა (კანტურად). ჩვენს გონებას გამოვარკვევინოთ და ვათქმევინოთ რა არის ვრცელი ჭკუა?.. ჯერ პირველი და უკანასკნელი პირობა ვრცელი გონებისა უნდა იყოს ის, რომ იმას არა ჰქონდეს არავითარი პირადული ელემენტი, არაფერი ემპირიული... ის უნდა სჯობდეს თავისივე შინაური ცხოვრებით სხვადასხვა კითხვებს და არასდროს არ შეეხოს ამ ჩვენს მძორს—ქვეყანას. ყოველ შემთხვევაში, როდესაც ის შეხედავს ამ მაცდურ ქვეყანას ის ჰკარგავს თავის სიწმინდეს და იქრთამება ბუნების ნაყოფითა. წმინდად და მართლად ის მხოლოდ მაშინ არის, როდესაც ის სრულებით თავისუფალია. ამ აზრისა იყვნენ დიდი, შესანიშნავი ადამიანები კანტი, ბეკონი[34], დეკარტი[35], და საზოგადოდ, ყველა თეორეტიკოსები...

მაშასადამე, პირველი პირობა ვრცელი ჭკუისა არის თავისუფლება, თავისუფალი მოქმედება და პიროვნული ელემენტის უქონლობა... მეორე პირობა, დემოსთენის[36] არ იყოს, ისევ პიროვნული ელემენტების უქონლობაა, მესამეც და მეასეც...

პიროვნული ელემენტი!!! რა მეჯავრება კაცი რომ დაიწყებს: მე, მე, მე, მე... (ვაი, შენ.). იმერლებმა იციან „მე"-ს ცხვარი იძახისო. სწორედ ცხვარია ამ „მე"-ს მთქმელი... მაგრამ ეს ჩემგან მოძულებული „მე", რასაკვირველია, სულ ყველა შემთხვევაში კი არ არის ცუდი. მე შემიძლია ვილაპარაკო „ჩემზე", როდესაც საქმე მეხება „მე" — ჩემს კაცობრიულ ღირსებას, ჩემს საზოგადოებრივ მიმართულებას, მაგრამ—ღმერთო დამიცავ — მე ვიჩხუბო ჩემზე, ჩემს დროებით პიროვნულ რაიმე ინტერესებზე. ღმერთო დამიცავ, დამიფარე, ესრეთი სწორედ იმერული ქცევის ელემენტებისაგან...

— აბა, შეხედეთ, მოუსმინეთ რას ჩიფჩიფებს სემინარიის აივანზე მიმავალი შეგირდი... აი, მისი მონოლოგი:

„ხვალ ეკზამენი გვაქვს: ზოგიერთი ეკზამენატორები ცუდ ბალებს სვამენ საზოგადოდ. მე ზოგიერთი გაკვეთილი არც წამიკითხავს (უკაცრავად არ დამიზეპირებია). რა ვქნა, რომ ის ავიღო რაც არ დავიზეპირე? მართალია, შეჩერებით, არ შევჩერდები, მაგრამ კარგად მაინც რომ ვერ ვიტყვი, ჩემი სიტყვებით რომ ვთქვა, ეფექტს ვერ მოვახდენ ეკზამენატორებზე... და დავიღუპე კაცი (?), ცუდ ბალებს დამისვამენ“.

მეორე დღე. გათავდა ეგზამენი. ჩვენი ნაცნობი შეგირდი მიდის და ამბობს: „მაგ მამაძაღლმა №-მა ცუდი ბალი დამისვა, თუმცა „ურროკი“ კარგად ვთქვი; მე ამას არ მოვითმენ (?), რექტორს ვეტყვი, პრავლენიეში თხოვნას შევიტან“ (...ბარემაც ნაციონალური კრებაც მოიწვიე, შე დალოცვილო!). მიდის ნაცნობთან ჩვენი მამაცი: კაცო, დახედე, მაგ მამაძაღლის ტიელობას, რა ცუდი ბალი დამისვა. მე კი ასე მემტერება და X-ს კი ძლიერ კარგ ბალებს უსვამს... რა ვქნა, რომ მე ლამაზი არა ვარ (??), მაინც იმან მაცალოს (?), ან კიდევ მდიდარი არ ვიყო X-ვით. მე ამას თავის დღეში არ მოვითმენ“... სწუხს, სჩივის, სტირის, ვერა სჭამს, ვერა სვამს საწყალი, ყოველითურთ საწყალი და კვალად საწყალი შეგირდი, მეოთხე, მეხუთე კლასისა 20-25 წლის კაცი, რომელიც ფიქრობს, რომ ცუდი ბალის დასმით წახდა მთელი იმისი სიცოცხლე, რომელიც იმდენად ვერა ხედავს თვალებით და არ იცის, რომ იმის ბალს ან სრულებით არა აქვს იმის სიცოცხლეში მნიშვნელობა და, თუ აქვს მარტო დღიური, ან დროებითი. აი საერთოდ ჩვენებური სკოლების შინაარსი, ნამეტურ იმერეთის... ოხ, ღმერთო ჩემო... იმერეთი სწორედ ისეთი ქვეყანაა, რომ მგონია, არსად არ იყოს დედამიწის ზურგზე იქაური მცხოვრებლებივით „მე“-ს მოყვარე. ეს არის „მე“-ს ერთი მხარე.

მეორე.— დახედეთ, ორი სემინარიელი გამოვიდა სკოლის გარედ. კვირა დღეა. მზე აცხოველებს ქვეყანას. ბაღი სავსეა ქალ-ვაჟებით. მუსიკა ამშვენებს თავის ჰარმონიით ბუნების ამ მშვენიერ სურათს. სემინარიელები დიდის ვაი-ვაგლახით და ხელების ქნევით (დიოგენივით)[37] ხან ამ ხალხში გაივლიან და უმეტეს ნაწილად კუთხეებში მიდიან. აბა ყური დაუგდოთ: ერთი ამბობს: **Пространство и время формы чувственного возрения“**. მეორე ამტყუნებს და ამტკიცებს წინააღმდეგს. ლაპარაკში ხშირად ისმის კანტი, ბოკლი, მილლი, სპენსერი[38] და სხვ. დააცქერდით ამ ორ არსებათ, რომელნიც დახეულ სერთუკში გახვეულან! წაიკითხეთ თუ შეგიძლიათ იმათ ფიზიონომიაზე რა წერია... ვერა მკითხველო, შენ ეგებ ვერ წაიკითხო. მე წავიკითხავ, ყური დამიგდე. აი, იქ რა წერია: „რა საჭიროა ჩვენთვის შეკრებილება, ქალი, კაცი, თამაში, სეირნობა, მუსიკა! ჩვენ ჩვენი საქმე გვაქვს და ის ვაკეთოთ“... ყველა კაცმა თავისი ვალი უნდა აასრულოს, ეს ხომ ლოღიკური აზრია... ისინი დასეირნობენ, იმათ ცოტა საქმე აქვთ. ფეხებზე ჰკიდიათ იმათ, შენი ფილოსოფიაც და შენი ლოღიკაც.— აბა რას იტყვი ამაზე კაცო, რომელიც შეგირდი არა ხარ და თუ შეგირდი ხარ, ხარ აღწეული იმ სანატრელ სფერამ-

დე, რომელსაც ქრისტიანები ობიექტურ სფეროს ეძახიან. დახედეთ, საწყლებსა, იმათ არაფერი არ ახარებთ, არც შენი ნინუცი, არც შავთვალა, არც გიშერთმიანი, სხვადასხვა პოლიტიკური ან საზოგადო კითხვები. ის გამოდის ცხოვრებაში და გამოაქვს ის, რასაც თავის სკოლაში ზეპირობს... იმან საზოგადოებაშიც თავისი თავი იცის, თავისი საგანი იცის. სხვას მეტს იმას ნურას კითხავ... ტანცი-მანცი საზოგადო პრაქტიკული კითხვები, ცხოვრებაში ქცევა — ესენი იმას არ წაუკითხნია თავის ლექციებში, ამაზე თავს ნუ შეაწყენთ... გაიყვანეთ სემინარისტი სადმე საზოგადოებაში. თუ საქმე შეეხო რაიმე იმ დალოცვილ საგანს, რომელსაც სემინარიელები სიხარულით უწოდებენ Чистое мышление-ს მაშინ ორიოდე ხმას ამოიღებს და ხან ბევრად მაღლაც შევა, მაგრამ ვთქვათ, გათავდა Чистое мышление-ს, სემინარიელის სიცოცხლეც გათავდა. უბრალო მუსაიფში ის არ ვარგა. მიხვრა-მოხვრა ხომ ღმერთს იმისთვის სულ არ მიუნიჭებია. ტანცი, ფორტოპიანო, ხომ საჭირო არ არ მისი აზრით... ერთი სიტყვით სემინარიელი, სადაც უნდა მიიყვანო (ის დიაკვნისა არ იყოს, რომელმაც ეკლესიაში მოითხოვა თავისი „დავითნი", მხოლოდ იქ წავიკითხავო) თავის Чистое мишление-ს ეწაფება. აი აქ ვხედავ მე მეორე მხარეს თავისი „მე"-სი. „მე"-ო და ჯერ ჩემი ინტერესიო" და მერმეთ ჩემი ხელობაო"... აი, რა კაცები არიან ჩვენი სემინარიელები. სხვა მხარეებს თავის დროზე ავხსნი თუ მოვახერხე...

დიახ, ვრცელი გონება იმას აქვს ვინც ყოველთვის თავისთავზე არ ლაყბობს, ვინც თავის ცხვირის იქითი სხვა რამეს ხედავს, ვინც პირდაპირ ხედავს მთელს კაცობრიულ ინტერესს და თუ შეუძლია ჰმსახურებს მას, თუ არადა კეთილს მაინც ისურვებს.

ვინც თავის სიცოცხლეში დროს იმაში ატარებს, რომ თავისთავი ადიდოს, რეპუტაცია იკეთოს, სჯამოს, სხვები ინტრიგებში გაახვიოს, იშუროს, იშაროს — ის კაცი ყოვლად საძაგელია, იმისი გონება ისეთი ვიწროა, როგორიც იმათი კაბინეტი, როგორც ბეკონმა თქვა. კაცი ის არის ვისაც შეუძლია ფაუსტივით თქვას;

„Я вселенную мысленно об'емлю"

მხოლოდ ამ დროს არის კაცი მიახლოებული თავის ღირსებასთან თავის ღვთაებრივ დანიშნულებასთან... მხოლოდ ასეთ კაცს შეიძლება თანაუგრძნოს კაცმა... რაც უნდა შურის კაცი იყოს — ჩვენი ზნეობითი გრძნობა, ჩვენი სინდისი, რომელიც ჩვენდა უკითხავად ჩვენვე გვატყობინებენ ჩვენი მოქმედების ღირსებას, რომელნიც გვიფასებენ ჩვენს ქცევას, — თანაუგრძნობენ ასეთ კაცს.

რა დიდს დროებაში ვცხოვრობთ ეხლა ჩვენ!.. ფრანციაში იბრძვის რესპუბლიკა და მონარქია, ისპანიაში რესპუბლიკა, ამერიკაში მოდოკებს ხოცავენ, იაპონია ნათლდება, შახი მოგზაურობს, ვენაში გამოფენაა — ესენი ვინ გაიგონა ჩვენში. ორში შეიძლება ერთმა იცის... შელლინგი[39], ჰეგელი[49], სპინოზა, კანტი, კონტი, მილლი — აი რა აინტერესებს ჩვე-

ნებს... სემინარია ძველით ცხოვრობს. მაგრამ მარტო სემინარია-კი არ, სხვა სკოლებიც. ეს უხეირო მთავრობის ბრალია... ეხლა რაც ხდება იმას აღ, სწავლობენ და 10,20 წლის შემდეგ მოსწავლეები უნდა აზეიმონ, მაშინ, როცა ისტორიის მოძრაობა სხვაგვარ სახეს მიიღებს. ერთი სიტ-ყვით, კაცი უნდა ბევრი მხრით იყოს გახსნილი; მათემატიკოსი ნუ ჰყვირის მუდამ თავის გამორიცხვებზე, ისტორიკოსი — შემთხვევებზე, ლოღიკი — პოსილვებზე, ღვთისმეტყველი—ღმერთზე. ყველა ამას თავის დრო და ადგილი აქვს.

(ღამის 3 საათი).

30 ივლისი 1873 წ.

წვიმს. მოწყენით ვზივარ ჩემი სახლის აივანზე და გადავცქერი ჩემი სოფლის მშვენიერ სახეს. რა რიგ მშვენიერია აქაური ბუნება, როგორ დაუსრულებლად მდიდარია ქვეყნის ეს მხარე. სტენლი[41] სწორად ამბობს ჩვენს სამეგრელოზე, რომ ეს ერთი უმშვენიერესი ქვეყანათაგანი არის მთელს ჩვენს პლანეტაზეო.

წვიმს და მასთან თბილა. მთიდან მოისმის ქარის ხუილი. სოფლის პირუტყვნი გაჰკივიან და გარბიან. ყმაწვილები მხიარულებით მიერეკებიან მათ თავიანთ სახლებში. სოფლის მუშა ბრუნდება ყანიდან, უკმაყოფილოდ მიდის ტყეში, კრეფს შეშას და მიაქვს თავის სამეფოში, თავის სახლში... მისი მეუღლე, — მისი მეფა, ხვდება იმას და ორივე ერთად შესჩივლებენ, რომ წვიმა უშლის თავ-ხელმწიფეს, იმუშაოს.

მოდის შინ მუშა. ზრუნავს იმაზე თუ რა აკეთოს. იღებს ნაჯახს (ცულს) და... და ეწაფება სხვადასხვა შინაურ მოთხოვნილებათა ასრულებას, რომ იცხოვროს ამ წუთიერს ქვეყანაზე... იცხოვროს თვითონ და აცხოვროს თავისი სახლეულობა.....

მე მოწყენილი ვარ ამ დროებით, „დროებამ“[42] პოლიტიკა სულ დაივიწყა. სხვა გაზეთებს მე არ ვღებულობ. უ. (უფალი — ს. ც.) სკანდელი[43] თავისი მშვენიერი სტატიებით იმერეთის ბანკის საქმეს არჩევს. ეხ, სად მიუდგებიან სკანდელს ფურცელაძე[44], წყალტუბელი[45], ავალიშვილი[46], ქიქოძე[47], და სხვები თავიანთი წერილებით... სკანდელივით წერაში დახელოვნებული, ჩემის ფიქრით, ახლა რუსეთშიაც არ არის ბევრი. „Незнакомец[48] კი სჯობია მგონი, მაგრამ ბევრით არაფერი. სკანდელისთანა კაცი მე ძლიერ მომწონს. აი, კაცი, რომელიც მიყვარს. იმას მთელი ევროპა დავლილი აქვს. დიდი ნაკითხი კაცია, მეტადრე ლაბულესთან[49] და ლუიბ[50]-ლანთან და სხვა მწერლებთანაც გაცნობილი, როგორც ამბობენ „Современник“-ის[51] თანამშრომელიც იყო. დიდი ხმა აქვს მეტი არ უნდა კაცს... ამასთან გავლენაც დიდი აქვს... ასე რომ მე იმაზე ვიტყვი, რაცა თქვა ნაპოლეონმა გოეტეზე: Voila cot Romme... კუნოფიშერის კითხვა ძლიერ მემძიმება თანდათან იმისთვის, რომ საზოგადოდ ახალ ფილოსოფოსებს (დეკარტს, სპინოზას, ლეიბნიცს[52], კანტს, გეგელს, შელლინგს) ძლიერ მოსწონთ უნაყოფო სპეკულატიური მსჯელობა... მაგალითად, ლეიბნიცი თავისი მოწოდებით... ყველა იმათგანი, ფილოსოფოსები, თავიანთ თავს იმართლებენ

და ყველა იმათში მომწონს თითო რაიმე... რასაკვირველია, სპინოზა ყველას უნდა სჯობდეს, რადგან მისი შეხედულება ბუნებაზე ეხლანდელი მეცნიერების შეხედულებას ჰგავს, მაგრამ ლეიბნიციც დიდი ვინმეა... მე ნამეტურ მომწონს ფილოსოფებიდან სპინოზა, ერთი იმისი შესანიშნავი მხარით. აი რაში მდგომარეობს ეს მხარე: ის არის ერთობა (Все единство) და ცხოვრებაში გაყვანა თავისი ფილოსოფიური აზრებისა... ლეიბნიცში მომწონს მისი უნივერსალური ხასიათი. თავის დღეში ის წინააღმდეგ მხარეს ისე არ გაამტყუნებს და ისე არა რად გახდის, როგორც ზოგიერთები... კანტში მომწონს მისი ზნეობითი სწავლა... როგორც ლეიბნიცს, მე არ მომწონს სხვისი ძაგება, თუმცაღა სპინოზასთან თანახმა ვარ და ვფიქრობ, რომ ბუნებაში მკვდარი, მესიანიზმის მეტი არა არის რა, მაგრამ ამასთან გამომთქმელად მომწონს რადიკალურად სპინოზას წინააღმდეგ კანტის ზნეობა...

ოხ, რა მიხარია, რომ ფილოსოფიის ისტორიაში ვიპოვე ისეთი პირი, რომელსაც ერთის მხრით მაინც ვგევარ. მე ლეიბნიცზე ვამბობ და იმის უნივერსალურ ხასიათზე. რა ვქნა საშუალება ნებას არ მაძლევს, თორემ მეც ძლიერ მომწონს სხვადასხვა გვარად ახსნა... მრავალმხრიანი ახსნა... ჩემი ნიჭი და მონდომებაც იქითკენ არის მიმართული, რომ ცოტცოტად სულ ყველაფერი ვიცოდე. ჩემგან თავის დღეში ვერ გამოვა კაბინეტის მსწავლული. და კაცმა რომ გამოსარჩევად მომცეს, რასაკვირველია, მე პირველს ავარჩევ. ვაი, საწყალი, ჩვენი ცვეტკოვი და ბევრი სხვა ჩემი ამხანაგები, რომელთაც უკანასკნელი მოსწონთ. უკანასკნელად ისინი ისე ვერ გახდებიან, როგორც მე არ შემიძლია კანტი გავხდე — და ვერც პირველით ისარგებლებენ. ჩემი სული მიმართულია იმ კაცებთან, რომელნიც პირველ კატეგორიას ეკუთვნიან. ესენი არიან: ვოლტერი[53], ლეიბნიცი, ჰეინე, ბერნე, ბელინსკი[54] და სხვ.

მეცნიერებაში, რასაკვირველია, მე მიზიდავს ბუნებითი საგნები, მაგრამ, რომ არც მასწავლებლები მყავს, არც წიგნები რას ვიზამ?... ბუნებითი საგნები მიყვარს იმდენად, რამდენად ისინი ხსნიან ისტორიულ სჯულებს. ისტორია და სოციოლოგია! აი ის ორი საგანი, რომელნიც, როგორც კონტმა, თქვა უნდა გახდნენ მეცნიერების თავად. სოციოლოგია! ნამეტურ..სოციოლოგიის შესწავლა ძლიერ მსურს, ძლიერ, მაგრამ რა ვუყო, რომ ეს ჩემთვის მეტად ძნელია, რადგანაც სხვა, ელემენტარული ცნობები ცოტა მაქვს. როდესაც იქნება ამასაც მოვკიდებ ხელს....

21 ოქტომბერს, 1873 წ.

ძლივს გამოვარჩიე წიგნებიდან ჩემი „ფსიხატორიუმი". რამდენი ხანია აზრადაც არ მომსვლია შიგ ჩახედვა. მაგრამ ეხლაც, რომ ვიღებ, ამაში ახალს ვერაფერს ვპოულობ ჩასაწერად. საიდან დავიწყო? ფურცელაძემ თავისი სიბეცე გუშინწინ დაამტკიცა, ნიკოს[55] რომ რევოლვერი ესროლა და ნიკომ თავისი კარგი კაცობა,— რომ არ უჩივლა... ეხლა ჩვენი ლიტერატურის დედაბოძი ის არის, ჩვენს აზროვნებას მარტო ის ამოძ-

რავებს და აღვიძებს. მეავე პატრიოტობა ჩემი მეგობარი თავის დღეში არ იყო და ეხლაც არ არის. მხოლოდ ცოტა რაღაცა ვიგრძენ, ამ ახლო ხანში ჰეინე ვიკითხე... კუნოფიშერის „ლეიბნიცი" გავათავე... ჩვენს სემინარიაში რევიზორად მოვიდა კერსკი...[65]

30 ნოემბერს 1873 წ.

დღეს ტელეგრამა მოვიდა პარიჟიდამ, — ბაზენს[57] სიკვდილით დასჯა გადაუწყვიტესო. ამ გარემოებამ ძლიერ ამაღელვა. სიკვდილით დასჯა თავისუფალ ფრანციაში. მეცხრამეტე საუკუნის ბოლოს, დასჯა ისეთი კაცისა, რომელიც ერთ დროს ფრანციის მბრძანებელი იყო, ეს როგორღაც 1789 წლებს აგონებს კაცს. ნუთუ მართლა, კაცი იმდენად დამნაშავე იქნება, რომ გახდეს სიკვდილით დასჯის ღირსი? სად არის ის მყვირალა ნეცესერიანელები, ან პოზიტივისტები, რომელნიც კაცს არავითარ ბრალს არ აწერენ. ჩანს რომ იმათ არ შეუძლიათ ხმის ამოღება, იმათი საბუთები ამ ახლო საუკუნეებში არ იქნებიან ცხოვრებაში მიღებული.

მართლა, რა რიგ სასაცილო და სულელი იქნება ის კაცი, რომელიც მივა ეხლა ომალის გერცოგთან და ეტყვის ბაზენი დამნაშავე არ იყო ამაში, როგორც „მეხი არ არის დამნაშავე ხის დამსხვრევაში" — და ამისთვის არ ეკუთვნის იმას დასჯა... რასაკვირველია, ასეთ კაცებს სულელად ჩასთვლიან და სულელებს შინ გაგზავნიან...

მაშ გაჩუმდით, დაეყარენით, თქვე ცრუმეცნიერნო სენსუალისტებო, ნეცესერიანისტებო... თქვენ არც კი შეგიძლიათ დააფასოთ კაცობრიობა თავისი ვარსკვლავით, ზნეობით და საზოგადოებით... თქვენ მარტო თქვენს წინ ხედავთ საგნებს და ბაყაყებს და არ შეგიძლიათ გადაავლოთ ფილოსოფიური თვალი კაცობრიობას... რუსსომ თქვა: ვისაც უნდა მთელი გასინჯოსო, ის საგანს უნდა გაშორდესო და შორიდან უნდა უყუროსო, ვისაც წაწილი, — ახლოს უნდა დადგეს საგანთანო. აი, მხოლოდ შორიდან შეგიძლიათ დააფასოთ კაცობრიობა თქვე ცრუმორწმუნენო; გაშორდით თქვენს ანატომიურ კაბინეტს, გაიხედეთ გარე, შეერიეთ პარიჟში ხალხის მოძრაობას, მაშინ იგრძნობთ, რომ თქვენი შეხედულება ერთმხროვანია...

ბაზენი უნდა მოკვდეს, თუ მაკმაგონმა[58] ვერ მოახერხა რამე ისეთი ტაქტიკა, რომლითაც დაიცვას იმპერატორის მარშალი... მაგრამ თუ მართლა იმან ფრანცია, მთელი ქვეყნის საყვარელი ფრანცია, თავისი პარიჟით გასცვალა ჩინებზე, ან თავის ინტერესებზე, მაშინ დეე, ნუ ცხოვრობს ესეთი სიცოცხლის მოყვარე კაცი... მე აქ ის მაკვირვებს, თუ როგორ უნდა უყვარდეს კაცს თავისთავი ისე, რომ მთელი ქვეყნის თავისთავზე დანაცვლა მოინდომოს, თორემ ქვეყნის გაცემა ჩინებზე და თავის ამაღლებაზე, ოხ, ღმერთო ჩემო, რარიგ სამწუხაროა, რარიგ გულმოსაკლავია და რა რიგ დიდი პარადოქსია თავისუფალ ფრანციაში. მოკვდეს ის კაცი, რომელმაც დასცა დიდი ფრანცია, დაიღუპოს ის პირი, რომელმაც ატირა

მთელი მილიონი მშრომელები, გააღარიბა ფრანცია, მოსწყვიტა იმას ელ-ზასი და ლოტარინგია, დაამდაბლა ამაყი ფრანგის გული... დეე, გახდეს ბაზენის სახელი საზოგადოდ... ნუ იტყვით: აი კაცი, რომლის ხელშია ყველ-მთელი მხრის ბედი, რომელსაც შეეძლო დაემარცხებია მტრები და გაეტმ-ჯობესებინა თავისი ხალხის კეთილდღეობა, მაგრამ, რომელმაც ჩინებზე გაყიდა თავისი სამშობლო, რომელმაც დაამარცხა თავისი ქვეყანაო... არა. სთქვით: აი ბაზენი და უფრო უკეთესად გაიგებენ თქვენს ნათქვამს, უფრო სიცოცხლე ექნება თქვენს ლაპარაკს, ვინემ პირველ შემთხვევაში...

მინდა ერთი საზოგადო აზრი გამოვთქვა. ამას ბევრი ხანია ვფიქრობ და თან-და-თან უფრო ვრწმუნდები ამაში. აი რას ვფიქრობ: თუ საზოგადოებაში მოძრაობა არ არის ისეთი როგორც ვხედავთ სხვა განათლებულ ქვეყნებში, მაშინ ლიტერატურასაც არა აქვს ფერი; ისიც ისეთი უშინაარსო და უფერულია, როგორც ის საზოგადოება, სადაც ლიტერატურაა. ცალკე ეს უფრო მაშინ არის მართალი, როდესაც საქმე შეეხება პოლიტიკურ კითხვებს. აი, მაგალითად ჩვენში. რამ უნდა გააღვიძოს ჩვენი საზოგადოება, რამ უნდა შეაერთოლოს იმისი არსება და აღძრას იმისი ჭკუა-გონება, რომელიმე პოლიტიკური რეფორმის გაგონების დროს, როდესაც იმას თავის სიცოცხლეში არც უნახავს პოლიტიკური მოძრაობა, არც ყოფილა იმის გავლენის ქვეშ.

ჩვენში გვარიანი ხანია, რაც დაფუძნდა ერთი პოლიტიკური წესი და ეს ღვთის მადლით („რომელსა ესხენ ყურნი სმენად ისმინეთ") არ იცვლება, „ნანი-ნანას" უმღერის ჩვენს მძინარე საზოგადოებას. ვის რა დავა აქვს, რომ ფრანციაში რესპუბლიკა დაწესდა, გერმანია შეერთდა და იმპერია შეიქმნა. ესენი, მხოლოდ მაშინ აინტერესებს ჩვენს საზოგადოებას, როდესაც თვითონ ის დაინახავს, ან იქნება იმათ გავლენის ქვეშ. ამისათვის მე სრულიად არ ვამტყუნებ ჩემს ამხანაგებს, რომ იმათ ინჩი-ბინჩი არა იციან რა თანამედროვე შემთხვევებიდან. რასაკვირველია, განათლებულმა კაცმა ესენი რიგია იცოდეს, მაგრამ ყველაფერს უნდა მაიძულებელი მიზეზი. თუ ეს არა აქვს, მაშინ რაღას ბრძანებთ?.. აი, თუ გინდ ავიღოთ მეორე კიდევ ასეთი მოსაზრება. ბევრი ჩემი ნაცნობი მამტყუნებენ, რომ არ ვკითხულობ ჩერნიშევსკის[59], ლასალს, დობროლიუბოვს, რომ მე ზეპირად არ ვიცი ყველა მათგან წარმოთქმული აზრები. მართალია, ხალხის საჭიროების ცოდნა დიდი რამეა, იმათზე ლაპარაკი ყველა პატიოსანი კაცის ვალია, მაგრამ თუ მე არა ვყოფილვარ ხალხში, არ ვიცი იმათი მდგომარეობა, არ ვიცი უბრალო, სახელმწიფო დებულებები, კანონები— როგორ-ღა შემიძლია იმათზე ვიფიქრო? მეტყვიან, წიგნები იკითხეო, არა? მე, ამასთან თანახმა არა ვარ... წიგნები მარტო გამიტაცებენ აქეთ-იქით, იმათგან მე ცოტას მივიღებ საჭირო ცნობებს. საჭიროა მე თვითონ ჩემი თვალით, ჩემი გონებით გავზომო ხალხის მწუხარება და მოთხოვნილება და მერე მე თვითონ შეუდგე ჩემებურად ლაპარაკს. თუ

დობროლუბოვს, ჩერნიშევსკის, ლასალის გამოუჩენია თავისი ნიჭი, ტალანტი პატარაობაში, ის სულ სხვაა, ვინ იტყვის, რომ იმ საზოგადოებამ, სადაც ცხოვრობდა ლასალი, ან ბერნე გამოსულიყვნენ ისეთი მებრძოლები. გერმანიაში უკანასკნელ მუშას „ფაუსტი“ რამდენჯერმე აქვს წაკითხული და ჩვენში კი „ფაუსტის“ სახელიც არ იციან.

მაშასადამე, ტყუილად ნუ გვამტყუნებენ, რომ აი თქვე უხეიროებო, თქვენ არსად არ ივარგებთო, სემინარიას ათავებთ და ეკონომიის ანაბანა არ იცითო... ჩვენც მოგვივა დრო, ჩვენც ვიცხოვრებთ საზოგადოებაში და გავიცნობთ იმის მოთხოვნილებას. მაშინ ჩვენც ამოვიღებთ ხმას....

6 დეკემბერი.

ბაზენი შეუწყნარებიათ. მაკმაჰონი აბა რად გამოიმეტებდა თავის ტოლ მარშალს თუ საქმე იმაზე მივიდოდა. მაგრამ რაც გადაუწყვიტეს ისიც ეყოფა ბაზენს სასირცხვილოდ...

ჩვენს სემინარიაში ვითომ რაღაც საქმეები ხდება. ზოგი ლიბერალობას იჩენს (ბავშვურ ლიბერალობას), ზოგი რაღაც, ყმაწვილის ქცევას პოლიტიკურ მნიშვნელობას აძლევს... სასაცილო და ახირებული საქმეებია... **რუსები რომ იტყვიან: буря в стакане воды,—სწორედ ასეა.** მე ნამეტურ არ მომწონს ინსპექტორის ქცევა. იმას სულ არ უნდა მიექცია იმ ყმაწვილის (კეზელის[60]) ნაწერებზე ყურადღება, მაგრამ იმ დალოცვილის დონკიხოტის არ იყოს, სადაც ცხვრებია, იქ დაიარაღებული ჯარი ელანდება.

14 декабря 1873 г.

Еще одно последнее сказанье.. и может быть на долго, на веки разстанусь с этим моим дневником. Но прощаясь с другом моих юношеских размышлений, я напоследок внесу в него, подобно старому летописцу, еще одно последнее сказаньеи изолью в нем всю свою душу, всю мою скорбь, все мое негодование... Может быть если не я, то кто нибудь другой отряхнет пыля от моего дневника и вспомнит о бывших временах, о бывших людях, о бывших несчастьях...

Летом 1873-го, после р. х. в Закавказье в городе Тифлисе, в одном из средне-учебных заведений края—в семинарии—произошло чрезвычайное событие, выходящее, из круга обыкновенного течения происшествий, событие о некотором не могу вспоминать без содрогания и ужасов сердца. Событие само по себе ничтожное, но оно наделало так много шума, что семинария в настоящее время является героем дня, предметом салонного разговора посетителей и хозяйна, обивателей Тифлиса...

Мальчуган, которого надо высечь, говоря языком Гоголя, мальчуган увлекшийся чтением Чернышевского, Добролюбова,

Берне, Гейне послужил поводом этого необыкновенного события... да, мальчуган увлекшийся, мальчуган с отсуствием всяких установившихся, переработанных зрелых понятий, мальчуган без самообладания незнакомый с основными началами русских государственныхь законов, в пылу разгоряченного воображения (говорят что Кезели писал свое „глупое воззвание" под влияниям вина) написал нечто в роде воззвания, в котором как говорят он превозносит до небес республику и осуждал империю, а особенно государя императора... (დაზიანებულია—ს. ც.)

28 დეკემბერს 1873 წელსა[1]
ქუთაისი

„Их личного нового сканделизма"...
Эристов.

Сканделизм, конечно явление само-по себе не одобрительное, это в особенности глубоко понимается в наше экономическо-социальное время, в наш купеческо-расчетливый век, и в самом деле в экономическом отношении скандели и подобные ему личности (А) причиняют обществу и государству весьма большия невыгоды нарушая то равновесие между трудом и вознограждением за труд которое существует с давних пор и которое по силе необходимости всегда должно существовать.

Я, как человек с лейбницевским характером, признаться, и в сканделизме в экономическом отношении замечаю хорошие стороны, но эта хорошая сторона в сравнении с теми громадными злодеяниями, какия оказывает сканделизм народу (—вот хоть сканделизм Ахвледиани[61] по отношению ко мне) сторона не заметная... Но в прочих отношениях сканделизм это опреднейшее явление в жизни человека, потому что с именем скандели соединяется движение, сила, энергия, широта натуры, симпатия, деятельность, словом, жизнь во всех ея проявлениях...

Сканделизм—это Байронизм в миниатурной форме. Не могу я выразить словами и условить все мои чувства для изложения на бумаге, потому что я не мастер (это видно по всему) излагать на бумаге все что думаю, да и вообще это не вяжется с моим темпераментом. В особенности, к несчастью я не могу писать хорошо о том, чему я предан всею душою. Спасибо Гете за то, что он в речи о Шекспире провел мысль, что спокойное разсуждение не ширится с торжеством души. Я очень благодарен великому поэту за эту мысль, потому что его великий авторитет

[1] გვერდით მიწერილი აქვს, ცხადია დიდიხნის შემდეგ: „я ненавижу автора этой..." —ს. ც.

хоть на миллион смягчит нападки. Тех педантов-философов, которые во всякой простой беседе ищут логической формулы.

Ах, какого мое положение. Сознаюсь, что не умею писать и это сознание меня безпокоит больше, чем путем обидного сознания не знание—фауста. То что некоторые размазывают, то что некоторые скажут в нескольких объемистых томах своих сочинений у меня может быть все на душе, но я могу написать только из всего этого содержания сухой скелет, душу сочинения, но писать, давать форму содержанию, разглагольствовать не в моей природе, или лучше говоря не в моей силе и что за в самом деле привычка у людей писать 20—30 томов или 6 тысяч книг которыя приписывают некоему св. отцу. Я не знаю где же у них столько силы и столько лукавства, чтобы писать столько сочинений и какая это сила? Мой товарищ, обладающий теми же сведенями, какими обладаю я и такого же ума как мой хотя о данном предмете сможет столько и так как я, но заставь его писать и напишет больше чем я, потому что... нет я не хочу так вдруг сказать, обратите внимание на следующия слова, прочтите их с чувством... потому что в них больше лукавства чем во мне. Да величайшее из всех несчастий, случившихся со мною в жизни и строжайшее из всех наказаний, каким когда либо я подвергался в природе заключается в том, что я родился не змеем, а голубем. Да, это великое наказание божье; потому что некогда в золотыя прежния времена заслуживающий всеобщего уважения голубь вот уже несколько веков находится во плену у пресмыкающагося презренного животного... А было время... блаженнее прежнее время, когда люди были голубями, но по разъяснении рода человеческого они стали змиими и прогневали отца Вседержителя... Господь Бог по безконечному своему милосердию поддерживал людей в сфере голубей посылая им патриархов которые проповедывали покаяние и обращение в голубя, из таких патриархов особенно замечательны были: Руссо, Гейне, Байрон, Берне, Гоголь[62], которые своими проповедями хотя и не искоренили породы змиев, но при всем том весьма много содействовали улучшений и увеличению породы голубей.

Ах, как далеко я затем; не помню о чем я говорил, потому что я не лукав, потому что я прост по природе. Еще раз: я глубоко уважаю простых людей: они только естественные люди, но я их жалею потому что беда им на свете—змея, лукавое животное... и ненавижу искуственных, замаскированных людей, потому что они испортили человеческую природу, но за то они ум-

ные люди—хвала им... Велик тот, который, умея маскироваться и быть искусственным в тоже самое время прост, естественный, конечно, в известной степени в известное время и при известных обстоятельствах (Петр I,[63] Наполеон I, Гете, Ал. Македонский и пр. и пр. и пр...)

29 დეკემბერს 1873 წ.

глас народа—глас Божий

ხალხიდან რომ გამოვარჩიოთ რომელიმე ერთი ან ორი კაცი და მივცეთ იმას ცხოვრების სხვადასხვაგვარი კითხვები, რასაკვირველია, ვერ მივიღებთ ისეთ პასუხებს, როგორც რიგია, — ეს იმიტომ რომ ხალხი გონებრივად გახსნილი არ არის. მაგრამ ესევე კითხვები, რომ მივცეთ მთელ ხალხს, რიგიან პასუხებს მივიღებთ. ამის მიზეზის შეტყობა არ არის ძნელი. ხალხში, ერთმა რაც არ იცის ის მეორემ იცის, მეორის უცოდინარობას მესამე ავსებს და ამგვარად, რაც უნდა კითხვები მისცე ხალხს მიიღებთ რიგიან პასუხებს; ისეთ პასუხებს, როგორიც შეესაბამება მთელ ჯანსაღ გონებას.

რასაკვირველია, ხალხი უმეტეს ნაწილად უბრალო გულისაა (მტკიცდია და არა გველი) და ვერ გამოსახავს თავის პასუხებს რიგიან და ხელოვნურ ფორმებში, ისეთ ფორმებში, რომლებშიაც წარმოგვიდგენენ ნასწავლები, მეცნიერები თავის შრომებს. მაგრამ მიუხედავად ამისა, ხალხი რასაც იტყვის, იტყვის მრთლად და სიმართლით... ხალხის გენია დიდია, ხალხის ხმა — ღვთის ხმაა... ეს უბრალო მოსაზრება უფრო უბრალოდ რომ ვთქვათ მდგომარეობს იმაში, რომ კოლექტიური კაცობრიობის გონება ყოველთვის უფრო დიდია ინდივიდუალურ გონებაზე... ეს მართალია, ამას ისტორია გვიმტკიცებს... მართალია, ზოგიერთ შემთხვევაში ისე გამოდის ვითომ ცალკე პირები უფრო მაღლა დგანან ვინემ ხალხი, იმათი ნათქვამი უფრო სწორია ხალხის ნათქვამზე, მაგრამ ისიც მართალია, რომ ამბობენ, კაცი ყოველშემთხვევაში რაც უნდა დიდი იყოს — არის გარეშე პირების რეზულტატები და, მაშასადამე, დიდი კაცი ამბობს, იმას, რაც ხალხშია, მაგრამ რაც ხალხს თავისი უხელოვნობით და უბრალო გულით ვერ გამოუთქვამს რიგიან ფორმაში. ამის მტკიცება არც არის საჭირო. ამის თანახმანი არიან ყველა განათლებული კაცები. ამის დასამტკიცებლად მილლი იმას ამბობს, რაც უფრო ხალხი ნათლდება და გველივით ბოროტი ხდება, დიდი კაცები უფრო ძვირფასმჩნევნი შეიქმნებიან... ამისთვის ყველა დროებაში და ყველა ხალხში კოლექტიურ გონებას დიდი პატივი ჰქონდა. პისარევი[64] თავისებურად „Уважайте народные щи да кашу“, სპენსერმა გამოიგონა მშვენიერი მეთოდი ხალხის გადმოცემების გასარჩევად.

სწავლულები და ისტორიკოსები არჩევენ ხალხის ლაპარაკს, ენას, ქცევას და ამაში კითხულობენ ისტორიას. ერთი სიტყვით ხალხი, მისი

კოლექტიური გონება ყოველთვის პატივისცემის ღირსია; იმას რიგიანი ყნოსვა აქვს და წინათგრძნობს ბევრ ისეთ რასმე, რასაც ცალკე პირები ვერ იგრძნობენ და რომლის გამო ეს უკანასკნელნი ხალხის გრძნობას ცრუმორწმუნეობას ეძახიან. თუ პრინციპში გადავწყვეტთ იმას, რომ კოლექტიური გონება მაღლა დგას ვინემ ინდივიდუალური, ისიც უნდა მივიღოთ, რომ შეუძლია ისეთი რამე წინდაწინ იგრძნოს, რაც ცალკე პირებს არ შეუძლიათ. — ამისთვის აჩქარება ძაგება იქნება იმათი, თუ ზოგიერთები ხალხის ნათქვამს არაფრად ეპყრობიან. სპენსერის მეთოდი ძლიერ მოსაწონია. ის ამბობს: რასაც ხალხი იტყვის იმაში არ შეიძლება, რომ ცოტა მაინც მართალი არ ერიოსო... ნამდვილია, ჭკუასთან ახლოა, ვინ იცის უბრალო ხალხში რამდენი ურევია ბუნებით გენიოსები—ნიუტონები, შექსპირები, კანტები და ვინ იცის როგორი უკანასკნელი გიმნაზისტი ან ქარაფშუტა ინსტიტუტკა დასცინის ხალხს? მე ყოველთვის იმ აზრისა ვარ და ვიქნები — ხალხის ხმას დიდი მნიშვნელობა აქვს და უნდა ჰქონდეს... და ჩემი პატივისცემა ხალხის აზრისადმი იმდენად დიდია, რომ ზოგიერთების შეხედულებით უბრალო ცრუმორწმუნეობაც არ მიმაჩნია უსარგებლოდ და „ცრუმორწმუნეობად“.

ავიღოთ მაგალითად ერთი შემთხვევა, თვალი ავნებს კაცსაო. რასაკვირველია, ხალხის ამ დანაყბედს ყველანი დასცინოდნენ ეხლამდის და ეხლაც დასცინიან... მაგრამ ეხლა კი მართალი ხდება ხალხის აზრი... ზოგიერთთა თვალები, რომლებშიაც ჭარბი ელექტრონის ძალაა, მოქმედებენ ზოგიერთ საგნებზე. ან კიდევ ავიღოთ სხვა რამ... მაგრამ რა საჭიროა სხვა მაგალითის აღწერა! განა ცოტა ისეთი რამეებია, რაც წინაპირველად ხალხს გამოუცდია, გამოუცვნია ინსტიკტურად უსარგებლნია და შემდეგ მეცნიერებას მიუჩემებია. თავისი შესაფერი ხელოვნური ფორმით, ყველასათვის ცხადად დაუნახვებია? ამაზე ფაქტების მოყვანა საჭიროდ არ მიმაჩნია, ამას მკითხველს ვსთხოვ თუ არ შეეზარება. ყველა ამ მოსაზრებით, მე იმას ვამტკიცებ, რომ ხალხის კოლექტიური გონება სახუმრო საქმე არ არის; იმისი ხმა, როგორც რუსები იტყვიან ღვთის ხმაა... ამიტომ სპენსერის არ იყოს, რაც კი ხალხს უთქვამს ყველაში არის ცოტა-ოდენი ჭეშმარიტება.

ხალხის ნათქვამს თავი რომ დავანებოთ და იმის მოქმედებას ხელი მივყოთ, აქაც ამგვარ შემთხვევას დავინახავთ. ხალხის არც ერთი მოქმედება არ კეთდება უაზროდ; ყველას აქვს თავისი საფუძველი, მაგრამ, სამწუხაროდ, ჩვენთვის ძნელია ამ საფუძვლების გაგება, რადგანაც დროიდან დრომდე, თაობიდან თაობამდე ხალხის ჩვეულებები, ქცევები, სხვადასხვა სახეებს ღებულობენ. ზოგიერთი ჩვეულებები ისე შორს არიან წასული, რომ ჩვენი გონებისათვის თუ არ ისტორიის შემწეობით, ყველა გზით შეუძლებელია იმ ჩვეულების მიზეზი ვიპოვოთ, მაგრამ რაც უნდა იყოს ყველაფერს აქვს თავისი მიზეზი. სამწუხაროდ, თითქმის ყველა ეხლან-

დელი ჩვეულებანი ძნელი გასაგებია ჩვენთვის, რადგანაც თავის საფუძ-
ვლიდან დროთა გავლენისა გამო შორს არიან განცალკევებულნი...

აქ საჭიროა ერთი საწინააღმდეგო აზრის მოყვანა. ყველაფერი, რაც
კი თქმულა, რაც კი გაუკეთებია კაცს, წინაპირველად უთქვამს ერთს და
გაუკეთებია ერთს... მაშასადამე, ის რაც მიეწერება ხალხს, ეკუთვნის არა
ხალხს, არამედ ცალკე პირს... ეს სწორედ საფუძვლიანი საბუთია. თუ
ეს ასეა, მაშასადამე, შეიძლება, რომ ცალკე პირი შეცდა და იმან თავისი
შეცდომით ხალხიც შეაცდინა, ხალხმა მიიღო იმისი ქცევა, დაიჯერა იმისი
სიტყვა და, მაშასადამე, ხალხი, რომლის სიტყვას ვუწოდებთ ღვთის
სიტყვას, — სტყუის. სწორედ საფუძვლიანსა ჰგავს ეს, მაგრამ ჭეშმარიტე-
ბა მაინც არ არის. შეიძლება მოხდეს, რომ ერთმა რაიმე ჭორი მოიგონოს
და დააჯეროს ხალხი. არ იქნება, რომ ამდენ ჩვეულებებში, ამდენ რწმუ-
ნებებში არ იყვნენ ზოგიერთი ისეთი ჭორები, მაგრამ ამის წინააღმდეგ
ჩვენ შეგვიძლია ისა ვთქვათ, რომ არც გამოცანა, არც ანდაზა, არც რაიმე
აზრი, ჩვეულება არ ეკუთვნიან ერთსა და ორს, ისინი ყოველთვის მთელი
ხალხის ნაღვაწევია. ერთი ან ორი დამწყები თავის დღეში სრულიად ვერ
იტყვის მთელ გამოცანას, ანდაზას, ჩვეულებას, ამას ხალხი აკეთებს, და
ხალხის მხრით მოსალოდნელი არ არის, რომ მთელმა კოლექტივმა იცრუ-
ოს, კოლექტიური გონება ყოველთვის საღია და მართალი. ის თუ რაიმეს
ამბობს ჩვენ უნდა დარწმუნებული ვიყოთ, რომ ის საქმეს აკეთებს...

ეხლა ჩაუფიქრდეთ ხალხის გონებას და იმის მუშაობას, გავსინჯოთ მა-
გალითებით იმათი ქცევა და ვნახოთ რამდენად მართალია ის აზრი, რომ
ხალხის ნათქვამში ყოველთვის არის ცოტა-ოდენი ჭეშმარიტებაო... ამ
კითხვების განმარტებას ჩვენ ცოტა შორიდან დავიწყებთ.

1874 წელი.

დღეს 31 დეკემბერი იყო 1873 წლისა. დაღამდა, გავიდა 10-11 საა-
თი, დაჭკრა თორმეტი და შემოდგა ფეხი ახალმა წელმა. ამგვარად, რო-
დესაც ამ სტრიქონებსა ვწერთ უკვე მე-74 წელში ვართ... წავიდა ერთი
წელიწადი. შეუერთდა ღრმა, უფსკრულს და გამოუთქმელ საუკუნეებს.
ვინ იცის დედამიწის ზურგზე რამდენი კაცი ხარობს ამ წუთას, რანაირის
მზადებით ხვდებიან ამ ახალ წელიწადს ათასი და ათიათასი გულები. ნე-
ტავი იმას, ვისთვისაც არის სიხარული ამ ქვეყანაში. ვაი, შენ ჩემო ეხ-
ლანდელო მდგომარეობავ, რომ ამ ჟამად მე არაფერი არ მახარებს და
მამხიარულებს. ახ! სად გაჰქრნენ ის ყმაწვილური ჩემი ნეტარებანი, რომ-
ლებიც მეფერებოდნენ, ის ყმაწვილური დრო, როდესაც მე არ ვიცოდი
რას ერქვა „წვალება". ახ, ნეტავი თქვენ, ვისთვისაც მზეს ცოტა მაინც
მიუთბია შემდეგ იმისა, რაც გაიგო რას ჰქვია წვალება, მწუხარება, უბე-
დურება. რა სიტყვებით გამოვხატო ყველა ის მწუხარება, რაც გადამ-
ხდა ამ უკანასკნელ ხანებში. თუ ჩემს სიცოცხლეში ორი-სამი წელი ესე-
თი გამერია, როგორიც იყო ჩემთვის ეს 1873 წ. მირჩევნია, სულ არ ვი-

ყო დედამიწის ზურგზე. ვსტირი, ვწუხვარ, ზნეობითად ვწვალობ, რომ ესეთი უბედურებანი ზედი-ზედ მემთხვევა.

გამოუხატავად ჩემთვის სანეტარო ყმაწვილობაში, მე ვიყავ ყოველად და ყოველითურთ ბედნიერი; არა მაწუხებდა რა. ქვეყანა ჩემი მეგონა. მეც ნაპოლეონ პირველივით მრწამდა ჩემი ვარსკვლავი, რომელიც ყოველ შემთხვევაში მინახავდა მე. მაგრამ, ეხლა ყველაფერმა მიღალატა: ვარსკვლავმაც, ნაცნობ-ნათესავებმაც, წელმა, ბუნებამ და კანონმაც. ყველა ესენი ეხლა ჩემი მტრებია. ყველა ესენი მაიძულებენ, მეც ვისწავლო, რას ჰქვია მტრობა. დიდი ხნით გაჩუმებული ვიყავ. მალე არ დავივიწყე ჩემი ძველი მეგობრები და გულში მტრობა არ ვიქონიე, მაგრამ დრომ, ვითარებამ თვალი ამიხილა და დამარწმუნა, რომ ქვეყანაზე მცხოვრები კაცი ყოველთვის უნდა მტერი იყოს. ე. ი. ამ 1873 წელმა ის ცვლილება მოახდინა ჩემში, რომ მე მტრედის მაგივრად გველი გავხდი, სხვანაირად, რომ ვთქვათ, შევიძინე უმთავრესი ელემენტი საზოგადოებრივი ცხოვრების უხილავი ნიღაბი, რომლითაც დროების მიუცილებელ მოთხოვნილებისა, ყველა კაცმა თავისი სახე ცოტათი მაინც უნდა დამალოს. უამისოდ სიცოცხლე შეუძლებელია. ვინც ამის დამტკიცებას მოითხოვს, მე ისტორიაზე უჩვენებ — იქ უთვალავი მაგალითებია ამის დასამტკიცებლად. მთელი ეხლანდელი ევროპული სახელმწიფოების ურთიერთობა უმთავრეს ნაწილად დაფუძნებულია კაცისათვის ამ უღირსი ნიღბით დაფარულ ცხოვრებაზე. რაღაც ღვთის წყრომაა, ეხლა ძლიერ გაძვირდა ბუნებოვანი ადამიანი. ყველგან ხელოვნურ კაცს ხედავ, ყველგან მოტყუება, ორპირობა, უპირდაპირობა, გაცემა, დაუნდობლობა; ყველა ამას გამოცნობა უნდა. ყველა ამას სიფრთხილე მართებს და ამისათვის კაცი დაიღუპება თუ ის მტრედად რჩება ყოველ შემთხვევაში... ახ, სად არის ის დალოცვილი ძველი დროება, როდესაც მარტო ულვაშზე ხელის დადება საკმაო იყო კაცის დასაჯერებლად და პირობის ასასრულებლად; სად წავიდა ის პატიოსანი დრო, სად არის ის პატიოსანი ხალხი? გაჰქრნენ ისინი, როგორც საპნის ბუშთები ჰაერში.

ეხლა სხვა დროა. ეხლა ულვაში არ კმარა. საჭიროა ქაღალდი, მოწმენი, ნოტარიუსი, და ამ შემთხვევაში ხშირად ხედავ, რომ ჩივილი და ფიცია საჭირო. ერთი სიტყვით ეხლა ის დროა, რომ კაცს არ შეუძლია მტრედი იყოს. კაცი უნდა ხერხი იყოს, გველის გონება ჰქონდეს... აი, ეს დამასწავლა მე 1873 წელმა. მაგრამ, ღმერთმა იცოდეს, ეს ცხოვრება მე ძლიერ მეჯავრება. მე ბუნებით უბრალო კაცი ვარ, ორპირობა, გამცემლობა, გაცემა, მიხვევ-მოხვევა — მეჯავრება... მაგრამ რა ვქნა დროებას უნდა დავემორჩილო... რაც უნდა ითქვას, მე „მტკიცედ დავადგები ჩემი მელნის უკანასკნელ წვეთამდის“ ჩემი აზრის დამტკიცებას. დრო არა მაქვს, რომ ვილაპარაკოთ თქვენს წინააღმდეგ, ახალგაზრდებო, რომლებიც დამცინით მე ამ სიტყვების წარმოთქმისათვის. საკმაოა გითხრათ ის, რომ მე მტკიცედ დარწმუნებული ვარ ჩემს აზრზე. თუ დაუფიქრდებით, თუ

სიტყვებისა და აზრების გარდა ოდესმე საქმე გინახავთ ან რევიზორთ რაიმე საქმეში, გიშრომნიათ და გიბრძოლნიათ, მაშინ რასაკვირველია, დამეთანხმებით, მაგრამ თუ თქვენი ბჭობა მარტო ენის მოძრაობაში მდგომარეობს, ან კალმის ტრიალში, მაშინ შეგიძლიათ მტკიცედ დაადგეთ თქვენს აზრს, ამ შემთხვევაში თქვენ, მეტი არც კი მოგეთხოვებათ...

მაგრამ, ჰე, სად წავედი, რა ფიქრებში გადავიკარგე. მე ახალ წელზე ვამბობდი, თოფების ხმა მესმის... დიახ, ახალი წელია. 1874 წელია.

საკვირველია კაცის საქმე. რას ჰქვიან ახალი წელი? ძველი? რა არის ამდენი სიხარული, თოფის სროლა, გოზინაყის კეთება, კამფეტები, მურაბა, ლიმონი, ვაშლი, ლიკიორი და სხვა ამდენი ტკბილეულობა? რა აზრი აქვს ყველა ამას ამ პირველ საათზე. მერე რამდენ ადგილას?.. ყველგან ჩვენს მხარეზე და ვინ იცის კიდევ სხვაგან... რას ეძახიან ამ ახალ წელიწადს?... ეს ისეთი სისულელეა, როგორც ის, რომ ხუთშაბათს ხორცი იჭმება და პარასკევს არაო. ხვალაც ისეთივე დღე იქნება, როგორიც გუშინ და დღეს. 1874 წ. ბუნება იმგვარადვე იმოქმედებს, როგორც 1873-ში. ისევე ის მწუხარება, ისევე ის ავადმყოფობა, ისევე ის ვალი, რომელიც 73-მა წელმა შეგვძინა უფრო გადიდებული და გაათასებული. მაგრამ, რაც უნდა იყოს, ჩვენ მაინც დიდი სიხარულით ვეგებებით ახალ წელიწადს. ამაღამ 11 საათზე, სხვათა შორის, მიხეილთან[66] მეც გოზინაყისა გაკეთება მოვინდომე, მაგრამ, დასწყევლოს ღმერთმა, თაფლი დაგვეწვა და გოზინაყს დამწვარის გემო ქონდა. ასე, რომ ხვალ დილით ისევ უნდა გავაკეთოთ სხვა, თორემ ხვალ ქვეყანა ჩვენსას მოვა. В мире жить, мирское творить-ო ნათქვამია, ან კიდევ ჩვენებური „მიჰყე, მიჰყე სოფელსაო, მამაძაღლის ოხერსაო“,—სწორედ ასეა, არა ძმაო; როგორც გინდა თქვი, რაც გინდა იფიქრე, სიმართლეს ვერ წაუხვალ. სიჭაბუკეს ყოველთვის კაცობა მოსდევს და სიყმაწვილეს ყმაწვილური ფიქრები. ოცნებები ჰქრებიან იმ მომენტიდან, როგორც კი კაცი სრულწლოვანებაში შევა, რა დროსაც, კონტის ენით რომ ვსთქვათ მეტაფიზიკი პოზიტივისტად გახდება.

მაშ, დეე, დაემორჩილე კოლექტიურს გონებას და ნუ ყვინჩილაობ, მამა გიცხონდება, ჩემო იდეალისტო, თაყვანი ვსცეთ ჩვენს ხალხურ ჩვეულებათ, ვჭამოთ გოზინაყი, დავაბეროთ ბერები, მიირთვით ფორთოხალი, ვაშლი, კამფეტი; ხომ იცით ქრისტეც იყო გალილეას, კანის ქორწილში და ქეიფობდა, მაშ ჰო, დაწყნარდი, ნუ ფიცხობ, ჭკუაზე მოდი და პოზიტივისტებს დაუჯერე, რადგანაც ისინი სწორ გზაზე არიან დამდგარნი.

8 იანვარს 1874 წ.

თანდათან ბოლო ეღება ბედნიერებას, ყველა მხრივ, ყველაფერმა მიღალატა. ყველაფერი ჩემს წინააღმდეგ არის. სამწუხაროდ, ვგრძნობ რომ საჭიროა, თუ სიცოცხლე მინდა ჩხუბი ვისწავლო. არ მრგებს ჩემი უბრალოება, დამღუპა მან. გველის სიბოროტეს უნდა მივყო ხელი. მშვი-

ლობით ჩემო მტრედო—უბრალოებავ, მშვიდობით ჩემო ძვირფასო და საანტრელო სიყმაწვილევ, ახ, რა რიგ მიყვარდი შენ, დაუფასებელო ჩემო სიყმაწვილევ, მე გეთხოვები შენ და ვწუხვარ, რომ მოჩხუბარი და ცბიერი უნდა გავიდე. ааграх рга ѕ́ѣ́ѣ́ат вся моя вина необходимость последствия... (შექსპირი)... უნდა დაემორჩილო კაცი გარემოებას...

ახ, რა რიგ სამწუხარო და გულის მოსაკლავი ამბავი შევიტყვე ამ კვირაში... მოუტაცნიათ თამარი, [67] ის თამარი, რომელიც ერთ დროში ჩემი სულის ღმერთა იყო... ვის არ გამოუცდია თავის სიცოცხლეში სიყვარული, და არ იცის რას ჰქვია სიყვარული.... განმარტება შესაძლებელი არ არის, ის გამოუთქმელია სიტყვებით, ის მხოლოდ შეგვიძლია ვიგრძნოთ... ვინ არ მოუყვანია რაღაცნაირ უცნაურ და გაუგებარ სიხარულში ან მწუხარებაში ცამეტ-თოთხმეტი წლის თეთრ-კაბა, თვალუუკუნა, შავთვალწარბა, კარგი მიხვრა-მოხვრის პატრონ ჭკვიან ქალს... ვის არ გამოუცდია როგორღაც უხილავი და უნებლიე მიზიდება, მაგნიტის მსგავსი მიტაცება 16 წლის კეკლუცა გასათხოვარ ქალთან, მე არაფერს ვიტყვი, რადგანაც გრძნობის გამოთქმას შექსპირის კალამი უნდა და არა ჩემისთანა ჯაგლაგი მწერლისა. მაგრამ ვისაც გყვარებია, გაიგებ, რა რიგ სამწუხარო შეიქმნა ჩემთვის იმის მოტაცება... ნეტავ, ვნახავდე მაინც, ნეტავ კარგმა ვინმემ თუ წაიყვანა, ნეტავ თუ კარგმა ვინმემ მოსწყვიტა ეს გაუშლელი მაისის ვარდი. ნეტავ ვიცოდე, რამ შეაცდინა ეს ახალგაზრდა ქალი. ვაი თუ თავის ნებით წაყვა და ძალით არ არის წაყვანილი! ამ შემთხვევაში ის ზნეობით დაცემული იქნება და ამასთან სხვა რამესაც იზამს ამ ახლო ხანებში, ნამეტურ თუ კარგმა ვინმემ არ წაიყვანა. უჭკუობა მოერია და მე ახლა სრულიად დარწმუნებული ვარ, რომ ის სტირის და სიცოცხლეს იწყევლის, რად მომივიდა ესეთი საქმეო... ნეტავ ერთი საათი მაინც მამყოფა იმასთან და დამალაპარაკა. თუ საქმე ისეა, რომ არაფერი შეიძლება, ნუგეშს მაინც მივცემ მაგრამ ამ გრძნობას ცოტა კრიტიკის წყალი რომ გადავასხათ, ბევრი არაფერი ითქმის, ვინ იცის ვინმე შეუყვარდა სულით და გულით და გაჰყვა, გაჰყვა მალულად, ჩუმად იმიტომ, რომ იმას არავინ არ მისცემდა ნებას, რადგანაც ჯერ სამი და გაუთხოვარი ჰყავს და მერე იმისთვისაც რომ მცირეწლოვანიაო. მართალი რომ ვთქვათ, არც პირველია საკმაო საბუთი და არც მეორე. პირველი ყველასათვის ცხადია, მეორეზე შეგვიძლია ვთქვათ, რომ არამც თუ ჩვენს კავკასიაში, არამედ შეერთებულ შტატებში ათი-თერთმეტი წლის ქალებს ათხოვებენ.

მაგრამ, არა.... მე ამ კრიტიკის არა მინდა რა, ჩემი გრძნობები არ მაძლევენ ნებას, რომ იმას ყური უგდო.. „Кто будучи во пламени может думат о снегах холодного Кавказа“.

მე მაინც თ-ზე მსურს საუბარი, იმის დაუნდობლობაზე, იმის სილამაზეზე, იმის უჭკუობაზე, მინდა იმაზე ვიწუხო, ვიოხრო. იმისი მშვენიერი ფიგურა ცხადად მეჩვენება ჩემს გამოხატულებაში. საწყალი ქალები, რა მოკლე ჭკუისანი არიან საზოგადოდ... ამაში ისტორიული პირობებია

დამნაშავე . იმ პირობებმა დაჩაგრეს ქალი და ის დღეის—დღემდე ვერ ედრება მამაკაცს. რა მშვენიერი რამ იყო თ-რი, იმის შექმნაში ბუნებას დაუხარჯავს რაც რამ უკეთესი გააჩნდა და ეს ყველა იმისათვის—აფსუსი არ არის?... რომ ის უნდა დაჭკნეს სადმე, სოფლის ყურეში, შეუმჩნეველად უხეირო აზნაურის ხელში და მთელი სიცოცხლე ეწვალოს ან იბოროტოს.. აფსუს! ჩემმა მზემ, რა ამბები ხდება ქვეყანაზე, რამდენი სისულელე. არსად არ არის О целесоображености და ჰარმონია, ყველგან უსწორ-მასწორობაა, აყალ-მაყალი, მწუხარება, უბედურება და სხვ. ამ-გვარები. რა ვქნა შემძულდა ამ ქვეყანაზე ყველაფერი, არაფერი არ მა-მხიარულებს, ჩემი თავი მეჯავრება, „глупость жить, когда жизнь страдание" (შექსპირი). ისევ სჯობია სიკვდილი, საუკუნო განსვენება, ვინემ ცხოვრება და მწუხარება. მინდა დროებით სოფელში გადავსახლ-დე და იქ თავისუფლების ტლინკები ვყარო, მაგრამ რომ ვერ ხერხდე-ბა? ახ, როგორ მინდა ერთი თვე მაინც უბრალო სოფლის კაცი ვიყო, რომელმაც არ იცის რას ჰქვია განათლება და კმაყოფილია თავისი ცხოვრებით. ეს ყველა კარგი, მაგრამ ავადმყოფობაც რომ თავს არ მა-ნებებს, ამისთანა ღვთის წყრომა იქნება!?.

10 იანვარს 1874 წ.[1]

ქუთაისი

ჩემთვის რომანტიული პერიოდი წავიდა, მე ამას იქით არ შემიძლია შევიყვარო ვინმე ისეთი ძლიერებით, რომლითაც შემიყვარებია ვინმე ჩემს სიცოცხლეში, მაგრამ არა, შეიძლება კიდევ შემიყვარდეს ვინმე, მაგრამ ეს სიყვარული სხვანაირი იქნება ვიდრე აქამდის.

აქამდის მე ბუნებით მოსიყვარულე ვიყავი, ამას იქით ჩემი სიყვა-რული დონ-ჟუანობა იქნება. იმიტომ, რომ დონ-ჟუანობა ეკუთვნის გუ-ლის სიბოროტეს და ცბიერებას და არა მტრედის უმანკოებას. დასწყევ-ლოს ღმერთმა ეს სიყვარული. ეს სწორედ კაცის დასაღუპავად არის გაჩენილი. შეგიყვარდა, ვთქვათ, ვინმე ლამაზი, თვალუუჭუნა, შავთვალ-წარბა; ვთქვათ ამ ღვთაებრივ არსებას შენ არ მოსწონხარ, შენი სიყვარუ-ლი უფრო დიდდება და სურვილი თანდათან განუზომელი ხდება. ღვთაებ-რივი არსება შენ სულ შეგიძულებს, მაგრამ შენ ბოლოს ღმერთად ხდი იმ არსებას და გინდა თაყვანისცე იმას. სწორედ რომ ტირანია ეს განუ-მარტავი და გამოუთქმელი სიყვარული.

თუ შეგიყვარდა ვინმე, ცუდიც რომ იყოს, ის არის შენთვის ყველაზე ულამაზესი და იმას ეძებ შინ თუ გარეთ, დღესა თუ ხვალე, გინდა მხო-ლოდ იმას ხედავდე, ყოველთვის იმას ელაპარაკო, იმას მოეწონო, იმას თავი შეაყვარო, გინდა შენი ტოლები იმის წინაშე არაფრად გახადო, და შენი თავი მნიშვნელოვნად გამოიყვანო. დარწმუნებული ვარ იმაში, რომ

[1] გვერდით მიწერილი აქვს (უთუოდ შემდეგ წლებში): писал под впечатлением минуты.—ს. ც.

ღმერთს ქალები არ გაეჩინა, თავმოყვარეობა თითქმის სულ არ იქნებოდა ქვეყანაზე. უქალო საზოგადოება ყოველთვის უშნო და ულაზათოა, მაგრამ სადაც ქალია იქ ზრდილობაც არის[1], შნოც და ლაზათიც. ღმერთს ქალები იმისთვის გაუჩენია, რომ კაცმა ზრდილობა ისწავლოს. სადღაც წამიკითხავს, ფრანკლინმა[68] სთქვა, „საზოგადოება უქალოდ სწორედ ისეთია, როგორც წელიწადი უგაზაფხულოდ". მართალია ეს აზრი აპრიორულადაც და აპოსტერიორულადაც...

9 თებერვალს 1874 წ.

ქუთაისი

ხვალ შესრულდება ერთი თვე რაც ხელში არ ამიღია ჩემი დღიური. მიზეზი ის არის, რომ ამ თვეში ერთი საათიც არა მქონდა თავისუფალი. მთელი ჩემი არსება ერთი აზრით იყო შეპყრობილი. ეს ერთი აზრი იყო ის, რომ ხელი შემეწყო და მომერჩინა (რამდენადაც ეს შესაძლო იყო ჩემთვის) ის, ვისი სახეც მუდამ თვალწინ მიდგას. სულით და გულით მინდოდა მორჩენილიყო ეს პატიოსანი, მაღალმგრძნობიარე, პირგაშლილი და გონიერი კაცი, მაგრამ დაიკარგა ყველაფერი; გაჰქრა სიცოცხლე. ცოცხალი, გონიერი და საზოგადოებაში გართული ადამიანი ეხლა ერთს ცაცხვის ძირას დედამიწას ჰყავს ჩაყრდნობილი. თავისი, ყველასათვის ძვირფას და საყვარელ გულში.

არ არის ქვეყანაზე ეს ცოცხალი და აზროვანი თვალები, დაიკარგა ერთი ფიზიონომია სხვადასხვა ღირსეული გამოხატულებით... დიახ, დაიკარგა, დაიკარგა, გაჰქრა, არ არის დედამიწის ზურგზე გერასიმე კალანდარიშვილი,[69] ის პატიოსანი და შესანიშნავი ადამიანი გახდა მიწის კერძად 27 იანვარს 1874 წელს 11 საათზე საღამოს. ის ნოემბრის უკანასკნელ რიცხვებში გახდა ავად და 14 იანვრამდის ავადმყოფობდა შინ. 14 იანვარს ჩამოვიყვანეთ გოსპიტალში. აქ ცოტა ხანს უკეთ იყო, მაგრამ თანდათან უფრო ჰკარგავდა ძალას და 27 იანვარს ამოხდა სული შემდეგ საშინელის წვალებისა და შფოთისა.

მსურს ეს სურათი გადმოვწერო ქაღალდზე. ამის შეხედვა, იმისი ძვირფასი ფიზიონომიის შეხედვას მაგონებს. ეს უსულო ქაღალდი სულიერი კალანდარიშვილის არსების სახეა, ეს ქაღალდი ახლა თვითონ გერასიმე კალანდარიშვილივით მიყვარს იმიტომ, რომ გერასიმე ეხლა ისეთივე მიწაა, როგორიც ჩემს ფეხებ ქვეშ მყოფი მიწა, რომელიც იმდენად არ მაგონებს გერასიმეს, რამდენადაც ეს ქაღალდი. პორტრეტი ორგინალის ნახვის ნახევარია, მაგრამ უბედურება იმაშია, რომ ამ ორიგინალს ვერასოდეს ვერ ვიპოვით და ჩვენ სულ პორტრეტი გვრჩება სახსოვრად. ამ შემთხვევაში სჯობდა სულ არ ყოფილიყო პორტრეტი, მაშინ მაინც ვიტყოდით ეხ, დაიკარგა კაცო! ეხლა, არა, ეხლა ხელში მაქვს, მე აქ ჩემს თვალწინ მიძევს გერასიმე კალანდარიშვილის სახე.

---

[1] ტყუილია, поповский взгляд...

გერასიმესი რაღაც დარჩა ამ სოფლად. სულ არ დაკარგულა... ლაბა-
რაკი!!... ოხ, რამდენს რასმე მაგონებს ეს უსულო პორტრეტი... ჩემს სა-
ცოცხლეში ეს მეორეჯერ შევწუხებულვარ სხვისი სიკვდილით. ერთი ძაბინ-
როცა (შარშან ნოემბრის თვეში) მიხა სანებლიძე გარდაიცვალა, ერთიც
ეხლა. ეხლანდელი ჩემი მწუხარება, რასაკვირველია, არ არის იმ წინანდე-
ლის მსგავსი, იმიტომ რომ მ. ს. სხვა კაცი იყო და გ. კალანდარიშვილი
სხვა. ამასთანავე მეც, შარშან სხვა ვიყავ და ახლა სხვა ვარ. იმათთან
განწყობილებაც სხვადასხვა გვარი მქონდა. მ. ს. გარდაცვალებით შევწუხ-
დი მე, ჩემი გრძნობით და გულით მწყენოდა, რომ მომიკვდა საყვარელი
კაცი; გ. კ-ლის სიკვდილით ჯერ შევწუხდი, როგორც საზოგადოების წევ-
რი, რომელმაც ვიცი რა დაკარგა ჩვენმა საზოგადოებამ და შემდეგ ისეთ-
მა იმის ნაცნობმა და მეგობარმა, რომელსაც გულითადად მიყვარდა და
პატივს ვცემდი იმის ჭეშმარიტად საყვარელსა და მიმზიდველ თვისებებს.

პირველ ჩემს შეწუხებას უფრო პიროვნული ხასიათი აქვს, მეორეს სა-
ზოგადო, პირველი სუბიექტური იყო, მეორე ობიექტური. მაგრამ ამას
ვამბობ როგორც სტატისტიკი და არა როგორც მგრძნობიარე ადამიანი,
რომელიც ყველა თავის გულის მოძრაობას თვალყურს ადევნებს. ამ
უკანასკნელივით რომ ვთქვა, სწორედ ბევრ ისეთს სამწუხარო წუთებს
მოვიგონებ, რომ მკითხველის თვალში ცრემლები დავბადო. რამდენჯერ
დავფიქრებულვარ მიტირნია, ახ, ნეტავ, კიდევ შემეძლოს გავიმეორო
ისეთი საამური ტირილი. სხვა რომ არ ყოფილიყო, მარტო ნინოს ტირი-
ლი რას მიზამდა. ახ, საწყალო, მოსიყვარულევ, ახალგაზრდა ქალო, რამ-
დენი უბედურება გეწია შენ ამ ორ თვეში. მე ჩემის მხრით ვამბობ, რომ
ჩემს სიცოცხლეში არ მინახავს (რა ბევრი შენ გიცოცხლია, მაგრამ ასი
წელიც რომ იცოცხლო მგონი ვერ ნახო) ასეთი მწარე ცრემლები, რომელ-
თაც ამ დღეებში ვხედავდი. ისეთი ოხვრა, ისეთი ბუნებითი მოთქმა, სხვ-
ულის ისეთნაირი რხევა და მწარე, მწარე ცრემლები ხატავენ ისეთ არსე-
ბას რომელსაც ერთ წუთში დაკარგვია ყველაფერი, რაც კი რამ მიუცია
იმისათვის ბუნებას და ცხოვრებას.

სწორედ რომ სულ ყველაფერი დაეკარგა ამ საწყალს. დაეკარგა იმას,
როგორც თვითონ ამბობდა, ყველაფერი, დაეკარგა დედა, მამა, ძმა, არ-
არის იმისთვის ამას იქით სიხარული, შუა გაიჭრა იმისი სიცოცხლე. სი-
კვდილი ბევრად ურჩევნია ამგვარ სიცოცხლეს.

მიკვირს, რომ გ. კ-ლი არ ყოფილა შინაურ ცხოვრებაში ისეთი როგო-
რიც გარედ. გამიკვირდა, რომ გავიგე იმას შესძლებია სიყვარულიც, ხუმ-
რობაც, მოფერებაც, და სხვა ამგვარი. მე სულ სხვაგვარი წარმოდგენა
მქონდა მასზე. დავრწმუნდი, რომ, როგორც გარედ, ისე შინაც ის იყო
პატიოსანი და მოქმედი კაცი, დაუღალავი მუშაკი.

მოკვდა გ. კ-ლი. ბუნების კანონებმა წაიღეს თავისი, მატერია ასრუ-
ლებს თავის მოძრაობას, ძალა აძლევს მოძრაობას დასაწყისსა და დასას-

რულს, весь мир в согласию живет. Все живет одна вдругом (ფაუსტი). მაშ, თუ ეს ასეა, თუ კაცი „ქმნილების მეფე“ კი არა უბრალო წერტილია ჩვენს დედამიწაზე, ან კიდევ ატომია, რომელიც დღეს ერთთან შეერთდება და ხვალ მეორესთან, ნუ ვლაპარაკობთ ღირსებაზე, პატიოსნებაზე, გონებაზე, ყველაფერი წაიშლება, არაფრის კვალი არ დარჩება დედამიწის ზურგზე... რაა თვითონ სიცოცხლე? დროებითი თავის მოტყუება და გაუგებარ მდგომარეობაში ყოფნა... ცხოვრებაში კაცს ეძლევა ჭკუა, გრძნობა, რომლებიც ეჭვში შეიყვანს ყველა სულიერ არსებას. ყველა ვეკითხებით ჩვენს თავს „ვინა ვართ“, საიდან ვართ, სადა მივდივართ, და ამ კითხვების გახსნაში კაცი ისეთნაირი ელემენტი ხდება, რომელსაც ჩვენის ფიქრით უნდა ერჩია ტყუილა უბრალოდ, მოსვენებულად ყოფილიყო, ვინემ ასეთი აშფოთებული, მჭმუნვარე, განუზომელი სურვილით ან მეცადინეობით.

უკეთესი იყო მარტო უსულო, მექანიკურ მოძრაობაში იყოს ყველაფერი ბუნებაში, ვინემ ისეთნაირ მდგომარეობაში, რომელშიც არის ეს ორფეხა ცხოველი-კაცი. ამ შემთხვევაში ყველგან კმაყოფილება იქნებოდა, ყველაფერი ბედნიერად იცხოვრებდა... მაგრამ, ჩვენდა საუბედუროდ, ბუნებამ ასეთნაირად გვიმტრო ჩვენ, რომ მოგვცა გრძნობა, ჭკუა-გონება და ამით დაარღვია მექანიკური მოძრაობის კანონი. რასაკვირველია, რამდენადაც ჩვენი არსება, ჩვენი სულისდგმა განირჩევა სხვა საგნებიდან, იმდენად ჩვენი მოძრაობა განირჩევა მექანიკური მოძრაობიდან, იმდენად ჩვენი ნება თავისუფალია. ეს სული, ეს ნება გვენიჭება ჩვენ რაღაც უცნაური ძალით, და გვერთმევა ისევე უცნაურის ძალითგანვე. ვინ იტყვის რა არის სული, რა არის ერთი რაღაც, რომელიც არჩევს სულდგმულს უსულოდან. ადამიანი მუდამ კრძალულებით ეპყრობა ამ უცნაურ რამეს, იმის მოვლას ის ეგებება, სიხარულით, სწავლას ტირილითა და გლოვით. ეს კრძალულება იმდენად დიდია, რომ კაცმა იფიქრა, ეს სული შემდეგ ხორცთან გაყრისა, იცხოვრებს სადღაც საიქიოს, მიღმა ქვეყანაში, უცნაურ ადგილში, იქ „საიდანაც მოგზაური თავის დღეში არ დაბრუნებულა“— ამ აზრს აღგა კაცობრიობა ყოველს დროში და თუმცა მე-19 საუკუნემ ბევრი ახალი შეხედულება მოიტანა და გაამტყუნა ეს აზრი, მაგრამ საზოგადოდ უდიდესი ნაწილი კაცობრიობისა მტკიცედ აღგია ამ აზრს და ეს იმდენად არის ხორც-სისხლში გამჯდარი, რომ კაცი დარწმუნებული ამ აზრის სიმტყუნეში, კრიტიკულ მდგომარეობაში მაინც იგონებს ამ აზრს. ამბობენ ვოლტერმა სიკვდილის ჟამს ღმერთს შემწეობა თხოვაო. ვინ არ იცის რა კაცი იყო ვოლტერი, მაგრამ იმ აზრმა, რომელიც მთელ კაცობრიობას მიუღია მთლიანად და რომლის წინ ის კრძალულებით თავს ხრის, შეაშინა ვოლტერი და მორიდებით დაუჯერა კოლლექტიურ კაცობრიობის გონებას. ესევე შეიძლება ვთქვათ დიოგენზე. დიოგენს რომ გაუჭირდა, ღმერთს მსხვერპლის შეწირვა აღუთქვა. გაჭირვება რომ წავიდა, იმან ტილი შესწირა ღვთის ტრაპეზზე, მაგრამ დიოგენი ვოლტერზე უფრო გამძლე და

ატკიცე ხასიათის კაცი იყო და თუმცაღა იმან შესწირა. მაგრამ სასაცილოდ და ხალხის საპატივცემლოდ. დროთა ვითარებისა გამო ეს ... ავიწყდება კაცობრიობას, რასაკვირველია, თუ გონებით მოძრაობა ... ლია მუდმივ პროგრესში იყოს. იმედია ოდესმე კაცობრიობა მივა ისეთ წერტილამდე, საიდანაც სიცოცხლეს შეხედავს ისე, როგორც ყველა უბრალო მექანიკურ მოძრაობას, ისე, როგორც ძალთა სხვადასხვაგვარ კომბინაციას.

ჩემის აზრით, რასაკვირველია, ქვეყანაზე მექანიკური მოძრაობა მარტო არ არის. მართალია, ამ მექანიკური მოძრაობით ჩვენთვის ძნელია (შეუძლებელიც) ზოგიერთი სხვადასხვაგვარი ბუნების მოვლენები ავხსნათ, არ უნდა იყოს ქვეყანაზე ამ მოძრაობის მეტი სხვა არაფერი. თუ გინდაც რომ იყოს, უხილავი კი არაფერია. ჩვენ მარტო კომბინაცია არ ვიცით, თორემ ძალას ვხედავთ, მაგრამ რას ვამბობ, ძალას სად ვხედავთ, ძალა ვინ ნახა! ლეიბნიცი ამ ძალის მყოფობით ამტკიცებს უხილავ და უცნაურ ქვეყნის მყოფობას. მაშ, თუ ეს ასეა, თუ ყველაფერში მექანიკური მოძრაობაა, უნდა ვთქვათ, რომ სისულელეა კაცის ძაგება, იმის ქება, და სხვ. წმინდა და მაღალი საქმეების მიწვდენის ცდა. სულ ყველაფერი ფუჭია. ლერმონტოვის[70] არ იყოს: „все вздор на свете, натура—дура, судьба—индейка, жизнь — копейка"... რად უნდა განირჩეოდეს ალექსანდრე მაკედონელი, ჩინგიზხანი[71], ნაპოლეონ პირველი და ატილა[72], კაცობრიობისათვის მოაზროვნე ჰეინე, ბერნე, დობროლიუბოვი, ბერანჟე[73] და სხვა ამგვარებისაგან? ყველა ესენი დაიბადნენ, იცოცხლეს, იტანჯეს და მოკვდნენ. გარჩევა მხოლოდ იმაშია, რომ პირველნი მათგანნი უფრო ბევრ სეირს ხედავდნენ თავის სიცოცხლეში და უფრო ბევრ მოძრაობაში იყვნენ, ვინემ ოთხნი უკანასკნელნი. ამგვარივე გარჩევა ამგვარ ადამიანებში ეხლაც არის და იქნება უკუნითი-უკუნისამდე. თუ ვიტყვით, ერთი ბევრს რად სეირნობს მეორე მცირეს რათა, ისიც ვთქვათ, აფრიკის ურაგანი უფრო ძლიერ რად ჰქრის, ვიდრე ჩვენებური მაისის სიო, რა ვუყოთ, ბუნების კაპრიზი ასეთია: რაც ბუნებას გაუჩენია ჩვენ როგორ-ღა უნდა დავარღვიოთ, ჩვენ მარტო დროებითი ცვლილების მოხდენა შეგვიძლია, მაგრამ სრულებით გამოცვლა არას დროს არა. აუცილებლობის სჯული, რასაკვირველია, თავისი ბრძანებელი ტონით მუდამ გვპატრონობს ჩვენ. ამისათვის საშინელ ატილლას და გულმტკივარ ბერნეს ერთნაირი ნება აქვს სიცოცხლისა. სიხარული და ტანჯვა ჩემის ფიქრით სულ ერთია, ორივე უბრალო მექანიკური მოვლენაა. ორივეს ერთი ბოლო აქვს, ერთი დასასრული, ერთი გვირგვინი — სიკვდილი. მხოლოდ სიკვდილი გვასწავლის, ჩვენ ჭკუას. სიკვდილი გვეუბნება: „რად გინდა სიმდიდრე, ცოდნა, პატიოსნება, სიხარული, ნეტარება, ჩამოგირბენ. ამოგართმევ მაგ სულს და მიწად გაგხდი". რითი უნდა სჯობდეს ლონდონის უდიდესი, უმდიდრესი და უგანათლებულესი ლორდი ჩვენს უკანასკნელ სოფლის კაცს? არაფრით. ყველა ესენი ემორჩილებიან ბუნებას. ერთნა-

ორი სისხლი აქვთ, ერთნაირი ხორცი, ორივე დაბადებულან, ორივე მოკვდებიან და ორივე დაავიწყდება მომავალ თაობას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაავიწყდებიან?!.. ეხ, ნუ თუ ეს მაინც რასმე ნიშნავს? რა ... ჩვენი საუბედურო და ავადმყოფი თავმოყვარეობა, რომ გვინდა სიკვდილის შემდეგ კიდევ ვახსოვდეთ ვინმეს. სოკრატი[74], რომელიც ახლა ვინ იცის ლონდონის, რომელ კასრს არის შემოწებებული, ნუ თუ უნდა გრძნობდეს, რომ ახსენებენ იმის სახელს ესეთის კრძალულებით, ან კიდევ ჩვენი რა სარგებლობაა ვისიმე ხსენება (ხსოვნა), ჩვენ უნდა ვუყურებდეთ იმათ ნათქვამს, ნალვაწევს, რომ იმათგან ნაშრომით ვისარგებლოთ და დავაკმაყოფილოთ ჩვენი ავადმყოფი თავისმოყვარეობა — ვიცოცხლოთ რამდენიმე ხანს ბედნიერებით და წარმატებით.

ნეტავი მას, ვინც ასტრონომია და გეოგრაფია იცის კარგად, ის ყველაზე უგონიერესი ადამიანი უნდა იყოს. ასტრონომია იმისთვის, რომ ატყობინებს კაცს თავის ვინაობას, გეოგრაფია იმისთვის, რომ აძლევს იმედს და თავის კაცობრივ დანიშნულებასთან მიწევას ხელს უწყობს (დანიშნულება სხვა რაიმე კი არ არის თუ არა хладнокровье). ასტრონომია აი რას გვეუბნება: ქვეყანაში გარდა ჩვენი მიწისა უთვალავი პლანეტები, ვარსკვლავები და კომეტებია. ჩვენი მიწა იმდენად პატარაა, რამდენად — ერთი წვეთი მთელ ზღვა-ოკეანეში. თუ ეს ასეა — ამბობს ასტრონომია — თუ ჩვენი მიწა ერთი წვეთია, რა უნდა იყოს ან ნაპოლეონი, ან დობროლიუბოვი-და სხვა ვინმე მთელს მსოფლიოში. რასაკვირველია „არა-რა". ერთმა კაცმა რომ მეორე მოჰკლას, ჩვენის ფიქრით, ქვეყანა დაიქცა, მართალი რომ ვთქვათ არაფერი არ მომხდარა, — ძალამ სხვა კომბინაცია მიიღო, მატერია ისევ მატერიად რჩება, ან ასტრონომიის პირით, რომ ვთქვათ არა-რა არარას შეეჯახა და არარა გამოვიდა... ამ შეხედულებაზე აი რა ითქმის: ამ შეხედულების ადამიანი იმდენად დაუმორჩილებია ბუნებას, რომ იმათ არც კი შეუძლიათ ხმა ამოიღონ და ებრძოლონ საწინააღმდეგო მოვლენებს ბუნებაში „ისინი მოკლებულნი არიან ყოველგვარ თავისუფალ და დამოუკიდებელ ცხოვრებას. ამ შემთხვევაში ისინი ემსგავსებიან იმ აზიურ ნაციებს, რომელთაც ყველაზე წინ მითოლოგია გაუჩნდათ, რომელნიც ზნეობითად დაუმორჩილებია გარეშე ბუნებას; ამისათვის შეიძლება კაცმა თქვას, რომ ცივილიზაცია უკან იხევა (რეგრესს აკეთებს) და საბოლოო რეზულტატში კაცი მივა იმ აზრზე, რომელზედაც იყო პირველყოფილი ადამიანი. მართალია, სწორედ ნამდვილი შენიშვნაა. ასე მოხდა რელიგიურ შეხედულებებშიაც. ვიცით, რომ პირველი რელიგიური რწმუნება იბადებოდა ბუნების ღმერთყოფაში (ფეტიშიზმი), შემდეგ ამ პირველი ხარისხის კაცობრიობამ ბევრად წაიწია წინ ცივილიზაციის გზაზე, მაგრამ ბოლოს ისევე იმ ადგილას მივიდა, საიდანაც პირველი ნაბიჯი ქნა. გოეტე და სპინოზა ისეთივე ფეტიშები არიან, როგორიც ძველი ეგვიპტელები და ინდოელები. ასეთია ქვეყნის ბრუნვა, დაუსრულებელი ბუნების კაპრიზი.

ნუ თუ მართლა, ამგვარი შეხედულება უხეიროა? ნუ თუ ეს მართალი არ არის? განა სტყუიან ფეტიშები, რომ ამბობენ კაცი არაფერს არ ნიშნავს ბუნებაში? განა ამგვარი შეხედულების არ არის ასტრონომია, გეოგრაფია, შერრი, ბიუხნერი[76] და სხვ. მატერიალისტები. ნუ თუ ყველ ესენი სტყუიან. მაშ, რა არის მართალი? განა რელიგიურ შეხედულებას აქვს ნამცეცი სიმართლე?.. არა. ეს, — ამას ყველა აბბობს — სრულებით ტყუილია. ჩვენი ქვეყნის გარდა სხვა, იქაური ქვეყანა მხოლოდ ფანატიკოსების გამოხატულებაში არის. მაშ, კაცობრიობისათვის კეთილად მზრუნავნი ნუ თუ მართალნი არიან და მათ წუხილს, ოხვრას რაიმე აზრი აქვს, იმათი მოქმედება სასაცილო არ არის!

ამ მეტად სერიოზული კითხვის ასახსნელად ჩვენ ფილოსოფიურს კითხვებს მივცემთ ჩვენს თავს.

პირველი კითხვა: რისთვის ვცხოვრობთ ამ ქვეყანაზე?
მეორე — თუ გავიგეთ რისთვის ვცხოვრობთ, უნდა ვიფიქროთ იმაზე, რა საშუალებით ვიცხოვროთ!

პირველ კითხვას აი რა უნდა ეპასუხოს ჩემის ფიქრით: ვცხოვრობთ იმისთვის, რომ ვიცხოვროთ, იმისთვის, რომ, როგორც ყველა ბუნების მოვლენებმა ჩვენც დავიჭიროთ ჩვენი ადგილი ბუნებაში. თუ ამგვარია ჩვენი ცხოვრების მიზანი, მაშინ მეორე კითხვის ახსნაც ძლიერ ადვილია. იმ კითხვაზე აი როგორ უნდა ეპასუხოს: უნდა ვიცხოვროთ როგორც უნდა იყოს, რაგვარი საშუალებებითაც შეიძლება, სულერთია, ვხარობთ თუ ვწვალობთ, ვპატიოსნობთ, ვბოროტობთ, თუ ცილსა ვწამებთ, ყოველს შემხთვევაში ჩვენ იმაზე უნდა ვფიქრობდეთ, რომ ვიცხოვროთ. ოღონდ იცხოვროს კაცმა და რაც უნდა საშუალებები იხმაროს... „Плыви пока плывется и как плывется". ვრცელ უტილიტარიზმს ადგილი არ უნდა ჰქონდეს კაცის ცხოვრებაში, ყველგან უნდა იყოს ვიწრო უტილიტარიზმი. მაშ, ამის შემდეგ შეგვიძლია ვთქვათ რომ ყველაფერი ამაოა ქვეყანაზე: все вздор на свете... აქ არ შემიძლია არ მოვიყვანო მშვენიერი ადგილი შერრისა მსოფლიო ისტორიის კომედიიდან: „Самые смелые порывы человеческого духа, благороднейшие инстикты и отраденшия побуждения человеческой души, фанатизм в религии и политике, окрыляющий мир мотивы, целомудренные восторги первой любви, пылкия иллюзии вдохновения и гордыя стяжения науки парящих к его мудрость и преемыкающаяся на небе скорбь свербящая похоть знатности и богатства мучительныя жажлы почестей и славы оньяняющее высокомерие власти и золотыя мечты о свободе—истине и справедливости, высокое утешение добродетели и надежды на праведное воздаяние—что все это!— призраки и идеалы. Самый свет есть ни что иное, как мыльный пузырь, как за 24 века до нас проповедывал Будда, великий основатель всеотрицающей религии"...

აი ჩემი სახარება, ჩემი მცნება, ჩემი სული და ჩემი გული. ამგვარ, ეხლანდელ დროისთვის პარადოქსალურ აზრებს ვეტრფი და ამ აზრით დამთვრალი თითებს შუა ვცქერ ყველაფერს. ბუნების მოვლინებებს: ეს არც სწავლა, არც პატიოსნება, არც სიმდიდრე, არც სიღარიბე, არც ჩინი და არც სხვა რაიმე მიზიდავს თავის მხრისაკენ. ჩემთვის სულ ყველა ერთია — დამთვრალი, ქუჩაში დაგდებული, ლაფში ამოსვრილი რუსი და პირველი არისტოკრატი ჯენტლემენი კარეტით მიმომფრინავი, არაფრით განირჩევა ერთმანეთისაგან. მადლობელი ვარ მე ფილოსოფიის, იმას იმ მხრით მაინც ვუმადლი, რომ კაცს თავის თავის მმოსავად ხდის. ფილოსოფია კაცის სიმდიდრეა.

აი როგორია ჩემი აზრები, ჩემი შეხედულება სიცოცხლეზე. ზემონათქვამიდან სჩანს, რომ ჩემთვის სიკვდილი თეორიული შეხედულებით არაფერი არ არის, არაფერია: არც პატიოსნება, სწავლა, სიმდიდრე. სულ ყველაფერი ჩქარა წარმავალია, ყველაფერი ჩქარა გაჰქრება, მაგრამ ეს მხოლოდ თეორიულად. თეორიული მხარე, რასაკვირველია, პრაქტიკაში პირდაპირ ყოველთვის არ იშენებს სახლს, თეორიიდან პრაქტიკა შორი გზაა. ყმაწვილი კანტი თეორიულად ამტკიცებდა, რომ არ არის ქვეყანაზე არცა ღმერთი არც ცოდნაო, მაგრამ იგივე კანტი პრაქტიკულად ამბობდა რომ ღმერთიც არის, სულის უკვდავებაც, ცოდნა შეიძლება. ამგვარივე იყო ოგიუსტ კონტიც, მან თეორიულად უარჰყო გრძნობის გავლენა ცხოვრებაზე და გონებას რაცხდა ღმერთად, მაგრამ როდესაც ის დაეკითხა პრაქტიკას, მაშინ სულ საწინააღმდეგო შეხედულებამდის მივიდა. ეს ყოველთვის ასეა... ამას ვემორჩილები მეც, ამას ემორჩილება ნინოც[77].

თუმცა-ღა, მე როგორც ზემოთ ვამბობდი, დარწმუნებული ვარ ყველაფრის ამაოებაში, მაგრამ პრაქტიკულ ცხოვრებაში სულ სხვა კაცად გამოვდივარ. მე პრაქტიკაში ისევ ის გულმტკივანი, პატიოსანი და პირდაპარი გულის კაცი ვარ, როგორიც საზოგადოდ შეშვენის ახალგაზრდა კაცს. მე უბრალო ბუნებით, მიხვევ-მოხვევა, შური, მტრობა, ორპირობა, ღალატი ძლიერ მეჯავრება. ამიტომ ჩემში სიტყვა და საქმე ყოველთვის უთანხმოებაში არიან. მე ენით შემიძლია ისე ვილაპარაკო და ჩემი თავი ისეთ საძაგლად ვაჩვენო კაცს, როგორიც მე თავის დღეში არ ვყოფილვარ. ამას იმიტომ ვამბობ, რომ ვსთქვა ის აზრი რომ გ. კ-ლის სიკვდილი მე ძლიერ მეწყინა. ყველა, ვინც კი წაიკითხავს ოდესმე ჩემს დღიურებს (თუ გადარჩა სადმე), იფიქრებს, ეხ, რანაირი უდარდელი და უსარგებლო კაცი ყოფილა ამის დამწერიო, როგორ ქვეყანა ფეხებზე ჰკიდიაო, მაგრამ არა, შეცდება ის, მე უდარდელი (პრაქტიკაში მაინც) თავის დღეში არა ვყოფილვარ და არც ვიქნები. საზოგადოებრივი ინტერესები. მეც მესმის რა არის. გ. კ-ლის დაკარგვა რანაირად საგრძნობია ჩვენი ახალი თაობისათვის, ჩვენი ლიტერატურისათვის, საერთოდ ამ დასავლეთ საქართველოსათვის, მე ეს კარგად მესმის და მე მწყენია იმის სიკვდილი. ახ, ნეტავ, ერთ-ორ წელიწადს კიდევ ეცხოვრნა, ნეტავ ერთჯერ მაინც დამალაპარაკა ჩემის ეხლანდელი

ჭკუით ამ კაცისათვის. ოხ, რამდენ სიამოვნებას მომიტანდა იმასთან მუსაიფი, რასაკვირველია, გერასიმეში მე ვაფასებდი ბევრს იმის საქმეს, ოინებებს, რომელთათვის მე ვცდილობდი მიმებაძნა... მაგრამ, რაზ ვამბობ, გერასიმე აღარ არის, „Его ужь нет, его ужь нет, он не придет к нам ужь опять... Его ужь неть, его ужь неть, как опустел вдруг белый свет“.. არ არის გერასიმე დაიკარგა.

მე ძლიერ მიკვირს ამასთან მეორე შემთხვევაც. აი რა, ნინოზე ძლიერ უმოქმედნია გ-ს ორი წლის განმავლობაში; ასე, რომ ლაპარაკით, ქცევით, შეხედულებით, ნინო გერასიმეს მეორე ეგზემპლარია. მიკვირს ეს, მაგრამ ჯერ ერთი, რომ ეს ქალი ნიჭიერი და ახალგაზრდაა და მეორედ, ეს ქალი მეუღლე იყო გერასიმესი.

გერასიმე!.. ჩვენ უნდა ხმა გავკმინდოთ და დავემორჩილოთ ამ სახელს. მე ძლიერ მიამა, რომ ეს ქალი თითქმის ისეთი შეხედულებისაა, როგორც მე. აი მაგალითად ერთი შემთხვევა, რომელიც მე თავის დღეში არ დამავიწყდება. გერასიმეს რომ ეკლესიაში მივასვენებდით, ნ-მ დიდს მწუხარებაში მითხრა: пойду в церковь и помолюсь богу, а может быть, он где нибудь и есть, но его нет, моего Герасиме нет (Ах, ох, плач, рыданье). ბევრი ასეთი რამეები ვიცი ამ ქალის ცხოვრებიდან, რომელიც საჭირო არ არის აქ ვწერო, რადგანაც მე ისინი არასოდეს არ დამავიწყდება. არას ვიტყვი იმაზე თუ რამდენად განუზომელი იყო იმისი ტირილი, ან როგორ უნდოდა ამ ქალს ბოლო მოეღო თავის სიცოცხლისათვის. მინდა კიდევ ვილაპარაკო მაგრამ, დრო არა მაქვს, შემდეგაც ვიტყვი თავისუფალ დროს...

Конечно, все, что я здесь говорю, есть мое собственное убеждение, убеждение, которое я высказываю с прямотою достойного прямого и честного человека[1]; Для меня все равно что-бы ни думали обо мне другой, потому что, для меня—все пустяки,[2] Но говорю, что из уважения человеческой глупости я здесь говорю правду, лести во мне никогда не было а тем более ея у меня теперь.[3]

19 თებერვალს 1874 წ.

ქუთაისი

გუშინ გამოვეთხოვე ნინოს და დავპირდი რომ დღეს წავალთქო, მაგრამ სხვადასხვა მიზეზთა გამო დღეს ვერ წავედი. სურამის ქედზე ისეთი ღიდი თოვლი დამდგარა, რომ მატარებელი, რომელიც გუშინ საღამოს უნდა მოსულიყო, დღესაც არა ჩანს. არ ვიცი როდის წავალ და როდის აუსრულებ ნინოს თხოვნას. ვეცდები რომ, რაც შეიძლება ჩქარა გავცე პასუხი ამ ჩემს ახალ მეგობარს.

დღეს საღამოს ნ-საგან წერილი მივიღე. ამ წერილმა გააღვიძა ჩემი მძინარე გრძნობები და რამდენიმე ხანი მაინც მამყოფა ჩემს ყმაწვილურ მდგომარეობაში. ჩემდა საუბედუროდ ამ უკანასკნელ ხანებში გოეტე ვხდე-

[1] ამ სიტყვებს ქვეშ მიწერილი აქვს: Никто в этом не сомневается.
[2] Это вопрос!
[3] Что лести никакпи нет в человеке, писавшем эти строки, это святая истина.

ბი ხასიათით. ჩემში სუბიექტური მხარე თითქმის გაჰქრა. მე ობიექტური კაცი ვარ. გრძნობები ფიქრებად და აზრად მიხდება. სურვილს საზღვარი ეძლევა, ყმაწვილურ ოცნებებს ბოლო ეღება. მგონი რომ ეს ცუდი ნიშანი არ უნდა იყოს, ვფიქრობ, ეს კარგია, რადგანაც ეს კრიტიკიდან და ფსიქოლოგიიდან ვიცით ყოველთვის ასე ხდება. სიყმაწვილის ოცნებებს კაცური პრაქტიკული მოსაზრებანი მოსდევს. მაგრამ ეს მე ცოტათი არ მომწონს, იმიტომ, რომ მე უდროოდ ვბერდები. რა უშავდა, რომ მეც მეცხოვრა ცოტა ხანს მაინც იდეალისტების ქვეყანაზე, რა უჭირდა, რომ ცოტა ხანს მეც მეოცნა, მაგრამ ჩემმა ახალგაზრდობამ მიღალატა. პრაქტიკამ ასე უდროოდ დამაჯერა, რომ იდეალისტების ქვეყანა საპნის ბუშტია და არა ნამდვილად მყოფი რაიმე. ძლიერ ადრე მკრა ხელი ცხოვრებამ... და, ჩამომიყვანა ციდან ჩვენს უბედურ პლანეტაზე. მე, აქ ნაცვლად ნეტარებისა, მუდამ-ჟამს უნდა ვიწუხო, რადგანაც ქვეყანა და ცხოვრება გარდა ამ ჩვენი დღიური საჭიროებისა არაფერს არ გვითქვამს არც ამწყოში და არც მომავალში. ჩემი ჰაერის ბურთი (Воздушний шар) გასკდა და მე დავეშვი მიწაზე. ჩემი ხომალდის якорь მოედო ჩვენს ტალახიანს და უმსგავსო ცხოვრებას. მაგრამ ნუ თუ მე, ჩემს სიცოცხლეში ვერ გავკერავ ამ გახეულ ბურთს და არ გავფრინდები, ან არ ამოვფხვრი ჰაერიანად იმ ცხოვრების ნიადაგს, რომელზედაც არის დამყარებული ჩემი სიმაღლის „იაკორი"? მე მინდა, რომ ეს როდისმე მოხდეს. მინდა რომ, თუ პრაქტიკაში ნეტარება არ შეიძლება, აზრებში მაინც ვილხინო, დავივიწყო ამ ქვეყნის ჭორიყბედობა, ამ ქვეყნის სიმდაბლე, უსწორ-მასწორობა. ჩემთვის ხომ სულერთია ნეტარებაც, წუხილიც, სიცილიც და ოხვრაც.

თუ სხვანაირად არა, ინსტიქტებით მაინც თანაუგრძნობ მე თავისუფლად და გაუჭირვებლად ცხოვრებას. მე მინდა რომ ფიქრებში მაინც გული მოვიჯერო, ოცნებებში მაინც წარმოვიდგინო, რომ მე ბედნიერი ვარ ქვეყანაზე. რამდენადაც სასიხარულოა ჩემთვის ოცნებებში გართვა ვინ წარმოიდგენს! მე ყველა მიყვარს ვინც დროებით მაინც მომაშორებს ამ ჩვენს ქვეყნიურ ცხოვრებას; მიყვარს იმიტომ, რომ ის მიჩვენებს ისეთ ქვეყანას, სადაც კაცები კმაყოფილები სულს ითქვამენ, სადაც საჭიროება არ იციან, არამედ ნეტარებენ, მყოფობით და ანეტარებენ ტოლამხანაგებს. ამ ოცნებაში ცხოვრებას აქვს ეს დაუფასებელი მხარე. ამ მხრით სჯობია გამოუცდელი ახალგაზრდობა — ჭკვიან სივაჟკაცეს და ჩერჩეტ სიბერეს.

აი, ამგვარ ოცნებებში გადამაგდო მე დღეს ნინოს წერილმა. რა გულმოსაკლავია ამ ქალის მდგომარეობა. ვის არ დაეწვის გული, ვის არ მოსწყდება პირიდან შეწყალების და შებრალების სიტყვა ამ ადამიანზე. რა რიგ დიდი იყო იმისი დაცემა. რა იყო ის ამ ორი-სამი თვის წინათ და რა არის ეხლა!

რასაკვირველია, ის სასაცილო არ არის, მაგრამ სამაგიეროდ დამცირებულია ასე, რომ შეიძლება ამაზე ითქვას от великого до смешного только шаг.

ამ ერთი თვის წინ ის იყო უბედნიერესი არსება, ეხლა არის უბედ[illegible] ვინმე, რომელზედაც ამბობენ, ეს ქალი მავანი კაცის ცოლი იყოვო. აი, ამის გამო სწუხს ეს ქალი და მომაკვდავივით ხელს აქნევს და [illegible] ექიმს, რომელმაც მოარჩინოს ავადმყოფობისაგან, ის ეძებს [illegible] რომელთან შეეძლოს მოდამ თავის უბედურებაზე ილაპარაკოს. ამ ერთ კაცად, შემთხვევისა გამო, გავხდი მე. მე მინაწილებს ის თავის გულის წუხილს და ჩემოდნად არავინ არ იცის, რამდენად ძნელი იყო ამ ქალისათვის ისეთი კაცის დაკარგვა, როგორიც—გერასიმე... მე[1] (აქ წყდება დღიურის ეს ფურცელი — ს. ც.)

11 მ ა რ ტ ი 1874 წ.

თ ბ ი ლ ი ს ი

არა მგონია რომ იმაზე უფრო საზარელი და კაცის შემწუხებელი რაიმე იყოს, როგორიც ცილისწამება. სიტყვით ცილისწამებას, როდესაც ამას არაფერი შედეგი არა აქვს კიდევ არაფერი, მაგრამ როდესაც ამ ცილისწამების გამო შენ გაკლდება, თუ გინდ, ნამცეცი კმაყოფილებისა, ან როდესაც ამ ცილისწამებით დაგეშლება სიარული იმ გზით, რომელიც შენ გიყვარს, რომლისთვისაც შენ მიგინდვია შენი გული, — ღმერთო ჩემო, რა რიგ საწყენია და რა რიგ ძნელმოსათმენია ესეთი ცილისწამება. ყველა ადამიანს, ვისაც სისხლი უმოძრავებს სხეულში და ტვინი თავში, ყველა კაცს ვისაც შერჩენია ნამცეცი სინიდისისა და რამდენადმე მაინც აფასებს ჭეშმარიტებას, მე მგონია ეწყინება ცილისწამება, რომლის ზნეობით უვარგისობა ძველი სჯულის მომცემ მოსესაც[78] კარგად ესმოდა. ცილისწამება გარდა ამისა მაწუხებს მე სხვა მხრითაც. დეე, ცილისწამებით დამაკლდეს ის რაც მიყვარდა: დეე, მე ვიტანჯო ამ წუთი სოფელში, მე ეს არაფრად არ მიმაჩნია, მაგრამ თუ ვხედავ რომ კაცის ღირსებას კ—სთანა[illegible] მაიმუნი ფეხით ქელავს, თუ ვხედავ რომ, რაც უნდა იყოს კაცი, ესრეთ ზნეობით დაცემულია, მაშინ სწორედ სისხლი მეხუთება, გული მიწუხს და ჩემს წუხილს ათასგვარ შორისდებულებში ვხატავ... ღმერთო ჩემო, რანაირი უსინდისობაა, როგორ უბრალოდ სტანჯავენ საწყალ სემინარიელებს!

დავიჯერო რომ ეს სემინარიელში ერთი ვინმე იყოს კ—სკისთანა ბრიყვი და ხეპრე! არა, მე ამას არ დავიჯერებ. საწყალი სემინარიელები გონებრივად მაინც არ არიან ღარიბნი. იმათ უნდა ესმოდეთ რანაირ ისტორიულ პირობებში ვართ ჩავარდნილი. ყველა ჩვენგანს კარგად ესმის, რომ რუსეთის მფარველობა ჩვენთვის ... მეტის-მეტად საჭიროა. თუ არა რუსეთის მფარველობა ჩვენ ამდენ ხანს ჩაგვყლაპავდა ჩვენი ძველი და შეურიგებელი მტრები—სპარსეთი და ოსმალეთი. ვამბობ, ჩვენ სემინარი-

[1] ამ ნაცვალსახელს სხვისი ფანქრით ამგვარი მინაწერი აქვს: „ნეტავ, ეს „მე“ რას ნიშნავს? თუ იმას ნიშნავს: მე რათ ულირვარო, ნუ თუ ახლა ტყობილობ შენ, რათაც მილირხარ? არა მჯერა“.. ჩემის აზრით ეს მინაწერი თვითონ ადრესატისა უნდა იყოს, რომლის ვინაობა შენიშვნებშია გახსნილი.—ს. ც.

ულებს ეს კარგად გვესმის და ნამდვილი უსინდისობაა,რომ ამ აზრის ხალხზე ითქვას ესენი რუსეთის მოწინააღმდეგენი არიანო. ამით ყველა უსინდისო ცილისმწამებელი აღელვებს ამდენ ხალხს (სემინარ.) და ვინ იცის რას აფიქრებინებს იმათ. მართლა და იმდენად შეგვავიწროვა იმ ტვინიდან თავისუფალმა კ—სკიმ, რომ სწორედ სასოწარკვეთილებაში ვართ ჩავარდნილი.

არ ვიცი არის სადმე ჭეშმარიტება, სამართალით გასჯა, თუ ყველა ეს უბრალო სიტყვებია!... რას უკეთებს, ნეტავ ვიცოდე. მართებლობას ისეთი ადამიანები, როგორიც კ—სკი!.. მე ამაში დარწმუნებული ვარ, რომ იმას ვნების მეტი არაფერი სარგებლობის მოტანა არ შეუძლია თავის მამულისათვის. კიდევ იტყვიან ხალხი შეცდებაო. თავის დღეში, არ იფიქროთ, რომ მთელი ხალხი შეცდეს, განა ტყუილი ნათქვამია: услужливый дурак опаснее врага. არამც და არამც გულში არ გაივლოთ... მაგრამ მეორე მხრით მადლი უნდა შევსწროთ კ—სთანა კაცებს. იმან ჩვენს წაყრუებულ ცხოვრებას, ჩვენს მამა-პაპური ინერციით მოძრაობას ცოტა არ იყოს სხვა მიმართულება მისცა. დეე ჩვენ გვტანჯონ, გვაწამონ, მოგვაკლონ ყოველგვარ კმაყოფილებას, შეგვიკრან ხელები და დაგვამწყვდიონ სემინარიის ეზოში. არაფერია, ამ შევიწროვებაში, ამ თავისუფლების მოკლებაში თვით უხეირო და გამოუსადეგარი ჩვენი ამხანაგებიც იგრძნობენ, რომ იმათ უსამართლოდ ექცევიან და ერთხელ მაინც თავის სიცოცხლეში ამოიღებენ ხმას ტირანების წინააღმდეგ, ერთხელ მაინც წაიბუტბუტებენ თავისუფლების სასარგებლოდ. ამ შემთხვევაში სემინარიულ ცხოვრებას ინტერესი ეძლევა. რაც უნდა იყოს სჩანს ცოტაოდენი მოძრაობა, ცოტაოდენი სიცოცხლე.

სემინარია ცოტ-ცოტათი იღვიძებს იმ საუკუნო ძილიდან, რომლითაც იმას ასე ტკბილად ეძინა ეხლამდის. მართალია, ამდენი შევიწროება, წიგნების კითხვის აკრძალვა და თავისუფლების მოკლება იმათ ბევრს მოაკლებს, მაგრამ მაგივრად სხვა კეთილი მოგვივა. ამგვარ აკრძალვებს ყოველთვის კარგი შედეგები ჰქონია, როგორც ისტორია მოგვითხრობს „где больше строгости, там и греха больше". შენიშნულია, რომ ჩვენ უფრო ის გვაინტერესებს, რაც აკრძალული გვაქვს. კაცის არსება ასეთნაირი ცნობისმოყვარეა, რომ ყველაფრიდან ხელს აიღებს, ოღონდ კი შეიტყოს ის, რაც იმას უნდა... ამ მხრითაც კ—სკის ქცევას მართებლობისათვის ვნების მეტი არაფერი სარგებლობა არ მოაქვს. თუ ამ საცოდავ კაცს მართლა კეთილის გულით სურს ხელმწიფის სამსახური, ნუ თუ იმდენად ბრმა არის (რასაკვირველია, გონებით, ფიზიკურად ხომ მაინც ბრუციანია), რომ არ ესმის ამდენ შევიწროებას რა შედეგი მოსდევს! თავისუფალი რომ ვყოფილიყავ ამჟამად, უმეტეს ნაწილს დროისას სეირნობაში და გარედ, ნაცნობებთან გავატარებდი, მაგრამ აქ დამწყვდეული რომ ვარ, რა უნდა გავაკეთო, თუ არ ვიკითხო, მუდამ არ ვიფიქრო, ან არ ვიჯავრო იმ უსამართლობაზე, რომელიც ჩვენ სულს გვიხუ-

თავს ამ უკანასკნელ დროებში. საბრალო კ—სკი, რა მცირედ ვუფლი
შენ, შენი მოქმედების შინაარსი, რა შორს გაუხედავი რამ ...

14 მ ა რ ტ ი

დღეს დარწმუნებით შევიტყვე, რომ ჩემი საქმე გადაწყვეტილია. ვიცოდი რომ კ—სკი, ეს სულით გლახაკი, მიპირებდა მე გამორიცხვას სემინარიიდან, მაგრამ ასე უსაფუძვლოდ და უსინდისოდ თუ ის თავისას გაიტანდა ჩვენს საცოდავ „პრავლენიეში" არ მეგონა. საწყალი ჩვენი სემინარია! ამდენი ხალხის ბედი, რა მაიმუნების ხელშია ჩავარდნილი. რ... კეთილი უნდა გამოვიდეს იმ „ზავედენიიდან", რომელსაც ასეთი გონებით გლახაკი ლექტორი და სულით ღარიბი ინსპექტორი განაგებს? აფსუს ნიჭიერო ქართველის შვილებო!..

დიახ, დღეს მგონი, უკანასკნელი საღამოა ჩემი აქ ყოფნისა. ხვალ რომ შაბათია, ექსარხოსი, ეს უმთავრესი ქურუმი აქაურობისა, გადასცემს „პრავლენიის" ჟურნალს ჩვენს ინსპექტორს და ეს უკანასკნელი მე გამომიცხადებს თავის ამდენი ხნის სურვილის ასრულებას. ფუ, კაცობრიობის ასეთს დამცირებას, რაგვარად უსინდისო და უშნო რამ არის ეს ყოველად უბედური კაცი. ერთი შეხედვა იმისი იმდენად მეზიზღება, რამდენად გველის შეხედვა არ შემეზიზღებოდა. ან კიდევ ბრაზილიის მაიმუნთან დამეგობრება.

გველი, გველია და მაიმუნი — მაიმუნი, მაგრამ ეს კაცის მსგავსი არსება რომ კაცი არ არის?.. დააცქერდით ერთი იმის დაფანტულ და უაზრო პირისახეს, შეხედეთ იმის ჩავარდნილ თვალებს, ვიწრო ნიკაპს, აბურძგნულ თმას და თქვენ თვითონ სთქვით ვისა ჰგავს ეს სულიერი!.. კიდევ იტყვიან დარვინი[89] სტყუისო! რა არის კუვშინსკი თუ არა ისევე ის მაიმუნი, რომელიც კაცს უახლოვდება. თუ არ მაიმუნი, კაცი ხომ არ დაეძახება? მაგრა? ინდაური ? აბა გავსინჯოთ, გავავლოთ პარალელი ინდაურსა და თბილისის სასულიერო სემინარიის ინსპექტორს შუა. ავიყვანოთ ერთი ინდაური და დავსვათ ისეთ პირობებში, რომელშიდაც არის თითონ კ—სკი. აი თუ ვინდა ის ინდაური, რომელიც თვითონ ამ კაცსა ჰგავს. ეს ინდაური მარტოკა ინდაურია ჩვენს სემინარიის ეზოში. ის თავისი ჩვეულებრივი სისულელით, როგორლაც არეულად დადის. უმეტეს ნაწილად დაჩუმებულია, თუ დაინახა მფრინავი ბუზი გამოეკიდება და იქერ... დააცქერდით, რა მაღალი კისერი აქვს, რა მშვენიერი წითელი თავ..., რა დაუდგომელი ხასიათი. დაუძახეთ ერთი „ტუ-ლუ-ლუ-ლუ", — ის ჯავრდება, მომართავს ორივე მხარს, გაიბერება. რაც რამ შეუძლია და წამოიწევს ერთს დიდი ძლიერებით და იძახის „მოიცა მე შენო"... მაგრამ ეს ინდაური ამით მხოლოდ სულს მოითქვამს, ის ისევე დავარდება და მიეცემა იმავე სიჩუმეს და „სიბრძნეს", რომელიც იმის ხასიათს შეადგენს.

აბა ახლა ჩვენი სიმდიდრე კ—სკი: ეს უბედური უმეტეს ნაწილად ისე არის გაჩუმებული, თითქოს ცოლ-შვილი დახოცოდეს. არის თავჩაღუ-

ნული და დაფანტული, თუ რამ უთხარი, ისე უცებ წამოვარდება როგორც თავისი ინდაური, მაგრამ ისევ ისე დავარდება, როგორც ისევე ის ინდაური სწორედ ეს ინდაური ინსპექტორის მეორე ეგზემპლარია. დარწმუნებული ვარ, ინსპექტორი სადმე რომ წავიდეს, თავის თანამდებობის აღმასრულებლად ამ ინდაურს წარუდგენს „პრავლენიეს“ დასამტკიცებლად, უმეტესი ნაწილი „პრავლენიის“ წევრებისა დაამტკიცებს იმას და ექსარხორსიც დათანხმდება. ერთი სიტყვით ერთიცა და მეორეც, რომ შევაერთოთ, გამოვა ბრაზილიის მაიმუნი ჰინდური მამლის თავით...

მაგრამ ღირს კი ამდენი ვილაპარაკო ამ უბედურ, ღვთის ქმნილებაზე! არა! სწორედ არა ღირს. ჰეროსტრატემ ისეთი სისულელე ჰქნა, რომ არ შეგვიძლია იმაზე არ ვილაპარაკოთ, მაგრამ ეს ხომ იმდენად ნიჭიერი არ არის, რომ ისეთი სისულელე ჩაიდინოს, რომლის მოგონება ღირდეს.

დიახ, უნდა მოვშორდე ამ სემინარიას უკუნითი უკუნისამდე. უნდა დავანებოთ თავი ამდენ ტოლ-ამხანაგებს და ვინ იცის სად გადვიკარგები, რა გზას დავადგები, რა ასპარეზს ამოვირჩევ ჩემს ცხოვრებაში; თითქმის თავდება აქ ჩემს სიცოცხლეში შკოლური აღზრდა. მე ეხლა სიცოცხლეში ერთს ნაბიჯს გადავდგამ. იმიტომ რომ ასე თუ ისე მე უნდა ამოვირჩიო რაიმე პრაქტიკული საქმე ცხოვრებაში. ნეტავ, ვიცოდე რა ვიქნები, რა კაცი გამოვა ჩემგან. ნუ თუ ჩემგან უხეირო რამე გამოვიდეს? მაგრამ მე რომ ჩემი თავის რწმუნება მაქვს, მე რომ ვგრძნობ ჩემში რაღაც ძალას!.. ნუ თუ ამ რწმუნებამ, ამ ძალამ, ამ ძალის გრძნობამ უბრალოდ და ფუჭად ჩაიაროს!.. ნუ თუ ისე უხეიროდ და უკვალოდ გაჰქრეს ჩემი არსება უბრალო და უმნიშვნელო საზოგადოებაში.. ახ, ნეტავ ჩვენს დროს, წინასწარმეტყველება იყოს...

მაგრამ არა. მე არა მგონი რომ ისე უხეიროდ, ისევ იმ მამაპაპურის გზით დავიწყო სიარული, სამწუხაროდ, რომლითაც ჩვენი სემინარიელები ახლამდისაც დასეირნობენ. არა, მე არ დავიჯერებ, რომ მე სემინარიელებსავით სადმე სასულიერო სასწავლებელში უხეირო მასწავლებელი ვიყო, იქაურ სტოლზე დავეკრა და სხვა ასპარეზი არა მქონდეს რა. არა! მე ეს არ მინდა დავიჯერო. ჩემი ბუნება ასეთი უხეირო და დაბალი არ არის. ჩემს სისხლში ცოტა სიცოცხლის წყალიც ერევია და კარგად თუ ავად მე არ შემიძლია უბრალო, საშუალო ცხოვრებაში დავრჩე. მე ისე მინდა „большому кораблю большое плаванье.“ მე არ მეყოფა მკვდარი სასწავლებლის მდგომარეობა. მე უფრო ჩქარა დავთანხმდები ვიყო გამოჩენილი ავაზაკი, ვინემ უმოძრაო სკოლის მასწავლებელი, რომელსაც გარდა თავისი ბავშვებისა და უფროსებისა არა ახსოვს რა... რა ხეირი უნდა გამოვიდეს ასეთ კაცთაგან! არა, მე არ ვიქნები ასეთი, მე ჩემი თავის რწმუნება მაქვს. ჩემი ტემპერამენტისა და მოძრაობის ვიწრო ჩარჩოში ჩასმას სიკვდილი სჯობია. იმიტომ, რომ თუ ცოცხალი ვარ, ვიცოცხლო როგორც რიგია. ნუ ვგრძნობ უფერულობას და უშნოობას. „Или жить для жизни, или марш на покой.“

რით გავდივარ მე სემინარიიდან, რა მომცა მე აქაურმა სწავლამ?.. არ
რა: სემინარიამ თვალები ამიხილა და.თავისთავზე დიდი აზრი შემადგენია.
ი სულ ყველაფერი, რაც კი რამ მომცა სემინარიამ. თქვენ მკითხავთ, რას
ჰქვია ეს თვალის ახელა, ეს აზრის შედგენაო, ეს მეტად განუსაზღვრ-
ელიაო?.. მე თქვენ გეტყვით, მაგრამ გეტყვით თავიდან. დალაგებით
მოგახსენებთ.

მოგეხსენებათ, სემინარია კლასიკური „ზავედენიეა". ადამიანის სუ-
ლიერი მნარე აქ იზრდება და კეთდება. გონება „იხსნება", ზნეობა
„მაღლდება". სულ ყველაფერი ეს ხდება სემინარიის პროგრამების
შემდგენლების თავში, ნამდვილად კი, სემინარიელები ძლიერ შორს
არიან გონებით, ზნეობით და სხვა მხრის გახსნიდან. მეტისმეტი უშინაარ-
სოა სემინარიის სწავლა. თითქმის არაფერი ჰყვება კაცს იქიდან ისეთი,
რომელიც ცხოვრებაში პირდაპირი გამოსადეგი და სასარგებლო იყოს.
თუ კი რაიმე ჰყვება, ძლიერ იშვიათად და ცოტა.

21 მ ა რ ტ ი 1874 წ.

სემინ. ბურსა.

დღეს გამომიცხადა მე ინსპექტორმა, რომ სემინარიიდან დაგითხოვეთო.
იმას ეგონა, რომ შე ამ ამბით შევწუხდებოდი, მაგრამ არ მომიკვდეს იმის
ინდაურის თავი, რომ მე არ შევწუხებულვიყო. რამ უნდა შემაწუხოს? მე
რომ ცუდი ყოფა-ქცევის და ზნეწამხდარი ვყოფილვიყავი, ან უნიჭო და
უსარგებლო და ერთი რომელიმე ამ მიზეზებისა გამო გამოვერიცხეთ,
ძლიერ შევწუხდებოდი, რადგანაც ეს შემთხვევა მე მაგრძნობინებდა
ჩემს უვარგისობას, მაგრამ არც ერთი მიზეზთაგანი არ იყო ჩემი გამორი-
ცხვის მიზეზი...

როგორიც უცნაურ და განუსაზღვრელ მდგომარეობაში ვარ ეხლა
მე, მაგრამ, როგორც წინათ ვთქვით მე ეს ძლიერ მიხარია. მაინც არ მინ-
დოდა ნელნელა სიარული იმ მამაპაპური გზით, რომლითაც აღვირასხმუ-
ლი დაჰყავთ მოსწავლეები მთავრობის მათრახის შიშის ქვეშ. დეე, ჩავარდე
მე ავუკაფავ ტყეში და თითონ მაძებნინონ ცხოვრების გზა. დეე, ვეწვალო,
წვალება, როგორც ბაირონმა თქვა, უკეთესი მასწავლებელია. არც წიგნი,
არც მასწავლებელი, არც მეგობარი არ გასწავლის შენ ისე მკვიდრად და
ბეჯითად, როგორც ცხოვრების გამოცდილება. უმთავრესი ნაკლოვანებანი
სემინარიისა და საზოგადოდ სასწავლებლებისა არის ის, რომ მოსწავლეე-
ბი სანამ კლასის სკამებზე სხედან, ვინ იცის რაზე სწავლობენ, საბერძნე-
თის რომელ მეტაფიზიკზე ლაპარაკობენ, ან რომელი ბერის ბიოგრაფიას
ზეპირობენ გამოდიან თუ არა სასწავლებლიდან, არც კი იციან როგორ
იცხოვრონ, რა მიმართულება დაიჭირონ, საზოგადოებას როგორ მოეპყ-
რან, იმათ უნდა დაიწყონ ცხოვრების ანბანიდან და სანამ ამ ანბანს ისწავ-
ლიდნენ უმეტესი ნაწილად რაც, რამ უსწავლიათ ჩვენი ახალ-თაობის
ჭირის—კლასიციზმიდან, თავიდან გამოსცვივათ..

მაგრამ თუ სწავლა და ცხოვრება, თეორია და პრაქტიკა ხელდახელ ჰყვება ახალგაზრდას, მაშინ ის ახალგაზრდა ცხოვრებაში გამოსადეგ კაცი უნდა შეიქნეს. ყველა დიდ კაცს იღბალი ღალატობსო, ამბობენ, ეს იმას ნიშნავს, რომ დიდი კაცი, რომელიც ხედავს თავის თანამედროვეებს შორს არ კმაყოფილდება იმ პირობებში, რომელშიც ჩავარდნილია იმისი თანამედროვეები, ის გადადის საზოგადო, ფართო შარიდან, ვარდება ტყეში და თავისი გამჭრიახი ჭკუით კაფავს ტყეს და გაიყვანს ახალ გზას. თანამედროვეები როდისმე გამოახელენ თვალს და ცოტ-ცოტათი გაჰყვებიან გენიოსისაგან ახლად გაკაფულ გზას... მე დარწმუნებული ვარ, გაჭირვება რომ არ იყოს, ცივილიზაცია ასე მაღლა თავის დღეში არ აიწევდა. გაჭირვება თავის ყოველგვარი სახით უმთავრესი მიზეზია კაცობრიობის წინ წაწევისა.

ლხინი სიზარმაცის ნათესავია, სიზარმაცე კი გონებრივი სისუსტისა და სიცოცხლის დაკარგვის დილაა. სიზარმაცემ შვა სისუსტე, სისუსტემ შვა სიკვდილი; სიკვდილმა შვა კუვშინსკი და ძმანი მისნი... მაგრამ კუვშინსკის სახელი ასე ადვილად რომ ვახსენო სირცხვილი არ არის ჩემთვის? იმისი გვარი ვერცხლის ანბანით უნდა დავწერო და სემინარიელების ფეხისალაგის კარებზე უნდა მივაჭედო, რომ შვილის-შვილთა ჩვენთა კეთილ-მოწიწებით მოიხსენიონ იმისი „წმინდა" სახელი და გალობითა დიდითა ადიდონ სემინარიელთათვის „კეთილის მოქმედი" კაცი.

23 მ ა რ ტ ი

ეს ორი დღეა თავისუფალი ვარ. როგორც იყო მოვშორდი იმ საზარელ ბურსას, რომელიც ასე უწყალოდ სტანჯავს ჩვენს ახალგაზრდობას. ღმერთო ჩემო, რა ცუდია, რომ კაცს თავისუფლება არა აქვს. შენ გინდა რაიმე წმინდა და მაღალ აზრებს მიეცე, გინდა იფიქრო კაცობრიობის ბედზე, ჩვენს დანიშნულებაზე, სიყვარულზე, სიცოცხლეზე, გინდა დასტკბე ბუნების სიმდიდრით და იგრძნო დაუსრულებელი ბუნების ცვლილებები, შენ გინდა ყველა ეს ადამიანური დანიშნულებები აასრულო, მაგრამ ამ დროს მოდის მეორე. შენი ტოლი, რომელიც ვინ იცის რაზე ფიქრობს, რაზე დარდობს, მოგკიდებს ხელს და შეგანძრ-შემოგანძრევს, ან თავში ჩაგარტყამს და ვინ იცის რაზე დაგიწყებს ლაპარაკს... შენ უნდა ჩამოხვიდე შენი ფიქრების სიმაღლიდან, უნდა დასტოვო ის ნეტარება, რომელსაც ხედავ შენ, შენის ფიქრებითა და გრძნობით და აჰყვე იმ გალობას, რომელსაც დაგიწყებს შენ, შენი ტოლი და ამხანაგი... გინდა შენ წიგნი იკითხო, წიგნი არა გაქვს, თუ იშოვე იმასაც გართმევენ, გინდა სწერო რამეზე, გინდა შენი დარდები თეთრ ქაღალდს უამბო ან საიდლად გირეკავენ, ან ვახშმად, ან ლამპას გიქრობენ და საწოლ ოთახში გაგდებენ... შენ სრულებით არა ხარ შენი თავის პატრონი, ხელ-ფეხი შეკრული გაქვს, ტვინს მუშაობა არ შეუძლია და გულს გრძნობა...

— ამგვარ გარემოებაში მიკვირს, როგორ უნდა ამაღლდეს ადამიანის

ჭკუა, როგორ უნდა ჩაისახოს კაცში ის პატიოსნება, რომელიც უმთავრესი საგანძური და პირობაა ჩვენი აღზრდა-განათლებისა. აქ მარტო ... და ოინობას სწავლობენ. რაც უნდა ბუნებით მდიდარი იყოს კაცი, ... ვიდარაბაში არ შეიძლება დაიჭიროს მაგარი და კარგი ხასიათი. იტყვიან, ხასიათი, მარტო ცხოვრებაში კეთდებაო. ვინ იტყვის ეს ტყუილიაო, ფრანგის ხასიათი კაფე-რესტორანებში და კლუბებში კეთდება, ინგლისელი თავის დამჯდარი და მკვიდრი ხასიათით მშობლიურს და საზოგადოდ ინგლისელების მიმართულებას მისდევს. ეს ჭეშმარიტებაა. მაგრამ თუ დავუკვირდებით პატიოსან და მკვიდრ ხასიათს, თუ ავიღებთ, ისტორიულ პირთა, რომელთაც გამოუჩენიათ მაგარი ენერგია და ხასიათი, ჩვენ დავრწმუნდებით, რომ ყველა ესენი (უმეტესი ნაწილი მაინც) უმეტესად მარტო ცხოვრობდნენ, და საზოგადოებაშიც ცოტას მონაწილეობდნენ, ვიდრე თავიანთ ხასიათს კარგად არ დაამკვიდრებდნენ. ავიღოთ მაგ. ნაპოლეონ I, მაჰმადი[81], ქრისტე[82], სპინოზა, ნიუტონი, ფიხტე[83], კონტი, კანტი და ათასი სხვა. რას ვხედავთ ჩვენ ამათ ხასიათში? ყველა ესენი ახალგაზრდობისას მარტო იყვნენ და თავის თავზე მინებებული იმათ თავიანთი ხასიათი და ჭკუა-გონება აღზარდეს ისე, როგორც თვითონ სურდათ და გამოვიდნენ მაგარისა და მკვიდრი ხასიათის კაცნი. კაცი, რომელიც მარტო ცხოვრობს უმეტეს ნაწილად ერთ-მხროვანია და ამიტომ იმისი ნებაც ერთი მხრისაკენ იზრდება, მაშასადამე, იმისი ხასიათიც რიგიანად არის გავარჯიშებული ერთი მხრისაკენ და იმის დაოლვევას დიდი შრომა უნდება. ამის გამო მარტო მყოფები უფრო მკვიდრი ხასიათისანი არიან, ვინემ პატარაობიდანვე საზოგადო ცხოვრებაში ჩავარდნილები. ჩვენი ბურსაკებივით. ამ უკანასკნელი კატეგორიის კაცებში ითვლებიან ისეთი დიდი გენიოსები, როგორიც გოეტე, ბეკონი, ლეიბნიცი, რისთვის? იმისათვის რომ ისენი აღიზარდნენ მრავალ მხრიან და მოუსვენარ საზოგადოებაში. ყველა წევრი იმ საზოგადოებისა თავისაკენ იზიდავს იმ, თუ გინდა, მაღალ ჭკუას. ერთი დასრულებული ხასიათი ვერასდროს ვერ შემუშავდება იმ საზოგადოების ვაი-ვაგლახში. სხვა რომ არა იყოს რა, მარტო ამ მხრითაც ცუდია ამდენ კაცში ცხოვრება. ხასიათი—ეს ადამიანის სიმდიდრე და გამამშვენიერებელი მასალა აკლდება აქ კაცს. საჭიროა კაცისათვის მყუდრო და თავისუფალი ადგილი: აი, ისეთი, რომელშიც ვარ ეხლა მე. ჩემს წინ დგას პატარა, კოხტა ლამპა. ზემოდან იმისი თეთრი საჩურავი როგორღაც დაფიქრებულად და აზრიანად ანათებს ამ ჩემს პატარა კაბინეტს. ღამის თერთმეტი საათია. სძინავს ყველას ამ ჩვენს უბანში. მისწყდა ეტლების ხმა. მე ფაუსტივით ვარ ჩემს პატარა კაბინეტში (იგივე საწოლი, სასტუმრო, სასადილო, საყმაწვილო, საშზარეულო, ბიბლიოთეკა და სხვ. ერავალი) და ვემუსაიფები ჩემს თავს. ათასგვარი ფიქრები მომდის თავში. მინდა ყველას დაუკვირდე. მინდა რაიმე გავაკეთო, კარგ გზას დავადგე—„Чтоб от века не отставать".

საწყალი ბურსაკები... ახლა სძინავს ყველა იმათგანს და ვინ იცის რას

ხედავენ სიზმარში, რომელ მასწავლებელს უგებენ გაკვეთილს, ან ეჩხუბებიან ცუდი „ბალისათვის“... საწყალი ბურსაკები. შეგიძლიათ იკითხოთ, თქვენ რა რიგ სასიამოვნოა კაცისათვის თავისუფლება? ახ, რა კარგია, რომ მე ეხლა შემიძლია როგორც მინდა ისე ვიფიქრო, ისე მოვიქცე. რასაკვირველია, სრულ თავისუფლებაზე მე არ ვამბობ, ეს ჯერ შორსაა... ისე მაინც თავისუფალი ვარ, როგორც გალიაშია ჩიტი. ბურსაკები კი შიგ გალიაშიც ხელფეხ-შეკრულები უმოწყალოდ იტანჯებიან და თავის უკეთეს დროს და სიყმაწვილეს უმიზნოდ და უაზროდ ღუპავენ ამათ ხელში... ახ, ნეტავი თქვენ თავისუფალნო ერნო, ნეტავი თქვენ ჰეინეე და ბერნეე!..

ერთის მხრით პრაქტიკამ, მაგრამ უფრო უმეტესად გერასიმე კალანდარიშვილის გავლენამ ერთი დიდი, შესანიშნავი გზა მიჩვენეს. ამ გზით უნდა იაროს ყველა ადამიანმა, თუ არ უნდა რომ კაცის, ადამიანის სახელი ტყუილად არ ერქვას იმას. ყველამ იცის ეს გზა, მაგრამ უმეტესი ნაწილი კაცობრიობისა, სამწუხაროდ, არ მისდევს იმას. მე ვამბობ „ენერგიულ და გონიერ შრომაზე, მტკიცე და პატიოსან ხასიათზე“. ნამეტურ პატიოსნება!.. ახ, გაფიცებთ თქვენ კაცობრიობას, გაფიცებთ თქვენ კაცის გულის მეფე-ბეთხოვენის[84] შუსიკას, თქვენ კაცური გრძნობის მექონნო „აკაკი“, სკანდელი, გამბეტა[86] და სხვანო მრავალნო, სთქვით მართალი, გერასიმე კალანდარიშვილს, იმის წმინდა სახელს შეიძლება ჰკადროს კაცმა პატიოსანი არ იყოო!.. ოხ, მაშ, არ იცით რას ჰქვია პატიოსნება. ბერნეს თქმისა არ იყოს, თქვენ მხოლოდ მაშინ ხართ პატიოსნები, როდესაც კალამს აიღებთ ხელში. ამ დროს პატიოსნება ცხვირზე დაგაჯდებათ, მაგრამ, გააგდებთ თუ არა კალამს, ეს უმთავრესი ღირსება კაცისა კოლობუზივით აისხამს ფრთებს და გაფრინდება სადმე შორს ცხრა მთის გადაღმა კალანდარიშვილებთან და გოგებაშვილებთან[87]... დიახ, მე თქვენ გარწმუნებთ, თქვენ „სიტყვების ფაბრიკანტებო“, რომ გ. კალანდარიშვილი ჩვენი საუკეთესო იმედი იყო. იმან თან ჩაიტანა სამარეში ეს იმედი და ჩვენი განუსაზღვრელი სიყვარული. აბა მიგვითითეთ ერთ პატიოსან ჭკუა-მაღალ პირზე, მის ხასიათზე და საზოგადოებისათვის მცხოვრებ ადამიანზე მთელს ქუთაისის გუბერნიაში (გარდა ვაბრიელისა[88]) ვერავის ვერ იპოვით...

აი, ამ პატიოსანმა და გონიერმა პირმა შემაყვარა მე პატიოსნება და დამჯდარი ხასიათი. მე მსურს იმას წავბაძო ამაებში, მინდა ყოველთვის მქონდეს სახეში იმისი ყოფაქცევა. უკანასკნელი შემთხვევა ჩემთან — სემინარიიდან დათხოვა ამ ჩემს სურვილის ასრულებას უფრო შემაძლებინებს მგონი, რადგანაც ბურსაში, მე როგორც ზემოდ, ვამბობდი შემეძლო დავმორჩილებოდი ამხანაგების გავლენას... ესრეთ მე მინდა პატიოსანი და დამჯდარი ხასიათის კაცი ვიყო. ამას მირჩევს მე ეხლა ერთი უკეთესი და უძვირფასესი ჩემი მეგობარიც. მართლა, რა დიდი რამ არის პატიოსნება!.. ყველაფერი ემორჩილება იმას ადრე თუ გვიან; ყველა პატივსა სცემს (გულით მაინც) პატიოსან ადამიანს. რაც უნდა მაღალი ჭკუა იყოს, თუ

იმას პატიოსნება აკლია, თავის დღეში ნუ იფიქრებს, რომ იქონიოს რიგიანი გავლენა ვისმეზე. რა ბევრი რამ აკლდებათ ბეკონს, ვოლტერს, ვოლტერს სკოტს[89], რომ ისინი ვერ იყვნენ პატიოსანი ადამიანნი. მაგრამ ეს დიდი ჭკუა არა აქვს კაცს და ამასთან პატიოსნებაც, მაშინ ეს კაცი სრულიად წყალწაღებულია.

რა დიდ კრძალულებით და გულითადი პატივისცემით ვკითხულობ მე ი. გოგებაშვილის წერილს გერასიმეს გარდაცვალების შესახებ. აი რასა წერს გოგებაშვილი: „გერასიმე და სიკვდილი — ეგ ორი საგანი აქამდის ვერ თავსდება ჩემს გონებაში. ვერც გული და ვერც გონება შეჯერებია ამ საძაგელ ფაქტსა. მხოლოდ ახლა მაგრძნობინა სიკვდილმა თავისი საშინელი, შეუბრალებელი და საზიზღარი ძალა, თუმცა ახლოს ნათესავი ბევრი მყავს დახოცილი. როცა სიკვდილი სცელავს ჩვეულებრივ პირთა, მისს მოქმედებაში ვერ ჰპოებ განსაკუთრებულ ამაღელვებელ საბუთსა. მაგრამ როცა ის უდროო დროდ ეხება მაღალ ჭკუას, ღრმა გრძნობას, ენერგიულ და გონიერ შრომას, მტკიცე და პატიოსან ხასიათს, როცა ის ეხება იმ იშვიათ პირსა, რომელიც შეადგენს ცხოვრების მარილს, როცა ის შეუბრალებლივ უსვამს ცელს ყმაწვილ სიცოცხლეს, რომელსაც ჰქონდა სრული უფლება ხანგრძლივი ბედნიერებისა, მაშინ, მხოლოდ მაშინ ცხადად მიდგება თვალწინ სიცოცხლის უაზრობა, უმიზნობა, სიფუჭე და ხდება მონა შავბნელი შეხედულებებისა“...

ო, როგორ მაფიქრებენ მე ეს სიტყვები. მარტო იმიტომ კი არა, რომ გერასიმე როგორც მეგობარი მიყვარდა, არა, ამ სიტყვებით ასწერს ყველა პატიოსანი კაცი ყველა პატიოსან კაცს — აი რისთვის. მე თანდათან ვრწმუნდები, რომ ჩემი წინანდელი შეხედულება ცხოვრებაზე ვერ არის რიგიანი. მართლა უხეირო დევიზია „пливи по течению“. ბიჭოს ეს არაა წყალმა წაგიღოს?.. ბიჭიც ის არის და ვაჟკაცის გულიც იმასა აქვს, ვინც ამ სტიქიის წინააღმდეგ წავა. ყველა, ვინც გაჰყოლია მიმდინარე წყალს, გამქრალა ისტორიის გვერდებიდან. შეერთებია საუკუნო დავიწყებას. მაგრამ ყველა, ვისაც კი ცოტათი მაინც მოუნდომებია მდინარის წინააღმდეგ წასვლა, მისცემია საუკუნო ხსენებას. კაცობრიობა მადლობით იხსენებს ამგვარ ადამიანებს.

აბიტომ მიმდინარე წყლის წამყოლს დაკარგული აქვს ყოველგვარი თავმოყვარეობა... რასაკვირველია მე ამით, იმას კი არ ვამბობ, რომ კაცმა რაც უნდა ჩაიდინოს კარგი თუ ცუდი ოღონდ კი მიმდინარეობის წინააღმდეგ წავიდეს და ასეთი კაცი დაახსომდება ისტორიას-თქო. არა, უკიდურესობა (крайность), როგორც საზოგადოდ კარგი არასოდეს არ არის, იმასთან რაც უნდა შესანიშნავი რამე ქნას კაცმა, თუ ის იმისთვის სჩადის, რომ დაანახოს თავისთავი ქვეყანას, ის ჰკარგავს ღირსებას... რომ იტყვიან „надо отличиться чем нибудь“. ამაზე უსაძაგლესი ქვეყანაზე არაფერია. ამას ისევ წყლის წაყოლა სჯობია... მაგარი ხასიათი და პატიოსნება. ამასთან ჭკუა და გონება — რას არ იზამენ ეს საღმრთო სიტყვე-

ბი. ესენი კი წავლენ მიმდინარეობის წინააღმდეგ. თუ გინდ მთელი ზღვა-ოკეანე გახდეს მდინარედ. მე სულით და გულით მსურს დავადგე იმ გზა-კვალს, რომელზედაც იდგა გერასიმე კ-ლი..

ეროვნული ბიბლიოთეკა

— გუშინ შევიტყვე. ექსარხოსს უკითხავს ხელიძისათვის[90], კალანდა-რიშვილი რომ მოკვდა ძლიერ სწუხდაო? იმის ფიქრით ის რომ კვდებოდა ვითომ ძლიერ სწუხდა, რადგანაც ვერ მოესწრო კარგად დაემკვიდრებინა ის ქართველებია ლიბერალური საზოგადოება, რომელიც ექსარხოსის და კ-სკის თავებში არსებობს. ღმერთო ჩემო, საფლავშიც არ ასვენებენ ამ კაცს. სად არის ქვეყანაზე პატიოსნება, სიმართლე, მართლმსაჯულება. აფ-სუსი არ არის კ-სკი ფეხზე იდგეს და გერასიმე მიწაში იყოს?!. მეორე ვარიაციით ისე გამოვიდა ეს ამბავი, ვითომ ექსარხოსს ეთქვას კ-ლს შეე-შინდა, რომ შეატყობენ იმას საზოგადოებაში მონაწილეობას და ამ შიშმა იმგვარად იმოქმედეს მასზე, რომ ის მოკვდაო... საწყალო ბერო, შენზე ხომ ლაპარაკი არა ღირს... შენ და კუვშინსკის პატიოსნება კონვერტში ჩაწყობილად უწმინდეს სინოდში არის გაგზავნილი კერსკის ადრესით და მეორე ობერპროკურორისა.

პირველი წიგნი, რომელიც წავიკითხე მე შემდეგ ჩემის განთავისუფ-ლებისა არის ჰეინე. საბრალო ებრაელი! როგორ იტანჯებოდი შენ ფეხით გათელილ მდაბალ ხალხზე, როგორ გაწუხებდა შენ ქვეყნის უსამართლო-ება და უსწორმასწორობა. შენს მახვილ ენას ვინ იცის რამდენი სარგებ-ლობა მოუტანია ქვეყნისათვის, მაგრამ სადა ხარ ეხლა? ვინ იტყვის შენს მა-გიერ რასმეს. მართალი გითქვამს როდესაც ამბობდი: „თავისუფლება და სისწორე! არ არიან ისინი არც ძირს ქვეყანაზე, არც იქ, ზევით! იქაც ვარ-სკვლავები არ არიან ტოლნი, ერთი უფრო დიდია და ბრწყინვალე ვინემ მეორე; არც ერთი არ მიდის თავისუფლად, ყველანი ემორჩილებიან წინათ დაწერილს რკინის კანონებს. თავისუფლება არ არის არც ზევით, არც ქვევით!“

24 მ ა რ ტ ი

დღეს გოგებაშვილთან ვიყავი, აი გერასიმეს მეორე ეგზემპლარი. ჭკვიანი და პატიოსანი მუშაკი, საზოგადოებისათვის დიდად მზრუნავი კა-ცი... თუმცა ის ავად არის, ამ დროებით რაღაც ქართულ წიგნს ადგენს, მგონი ბუნებითი ისტორიიდან. ჩემი ნახვა ძლიერ გაუხარდა და როგორც მოველოდი, ქუთაისზე ჩამომიგდო ლაპარაკი მაშინვე. თავის გერასიმეზე, უფრო ნ—ზე ვილაპარაკეთ, იმან ზოგიერთი იმისი წერილები წაიკითხა და ძლიერ ეწყინა, რომ გაიგო იმის დაუსრულებელი მწუხარება. ეწყინა რომ მე სემინარიიდან გამრიცხეს და მირჩია, როგორმე ისევ შევიდე და არამც და არამც საზღვარგარეთ არ წავიდე, რადგანაც საზღვარგარეთ ჩვე-ნი ახალგაზრდობა არაფერს კარგს არ აკეთებსო, გარდა ზოგიერთებისა...

ჭკვიანი კაცია გოგებაშვილი, იმას ეჯავრება სკანდელიზმი და მოსწონს დამჯდარი და სინდისიანი მუშაობა. თუმცაღა მე მსურს დავემორჩილო

ამის ჭკვიანურ რჩევას და მივიღო ის მიმართულება, რომელიც აქვს მას, მაგრამ მე იმასაც ვფიქრობ, რომ არც სკანდელიზმი დარჩება უსარგებლო ჩვენი ქვეყნისათვის, მით უმეტეს, თუ სკანდელიზმს პატიოსანი მიმართულება ექნება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

არ ვიცი შევალ ისევ სემინარიაში თუ არა, როგორც ეს მირჩია გოგებაშვილმა, მაგრამ კი ვიცი რომ გოგებაშვილი პატიოსანი და ჭკვიანი კაცია. ფურცელაძეს უთქვამს ამ დღეებში — ჩვენ, ქართველებს ორი რიგიანი კაცი გვყავდაო... ერთი მოკვდა (გერასიმე) და მეოთეც დაავადყოფდაო (იაკობი). ოხ, რას ვუმადლი ამისთვის იმ კაცს, ნეტავ იმან იცოდეს...

პატიოსნებავ, პატიოსნებავ, შენ უხილავო ღმერთავ, შენ ცხოვრების დამატკბობელო და დამამშვენებელო მასალავ, შთაჰბერე შენი ყოვლის შემძლებელი სული ყველა ადამის შვილებს. სიცოცხლის მარილო, ადამიანის ღირსების გვირგვინო, სულის სულო პატიოსნებავ. ნუ ამსგავსებ კაცთა ნათესავს ადამიანის მსგავს მაიმუნს, ან ინდოეთის თუთიყუშს. მოევლინე მათ და მიანიჭე შენი განმაცისკროვნებელი ძალა.

„Бедняк будь честен прежде всего, прежде всего, прежде всего от ныне и прежде всего“ (Беранже)...

ექსარხოსს უთქვამს კ... სათვის ქართველებს რუსების პურმარილი არა სწამთ, მაგრამ დახე, ერთი ქუთაისში ჩაკვდა და მეორე აქ იხრჩობა... ღმერთი მათ კარგს არ დააყრისო... საწყალო ბერო, მე გიცნობ შენ, მაგრამ არ გამტყუნებ შენ, ვამტყუნებ ჩვენს მეცხრამეტე საუკუნეს. რომელმაც კიდევ ვერ გამოიცნო რაშია საქმე. ასე გგონია საბრალო ბერო, რომ არ იცოდეთ ვინ არიან ბერები? ესენი ისევე ის მატყუარა ქურუმებია, რომლებიც ერთი წინასწარმეტყველის დროს ებრაელთა ერთ მეფეს ატყუებდნენ. ასე აშკარად მოტყუებას ესლა თქვენ ვერ გაბედავთ, იმიტომ რომ ათასი და ათიათასი მეცნიერი თვალები ზედ დაგიქერებიათ — და, იმდენივე ყურები გისმენენ... ფიქრი ნუ გაქვთ, მოვა დრო და ეს თქვენი ორგანიზული მოტყუილება ერთბაშად ჩაიფუშება. ჯერჯერობით ხომ ეს წართმეული გვაქვს. აბა დაიცადეთ, უყურეთ რა ქნას მეოცე საუკუნემ!..

ბერო, შენი იეზუიტური პატიოსნებით და იუდის გამცემლობით არც კი ხარ ღირსი ილაპარაკო გ. კ-ლზე, მაგრამ რა ვქნათ „საცა ხმალი ტრიალებს, მართლმსაჯულება ხმა ჩაკმენდილია“, როგორც ძველი ლათინები ამბობდნენ: inter arma silent leges.

25 მარტი. თბილისი

ნეტა ჩვენს თაობას, რამდენი სამუშაო უდევს წინ!.. იქნება დედამიწის ზურგზე ისეთი კაცი, რომელმაც დამშეული ადამიანივით არ მიეწაფოს ამდენ ხელუხლებელ სამუშაოს და რითიმე მაინც არ ისახელოს თავისი თავი ამგვარ, კაცობრიობისათვის სამსახურში?

რა საჭიროა, რა აუცილებელია ჩვენში ხეირიანი მიმართულება და გონიერი შრომა. რამდენი სარგებლობა შეუძლია მოუტანოს ჩვენს ქვეყანას რიგიანმა კაცმა და საფუძვლიანმა ხასიათმა! ფუ, ეხლამდელს ჩვენს

ფეტურო და უშინაარსო ინტელიგენციას. „Печально гляжу я на наше поколение". 25 მარტია. დღეს ახარა მთავარ ანგელოსმა ებრაელებს ქრისტეს განხორციელებაზე... როდის იქნება ჩვენც მოგვივიდეს საქართველოსათვის კეთილდღეობის წინათმაუწყებელი (ნამდვილი და აბა ზღაპრული) მთავარანგელოზი!....

29 მარტი 1874 წ.

ახალ-სენაკი

სულიერო და ესულო ბუნებავ, რა დაუდგრომელი რამა ხარ. ვის შეუძლია შენიშნოს შენი დაუსრულებელი სხვადასხვაგვარი მოძრაობა, შენი ცხოვრება! ვის შეუძლია ამ შენის, მონებით სავსე ქვეყანაში თვალყური ადევნოს შენს გასაკვირველ თამაშს. მე მგონი, რომ ვინც უნდა დიდი გენიისი იყოს მარტო ერთს მხარეს შენიშნავს შენში, ერთს შენს თვალის დახამხამებას. საზოგადოდ, შენი ცხოვრება ისე დიდია და ისეთნაირად სხვადასხვაგვარი, როგორც დიდია ზღვა — ოკეანე და იმისი ურიცხვი მოძრაობა და ტალღები. იქ, სადაც დღეს ყველაფერი მშვიდად არის, სადაც ცხოვრება ნელ-ნელა მიდის, კაცი და ყველა სულდგმული ხარობს, ჰავა დამშვიდებულია და ცა მოწმენდილი, — იქ, ამ აუხსნელი ბუნების მოძრაობით, ხვალ იცვლება სულ ყველაფერი, რაც რამ დედამიწის ზურგზეა. კაცთ-ნათესავი იტანჯება, მიწა იძვრის, ჰაერში ხოლერა და სხვა მომაკვდინებელი ავადმყოფობანი ვრცელდება. დღეს ეუყვარვართ ბუნებას, როგორც შვილი თავის მკვიდრ დედას, ხვალ შევძულდებით იმას, როგორც გერი დედი-ნაცვალსა. ზეგ სულ გაგვაგდებს ის თავისგან და გვიხდება საშინელ მტრად. მართლა, რა დაუდგრომელი რამ არის ეს ბუნება. „Ничто так не постоянно, как не постоянство" (ბერნე).

რამ უნდა ახსნას ბუნების ასეთი მოქმედება? ნუ თუ მართალია სპინოზას შეხედულება ცხოვრებაზე და კაცი მხოლოდ ტალღაა უსაზღვრო ოკეანეში! ნუ თუ ზნეობით მხარე კაცობრიობისა არაფრის ნიშანი არ იყოს კაცში! ნუ თუ ქრისტე, სოკრატი, კანტი და სხვა ამგვარი კაცები სულ ყველაფერში სტყუოდნენ?.. მაგრამ ჩემს თავში მოდიან გუნდ-გუნდად ნაირ-ნაირი ეჭვები და ვვარდები ჩემთვის სამწუხარო სტოიკობაში. არ მინდა ვილაპარაკო ამეებზე, მაგრამ რა ვქნა, რა ვუყო უნებლიედ მომდიან ეს კითხვები თავში და ითხოვენ ჩემგან პასუხს... Ах, разрешите мне жизни загадку... откуда приходит, куда уходит... кто там вверху над звездами живет!.. აი, აიხედე მაღლა, იმ ვარსკვლავებს იქით... ახ, რამდენი ვარსკვლავებია... ვარსკვლავები... მითხარი, რას ხედავთ, რას ფიქრობთ, რა ვართ ჩვენ ამ მსოფლიოში?!. ჰმ' ვინ იცის რა სული ქონდა ჰენრიხ ჰეინეს... რომელსა გაქვს გრძნობა საგრძნობლად იგრძნე!..

გუშინ დილას წამოვედი თბილისიდან და სალამოს ქუთაისში მოვედი. დღეს სალამომდის იქ ვიყავი. ვნახე ზოგიერთი ჩვენები და განსაკუთრებით

ნ... გული მიღონდება, სიმხნე მისუსტდება, როდესაც მე ამ ქალზე ველაპარაკობ. ყოველთვის, როდესაც მე ველაპარაკები იმას, ჩემში ორი საწინააღმდეგო გრძნობა ერთმანეთში ირევა, — სიხარული და [illegible] პირველი იმიტომ, რომ ჩემთვის ძვირფასი და გამოუთქმელი მეგობარია; მეორე იმიტომ, რომ იმას მოაკლდა იმისი ნახევარი და ჩემი სასურველი იდეალი. ეს ორი გრძნობა ირევა ერთიმეორეში, ებრძვის და როგორც საზოგადოდ, იმათი შინაური ბრძოლის რეზულტატად ყოველ შემთხვევაში რჩება მთელი მხრით, — ჩემი არსების — დაცემა და უძლურება.

სწორედ რომ ეს ნამდვილად მემართება. არ ვიცი რა უფრო დიდია ჩემში любовь или состраданье (ქართული სიტყვის უცოდინარობით ვწვალობ) к ея особе. Я люблю её и „сорок, тысяч братьев не полюбят её так как я люблю её“ (Шекспир). Люблю! понимаете ли это слово!—Это ненасытное, все уничтожающее желание, которое одолевает все проявления ума и сердца, желание которому „Мыслитель высоренный и мученник труда“ в роде Фауста, „Как подлый обольститель“ жертвует всем что для него когда-нибудь было свято и дорого. А разве любовь не свята?! Разве любовь не есть та же самая истина, та же самая религия, которую должны принять все живущие на земле люди?! К чему жизнь без любви? В этом нет жизни. Это пахнет мертвечиною. Природа дала человеку ум, сердце и волю. Умом должен познавать истину, сердцем любить, я волею выполняет все требования нашей духовной природы. Человек без любви равняется человеку без сердца и человек без сердца не вполне человек. Да, я человек, у меня есть сердце, и я люблю этим моим сердцем. В этом все мое счастье, вся радость моя. Я люблю ее... Неповоротливое и не опытное мое перо не в состоянии передать ничего такого, что бы приблизительно напоминало необыкновенной привязанности, которую я пытаю к ней.

Сегодня видел я её после месячной разлуки. Она изменилась, но изменилась к лучшему. Встреча наша оставила на мне необыкновенное приятное впечатление.

Не передам я на этой „глупой белой бумаге“ моих душевных движений, потому что мое сердце знает себя и на столько счастливо в самом себе, что не хочет дать отчета бездушной, безчувственной бумаге. В самом деле на бумагах пишут потому, чтобы запомнить что-нибудь, но ведь я никогда ни забуду ея живого, выразительного образа. К чему писать о ней! Ах, как она умна, как привлекательна и как (порою) наивна...

Я был у нея сегодня вместе с Захарием Ч-ли[91]. Там произошло одно чрезвычайное происшествие, которое вполне достойно быть

внесенным в мой дневник. Дело в том, что она желая подарить мне в знак памяти и дружеской любви заранее для меня приобретенной „порт-моне“, вынесла его тайно от меня и положила в карман пальто Ч-ли,[94] которое она приняла за мое пальто. Случилось, что Захарий почему то вышел впереднюю и посмотрел в карман своего пальто. Каково было его удивление—в его кармане новый „порт-моне“. Он с восторгом выносит его в зал торжественно говоря: откуда не возьмись в моем кармане новый „порт-моне“. Я не зная в чем дело, с свойственным мне любопытством бросился на него, выхватил у него порт-моне, осмотрел его и пресерьезно спрашивал что он заплатил, где купил и т. п. Он конечно мог догадаться в чем дело, но мне этого нельзя было, потому что думал, что Захарий шутит, строит своего рода мистификацию... Но больно ошибся... Только чрез несколько времени я догадался в чем было дело и страх смешанный с стыдом своей недогадливости объял мое существо. Но из затруднительного положения меня избавила она сама; спасибо ей!.. Но мне неприятно, тысячу раз неприятно, то что послужил причиною ея неудовольствий, хоть и минутных. Я готов лишить себя всех удовольствий лишь-бы доставить ей хоть малейшее удовольствие ей—душе души моей и богине моей... Ах! если б она слышала эти слова, как она бы разсердилась на меня, как она преданная одной только страсти—горю, прокляла бы меня в своей душе. Но что делать? Я люблю её, но,—клянусь честью—люблю искренной, святой и благородной любовью, и как вообще я и в этом случае чужд плодских каких либо страстей и наслаждений. Н—а, я люблю тебя, как друга души моей. Ты это хорошо знаешь моя дорогая приятельница...

Теперь я в Ново-Сенаках. Капризная и безалаберная природа, слепой случай забросили меня в уездный городишко, где для меня нет ничего дорогого и святого, кроме кружки молока. Одно только меня радует в настоящем случае, это воспоминание о некотором прошлом и надежды на будущее. Живу этими двумя вещами в природе, для меня ничего нет хорошего в настоящем...

30 მარტი. თორმეტისაათი
ცაიში

როდესაც კაცის მწუხარება მიაღწევს იმ ზომამდის, რომ თავის მწუხარებას გამოხატავს ტირილში და მწარე ცრემლებში, მაშინ ნუ ელით იმისაგან, რომ იმან რამდენადმე მაინც დაახლოებით შეგატყობინოთ თქვენ თავისი მწუხარება. არა! იმ შემთხვევაში ცრემლს გააქვს იმისაგან მწუხა-

რება, გრძნობა და ის რჩება უგრძნობელ, უსულო და ნაკლებ-ჭკუიანებად. ამაში მე თეორიით, ვარ დარწმუნებული, მაგრამ პრაქტიკაში ეს ფაქტმა დამარწმუნა. ერთი ფაქტი — გერასიმეს გარდაცვალება. დედა-ჩემის ავადმყოფობა!.. მე ჯერ თბილისშივე შევიტყვე დედის მძიმე ავადმყოფობა და მეტის-მეტად შევწუხდი. თავის დღეში არ დამავიწყდება მე, თუ როგორ შევიტყვე ჩემი ძვირფასი დედის ავადმყოფობა. ვიჯექით კლასში ფავორსკის[92] გაკვეთილზე. მოსამსახურემ შემომიტანა, სწორედ შუა გაკვეთილზე ტელეგრამა. ვიცოდი რომ ის დედაჩემზე[93] იქნებოდა და მე სანამ გავხსნიდი გავყვითლდი, შევშინდი და თავბრუ დამესხა. მაგრამ ტელეგრამაში ცუდი არა იყო რა გარდა იმისა, ქუთაისიდან ეპიფანე[94] მწერდა — დედა შენი სოფელში წაიყვანესო... პირველი წაკითხვით მე იმას ყურადღება არ მივაქციე, მაგრამ როდესაც დავფიქრდი, იმ აზრზე მოვედი, რომ ან მოკვდებოდა და ისე წაიღებდნენ, ან უიმედო მდგომარეობაში იყო და იმიტომ წაიყვანდნენ-მეთქი და როდესაც წარმომიდგა სახეში, რომ მე უდედო ვიყავი, როდესაც წარმომიდგა, რომ ჩემი საყვარელი მშობელი თავის დღეში მე არ მნახავს, მე იმის ლაპარაკს არ გავიგონებ, იმის სახეს ვერ შევხედავ, როდესაც შევხედე ჩემს თავს, როგორც ნახევრად ობოლს, თავი ვერ შევიკავე და ხმამაღლა ტირილით ვღვარე მწუხარების ცრემლი. ბევრი, ბევრი ვიტირე. ვიტირე მანამდის, სანამ გული არ ამომიჯერდა... მაგრამ იმ დღესვე შევიტყვე, რომ დედა-ჩემი ქუთაისიდან კარგად მყოფი წაუყვანიათ... ეხლა, მოვედი მე დღეს ჩემს სახლში და ღმერთო ჩემო, რა ვნახე... დედა-ჩემი არა ჰგავს ჩემს საყვარელ მშობელს, მას პირისახე დასივებია, სულ მთლად გამოცვლია და ცნობაც გაუჭირდა თავისი საყვარელი შვილისა. ღმერთო, ვამბობდი მე ჩემს გულში, რად მომიყვანე მე ასეთი მწუხარების მოწმად, და მწარედ, მწარედ ჩემს დაუფასებელ დედის გულზე კიდევ ვიტირე. „დედა — ვამბობდი მე ჩემს გულში, — შენ გენაცვალე მე, შენი შვილი, ხმა გამეც. მითხარ რაიმე, გამაბედნიერე“... და კარგა შორიდან გამოვიჯერე გული ტირილით კიდევ მეორე-ჯერ, კიდევ მესამე-ჯერ...

საწყალი მამა-ჩემი, იმას მე დიდ ხანს ხმა არ გავეცი... პირველი სიტყვა, რომელიც უთხარი მე იმას იყო როგორღაც მწყრალი ტონით... ნამტირალევი თვალით ვერ ვუცქირე მამას, რომელსაც ეკარგებოდა თავისი ნახევარი და თავისი საყვარელი შვილის დედა... ღმერთო, ღმერთო... რას სწუხს საწყალი დედა-ჩემი, როგორ გაუძლებს ამოდენა მწუხარებას ასეთი სუსტი აგებულების ქალი. ან მე როგორ ვიტან იმის მწუხარებას... ახ, რა მოუთმენელია და სამწუხარო ჩემი ეხლანდელი მდგომარეობა?!

ვზივარ ოთახში დედა-ჩემის წინ და ვწერ ჩემ დღიურს. 12 საათი შესრულდა და ზარებმაც შექმნეს რაკა-რუკი. ქრისტე აღსდგა — გვახარებენ.. ჩვენ, მწუხარე ჭირისუფლებს... მაგრამ ჩემი რა? Звучите для души смиренной душах, способной отвечать“ (ფაუსტი). რეკეთ ზარებო, თქვენს

ხმაში მე მესმის ჩემი დაუფასებელი და მოუბრუნებელი სიყმაწვილე, თავის სიხარულით და აღტაცებით, მომაგონეთ ის ნეტარი დრო, როდესაც მე ბედნიერი ვიყავი, როდესაც წითელი კვერცხი შეადგენდა იმდენ სიხარულს, რამდენსაც ეხლა ვერ შეადგენს ვინ იცის რა სიმდიდრე. ახ, რა დრო გაჭრა, რა დროება წავიდა. სიჭაბუკე, სიყმაწვილე! რა სჯობს ამ ორ ჰასაკს. აი უდარდელი ცხოვრება, აი თავისუფლება, აი მოძრაობა, სიცოცხლე... გავა სიყმაწვილე, თან გაჰყვება სიჭაბუკე და სრულ ჰასაკს მოსდევს დარდი, მწუხარება, ეჭვი, მონობა, სიკვდილი. რამდენად მიღირს, რომ ეხლა ამ ზარის ხმაში შემეძლოს მე იმ სასოების პოვნა, რომელსაც ვპოულობდი წინათ, ამის ფასი გამოუთქმელია. ახ, დიდო გოეტე, რა დიდი კაცი დაგვიხატე. რა კარგად გამოათქმევინე კაცობრიობას თავისი წადილი, თავისი ნდობა, რომელსაც ის ვერ სახავდა თავისი ენით. ფაუსტი, ეს კაცობრიობის წარმომადგენელი... ახ, „Колокола в полуночный час на пасху-ль святую означают"... დიახ, ხვალ აღდგომაა, ათასი და მილიონი გული ხარობს ამ წუთში. მესმის ჩვენს მინდორზე თამაში, გალობა, სიმღერა. მესმის პატარების სიხარული. ნეტავ, შემეძლოს მე მათთან ხტომა. ნეტავ შემეძლოს გავცვალო ამ დროით ჩემი ჭკუა. გრძნობა სოფლელთა ჭკუა-გონებაზე. ახ, რა კარგად ვიგალობებდი, რას ვეძახებდი, მე ეხლა ხომ არ შემიძლია გამოვთქვა ყველაფერი!

ოთხი საათი დილის, 30 — 31 მარტი

„Язык сердечной простоты".
Гете

ეს, ეს არის დავბრუნდი ეკლესიიდან. ათასი სხვადასხვაგვარი შთაბეჭდილებით არის სავსე ჩემი თავი და გული. თავით მე იქ მოვიგონე სოფლური ცხოვრება, იმათი რწმუნება და ჭკუა-გონება. გულით, მე იქ ვინეტარე რამდენიმე საათით მაინც. ოხ, სოფლური ცხოვრება, რუსსოს საყვარელი სამყოფი. რამდენი ხანია მე არ მინახავს ეს ცხოვრება და რა საყვარელი და ძვირფასი რამ არის ეს სოფლის ცხოვრება. ვინ იტყვის ამას. ვინ იცის რა ნეტარებაშია სოფლის კაცი თავის სახლეულებაში. ამის გამოცნობას შექსპირის გულთმისნობა უნდა; უბრალო მომაკვდავს, რომელსაც სოფელში არ უცხოვრნია, შეუძლია დაახლოებით მაინც წარმოიდგინოს ეს ნეტარება. დღეს, სოფლის კაცი თავიდან ფეხებამდის თავისუფალია. სარწმუნოება ათბობს იმის გულს, ჩვეულება ახალისებს. ყველა ეს პირობა იმგვარად ანეტარებს კაცს, რომ არც ერთი მეცელგამობერილი სომეხი ვაჭარი თავისი მილიონებით ვერ ინეტარებს ისე, როგორც უკაპეიკო სოფლის გლეხი...

რეკენ ჯერ კიდევ. წირვა ჯერ არ გათავებულა, მე გული არ მითმენს ისევ წავალ წირვაში, უკანასკნელად კიდევ ჩავდგები მათ შორის და კიდევ უფრო ახლო დავაცქერდები იმათ ცხოვრებას.

31 მარტი. აღდგომა

„Впечатления сменяются впечатлениями и зовут к жизни, боротся наслаждатся“...

Добролюбов.

ესეც აღდგომა, ესეც ხალხის მხიარულება და განცხრომა. რა ხელოვნურად და ეშმაკურად არის შემზადებული მცბიერ კაცთაგან ეს სარწმუნოება. თუ არ სარწმუნოება, სხვას არ შეუძლია ასე ყოველგვარად დაიპყროს ადამიანის მუდამ მოძრავი, ცვლადი და სხვადასხვაგვარი გრძნობ. სარწმუნოება თავისი წარმომადგენლის პირით ბრძანებს ერთს რასმე, ერთი რამე გავრცელდება ყველგან, საცა კი ადამიანს სუნთქვა შეუძლ. და კაცად-კაცადსა ჩვენგანსა ებეჭდება „გულის სიღრმეში“ — ეს სარწმუნოების ნაბრძანები. რა წარმატება ექნებოდა მეცხრამეტე საუკუნის სწავლას, რასაკვირველია ხალხში, რომ იმას სარწმუნოების ავტორიტეტ ჰქონდეს? მაშინ მალე ვნახავდით ძველი თაობისა და მისი კერპების დაბ ხობას!.. ახ, რამდენი ხალხი იყო დღეს ჩვენს მინდორზე... რამდენი ღარიბ. რომელთაც შეწევნა სჭირია, რამდენი ნიჭიერი ყმაწვილი, რომელთ სწავლა უნდა, რამდენი უსაქმო, რომელთაც საქმის შოვნა სჭირდება. ყველა ამათ შეწევნა უნდა... „Еще работы в жизни много“...

1 აპრილი. ორი საათი ნაშუალამევის

ცაიში

იტანჯვის ჩემი მშობელი დედა. საბრალო ჩვენები, დღე და ღამ თ. დასტრიალებენ ამ ჩვენი სოფლის სიცოცხლის მარილს. სწორედ დიდ ზნეობრივი და გავლენიანი ქალი იყო საწყალი დედა-ჩემი. ტყუილად კ. არ იძახდნენ გუშინ ეკლესიაში, რომ ჩვენ თურმე მარტო სუსა გვამშვენებ. დაო. ეხ, რა ბევრი კარგი თვისებები ჩამინერგა გულში ამ ძვირფასმა ადამიანმა — დედამ. ღვთის შიში, რომელსაც ის შობიდანვე მასწავლიდა, შეექნა ჩემში ზნეობის თესლად და კეთილის მოქმედება ხომ კეთილის მოქმ. დებადვე დარჩა. უნაკლულო არც ის არის, მაგრამ ამ შემთხვევაში განა მ. შემიძლია იმაზე ვილაპარაკო!.. როდესაც ჩვენ ვხედავთ ვისმეს დიდს გ. ჭირვებულს მდგომარეობაში, ჩვენ როგორღაც თავაზით უყურებთ იმ ნაკლოვანებებს და საზოგადოდ იმის ღირსებებზე ვამბობთ. ეს ჩვეულებ. ისეა კაცში ძირგადგმული, რომ კაცი ნამდვილ ღირსებებს ადიდებს. თანაგრძნობისაგან გადიდებული ღირსება თავისნაირი მითოლოგიით ხდ. ბა...

ჩვენები დაქანცულები დაეყარნენ იატაკზე, ლოგინზე. ზოგი მათგან ხვრინავს, ჩანს რომ ტკბილი ძილი აქვთ. ვინ არ იცის რა ტკბილია ძილ. როდესაც გინდა დაიძინო და ნებას არ გაძლევენ... წელან მეც წამეძინ. მაგრამ ერთი უეცრივ დაიყვირა დედამ და მე უცებ წამოვხტი და მას აქ. ფეხზე ვარ... არ ვიცი როგორი მომავალი ექნება იმის ავადმყოფობ. დღეს იყო დოქტორი და ამბობს ეხლა უკეთ ვხედავო, თუმცა-ღა ჩემ.

ფიქრით, მე იმას უკეთესად ვერ ვიცნობ ჯერ... დოქტორი ამბობს კან-ქვეშ წყალმანკი არისო (подкожная водянка) ახ, რა რიგ შესახედავია ეს საბრალო დედა-ჩემი, რაგვარად მიწუხდება გული, როდესაც მოვიგონებ ხმას უწინდელ პირის სახეს... ხვალ თუ მოვახერხე ვაპირებ წასვლას ქუთაისში იუხნოვიჩის[95] სანახავად, ესეც რომ არ იყოს უნდა წავიდე, ზეგ ხომ 3 აპრილია... არ ვიცი, ზნეობრივად ვერ ვსინჯავ ჩემს ეხლანდელ მოქმედებას, ცუდად იქნება ჩემი საქმე, ზნეწამხდრობა იქნება ჩემი ეხლანდელი წასვლა თუ არა?.. გულით მე მინდა 3 აპრილს ქუთაისში ვიყო, მაგრამ მამაშვილური ვალი ითხოვს ჩემს აქ დარჩენას. როგორ მოვიქცე? რა ვარჩიო? წავიდე თუ დავრჩე? — ეს მე ვიცი და ჩემმა გულმა (თითქო გული სხვა ვისმესი იყოსო იტყვი შენ, ოდესმე ამის წამკითხველო ცბიერად, ახ, რა ბოროტი ხარ, რა ბოროტი, რაა ყოველთვის არ იგველოთ, თქვე დალოცვილებო არ იქნება?)

ეხლა შენზე ვიტყვი ჩემო სულის მეფავ, ჩემო ძვირფასო მეგობარო! სადა ხარ ეხლა? ნუ თუ ვერ წარმოგიდგენია როგორს მწუხარებაშია შენი ძმა და მეგობარი. მე ვიცი შენი უბრალო, მაგრამ მიმხვდარი და დახელოვნებული გული... შენ არ შეიძლება არ გქონდეს წარმოდგენილი ჩემი მწუხარება, თუ გაქვს ჩემთან ერთი მეათედი იმ დამწველ დამდაგველ გრძნობებისა, რომელთაც მე ვგრძნობ შენზე, ჩემო კარგო მეგობარო... არ ვიცი როგორია შენი გრძნობები ჩემთან. ძლიერ მინდა შევიტყო, მაგრამ ამის მოხერხება შეუძლებელია. მშვიდობით, ჩემო ამ ქვეყნის კერპო და თაყვანსაცემო მეგობარო. მე შენს სიყვარულზე უფრო ნეტარება ვერ წარმომიდგენია ამ ჩემს სიცოცხლეში. შენისთანა უნდა იყოს ჩემი bien-aimée (მამლებმა იყივლეს, დედას მიეძინა).

3 აპრილი. ქუთაისის რკინიგზის სადგური[1]

როგორი კმაყოფილი ვარ ხანდახან ჩემი თავით, ხშირია ჩემს ცხოვრებაში, რომ მე რასაც მოვინდომებ წარმატებით ვასრულებ. ჩემი ძველებური ვარსკვლავი ეხლაც ხშირად მწყალობს. 3 აპრილს, როგორც არ უნდა ყოფილიყო, მინდოდა ქუთაისში ვყოფილიყავ და მართლაც ქუთაისში ვარ. ვისაც გსურს რაიმეს გაკეთება ძლიერ ნუ წვალობთ წინდაწინ, საჭირო არ არის შვიდჯერ გაზომვა, ანდაზასი არ იყოს, მოგვიდა თუ არა აზრი თავში, შემოსე შენი ხასიათის სიმაგრით და შეუდექით იმის შესრულებას. თუ შენ დაუწყე იმ აზრს გაზომვა და შელესვა, იცოდე ბევრს დაგწევს ის ფიქრები უკან. კაცი უნდა ნაპოლეონ პირველი იყო... Не смущатся ни причем, всегда и везде вперед... გახსოვდეს ყველას ეს ამერიკელების დევიზი.

---

[1] ეს დღიური შუაზე გაბეულია, ნახევის მეორე გვერდზე აწერია: „Этот полулисток—доказательство моего счастливого безумия“.. ქვეშაც მიწერილი აქვს: Великие характеры: Сократ, Аннибал, Наполеон I принимали яд.—ს. ბ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მე თანდათან უფრო კრძალვით ვუყურებ პატიოსან კაცებს. პატ-
სა ვცემ გაბრიელ ეპისკოპოსს, გოგებაშვილს, მიხას (ქიქოძ

10 აპრილი 1874 წ.

ქუთაისი

3 აპრილის შემდეგ მე კიდევ ვიყავი ჩემს მშობლებთან — ხუთ აპ-
რილს ღამით წამლებიანად. მე და მიხეილი შინ ვიყავით და ჩემდა სასიხა-
რულოდ დედა-ჩემი ცოტა უკეთ დამხვდა... შვიდ აპრილს მე აქ მოვედ
ისევ... რვას ვნახე ნინო, რომელიც ჩემი ტელეგრამის მიხედვით ჩამოვიდ
ყვირილიდან (მე ვაგზალზე დავხვდი ამ ჩემს დაუფასებელ მეგობარს)
ცხრას გამოვეთხოვე მას და დღეს რომ ათია თეატრიდან დაბრუნებულ
ორ საათზე, ღამით ვზივარ ზაქარიას[97] ოთახში და ვაბარებ ამ თეთრ ქა-
ღალდს ჩემს „განწირული სულის კვეთებას"...

თეატრში ხალხი ბევრი იყო მაგრამ არც ერთიც არ იყო... ყველას სახე-
ზე ვკითხულობდი როგორლაც ძაბუნ და ფუტურო სიცოცხლეს. ადგენდ-
ნენ ქართულ ენაზე „თილისმის ხანს" და „განა ბიძიამ ცილი შეერთო?"-ს
ვიღაც ბებურიშვილმა[98] წაიკითხა სცენები გურიის ცხოვრებიდან: „თი-
ლისმის ხანი" გვარიანად ითამაშეს, მაგრამ ყველაზე უფრო კარგი იყო
ბებურიშვილის გურული სცენები. იმან რომ თავისი სცენები დაბეჭდოს,
გოგოლის და სლეპცოვის[99] სურათებს არ ჩამოუვარდება. თეატრის შემდეგ
მე და ზ. მიხეილთან[100] წავედით, იქ ვახშამი ვჭამეთ და აქ ამოვედით.
ეხლა ის შუა ძილშია, მე მეძინება... მაგრამ არ შემიძლია ნ-ზე ლაპარაკ
თავი გავანებო, მინდა ვწერო ცოტა რაიმე თეატრის შთაბეჭდილებაზე...
მაგრამ...

24 აპრილი 1874 წ.

ცაიში

ამ წლის დამდეგს ვსჩიოდი, რომ წარსული წელი ჩემთვის უბედურ
წელიწადია-თქო. მაგრამ ეს წელი, საუბედუროდ, კიდევ უარესი შეიქნ
ამ ოთხ თვეში ისეთი ცვლილებები მოხდა ჩემს სიცოცხლეში, რომელსაც
საუკუნო გავლენა აქვს ჩემზე. დამითხოვეს სემინარიიდან. ეს არაფერ
მომიკვდა უუპატივცემულესი და უსაყვარლესი ჩემი მეგობარი, როგორ
იყო ესეც ავიტანე და ეხლა, ამ უკანასკნელ დროს, როდესაც მე უმისო
დაც დალვრემით და წყრომით შევცქეროდი ჩემს ვარსკვლავს და ჩემს სა-
ყმაწვილეში მოწყალე ილბალს, ეხლა ამ განწყობილების ხანაში მომიკვდ
ჩემი უსაყვარლესი დედა... რა უნდა უთხრა ან ვარსკვლავს, ან ილბალს,
ან ღმერთს, თუ სადმე არიან ესენი. რა მომივიდა ასეთი? რით განვარისხ
ანე უცებ ის, ღმერთი, რომელსაც სულგრძელად უწოდებენ, რომ ასეთ
შემთხვევები ზედი-ზედ მეწივნენ? სჩანს, თუ სადმე ღმერთია, ის მხოლოდ
სიტყვით ყოფილა სულგრძელი და საქმით კი არა. ასე რად მომიძულ
ჩემმ: ვარსკვლავმა... მაგრამ, საკვირველი არ არის ეს. ვარსკვლავისგან
გაკეთებული და გახარებული კაცი აბა ვის უნახავს, ვის გაუგონია? ვარს-

კვლავის, რომელიც ღამის სიბნელეში მშიშარა მელასავით რომ გამოყოფს თავს და ვერ გაუჩერდება რა ჩვენს მხედველობას, ისევ-ისე სწრაფად მიიმალება. ვისაც თავისთავი ვარსკვლავისათვის მიუნდვია, ვინც დამალულა ბულია ილბალზე ყოველთვის შიშით შეპყრობილია. ღამის არსება დღისით არ ვარგა. შემთხვევით გაკეთებული ბედნიერება უბედურების ღვიძლი ძმაა. გაანებეთ თავი, ნუ ეფერებით ამ მუხთალ ვარსკვლავს. ყველამ თავი მაღლა შეიმაგრეთ და პირდაპირი გზით უშიშრათ იარეთ. მშვიდობით ჩემო ვარსკვლავო, მშვიდობით... თავს ლაფიც კი დაგესხას...

მოკვდა ჩემი მშობელი დედა, რომელმაც ცხრა თვე მუცლით მატარა და ოცდაორი წელიწადი ვეცოდებოდი, ვუყვარდი და თავს შევლებოდა. მომიკვდა ჩემი საყვარელი მშობელი.

კაცმა ყველაფერს მტრულად და ზიზღით უნდა უყუროს ქვეყანაზე. გგონიათ, რომ ვისმე ებრალებოდე?.. ნუ იფიქრებ, არამცდა არამც გულში არ გაივლო. ყველაფერი თავისთავზე ზრუნავს, ყველას თავისი თავი უყვარს... ყველაფერი ეწინააღმდეგება შენს სიცოცხლეს. შენ მხოლოდ უნდა იზრუნო თავზე. თუ ისე მარჯვედ ხარ, რომ დასძლიე ცუდი გარშემოზღუდულობა, ხომ კარგი, თუ არა და ყველაფერი შენ დაგედევნება და შენზე იყრის ჯავრს. შენ ამ ყველაფრის სიცოცხლის მასალა ხარ, შენ, როგორც „შენ“ უნდა გაჰქრე...

აი გაჰქრა ჩვენს თვალწინ ერთი ფრიად შესანიშნავი და სიკეთისათვის გულმტკივანი ქალი, გაჰქრა იმიტომ, რომ იმას ყველაფერი უყვარდა, ყველაფერი ანგელოზად მიაჩნდა. მაგრამ ცრუ ანგელოზებმა და საძულელმა პირობებმა ამოართვეს იმას იმისი მოყვარე სული.

შემჩნევის ღირსია ისეთი ქალები, როგორიც დედა-ჩემი. ამას ყველაფერი უყვარდა ქვეყანაზე. ერთი ნამცეცა სიძულვილი, ერთი ნამცეცა ბოროტება რას ჰქვიან, იმას თავის დღეში არ ჰქონია და არ გამოუცდია. რა ნაირი სული ცხოვრობდა საცოდავ დედა-ჩემში, ღარიბი, საწყალი,დაჩაგრული, ყველა, ვინც კი იყო ბუნებისაგან გაუპატიოსნებული,—უყვარდა და ებრალებოდა ამ ქალს. იმისათვის სულს არ ზოგავდა, თავის უკანასკნელ ტანისამოსს გადასდებდა. იმას გარდა ის იყო მაღალ-ზნეობიანი და ღვთისნიერი ქალი. იმისი ზნეობითი გავლენა ძლიერ დიდია არამც თუ ჩვენში, არამედ მთელს ჩვენს მხარეშიც. ამას ყველა უნებლიეთ ამბობს და ერთი ლექსი ხალხში გამოთქმული ძლიერ საფუძვლიანად უწოდებდა მას „ქალების ეფისკოპოსად“.

მართალია, რომ მაღალზნეობიანი ქალი იყო დედა-ჩემი. იმისი ზნეობა, რასაკვირველია, როგორც საზოგადოდ ყველა ამგვარებისა, იყო დამყარებული სარწმუნოებაზე და ღმერთზე. ქრისტიანობას, მის დოღმატებსა და სწავლას შესწირა მან თავისი სიცოცხლე. ყოველ-დღე, ყოველ-ღამე ეს ქალი ლოცვაში, წირვაში და ცისკარში დადიოდა, თითქმის ზეპირად იცოდა ნახევარი და მუდამ საჭირო ლოცვანი. ამას გარდა იმის წყალობით ბევრმა

ისწავლა ჩვენში წერა-კითხვა და ბევრმაც მღვდლის ანაფორაც ჩაიცვა, რაც ამ დროებაში მეტად პატივცემულ და კულტურულ საქმედ ითვლებოდა. [illegible] საშინელი საყურებელი იყო, როდესაც იმისი გაზრდილები [illegible] და საწყალ დედას „ჩემო გამზრდელო ბატონოს" უწოდებდნენ.

რა გავაგრძელო,—გონებით, ზნეობით და საზოგადოებრივი მხარეებით დედა-ჩემს ტოლი არ ჰყავდა თავის საქმეში ამ ჩვენს მხარეში და იმისი სახელიც დიდხანს დარჩება უკვდავად ხალხის ბაგეში. მადლიერ შთამომავლობას ასე უცბად არ დაავიწყდება იმისი წმინდა სახელი.

მოკვდა დედა-ჩემი!.. თანდათან ეღება ბოლო ჩემს ბედნიერებას. იმ დროს, როდესაც მე ცოტათი ფეხი მოვიდგი და თვალები ამეხილა, იმ დროს როდესაც მინდოდა ცოტათი მაინც მესიამოვნა ჩემს ნაცნობ-ნათესავებთან, უკეთესნი ამათგანნი კვდებიან. ეს იმას ნიშნავს რომ ის რაღაცა, რომელსაც ღმერთს ეძახიან, შურიანი ყოფილა. არ ვიცი რამ გააჯავრა, მაგრამ მე დარწმუნებული ვარ, ღმერთი ვისმესაგან გაჯავრებულია ამ დროებით. ნეტავ ვიცოდე, ვის უნდა გაეჯავრებია ეს „უსულთუგრძელესი" ბებერი. ალბათ, კუვშინსკი ეტყოდა რასმე ქართველებზე და სწორედ ამიტომ, ამ საუკუნო ბებერმა ზურგი შემოგვაქცია და უკეთეს ჩვენგანს იტაცებს ამიერ სოფლიდან. სწორედ ამისათვის შემემთხვა ამდენი უბედურება ამ წელიწადში. მე არ ვხუმრობ კუვშინსკი უბრალო კაცად როდი მიმაჩნია. ის მხოლოდ კაცის მსგავსია, თორემ იმაში ან ეშმაკის სული უნდა იყოს ან ძაღლისა (ისიც მეძებრის). ვინ იცის ეგებ მიაგნო სადმე ღმერთს, რომელიც ბევრად არ განირჩევა მისგან, და უამბო, რომ საქართველოში „ნიგილიზმი" ჩდებაო. რა ვიცი პირობებმა იმგვარად დამაძაბუნეს სულიერად, რომ ეხლა ყველაფერს დავიჯერებ... ეღება ბოლო ჩემს ბედნიერებას, ეღება, ეღება, ეღება... კიდევ ეღება და სულ ეღება!...

ისევ მივდივარ ჩემს საყვარელ და მასთან საძულველ შეხედულებასთან —სტოიციზმთან. მაგრამ მე ეხლა ამ შეხედულებასთან სხვა გზით მივედი ვინემ წინეთ. ეხლა ბევრი, ბევრი ვეწვალე.

დედა დავკარგე სამუდამოდ, მისი მხოლოდ ხსოვნა დამრჩა ამიერიდან, რომელსაც ყველგან ვატარებ... მამაც უკმაყოფილოა ჩემი... სიმართლეც მის მხარეზეა... უნდა გავცილდე აქაურობას, უნდა გადვიკარგო შორს, თუმცა ჩემს ვარსკვლავსა და კუვშინსკისთან მოსაუბრე ღმერთს არ მივენდობი არასდროს. მე სხვა გზა უნდა ავირჩიო... მშობელი დედის სიყვარულიც მეყოფა. მამა კი, შეიძლება დღეს გულგრილია, მაგრამ მაინც არ დამწყევლის და ბოლოს, თუ მიზანს მივაღწიე, მის ლოცვასაც ხომ მივიღებ! მოთმინების ფარგლებში ეს დრო არც ისე შორს იქნება. დედა-ჩემს უყვარდა ხალხი და მეც უნდა შევიყვარო იგი, თუმცა სხვა გზითა და სხვა შინაარსით. ეს შინაარსი არა მგონია რომ უსარგებლო დარჩეს...

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შენიშვნები და კომენტარები

„ნანახი და განაგონი ილიას ცხოვრებიდან"

„ნანახი და განაგონი" მოგონებების კრებულია ილია ჭავჭავაძის ცხოვრებაზე და არა ბიოგრაფიული ნარკვევი. ის საბიოგრაფიო მასალებია საშახსოვრო წიგნაკებში სხვადასხვა დროს ჩაწერილი და დანაგროვი, ხოლო შემდეგ, 1908 წელს, ილიას გარდაცვალების წლისთავზე, ქუთაისში და ფოთში გამართულ საღამოებისათვის სპეციალურად ერთ მოხსენებად „მოქუჩავებული" და წაკითხული.

„მე აქ ილიას ცხოვრების არა ვწერ, — აღნიშნავს ავტორი. — არამედ ილიას ცხოვრების მასალას ვაქუნებ, რომელიც ან თვითონ ილიასაგან გამიგონია, ან მის თანამედროვეთაგან მსმენია, ან თვითონ ჩემის თვალით მინახავს და ამიტომ ჩემს ნანახსა და განაგონს ილიას ცხოვრებიდან მე აქ მხოლოდ ფაახლოებით, ქრონოლოგიურად, მაგრამ მაინც ესისტემოდ ვწერ... და თუ ჩემგან შეკრებილი წვრილმანებით მე თქვენ ილიას სურათი, ზოგიერთ შემთხვევაში მაინც, ნათლად დაგანახეთ, ჩვენს ვალს მოხდილად მივიჩნევ..."

ავტორის ეს განსაზღვრა ამ მოგონებებისა, გასახიარებელია. იგი არა თუ ბიოგრაფიაა ილიასი, სრულყოფილი მოგონებებიც კი არ არის მასზე. სამწუხაროდ, მასში მკითხველი ნათლად და მკაფიოდ ვერ დაინახავს ილიას როგორც პოეტს, ეპოქის საძაღლეზე მდგარ მწერალს, პროზაიკოსს და პუბლიცისტს, ეროვნულ განმათავისუფლებელი მოძრაობის მედროშეს და ეროვნული მთლიანობის მღაღადებელს. ი. მეუნარგიას განზრახული ჰქონია დაეწერა ცხოვრება ილიასი, აკაკისა, ნიკოლაძისა, გოგებაშვილის, სანდრო ყაზბეგისა და სხვათა. ამიტომ „მე ყოველს შეკრაზე, — აღნიშნავს იგი. — ილიას ეუყურებდი, როგორც მსხვერპლს „მეშტრის თვალით", და როცა იმისგან მოვდიოდი შინ, მის ნალაპარაკევს ვწერდი ჩემს საშახსოვრო წიგნებში". ცხადია, აქ გამჟღავნებულია, რომ მას ჰქონდა დიდი სურვილი ილიას ვრცელი ბიოგრაფიის დაწერისა; მაგრამ მისი პირადი ცხოვრება ისე წარიმართა, რომ მან ვერც ილიასი და ვერც სხვა აქ ჩამოთვლილ მის მეგობარ მწერალთა ცხოვრება ვერ აღწერა. მის „საშახსოვრო წიგნაკებში" დარჩა მხოლოდ ამ აღწერის დასამშვენებლად „მეშტრის თვალით" შეკრებილი წვრილმანები გაელილ ჟამთა მოსაგონებლად. სწორედ ამ საგულისხმო წვრილმანთაგან შემდგარა წინამდებარე მოგონებანი, რომლის გარშემო რამდენიმე ბიბლიოგრაფიული ცნობის მოყვანაც დაგვჭირდება.

ეს მოგონებები (ავტოგრაფი დაცულია ზუგდიდის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში), როგორც თვით ავტორი გვამცნევს ერთს მინაწერში, 1908 წ. წაკითხულ იქნა მოხსენებად ფოთსა და ქუთაისში გამართულ ილიას საღამოებზე. საღამოს ანგარიშები მოთავსდა იმდროინდელს სხვადასხვა ჟურნალ-გაზეთებში („საქართველო" № 8, 9, 11, „შუქი" № 1, „ალი" № 3), რომელთაგან თავისი პროვოკაციული გამოსვლით თავი ისახელა მენშევიკების გაზეთმა „ალმა". აშუქებდა რა პროვოკაციული მანერით მეუნარგიას რეფერატს „ალის" კორესპონდენტი, ასკვნიდა: „ბ. მეუნარგიამ თავის „ნახულში და გაგონილში" ილიას თითქმის მარტო უარყოფით მხარეებს მიაქცია ყურადღება და ამ გარემოებამ დიდი უკმაყოფილება გამოიწვია ღამსწრე საზოგადოებაში, რაც ბ. იონამ

ეროვნული ბიბლიოთეკა

თქვა. სხვა ვინმეს რომ ეთქვა. მგონია საქართველო[illegible] დაიყენებდნენ (ხაზი ჩვენია — ს. ც.). ბ. ითნას კი — არაფერი"...

ილია ჭავჭავაძის ამგვარი არამკითხე მოსარჩლეობა, გაზეთ „ალის" ფ[illegible]რებს, როგორც ჩანს, ჩვეულებად ჰქონიათ. მაგალითად, გაზეთის № [illegible]ბულია აგრეთვე კორესპონდენცია „ილიას სალამო ბაქოში". ამ სალამოზე მომხსენებ-ლად გამოყოფილ დ. ჯაფარიძეს წაუკითხავს რეფერატი ილიას შესახებ. გაზეთი ამ რეფე-რენტს შემდეგი სიტყვებით ამკობს: „მის გამოსვლას არ გამოსვლა სჯობდა... მან სთქვა: ილიამ ბევრი დასწერა გლეხების მდგომარეობაზე და მაგალითისათვის ძლივს მიგვითითა: აქ დადგმულ დრამაზე („ბატონი და ყმა" დადგმულა იმ სალამოს — ს. ც.)... ილია იმიტომ მიყვარს, რომ შამელიშვილიაო, უყვარს ჩვენი ერი და იფარავს მას გარეშე და შინაურ მტრებისაგან, განსაკუთრებით შინაურ დუხჭირ ადამიანებისაგან... ამ პო-ლიტიკურად დაუმწიფებელ ბალღებს გონიათ, ვინც მათგან გამართულ ილიას სალამოს დაესწრება, ის უსათუოდ მათი პარტიის წევრი ხდება..." და სხვა ამგვარები. ყველა ეს ააშკარავებს გაზეთის პოზიციას ილია ჭავჭავაძის გარშემო.

როგორც ჩანს, ილია ჭავჭავაძის გარშემო ამგვარი აქციოტაჟი დასახელებული ჯგუფის მიერ კარგა ხანს გაგრძელებულა. მსგავსი პროვოკაციული კორესპონდენციების წერას უკვე არ ჰქონდა შემთხვევითი ხასიათი, არამედ იგი სისტემად ქცეულა გარკვეულ პრესაში. მრავალთა შორის შეიძლება დავასახელოთ კიდევ ერთი ეპიზოდი, რომლის მთავარ გმირად დიდი ქართველი პოეტი ვაჟა-ფშაველა გაუხდიათ. ეს იმიტომ, რომ 1910 წ. ქუთაისში, ილიას ტრადიციულ სალამოზე ვაჟა-ფშაველას წაუკითხავს სპეცი-ალურად ამ სალამოსადმი მიძღვნილი ლექსი (იხ. „სახალხო გაზეთი" 1910 წ. № 149).

ამ სალამოს შესახებ ილიას „კეთილსმყოფელთა" ამ ბანაკის ორგანო გაზეთი „საქმე" (№ 84) მკითხველებს „აფხიზლებდა", რომ ამგვარი სალამოები ვითომდა ექსპლოატაციის საგნად აქციეს, ხალხს აბრიყვებენ, მოზარეულ იქცენონ და სხვა ამგვარები. და ერთ-ენერგიული იერიში ვაჟა-ფშაველაზეც იყო მიტანილი.

ვაჟა-ფშაველამ ამ კორესპონდენციას საკმაოდ დასაბუთებული და მკაცრი პასუხი გასცა (იხ. „სახალხო გაზეთი" № 151). გაზეთ „საქმესა" და მის უსაქმურ თანამშრომ-ლებს დიდი პოეტი მიმართავდა, რომ ეროვნული გრძნობა ქართველ ხალხში არასდროს არ ნაჭერება, ამ მხრით მათი მოქმედება ამაოა, რადგან ეს გრძნობა „მეოდამ იქსე-ჯანსაღი და არასოდეს იგი შოვინიზმად არ გადაქცევა"... ე. ი. ამგვარ-ჯერის პროვოკაციებს ეს ხალხი არ წამოეგება და თავის დიდ მოამაგეს ილია ჭავჭავ-ძეს არ შეიძულებს, ზურგს არ შეაქცევს და შეიძლება კი, — მიმართავდა ის „ეთი-კორესპონდენციების ავტორებს, — ქართველმა ხალხმა ბოლოს და ბოლოს ზურგი თქვენ-შეგაქციოთ ამგვარი ხრიკებისათვის... „თქვენ უფრო ის გიკლავთ გულს, — წერდა პო-ეტი, — ჩვენ ტრადიციად რომ გადავაქციეთ ამ ადამიანის (იგულისხმება ილია ჭავჭავ-ძე. — ს. ც.) ხსენება"... თქვენ გინდათ როგორც ხორციელად ავაზაკივით მოკვლა-ეგ-შარაგზაზე, იდეურადაც მოკვდარიყო. არ მოხდა ასე და რა გნებავთ? რა ღობე-ყორეს-ედებით? როგორ გინდათ მოსპოთ ის, რასაც თვით ცხოვრება, ბუნება არა სპობს?"... [illegible] ეი პოეტი ანვითარებდა აზრს, რომ საფაც არის ამ ბნელ ღამეს მალე დღე შეცვლის, რასაც ჩვენი ერისათვის მოაქვს სიკეთე და ბედნიერება და საკვირველია, თქვენ „რად გა-ბავრებათ ჩვენი ერის განთიადი?"...

ამგვარმა კორესპონდენციებმა მხცოვანი მოღვაწე, გამოჩენილი ქართველი პედაგო-გი, — ილია ჭავჭავაძის უდიდესი მეგობარი და თაყვანისმცემელი იაკობ გოგებაშვილი-ძლენად აღელვა და გააწწმატა, რომ მისთვის სრულიად უცნობ მოხსენებას, ამ კორეს-პონდენციების საფუძველზე დამყარებით, მეტად მკაცრი პასუხი გასცა. მან ჟურნ. „ს-ქართველოში" (1908. № 8. 11) ზედიზედ მოათავსა თავის ძველ მეგობარ ი. მეუნარგია-ადმი დიდი გულისწყრომით აღსავსე სტატიები: „ილიას მეორედ მოკვლის განზრახვა" და „მეუნარგიას ჭორები ილიას შესახებ". ი. გოგებაშვილს, რომ შემთხვევა ჰქონოდა ი. მეუნარგიას მიერ წაკითხული რეფერატის მოსმენის ან წაკითხვისა, მის ამგვარ აღშფო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოებას ადგილი არ დაურჩებოდა. ამას თვით ი. გოგებაშვილის შემდეგი სიტყვები [illegible] ტეულებს. „რუსეთისა და ევროპაში ჩვეულებად აქვთ — გამოჩენილი მწერლების შესახ[illegible] არ გამოაქვეყნონ მათი კერძო ცხოვრების ნაკლოვანებანი“... და იქვე მოყავს მთელი [illegible] უარყოფითი ფაქტებისა ისეთი დიდი ადამიანების კერძო ცხოვრებიდან, როგორიც [illegible] კრილოვი, პუშკინი, ლერმონტოვი, ბაირონი და სხვ.

ი. გოგებაშვილის ეს სიტყვები მისივე დებულების საწინააღმდეგოდ მეტყველებენ. მაშ, საიდან გაიგებდა იგი აქ ჩამოთვლილ გამოჩენილ ადამიანთა იმ უარყოფით მხარეებს, თუ კი ისინი გამოუქვეყნებელი და უცნობი იქნებოდნენ? და მეორედ, სწორედ მისგან აქ ლასახელებულ განათლებული ქვეყნების ლიტერატურული ტრადიციაა დიდი მწერლის ყოველი მხარის შესწავლა და გამოვლინება.

ი. გოგებაშვილი თვითონვე აღნიშნავს, რომ ილია ჭკვიანი და ღინჯი ადამიანი იყო, ბანქოში ფულს კი არ აგებდა, იგებდაო. ი. გოგებაშვილის ამგვარი კვალიფიკაცია, მეტის-მეტად ცუდია, ეს სწორედ არ უნდა ეკადროთ ისეთ დიდებულებოვან მოღვაწეს, როგორიც ილია იყო. ცნობილია, რომ ბანქოს თამაშში ყოველთვის იგებენ მხოლოდ შელერები. გოგებაშვილის მიერ ამ შემთხვევაში დაშვებული უნებლიე შეცდომა ჰფარავს ყველა იმ მონაპოვრს, რომელიც მას ცრეკორესპონდენტებმა მიაწოდეს.

ერთი კი ცხადია, ილიას ქაღალდის თამაში უყვარდა და იგებდა თუ არა, ეს არ ვისთვის იყო საინტერესო. მოგონებების ავტორიც მხოლოდ ამ ფაქტის აღმნუსხველია და ისიც წაგების მომენტისა. ი. მანსვეტაშვილმა (მოგონებანი. გვ. 86,143), კ. ფეხაზმა (ლიტ. შემკვიდრეობა“, გვ. 575), ე. თაყაიშვილმა („ლიტერატ. მატიანე“, 6) და სხვებმაც ხო[illegible] ეს ფაქტები აღნიშნეს თავიანთს მოგონებებში. ამით არაფერი ნირქი არ ეცხება ილიას, და არც მის მარავანდედს აკლდება რაიმე. უკეთ რომ ვთქვათ: ის ნამდვილი ადამიანი იყო და ყოველივე ადამიანური თვისება მისთვისაც ჩვეულებრივი იყო. გასული საუკუნის 70-იანი წლების საფრანგეთის მოწინავე ლიტერატურულ ტრადიციებს ზიარებულმა ფა[illegible] პერიზმისაგან შორს მდგარმა ი. მეუნარგიამ საქართველოში დანერგა ერთი სიმპატიური ტრადიცია — მწერალთა და გამოჩენილ მოღვაწეთა ცხოვრების აღწერა დეკეზით: „სა[illegible] ვარელი კაცისა ყველაფერი უნდა ვიცოდეთ“... და რასაკვირველია, რომ მისთვის და ყველა [illegible]ლა გონიერი ქართველისათვის საყვარელი ილიას ცხოვრებიდან ზოგიერთი წვრილმანი, მაგრამ მაინც ადამიანის დამახასიათებელი შტრიხები აღნიშნა თავის მოგონებებში? რა[illegible] შეეხება ი. მეუნარგიას ილიადასადმი განწყობილებას, ი. გოგებაშვილისებური კვალიფიკაციაა უმართებულო და გაუგებრობაზე იყო აგებული.

საყურადღებოა ამ მხრით ერთი ადგილი ნიკო ნიკოლაძის იმ ბარათიდან, რომელ[illegible] მას ი. მეუნარგიასათვის მიუწერია (1908 წ. 2 დეკემბერს) ამ შემთხვევისა გამო. წერილ[illegible]ში ლაპარაკია წინამღუბარე მოგონებებზე და ი. გოგებაშვილის სტატიებზე. „ბელ[illegible] გავსკდი, — წერს ნიკოლაძე. — გოგებაშვილის სტატია რომ წავიკითხე შენს წინააღ[illegible] დეგ. Мёртвые хоронят мёртвых! დაბეჭდე შენი ლექცია, არ დაბეჭდე, პასუხ[illegible] რომ კრიტიკის მეტი ბევრი სხვაც იყო ქვეყანაზეთქო. ნუ მიაყრეებ ამ საქმეს[illegible] ხომ იცი, მკვდრების ქვეყანაში ვეცხოვრობთ“... (იხ. ზუგდიდის მუზეუმის შრომები[illegible] I ტ. გვ. 206).

ნ. ნიკოლაძის ეს რჩევა ი. მეუნარგიას არ მიუღია. ი. გოგებაშვილის საპასუხოდ [illegible] არაფერი დაბეჭდია, არც დაუწერია. მხოლოდ მის ერთ-ერთ პატარა უბის წიგნაკში ფა[illegible]ქრით ჩაწერილია შემდეგი სიტყვები: „გოგებაშვილის ჭორები. გავუჩუმდი. გოგებაშვილის აგენტები შინ მყავს — ნემი მიშა, ჩემი ლილი და ყველა მასწავლებელი, ყველანი მიეხ[illegible] პატრიოტნი... მე მტყუანი, ის მართალი. ნამდვილად კი ეს ასე არ არის,, რა იყო[illegible] ნიკოლაძის წერილი, ნუ წაიკრუებო“... (წიგნაკი დაცულია ზუგდიდის მუზეუმში).

მეტად საგულისხმო და დამაფიქრებელია ეს ნაბერ-ნაბერი სიტყვები. მით უმეტეს, [illegible]ის უბის წიგნაკშია ჩაწერილი დაუმთავრებელ და უპასუხო კითხვებად. არც შემდეგ [illegible] გამართულა ეს სტრიქონები. ცხადია, ნაზი გრძნობისა და ფაქიზი განწყობილების მქონე [illegible] ი. მეუნარგიას, რომელიც მუდამ გაურბოდა ადამიანისა და მით უფრო მეგობრის წყენა[illegible]

ემძიმა გოგებაშვილისათვის პასუხის გაცემა, იმიტომ კი არა, რომ არ შეეძლო, [illegible] ეტად ძნელი გადასალახავი მიზეზი გადაეღობა წინ.

ამ მიზეზს ის შემდეგ სიტყვებშ› გადმოგვცემს: „გოგებაშვილის აგენტ[illegible] ჩემი მიშა, ჩემი ლილი და ყველა მასწავლებელი". მიშა და ლილი მის [illegible] შვილები[1] იყვნენ. და ვინ იცის, თუ რამდენი ასეთი საყვარელი შვილები იზრდებოდა მაშინ ი. გოგებაშვილის „დედაენასა" და „ბუნების კარზე," რამდენი მოსწავლე და მასწავლებელი შესტრფოდა მის დიდ ღვაწლსა და მშობლიურ ზრუნვას სამშობლოსათვის სასარგებლო მომავალი თაობის აღზრდისათვის.

ი. მეუნარგიას, ფაქიზ ადამიანსა და პატრიოტ მოღვაწეს, ვინც ახლოს გასცნობია, ის ღრმად დარწმუნდება თუ რა იყო მიზეზი ასეთი თავშეკავებისა, რომელიც შინაგანად უთუოდ იყო მწვავე და ტრაგიკული. უმართებულო თავდასხმით გამოწვეული განცდების ეს სიმწვავე მან ახალი თაობისადმი რწმენისა და ი. გოგებაშვილის სახელისათვის პატივისცემის გრძნობით თავის გულში დააცხრო და დაფერფლა. უფრო მეტიც. მან ამდენი კეთილშობილება და სულგრძელობა აღმოაჩინა, რომ ამ უსიამოვნო შემთხვევის შემდეგაც არ შეუნელებია ღიდ ქართველ პედაგოგისადმი პატივისცემა. 1913 წელს მის მიერ დაწერილ გ. ქორაჯიის (ქალადიდელის) ბიოგრაფიაში ის აღნიშნავდა, რომ „მახსოვს პირველად" ვინც სახელმძღვანელოებში მოათავსა და ორმოცი წლის განმავლობაში ჩვენს ბავშვებს ასწავლა და ახეპირა, ქალადიღელის სახელიც მან შექმნა ჩვენს სახოგადოებაშიო. ეს სასიამოვნო ეპიტეტი მაშინ უკვე გარდაცვლილ (1912) ი. გოგებაშვილს ეკუთვნოდა.

ამ უმართებულო ბრალდებიდან მოგონებების ავტორს მაინც უცდია თავისთავის ერთგვარი რეაბილიტაცია მით, რომ თბილისში, უახლოეს მეგობართა და ილიას პატივისმცემელთა წრეში, საღაც ი. გოგებაშვილიც ყოფილა მოწვეული (მაგრამ არ დასწრებია), წაუკითხავს ეს თავისი მოგონებები. დამსწრეებს ავტორისათვის ასეთი დასკვნა მიუცია: „ცოცხალი ილია წინ დაგვიყენეო". შემდეგ ეს მოგონებები თავაზიან ავტორისათვის უთხოვია ილია ჭავჭავაძის თხზულებათა გამომცემელ მიხ. გედევანიშვილისა, როგორც საინტერესო მასალა, ილიას ბიოგრაფიისათვის (იხ. ი. მეუნარგია, „ილია ჭავჭავაძე", ზუგდიდის მუზეუმის გამოცემა, 1937 წ., გვ. 13, 62).

როგორც ირკვევა, ი. გოგებაშვილს, როცა ის საქმის ნამდვილ ვითარებას გასცნობია, თავისი მოზაკია შეუცვლია ი. მეუნარგიასადმი. ქურნ. „საქართველოს" № 9-ში ან მოათავსა პირველი სტატია „ილიას მეორედ მოკვლის წაკითხვა", რომელსაც ქვეშ მიწერილი აქვს: „გაგრძელება იქნება", ხოლო იმავე ჟურნალის № 11-ში „მეუნარგიას ეორები ილიას შესახებ", რაც შეიძლება პირველი სტატიის გაგრძელებად ჩაითვალოს. [illegible]ვგრამ საქმე ის არის, რომ ამ სტატიასაც მიწერილი აქვს ეს „გაგრძელება იქნება" და სტატიაც ინგვარი დაპირებით მთავრდება: „ჩვენ წმინდა მოვალეობად ვთვლით ყველა ეორი მეუნარგიასი ცალკე განვიხილოთ და მისი სიცრუე მკითხველ საზოგადოებას გავუ[illegible]ალისწინოთო"... მაგრამ ეს გაგრძელება, საცა ეორები სათანადოდ უნდა ყოფილიყო [illegible]ერეული, არსად ჩანს: ის ავტორს არ გაუგრძელებია. სტატიის სათაური-კი „ი. მეუნარ[illegible]ას ეორები"... გაუმართლებელი დარჩა, რადგან სტატიაში მხოლოდ ერთ ეორზე [illegible]ალაპარაკი და არა ე ო რ ე ბ ზ ე. ჩანს ავტორს უკვე შეუგრძნია ამ საკითხზე თავისი ზედმეტი სიცხარე და არაკეთილსინდისიერი კორესპონდენტის მონაეორის გაზვიადება ეს სტატიის გაგრძელება საჭიროდ არ ჩაუთვლია. უფრო მეტიც, ი. გოგებაშვილი, დარწმუნებულა რა ი. მეუნარგიას გულწრფელობასა და სიმართლეში, თავისი გულისწყრომა და დამოკიდებულება მისდამი შეუცვლია. იგი კვლავ მეგობრულად მოკიდებია მას. [illegible]ის მაგალითად შეიძლება დავასახელოთ 1911 წელს დაწერილი მისი მოგონება. „ქარ-

---

[1] მიშა (მიხეილ) ერთადერთი ვაჟი ი. მეუნარგიასი უმაღლესი. განათლება მიღებული და განსაკუთრებული ნიჭით დაჯილდოებული, ზღვაში ბანაობის დროს დაიღუპა 1922 წელს, 23 ნლისა: ლილი (ელისაბედ) უკვე სამწერლო ასპარეზზე გამოსული პოეტი ქალი გარდაიცვალა იმავე 1922 წ. 21 წლის ასაკში.

ველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ დაარსებაზე. ამ მოგონებაში ის ი. მეუნარგიას შესახებ აღნიშნავს, რომ წ/კ გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობამ „მდივნად ამოირჩია ბ-ნი იონა მეუნარგია, რომელიც მეგრული სიცოცხლეს და სიმარჯვით აწარმოებდა ამ თანამდებობას. სხვათა შორის მისი თაოსნობით დაარსდა „წერა-კითხვის საზოგადოების საუკეთესო დარგი—ბიბლიოთეკა და მუზეუმი“ (იხ. ჟურნ. „განათლება“ № 2, 1911 წ.).

ი. მეუნარგიას მოგონებები პირველად გამოქვეყნდა 1937 წელს ჟურნ. „ძნათობში“ (№ 5—6). იმავე წელსვე გამოიცა ცალკე ბროშურად (იხ. იონა მეუნარგია „ნანახი და განაგონი ილიას ცხოვრებიდან“. სოლ. ცაიშვილის რედაქციით და შენიშვნებით. ზუგდიდის მუზეუმი. თბილისი. 1937 წ.). 1944 წ. შევიდა საბლიტგამის მიერ გამოცემულ ი. მეუნარგიას „ქართველი მწერლების“ II წიგნში.

დასახელებული მოგონების შევსების მიზნით და ილია ჭავჭავაძეზე ი. მეუნარგიას შეხედულებათა და მისდამი განწყობის გასაცნობად აქვე მოგვყავს ი. მეუნარგიას სიტყვა ილიას დაკრძალვაზე წარმოთქმული:

„დაუვიწყარო მამულის-შვილო, ილიავ! შენი ჭირისუფალი განა მარტო ეს, აქ მოზღვავებული საზოგადოებაა, რომელიც სამი დღეა შენს ცხედარს გარს ახვევია?

არა, შენი ჭირისუფალი მთელი შენი სატრფო ქვეყანაა, სამშობლო — კახეთიდან დაწყებული შავ-ზღვამდის, ამ ქვეყანაში ყველას ეგონა, შენი ნაწერების სიტკბოება და ყველა სასოებით და სიამაყით იხსენიებს შენს სახელს, ოჯახი სად დარჩა ამ ქვეყანაში, საცა ბავშვს შენი „აყვავებულა მდელო“ არ ეკითხოს და მოზრდილს „მკრთალი ნათელი“ და „ჩემო კარგო ქვეყანა“ არ ემღეროს?

შენის ქმნილებით დამტკბარმა, შენის მოკვლით გულჩამწარებულმა საქართველოს შორებელმა ქალაქმა ფოთმა დაფნითა და ყვავილით შეამკო ცხედარი შენი და უკანასკნელი სალამი გიძღვნა შენ, დაუვიწყარო ილიავ, შენ, რომლისა მარჯვენის ქმნილებამ აღზარდა რაზმი საქართველოს მოზარდთა თაობათა და მწერალთა. შენ, რომელმაც „კაცია-ადამიანი“? სთქვი, „გლახის ნაამბობი“ გვიამბე, „თავდადებული“ შეგვაყვარე და „ნაოჭის მსგავსად შეკრული“ შუბლი განდეგილისა ხელოვნურად დაგვიხატე.

შენ რომ ფეხი შემოდგი მწერლობაში, სთქვი „მამულო საყვარელო, შენ როსლა აყვავდებიო“ და მთელი შენი სიცოცხლე ამ მამულის აყვავებას ამსახურე და მამულის შვილების გულში აღაგზნე ყოველგვარი კეთილი აზრი და გრძნობა.

დღეს ყოველი ქართველი, თვით შენი მტერიც, შენი შეგირდია, ნეტავ გაგეგონა ის ძლიერი ღაღადი ჩვენის მწერლობისა, რომელიც ასტეხა შენმა მკვლელობამ, რომ დამტკბარიყავი იმ აზრით, რომ სამწერლო მემკვიდრეობა შენგან დატოვებული არც ისე მჩატეა, როგორც მტერს ჰგონია.

შენ გვასწავლე ქართული ენა. შენ არ შეჰქმენ უკანასკნელად „სულთა სწრაფვა“, „თვალთა ხედვის ისარი“? შენ შეგვაყვარე მამული და გვაჩვენე როგორ უნდა სამშობლოს მტერთან ბრძოლა. „დიდმუხასთან პატარა

ია რომ ჰყვაოდეს, ვის რა უნდაო", გააგონე შენ მამულის მტრებს: სამეგრელოს ჩამოშორება რომ მოინდომეს საქართველოდან, შენ სამეგრელოში მოდი, ნახე და სთქვი: „სამეგრელოში მოვედი და საქართველო ვნახეო" და მედგრად გამოესარჩლე დაჩაგრულ სამეგრელოს.

და აწ შენ დაგვშორდი, დაგვტოვე იმ დროს, როცა თვით მამულის წმიდათა წმიდას შეეხო განუსჯელი თაობა და როცა შენს წინასწარმეტყველურს სიტყვას შეეძლო ეს თაობა გონს მოეყვანა.

ვინ იცის, ეგებ შეიძლებოდეს კაცს კაცობრიობა უყვარდეს მამულზე უფრო, მაგრამ მამული რომ არ უყვარდეს კაცს, სამშობლო ენა არა სწამდეს. ამისი სმენაც კი ეჩოთირება ჩვენს ყურს, რომელშიაც შენ ორმოცი წელიწადი სულ სხვას ჩაგვძახოდი: ჩიტს თავისი ბუდე უყვარს, ნადირს თავისი კლდე და სორო, მთელ განათლებულ ქვეყანას თავისი მხარე და ენა და მხოლოდ ჩვენში გამოჰტყვრა პირველად ეს დაუჯერებელი „ენა რა არის, მამული რას გვიქვიანო".

ვიმედოვნებთ, მოძღვარო, რომ ეს შეცდომა წარმავალია, რომ ჩვენნი ძმანი და შვილნი, ვითარცა, უძღები შვილნი, დაუბრუნდებიან სამშობლოს და მამული კვალად დარჩება ყველასათვის საუკუნო თაყვანსაცემად ისე, როგორც საუკუნო არის იდეალები სიმართლისა, სიკეთისა და სიმშვენიერისა, რომელთაც შენ მსახურებდი.

მშვიდობით, ჩვენო ენის კანონმდებელო, დიდო მამულის შვილო.

(იხ. კრებული, „ილიას სიკვდილი და დასაფლავება", გვ. 194—5)

ამ კრებულში მოვაქცევთ ილია ჭავჭავაძის პოემა „განდეგილის" გარჩევა, რომელიც ავტორს თავის დროზე დაუბეჭდავს დავით ერისთავის გაზეთ „კავკაზში", 1883 წ. № 53-ში სათაურით: „Отшельник" поэма кн. И. Г. Чавчавадзе". როგორც წინასიტყვაშიც გვქონდა აღნიშნული იგი პირველი სიტყვა იყო ამ პოემის შესახებ, რომელიც, პირველად გამოქვეყნდა იმავე წლის ეურნ. „ივერიაში" (№ 2).

„სამახსოვრო ფურცლები აკაკის შესახებ"

როგორც აღნიშნული გვქონდა, ი. მეუნარგიას დიდი სურვილი ჰქონია დაწერა ცხოვრება აკაკი წერეთლისა. ამ სურვილს ის ორჯერ ოფიციალურად ამჟღავნებს ილიაზე დაწერილ მოგონებებსა და დავით ერისთავის ბიოგრაფიაში, ხოლო არაოფიციალურად, თავის სამახსოვრო წიგნაკებში, რომლის კაბადონებზე აკაკის ყოველი სიტყვა მიღებულია ობოლ მარგალიტებად, ადამიანის აზრის ძვირფას სამკაულად და დაეკეთებინა მახეილად, ხოლო თვით აკაკი მიჩნეულია საქართველოს პუშკინად და ჰეინედ.

ი. მეუნარგიას აკაკისთან მჭიდრო ურთიერთობა და მეგობრული განწყობილება ჰქონდა. ის თავის თანამედროვე მწერალთა შორის აკაკის განსაკუთრებულ პატივსცემდა. მისი ნიჭისა და ენამახვილობის უსაზღვრო პატივისმცემელი იყო. მის სამახსოვრო წიგნაკებში ყველაზე მეტი ადგილი აკაკის ცხოვრების ანალებს, მის მოსწრებულ სიტყვებსა და ნაკვესებს უჭირავს. ამას თვით იონა აღნიშნავს თავისებური ფიგურალური გამოთქმით: „ჩემი სამახსოვრო წიგნი შეუბრალებელმა აკაკიმ როგორ დაამსგავსა, ჯიხვის წყალობით სულდგმულსო". მართლაც ის დიდი სიყვარულითა და სიამოვნებით იწერდა ძავის უბის წიგნაკში აკაკის იმ მწარე ნაკვესებსაც-კი, რომლებიც თვით ამ უბის წიგნაკების მფლობელის დაცინვას გამოხატავდნენ. მაგ. — „იონა ჩამოსვ-

ლა ქალაქში,— რომელ გენერალს ჩამოჰყვა თუ იცით,—ჰკითხა დავით ერისთავს აკაკიმ, რომელიც გენერლების ადიუტანტს ეძახდა ი. მეუნარგიას, გრ. ორბელიანსა და გრ. დადიანთან მეგობრობისა და მათი ბიოგრაფიების დაწერის გამო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყველაფერი ეს და სხვა ხასიათის ცნობები აკაკის საბიოგრაფიო მასალად ეკუთვნოდა, რომ შემდგომ დიდი პოეტის ცხოვრების ღირსეული აღწერა დაწერილიყო. ეს კეთილი განზრახვა ი. მეუნარგიას განუხორციელებელი დარჩა. სამაგიეროდ მისგან დაგროვილი მასალიდან დაგვრჩა აკაკის ნაკვესებად ცნობილი თავანკარ ენამახვილობათა კრებულები (იხ. „ნაკვესები", 1887 წ., „ივერიის" გამოცემა, „აკაკის ნაკვესები", 1895 წ. თ. სახოკიას გამ., „ნაკვესები", 1938 წ. ჩვენი გამოც. და „აკაკის ნაკვესები" 1940 წ. გამ.) და ფოთში გამართულ აკაკის საიუბილეო საღამოზე წაკითხული რეფერატი.

საბუნებაროდ, ამ რეფერატს მთლიანი სახით ჩვენამდე არ მოუღწევია. ზუგდიდის მუზეუმში დაცულ იონა მეუნარგიას არქივში შემონახულია მხოლოდ მისი რამდენიმე გვერდი, რომელიც პირველად ჟურნ. „ლიტერატურის მატიანეში" (№ 3—4) გამოვაქვეყნეთ შემორჩენილი გვერდების პაგინაციის ჩვენებით. ამ შემთხვევაშიც ასე ვიქცევით.

ავტორს თავისი რეფერატის მე-9, მე-10 გვერდებზე ჩაურთავს ის კითხვებიც, რომელთაც საძოცდაათიანი წლების პარიზელ ოჯახთა ალბომებში იპოვიდა სტუმარი. სურდა თუ არა, სტუმარს მაინც უნდა ესიამოვნებინა მასპინძლისათვის ამ კითხვების გაპასუხებით, რაც ერთგვარი თავის შექცევაც იყო და ხეაშიადის ზოგიერთი მომენტის გამომჟღავნებაც.

ქართველ მწერალთა მემატიანეს ეს წესი საქართველოშიც გადმოსულა. . მაგრამ არა მარტო მოწყენილობის დროს გასართობად, არამედ თავისი მიზნებისათვის — მწერალთა ცხოვრებისა და მოღვაწეობის ზოგიერთ წერილებთა ასაკრეფად. აღნიშნულ კითხვარიდან, რომელსაც ფრანგულად „Jeu des rèponses" ეწოდება, ამოკრეფილია მხოლოდ იმგვარი კითხვები, რომელთა გაპასუხებით მწერლის განწყობილებებისა და მისი ცხოვრების ზოგიერთი საინტერესო მომენტის გამოვლინება ხერხდებოდა. ამ გაპასუხების ავტორი ხანდახან აღსარების თქმასაც კი უწოდებდა (იხ. მამია გურიელის ბიოგრაფია). აქ მოყვანილი კითხვები დაწერილია იონა მეუნარგიას ხელით, ხოლო პასუხები მიწერილია აკაკის მიერ. თუ რომელ წელს მოხდა ეს „პასუხებით შექცევა" აკაკისა, ცნობილი არაა. იგი დაუთარიღებელია.

გრიგოლ ორბელიანი

მასალა იბეჭდება გაზეთ „ეროვაში" (1883 წ. № 61, 65, 66) მოთავსებული ტექსტის მიხედვით. მისი ავტოგრაფები დაცული არ არის. გაზეთში მას სათაურად აქვს „გრიგოლ ორბელიანის სიკვდილი და დასაფლავება". ავტორი, რომელიც ჯერ კიდევ პოეტის სიცოცხლეში შეუდგა გრ. ორბელიანის საბიოგრაფიო მასალების ძიებას, პირველად ამ წერილით იწყებდა პოეტის ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე ნარკვევების გამოქვეყნებას, თუმცა ისიც საგულისხმოა, რომ იგი დაწერილია სახელდახელოდ, პოეტის გარდაცვალების დღესვე და გამოქვეყნებულია მომდევნო დღეების გაზეთის ნომრებში. როგორც საგაზეთო წერილში, ავტორს აქვე ჰქონდა მოყვანილი გრ. ორბელიანის ამ გრანდიოზულ დაკრძალვაზე სხვადასხვა პირთაგან წარმოთქმული სიტყვები. მათ შორის ორი დიდებული ქართველი მგოსნის ილია ჭავჭავაძის და აკაკი წერეთლისა. ჩვენ ეს ორი სასიქადულო მწერლის სიტყვები ამავე ავტორის ნაწერების I ტომის კომენტარების სათანადო ადგილას მოვაქციეთ (იხ. გვ. 455—58), ხოლო სხვა სიტყვებიდან ზოგიერთი ამ წერილის კომენტარში შევიდა. ამ წერილის მთლიანად აქ შემოტანა საჭიროა იმ მხრივაც, რომ იგი ზოგ საინტერესო მასალასა და ცნობებს შეიცავს გრ. ორბელიანის ცხოვრებისა და შემოქმედების შესასწავლად. ამავე დროს თანამედროვე მკითხველს ნათლად და სრე-

ლი სახით წარმოუდგება იმდროინდელი საზოგადოების თითქმის ყველა ფენის პატივ-ცემა, სიყვარული და დამოკიდებულება გრ. ორბელიანისადმი, როგორც პოეტისა და ქალაქისადმი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პოეტისადმი საზოგადოებრივი პატივისცემა გაზეთის ფურცლებზე რამდენიმე თვის განმავლობაში თანმიმდევრულად შეუქდებოდა. გარდაცვალების პირველ დღეებში „ტ.“ დაწვრილებით აცნობდა საზოგადოებას დიდებული პოეტის ცხედრის გამოსვენების ცერემონიალსა და დაკრძალვის წესებს, რომელიც 25 მარტს უნდა მომხდარიყო. გაზეთის ამავე ნომერში მოყვანილია აგრეთვე პოეტის გარდაცვალებასთან დაკავშირებით მიღებული ზოგიერთი დეპეშები, რომელთაც საზოგადოებრივი მნიშვნელობა მქონდა. ასეთ დეპეშათა რიცხვს ეკუთვნის დეპეშები: ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლისა, რომელშიც ნათქვამი იყო: „უზომოდ ვმწუხარებთ ძვირფასის[1] გრიგოლ დიმიტრის-ძე ორბელიანის გარდაცვალებას. მწარედ ვგლოვობთ მის დაკარგვას. გთხოვთ მიიღოთ ეს გულითადი მწუხარება ჩვენი“.

გაზეთი „შრომის“ რედაქტორი დ ი მ ი ტ რ ი ლ ა ლ ი ა ნ ი თავის დეპეშაში წერდა: „რედაქცია და თანამშრომელნი გაზეთი „შრომისა“ აცხადებენ თვის ულრმეს მწუხარებას უხუცესი და უსაყვარლესი პოეტის, გრიგოლ ორბელიანის გარდაცვალების გამო“.

„ქართველ ქალთა „ქართული ბიბლიოთეკა“-ს დეპეშაში ნათქვამი იყო: „რედაქციისა საქალებო ჟურნალისა—„ქართული ბიბლიოთეკა“ გულითადად სწუხს უძვირფასესი პოეტის გარდაცვალებას. გრიგოლ ორბელიანის ხსენება უკუნითი-უკუნისამდე ამოიფხერება ქართველთა გულიდან“.

ახალციხის მცხოვრებთაგან გამოგზავნილი დეპეშა იუწყებოდა: „განუსაზღვრელი მწუხარებით მიუგებენით ჩვენ, ახალციხეს მცხოვრებ ქართველებმა ჩვენი უდიდესი პოეტის გრიგოლ ორბელიანის გარდაცვალების ამბავს. მწუხარება თქვენი, თავადო, საერთოდ ჩვენი მწუხარებაცაა.—ნიკოლოზ ალექსეევ-მესხიევი, ოლგა და ბარბარე ალექსეევ-მესხიევისა, ელისაბედ ყაზბეგისა, გრიგოლ თარხნიშვილი, მიხეილ ხერხეულიძე, ნესტორ კანდელაკი, კონსტანტინე მეფისაშვილი, გოპაძე, გოპაძე, გოპაძე, კ-ნა ჩიტოვანისა, მშვიდლიშვილი, ოლგა მშვიდლიშვილისა, თ. ჩიტოვანი, პეპეყიანშვილი, მიხანდარი, სულხანოვი“.

ამის შემდეგ გაზეთი იუწყებოდა, რომ „ამზადება დიდია დასაფლავების დღისათვის. თბილისის თავად-აზნაურობა, სამხედრო უწყება, „წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება“, თბილისის სათავადაზნაურო სკოლა, რედაქციები: „ივერიისა“, „შრომისა,“ „დროების“, სახელოსნო სკოლა, საქალებო გიმნაზია და სხვა სასწავლებლები ამზადებენ გვირგვინებს სხვადასხვა გვარის ზეწარწერით. სტამბები, რომლებშიაც იბეჭდებოდა განსვენებულის ლექსები იმ დღეს დახურული იქნება. მესტამბეებიც ამზადებენ მშვენიერ გვირგვინებს.

საფლავზე წარმოთქმული იქნება რამოდენიმე სიტყვა.

განსვენებულის კაბინეტი და ბიბლიოთეკა აბეჭდეს იმ დღესვე, რა დღესაც მოხდება. გუშინ სასამართლოს ბოქაულმა გახსნა ეს კაბინეტი და უწყებაში მოიყვანა განსვენებულის ქალალდები და ქონება, როგორც ისმის ანდერძი ჯერ არა უპოვიათ“ („დროება“, 1883 წ., № 63).

„დროების“ მომდევნო ნომრებში დღიურის სახით ქვეყნდება მრავალი სამძიმრის დეპეშა როგორც ქართველ საზოგადოებისადმი, ისე პოეტის ნათესავებისადმი, რომელთა შორის აღსანიშნავია: დეპეშა ქუთაისიდან 26 მარტს გიორგი ორბელიანისადმი:

„თავად-აზნაურთ ქუთაისის გუბერნიისა, ყველა უწყებათა მოწვეულის მოხელეობისა ულრმესი მწუხარებით მოისმინეს დღეს ალექსანდრეს სობოროში პანაშვიდი დაუვიწყარი თ. გრიგოლ დიმიტრის-ძისა; თავად-აზნაურთა და ყველა დამსწრეთა სახელობით გთხოვთ მიიღოთ ჩვენი გულითადი მონაწილეობა თქვენს მწუხარებაში“.

---

[1] იგულისხმება გ ი ო რ გ ი ლ ი ა ს-ძ ე ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი—გრიგოლის ძმისწული.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თ ე მ ი რ-ხ ა ნ-შ უ რ ი დ ა ნ აგრეთვე გიორგი ორბელიანს, 26 მარტს:

„დღეს, როდესაც ცივი საფლავი საუკუნოდ მიიღებს გვამს კავკასიის ერთიანი საუკეთესო წარმომადგენელისას, იმ ადამიანის გვამს, რომელიც სიცოცხლეში ყოველს კეთილ ხმას აძლევდა, გვამს თქვენის ბიძის, თავადის გრიგოლ დიმიტრის-ძისა, ჩვენ გახგებით გადმოხვეწილნი დაღისტანში, თანამემამულენი და პატივის-მცემელნი განსვენებულისა, როგორც საზოგადო მოქმედის, პოეტისა და კაცისა, გულითად ვწუხვართ, რომ პირისპირ ვერ ვესწრებით სამწუხარო გასვენებას, არ შეგვიძლიან უკანასკნელი ვალი გადაუხადოთ ღირსეულ ადამიანს და შორით ვუერთდებით თქვენს საერთო მწუხარებას. — თ. მ. ნაკაშიძე, თ. კ. მელიქიშვილი, თ. ა. ჭავჭავაძე, თ. ნ. ანდრონიკაშვილი, მ. ელიოსაძე — თ. ვ. მაყაშვილი, ნ. ჯაბადარი.

ო ზ უ რ გ ე თ ი დ ა ნ — თ. გიორგი ორბელიანს:

„უღრმესი მწუხარებით აღვივსენით, რა გავიგეთ გარდაცვალება ჩვენი უსაყვარლესი პოეტის თ. გრიგოლ ორბელიანისა. გთხოვთ გვიცნოთ მონაწილედ თქვენს მწუხარებაში. გრიგოლ ქიქოძე, ივ. ჯაველი, იოსებ, კოწია და იაგორ თაყაიშვილი, ნ. შარვაშიძისა, ნინო ქიქოძისა, გრ. შარვაშიძე, გ. ხუტულაიშვილი, ნ. ასათიანი, სპ. თოფურია“.

ც ხ ი ნ ვ ა ლ ი დ ა ნ:

„საერთო მგლოვიარობას და გოდებას ეუერთდებით და განვაცხადებთ: განუზომელად ვწუხვართ საუკეთესო ქართველისა და დიდებული პოეტის დაკარგვით“...

დეპეშა დ. ი. ყ ი ფ ი ა ნ ი ს ა:

„ტფილისი, ი. მეუნარგიას. „თ. გრიგოლ დიმიტრის-ძე ორბელიანის გარდაცვალებით მწუხარეთა წინაშე, გამიწიეთ მე, ავადმყოფს, მაგიერობა და შეატყობინეთ ჩემი უგულითადესი მწუხარება, რომ ყოველთათვის მისი გარდაცვალება საგრძნობელი არის“.

მ ო ს კ ო ვ ი ს ქართველ სტუდენტობისა:

„დღევანდელმა ტელეგრაფმა მოგვიტანა ფრიად შემაძრწუნებელი ამბავი: მან შეგვატყობინა ჩვენი დაუვიწყარი პოეტის გრიგოლ დიმიტრის-ძე ორბელიანის გარდაცვალება. დაადეთ ჩვენ. მაგიერ გვირგვინი ქართული წარწერით: „პოეტს — პატრიოტს“...

გ ო რ ი ს მასწავლებელთაგან:

„ზარდაცემულნი სამწუხარო ცნობით ჩვენი ძვირფასი, საყვარელი ქართველისა და პოეტის გრიგოლ დიმიტრის-ძის ორბელიანის სიკვდილით, ვისწრაფვით გამოვაცხადოთ გულითადი ჩვენი მწუხარება“.

ქ უ თ ა ი ს ი ს საქალაქო სასწავლებლისა:

„თ. გრიგოლ დიმიტრის-ძის ორბელიანის გარდაცვალებამ შეგვაძრწუნა ყველანი. ალარა გვყავს უძვირფასესი კაცი საქართველოისა, განჭრა დიდებული პოეტი, მიწყდა სიმთა ქელრა პარნასისა! დიდია ჭმუნვა და ჩვენც მრავალთა სხვათთან ერთად ვმწუხარებთ“.

ქ უ თ ა ი ს ი ს საქალებო გიმნაზიისა:

„მოსწავლენი ქუთაისის საქალებო გიმნაზიისა ცრემლთა ფრქვევით მოიგონებენ დაუვიწყარი ქართველი პოეტის და დაუღალავი კეთილმოქმედის გრიგოლ ორბელიანის გარდაცვალებას“.

მრავალ ამგვარ დეპეშათა და სამგლოვიარო განცხადებათა შემდეგ გაზეთი „დროება“ თავის ფურცლებზე ათავსებს გრიგოლ ორბელიანის დაკრძალვაზე წარმოთქმულ სიტყვებს; მათ შორის საყურადღებოა ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, ნიკ. დიმ. ყიფიანის, დიმ. ჯანაშვილის და სხვათა სიტყვები. რაც შეეხება ჩვენი ორი სასიქადულო პოეტის—ილიასა და აკაკის სიტყვებს, ისინი ამავე ავტორის თხზულებათა I ტომის კომენტარებში შეიდნენ, ხოლო ნიკოლოზ ყიფიანისა და დიმ. ჯანაშვილის სიტყვები მოგვყავს აქვე:

ნ. დ. ყიფიანის სიტყვა: ნება მიბოძეთ მეც, ერთს მცირე ქართველთა-განს, ორიოდე ქართველური სიტყვა წარმოვსთქვა ამ ნამდვილი ქართველის საფლავზედ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დღეს სამუდამოდ განშორდი ამ სოფელს, თავადო გრიგოლ დიმიტრის-ძევ ორბელიანო, მაგრამ სახელი შენი არ მოკვდება სანამ ქართველთა ერის ხსენება იქნება დედამიწაზედ. დღეს გიმზერთ განსვენებულს და გვაგონდება მშვენიერი, გრძნობით აღსავსე სიტყვა, გამოთქმული შენგან, ზეგარდმო ნიჭით ცხებულო პოეტო, უწინდელ ქართველთა გმირებზედ:

„ვინ გვითხრას, ვინა გვაჩვენოს, სადა ცხოვრობდნენ ძველგმირნი?
დრომან შემუსრა, აქაცა მიწით მათიცა საფლავნი...
მაგრამ ცოცხალან ჯერეთაც დიდების მათ მოედანი,
მათი სახელი, მათ ხმალი, საქმენი სახელოვანნი!"

ქართველურმა გულმა გამოგათქმევინა ეს გამამხნევებელი სიტყვა საქართველოზედ:

„ეჰ, მამულო სასურველო, ვინ გახსენოს რომ მის გული
არ ათრთოლდეს სიხარულის აღტაცებითა აღსილი,
ვინ გიხილოს დროსა საშიშს, არ დასთხიოს თვისი სიცხელი,
არა დაკლას თავი თვისი შენ დიდებად ვითა მსხვერპლი".

დღეს განსვენებულმა საქართველოს შვილმა ერთხელ ამნაირად დალოცე შენი მშობელი ქვეყანა:

„მამულისათვის ფიალა სავსე ესვათ სიამოვნებით,
და იქნეს აყვავებული კეთილ-დღეობით, დიდებით,
იქმნეს მის ქედი აღყვანილ ცათამდის ძეთა მხნეობით
და სიყვარულით მისდამი ეხარობდეთ გულსა აღგზნებით".

ამგვარი გრძნობითა და ძალით აღსავსე შენი გამონათქვამი — შენისავე სიტყვით — „სხივს მოგვფენს გასამხნევებლად".

შენ გიძგერდა ქართველური გული და დღეს რომ ვტირით შენს საფლავზედ, დღესვე — ვგრძნობთ ყველა ქართველნი, რომ შენი სახელი და შენი სიტყვანი ყოველთვის განმაცოცხლებელი, განმაღვიძებელი იქნება ჩვენი და ჩვენი შვილების, შვილიშვილების და შთამომავლობისა...

გიყვარდა გულით საქართველო, გიძგერდა გული მამულისათვის და ამ სიყვარულს შენი გამონათქვამი ჩაუნერგავს და განუძლიერებს ყოველ ქართველს, ვისაც სმენამდის კი მიაწევს შენი სიტყვანი.

საქართველოს ყოველ შვილს აათრთოლებს შენი ლომგმირული პატრიოტული სიტყვა:

„მამულისათვის ჩვენც შევეხვდეთ უშიშრად ათასს მახვილსა
და მოვკვდეთ, თუ ჯი სიკვდილით ვაღიდებთ მისსა სახელსა!"

უწინდელი დრო, დრო ჩვენთა დიდებულთ წინაპართა, გამოგვიხატე შენის ძლევა-მოსილის კალმით, დაჰნატრიდი მათ:

„ვინცა სიცოცხლე თვისსა მამულსა შესწირა მსხვერპლად".

დაჰნატრიდი:

„ღროთა, როს აქვნდათ ტრფობა მამულისადმი გულს აღბეჭდილად"
„როცა მხნეობა, ძმობა, ერთობა
ქართველთ თვისებას შეადგენებდენ,

როდესაც ბრძოლა და მამაცობა
მათსა სახელსა განადიდებდნენ".

ეროვნული ბიბლიოთეკა

თაყვანს ვსცემთ შენს საფლავს წინაშე მდგომარე ქართველნი შენს სახელს, ზეგარდმო ნიჭით ცხებულო პოეტო, ქართველო—პატრიოტო!

თავადი გრიგოლ ორბელიანი გამოეთხოვა ამ წუთი სოფელს და იქნება დასტოვა დიდი ქონება, დიდი სიმდიდრე. მაგრამ — უფრო ძვირფასი განძი, უფრო მდიდრული საუნჯე დაუტოვა საქართველოს.— მისი თხზულებანი: პოემა „სადღეგრძელო", „წერილი იარალისადმი" „სიტყვა თამარ მეფისადმი" და სხვანი. ამ თხზულებათა თითო სტრიქონი ბევრად მეტად ღირს ქართველთათვის მთელ იმ ნივთიერ ქონებაზედ"... („დროება", № 66).

სიტყვა დიმიტრი ჯანაშვილისა (ინგილო). კაცი, რომელმაც განვლო კეთილად ცხოვრება თვისი, აღბეჭდა კეთილად გზა სიცოცხლისა,—კი არა კვდება, არამედ გარდაიცვლება... თავად გრიგოლისებრი კეთილი მოღვაწე კაცის სიკვდილი არის მეორე პირი—სარჩულ გადმობრუნებული ცხოვრებისა... იგი არ ავიწყდება ერს, მის ღვაწლს, მის მოქმედებას, მის აზრებს ის იგონებს წამ-და-უწუმ.

ცხოვრება გრიგოლ ორბელიანისა სავსე იყო კეთილთა საქმეთაგან. ამისთვის იგი პატიოსანი გმირი კავკასიის მხედრობისა კი არ მოკვდა,— გარდაიცვალა. მან განვლო გზა ერის სამსახურისა კეთილთა საქმეთა მოღვაწეობით და აღბეჭდა იგი სახელოვანად. მაგრამ, ვაი, რომ დღეს მისმა სიკვდილმა დარდი დარდზე, ფიქრი ფიქრზე, სხვადასხვა კითხვა კითხვაზე აგვიშალა და გონება დაგვიბნია, გამწარდა გული, გაშფოთდა ცხოვრება, მწუხარებით ამოიკვნესა გულმა და დაიწყეს თვალთა ჩვენთა ცხარე ცრემლის ღვრა.

მაგრამ განა უნდა ვიტიროთ დღეს ქართველთა? არა! ცრემლი კაცის თვალისათვის ღვთისაგან მიცემულია მისთვის, რომ შეწუხებული გული მოიოხოს და შეიმსუბუქოს სულის შფოთვა და ღელვა. უბედურების დროს გულ-ამოსკვნით ტირილი, მწარე ცრემლი თვალთაგან გადმოღვრილი ამშვიდებს და ანუგეშებს ადამიანის გამწარებულ სიცოცხლესა. მაგრამ ბრწყინვალე თავადმა გრიგოლ ორბელიანმა თავის სიკვდილით დღეს ისე დაგვალონა, ისე ჩაგვითუთქა და ჩაგვიბარშა მწუხარებით გულნი, რომ ცრემლის დაღვრით გულთა ჩვენთა ტკივილების განქარვება არ შეიძლება. დღეს უწყალო სიკვდილმა არამც თუ ჩვენ ქართველთა წაგვართვა დიდად სასარგებლო პირი, არამედ მოაკლდა მთელ კავკასიას სახელოვანი მოღვაწე. მისი სიკვდილი ეწყინათ დიდი რუსეთის იმპერიის წარჩინებულ პირთაც. თვით ხელმწიფე იმპერატორი, დიდად შესწუხდა, რომ შეიტყო მისი გარდაცვალება. მთელ კავკასიაში, ვინც კი შეიტყო მისი სიკვდილი, ყველა ვაებს და ჰგლოვობს. ყველას ენანება მისი დაკარგვა და ღრმა ფიქრებს მისცემია, გულჩათუთქული დგას და ემდურის წუთი სოფლის სიმუხთლესა.

რათა? რისთვის? რით დაიმსახურა დიდებულმა მიცვალებულმა ასეთი გულ-შემატკივრობა თვისადმი მთელის ერისა? მრავალნაირია. ...
გრიგოლ ორბელიანის ღვაწლი წინაშე ერისა. მაგრამ იმ სიკეთეს, რომ
მელიც განსვენებულმა თავადმა მიაგო ზაქათალის მაზრას—ვერა შეედრე-
ბა-რა. 1602 წლიდან ზაქათალის მაზრაში მცხოვრებნი ქართველნი—ინგი-
ლონი, ულმობელმა დროთა ვითარებამ გაამაჰმადიანა. 248 წლის განმავ-
ლობაში იმათ აღარა ჰქონდათ ერთ სისხლ-ხორც ქართველ ხალხთან კავ-
შირი, რადგან იყვნენ მომწყვდეულნი ჭარ-ბელაქნელ ლეკებისა და ნუხის
მაზრის მაჰმადიანთ შუა. იმათ დაჰკარგეს მამაპაპური სარწმუნოება და
ქართველობა, ისინი ვერ ბედავდნენ ველარც ქრისტეს სარწმუნოების
აღიარებას, ველარც თავისა თვისისა ქართველად დასახელებას, რადგანაც
ლეკებში ვისმე ქართველად ხსენება ნიშნავს მის ქრისტიანად ცნობას.
ინგილოებს თუმცა ეწადათ დაბრუნება მამაპაპის ქრისტეს სჯულზე, მაგრამ
გზის მაჩვენებელი და დამრიგებელი არავინა ჰყვანდათ. 1850 წელს დიდე-
ბულმა პოეტმა და სარდალმა გრიგოლ ორბელიანმა გულმტკივნეულად
მიჰხედა ამ თვის ტომთაგან გაცალკევებულ და განშორებულ ქართველ
ხალხსა. დაინიშნა თუ არა ამ წელს ზაქათალის მაზრის უფროსად, იგი მა-
შინვე შეუდგა ამ დაკარგული ძმების მოპოებას. გულითადი წადილი მისი
ღმერთმა დააგვირგვინა თავის შემწეობითა. ის შეიქმნა ინგილოთა მო-
ციქულად. წოდებით მხედარი დიდი რუსეთის ლაშქრისა, ის გახ-
ღა აგრეთვე მოძღვრად ქრისტეს ეკლესიისა. მან ჩააგონა ინგი-
ლოებს დაბრუნება მამა-პაპის სარწმუნოებაზე. მის მიერ გზის ჩვენე-
ბით 1851 წელს ჩამოვიდა თბილისში 62 კაცი — ინგილო, მოინათლა, მი-
ღო ქრისტეს სჯული და ამიერიდან შეუერთდნენ მრავალნი ინგილონი
ქართველ ხალხს სარწმუნოებით, სულით და გულით...

კეთილო მხედარო, მე შენის მეცადინეობით მოქრისტიანებული ვიდრე
ცოცხალ იყავ, ბევრჯელ გულითად ვისურვე შენი პირის-პირ ხილვა და სა-
უბარი, მაგრამ თავი ჩემი ვერ ვპოვე ღირსად შენი პირის-პირ შეხვედრისა;
მხოლოდ შორიდან შემოვსცქეროდი განცვიფრებული შენს პატიოსან პირ-
ნათელ სახესა. მე უბადრუკი მდაბალად ვრაცხდი თავს შენთა კეთილთა
ქრისტიანულ საქმეებთან... შენ დიდებულო მამამთავარო კავკასიის მხედ-
რობისაო, შეჰძელ მოქცევა განდეგილ ინგილოებისა და ასე დაუბრუნე სა-
ქართველოს ერს დაკარგული ძმანი. დღეს მოველ წინაშე კუბოისა, რომ
საქვეყნოდ მადლობა გითხრა ჩემს მაგიერადაც და ჩემის სამშობლოს ნაც-
ვლადაც. მოველ წინაშე შენსა, რომ გითხრა: ნეტარ არს ხსენება შენი, დი-
დებულო მხედარო, ქრისტეს ეკლესიისაც და კავკასიის სახელოვანის ლაშ-
ქრისავ! კეთილ არს ხსენება შენი. შენი კაცური ქცევით შენ დაგიმსახურე-
ბია კავკასიის ყველა ხალხების სიყვარული და სიყვარული ჩვენი ქვეყნისა.
დღეს ყველანი კეთილად იხსენიებენ შენს სახელს, კაცო ნეტარო! მაგრამ
შენს ქებად ეს კიდევ არ ყმარა. თქმულს დავსძენ კიდევ იმას, რომ დიდმაც
და პატარამაც იცის მთელს ზაქათალის მაზრაში, რომ შენ დაიფარე ჭარ-

ბელაქნის მცხოვრებნი გადასახლებისაგან, როცა მათ მოახდინეს ამბოხი 1863 წელსა. შენ იშუამდგომლე წინაშე უმაღლესი მთავრობისა, რომ, ეპატიოთ იმათ ამ ჯერადაც დანაშაულობა... და ამით შეაჩერე ერის გადასახლება. ჭეშმარიტად დიდ არს ესე ღვაწლნი შენნი, ბრწყინვალე თავადო გრიგოლ! ამას ზაქათალის მაზრის მცხოვრებნი ვერ დაივიწყებენ, ვიდრე ცოცხალ არიან..." („დროება" № 67).

პოეტის დაკრძალვის შემდეგ დიღხანს არ შეწყვეტილა ქართულ პრესაში გამოქვეყნება გრიგოლ ორბელიანისადმი მიძღვნილი სტატიებისა, წერილებისა, კორესპონდენციებისა, ლექსებისა და თვით პოეტის ნაწერებისა, როგორც პოეტურ, ისე მისი ეპისტოლარულ მემკვიდრეობიდან. ამ მხრით უნდა აღვნიშნოთ ერთი საგულისხმო კორესპოდენცია ახალციხის მაზრიდან შესხეთის ხალხის უანგარო მოამაგისა და დაუცხრომელი მესიტყვის „ვინმე შესხისა" (ივ. გვარამაძე), რომელიც სოფ. ხიზაბავრიდან წერდა:

„ამ დღეებში მივიღეთ აქ ქართველ კეთილშობილთა და მთელი საზოგადოების რიგგარედი მგლოვიარება, ჩვენი გამოჩენილი პოეტის თ. გრიგოლ დიმიტრის-ძის ორბელიანის გარდაცვალების გამო. ამ დიდად საგრძნობელმა ამბავმან (ბავთმან), დიდად დამალონა და ჩამაფიქრა; ძნელი წარმოსადგენია, ვისაც განსვენებული პირი უნახია, მისი მამა-შვილური და პატრიოტული დარიგება სმენია და მისი ნაწერი ლექსები გარდაუკითხია, რომ არ დააწვეს გულზედ მწუხარების შავბნელი კაეშანი, თავის ლვიძლ გულშემატკივარ ბატონებთან და მოძმეებთან ერთად!..

გარდა მწუხარებისა, მეტად ჩასაფიქრებელიც არის დღეს ჩვენთვის ესრეთი სამძიმო მოვლენა. დღითი-დღე გვეცლებიან ხელითგან ესრეთი განთქმული გმირნი, სამშობლოს ნამდვილი მოყვარე, მწე მოღვაწე პირნი, მოწმენი ჩვენი ბედნიერების და უბედურის დროისანი. ვინ იცის, რამდენი საუკუნეები გავა, რომ განსვენებულისთანა ძნელად გამოჩნდეს ჩვენს საქართველოში? რათა?! რისთვის? განა მართლა არ არიან ქართველებში ნიჭიერნი და გმირნი? დიაღ, არიან, მაგრამ სხვაფრივ ტრიალებდა ბედის ბორბალი" („დროება", 1883 წ., № 81).

იმავ დღეებში ქართული წიგნისა და საერთოდ ქართული ბეჭდვითი სიტყვის ვეტერანს ზაქარია ჭიჭინაძეს გაზეთი „დროების" რედაქციისათვის განუცხადებია შემდეგი საგულისხმო ცნობა:

„1880 წ. მე გამოვეცი თ. გრ. ორბელიანის ლექსები, რომლის გამოცემაში თვით პოეტმა მიიღო მონაწილეობა და უკანასკნელ კორექტურას თვით ის ასწორებდა. იმ ლექსების გამოცემის დროს მე ვთხოვე, პოეტს თუ სხვა რამ ლექსებიც გაქვთ, რომელნიც ჯერ არ დაბეჭდილან, გარდმოგვცეთ და ამა გამოცემაში დავბეჭდოთ-მეთქი.

ამაზე პოეტმა მიპასუხა:

„ლექსები როგორ არა მაქვს, მაგრამ მოძებნა უნდა, ქალალდებშია არეული, სუსტადა ვარ შვილო, მოხუცებულობის გამო; ამ მოკლე ხანში კი მოვძებნი და გარდმოგცემ ყველას..."

ამ უკანასკნელ დროს, როდესაც ჯერ ისევ კარგად იყო, მე ვეახელი

და ვთხოვე, რომ თუ მოიპოვეთ რამე ეგება გარდმომცეთ-მეთქი, რადგანაც შეიძლება მალე მესამედ გამოიცეს თქვენი ლექსები-მეთქი. პოეტმა დიდი სიამოვნებით თანხმობა გამოაცხადა და მითხრა, რომ დაბეჭდილ ლექსებსაც შევასწორებ და ყველა იმაებს ერთად გარდმოგცემო. რამდენიმე ხნის შემდეგ კიდევ ვეახელ და გარდმომცა 1880 წ. ჩემს მიერ გამოცემული ლექსების ერთი ეგზემპლიარი, რომელიც გასწორებულია თვით მისგანვე. შესწორება ლექსების ორთოგრაფიულ შეცდომებს შეეხება, მაგრამ ძალიან მცირედ. გასწორებული ეგზემპლიარი ჩემს ხელშია. ამავე დროს მე ვთხოვე, პოეტს თავისი სურათიც, მესამე გამოცემაში ჩასართობად. პოეტი დაგვპირდა, რომ სურათი კი მაქვსო, მაგრამ იმისათვის სხვას გადავიღებ და მოგცემო. რამდენიმე ხნის შემდეგ შევიარე და მიბოძა კიდეც; ამ შემთხვევაში მიბრძანა განსვენებულმა:

„ჩემი სახის სურათი ბევრჯერ გადამიღია, მაგრამ არც ერთი ეს სურათები არ მომწონს, უღირსად მიმაჩნია, თვით ჩემი თავის ღირსებისათვის, ამიტომ, აი, ახლად გადავაღებინე და გითმობ, თუ კი მოახერხებ, მე მზადა ვარ, რომ დაგეხმარო". ეს სურათი ისეა გადაღებული, რომ გულზე არც ერთი ორდენი არა აქვს, იმ დროს, როცა სხვა სურათები ყველა ორდენებით არის" („დროება", № 65, 1883 წ.).

პოეტის ცხოვრებისა და ღვაწლის მკვლევარმა ივნა მეუნარგიამ იმავე ხანებში შეისწავლა პოეტის საოჯახო არქივი და ბიბლიოთეკა, სადაც აღმოაჩინა „დროების" ძველი ნომრები კიდურებზე პოეტის ხელით მიწერილი შენიშვნებით სხვადასხვა საკითხებზე და ცნობილ მწერლებზე, მაგალითად: აკაკიზე, ალ. ყაზბეგზე, ნ. ნიკოლაძეზე და სხვ. („დროება" №117). იგივე მკვლევარი შიგადაშიგ სანამუშოდ აქვეყნებდა აგრეთვე მასალას თავის მიერ შეკრებილ გრ. ორბელიანის მდიდარი ეპისტოლარულ მემკვიდრეობიდან. მათ შორის აღსანიშნავია ორი წერილი იაკინთე ალექსი-მესხიშვილისადმი („დროება", 1885 წ. № 176), ორი წერილი ეკატერინე დადიანისადმი („დროება" 1885 წ. № 190) და ა. შ. გრ. ორბელიანის წერილების გამოქვეყნება სპორადულად შემდეგშიც გრძელდებოდა, მაგალითად 1913 წ. ჟურნალ „კლდეში" (№ 20) დაბეჭდილია პოეტის წერილი კონსტანტინე თარხნიშვილისადმი, დათარიღებული 1862 წლის 27 იანვრით, თბილისში. წერილი საგულისხმოა იმ მხრივ, რომ მრავალმნიშვნელოვან ცნობასა და ფაქტის აღწერას შეიცავს. მიუხედავად იმისა, რომ ის პრესაშიაც გამოქვეყნებულია, ყურადღების გარეშეა დარჩენილი და არაა შეტანილი გრ. ორბელიანის პუბლიკებულ ეპისტოლარული მემკვიდრეობის ბიბლიოგრაფიაში (იხ. გრ. ორბელიანი — პოეზია, ლირიკა, ეპოსი, თარგმანები. 1951 წ. გვ. 122).

რაც შეეხება გრიგოლ ორბელიანის გარდაცვალებისადმი მიძღვნილ ლექსებს, მათი ბეჭდვა ჯერ ხანს არ შეწყვეტილა. მთელმა რიგმა, მეტნაკლებად გამოჩენილმა პოეტებმა მგრძნობიარე ლექსებით დაიტირეს „მეფე სიტყვისა, ლექსთა მეფე, კაცი გულწრფელი"... გრ. ორბელიანისადმი მიძღვნილ ლექსებს შორის, ჩვენ აქ დავასახელებთ, მხოლოდ პოეტის გარდაცვალების გამო დაწერილთ და იმდროინდელს პრესაში გამოქვეყნებულთ. ესენია: ვახტანგ ორბელიანის „გრიგოლ ორბელიანის გარდაცვალებაზედ" („დროება", 1883 წ. № 65), სილოვან ხუნდაძის „გრ. ორბელიანის გარდაცვალებაზე" (იქვე), დიმ. გრემელის „პოეტის გარდაცვალებაზედ" („დროება", 1883 წ., № 79) ივ. კერესელიძის „გრ. ორბელიანის გარდაცვალებაზედ" („დროება", 1883 წ., №65.) ა. ცაგარელის „დიდებული პოეტის აჩრდილს" („დროება", 1883 წ. № 65) და სხვ...

გრიგოლ ორბელიანის დაკრძალვის გრანდიოზულობას, პოეტას შემოქმედების მაღალ

შეფასებასა და მისი მოქალაქეობრივი ღვაწლის ერთგვარ შეჯამებას. იმდროინდელ ქართველ საზოგადოებაში წარმოუშვია აზრი პოეტის ძეგლის აგებისა. ამ აზრს პრაქტიკული ნაბიჯიც მოჰყოლია საზოგადოებრივ ორგანიზაციებში კრებების მოწვევის სახით. კრებებზე, ცხადია, მუშავდებოდა საკითხი თუ როგორ და რა სახსრებით შეიძლებოდა ეყოფა ძეგლის ასაგები ფონდი. ამ საკითხისადმი მიძღვნილია გაზეთი „დროების" მეთაური წერილი, რომელიც უეჭველ მის მაშინდელ რედაქტორს ივანე მაჩაბელს ეკუთვნის (ს. მესხი იმ ხანებში უკვე გარდაცვლილი იყო და „დროებას" ი. მაჩაბელი რედაქტორობდა).

დასახელებული მეთაური წერილი ითვალისწინებს გრ. ორბელიანის დიდ დამსახურებას ქართული ლიტერატურისა და საზოგადოების წინაშე, მაგრამ ჯერჯერობით მაინც თავშეკავებას რჩეობს ამგვარი ძეგლის აგებისაგან, ვიდრე გრ. ორბელიანზე უფრო დიდი დამსახურების მქონე ქართველ მოღვაწეთა (რუსთაველის, დავით აღმაშენებელის, თამარის და სხვ.) ძეგლები არ აღმართულა ჩვენს დედაქალაქში. წერილის დასასრულს ავტორი აღნიშნავს:

„იმედი გვაქვს მკითხველი არ შეგვწამებს განსვენებული პოეტისადმი უპატივცემლობას; ჩვენ მხოლოდ იმას ვამბობდით, რომ ყველას პატივი სცეს იმის მოღვაწეობის კვალობაზედ. გ. ორბელიანის ნაწერის და მოღვაწეობის დაფასება სრულიად მომავალს ეკუთვნის; ჯერჯერობით, თუმცა გ. ორბელიანი ცნობილია, როგორც შესანიშნავი პოეტი, მისი მნიშვნელობა გამორკვეული არ არის, და ამიტომაც საზოგადო აზრს ძალა არ უნდა დავატანოთ. ჯერ-ჯერობით შეგვიძლიან პატივი ვსცეთ განსვენებულს გ. ორბელიანს, როგორც ფრიად ნიჭიერ პოეტს, რომლის კეთილად მოხსენება ჩვენ ძალიან საჭიროდ მიგვაჩნია: საქმე ის არის, თუ როგორ მოვიხსენიოთ იგი?

რასაკვირველია, განსვენებული უნდა მოვიხსენიოთ იმ რიგად, რომ მისდამი სიყვარული და პატივისცემა კიდევ უფრო განვამტკიცოთ ხალხში; ამისათვის შესაფერ საშუალებად ჩვენ მიგვაჩნია რაიმე კეთილი და ქვეყნისათვის სასარგებლო საქმე: შესაძლებელია, განსვენებულის სახელობაზე რომელიმე სასწავლებლის, სტიპენდიის, ან პრემიის დაარსება; ამგვარ საშუალებათა წყალობით, შეიძლება, ცოტათი მაინც შეღავათი მიეცეს სწავლა-განათლებაში ხელ-მოკლე საზოგადოებას. უეჭველია, მკითხველი დაგვეთანხმება, რომ ჩვენს მიერ ხსენებული საშუალებანი განსვენებული პოეტის მოსახსენებლად უფრო სასარგებლონი და ადვილნი არიან, ვიდრე ძვირფასი ძეგლის აგება, მეტადრე იმ ნივთიერი ხელმოკლეობის გამო, რომელშიაც ჩვენ ვიმყოფებით.

ვიმეორებთ, სჯობს, რომ განსვენებული, რომელიც ამბობდა: „რა არის ჩვენი სიცოცხლე, თუ არა საქმე კეთილი", მოვიხსენიოთ კეთილი საქმის დაწყებით და განხორციელებით. ჩვენ დარწმუნებულნი ვართ, საქმე იმ რიგად რომ დაეყენებინათ მეთავოსნეთ, რა რიგათაც ჩვენ საუკეთესოდ მიგვაჩნია, საზოგადოება სრულს თანხმობას გამოუცხადებდა და თვითონ საქმეც უფრო ადვილად და საჩქაროდ მოგვარდებოდა („დროება", 1883 წ. № 252).

„დროების“ მეთაური წერილის აზრი არ იყო მთლად სიმართლეს მოკლებული. იმ მხრივ, რომ გრ. ორბელიანი არამც თუ იმ ხანებში, დღესაც არ არის შესწავლილი-მთელი თავისი ცხოვრების, შემოქმედების და ღვაწლის მოცულობით. დღესაც გრძელდება ზოგი ერთი რეციდივი იმ გაუგებრობისა, ვითომ გრ. ორბელიანი როგორც ასაკით ძველი თაობის კაცი წინააღმდეგი იყო ყოველივე ახალისა, პროგრესულისა, ახალგაზრდობის მოქმედებისა, მხოლოდ წარსულს მისტიროდა და მომავლის რწმენა აღარა ჰქონდა. ამ აზრის წინააღმდეგ წინასიტყვაში გვქონდა ნათქვამი და თვით პოეტის შესანიშნავი სიტყვებიც მოყვანილი; აქაც ვეცდებით პოეტის ბრძნული, პროგრესული აზრების შემცველი რამდენიმე პირადი წერილის გამოქვეყნებით შენელდეს ეს უმართებულო შეხედულება მასზე.

1860 წ. 8 დეკემბერს პეტერბურგის უნივერსიტეტის პროფესორს ალექსანდრე ანტონის-ძე ცაგარელს გრ. ორბელიანი სწერდა:

....ერთმა ქართველმა, პეტერბურღლის უნიეერსიტეტის სტუდენტმა, წერილითა მაცნობა სტუდენტობის საზოგადოდ შეიწროებით მდგომარეობა და მათ შორის მეტადრე ერთისა, რომელიც იმყოფება დიდს გაჭირვებაში სიღარიბისა გამო, მისთვის მთხოვს შემწეობასა.

გულითადის სიხარულითა აღვასრულებ თხოვნასა მისსა და მასთანავე ჩემს მოვალეობასაც, მით უფრო უმეტეს, რომ სიღარიბეში ძნელი ყოფნა და ცხოვრება არცა მე ამცდენია და გულში ღრმად დამრჩა სიმწარისა ძალი მისი; მაგრამ მერწმუნეთ, ერთხელაც არ მიწყეევია არცა ბეტი ჩემი და არცა ღმერთი. ვითმენდი, რადგანაც ვიყავ ყმაწვილი კაცი და იმედიცა მიმაგრებდა გულსა, როდესაც მუხლამდის ტალახში დავეთრეოდი ჩემის როტითა ლიფლიანდიასა და ვილენსკი ღუბერნიაში, ღონემიღებული, გაყინული, სიპლექეში ჩავარდნილი, გულის ტკივილითა, უამხანაგო, უცნობი გარეშეთათვის! რა ვჰქნათ? ქართველები ვჰსდგევართ იმ გზაზე. საღაცა არა მოიპოვება სიმდიდრე და მის მიერ განსვენებით ცხოვრება! აქაცა ჩვენი საზოგადოება არის აგრეთვე განწირულებაში ყოვლის მხრით, მაგრამ მაინცა კიდევ ის გვანუგეშებს, რომ ჩვენი ახალგაზრდობა გულსმოდგინედ მეცადინეობს, შრომობს და გვაქვს იმედიცა, რომ მეცადინეობა მათი არ დაშთება უნაყოფოდ და ერთხელ ჩვენცა გაგვითენდება დილა სიხარულისა, რომლისა მისაგებებლად თქვენნი მოწაფენი უნდა იყვნენ აწვე შემზადებულნი სწავლითა და ამის გამო დროებითის შეიწროებითა ნუ შეჰსწუხდებიან, ნუ დაეცემიან სულითა, ნუ მიეცემიან უსასოებას, რადგანაც მომავალი ეკუთვნის ყმაწვილკაცობასა, და ყმაწვილკაცობა არის დიდი იგი ძალი, რომლისა შემწეობით შეიმუსრება და გაჰქრება ყოველივე გარედამ მოვლენილი დაბრკოლება; მაშასადამე, მათთვის უნდა იყოს დევიზად: შრომა, ლოცვა და გული მაგარი, და ჰსწამდეთ, რომ ღმერთიც იქნება მათთანა კურთხევითა თვისითა.

ამასთანავე მომირთმევია ასი მანეთი, ნუ კი ვინმე შემრისხავს მის სიმცირისათვის და უმორჩილესად გთხოვთ, გადასცეთ მცირედი ესე ძღვენი იმ სტუდენტსა, რომლისთვისაც მომივიდა წერილი შემწეობისა და თქვენცა, უპატივცემულესო პროფესორო, გეგულებოდეთ მეცა შორის მრავალთა თქვენთა პატივისმცემელთა, და ამა ჭეშმარიტითა გრძნო-

ბითა თქვენდამი ვეგები, თქვენი უმორჩილესი მოსამსახურე თ. გ ر ი-
გ ო ლ ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი“.[1]

ჩვენს ლიტერატურაში ცნობილია გრიგოლ ორბელიანისა და ილია ჭავჭავაძის პოლემიკა, რასაც მოჰყვა მოწინავე ქართველი ინტელიგენციის გაყოფა, ე. წ. „მამათა“ და „შვილთა“ ბანაკად. ბრძოლა, რომელიც უთუოდ პრინციპულ სიმაღლეზე იდგა და ერთხელაც არ დაშვებულა უბრალო კინკლაობის დონემდე. ხელს არ უშლიდა ამ ორ დიდბუნებოვან ადამიანს, ყოფილიყვნენ მეგობრები, ერთიმეორის პატივისმცემელნი და საერთო, საზოგადო საქმეში მხარდამხარ მოქმედნი და ხალხის კეთილდღეობისათვის მზრუნველნი. ამის საილუსტრაციოდ აქვე ვაქვეყნებთ გრ. ორბელიანის 4 წერილს ილია ჭავჭავაძისადმი. ისინი დაწერილია სწორედ დასახელებული პოლემიკის შემდეგ, როცა ილია ჭავჭავაძე ჟურნალ „ივერიას“ სცემდა.

1. „ჩემო ბატონო, კნიაზო ილიავ.

სიხარულით მომირთმევია მეფე გიორგის ცხოვრება[2] თქვენის ახალის ჟურნალისათვის. მოიხმარეთ, თუ გამოგადგებათ, მაგრამ მე თავის დროზე ისევ დამიბრუნეთ.

თქვენის მარადის ბედნიერების მსურველი გ რ ი გ ო ლ ო რ ბ ე-
ლ ი ა ნ ი[3].

27 დეკემბ. 1878.

2. ჩემო ბატონო, კნიაზო ილიავ!

დღეს ვერ გიახლებით ჩვენის საზოგადოების კრებაში თეატრისა გამო, რადგანაც ვარ მიწვეული в экстренное заседание общества восстановления христианства; მაგრამ გავჰბედავ და გულწრფელობით მოგახსენებ, რომ მე არა ვარ თანამგრძნობი ქართულის თეატრის ამ ჟამად დაწესებისა, რომელზედაც დახარჯული ფული ძგონია დაკარგულად.

მე არ მესმის, როგორ უნდა დაემყაროს თეატრი, რომელსა არა აქვს თავისი შენობა, რომელსა არა ჰყავს გასწავლული აქტიორები, რომელსა არ შეუძლიან შენახვა თავისა თვისისა? და თუ ქართულის ენის მოყვარენი წარმოადგენენ რასმეს წელიწადში ორჯერ, სამჯერ, ხომ ეხლაც არის ამგვარი თეატრი,— არა მგონია რომ ჩვენი ბანკი იყოს ისე გასუქებული, რომ სამასის თუმნის უსარგებლოდ დახარჯვა არაფრად მიაჩნდეს მას.

ჩვენი ბანკი ისე მახსოვს დაარსდა იმ ჰაზრით, რომ ჩვენს შვილებსა მიეღოთ, ბანკის შეწევნით, სწავლით აღზრდა ღიმნაზიებში, და თვით უმაღლესთ სასწავლებლებში. ეს ჰაზრი დარჩა ჰაზრად, და ახლა მოულოდნელად ამას ზედ დაერთო სახალხო შკოლებიცა და თეატრიცა.

ვინ იტყვის, რომ შვილების აღზრდა, სახალხო შკოლები, თეატრი, არ იყოს საჭირო ჩვენთვის? ვინ არ იცის, რომ სამივე ესე საგანი არის ხალხისა სულითა ამაღლება, გონების გახსნა და თვით ეკონომიური შემატება. მაგრამ არა მგონია, რომ ჩვენს ბანკსა ჰქონდეს ისეთი შეძლება, რომ ეს

[1] წერილი დაცულია აკად. სიმ. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში, იხ. გრ. ორბელიანის ფონდი, № 76.

[2] იგულისხმება პლ. იოსელიანის თხზულება „ცხოვრება გიორგი მეცამეტისა“.

[3] წერილი დაცულია საქართველოს სახ. მუზეუმის გრ. ორბელიანის ფონდში № 71.

სამივე მეტად დიდი და ძნელი საქმე, ერთსავე დროსა, დაამკვიდროს საფუძვლიანად, შეურყეველად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩემის ჰაზრით, ჯერ პირველად აღსრულდეს საზოგადოების საქმე, ესე იგი, მიეცეს შვილებსა ფართო გზა, დაუბრკოლებლად, სწავლით აღზრდისა, რომლისა აღსასრულებლად მოგვინდება რაოდენიმე ათასი თუმანი ყოველს წელიწადს, — და თუ ბანკსა დარჩება რამე, მაშინ შეძლებისამებრ, აშენდეს ხალხის შკოლებიცა და თვით თეატრიცა, მაგრამ კი საფუძვლიანად. როგორ არა ვჰსთქვა, რომ ათასის თუმნით ძლივს აშენდება და დაფუძნდება რომელიმე უეზდში, მხოლოდ ერთი პაწაწა შკოლა და ამით გათავდება დიდი იგი საქმე, რომელსა ჰქვიან „სახალხო შკოლები", და სხვანი უეზდები კი დარჩებიან ისე, როგორცა არიან ამჟამად. — მეორე, მგონია და ვამბობ იმას, რაცა მგონია, და თუ ვარ შეცდარი, ვეშმარიტად, მე დიდად მიამება[1].

ქართველები ვართ ბუნებით გულმსწრაფლნი, გვინდა ხვალვე იყოს მზად ყველაფერი, რაცა გვსურს. ჰსჯობს ნელნელა წავიდეთ წინა, ვიდრე სიჩქარით დავრჩეთ შუა გზაზე დაღალულნი.

თქვენის ბრწყინვალებისა მორჩილი მოსამსახურე

თ. გ რ ი გ ო ლ ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი[2].

18 მაისს 1879.

3. ჩემო ბატონო, კნიაზო ილიავ.

დავჰბერდი და შეეუდეგ სულისა გზასა; ვჰკითხულობ დავითნსა და აირა დადნა ამ კითხვისაგან. მაგრამ გთხოვ კი, რომ თქვენვე წაუკითხოთ ჩემს ულმობელს კრიტიკოსსა კნ-ა ოლღასა[3]; თუ მოეწონოს, ხომ კარგი და თუ არა, აიღეთ კარანდაში, წაუსვით და წამოუსვით, ასე რომ მაგ ლექსის[4] სახსენებელიც აღარსად იყოს ჩემ შესარხცვენლად.

ფსალმუნი

ვინა აღვიდეს მაღალსა მას მთასა წმიდასა,
სადა ჰგალობენ ანგელოზნი ღთისა დიდებას?..
— სულითა წრფელი, მშვიდი გულით, ფიქრით განწმენდილ,
ვის არ შეეხო ზაკვის გესლი ძმისა განკითხვად.

---

[1] გრ. ორბელიანი ამ შემთხვევაში მართლაც შემცდარი აღმოჩნდა. 1879 წელს მუდმივი დრამატული დასი დაარსდა და ამით ქართულ თეატრსაც სამუდამო საფუძველი ჩაეყარა. ამისთვის საკითხი და მომენტიც მომწიფებული აღმოჩნდა.

[2] წერილი დაცულია საქ. სახ. მუზეუმის გრ. ორბელიანის ფ. № 71.

[3] იგულისხმება ილია ჭავჭავაძის მეუღლე ოლგა თადეოზის ასული გურამიშვილი— ჭავჭავაძისა.

[4] ეს ლექსი „ფსალმუნი" ილიამ გამოაქვეყნა თავის ჟურნალ „ივერიაში", 1879 წ. № 5—6-ში. ეს ლექსი ჩართულია აგრეთვე 1879 წ. 16 ივნისს ეკატერინე დადიანისადმი მიწერილ წერილში (იხ. ზუგდიდის მუზეუმის შრომების I ტ. გვ. 328). ასე რომ ამ ლექსის ორი ავტოგრაფი მოგვეპოება. ამის შემდეგ ლექსის დათარიღებაც უნდა შეიცვალოს, ვინაიდან იგი ჩართულია უფრო ადრინდელ წერილში, ე. ი. მისი თარიღი უნდა იყოს 16 ივნისი, 1879 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

და სიყვარულით შეიწყალა ცთომილი ვნებით;
ვინცა ამ სოფლის დიდებასა, მზეებრ მნათობსა,
მონებრ არ მისდევს, ჰსცნობს რა მისს შუქს, ფუჭ — წარმავალს
ვინც ძლიერებას ხმათა მაღლით ამცნო სიმართლე
და ძმას დაცემულს მიჰსცა ხელი და აღადგინა!..
იგი აღვიდეს მაღალსა მას მთასა წმიდასა
ღთისა დიდებით გალობითა, ნათელ მოსილი.

მარადის თქვენი მოყვარული თ. გ რ ი გ ო ლ ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი[1].

25 ივნისი 1879.

4. ჩემო მოწყალეო ბატონო, კნიაზო ილიავ!

მომირთმევია საბინინის[2] წერილი, რომლითაცა ითხოვს ჩვენი საზოგადოებისაგან შემწეობასა ფულით, შესასრულებლად საქართველოს ეკლესიის ისტორიისა და გამოსახსნელად ლეიპციღიდამ ქართველი წმიდანების სურათებისა. თქვენ კარგად მოგეხსენებათ, რა დიდი შრომა და ღვაწლია მიღებული და რა სასარგებლოა საკუთრივ ჩვენთვის ამ ისტორიის გამოცემა და განვრცელება ჩვენს ხალხში.

ახლა თუ დავიცდით ჩვენის საზოგადოების შეკრებამდის, მეტად ბევრი დრო გავა და საბინინიც დარჩება უღონოდ. მე დარწმუნებული ვარ რომ ჩვენს საზოგადოებას არ ეწყინება, მის დაუკითხავად, ბანკიდამ შემწეობა ამ გაჭირვებულს შემთხვევაში ესრეთის საზოგადოდ კეთილის საქმისათვის, განსანათლებლად ჩვენის დაცემულის მხარისა. ჩვენს უსტავშიაც იხსენება О распространении грамотности, или просвещения в народе.

მე ბანკიდამ შემწეობას იმიტომ ვახსენებ, რომ ხელისმოწერით ვაი თუ დაგვიანდეს, ან ვერ შეჰსდგეს, საკმაო ფული. მახლაზ, როგორცა ინებებთ, ისე აღსრულდეს, ოღონდ კი აღსრულდეს.

თქვენი მარადის ერთგული და ბედნიერების მსურველი თ. გ რ ი-
გ ო ლ ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი[3].

2 ნოემბ. 1879

აქვე მოგვყავს გრ. ორბელიანის წერილები ალექსანდრე ორბელიანისადმი, რომელიც ერთგვარი კონსულტანტი იყო პოეტისა „სადღეგრძელოს“ საბოლოო რედაქციის ჩამოყალიბების დროს. წერილები დამახასიათებელია პოეტის მუშაობისათვის და იძლევა აგრეთვე მისი მოქალაქეობრივი მოქმედების შტრიხებსაც:

1. „ჩემო ბიძიავ ბატონო ალექსანდრე! ამას წინათ იყო ჩემთან გიორგი ერისთავი[4] და მიამბო განწირულებითი მდგომარეობა საწყალის ტიხონისა[5] ბარათაშვილის სახლობისა და ესეცა მითხრა, რომ რაოდენთა-

---

[1] წერილი დაცულია საქართველოს სახელმწ. მუზეუმის გრ. ორბელიანის ფონდში № 71. პირველად გამოაქვეყნა ს. ხუციშვილმა („ლიტ. საქართველო“, 1941 წ. № 24).

[2] საბინინი გობრონ (მიხეილ) პავლეს ძე—ავტორი წიგნისა „საქართველოს სამოთხე“ რომელიც გამოიცა 1882 წ. პეტერბურგში.

[3] წერილი დაცულია საქართველოს მუზეუმის გრ. ორბელიანის ფონდში № 71.

[4] იგულისხმება გიორგი რომანის-ძე ერისთავი (1812—1891)—ატამანი.

[5] იგულისხმება სულხან (იგივე ტიხონ) გერმანოზის ძე ბარათაშვილი (1821—1866), ცნობილი ისტორიკოსი და სამხედრო პირი. დაიღუპა 1866 წ. სუხუმში, აფხაზეთის აჯანყების დროს.

შე თქვენ მიგიღიათ ქრისტიანობრივი მზრუნველობა შეწევნისათვის უსუ-
გეშოდ დაშთომილისა ქვრივ-ობლებისა მისისა. მოიმედე ვარ, რომ ამ
კეთილს საქმეში მეცა მყოფ თანამოზიარედ; და მის გამო მომირთმევია
ამ ჟამად სამი თუმანი. გთხოვ რომ გაუგზავნო საბრალოს ტიხონის
ქვრივსა.

ტიხონსა ვიცნობდი მე კარგად: მას უდროოდ დამიწებულსა, თავდა-
დებით უყვარდა საქართველო, რომლისა ისტორიას შესწირა თავისი სი-
ცოცხლე; მოკვდა საქართველოს ისტორიკოსი და საქართველომ ვერც კი
გაიგო სიკვდილი მისი! სამწუხაროა ესრეთი უმადლო მხვედრი კაცისა!

მეცა, ეს ორი კვირა არის, ვგდივარ ავადმყოფი, სევდა აშლილი: მახ-

საცა „საწერელი ზღვა უნდა“ და მე კოდაზე[1] პატარა წყاროს მეტი არა მაქვს.

მომირთმევია შენი რვეული, რომელშიც ჩაუმატე შენგან ნათქვამი სახელები და სხოლიოში შენ თვითონ განმარტე, ვინცა არიან იგინი.

შენი გ რ ი გ ო ლ ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი“[2].

18 ოქტომბერი 1869.

შემდეგი ორი წერილის ადრესატია ნიკოლოზ რევაზის-ძე ერისთავი, პოეტის დის შვილისშვილი, რომელიც პოეტს ძლიერ უყვარდა და ხშირად მამაშვილურ დარიგებას აძლევდა. ქვემომოყვანილი წერილები ნიმუშია გრიგოლ ორბელიანის სიყვარულისა და განწყობილებისა ახალგაზრდობისადმი, ადამიანის აღზრდისა და კეთილ გზაზე დაყენებისა, ოჯახის შექმნისა და ქვეყნის სამსახურისადმი. პოეტის მიერ გამოთქმულ შეხედულებათაგან ზოგიერთი დღესაც არ არის მოძველებული და მისი აღსრულება არვისთვის იქნება საზიანო. ამ აზრების მიხედვით არ შეიძლება ითქვას, რომ გრიგოლ ორბელიანი კონსერვატორი და ჩამორჩენილი ადამიანი იყოო, იგი მხოლოდ ზომიერების დამცველია და წესიერების მოყვარული და სხვათაც ამას ურჩევს:

„ჩემო გულით საყვარელო კოლა!

ეხლა, მგონია, იქმნები გულ დამშვიდებული. ახლისა, უცნობისა ცხოვრებისაგან აქამომდე აღელვებული, და მაშასადამე, მაქვს იმედი, რომ ამ ჩემს წერილსაცა წაიკითხავ მოსვენებით, ვითარცა ინსტრუქციასა:

1) განაგდე შენის ფიქრისაგან სამზღვარს გარე სეირნობა წლეულსა, რადგანაც არავითარიმე საჭიროება არ მოითხოვს ამას შენგან, თუ არა განუსჯელი, უჭაზრო, განსაკიცხავი მიბაძვა სხვათა ვილაებთაცა; ჯერ იყავ მანდა. სადაცა ხარ, და მერე, როდისმე, ზალრანიცა არცა შენ გაგექცევა.

2) დღესვე შეუდეგ გულის სიმაგრით ანგლიურის ეკონომიასა. ესე იგი, შენის წლის შემოსავლიდამ უთუოდ და უთუოდ უნდა გადაარჩინო $^1/_3$ მაინცა, თუ არა მეტი. რაც უნდა ცოტა გქონდეს მაინც ეს კანონი მაგრად უნდა დაიცვა: უნდა ყოველდღეს იფიქრო ხვალისათვის, თუ გსურს, რომ მოსვენებით იყოს მომავალში შენი ცხოვრება; მხოლოდ ამით შეიქმნები თავისუფალ ყოვლისაგან.

3) იმედი მაქვს, რომ შენი ცოლი, ჭკვიანი, კარგი, კეთილმშვიდობიანი, იქმნება ამაზე შენთანა ერთობ თანახმა; და თუ ეს პლანი ვერ აღსრულდა, უთუოდ შენ იქმნები დამნაშავედ.

4) ჭეშმარიტს ცოლქმრობის ბედნიერებას შეადგენს გულწრფელობა, თანხმობა, პატივისცემა და ესევე ყოველი არის მხოლოდ თვისება სიყვარულისა და ამათზე არის დამოკიდებული მშვიდობით ყოფნა ოჯახისა. და სადაცა ესენი არა მყოფობენ, იქ უთუოდ დაიბუდებს სული ბოროტი, ყოვლისა დამარღვეველი, კაცის სიცოცხლისა მომწამლავი.

5) ერთმა უთუოდ უნდა იცოდეს ჰაზრი, გულის წადილი მეორისა;

---

[1] გრ. ორბელიანის სოფელი ქვემო ქართლში.

[2] ალ. ორბელიანისადმი მიწერილი ოთხივე აქ მოყვანილი წერილი დაცულია საქართველოს სახელმწ. მუზეუმის გრიგოლ ორბელიანის ფონდში № 33.

არა რაიმე უნდა იყოს თქვენს შორის დამალული. თუ გინდათ, რომ თქვენი ცხოვრება იყოს ტკბილი, მშვიდობიანი, შეუშფოთველი!

ჰოო, ეს კი დამავიწყდა: ეორიანის დედაკაცისა.— თავისა, ყური დაუგდეთ; — მაგრამ კი ნურა რას დაუჯერებთ, თორემ გული წაგიხდებათ, გაგიჩირქდებათ.

აი ჩემი, დიდად ადვილი, ინსტრუქცია ცხოვრებისათვის; ეს როგორ უნდა გაგიძნელდესთ!

რასაკვირველია, შეიტყობდით საბრალოს ირაკლის[1], გრუზინსკის გარდაცვალებასა, 27 ამ თვისას: წავიდა, გაჰქრა ეს ოჯახიცა უბედურის გვარისა: მეც ეხლა მოველ შინ პანაშვიდიდამ, ხვალ ჩაასვენებენ სიონში და საღამოზე წაასვენებენ მცხეთას, სადაცა ორმაბათს, თერთმეტს საათზე, ჩვენცა მივალთ და დავასაფლავებთ, სადაცა მარხიან წინაპარნიცა მისნი. საბრალო ბატონის რძალი[2], ესეც მალე წასასვლელია საიქიოს ჩამწარებული სიცოცხლითა; საბრალო თამარ, საშინლად არის გალეული მწუხარებითა! დარჩნენ ორნი უღონო დედაკაცნი უპატრონოდ! დავით და ანნეტა[3] მოვიდნენ ამ საღამოზედ წინანდლიდამ.

სადაცა ამ ერთის კვირის წინად ჯვარსა გწერდით და სიხარულით ვჰსვამდით თქვენს სადღეგრძელოს, ახლა იქვე მიეგზავნეთ სატირლად! აი ამ სოფლის ამბავი ეს არის. ხან სინათლე, ხან სიბნელე.

ჩემ მაგიერ ჩამიპროშტე კარგად. მაგრად ჩახვევნითა ჩემი გულით საყვარელი პატარა ძალუა კატო[4] და იყოს ღმერთი მფარველი თქვენი, ამინ!

შენი მარადის ბედნიერების მსურველი გ რ ი გ ო ლ ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი.
30-ს აპრ. 1882.
თფილისით.

ჩემო საყვარელო კოლავ!

დღეს ვარვარა ილინიშნა[1] და გიორგი[2] მოვლენ ვლადიკავკაზს და არ

---

[1] ირაკლი (გრუზინსკი) ალექსანდრეს-ძე ბაგრატიონი (1827—1882) მეფე ერეკლეს შვილისშვილი.

[2] იგულისხმება ირაკლი ბატონიშვილის მეუღლე თამარი .დავით ჭავჭავაძის ასული.

[3] იგულისხმება დავით ალექსანდრეს ძე ჭავჭავაძე (1817—1884) და მისი მეუღლე ანა, ილია ბატონიშვილის ასული.

[4] კატო, ეკატერინე მიხეილის ასული ერისთავისა კოლა ერისთავის ახლად შერთული მეუღლე. კოლა ერისთავი.—წერილის ადრესატი, იყო უფროსი ვაჟი გრიგოლ ორბელიანის დისშვილის კატოსი, პოეტი ნიკოლოზ ბარათაშვილის დისა, რომელიც გათხოვილი იყო ახალგორში რევაზ ერისთავზე. თავისი დის ეფემიას შვილიშვილი კოლა (ნიკოლოზ) ერისთავი პოეტს ძლიერ უყვარდა. ეს ამ წერილებიდანაც ჩანს. ახალგაზრდობისას იგი ხშირად დიდ „ძია გრიგოლთან ცხოვრობდა თბილისში. პოეტის ბიოგრაფი გადმოგვცემს: გრიგოლ ორბელიანს „გულგრილად“ არ შეეძლო დილით მძინარეების დანახვა, თავის დის შვილიშვილს ნიკოლოზ ერისთავს, რომელიც ხშირად ნაშუალამევის სამ საათზე ბრუნდებოდა კლუბიდან, პოეტი ადრიანად აღვიძებდა ამ სიტყვებით:—„დიდო ერისთავო, ადექ, ნუ გძინავს, გამოიხედე, ღმერთი, ქადა-ჰურსა ჰყრის! ამ სიტყვებით დაუბრაზუნებდა ძაგრად ფანჯარას და მანამ არ მოეშვებოდა, სანამ არ გამოალვიძებდა“ („ცხოვრება და ღვაწლი გრიგოლ ორბელიანისა“, გვ 160, 1905 წ.).

ვიცი იქ შეისვენებენ თუ ხვალვე გამოვლენ. იმათთვის მინდა ორი ბალიჩა, კრაოტის წინ გასაშლელი. ვიყიდო, ესე იგი, შენ ამოარჩიო. შეურიგდე და ამავე ზახარკას[1] ხელით გამომიგზავნო და გამოაყოლო ბალიჩების პატრონიცა.

შიშით ველარ მომისვენია: ამ საშინელს ყინვაში როგორ გაბედეს მოსკოვიდამ გამოსვლა და ან მთას როგორ უნდა გადმოვიდენ. როგორც გიორგიცა იწერება, რომ мама очен слаба. მახლაზ!

შენი მარადის ერთგული და ბედნიერების მსურველი გ რ ი გ ო ლ ორ ბ ე ლ ი ა ნ ი..."[2]

10 იანვ. 1883 წ.

სერგეი მესხი

წინამდებარე მასალა — „გაზეთი „დროება" და სერგეი მესხი" — დაწერილია ამ უანგარო მოღვაწის გარდაცვალების გამო. ამიტომ ბუნებრივია, რომ წერილში მოექცა ამ შემთხვევასთან დაკავშირებით წარმოთქმული სიტყვებიც სხვადასხვა პირებისა. იგი იბეჭდება გაზეთ „დროებაში" გამოქვეყნებული ტექსტის მიხედვით (იხ. № 145. 149. 1883 წ.). მისი ავტოგრაფული ტექსტი არ შენახულა. მასალა კი სერგეი მესხის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესასწავლად საგულისხმო ცნობებს იძლევა და ამდენად მისი ამ კრებულში შეტანა გამართლებულად უნდა ჩაითვალოს. მით უფრო, მასში მოცემულია ქართული გაზეთისა და ჟურნალისტიკის ისტორიისათვის საჭირო მასალა, რომელიც იმავე დროს თვით სერგეი მესხის ცხოვრებისა და ღვაწლის ამსახველიც იქნება, რადგან მისი ნამდვილი ბიოგრაფია ამ ჟურნალისტიკის ისტორიის ერთი განუყოფელი ნაწილია.

სერგეი მესხი გასული საუკუნის გამორჩენილ ქართველ მოღვაწეთა შორის მიჩნეულია ნამდვილი ქართული პერიოდული პრესის მამამთავრად, პუბლიცისტად და პოლიტიკური მწერლობის მამად ჩვენში. ქართული ჟურნალისტიკის ისტორიაში იგი დარჩება ამ დიდი კულტურული წამოწყების როგორც ერთი ვეტერანთაგანი და შესაძნევ ფიგურად იმ ბრწყინვალე პლეადისა, რომელიც პროგრესულ გზაზე იდგა და მოწინავე აზრების გაერცელებისათვის იბრძოდა. დიდი რუსი რევოლუციონერ-დემოკრატი ნ. გ. ჩერნიშევსკი გაეცნო რა ჯერ კიდევ 60-იანი წლების ქართველ მოღვაწეთა საქმიანობას, ჟურნალ „სოვრემენნიკში" (1855 წ. № 7) წერდა: **„Все, что они пишут, заслуживает полного участия и одобрения как зародыш и залог более удовлетворительного развития тифлисской литературы в будущем"...**

ღრეს ყველასათვის ცნობილია თუ როგორ აფასებდა დიდი ლენინი ნ. ჩერნიშევსკისა და მის მიმდევარ 60—70-იანი წლების რუსეთის გამორჩენილ რევოლუციონერ-დემოკრატებს, რომელთაც დიდი გავლენა იქონიეს ამავე პერიოდის სახელოვან ქართველ მოღვაწეებზე. ამ მოღვაწეთა შორის იყვნენ: ილია ჭავჭავაძე, აკაკი და გიორგი წერეთლები, სერგეი მესხი, ნიკო ნიკოლაძე, კირ. ლორთქიფანიძე და სხვ., რომელთაც წარუშლელი კვალი გაავლეს ქართულ მწერლობას. საზოგადოებრივ აზროვნებასა და ეროვნულ გამანთავისუფლებელ მოძრაობას მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის პერიოდში და შექმნეს ნამდვილი რადიკალურ-დემოკრატიული იდეების მატარებელი პუბლიცისტური ლიტერატურა.

---

[1] ბარბალე ილია ბატონიშვილის ასული, ილია ორბელიანის მეუღლე გრიგოლის რძალი.

[2] გიორგი ორბელიანი ილიას ძე—გრიგოლის ძმისწული.

[3] გიორგი ორბელიანი ილიას ძე—გრიგოლის ძმისწული.

[4] წერილები დაცულია საქართველოს მუზეუმის გრ. ორბელიანის ფონდში.

სერგეი მესხის სამწერლო და საზოგადოებრივი მოღვაწეობიდან ყველაზე უფრო რელიეფური, ნაყოფიერი და ისტორიულიც მისი ჟურნალისტობაა, პირველი ნამდვილი ქართული გაზეთის „დროების“ რედაქტორობა. გ. წერეთლის მიერ პირველად 1866 წ. დაარსებული გაზეთი „დროება“ ყოველკვირეული იყო და, ცხადია, ეს „გაზეთი“ კი ჩაითვლებოდა სრულყოფილ პერიოდულ პრესად და არც ნამდვილ გაზეთად თავისი ხასიათითა და შინაარსითაც. ეს სრულყოფილობა გაზეთმა მოიპოვა მას შემდეგ, რაც მის რედაქტორად 1869 წელს მოწვეულ იქნა პეტერბურგის უნივერსიტეტიდან ახალ დაბრუნებული სერგეი მესხი.

სერგეი სიმონის-ძე მესხი დაიბადა 1845 წლის 24 ოქტომბერს (ახ. სტ.) ქუთაისის მაზრის სოფელ რიონში, იმ სახელმოხვეჭილ ქართულ ოჯახში, რომელმაც საშობლოს აღუზარდა ცნობილი ადამიანები: კოტე, ეფემია, ივანე და დავით მესხები. სერგეიმ 1863 წელს დაამთავრა ქუთაისის გიმნაზია, 1876 წელს კი პეტერბურგის უნივერსიტეტი — უფლებათა კანდიდატის ხარისხით და საშობლოში დაბრუნდა. თითქმის ორი წელიწადი დაჰყო ქუთაისში სახ. ქონებათა გამგებლობის მდივნად. მაგრამ ასეთი მუშაობა მის ბუნებას არ აკმაყოფილებდა. ის უფრო ფართო ასპარეზისაკენ მიიწევდა, როგორც დავით მესხი გადმოგვცემს, სერგეის ბევრი კარგი და თბილი ადგილი შეაძლიეს, მაგრამ მან ყველაზე „თბილად და ტკბილადაც“ მწერლობა მიიჩნია, და როგორც აღვნიშნეთ „დროების“ რედაქციას ჩაუდგა სათავეში.

14 წლის განმავლობაში არ მოსკილებია ს. მესხი თავის საყვარელ საქმეს — გაზეთის გამოცემას. მისი დაუცხრომელი შრომითა და ნიჭიერი ხელმძღვანელობის შედეგად „დროება“ მალე ყოველდღიურ გაზეთად გადაკეთდა და შეიქმნა ცენტრად, რომლის ირგვლივ თავს იყრიდა საქართველოს იმდროინდელი დემოკრატიულად მოაზროვნე ინტელიგენცია. გაზეთი „დროების“ გარშემო დაჯგუფდა ე. წ. „ახალი ახალგაზრდობა“; რომელსაც შემდეგში მეორე დასი ეწოდა.

მატერიალურად ცუდ პირობებში მყოფ გაზეთ „დროებას“ ს. მესხმა შეალია მთელი თავისი ახალგაზრდობა, ენერგია და ძალღონე. რედაქციაში თანამშრომელთა სიმცირის გამო, ყოველგვარ ტექნიკურ სამუშაოსაც თვითონ რედაქტორი—ს. მესხი ასრულებდა,— როგორც თვითონ ამბობდა თავისთავზე ერთ-ერთ თავის წერილში, — იგი რედაქტორიც იყო, განყოფილებათა ხელმძღვანელიც, სტილისტიც, კორექტორიც, ექსპედიტორიც და კიდევ ვინ მოსთვლის თუ რამდენ საქმეს ასრულებდა.

1883 წელს, ილია ჭავჭავაძის ჟურნალ „ივერიაში“ (№ 7 — 8) პ. უმიკაშვილი აღნიშნავდა, რომ ს. მესხი „14 წელიწადი გუნაგად ედგა ჩვენს მწერლობას. მას მიუტანა ს. მესხმა მსხვერპლად თავისი სიყმაწვილე, თავისი გონებისა და სხეულის ძალღონე, და ბოლოს პირველი და უკანასკნელი საუნჯე ყოველი კაცისა — თავისი ჯანის სიმრთელე“. გ. წერეთლის აზრით ასეთი მსხვერპლის შედეგი იყო ის, რომ იმ „ხანების საქართველოში არც კი მოიპოებოდა წერაკითხვის ისეთი მცოდნე, რომ სერგეი მესხის სახელი არ ჰქონოდა გაგონილი. 14 წლის განმავლობაში ამ ქველმოქმედმა კაცმა აუტანელი ჯაფით ატარა მაღლა ქართული ლიტერატურის დროშა“ („დროება“, 1883 წ. № 145).

და მართლაც, გარდა იმისა, რომ „დროება“ მეფის ცენზურის თვალის ასახვევად ძირითადად ვითომ სალიტერატურო გაზეთი იყო, იგი არც ერთ სხვა, მომენტისათვის საჭირო საკითხების გაშუქებას არ ერიდებოდა. პოლიტიკა, საერთაშორისო ვითარება, ეკონომიკა, სოფლის მეურნეობა, მემამულეთა და გლეხთა ურთიერთობა, ე. წ. საადგილმამულო ბანკები, ქალაქის თვითმმართველობა, ქართული თეატრი, ლიტერატურა, ქართული ენის დაცვა, სახალხო განათლება და კიდევ ვინ მოსთვლის თუ რამდენ სხვადასხვა საკითხებს აშუქებდა გაზეთი „დროება“, რომლის უმთავრესი თანამშრომლები იყვნენ ქართული მწერლობის მწვერვალები ილია და აკაკი, ქართული პუბლიცისტიკის ვეტერანები ნ. ნიკოლაძე, გ. წერეთელი და დავ. მიქელაძე, გამოჩენილი ქართველი პედაგოგი იაკობ გოგებაშვილი და სხვა ცნობილი მწერლები და ლიტერატორები, მათ შორის რაფ. და დავ. ერისთავები, ივ. მაჩაბელი, იონა მეუნარგია, პ. უმიკაშვილი,

ბეს. ჯაფარიძე, დავ. ჩქოტუა და სხვ., რომელთაც თავიანთი ენაგარი შრომით ისე გა-ნამტკიცეს გაზეთი, რომ მან შესძლო ათეული წლების მანძილზე შეუპოვარი ბრძოლა ეწარმოებინა შავრაზმელთა წინააღმდეგ, და მკითხველისათვის სისტემატურად მიეწოდებინა პროგრესიული, რადიკალურ-დემოკრატიული იდეებით გაჟღენთილი სხვადასხვა სახის მასალა.

ს. მესხის ერთი კერძო წერილის მიხედვით, მას გაზეთი რამდენიმე განყოფილებად ჰქონია დაყოფილი: მათ შორის აღსანიშნავია: რუსეთი, რომელსაც დავ. ჩქოტუა ხელმ-ძღვანელობდა და „უცხოეთის ქვეყნები — ბ. ჯაფარიძეზე მინდობილი; ილია ჭავჭავაძეს კი გარდა ფულადი დახმარებისა, კვირაში ერთი სტატია, ან მეთაური წერილი აღუთ-ქამს მისთვის, აკაკი ხომ „გაჭირვების ტალკვესი" იყო გაზეთისათვის.

საზოგადოებრივ აზრის დამკვიდრებასა და გაძლიერებაში საგრძნობი ამაგი აქვს გაღებული ს. მესხის გაზეთ „დროებას" და მასთან არსებულ ყოველთვიურ ჟურნალ-კრებულს, რომელსაც ნ. ნიკოლაძე, ს. მესხი და გ. წერეთელი რედაქტორობდნენ. მრა-ვალი სახის სხვა მას დამსახურებაზე არაფერი ვთქვათ. პირველად ამ გაზეთის ფურცლებიდან გაეცნო (1870—72 წ.) ქართველი მკითხველი მეცნიერული კომუნიზმის ფუძე-მდებლის კარლ მარქსის სახელს, პირველ ინტერნაციონალს და განსაკუთრებით კი პა-რიზის კომუნის გმირულ ბრძოლებს. „დროების" რედაქტორს ს. მესხს რუსეთისა და დასავლეთ ევროპის სხვადასხვა ქალაქებში საკუთარი კორესპონდენტებიც კი ჰყავდა ქართველი სტუდენტების სახით, რომლებიც სისტემატურად აწვდიდნენ „დროებას" 1871 წ. 18 მარტს პარიზში დაწყებულ აჯანყების დღიურსა და იმ მოწოდება-პროკლა-მაციებს, რომლებსაც კომუნარები უშვებდნენ. მაგალითად, 1871 წლის № 18-ში მოთავ-სებულია „რესპუბლიკის ლიგის" მოწოდება, ხოლო მე-20 ნომერში — პარიზის დამცველ ქალთა მგზნებარე პროკლამაცია, რომელიც შეუპოვარ ბრძოლისაკენ მოუწოდებდა პარიზის მუშებს.

1873 წ. ს. მესხი პირადად ესტუმრა ომგადახდილ ქალაქს და თავის შესანიშნავ წერილთა სერიაში, დაწვრილებით აღწერა პარიზის პარიკადებზე ჩატარებული ბრძოლე-ბი, პარიზელ მუშათა თავგანწირულობა და ცხოვრება.

მრავალფეროვანია ს. მესხის პუბლიცისტური მოღვაწეობა. **„ლაზარე მესხიშვილის", „ხოლოლაკელის", „მეკენჭეს", „ს. მ."** და სხვა ფსევდონიმებითა და პირდაპირი ხელმო-წერითაც ის მრავალ სტატიას აქვეყნებდა. 70-იანი წლების „საქართველოში" არ დარჩენილა არცერთი მეტნაკლებად მნიშვნელოვანი საკითხი, შემთხვევა თუ მომხდარი ფაქტი რომელსაც იგი არ გამოხმაურებოდა, რომლის გარშემო მას თავისი დინჯი, დაკვირვებუ-ლი, ჭკვიანური და მოწინავე აზრი არ გამოეთქვა. როცა 1878 წელს რუსეთის ძლევა-მოსილი იარაღის დახმარებით ქართველმა ხალხმა სამხრეთ საქართველოს მიწების ერთი ნაწილი დაიბრუნა, ს. მესხი ამ სახეობის მოვლენას საგაზეთო სტატიების სერიით გამო-ეხმაურა. მან თავის გაზეთში დაბეჭდა ერცელი ანგარიში იმ ისტორიულ მოვლენათა გამოწვეული ბანკეტისა, სადაც ყველა გამოჩენილი ქართველი მოღვაწე ესწრებოდა. დიმ. ყიფიანის, გრ. ორბელიანის, ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის და სხვათა გვერ-დით, ამ საკითხზე სერგეი მესხის დაკვირვებული და საგულისხმო სიტყვებიც გაისმოდა.

მისი აზრით, დროთა უკეთესობით განწირებული „ღვიძლი ძმების „შემოერთება ჩვენს ქვეყანასთან ღიღს და ძმის მოვალეობას სდებდა ჩვენს ე. წ. განათლებულ საზო-გადოებას".... რადგან სასტიკი რეპრესიების შედეგად გავრცელებული რელიგიური ფანა-ტიზმი ერთ-ერთი მთავარი ხელისშემშლელი მომენტი აღმოჩნდა ძმათა დაახლოების დროს. ამის გამო, — წერდა ს. მესხი, ყველა ქართველის სამღვთო მოვალეობას უნდა შეადგენ-დეს, ეცადნენ, რომ რჩევით, ჩაგონებით და სხვა საშუალებით" გაუღვიძონ მათ ეროვნუ-ლი თვითშეგნება... „ჩვენი მოქმედებით უნდა დარწმუნდნენ, რომ მათ შეუძლიანთ ცხოვრება ჩვენთან ერთადო". ამ განზრახვის შესასრულებლად ნიჭიერ პუბლიცისტს სტატიების ამავე სერიაში მრავალი პრაქტიკული ღონისძიება აქვს დასახული.

ამგვარად, სერგეი მესხის მოღვაწეობა ემთხვევა მე-19 საუკუნის სწორედ იმ პერი-

ოდს. როცა ქართველი ხალხის ერთ მთლიან ერად ჩამოყალიბების პროცესი მიმდინარეობდა, მათი ერთ მთელად შეკავშირების პროცესი საკმაოდ გაღრმავებული იყო.

ამ შეკავშირებაში როგორც ეკონომიური, ისე კულტურული ცხოვრების [illegible] ბისათვის ბრძოლაში შესამჩნევი წვლილი აქვს შეტანილი გაზეთ „დროებას", [illegible] გარო რედაქტორ სერგეი მესხს, ამ გაზეთის რედაქციის გარშემო დარაზმულ ცნობილ ქართველ მწერლებსა და პუბლიცისტებს. მათი ამ სახის ენერგიული ღვაწლი და ქმედითი ღონისძიებანი გაზეთის ყოველ ნომერში ჰპოებდა მკაფიო ასახვას.

სერგეი მესხმა საგულისხმო წერილების მთელი სერია მიუძღვნა სახალხო განათლების საკითხებს, მუდმივ დასასა და ქართული თეატრის განმტკიცებას, საზოგადოებრივ ცხოვრების აქტუალურ თემებს, გლეხთა მიწათმოწყობის საკმეებს, რუსი და ამიერკავკასიის ხალხთა ურთიერთ თანამეგობრობას, ლიტერატურას, ენის დაცვას და სხვა ყველა იმ მხარეს, რომელიც კი მაშინ ახალაფრიალებულ ეროვნულ განმათავისუფლებელი მოძრაობის დროშაზე ეწერა.

სერგეი მესხი ამ დროშის ერთი დამცველთაგანი იყო, რომლის აზრით, 70-იანი წლების საქართველო „ისეთ მდგომარეობაშია, რომ იმისათვის აუცილებლად საჭიროა, ყოველი ქართველი უწყობდეს ხელს საზოგადო საქმეების სწორ გზაზე დაყენებას. საზოგადოების ყოველი წევრი, თავისი შეძლების დაგვარად უნდა ცდილობდეს, რაიმე სარგებლობა და დახმარება უძღვნას თავის საზოგადოებას. ვინ არ იცის, რომ ეს დახმარება და სიკეთე მხოლოდ მაშინ იქნება შესამჩნევი და საგრძნობელი, როდესაც ყველანი ერთად, ძმურად მოინდომებენ იმას და ერთად იმოქმედებენ?" (ტ. 1, გვ. 700). დასასრულ ს. მესხი მოუწოდებს რა ქართველ ხალხს და მის ძველ და ახალ მოღვაწეებს მთლიანობისკენ, რომ მტერი საბოლოოდ იქნას დაძლეული „ორ ჭეშმარიტებას" ჰქადაგებს მათს გულში ჩასანერგად, რომ „1. საზოგადო გაჭირვებას საზოგადო დახმარება უნდა, 2. მომავალი ყოველთვის ახალგაზრდებს ეკუთვნის" (იქვე).

ახალგაზრდების მარადი მოტრფიალე ჩვენი დიდი მგოსანი აკაკი წერეთელი, რომელიც თავიდანვე იყო ს. მესხის ამაგის დიდი და გულისხმიერი დამფასებელი და მუდამ გვერდით ედგა მას საგაზეთო მუშაობაში, ერთს თავის საახალწლო მილოცვაში ს. მესხზე ასე ახასიათებდა:

ახლა შენთან ალავერდი,
კარგო მუშა, ჩვენო სერგო,
„ივერიის" და „დროების"
შემაერთებელო გვერგო!
უმადური ჯაფა, შრომა
არჩევანში წილად გერგო"...

ჩვენთვის ცნობილია, რომ სერგეი მესხის ეს „შემაერთებელი გვერგობა" ძირითადად ილია ჭავჭავაძესთან მეგობრობიდან მომდინარეობდა. 70-იანი წლების მიწურულში ილია ჭავჭავაძემ და ს. მესხმა გააერთიანეს გაზეთი „დროებისა" და ჟურნალი „ივერიის" გამომცემლობა და რედაქციები და ასე შეერთებული ძალღონით იბრძოდნენ პროგრესული შეხედულებათა გავრცელებისათვის.

გრიგოლ ორბელიანი, რომელიც ზოგ შემთხვევაში აკრიტიკებდა ილია ჭავჭავაძის, სერგეი მესხის და საერთოდ ახალგაზრდობის ამ ჯგუფის ზოგიერთ ნაბიჯს, დიდ ინტერესს უწევდა გაზეთ „დროებას". მას, ცხადია, არ მოსწონდა, რომ სერგეი მესხი ჯერ კიდევაც არ იყო კარგად დაუფლებული ქართულ სამწერლო ენას, რის გამო ? ფურცლებზე ხშირად პროვინციალიზმი იჩენდა თავს, მაგრამ იგი მაინც „ეძნობოდა „დროების" ძალასა და მნიშვნელობას და აღნიშნავდა ახლა რედაქციის ძეტი ვინღა დაგვრჩა ენის მფარველად. ჩემის აზრით, რედაქციას აქვს მოვალეობა, სასტიკი ყურადღება მიაქციოს ჩვენს მართლწერას, თორემ სრულებით უშედეგოდ დარჩება მისი ესოდენი ღვაწლი, მისი ესოდენი შრომა და მეცადინეობაო.

იმდროინდელი ერთადერთი გაზეთის რედაქციის მთელი ეს „ღვაწლი" და „შრომა"

სერგეი მესხის ზურგზე გადადიოდა. „დროების“ ყველა ნომერში, რაც კი სერგეის რედაქტორობით გამოსულა, თითო წვეთია ჩასხმული მისი არსებითის სისხლისა, ასე თითო წვეთად დაშრა, თავს შემოევლო და მტლად დაედო ჩვენს საზოგადო საქმეს“ წერდა დავ. კეზელი („დროება“, 1883 წ. № 114).

ეროვნული ბიბლიოთეკა

სარედაქციო მუშაობის ცუდმა პირობებმა საგრძნობლად შეარყია სერგეი მესხის ჯანმრთელობა; აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ ასეთ პირობებში მომუშავე ს. მესხი რედაქციის გარეთაც ახერხებდა მუშაობას. ის მათემატიკას ასწავლიდა თბილისის ე. წ. წმინდა ნინოს სახელობის ქალთა სასწავლებელში, და ამასაც იმიტომ, რომ გაეძლიერებინა სახსარი რედაქციისათვის.

ძნელია წარმოდგენა იმ მეტად მძიმე პირობებისა, რომელშიაც უხდებოდა მუშაობა იმ ხანების გაზეთის რედაქტორს და მით უფრო ქართული გაზეთისას. ისიც ცნობილია, რომ „დროებისათვის“ არც ერთი დაწესებულება არ იცხელებდა თავს, მას არავინ არ ეხმარებოდა. მთავრობა ხომ მტრულად იყო განწყობილი მასდამი. შეიძლება ითქვას, პირდაპირ ნიშანში ჰქონდა ამოღებული.

მომჭანცველმა შრომამ და ჯაფამ სერგეი მესხის ნაზ ორგანიზმში კარი გაუღო ტანჯვის შემპარავ სენს. დაავადმყოფებულმა ამაგდარმა 1883 წლის გაზაფხულზე დროებით დატოვა თავისი საყვარელი საქმე. „დროება“ საიმედო ხელს, ივანე მაჩაბელს გადაებარა და თვითონ სამკურნალოდ აბასთუმანს გაემგზავრა. ამ გამგზავრების წინ დღით ქართველმა საზოგადოებამ მას გულთბილი გამოსათხოვარი საღამო მოუწყო, სადაც მრავალი გულმხურვალე სიტყვა წარმოითქვა ღირსეულ მუშაკისადმი.

ამ საღამოზე წარმოთქმულ სიტყვებს შორის მეტად საგულისხმო და ჩვენი ჟურნალისტიკის ისტორიისათვის უთუოდ დასამახსოვრებელია სიტყვა თვით სერგეი მესხისა. იგი ეთხოვებოდა რა თავის საყვარელ საქმეს, თანამშრომლებს, მეგობრებს და საზოგადოებას, გულამაჩუყებლად აღნიშნავდა:

„თოთხმეტი წელიწადი განვაგებდი, ვმწყსავდი მე გაზეთს „დროებას“; თოთხმეტი წელიწადი განუწყვეტლივ, ჯერ კვირაში თითო ჯერ და მერე სამჯერ და ბოლოს თითქმის მუდამ დღე მე და ჩემი მკითხველი შევხვდებოდით ერთმანეთს და სხვა-და-სხვა ათას გვარ საგნებზე. ჩვენს ჭირზე და ლხინზე გვქონდა ლაპარაკი და მასლაათი.

ბევრი გაჭირვება გამოვიარეთ მე და ჩემმა გაზეთმა ამ ხნის განმავლობაში; ბევრი დაბრკოლება გვიხვდებოდა წინ; ბევრი განსაცდელი ვნახეთ; ახლანდელს დროში ყოველ გაზეთსა და ჟურნალს განსაკუთრებით ჩვენში, ბევრი დაბრკოლება ხვდება.

ამგვარი დაბრკოლების წინააღმდეგ მწერალს არაფერი არ შეუძლია. შაგრამ ხშირად ისეთი მხრიდან დაგვხვდომია დაბრკოლება, რომლიდანაც სრულიადაც არ იყო მოსალოდნელი.

ავად თუ კარგად, ყველა ამ დაბრკოლებას გადავრჩით და, როგორც იყო, დღევანდლამდის მოვიტანეთ.

და დღეს, ამის თქმა თამამად შემიძლიან, რომ მე ულაქო, შეუმწიკველელს, პატიოსან გაზეთს ვაბარებ ახალ რედაქციას.

ჩემი დამსახურება აქ ბევრი არაფერია: მე ვხედავდი, რომ ჩვენ გაჭირვების დროს ვცხოვრობდით, ისეთ დროს, როდესაც ჩვენს ხალხსა და ქვეყანას კეთილ-წარმატება ეჭირებოდა და მე, რამდენადაც სუსტი ღონე და ათასგვარი გარეშე და შინაური დაბრკოლება ნებას მაძლევდა, ვცდილობდი სწორი გზა ჩვენი საზოგადო ცხოვრებისა გამეკვლია და, ერთი

სიტყვით რამდენადაც შემეძლო, კეთილი სამსახური და ერთგულებ
არ მომეკლო ჩვენი ქვეყნისათვის.

ჩემი საქმე არ არის გავსინჯო, თუ რამდენად შევასრულე მე
ზრახვა, რამდენად სასარგებლოდ დარჩა ქართველ საზოგადოებისათვის
გაზეთისაგან კეთილი გზების ჩვენება, თუ რა ნაყოფი მოიტანა ჩემმ
ერთგულმა სამსახურმა და სხვ. ამის თქმა და გადაწყვეტა თვითონ საზო-
გადოების საქმეა.

**შეიძლება, რომ 14 წლის განმავლობაში ჩემს ხელში ბევრი რამ შესცოდა
გაზეთმა, იქნებ მრუდე გზაზედაც გარდაუხვია, იქნება ჯეროვნად ვერ შეას-
რულა ის, რაც უნდა შეესრულებინა რაც იმის მოვალეობას შეადგენდა.**

მაგრამ ორი რაიმეს თქმა კი თამამად შემიძლია და ამის თქმას მე
თავმდაბალ კაცს, კვეხნად ვერავინ ვერ ჩამომართმევს.

პირველი, რომ ერთგული ვიყავი იმ დიდი საქმის აღსრულებაში, რო-
მელიც ვიკისრე და, მეორე, რომ ბოროტ-განზრახვას. კერძო, პიროვნულ
რაიმე მიზანს ჩემს სალიტერატურო მოღვაწეობაში არასოდეს არ ჰქო-
**ნია ადგილი და ამ განზრახვით არასოდეს არ გადამიხვევია იმ გზიდან, რო-
მელიც მე, ჩემის სინდისით და გაგებით, სწორ და ნამდვილ გზად მიმაჩნია.**

ეს არის ჩემი აღსარება. არასოდეს არ მიყვარდა ჩემს თავზე. ჩემს პი-
როვნებაზე ლაპარაკი, მაგრამ დღეს, როდესაც უკანასკნელად ველაპარა-
კები და ვეთხოვები ჩემს მკითხველს, იძულებული შევიქენი. ეს ორიოდ
სიტყვა კერძოდ ჩემზედ, ჩემს პიროვნებაზედაც მეთქვა.

მაგრამ როდესაც გაზეთ „დროებაზედ" არის ლაპარაკი, არ შეიძლებ
არ მოიხსენიოს კაცმა ზოგიერთი სხვა პირებიც, რომელთაც ჩემზე მომე-
ტებული თუ არა, ნაკლები სამსახური არ გაუწევიათ გაზეთისათვის, რო-
მელთა უსასყიდლო, უანგარო შრომის წყალობით
გაზეთს დაიმის რედაქციასაც სული ედგა. ამთან
მშრომლებში მე დავასახელებ მხოლოდ უმთავ-
რესთა: თ. აკ. წერეთელი, პ. უმიკაშვილი, ალ. ყაზ-
ბეგი, თ. რაფ. ერისთავი, ი. მეუნარგია და ბევრ
სხვანი (ხაზი ჩვენია — ს. ც.).

უამათოდ მე და ჩემს „დროებას" ცხოვრება არ შეგვეძლო: მე ვიყავ
ლალა ჩვენი ახალგაზრდა გაზეთისა; ყოველთვის გაჭირვების დროს ეს
ნი, ჩემს გვერდით მდგომნი, მამხნევებდნენ, ხელს მიწვდიდნენ და ამნაი-
რად ერთად, ძმურად ვასრულებდით ჩვენს სასიამოვნოს, თუმცა მძიმე
ხშირად უმადურს და ათასგვარ დაბრკოლებით აღვურვილ მოვალეობას

ამათ რომ ჩემგან მადლობა ეჭირვებოდეს, დარწმუნებული რო არ ვ
ყო, რომ ესენი მხოლოდ საზოგადო საქმის ინტერესით მუშაობდნენ გა
ზეთში, — რასაკვირველია, აქ ამ გაზეთში, ჩემს უკანასკნელ სიტყვაშ
პირველი სიტყვა იქნებოდა ამათი გულითადი მადლობის გადახდა, მაგრამ
ვიცი, ამათთვის თავის ამხანაგისაგან მადლობა და სიყვარულის გამოცხ
დება არ არის საჭირო, — ამათი სახელმძღვანელო — საზოგადო სარგებ-

ლობის მოტანაა, და აქ კერძო პირის მადლობას არავითარი მნიშვნელობა არა აქვს; ამათთვის ისიც კმარა, როდესაც ყოველის მხრით ხედავენ და ყოველ ნაბიჯზე გრძნობენ, რომ ამათ შრომას, ამათ ლიტერატურულ მოღვაწეობას უნაყოფოდ არ ჩაუვლია ჩვენს საზოგადოებაში, იმათი შემწეობით ბევრი რიგიანი აზრი დათესა გაზეთმა ჩვენს ხალხში და ეს დათესილი აზრები ერთ დროს თავის ნაყოფს მოუტანენ ჩვენს ქვეყანას...

ეროვნული ბიბლიოთეკა

დღეს, ავადმყოფობის, დაუძლურების გამო, საუბედუროდ იძულებული ვარ, გაზეთი მივატოვო და გამოვესალმო ჩემს 14 წლის ნაამაგევ საყვარელ გაზეთსა და იმის მკითხველს.

ყველა გაიგებს — თუ რა გულით, რა გრძნობით უნდა ვეთხოვებოდე ამ გაზეთს, რომელსაც ჩემი ყმაწვილ-კაცობის ძალღონე, ჩემი ჭკუა-გონება და, ერთი სიტყვით, მთელი ჩემი არსება შევწირე...

ერთი რამ მანუგეშებს: ისეთი სანდო კაცების ხელში გადადის გაზეთი, რომელნიც, იმედია, ჩემზე უკეთ თუ არა, უარესად არ წაიყვანენ იმას, რომელნიც უკეთესს პირობებსა და გარემოებაში ჰკიდებენ გაზეთს ხელს და, მაშასადამე, უფრო გაუადვილდებათ იმისი რიგიანად და მართებულად წაყვანა („დროება", 1883 წ. № 85).

სერგეი მესხის ამ გრძნობიერ და საქმიან სიტყვას, იქვე უპასუხა მისმა ბროებითმა მემკვიდრემ, გაზეთ „დროების" მომავალმა რედაქტორმა, გამოჩენილმა საზოგადო მოღვაწემ და ჟურნალისტმა ივანე მაჩაბელმა. იგი კისრულობდა რა ამ მძიმე დავალებას, ნაძღვილი გულწრფელობით აღნიშნავდა:

„როდესაც ყოველ დილით მოგერთმევათ ხოლმე ახალ-ახალი ფურცელი გაზეთისა, მგონი, არას დროს არ დაფიქრებულხართ და არ მოგინდომნიათ შეტყობა, რამდენი წვალება და შრომა არის საჭირო ამ ერთი ფურცლის გამოცემისათვის, თან ჩაის შეექცევით, თან ზარმაცად კითხულობთ მოწინავე წერილებს, ახალ ამბებს, კორესპონდენციებს, ფელეტონს და ის კი არ იცით, რამდენი გრძელი წერილის გადაკითხვა დასჭირდა რედაქტორს, რომ თითო-ოროლა რიგიანი კორესპონდენცია ამოერჩია, ან „ახალი ამბისათვის" სამი სტრიქონი ამოეწერა. იყო, თუ არა გუნებაზე, მაინც-და-მაინც ან მოწინავე წერილი უნდა შეთხზა, ან ფელეტონი და ამასთანავე შიშში ყოფილიყო, რომელიმე კორესპონდენციამ, „დიფამაციის პროცესი" არ გამოიწვიოსო.

ნუ გგონიათ, რომ გაზეთის საქმე ყველგან ასე იყოს დაყენებული. ეს არის მხოლოდ ჩვენში. სადაც ხშირად გაზეთის შედგენა და კორექტურა ერთ კაცზედ არის მინდობილი, სადაც ბედ-შავ რედაქტორს ისეთი ბეგარა აწევს, რომ გლეხი-კაცის ბეგარა ღმერთმა შეარცხვინოს. გლეხ-კაცს ბეგარა წელიწადში ერთხელ, ორჯერ დაედება და რედაქტორს კი ყოველდღე. ეს ისეთი ბეგარაა, რომ ამირანის გულის პატრონიც კი ვერ აიტანს ამდენ ძიძგნას.

აი ეს უწყალო ბეგარა აწვა კისერზედ სერგეი მესხს, მთელი თოთხმეტი წლის განმავლობაში 1869 წლიდან მოკიდებული, როდესაც მან

მიიღო გაზეთი გიორგი წერეთლის ხელიდან, დღევანდლამდე. ეს ის დრო იყო, როდესაც მრავალ მკითხველს ყოველი ქართული წიგნი „ცისკარი" ეგონა, ფელეტონს მოწინავე წერილთან ვერ არჩევდა და ზეპირად მოყოლებული ქვემომდე ჩათვლით კითხულობდა, თუნდა კიდეც გაზეთს შუა წელში ხაზი ჰქონოდა გავლებული. და ამისთანა მკითხველთან უნდა ელაპარაკნა სერგეი მესხს მუდამ დღე პოლიტიკაზედ, მეცნიერებაზედ, უნდა შეემუშავებია ენა, უნდა ებრძოლა ყოველგვარ ზნეობრივსა და მატერიალურ შეწუხებასთან...

დამეთანხმებით, რომ ამდენი ჯაფის ატანა ამდენ ხანს არ შეუძლიან თვით უძლიერეს ადამიანსაც და ვერ აიტანა სერგეი მესხის ჯანმრთელმა ორგანიზმმაც და დღეს სრულიად ღონემიხდილი და ავადმყოფი ესალმება იგი თავის მკითხველებს. არ ვიცი, მკითხველო, შენ რასა გრძნობ, მაგრამ მე კი როდესაც ვკითხულობ მისუსტებული თითებით ძლივს-ძლივობით დაწერილ სიტყვებს:

„დღეს ავადმყოფობის და უძლურების გამო, საუბედურეოდ იძულებული ვარ გაზეთი მივატოვო და გამოვესალმო ჩემს 14 წლის ნაამაგევ საყვარელ გაზეთს და იმის მკითხველს," ტანში ჟრუანტელი მირბენს, კალამი ხელიდან მივარდება და მხოლოდ ეს სიტყვები მადგება ენაზე:

„გმადლობთ, წრფელის გულითა გმადლობთ, საზოგადოებისათვის წამებულო, ერთად-ერთი ქართული გაზეთის ერთგულო მოამაგევ"...

რისთვის იჭირებდაო საქმეს, იქნება თქვას ზოგიერთმა, რად შეალია სრული თავისი ყმაწვილ-კაცობა იმისთანა საქმეს, რომელიც დასაჩუქრების მაგივრად, ულუკმაპუროდ ისტუმრებსო მას. იმისათვის, რომ იმან იცოდა, რა ძლიერებაცა აქვს ყოველ-დღე, საქართველოს ყოველს კუთხეში მიგდებულს გაზეთს, იცოდა, რომ ეს საქმე საშვილიშვილო საქმე და უიმისოდ ვერ დამკვიდრდებოდა წარმატება, ვერ აღორძინდებოდა ის ძლიერი ჭახრაკი კაცობრიობის ისტორიისა, რომელსაც საზოგადოების ეზრს ეძახიან!

ჩვენა ვკიდებთ ხელს სერგეი მესხისაგან დატოვებულ გაზეთს, მაგრამ დღეს საზოგადოებასთან სალაპარაკოდ არა გვცალიან. ამ წერილით გვინდა მხოლოდ საზოგადოების წინაშე მივსცეთ პატიოსანი სიტყვა სერგეი მესხს, რომ მისგან უდროოდ დაობლებულს გაზეთს დედინაცვლობას არ გავუწევთ და, შეძლებისამებრ, ჭირში აღზრდილს, ბოლოს მაინც მხარულებას ვაჩვენებთ!" (იქვე).

ამ შემთხვევით კმაყოფილი ილია ჭავჭავაძე წერდა:

„ეს სალამო ს. მესხისა, რომელმაც თავისი ძალღონე და სიმრთელე შეალია საზოგადო საქმეს, ცხადად გვიმტკიცებს, რომ უმადურობა ჩვენი თვისება არ არის, რომ ჩვენ ვიცით პირუთვნელად მადლობის გადახდა საზოგადო ასპარეზზე მუშაობისათვის... მან, — განმარტავს ილია, — მთელი 14 წელიწადი ტანჯვით, ვაებით, უფულობით და ათასნაირი დამაბრკოლებელი გარემოებით თითქმის ერთმა კაცმა ატარა თავის მხრებ-

ზედ ეგ მძიმე ტვირთი გაზეთისა. საკმაოა კაცმა იცოდეს ეს და მაშინ ცხადი იქნება, რომ ბ-ნი მესხი ღირსად იცნონ იმ პატივისცემისა, რაც საზოგადოებამ აკუთვნა მას. ნუთუ 14 წლის რედაქტორობა ყოველგვარ „შავბედითის“ გარემოებით გარსმოხვეული თვალსაჩინო საქმე არ არის ყველგან და ნამეტნავად ჩვენში? ბ-ნმა მესხმა გაუძლო ყველა ამას და რომ ჯანის სიმრთელეს არ ემტყუნა, კიდევაც არ ჩამოეცლებოდა ამ მძიმესა და უმადურ საქმეს, როგორც რედაქტორობაა ჩვენში. არ ჩამოეცლებოდა იმიტომ, რომ გამოცემა გაზეთისა ჩვენში თუმცა წვალებაა და ტანჯვა, მაგრამ აუცილებლად საჭიროებაც არის ქვეყნისათვის“ („ივერია“, 1883 წ. №4).

ქართული აზროვნების კორიფეისა და მეორე დიდი რედაქტორის აქ მოყვანილი სიტყვები კომენტარს არ საჭიროებენ. მასში გარკვეულად ჩანს სერგეი მესხის ნათელი გონების დიდი მისია ერის წინაშე, რომ ულმობელ სენს მისი სიცოცხლე არ შეეკვეცა. ის ცოცხალი არ დაბრუნებულა აბასთუმნიდან, სადაც გარდაიცვალა 1883 წლის 2 აგვისტოს (ახ. სტ.). ამ ცნობამ მთელი ქართველი საზოგადოება შეაძრწუნა. აკაკი წერეთელმა ს. მესხის გარდაცვალებას მწარე განცდებით აღსავსე ორი ლექსი და ერთი სტატია უძღვნა. მათში გამოთქმულია ის აზრი, რომ „ჩვენს პატარა წრეს, დაკარგა დიდი მუშაკი, ის შეეწირა საშობლოს მსხვერპლადო.

თვითონ გაზეთი „დროების“ რედაქციამ, რომელსაც უკვე სათავეში ედგა ქართული კულტურის აღმავლობისათვის დაუცხრომელი მებრძოლი ივანე მაჩაბელი, თავისი სულის ჩამდგმელი, აღმზრდელი და გადია — უეროოდ გარდაცვლილი რედაქტორი სერგეი მესხი, ამგვარად დაიტირა:

„რ ე დ ა ქ ც ი ი ს ა გ ა ნ: დღეს, როდესაც სერგეი მესხის გვამი ჯერ კიდევ საფლავში არ ჩასვენებულა, სხვაზედ ვერაფერზედ ვახერხებთ ლაპარაკს, თუ არ იმ კაცზედ, რომელმაც ჩვენს გაზეთს ზედ შეალია თავისი ყმაწვილ-კაცობა და რომლის ცხოვრება მტკიცედ შეკავშირებულია „დროების“ ისტორიასთან. ჩვენი გაზეთი რომ ხორციელი ადამიანი იყოს და ყოველ ქამს მოუალეობად არ აწვეს საქვეყნო საქმეებზედ ზრუნვა, დღეს ცხარე ცრემლით უნდა ეტირნა ის კაცი, რომელსაც იმდენი ამაგი აქვს მასზედ, რასაც თავის დღეში მოსიყვარულე დედაც კი ვერ დასდებს თავის დეიისერთა საყვარელ შვილს. ჯერ კიდევ შორს არ არის ის დრო, როდესაც სერგეი მესხმა მკითხველებს გამოსალმებით მიმართა, ის გამოსალმება, რომელიც ჩვენ უკანასკნელ გამოსალმებად არ მივითვალეთ და მისთვის გამართულ სადილზედ ერთხმად ყველამ გამოვუცხადეთ სურვილი საქვეყნო ასპარეზზე კიდევ მშვიდობით დაბრუნებისა; ძაგრამ თითქო გულმა უგრძნო სერგეი მესხს და მის გამოსალმებაში ისმოდ ისეთი სიტყვები, რომელნაც პირდაპირ გულსა ხვდებოდნენ და გვანიშნებდნენ, რომ ეს გამოსალმება მართლა საუკუნო გამოსალმება იყო თავის საყვარელ მკითხველებთანაც და თავის ერთგულ გაზეთთანაც!

მაშინ, იმ გამოსალმების დროს, წარმოთქვა და დაიბეჭდა ძრიელი სიტყვა, რომელიც თვალწინ გვიხატავდა სერგეი მესხის თავგანწირულ, პატიოსან შრომას, დაღალულად, ფეხ-და-ფეხ მიდევნას და ბრძოლას ათას გაჭირვებასთან, მხოლოდ იმისათვის, რომ იმისგან ფეხზე დაყენებულ გაზეთს არაფერი გაჭირვება არ ეგრძნო-რა და ყოველივე ტანჯვა-წვალება, ამ გაჭირვებისაგან წარმომდგარი, მარტო ერთ კაცს თავზე დასტყდომოდა. ამდენი ხნის მოუსვენარი და უმადური შრომისათვის სერგეი მესხს ჯილდოდ ერგო მხოლოდ ის, რომ ახლა მთელი ქართველი საზოგადოება, რომელსაც კი კარგისა და კეთილისადმი თანაგრძნობა გულიდან არ გაქრობია, ჩვენთან ერთად გულწრფელად ამბობს:

საუკუნოდ იყოს ხსენება შენი პატიოსანო მშრომელო და საზოგადოებისათვის გულშემატკივარო მამულის შვილო („დროება“ 1883 წ. № 144).

საგულისხმო მომენტია ისიც, რომ ამ უდროოდ გარდაცვლილ ნიჭიერ ჟურნალისტ-მისტიროდა არა მარტო მოწინავე ქართველი ინტელიგენცია, არამედ გლეხები და მუშებიც. აბასთუმნიდან ზეკარით ქუთაისში გადმოსვენებულ ს. მესხის ცხედარს ამშვენებდა ერთი ლამაზი გვირგვინი წარწერით: „გლეხებისა და მუშებისაგან". „ბატონს" თავგანწირულს". ამგვარი გვირგვინების რიცხვმა ქუთაისში რამდენიმე ათეულს მიაღწია. ამაგდარი ცხედარი შესაფერი პატივისცემით დაკრძალულ იქნა მშობლიურ სოფელ რიონში, სადაც რკინის მოაჯირებშემოვლებულ ქვის უბრალო ნიშზე ამოკრეფილია სპეციალურად ამ შემთხვევისათვის დაწერილი აკაკის ლექსი. ამ ლექსში დიდი მგოსანი სამაგალითო მოღვაწესა და ხალხის ერთგულ შვილს უწოდებს ს. მესხს, რომელსაც „საფლავში ჩაყვა ნატვრის თვლად ხსნის იმედისა საგანი".

კარგა ხანია რაც ამაგდარის სანატრიონი და იმედი ხსნისა ხორცშესხმულია, სადაც ს. მესხის ბრწყინვალე სახელს მისთვის შესაფერი სახსოვარი აქვს დამკვიდრებული, თუმცა მისგან ეგზომ დავალებულ ქართველ მშრომელ ხალხს ამ სახელის პატივსაცემად კიდევ ბევრი რამ აქვს გასაკეთებელი. პირველ რიგში სერგეი მესხის ლიტერატურული მემკვიდრეობის ჯეროვანი შესწავლა, მისი ნაწერების მეცნიერულად დამუშავება და ტომებად გამოცემა. სერგეი მესხის სტატიების პირველი კრებული ჯერ კიდევ 1903 წელს გამოიცა, ხოლო პირადი წერილების ერთი ნაწილი — 1950 წელს; მაგრამ არც ერთი ეს გამოცემა, როგორც არამეცნიერული და ლიტერატურულად დაუმუშავებელი, დღევანდელი მკითხველის მოთხოვნილებას ვერ აკმაყოფილებს. საბჭოთა საზოგადოებრიობა ქართული ჟურნალისტიკის ამ გამოჩენილი ვეტერანის თხზულებათა ნამდვილ საბჭოურ, მარქსისტულ-ლენინური თვალსაზრისით გაშუქებულ გამოცემას მოელის.

ალექსანდრე ყაზბეგი

. ი. მეუნარგიას ალექსანდრე ყაზბეგის შემოქმედებაზე დაწერილი აქვს კრიტიკული ხასიათის სამი ნარკვევი. პირველი დაბეჭდილია 1881 წლის გაზეთ „დროებაში" (№ 269) „ელეოს" ხელმოწერით. ამ ფელეტონის სათაურია „საუბარი". როგორც ეს ამოდროინდელი პრესისათვის იყო ჩვეული, ამ სტატიაში მართლაც საუბარია სხვადასხვა საღეისო და საჭირბოროტო საკითხებზე, რის შემდეგ განხილულია გაზეთ „დროებაში" გამოქვეყნებული ალ. ყაზბეგის ცნობილი მოთხრობა „ელგუჯა", რომელსაც ავტორი მაღალ შეფასებას აძლევს.

მეორე სტატია არსებითად 1883 წ. ჟურნალ „ივერიის" № 1 გარჩევაა. იგი მოთავსებული იყო 1883 წ. გაზეთ „კავკაზის" № 44-ში, საიდანაც ამოღებულია მხოლოდ ის ადგილი, რომელიც ალექსანდრე ყაზბეგის მოთხრობა „ციკოს" შეეხება.

მეოთხე სტატია „მოძღვრის ვაჟი", ავტორის ხელმოწერით გამოქვეყნებული 1886 წელს გაზეთ „ივერიაში" (№ 91). ავტორი აქაც მაღალ შეფასებას აძლევს ალ. ყაზბეგის მრავალფეროვან შემოქმედებას, მისი სამწერლო პროფილეტიის სიუჟეტს, არჩევს რა განსაკუთრებით „მოძღვარს", როგორც ნიჭიერად დაწერილ მოთხრობას. აქვე უთითებს ზოგიერთ ნაკლოვანებასაც. ამ წერილში მოცემულ შენიშვნებს გამოუწევია ალ. ყაზბეგის ის პოლემიკური სტატია, რომელიც პირველად გამოქვეყნდა 1924 წ. ჟურნალ „კავკასიონში" (1—2) და შემდეგ მთლიანად შევიდა ალექსანდრე ყაზბეგის თხზულებათა მეხუთე ტომში (1950 წ. გამოც. 133 — 152). შესაძლებელია ი. მეუნარგიას ზოგიერთი დებულება ალ. ყაზბეგის ამ თხზულების მიმართ დღევანდელმა მკითხველმა ვერ გაიზიაროს, მაგრამ ამით სრულებით არ მცირდება ამ სტატიის მნიშვნელობა ქართულ ლიტერატურაში. ამ ფელეტონებს ალ. ყაზბეგის შემოქმედების ისტორიაში გარკვეული სინათლე შეაქვთ და ზოგიერთ მომენტში გადამწყვეტი მნიშვნელობისაც არის (ვგულისხმობთ ერთ დროს საგანგაშოდ ქცეულ ყაზბეგის ავტორობის საკითხს). მხედველობაში მისაღებია, რომ ი. მეუნარგიას ეს სტატიები პირველი კრიტიკული სიტყვაც იყო, რომელშიც ალ. ყაზბეგის მხატვრული შემოქმედების ნიმუშები მაღალ შე-

ფასებას იღებენ და ქართული ბელეტრისტიკის შენაძენად არიან შერაცხილნი. ამ სტატიების ერთგვარი ღირსება ისიც არის, რომ მასში მოცემულმა კრიტიკულმა შენიშვნებმა მგზნებარე ტემპერამენტის გულზვიადი მთიელი რამდენადმე გაანაწყენეს, მაც გამოიწვია ალ. ყაზბეგის დასახელებული პოლემიკური სტატია, რომელშიც საკმაო ვრცლად და ნათლად წარმოგვიდგება მწერლის შემოქმედებითი ლაბორატორია, თანაც ამ წერილში გარკვეულად ჩანს ალ. ყაზბეგი — ერუდიტი, ნიჭიერი მწერალი — პუბლიცისტი და პოლემისტი.

საგულისხმოა, რომ ალ. ყაზბეგის დასახელებული პოლემიკური სტატია „ბატონი მეუნარგიასაგან „მოძღვრის" წერილის გამო", ავტორს პრესაში არ გაუტანია, მის ნაცვლად ი. მეუნარგიასადმი თითქმის იმავე შინაარსის კერძო წერილით მიუმართავს, რომელშიც სტატიის ცხარე კილო და უმართებლო ტონი შენელებულია (იხ. ალ. ყაზბეგი, ტ. V. გვ. 216). აქ ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ არც ეს უკანასკნელი ბარათი მისულა ადრესატამდე. როგორც ჩანს, ავტორს ესეც გაუფიქრებია და ამგვარად, ორივე ეს წერილი მის ქაღალდებში დარჩენილი, მხოლოდ ჩვენს დროში გამომზეურდა.

რაც შეეხება ი. მეუნარგიას კრიტიკულ სტატიებს, მათი ავტოგრაფები არ შენახულა. პირველი იბეჭდება „დროების" (1881 წ. № 269) ტექსტის მიხედვით, მეორე როგორც უკვე აღვნიშნეთ, გაზეთი „კავკაზიდან "(1883 წ. № 44) არის გადმოთარგმნილი, მესამე კი — „იბერიაში" (1886 წ. № 91) გამოქვეყნებულ ტექსტს წარმოადგენს.

ნიკოლოზ გიორგის-ძე დადიანი

იბეჭდება ჟურნალ „მოამბეში" (1896 წ. № 4 და 5) მოთავსებული ტექსტის მიხედვით. იგი წინასიტყვის სახით წამძღვარებული აქვს ნიკო დადიანის საკანონმდებლო თხზულებას „დასტურლამა",[1] რომელიც, ავტორის განმარტებით, შედგენილია სამეგრელოს მთავრის ლევან გრიგოლის-ძე დადიანის სახელმძღვანელოდ 1818 წ. აგვისტოს 29-ს სოფ. მურს. ეს წიგნი ერთგვარი კრებულია კოდექსებისა, რითაც უნდა ეხელმძღვანელა ოდიშ-ლეჩხუმ-აფხაზეთისა და სვანეთის მფლობელს, როგორც მაშინ გავლიადებულად იწოდებოდა დადიანი ლევან მეხუთე.

ამასთანავე იგი ერთ-ერთი საყურადღებო ძეგლია ქართული სამართლის ისტორიაში.

ნიკო დადიანის მეორე დიდ თხზულებად ითვლება საქართველოს ისტორია, რომელსაც ავტორი „ქართველთა ცხოვრებას" უწოდებს. ამ შრომის პირველ ნაწილში მოცემულია საქართველოს ისტორია, ძალიან შემოკლებით, რომელიც მოყვანილია საქართველოს სამ სამეფოდ გაყოფამდე — 1469 წლამდე; მეორე ნაწილში კი რუსეთთან შეერთებამდე და შეერთების შემდეგ 1823 წლამდე. განსაკუთრებით ვრცელია დასავლეთ საქართველოს და კერძოდ, სამეგრელოს ისტორია. ეს შრომა პირველად გამოაქვეყნა ილია ჭავჭავაძემ, რომელიც სქოლიოში აღნიშნავდა: „ჩვენ ამ თხზულებიდან ამოვიღეთ მხოლოდ იმ დროთა ამბავი, რომელიც დაიწყება 1784 წ. და თავდება 1823 წლით. ღირსსაცნობავ დავინახეთ ესა მით უფრო, რომ ნიკოლოზ დადიანი, რასაც მოგვითხრობს ან თვით გაუგონია ან თვით ენახავსო" („იბერია", 1877, № 5 — 17)[2]. ამასვე აღნიშნავს თვითონ ავტორიც შრომის შესავალში: „პირველი სოლომონ მეფეთამ დაწყებული ვიდრე აქამომდე.— წერს იგი.— და ეს შემდგომნი ამისა წარწერილნი ისტორიანი ანუ მოთხრობანი ქართველთა და შემდგომთა მისთანი, ჯერეთ არღა აღწერილ არიან, არცა ძველსა და არცა-ღა ახალსა ქართველთ ისტორიასა შინა, ვინათგან არა იყო ჯერეთ საქმენი ესე ნამყოსრულად, ამისთვის მე თანა-მდებად შევრაცხე თავი ჩემი ვითარცა შეულმან მამულისამან, და ესე შემდგომნი მოთხრობანი

---

[1] ცალკე წიგნად იქნა ამობეჭდილი, 1897 წ.

[2] 1880 წ. ჟურნ. „იბერიის" № 7—8-ში გამოქვეყნებულია აგრეთვე ამ ნაშრომის წინა თავები.

ანუ ისტორიანი, რომელნიმე სმენილნი და რომელიმე თვით ჩემგან ხილულნი ალვა[illegible] სახსოვრად და სასარგებლოდ ყოველთა მოყვარეთა მეისტორიეთასაო"...

ამგვარად ნაშრომის ეს მეორე ნაწილი „ქართლის ცხოვრების" ერთგვარი გაგრძელებაა, რომელშიც მოთხრობილია უახლოესი პერიოდის ამბები საქართველოს [illegible] რებისა.

ამ შრომისა და მისი ავტორის შესახებ აკად. სიმონ ჯანაშია აღნიშნავდა, რომ „ქართული ისტორიოგრაფიისათვის ნიკო დადიანი უკვე იმითაც არის ძვირფასი, რომ ის ერთადერთია ძველ ქართველ ისტორიკოსთა შორის, რომელიც წარმოშობით დასავლეთ საქართველოს ეკუთვნის... ავტორი როგორც „შვილი მამულისა", არის „ქართველთ ისტორიის", და არა განთვითებული პროვინციელი თავგადასავლის მწერალი. სამეგრელოს სამთავროს ამბები, — შედარებით უფრო ერცლად მოთხრობილი ჰმიტომ, რომ მათ ავტორი უკეთ იცნობს, არც კი არის გამოყოფილი საერთო თხრობიდან დასავლეთ საქართველოს ვითარების შესახებ მე-18 ს. მეორე ნახევარსა და მე-19 საუკ. პირველ მეოთხედში, ე. ი. იმ ნაწილში, სადაც ავტორი [illegible] სებით ორიგინალურია".[1]

ნ. დადიანის აღნიშნული შრომა მთლიანად ჯერ არ გამოქვეყნებულა. ცალ-ცალკე ადგილები — კი. განსაკუთრებით მეორე ნაწილი, როგორც აღვნიშნეთ, გამოქვეყნდა „ივერიაში", ექვთიმე თაყაიშვილის ხელნაწერთა აღწერებში[2] და სარგის კაკაბაძის კრებულში[3]. ხელნაწერები დაცულია საქართველოს სახ. მუზეუმში (S-1738,9) და ზუგდიდის ისტ. ეთნ. მუზეუმში. საქართველოს სახ. მუზეუმში დაცული ეგზემპლარი „ქართველთ ცხოვრებისა" შეიცავს 316 გვ. 4 სხვადასხვა ხელით გადაწერს 1834 წელს — ერთი თვით ადრე ავტორის გარდაცვალებისა (25 თებ. 1834). წიგნი, როგორც ამბავნიშნავ დავით ბუაძის მინაწერი გვაძცნობს, გადაწერილია აფხაზეთის არქიმანდრიტ ანტონისათვის, რომელიც დადიანთა გვარისა იყო და ნიკოს ნათესავი. ეს იგივე ხელნაწერია, საიდანაც ადგილები გადაუბეჭდიათ „ივერიაში". ამის კვალი ჩანს წიგნის ბოლოებზე ფანქრით მიწერილი შენიშვნების სახით.

მეორე (S ფ. 9) ხელნაწერი 269 გვერდისაგან შედგება და იგივე ტექსტს შეიცავს. გადაწერილია მღვდელ ლაზარე ლომაიას მიერ. ეს ხელნაწერი აღწერილი აქვს ექვთიმე თაყაიშვილს (Описание I ტ):

მესამე — ზუგდიდის მუზეუმში დაცული ეგზემპლარი, გადაწერილია ვინმე მღვდელ გიორგის მიერ 1822 წ. აღნიშნული ეგზემპლარი ყველაზე სუფთა და ლამაზი კალიგრაფიული ხელით არის შესრულებული. შეიცავს 368 გვ. ტექსტის ზომა 17×11. ნაბეჭდია ყდაში. აქვს ასეთი მინაწერები: „ნიკოლაი გიორგის ძე დადიანოვის პირველისა პოლკოვნიკის და კავალერისაგან, განახლებით ქმნილი ისტორია, რ-ლსა ეწოდების „ქართველთ ცხოვრება": წელსა დასაბამითგან სოფლისა 7337, ს-ლო განხორციელებისგან სიტყვისა ღ-თისა, 1829, თვესა ივლისს 20 (რიცხვები ხეცური. ასომთავრული არის — ს. ც.). ამ მინაწერიდან დგინდება ნაშრომის დამთავრების თარიღი — 1829 წ.

იმავე გვერდზე წიგნს აქვს გვიანდელი მინაწერიც: „კნიაზ ალექსანდრე დადიშელიანი, პირველი, რომელსაც აქვს ხუთასი მანეთი ხელმწიფე იმპერატორის პენსია მოუკლებელი. 1845 წელსა, 30-სა ნოემბერს".

წინასიტყვაობის ქვეშ გადამწერს მიუწერია: „აღვწერე მე მღვდელმან გიორგიმ [illegible] გვეღირებით მხილველთა ძოხსენებასა"...

ნიკო დადიანს დაწერილი ჰქონია აგრეთვე მემუარული ხასიათის ნაწარმოები, რომელის შესახებ თვითონ წერს, რომ „ყოფნასა ოემსა როსიად ანუ სხვათა ადგილებთა ძ[illegible]

---

[1] მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის 1939 წ. ნაკვ. III, გვ 41—2.

[2] Описание рукописей общества расп. грам. среди груз. населения т. I, 1902 г.

[3] იხ. წერილები და მასალები საქართველოს ისტორიისათვის წ. I, 1914 წ. გვ. 80—89.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოელასა ჩემსა თუ, რაი იგი მიხილავნ საკვირვონი, ანუ დიდება, ანუ საქებელი, ანუ სხვადასხვა სახილავნი... ვისაც აქვს სურვილი ამის შეტყობისა და სმენისა, იხილოს ჩემს მიერ აღწერილისა მიმოვლასა შინა, რომელსა ეწოდების „მიმოვლაი ნიკოლოზ დიანოვისა"...[1] აკად. ს. ჯანაშია ადასტურებს, რომ ნიკოს „სხვათა შორის დაუწერია „მიმოვლა", თავისი მოგზაურობის აღწერაო"...[2] მაგრამ ეს თხზულება, რომელშიც ავტორს დაწვრილებით ჰქონია აღწერილი რუსეთში მოგზაურობა, პეტერბურგი, მოსკოვი, უკრაინა და ყირიმი, თბილისი, ქართლი და სხვა, და რომელიც კარგა მოზრდილ ნაშრომს წარმოადგენდა, ჯერჯერობით აღმოჩენილი არ არის. საჭიროა ამ ფრიად საგულისხმო ისტორიული ძეგლის დაძებნა ჩვენს არქივთსაცავებში.

საქართველოს სახ. **მუზეუმში** დაცულია (S—291) აგრეთვე ლამაზი, კალიგრაფიული ნუსხა ხუცურით შესრულებული ხელნაწერი „ქადაგებანი" ანტონ ჭყონდიდელისა და ნიკო დადიანისა.[3] წიგნს წამძღვარებული აქვს ნიკოს წინასიტყვაობა, სადაც ის აღნიშნავს, რომ ამ კრებულში მოქცეული ქადაგებანი — 5 თავი დაწერილია მისგან, დანარჩენი ორი-კი თქმულია ანტონი ჭყონდიდის მიტროპოლიტისა ოტია დადიანის ძის მიერ. ამიტომ იყო, რომ უფრო გვიან, ახალი დროის მწერალი ნიკო ტარიელის-ძე დადიანი თავის ერთ-ერთ პუბლიცისტურ წერილში აღნიშნავდა, რომ „ანტონ ჭყონდიდელი, გიორგი ჭყონდიდელი და ნიკო — ეგრის მესჯულენი, ქადაგნი მწერალნი და წარჩინებულნი იყვნენო".[4]

აღნიშნული ქადაგებანი გადაწერილია 1826 წლ. 28 დეკემბერს და მიძღვნილია არქიმანდრიტ გიორგისადმი.

ნიკო გიორგის-ძე დადიანს (I) 1818 წელს შეუდგენია „ქართული გრამატიკა ერმანთათვის დაწერილი". იგი, 1821 წელს გადაწერილი გრიგოლ ბერის მიერ, დაცულია აკად. ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ყოფილ საეკლესიო ძველ ხელნაწერთა ფონდში (№ 1019).

ნიკო ხანდახან ლექსის წერასაც ეწყობოდა. ერთ მისს შაირს ასახელებს აკად. ს. ჯანაშია.[5] ხოლო მისი მეორე ლექსი იამბიკური წყობისა — მიწერილი ბეგლარ ორბელიანისადმი — შეტანილია გ. თ. აგიაშვილის ალბომში[6]. ბეგლარ ორბელიანი იყო 1812 წელს ნიკოსთან ერთად ფოთის აღების მონაწილე. იგი ერთ-ერთ მოქმედ გმირად ყოფილა გამოყვანილი რუს მწერალ დ. მორდოვცევს რომანში „ამირანის შვილები"[7]. იგი იყო ძმა აგრეთვე გენერ. დიმიტრი ზაქარიას-ძე ორბელიანისა, რომელსაც კიდევ ხელა წ-

---

[1] იხ. ნ. დადიანი, „ქართველთ ცხოვრება".

[2] მასალები, 1939 წ., ნ. III, გვ. 41.

[3] ნიკო დადიანი ამ წიგნის გადამწერი კი არ არის, როგორც ეს აღნიშნული აქვს ტრ. რუხაძეს (იხ. ძველი ქართული ლირიკის ისტორიიდან გვ. 166), არამედ თანაავტორია და რედაქტორი.

[4] „ივერია" 1887, № 39.

[5] მასალები, 1839, წ. III, გვ. 41.

[6] საქ. ლიტ. მუზეუმი. № 70/2. სამწუხაროდ, ტრ. რუხაძემ, მკითხველს ვერც ერთი ნიმუშიც ვერ უჩვენა ნ. დადიანის ლირიკიდან, გარდა ს. ლეონიძესთან პასქვილურ-პოროგრაფიული გაშაირებისა. მანვე ერთი ფაქტიური შეცდომაც დაუშვა ნ. დადიანის პეტერბურგიდან დაბრუნების მარშრუტის ჩვენებაში. ნაჩვენები უნდა იყოს: პეტერბურგი, მოსკოვი, მალოროსია, ყირიმი, ხობი და არა ხოფა. ეს უკანასკნელი ლახეთშია. ხობი კი მდებარეობს ყულევთან (რედუტ-კალე) ახლო, ყულევი კი უწინ ნავთსადგური იყო და იქიდან პატარა ნავები დადიოდნენ დაბა ხობამდე.

[7] იხ. ჟურნ. „მოამბე" 1897 წ. № 10, 12, 1898 წ. №1—6.

[8] ტრ. რუხაძე შეცდომით წერს, რომ ეს ბეგლარ (იგივე პეტრე) ზაქარიას ძე ორბელიანი ძმა იყო დიმიტრი ზაალის ძე ორბელიანისა (მამა პოეტის გრიგოლ ორბელიანისა). ჯერ ის, რომ ზაქარიას ძე ზაალის ძის ძმა ვერ იქნება. მეორედ ის, რომ გრ. ორბელიანის მამა დიმიტრი (იგივე ზურაბი) ნიკოლოზის ძე იყო და არა ზაალისა და არც ზაქარიასი.

ლად ფოთის გმირი გამხდარიყო 1828 წ. ნიკოს ორივე ძმასთან ჰქონდა [illegible] ურთიერთობა, როგორც ეს დასახელებულ ალბომიდან ირკვევა.[1]

ნიკო როგორც მოქალაქე და სახელმწიფო მოღვაწე, ჯერ კიდევ მამამისი [illegible] ში გამოჩნდა ასპარეზზე, როგორც ნიჭიერი მხედარი და საზოგადო მოღვაწე. [illegible] გი დადიანი, ძმა მთავრის კაცია მეორისა (1744 — 1788) მონაწილე იყო ისტორიული [illegible] რუხის ომისა (1780); ამ ომის დამსწრე მგოსანმა ბესარიონ გაბაშვილმა (ბესიკი) გიორ- გის პორტრეტი ამგვარად დაგვიხატა:

....გიორგისგან განახლეჩითა კაცთა იდგა სისხლის ტლაპნი,
მისძახდიან: თქვენცა იცით, ასე გვწვრთნიდნენ მამაპაპნი...
მარდი, სწრაფი, მკვრელი ხმლისი, გამკვეთიცა ალმასისი,
სახით ამო, საწადისი და სახელით მხედრებს ისი!...[2]

სახელი, მხედრობა, წრთვნა და „სახით ამობა"[3] არც ახალგაზრდა ნიკოს აკლდა. [illegible] ლირსეული მემკვიდრე იყო სახელოვანი მამისა, რომლის გარდაცვალების (1799) შემ- [illegible] ეგ მის თანამდებობას იკავებს.

მას ზედმეტ სახელად „დიდი ნიკოს", ან პირველს ეძახდნენ, რომ ამით ის გაერჩიათ [illegible] ოდ განსხვავებიათ) დანარჩენ მის თანამეგვარე სეხნიებიდან (ნიკოლოზ ოტიას-ძე, [illegible] ამისი შვილიშვილი ნიკო გიორგის-ძე შეფელი, ნიკო ბესარიონის-ძე — თვით დიდი ნი- კოს შვილიშვილი, ნიკო ტარიელის ძე — მწერალი; ნიკო დავითის ძე — მინგრელსკი [illegible] და სხვ.).

სარდალ-მსაჯულთ უხუცესი, ეპაღლესი მრჩეველი, ვეზირი, კანონმდებელი და გამ- გებელი სამთავროსი, დიპლომატიური მისიების ხელმძღვანელი, რუსეთის გენერალ-მაიო- რი და კავალერი ორდენებისა, თურქთა საოკუპაციო ასკერების წინააღმდეგ დაუცხრომ- ელი მებრძოლი და პატრიოტი, რუსეთთან ურთიერთობის განმტკიცებისათვის ენერ- გიული და წინდახედული მოკმედი — ნიკო დადიანი, როგორც ზევითაც აღვნიშნეთ, [illegible] ალმოთაც ემსახურებოდა შშობლიურ ხალხს. ის იყო დროის შესაფერად განსწავლული [illegible] და განათლებული ადამიანი, მცოდნე ისტორიის, ფილოსოფიის, პოლიტიკისა, დიპლო- მატიისა, ქართულ-რუსულ-აფხაზურ და თურქული ენებისა. ჯერ კიდევ მამამ- [illegible] ცოცხლეში დაწინაურდა ახალგაზრდა ნიკო სამთავროს კარზე, როგორც [illegible] ეზარიანი მსაჯული, რომელიც არც სამხედრო ნიჭს იყო მოკლებული. ამის დასტურად [illegible] ინიც კმარა, რომ გარდაიცვალა თუ არა 1799 წელს მამამისი სარდალი გიორგაძის ა-

---

[1] ამავე ალბომში მოთავსებულია აგრეთვე: 1 „გაენათის არქიმანდრიტის ბარათი ნიკო დადიანისადმი, სადაც ეს უკანასკნელი იხსენიება, როგორც სიბრძნის მოყვარე, გა- ნათლებით გამშვენებული და ყოვლით სრული. 2. ნიკო გიორგის-ძე დადიანის („შეფელის) ორი ლექსი თეიმურაზ აგიაშვილისადმი. ეს მეორე ნიკოლოზ გიორგის-ძე იყო შვილის- შვილი ნიკო ოტიასძისა, ნაბერალისა, რომელიც იყო ბიძა დიდი ნიკოსი, მწერლისა, იგი ესახლა ქვაშიბორში, მისი ერთადერთი ქალი მენიკი დანიშნა აფხაზეთის მთავარმა მიხეილმა, რომელიც მალე განშორდა მას. 3. ნაბერალ ნიკო ოტ-ას-ძე დადიანის წერილი იმავე აგიაშვილისადმი. წერილი ამჟღავნებს ავტორის განათლებასა და ნაკითხობას და 4. დიდი ნიკოს შვილის-შვილის კოწია გიორგის-ძე დადიანის შაირი—გამოცანა მიძღ- ვნილი პეტლაგია წერეთლისადმი. ამ კოწიას შესახებ ალნიშნავს აკად. ს. ჯანაშია, რომ „ჩვენთვის ცნობილიაო ორი მისი პოემა: „ყანშაუბეი" („ივერია" 1883, № 3) და „სპარ- სეთის მეფე და ქართველი ტყვე" (ტფ. 1898), ამას უნდა დავსძინოთ აგრეთვე კიდევ ორი შშვენიერი პოემა: „არემა ქართველი" („მწყემსი" 1897 წ. № 27), „ქებაბახან" (ქუთაისი 1897 წ.) და რამდენიმე ლირიკული ლექსი ქართულ პერიოდიკაში გაბნეული და დაუ- ბეჭდავ ლექსთა კრებულები (დაცულია ჩვენთან). აქვე უნდა აღენიშნოთ ისიც, რომ ძმა კოწიასი, დავითი (ნოღელი)—მწიგნობარი და პოეტი, ავტორია რამდენიმე დიდი პოე- მისა („რუხის ომი", „მარტვილი", „ასპინძის ომი", „მარიამ მეგვიპტელი") და ლირი- კული ლექსებისა. (იხ. „ლიტერატურა და ხელოვნება", 1946 წ. № 18).

[2] ბესიკი „რუხის ბრძოლა".

[3] ნიკოს ფერწერითი პორტრეტი თედო ჟორდანიას უნახავს ქართლში, სოფ. ტირ- ძნისში ბ. სულხანიშვილის სახლში (იხ. ანტ. ჭყონდიდელის ქადაგებანი, გვ. 5).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვალს უყოყმანოდ აკისრებენ ნიკოს, რომელიც მაშინ 40 წლის ვაჟკაცი ყოფილა[1], როგორ-ამას ერთი ხელნაწერის მინაწერი გვამცნევს (ზუგდიდის მუზეუმი). მას შემდეგ ნიკოს „ეროვ-ის ცოცხალი იყო, თავისი დაკვირვებული და ენერგიული ზრუნვა არ მოუკლია „სამეგ-როსათვის. მთავრების,— ჯერ გრიგოლისა (1788 — 1804) და შემდეგ ლევანის (1804 — 1840) დროს ის იყო, „სამეგრელოს პოლიტიკის მთავარი ხელმძღვანელი. 1805 წ. ის მეთაურობდა სამეგრელოს დეპუტაციას, რომელიც პეტერბურგს წავიდა გრიგოლ და-დიანის გარდაცვალებით გამოწვეულ მდგომარეობის გამო და, რომელმაც გრიგოლის-ძეს, ლევანს, მოუპოვა იმპერატორის სიგელი მთავრად დამტკიცების შესახებ".[2] ლე-ვანის დროს კი იგი „მარჯვენა ხელი იყო მთავრისა, მისი ვეზირი, რომელიც მრავალ-წლების განმავლობაში დამოუკიდებლად და უკონტროლოდ განაგებდა ქვეყანას" „რო-გორც მმართველობის, ისე მეურნეობის სფეროში... და მთავრის განსაზღვრული ნდ-ობით სარგებლობდა".[3]

ი. მეუნარგიას აქ მოთავსებული ნარკვევი, მართალია, სქემატურია და ვერ ას-ხავს ნ. დადიანის მრავალფეროვან მოღვაწეობას, მაგრამ მისი კრებულში შეტანა საკ-როდ მიგიჩნიეთ, რომ ზოგადი წარმოდგენა მაინც ჰქონდეს თანამედროვე მკითხველს ამ ძველ ქართველ პატრიოტ მწერალზე და საზოგადო მოღვაწეზე.

„დავით დადიანი და მისი დრო"

აღნიშნული ნარკვევი პირველად 1939 წელს გამოქვეყნდა საქართველოს მხარეთ-მცოდნეობის საზოგადოების მრომების სერიაში.[1] ავტორს ამ მონოგრაფიისათვის ზრუნვა 90-იან წლებიდან დაუწყია. 1913 წელს ის უკვე გამოსაცემად გამზადებულია.[2] თუმცა ზოგიერთი წერილმანი კიდევ არაა ფაზუსტებული. მაგალითად:

ა) მე-3 თავს („ტახტზე ასვლა") აკლია რუსეთის მეფისაგან დავითისადმი პოძებ-ული სამთავრო ინვესტიტურა, რომლის ნამატებას ავტორი შემდეგისათვის ფიქრობდა. ეს დოკუმენტი ამჟამად არ აღმოჩნდა ზუგდიდის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში.

ბ) 3-4 თავებში („კანცელარია") ავტორს სურდა ქონია ბეჭდისა და მთავრის ხელმოწერის ჩართვისა, როგორც ამას ავტოგრაფზე მინაწერით გვაცნობს.

გ) მე-5 თავში („საქმეთა აღნუსხვა"), სადაც ნათქვამია „ბერძნებს დადიანის კა-ცებმა ფოთამდე სდიესო" — ქვეკოთ ნახევარი გვერდი ცარიელია მინაწერით: „აქ უნ-ნაუმატო характер.

---

[1] მაშასადამე, დაბადებულა 1759 წელს.

[2] მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის. ნაკვეთი III. 1939, წ., გვ. 41.

[3] მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვეთი III, 1939 წ., გვ. 41.

[4] იხ. იონა მეუნარგია, „სამეგრელოს სამთავროს უკანასკნელი პერიოდი და დავით დადიანი. მასალები და დოკუმენტები სოლ. მონ. კაიშვილის რედაქციით". „ტექნიკა და და შრომა", თბილისი, 1939 წ. ამ ნაშრომში არავითარი, შესაჩნევი ცვლილება არ შეგ-ვიტანია გარდა იმისა, რომ მის ძირითად ტექსტს ამ შეთხვევაში მოვაშორეთ 1-39 წლის გამოცემას დართული დამატებები: 1 დადიანთა საგვარეულო გენეალოგიის ნუსხა და 2. როსტომ ჩიქოვანის მოსწრებული სიტყვები. აქვე უნდა აღვნიშნოთ ისიც, რომ მაშინ ჩვენთვის არ იყო გარკვეული თუ ვინ იყო როსტომ ჩიქოვანზე დ წერილი მოგო-ნებების ავტორი; ამჟამად გაირკვა, რომ ეს ეკუთვნის როსტომის შვილის-შვილს როსტომ ჩიქოვანს („შინაურობაში" გუძას სახელით ცნობილს), რომელიც პოეტიც იყო. მისი ლექ-სები როსტომ (გუძა) ჩიქოვანის ხელმოწერით თავსდება ქართულ პერიოდულ გამოცე-მებში („მწყემსი", „სამშობლო" და სხვ.). იონა მეუნარგიას შეკვეთით მას დაუწერია თავისი ცნობილი პაპის გარშემო, რაც კი რამ მას ახსოვდა.

[5] შესაძლებელია ის დაიღუპა 1919 წელს, როდესაც სამეგრელოს მმართველობის არქივი (ქუთაისში დაცული) ქუთაისის საგუბერნიო არქივთან ერთად გაიყიდა ქუთაისის საგუბერნიო კომისრის განკარგულებით (იხ. „საისტორიო მოამბე", ტ. II, 1924 წ., გვ. 47). როგორც ავტობიოგრაფიიდან ჩანს ი. მეუნარგიას ამ მოხოგრაფიის რამდენიმე თავი მოხსენებებად წაუკითხავს ზუგდიდში 1914 წელს.

დ) ამავე გვერდზე, საღაც ბაკიჩია გეგელიას ვირზე შესმაზეა საუბარი, მიწერილია: „Удобно ли?“ თუმცა ტექსტი ხელუხლებლად დაუტოვებია.

ე) მე-6 თავი ავტორს დასრულებულად არ მიაჩნია, მაგრამ თუ რა [illegible] ეფიქრა, მითითებული არა აქვს.

ვ) მე-10 თავს („მიწის მეურნეობა“) მიწერილი აქვს: „ოჯალეშზე ცალკე ვილაპარაკებო“.

ზ) მე-12 თავის მინაწერია „ბაჩილაა“, მაგრამ არა ჩანს თუ რა უნდა თქმულიყო ამასზე. ჩვენ კი ამგვარი გადმოცემა გაგვიგონია ბაჩილავას (გვარია) გაუგია, რომ მთავარი გორდს იყო წასული და სალხინოს მიმავალი სოფ. ლებანეს გზით გამოივლისო, ამიტომ როგორც მოხოვნელი გზაზე დაჩოქილა მის შესახვედრად. მთავარი დიდხანს თურმე ლარჩა აგარაკზე და როცა დაბრუნდა, მაშინაც სხვა გზით წამოსულა. ბაჩილავა კი დიდხანს გზაზე დაჩოქილი ელოდაო. ეს ამბავი შემდეგ საანდაზოდ ქცეულა სამეგრელოში ღღესაც იტყვიან „დადიანი გამოივლისო და ბაჩილავა გზაზე იყო დაჩოქილიო“.

თ) იმავე თავში, საღაც სამეგრელოს იმდროინდელ ცნობილ ქერდებზეა ლაპარაკი, მიწერილია: „Удобно ли печатать? ხოლო ტექსტი ხელუხლებლად არის დატოვებული.

ი) მე-13 თავის („სასამართლოს“) მინაწერებია: „ამტკიცებდა ვინმე თუ არა; უზენაესმ. გადავხედო თუ არა ქუთაისში; ქვატახტი; „რუხის ბრძოლა“; დავუმატო, თურმანიძე“? და სხვ. აქ ზოგიერთი საგულისხმო კითხვებიც არის მოცემული. მაგ. „რუხის ბრძოლა“ გრ. დადიანის პოემაა, რომლის შესახებ აქ არ ჩანს თუ რა უნდა ეთქვა ავტორს, ხოლო გრ. დადიანზე დაწერილ მონოგრაფიაში ის საკმარისად აქვს გაშუქებული (იხ. ტ. 1, გვ. 295 — 338). ქვატახტის შესახებაც მოცემული აქვს რამდენიმე ცნობა.

კ) „დავით დადიანი მწიგნობარი“ თითქოს ცალკე თავად არის წარმოდგენილი, მაგრამ დაუსრულებელი და ფრაგმენტული სახით. ამიტომ მისი შევსება ჩვენ საჭიროდ ვცანით ზოგიერთი შესაფერი მასალის ამ შენიშვნაში შემოტანით, ხოლო ტექსტში ეგ თავი „განათლებას“ შევუერთეთ. აქვე დავუმატეთ ქვეთავი — „დავით. დადიანი შინაურობაში“,— რომლის ტექსტი ავტორს არ გადაუთვალიერებია და ძალზე დაზიანებული. ეხეკგან მისთვის ადგილი მაინც არ იყო ნაჩვენები ავტორის მიერაც. დაუზუსტებელი იყო აგრეთვე ცნობა დავითის ძიძის, ივანე ორბელიანის მეუღლის, მაიკოს შესახებ.

ლ) მე-15 თავის მინაწერები: „ბობოხიძის სახელი, შეტრიჩესკები, დავ. დადიანის ოროს შედგენ. დეპუტ. სობრ. მოვითხოვო“ და სხვ. შესრულებული არ არის. ანდრიაზეუნის თხოვნის მინაწერია „Удобно ли“? ტექსტი უცვლელია. ჩვენც ასე ვტოვებთ.

მ) მე-16 თავისათვის ავტორს სურვილი ჰქონია დაემატებია „თუ როდის გაშენდა ქალაქები, ცნობები ფალავან ქალის შესახებ, ოზმორდუკზე უფრო ვრცლად, ლამბერტის ცნობების გაძოყენება და უძთავრესი ბაზრობის ადგილები (ილორი, წიფურია, ბედია, კორკბელი და სხვ.).

ამგვარად მთელი რიგი საკითხებისა ავტორს გაუშუქებელი დარჩა. ამჟამად კი ხოლოდ ზოგიერთი მათგანის გასწორება მოვახერხეთ, როგორც ამას მკითხველიც შეამჩნეუდა, მაგრამ მონოგრაფიის მნიშვნელობა, როგორც საინტერესო მასალების შემცველობა, ამით ოდნავადაც არ მცირდება. მის შესახებ ქართულ საბჭოთა პრესაში[1] რამდენიმე დადებითი მოსაზრებაც გამოითქვა, რომელთაც მკითხველები უკვე იცნობენ და მათი მოყვანა აქ არ დაგვჭირდება.

ტექსტები იბეჭდება ავტორის სტილის დაცვით. წიგნში მოტანილი დოკუმენტური მასალების რუსული და ფრანგული ტექსტების მოცემა მხოლოდ თარგმანით კარჩიეთ, ისე როგორც ეს პირველ გამოცემაში გვქონდა. რაც შეეხება მონოგრაფიის სახელწოდებას

[1] „მნათობი“ 1939 წ. № 5. „ახალგ. კომუნისტი“, 1939 წ. № 164. „ჩვენი თაობა“, 1989, №9.

ბას, კვლავ პირვანდელი, ავტორისეული ვარიანტის — „დავით დადიანი და მისი დრო" — აღდგენა ვარჩიეთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დავით დადიანი მწიგნობარი, რედაქტორი, მწერალი და არქეოლოგი. ავტორ[illegible]ად აქვს წარმოდგენილი. გარდა იმისა, რომ ის იყო მთარგმნელი, რედაქტორი და გამომცემელი, ეროვნული არქეოლოგი, იყო აგრეთვე მწიგნობარ-ბიბლიოფილი, მარად მზრუნველი თავისი წიგნსაცავის გამდიდრებისათვის. ის თავს უყრის დაბეჭდილ და დაუბეჭდავ ქართულ წიგნებს, აძლევს დაკვეთას საუკეთესო და ცნობილ კალიგრაფებს გადაუწეროს ესა თუ ის წიგნი თავისი საფასით, რომ ერთხელ კიდევ შემატოს განძი თავის ბიბლიოთეკასა და ლიტერატურულ სალონს, რომელიც ცნობილია მთელ საქართველოში, როგორც ერთ-ერთი კულტურული კერა ქართული მწერლობისა. „ეს როსტომიანი დიდის ძებნით ვპოვე დაფუშული ფურცლებად და რაოდენადაც შესაძლო იყო შევაწყობინე და შევაკერევინე მაგრამ, დედანის უპოვარებისა ძალით მეტად კერ გავამრთელეთ, ბოლო დაკლებული აქვს, საშვალ ქალალდის ნაწებების გარდა. 1838 წ. ნოემბრის 29-ს. ტფილისი. „დ ა ვ ი თ დ ა დ ი ა ნ ი". (ბელრთვა)[1] — ასე აწერს იგი როსტომიანის საკუთარ ვარიანტს და შემდეგ მკითხველთაც ეუბნება: ჰოი მკითხველნო! ამ წიგნს ნუ დასცინებთ. თუმცა ვინ გულისხმიერად წაიკითხოთ, ჰპოოთმცა ამას შინა ძველი ზნეობა და ზოგადი ჩვეულება. ძველთა ქართველთა და გმირულნი მოთხრობანი, რომლითაცა ძველნი ქართველნი შთამომავლობით ანდაზად დაუდებიან და ამით მათ შორის სიმხნეცა და ახოვანსა სულსა განიღვიძებდიან და სასიბრძნოცა მრავალი იპოვება. „დ ა ვ ი თ დ ა დ ი ა ნ ი"[2].

აკად. ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახ. მუზეუმის ფონდის (№ 453) ერთ კრებულს, რომელსაც ჰქვია „დერეკიანისაგან თქმული", ახლავს ბ. ლარაძის ასეთი მისაწერი:

„როსიის ენით ქართულადრე თარგმნილი,
შვენიერ სიტყვით ტკბილგვარად დაფენილი,
დ ა ვ ი თ, ვინ ლეონ დადიანისა არს შვილი,
სიბრძნის მოყვარე ბრძენთა ზესი აღყვანილი
ხოლო ლექსთწყობით იანბიკობილი,
ახლად ქართველთა შორის წარმოებული,
არ უშრომლად სტისად მოპოებული,
პეტრეს მიერ და ვინ ყარის წოდებული,
გვარით ლარაძის არს ესე დასტიხებული.

წელსა ჩყლ0, აპრილსა კვ. (რაც უდრის 1838 წ. 26 აპრილს), სწორედ იმ პერიოდს, როცა დავითი თბილისში ცხოვრობდა და საკუთარი ბიბლიოთეკის გამდიდრებისათვის იღვწოდა. ქართული კულტურის ამ სახით სამსახური და ლიტერატურის სიყვარული დავითს ბოლომდე წერია. ბოსეს ცნობით დავითს განათლება პეტერბურგში მიუღია და 1835 წ. საზღვარგარეთაც ყოფილა: როგორც ქართული წიგნების დიდ მოყვარულს „უკრელესი ბიბლიოთეკაც" შეუქმნია. რომელიც ძველ ფონდთან ერთად ქართული ხელნაწერების მდიდარ კოლექციას წარმოადგენდა.[3] შემდეგ ეს ფონდი დავითის მემკვიდრეებმა „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას", გადასცეს[4], იმავე ბოსეს ცნობით, დავითს წიგნსაცავთან ერთად პატარა მუზეუმიც ჰქონია მოწყობილი.[5] მსგავ შეუკრებია და ისტორიკოს თეიმურაზ ბაგრატიონისათვის მიუწოდებია მნიშვნელოვანი ისტორიული წარწერები, რომელიც შემდეგ ბოსეს გადაუცია.[6] „მის

[1] აკად. ს. ჯანაშიას სახ. საქ. სახ. მუზეუმი S—ფ. 406.
[2] იქვე.
[3] Brosset, Voyage archèologique.. VII rapp. 1849.
[4] „ივერია", 1885 წ. № 12.
[5] Brosset, იქვე. გვ. 60.
[6] იქვე.

ოჯახში ჩვეულებრივი იყო მსჯელობა ენათმეცნიერების, ლიტერატურისა და არქეოლ-
გიის საკითხებზე. და იქ წარმოდგენილ მოსაზრებათა მიღებას არ თაკილობ[illegible]
მცოდნეობის ისეთი ავტორიტეტიც კი, როგორიც იყო აკადემიკოსი მარი [illegible]

დავითის სალონში დაიწყო „ვეფხისტყაოსნის" რუსულ ენაზე თარგმნა. პოეტ-
ბარტდინსკიმ გრიგოლ დადიანის თანაავტორობით 1845 წელს, რაც პირველი წამოწყე-
იყო რუსთველის გენიალური ქმნილების რუსულ ენაზე აღიერებისა ასე ვრცლად და
საფუძვლიანად; დავითის რედაქტორობით „გადაიწერა და ითარგმნა მთელი რიგი წიგნ-
ბისა: პლუტარქის „ცხოვრების აღწერანი" I და II ტ., მილოტის (აბატი) — „მსოფლ-
ისტორია", რომელიც 13 ტომს შეიცავს, მითოლოგია (1838 წ.) იოსებ ფლავიოსი — „ი-
დებრივი ძველ-სიტყვაობა" — სულ 5 წიგნად — ნათარგმნი აფხაზეთისა და სრულიად ს-
ქართველოს პატრიარქის ევთიმეს მიერ, გადაწერილი დავ. დადიანისათვის...[1] და სხ-
მრავალი ამგვარი რამ. ზუგდიდის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში დავით დადი-
ნისეულ ქაღალდებში ამჟამადაც მოიპოვება დავ. დადიანის ბიბლიოთეკის კატალოგი, ს-
იდანაც ირკვევა მისი მფლობელის კულტურტრეგერობა და სიყვარული ქართული მწერ-
ლობისა და კულტურისადმი.

დავით დადიანის როგორც მწიგნობრის, არქეოლოგის, რედაქტორის, ქართული წიგ-
ნის გავრცელებისა და ქართული კულტურის აღმავლობისათვის მებრძოლის სახე გა-
კვეულად ჩანს მის ამ ეერძო ბარათებიდან, რომელიც მას, უკვე სამეგრელოს მოვალ-
მიუწერია გამოჩენილ ქართველ ისტორიკოს და მწერალ პლატონ იოსელიანისადმი, თბილ-
სის კ. მარქსის სახელობის საჯარო ბიბლიოთეკის რარიტეტის S ფონდის № 40-ზე და
ცულია დავით დადიანის 18 წერილი პლატონ იოსელიანისადმი. წერილები, გარდა იმისა,
რომ ნათლად ავლენენ დავითის კულტურულ პაბიტუსს და ქართულ მწერლობისადმ-
მის დამოკიდებულებას, საგულისხმოა მრავალი მნიშვნელოვანი ფაქტების შემცველობ-
მხრივაც. ამავე დროს იგი შესამჩნევად ავსებს და ავლენს დავით დადიანის მოღვაწეობ-
ამ მხარეს, რომელშიც ასე დიდი ხარვეზი იგრძნობა ნარკვევის სათანადო თავში. ამიტ-
ამ წერილებს მთლიანად აქვე ვაქვეყნებთ:

1. „გორდი. 1845-სა წელსა 1-ს აგვისტოს.
საყვარელო პლატონ ეგნატიჩ!

რატომ აღარ გვწერ წიგნსა, მოგვიძულე. ძლიერი სიცხეები იყო აქ-
რომ მეტი აღარ შეიძლებოდა. მანდ კი ისმის ვითომდა გრილოდეს. სხვებ-
ღვთის მადლით მშვიდობით ვართ. ძლიერ საჭიროდ აღმიჩნდა მიხი-
თარ ყოვლად ბრძნის სევასტოვისა სომეხთა მოძღვრისა ღრამატიკის გან-
ჩხრეკა ქართულს ენაზედ, რომელიც ვადმოთარგმნა კათალიკოსმან
ღვთივ კურთხეულმან, უწინარეს ვიდრე განკარგავდა თავისა ღრამატიკ-

---

[1] აკად. სიმ. ჯანაშია, „გიორგი შარვაშიძე, ლირიკა ეპოსი, დრამა", გვ. 46 აკად-
ს. ჯანაშია აქვე დასძენს იმასაც, რომ „დავითის ინტერესი ქართული სიძველეებისადმ-
ჩანს სხვათა შორის, მისი ერთი ეერძო წერილიდან ბროსესადმი, რომელშიაც უკანას-
ნელს უძღვნის მადლობას „უცხო და უცხო სასარგებლო ცნობების" და „რამდენიმ-
ზედწერილობათა" შეტყობინებისათვის, წ. კ. ფ. № 2849,—დავითს ლექსებიც უწერია;
ერთი ხელნაწერით (წ. კ. ფ. 3723) ჩვენ მის რამდენსამე ლექსს ვიცნობთ: „საზანდრული",
„იამბიკო", „წყობილი", „მრჩობლედი ორშვიდეული" და სხვ. (იქვე, 46).

[2] იხ. ზუგდიდის მუზეუმის შრომების I ტ. გვ. 118—126.

[3] S—N 372, 373, 374, 375.

[4] ანტონ კათალიკოსი (1720—1788)

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ის ღრამატიკად ბავშვობაზედ. მახსოვს, მინახავს, განსვენებულს ეგ-ნატეს[1] ახლად შეუკრავი, ოვისის ხელით დაწერილი. და გთხოვთ დადგენილ მათხოვოთ რამდენიმე კვირით. წარვიკითხავ, განვიხილავ, გულისგამ ვყოფ და მოგართმევთ დიდის მადლობით. ასე ჩემო პლატონ, უთუოდ მიშოვი. სხვებრ ნუ დამივიწყებ. შენი მეგობარი დ ა ვ ი თ დ ა დ ი ა ნ ი.

ფლაბიანე არქიმანდრიტმა არა მნახა და საყვედური უთხარი. იოანე არქიმანდრიტი მომიკითხე. პროკურორს ჩემს მიერი პატივისცემა განუცხადე ფ-დი. ეკატერინამ მოგიკითხა. ჩემი ლუკა[2] ძლიერ ავად მყავდა. ეხლა უკეთ არის. ასე რომ ლეჩხუმს წამხედრდა.

2. გორდი 1850-ს წელსა 6-ს სექტემბერს
ჩემო საყვარელო პლატონ ეგნატისო!

ვისურვებ კეთილ დღეობით სუფევასა თქვენსა. ჩვენცა მადლითა ღვთისათა კეთილად დაცულნი ვართ ყოველთაგან გარემოდგომილთა სენთა და უძლურებათა. გარნა მომავლისაში გვიქადის სიყმილითა სასტიკითა უნაყოფ გამომღეობით,—მარტვილის სასულიერო სემინარიის (sis) ოსტატი მაჭავარიანი, აწ უკვე გამღვდლობილი და გაბლაღოჩინებული სამურძაყანოისა, იყო ჩემთან და მევედრა შემდგომი შუამდგომლობა, რომელსაც სურს, ვინაიდან ცოლი აქაური უვის მას და ცოტა ფიცხელისაცა არს ზნისა და უხუებიაცა აქეთ წასვლა, ითხოვს რათა ვიდრემდის სასწავლებელი განიხსნებოდეს ოქუმს, აქავე უჩიტლად იყოს და იქაც ბლაღოჩინად. ამ სახით, დღესასწაულებში და კანიკულში იქ იქნება და ისეც მიმოივლის (დაზიანებულია—ს. ც..). თუ შესაძლებელია ჩვენთვისაც სასიამოვნო არის, რომე ეს ძალიან კაი კაცი იყო და მარტვილს კარგად იქცეოდა — და ყველანი მადლიერნი ვართ მისი. მოახსენეთ ექსარხოსს, უკეთუ მისაღებია და საპატიო თხოვნა ესე — სხუებ თუ ეს არ იქნება, მოახსენეთ ექსარხოსს სხვა უჩიტელს რომ აგზავნიდეს. ქართულის მცოდნე გამოგზავნოს, რომ წიგნიცა და ენა ქართული მარჯვედ იცოდეს, და მოკითხვაცა და მაღალპატივისცემაცა მოახსენე ჩემს მაგიერ. მის მაღალ ყოვლად უსამღვდელოესობას. აბა როდესმე ზაფხულ უნდა გორდს ლეჩხუმში და სვანეთში მეწვევნეთ — ეკატირინამ[3] მოგიკითხათ — გრიგოლ[4] და კონსტანტინე[5] პირისპირ თავს დაგიკვრენ.

შენი დ ა ვ ი თ დ ა დ ი ა ნ ი.

---

[1] პლატონის მამა, გარდაიცვალა 1855 წ.

[2] ლუკა იოსელიანი—დავით დადიანის კარის ეკლესიის მთავარდიაკვანი.

[3] დავით დადიანის მეუღლე ეკატერინე ა. ჭავჭავაძის ასული.—ს. ც.

[4] — [5] დავითის ძმები.—ს. ც.

ეროვნული ბიბლიოთეკა

3. ზუგდიდი. 1851-ს წ. 15-ს იანვარს
სასურველო პლატონ, იოსელიანო.

აჰა ესე რა მოგართმევ ორმოცდაათს მანეთს, მიმომსვლელობისა ბრანისასა წიგნთა[1] ფასსა, — ვისურვებ კეთილსუფევით განვლასა შენსა ასპარეზსა ამის წელიწადისასა. გთხოვთ ტკბილად მოგვიხსენებდეთ.

თქვენი დ ა ვ ი თ დ ა დ ი ა ნ ი.

ოცი ეგზემპლარი ახალი გამოსული წირვის განმარტების წიგნი ქართულად, გამომიგზავნეთ, ფასისა აღნიშვნით. ამა ფულისა მიღებისა უწყებასა ნუ უგულებელს მყოფ.

ეს წიგნი რომ დაიწერა შემდგომ თბილისით აბელას წიგნი მივიღე. მწერს ექზარხი ავად არისო. აღრე უწყოდი უძლებობა მისი. გთხოვთ მაუწყოთ ამბავი სიმრთელისა მისისა—ვსწერ ფ-დ...

4. ზუგდიდი. 1851-ს წ. 4 მაისს
ჩემო საყვარელო პლატონ ეგნატიჩ!

გარემოცული ზრუნვათაგან მშიერთათვის მოპოებისა სურსათთა და საშინელისა გვალვისა და სიცხისაგან, რომელმან აწარმოვა ზოგადი განხმელება. გწერთ მოკლედ: პასუხად საამურისა წერილისა შენისა 27-ის აპრილითგან. ზახარ პავლოვიჩის ფული მივიღე და გარდავეც კუთვნილებისამებრ აღრევე. მე თუმცა-ღა უმჯობესობაში ვარ, გარნა არა სრულიად. ვნახოთ უფალი რას ინებებს — გიგზავნით 36 მანეთს. 3600 ბილეთის დასაბეჭდავად როგორცა მოგწერეთ სამი ზაოდისა და თითოეულისათვის თითო კაპეიკი, ხოლო რომელიც სდომებია თითო ზაოდს ორი ოზმა და ნახევარი შეადგენს შვიდს ოზმას და ნახევარს. ოზმა სამ მანეთად დავსდე ოცდაორი მანეთი და ნახევარი. ერთიან კი 8 მ. 50 კაპ. მიახლებია. და გეაჯებით მისწრაფეთ დაბეჭდვინებასა და შესრულდეს ჩაბარება იღვაწეთ ჩემის ვაჭილისა, აწინდელისა ანუ მონაცვალისა მისისა, წარმოსაგზავნელად ჩემდამო.

ილოცე რათა უფალმან გარდამოგვივლინოს ცვარი ცისა და გარემიაქციოს სამართლად მოსული ჩვენზედ რისხვა. რამეთუ უკეთუ განგრძელდა კვალად ათი დღე,— მოვსწყდებით.

ვეგები თქვენი მარად დ ა ვ ი თ დ ა დ ი ა ნ ი.

გთხოვთ ეს წიგნი როგორც მიიღოთ მყისვე პოვერნასა[2] ჩემსა უბოძოთ.

ათი შაური ვერღა გაახელ და მე მემართოს, რომელსაც მოგიზღამთ აღნადგინებით.

---

[1] იონა გედევანიშვილის—რუსის მიტროპოლიტის „მოგზაურობა", რომელიც პირველად გამოსცა პლ. იოსელიანმა.—ს. ც.

[2] ე. ი. ვექილს, რწმუნებულს ქ. თბილისში.

5. გორდი. 1851-ს წ. 27 ივნისს

ეროვნული ბიბლიოთეკა

საყვარელო პლატონ, მოგილოცავ პეტრე-პავლობას. ვიცი გვიჯობდა და ვარ ვითარ შეეფერება ამ წელიწადს. ცდასა და ღვწაში სიმინდის მოპოებისსა — მშიერთა ერთათვის. აწ მომავლისა უფალმან განაგოს. გვალვამან დიდი ზიანი მისცა მხარეს და მერმეთ უეცრად ეს ნიაღვარი მოვიდა, რომელსაც, სცნობ ამ ქალალდებთაგან, — ვესტნიკში დააბეჭდვინეთ და კავკაზში — ეხლა კარგი ტაროსებია — ამასთანავე ფ-დ გულსმოდგინებით გთხოვ მომცეთ შემდგომსა თხოვნასა შ-ა შემწეობა, — ჩემთვის საჭიროა: —

1. ჯვარი ვერცხლისა სატრაპეზო, მოდიდო. 2. სიწმინდის კოლოფი მომცრო.. 3. ბარძიმი. 4. ფეშხუმი. 5. კამარა. 6. განსაზავებელი. 7. ნალბაქი. 8. სასეფისკვერო. 10. საცეცხლური. 9. საკურთხეური. ესენი სულ ვერცხლისა უნდა იყოს.

გთხოვთ ამისი ფასოვნება მაუწყოთ თუ რა ფასად დაჯდება და ჩემათ ნუ იტყვი, რომ ფასს არ გადააჭარბონ და აღმომიჩინეთ სასყიდლად მანდ.

მოველი რა ამაზედ კეთილ მაუწყებელსა პასუხსა შენსა, ვეგები შენი ყოვლის კეთილის მდომი — დ ა ვ ი თ დ ა დ ი ა ნ ი.

6. ზუგდიდი. 1851-ს წ. 16-ს ნოემბერს

დიდად დამნაშავე დიდ ბოდიშს ვიხდი წინაშე შენსა ჰოი საყვარელო პლატონ. რამეთუ დიდმან ხანმან განვლო, რომ შენს უკანასკნელ წიგნზედ აქამომდე არ გიპასუხე — ვიცი შენის სიყვარულისგან ჩემდამო მართ შემინდობ. და ამისათვის შენდობილი შემდობელს შენდობას შემინდობ.

ჩ-ნ საფარველითა უფლისათა დაცულნი ვართ სიმრთელით. მოხარულნი თქვენისა მამისა კეთილსუფევისათა. ტაროსი უცხო. ყოვლადვე მსგავსი არესი. მეორედ გამოსხმულს ნაყოფს ქლიავსა და ტყემალს ვნოვაგებთ — მოსავალი არც მოჭარბებით, არც-ღა ვგონებ ნაკლულევანი. — მაჭარი კარგი და ფუსახვ. და მუშაობა ყოველ ადგილობრივ. ესე არს ამბავი ჩვენი, კეთილო. ხოლო უბადო: ესე რომელ პირუტყვთ სენი განძლიერდა და მოსპო სიმრავლე არე ძროხათა. მაწვევ წარმოგიგზავნო მცირედი რაიმე ჩემის ბ ი ბ ლ ი ო თ ე კ ი დ ა ნ[1] დასაბეჭდად და მეორედ მიმეორებ რაბამ შესაძლო იყოს პატარა. და ამისძლით, ვერც პატარა და ვერცა დიდი ვერ მოგართვი. დიდი არ მესათნოება. მასთან პატარა ვერა ვპოერა, რომ გეხერხოს.

იყავნ სიმრთელით კეთილდაცულ და ჟამსა მოსაგონებელსა მოგიგონებდე — ვეგები სამარადისოსა კეთილმწადნეობასა ზ-ა თქვენსა მორჩილი მოსამსახურე დ ა ვ ი თ დ ა დ ი ა ნ ი.

შარშანდელი ჩემი ბილეთის დასაბეჭდის ფულისაგან დაგრჩა, მაგონ-

[1] ხაზი ჩვენია.—ს. ც.

დების, ორი მანეთი ნახევრითურთ, მის წილ იმა ფასისაგან წარმომიგზავნეთ წიგნი ესე Шарден и его путешествие по Грузии. Н. Селивицкого.

მოგილოცავ ზეგ შენის სახელ-დღეობას.

7. 1851-ს წ. 29 დეკ. ზუგდიდი

ჩემო საყვარელო პლატონ ეგნატიჩ!

წერილი თქვენი 15-ის ამა თვისა და წიგნიცა სლივიცკის შარდენი კმაყოფილებით აღმოვიკითხე. — მოგილოცავ მდგომარე დღესასწაულსა უფლისა ჩვენისა იესო ქრისტეს შობისასა, ახალ წელიწადს და ღვთის განცხადებას. ღმერთმა ბევრი ახალი წელიწადი გაგითენოს.

შევწუხდი კეთილისა მის გვამის, ქრისტეს ღვდელმთავრის მიძინებას. ჭეშმარიტად სატირელია ჩ-ნ და არა იგი, რომელ მოვაკლდით ქვეყნიერსა სულმტკბარსა ნუგეშსა მისსა, გარნა იგი წინაშე მდგომარე ქრისტეს მეუფისა მეოხ არს. მსასოებელთა ღვთისა მისისა და ჩვენისათა — როს ვიმეცნე ხორციელებრივითა უძლურებითა ვიცრემლე. მერმე ვილოცეთ ნეტარმიძინებულისა მისთვის. ერთბამ სამღვდელო აქა მყოფელთა დასთა, შესწირეს ლიტურღია და აღასრულეს პანაშვიდი შეკრებილნი აქამყოფნი, კაცადი მცნობნი მისნი ტკივილსა წარმოაჩინებდნენ და ილოცვიდენ მისთვის — საუკუნომდიცა არს ხსენება სანატრელისა მის გვამისა. — კნიაზისაგან[1] ნახვა მისი და კნეინასაგან, ქვის დადება, მიამა ძლიერმე მინდოდა ეგ მრგებოდა მისდა სამსახუროდ — აწ რაღამის მათ უნებებიათ დია კეთილი, — აწ ერთი ამბავი მოგახსენო, — შენს „დაბადებას“ წინა ბჭე გაუკეთე ზედწერილობა, ლანძღვა- გინებაში არ ჩამომართო. შენი ნამეტანი ქება მომივიდა, მაგრამ იმაში საქებარი იყავი და რა ჩემი ბრალია. სხვაში ხომ არ გაქებ შე კაცო. — იმ „დაბადებას“ ბევრი ეგერეგერი აკლდა. ერთ ღღეს ჩემს ბიბლიოთეკას ვალაგებდი. განგებელი საქმე ბოხთა. ვიპოვნე ფურცლებად დაბნეული „დაბადების“ თავები, მივხვდი მისთანავე. სწორეთ ის ერთს ალაგას რაც აკლდა — ესე იგი სულ ლევიტელთა რიცხვთა, მსაჯულთა და მეორე... იმოდენა რამდენიც აკლდა. ჩვენი ოდიშარია დიაკონი მიზის და ვაწერინებ — ეს დიაკონი მინდა სულ ჩემთან ვამყოფო. ეგების ნაყოფი კეთილი გამოიღოს — ახლა ამას რომ მოვრჩები — „გამოსვლათას“ მოძებნას ვცთი, ეგებ ღმერთი შემეწიოს. ხოლო ღმერთმან მეუფემან ჩ-ნმან წინასაუკუნეთა მან ყოველივე რაც უნდა ქმნასო იტყვის საღმთო წიგნი. კნიაზის განწყობილებასა მწერ ქართულის წიგნის დაბეჭდვინებისასა. ესეცა ღვთისა მიერი. უკეთუ საესარგებლოსა რასმე დააბეჭდინებს.

დიდი ზიანი მოგვცა პირუტყვთა სენმა, მრავალი გასწყვიტა და აწცა უკვე ხოცს — საშიშოა სანოვაგეთაცა, რათა სნეული არ შეხვდეს კაცსა. — გთხოვთ, როს მოიცალებდე სოფლის შფოთებისაგან, წიგნს მომ-

[1] იგულისხმება მ. ს. ვორონცოვი—მეფისნაცვალი კავკასიისა.—ს. ც.

წერდე. მთავრინა ეკატერინემ პატივისცემით და დღესასწაულის მილოცვით მოგიკითხათ. ერთბამ მცნობთა შენთა სამღვდელო დასთა და ... ბაზის ერთა მოგიკითხესთ. თითოეულად თუ ამეწერა ბევრი მოვიღლიდი. იოანე არქიმანდრიტის ვიკარობა დიაღ ღირსი და თაყვანსაცემელი საქმე. ჭ-დ კაცი რ-ლისთანა ზაკვა არა არს.

კნიაზ იაგორ ევსევიჩს[1] უღრმესს პატივისცემას მოვახსენებ, დღესასწაულებს მოულოცავ და ვსთხოვ დაუვიწყებლობას. როგორ ვისტაობთ. ვისტაობას უნდა დასჯერდეთ, რაღამცა ქოსტაობა აღარ შეგიძლიათ.

მარად თქვენი მორჩილი მოსამსახურე დ ა ვ ი თ დ ა დ ი ა ნ ი.

8. ზუგდიდი 1852-ს წ. 1 მაისს.

ჩემო საყვარელო პლატონ ეგნატიჩ.

მიზეზი ესოდენ იცი დუმილისა ჩემისა თქვენთან. იყო მიმომსვლელობაი ჩემი სხვათა და სხვათა ალაგებთა. აწ მოქცეული სახლად თვისსა მრთლივ. ვისწრაფი მორთმევად ერგასისა დრაკნისა ფასად ერგასისა **წიგნისა ტიმოთეს** მიმომსვლელობისა. რაიცა შეეხება ტაძარსა, რომელი აღგიგეს ადგილთა სოლოლაკისათა, მორფიეოლის ტაძრისა, დია კეთილ გინებებია მოსატევებლად ადგილობრივთა ცოდვათასა. გთხოვ ჩემო პლატონ, იშვრომოთ მოვლინებად ჩემდა პლანისა იმა ტაძრისა, რათა უკეთუ სათნო მეყოს აღვაგო მეცა, რომელსა დაშთების სახსოვრადცა შენსა. გარნა აქას შ-ა არა მაქვნ მე პლანი ისრეთი, რომელ სათნო მეყოფოდეს და ეგე დიდ ფრიად სახალისო მექნება, — ტალახს, წვიმას, სიცივეებს, მოჭარბებით ვუჩივი — მგონია თქვენც არა ხართ მშრალად — მიამბე წერილით, თუ რასა **ბეჭდ და რის დაბეჭდვას ჰლამი**[2] — უსტარი ესე ყოველად სამღვდელო იოანეს მიეცით — ყოველთა ჩემიანთა მოგიკითხეს ამოდ.

შენი დ ა ვ ი თ დ ა დ ი ა ნ ი

9. 22 ივლისს 1952-ს წ. გორდი

უსაყვარლესო პლატონ ეგნატისო.

უსასიამოვნესი წერილი შენი 12-ის რიცხვით, მივიღე გუშინ. ჩემებრ ქარით უძლურებისაგან განკურნებასა მწერ, და კეთილ. ეგ არ არის სამძიმო სნეულება და თუ საჭიროდ დარჩება ნაქალაქევის თერმონი სამსახურსა ზედა თქვენსა წელშერტყმულ არს — უფალმან გილხინოს.

ჩვენ ნებითა ღვთისათა ვიყავთ მშვიდობით. ჩვენგან გრიგოლ მცირედრე ციებით უძლისობდა და აწ განიკურნა.

თითქმის უმეტეს ორის კვირისა არის, ერგასი ეგზემპლარი მ რ ო ვ ე ლ ი ს მ ო ა რ უ ლ ო ბ ი ს ა მივიღე იმ დროს, როცა მოვდიოდი ზუგდიდითგან გორდს. და ნაფასევისა მისისა წარმოვლინება შემიგვიანდა, რომელსაც თავის დროს მოგართმევთ (ამო და კარგი წიგნია). ჯერეთ მხო-

[1] გიორგი იესეს ძე ერისთავი (1759—1864).—ს. ც.

[2] ხაზი ჩვენია.—ს. ც.

ლოდ ნათხალი აღებულ არს. — წ ყ ო ბ ი ლ ს ი ტ ყ ვ ა ო ბ ი ს დ ბ ე-
ჭდვინება დია კეთილ-იღვაწე უკლისად დაიბეჭდოს. მე მაქვს
(ყურთხეულის) მეფის ბრძანებით. გაშაირებული ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს
ზ ნ ე ო ბ ა. იქნება შენც იცნობდე მაგ შაირებს. და თუ დაბეჭდვინებას
იკისრებ და არ გაქვს, გაახლებ და იმასთან მამის შენის მიერ თარგმნილს
„მ შ ვ ი დ თ ა თ ვ ი ს ს ა კ ვ ი რ ვ ე ლ ე ბ ა თ ა“. მცირეა და უვიცთათვის
უცხოთა ენათა, მარგებელი. აგრეთვე „ქექაოზ ხელმწიფისაგან შვილისა
მისისა ამილნასარის დარიგება“... მდაბიო და უცხო უცხო იგავებით შემ-
კული — ეგეც ცოტაა. ასე რომა, სამივ ძლივღა შეადგენს დ ი დ-
მ ო უ რ ა ვ ' ი ა ნ ი ს ოდნობას. ამისი პასუხი მამცნეთ.

გთხოვ ნაცვალგებიოთ ალმისრულო ესე კომისია. — ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი-
ლ ი ს თ ე ი მ უ რ ა ზ ი ს ი ს ტ ო რ ი ა დ ა ბ ე ჭ დ ი ლ ი ბ რ ო ს ე ს ი ც ა
რამდენიცა არიან (მე არა ვუწყი, მხოლოდ მასმია) წარმომიგზავნოთ ჩემ-
თვის მხოლოდ თვითო ეგზემპლარი ფასის აღნიშნულობით, რომელსაცა
მადლობით მოგიბრუნებთ — და სადაც მოიპოება ეგ შენ უმჯობეს უწყი.

აქ უფრო ხშირი წვიმებია ვიდრე დარები. ეს სამი დღეა საკმაოდ სცი-
ვა. ცეცხლს კი არ ვინთებთ ჯერ და თბილის ახალუხებით დავდივართ.
თუ არ დასთბა და ესრეთ განგრძელდა, მოსავალს უკლდება — დიდი პი-
რუტყვთა ხოცვა არის მეგრელიაში. ჩემი ჯოგები, ძროხა და ხარები მის-
წყდება. სამს კვირაზედ — დასაკლისი ფრიადი ბატონყმათათვის. ერთს
გლეხს ცაიშელს, გვარად გეგეჭკორს, ორს კვირაზედ ოთხმოცდაჩვიდმე-
ტი სული ძროხა და ხარი მოუკვდა — სხვათა მრავალთა ერგასი, ორმოცი
და ასე მეტ-ნაკლები. შესაბამი გარემოებათა ზომანი დაღათუ მიღებულ
არიან, მაგრამ ვერას გავხდით... ესე ჩამოგვიტანეს აფხაზეთის მიკიტნებ-
თა, რომელთაც მოსდენეს ზამთარს თარაქამის ხარები. აფხაზეთის უკრე-
ბლენიებისათვის. ჩვენი საცხოვრებელი და დიდება ეგ ჯოგები იყო და
ესეც იხოცება.

ვინცა ვინ მოგეკითხნეს. ერთბაშად მადლობით მოგიკითხეს და კნეინ
თინიამაც, რომელიც არა დია მადლობელ შენსა არა რომელ ჩემს წიგნში
მოკითხვით არ მაიხსენე.

ვეგები მარადის კეთილმოსურნე მეგობარი დ ა ვ ი თ დ ა დ ი ა ნ ი.

დაბადების ნაკლულს მუხლებს, რომელიც ვპოვე რამდენიმე, ვაწერი-
ნებ და მალე მოვართმევ ექსარხოსს.

დამავიწყდა მოწერა: ივა ბერს[1] ვისტუმრებ ათონის მთაშიდ. იერო-
სალიმს, ქიქოს მონასტერში, — დიდად მწადს, რომ სინას მთასაც მივ-
დეს, თუ შესაძლებელი იქნება — წიგნების განხილვასაც იღვწის. ეგებ
იპოვოს რამე და ჯვრის მონასტერშიაც. დ ა ვ ი თ დ ა დ ი ა ნ ი.

აი მართლა რა დამავიწყდა. გულს ცოდნია მობერება და დავიწყები-
ნება. ვითა იტყოდა საბრალო ზურაბ, — მომილოცავს ჩემო პლატონ გას-
ტატსკი-სოვეტნიკობა. ვუწყი რომელ დარწმუნებული ხარ ყოველი კეთი-

[1] ხოშტარია, ივანე.

ლი მიამება შენი, — ვითა პირადის სიყვარულისა გამო შენდა მიმართისა. ეგრევე ულრმესისა პატივისცემისა და სიყვარულისა მამისა შენისა ჩემს მიერ დაუვიწყებელისა — დ ა ვ ი თ დ ა დ ი ა ნ ი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

10. ზუგდიდი 1852 წ. 20 ოქტომბერს.

ჩემო საყვარელო პლატონ ეგნატისო. მიკვირს რად გამედიდურდი. ალარავის კადრულობ, რ-ლ წერისაგან დასცხერ, მეგობართა შორის. ჩ-ნ მოველით დღითი-დღე სიხარულით კნიაზს და კნეინას ვარანცოვთა.

ღმერთისა მიერის დაცვითა ვგრეთ შშვიდობით. ამასთანავე გიგზავნით ერთისა ვ ი ს მ ე ს მ ი ე რ ს ა წ ა რ მ ო დ გ ე ნ ი ლ ს ა ლ ე ქ ს-შ ა ი-რ ე ბ ს ა[1]. გთხოვთ მისცეთ მყისვე მიღებისთანავე რედაქციასა შ-ა „ცის-კრისასა"[2]. აღსაბეჭდველად — უსათუოდ.

შენ რაღას ბეჭდავ. — ან „ცისკარში" რ ა ღ ა ე ბ ს ა ც გ ა უ გ ე-ბ ე ლ ს ა მ ა ლ ა თ ბ ე გ ს ა ბ ე ჭ დ ვ ე ნ, რატომ აფუჭებინებ ქაღალდს და დროსა კარგავენ? განა ძველი ლექსები და უცხო-უცხო შაირები და უცხო-უცხო მოთხრობები არ იშოვება საქართველოშიდ? —

აქას შინათა ყოველთა მოგიკითხესთ.

შენი კეთილის მოსურნე დ ა ვ ი თ დ ა დ ი ა ნ ი.

11. ზუგდიდი 1853-ს წ. 24 იანვარს

ჩემო საყვარელო პლატონ ეგნატისო.

შენი წიგნი 10-ის ამა თვისა გრიგოლ ბერმა მომიტანა. ძალიან მეწყინა დარია მონაზვნის სიკვდილი. მოგილოცავ ანნა მეორის გვირგვინით მიღებასა. წყობილსიტყვაობის ლოდინში ლამის დავბერდე. რით ვერ მორჩი გამოგზავნასა? მაუწყე ეხლა რას ბეჭდ. მაგრამ ასე ნუ დააგვიანებ. მალე დაბეჭდე და მალე გამოეც და კიდევ სხვის ბეჭდვას მოჰყევი. — „დაბადების" დაბეჭდვინება საუკუნოდ სიკეთის ქმნა არის და ნუ დაუტევებ ცდასა. გრიგოლ ბერმა რჩევა მკითხა, სხვის პირით: მოსკოვს წასვლისა. არცა მირჩევია, არცა მომიშლია, თავის ნებაა. მერმე იციან ხოლმე მრჩეველთა დაბრალისება. ვიცი. საბრალო ჰყონდიდელის[3] მიცვალება გეწყინებოდა. გთხოვთ დაუვიწყებლობასა. ტკბილად მოგონებასა. რომელნი მოგეკითხნეს ნაცვალ მოკითხვით პატივისცემა განგიცხადესთ.

თქვენი მორჩილი მოსამსახურე დ ა ვ ი თ დ ა დ ი ა ნ ი.

12. ზუგდიდი 1853-ს წ. 27 თებერვალს

ჩემო საყვარელო, პლატონ ეგნატისო!

წარმოვლენილი თქვენ მიერ ნ წყობილსიტყვაობა და კ ლიტურგიის განმარტებანი მივიღე, და წიგნიცა თქვენი იდ-ის რიცხვისა. ლიტურგიის

---

[1] ხაზი ყველგან ჩვენია. — ს. ც.
[2] იგულისხმება გ. ერისთავის ჟურნალ „ცისკარი". ს. ც.
[3] იგულისხმება ანტონ II ცაგერელ-ჰყონდიდელი, რომელიც გარდაიცვალა 1852 წ. 9. დეკემბერს.

განმარტება კიდევ დამჭირდება საჩუქრად აქა-იქით და გთხოვთ ეგზემპლარი კიდევ გამომიგზავნოთ. ამებთა ფულს მალე მოგართმევ[illegible]

ბიძის ჩემის მიტროპოლიტის ამიერ სოფლით მიცვალება [illegible]

სხოლიოები ძალიან კარგია — მიამა დიდათ და მომეწონა — მომილოცავს ანნის ყელზედ გვირგვინით დაჯილდოება. ღმერთმან მოგივლინოს კურთხევა თვისი, ანნის გვირგვინით გვერდისაცა დაჯილდოებით, რამეთუ უტოლოდ მგებარეობით ცრუბერობას თამაშობ.

წყობილსიტყვაობის სხოლიოებში ჯვარისა სწერია: „ჯვარი ს...მაო: და სხვანი. იოანე ფილოსოფოსისაგან თქმულად, და გთხოვთ მომწეროთ: იოანე ფილოსოფოსი შ-დ ქეთევანისა იყოო. რომელ ქეთევანის მომხსენებლად გამოაჩინეთ. მეხუთე ტაეპში: დაბადებისა რა ჰქენით. დაიბეჭდა თუ არა?

მომილოცავს წინამდგომარე წმინდა ორმეოცი. აღდგომას სიხარულით მიგებებით.

ოცდასამს ამ თვეს უფალმან მაკურთხა ასულის შეძინებით.[1]

მშვიდობით საყვარელო პლატონ, სიამით ხილვამდე ტკბილად მოგვიხსენებდე—კეთილის მდომელსა თქვენსა და მზასა მსახურებლად

დ ა ვ ი თ დ ა დ ი ა ნ ი.

13. ზუგდიდი 13 მარტს 1853-ს წ.

ჩემო საყვარელო პლატონ!

აჰა ესერა მოგივლინებ შენ ფულსა, ერგასს ერგასისთვის წყობილსიტყვაობისა და ათს ორათეულთათვის ლიტურგიის განმარტებისა, გთხოვთ სამოცი კიდევ მიბოძოთ ლიტურგიის განმარტება, რათა დაურიგო აქაურთა სამღვდელოთა და საეროთა და აქვნდეთ ხელსამძღვანელად ქამსა ლიტურგიისასა.

ჩვენ ვგიეთ ცოცხლები მწუხარებასა შინა ჩანთქმული მიტროპოლიტის მიცვალებით. მომილოცავს წმინდა ორმეოცი.

შენი სხოლიოები სწორედ ავქსონის და ანაქვსის საკადრისია წყობილსიტყვაობაშიდ, და ეს კი როგორ მოხდა ჩემო პლატონ, რომ შენ უკეთ გცოდნია კათალიკოსის დედას რა ერქო ვიდრეღა თვით კათალიკოსსა?

მშვიდობით, ხილვამდე საამოისა და დამატკბობელისა. გთხოვთ ტკბილად მოგვიხსენებდე. ჩემი ცოლი ბევრს მოკითხვას განგიცხადებს.

შენი დ ა ვ ი თ დ ა დ ი ა ნ ი.

მიღებაი დრაჰკანთა ამით მაუწყე.

---

[1] იგულისხმება დავით დადიანის უმცროსი ქალი თამარი, რომელიც პეტერბურგში გარდაიცვალა 1860 წელს.

14. 1-ს აპრილს, 1853-სა წ. ზუგდიდი

ჩემო საყვარელო პლატონ ეგნატისო!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩემთვის მარად სასიამოვნო შენი წიგნი მივიღე 14-ის მარტის ტურგიის განმარტებებით რიცხვით 60. მიხარის კარგათა ხარ და ღვაწლნი შენნი მახარებენ. — მოგილოცავ მომავალს ბრწყინვალე დღესასწაულს უფლისა ჩვენისა იესო ქრისტეს აღდგომისასა. ღმერთმან ბევრს დაგასწროს.

ელისაბედის წიგნი მივიღე, მივეც-ეკატერინეს. რომელმანცა მოგიკითხა და გმადლა ხსოვნისათვის. არჩილიანი მალე გამომიგზავნე და ტრაგედიას თუ გამოიმეტებ (ოქროპირისს)[1] კარგი იქნება. ჩემო პლატონ გამოგიწერე იოვანე პეტრიწის ყოველსადღეო, იამბიკოებისაგან 13-სა და 14-ის სეკ. და მიახლებია. აქედგან ნახავ, რომე იოვანეს, შენს ფილოსოფოსს, მოუპარავს სამი ტაეპი და ორი თვისი შეუძენია. მაშ თვითონ შეუცთენიხარ და კარგია რომ არ დაბეჭდე, თორემ სხვათაც მოაცთუნებდი. მაშინვე შეატყობს კაცი იმ სამის ტაეპის ორი უკანასკნელი უკადრისია! შენი იოანე ვერ შეესწორება ჭიმჭიმელს იოანეს. „სხვა არს ეგე, სხვა არს იგი — სხვა მართალი სხვა არს ჭორი. ზღვა ცათაგან, ცა ზღვათაგან კიდის-კიდე ყოფდა შორი“ — და სხვანი. მე მგონია გელდენშტენზეე[2] უფრო კარგად კათალიკოსს ეცოდინებოდა თვისის დედის სახელი.

მშვიდობით ჩემო საყვარელო პლატონ საამო ნახვამდე, რომლის იმედეული ვშთოი იმედიანსა ოდენ მოლოდებასა შა და გახსოვდეს მარად შენი დ ა ვ ი თ დ ა დ ი ა ნ ი.

ამავე წერილს ერთვის ცალკე ფურცელზე დაწერილი ხსენებული იამბიკო. აი ესეც:

თაყვანისცემა უხრწნელისა ძელისა,
და მოწამეთა ღვაწლი მაკროვიეთი,
რომელთაგანნი ზოგნი მახვილსა ხოლო,
ზოგნი ცეცხლისა, ემძლევნეს ქადებასა.
და ღირსი პეტრე ერტეველთა დიდება.
დაწვების ძილად, მასვე ჟამსა მშვიდობით
ენკენიათა თანა აღდგომისათა,
კორნიდილიონ სხიეთ მართლით დასებითურთ
ნეტარებისა ღირსად იხსენებიან.
მ — ელი სიმაღლედ, სიღრმე-სივრცედ და სიგრძედ
მპყრობელი ღვთისა, სამ ნაწილედი ნიში.
ამაღლებული, მრგვლივ წმინდა ჰყოფს ეთერსა.

---

[1] ოქროპირ ბატონიშვილის მიერ ტრაგედიად გადაკეთებული „ვეფხისტყაოსანი“.—ს. ც.

[2] იგულისხმება გიულდენშტედტი—გერმანელი მწერალი და მოგზაური.

ხოლო ამპყრობად. აქვს დღეს გახსნილი ღვდელი.
ოქრო სახელი ქერუბინებრი პირი.
ამაზედ დღესა მოწამე პაპა მათვე.
გვემათა შინა ღმერთსა შევედრების სულსა.
და პალაკილთაცა დედოფალი ნეტარი.
თანამეცხედრე დიდის თეოდოსისი[1]...

ეროვნული
ბიბლიოთეკა

და სხვანი და სხვა და სხვა და სხვანი.

15. 1853-ს წ. 4 მაისს. ზუგდიდი.

ჩემო ფ-დ საყვარელო მეგობარო პლატონ ეგნატისო. მეცა მოგიხაროდენ ყ-დ ბრწყინვალისა და ზესთა დიდებულისა დღესასწაულისა აღდგომისა დღესა უფლისა ღვთისა და მაცხოვრისა ჩვენისა ქრისტესა (აღდგომისას) უფალმან მრავალმან მრავალსა წელსა მიგაგებოს ყოვლითარე სიკეთითა და შ-დ სვიანობითა.

წერილი თქვენი 25-ის წასულის თვისა მივიღე რაისთვისცა გმადლობ. რ-დ ვგიე შენს შორის დაუვიწყებლობასა შ-ა: რათ დამიგვიანეთ არჩილიანის გამოგზავნა? თუ რაიმე შევნიშნე, მაქვს ადგილი გამხილო, რამეთუ ადრითგანვე ისიტყვა ბრძენმა მეფემან: „ამხილებრ და შემიყვაროსო".

აღავლინე ლოცვა უზენაესისადმი განთავისუფლებისადმი კნიაზ მიხაილ სვიმონიჩისა ციებისაგან.

მამა არქიმანდრიტის ზაქარიას[2] დამტკიცება ეფისკოპოსად მენგრელთა დიდ ფ-დ კეთილ ღმერთსა ვევედრნეთ ეგოს შეურყევლად და უცვალებლად. ვითარებათა მათ შინა რ-ლნი აქვდნენ აქამომდე: 1. ვერცხლის უყვარულობა, 2. სიფხიზლე, რომელ არს ღვინის უყვარულობა, 3. ნოვაგთზომიერება. 4. ამაოდ უსიტყველობა, 5. სიმდაბლე (გვირგვინი ყოველთა), 6. ძვირის უძრახველობა. ესენი ყველა სჭიროდა არქიმანდრიტობაში. თუ არ გადაუხვია მღვდელმთავრობაში. უმრავლესნი მოხარულნი არიან სამღვდელო და საერო ერთბამად.

ამას წინეთ 13 მარტს, გრიგოლ ბერს გამოვატანე თან ხუთი თუმანი წყობილსიტყვაობისათვის და ერთი თუმანიც ოცის ეგზემპლარისათვის ლიტურგიის განმარტებისა. თქვენდა მოსატანად. არა უწყინ ვითარ გუშინ მესმა რ-ლ გრიგოლ ბერი ჯერეთცა თავის მამასთან არისო და კი დიდ ხანია მანდ მეგულებოდა. უფალსა ვსთხოვ წარმართოს სვლანი მისნი კეთილად და თქვენ კი მაუწყეთ, მიღება ან მიუღებლობა — უწინ მწერდი მოსელასა. ეხლა არაფერსა და როგორ ვქნათ, მოგელოდეთ თუ არა? — ოქროპირის ტრაგედიაც მიბოძეთ — ვნახოთ რა არის ის მწვეთ რომ აქებთ ამას წინეთ ჩემგან მიღებულს წიგნში.

---

[1] კიდური ასოები ყველგან ხუცური ასომთავრულია.—ს. ც.

[2] ზაქარია ეპისკოპოსი (დგებუაძე) სამეგრელოსი (1852—1854).—ს. ც.

ეკატერინემ მოკითხვის წინ მადლობა და მილოცვა ბრწყინვალისა დღესასწაულისა მოგახსენათ.

მარად თქვენი მეგობარი დ ა ვ ი თ დ ა დ ი ა ნ ი.

16. 6-ს მაისს 1853-ს წ. ზუგდიდი

ჩემო საყვარელო პლატონ ეგნატისო.

აჰა ესერა მოვილტვი წინაშე შენსა ჩემითარე მოწიწებითისა თხოვნითა. მესმა ვითარმე, პლანი აია სოფიასი გამოხაზულ არიან და მსურს წადოვნებითისა წადილითა მოპოება მისი. უმჯობესთარე გამობეჭდილებათა, მე ვგონებ ფერადი სჯობდეს. საწადელი ესე აღმისრულე და საცა ადგილია მოსაპოებელი თავს იდევი უწინარეს ფასისა მაუწყებელმან, რათა წარმოგივლინოთ, ნუ მცონარე იქნები ამაზედ და გექნება ფ-დ მადლიერ. შ-დ არჩილიანისა რასა ბევდავ? ექმად ნუ დადგები. შეგეძლოს და არა ქმნა ცოდვაა. იმხარკე. უკეთუ არა თანამედროვეთაგან იქნები ქებული თანამედროეთაგან ხომ შენზე უკეთესებიც ყოფილან. უმადურობასა შ-ა არ უნდა შესწბე და მე ნუ დამივიწყებ —

მარად განსხვავებით პატივისმცემელსა

თქვენსა დ ა ვ ი თ დ ა დ ი ა ნ ს

17. ზუგდიდი 1853-ს წ. 14-ს მაისს.

ჩემო საყვარელო მეგობარო პლატონ ეგნატისო.

ერგასეული არჩილის ლექსნი, მივიღე. კურთხეულმცა არს მშრომელი უკვდავმყოფელი ლექსთა ამით, და განამტკიცნნეს უფალმან ძალნი შენნი უშორეს წარმათებად. ესე გვართა შ-ა კეთილთა. კიდევ მამცნებ. რათა კიდევ იმხარკო ანაბანაცა მიბოძე ოცი. ვნახო როგორია — გმადლობ ვეფხისტყაოსნის დრამისათვის... ჯერ არ წამიკითხავს. გუშინ ფოჩტამ ორი სასიხარულო ამბავი მაუწყა. ჩვენის ეფისკოპოსის კურთხევა და ექსარხის ბარტყულას ჯვარი. ორივე ძალიან მიამა. ჩვენი ეფისკოპოსი რომ მოვა მანდ ყური უგდე. უგადიავე. რაოდენ დამდაბლდები ეგოდენ ამაღლდები, რაოდენ ამაღლდე ეგოდენ დამდაბლდე.

გთხოვ დაუვიწყებლობას. ეკატერინამ მადლობა მოგიძღვნათ მოკითხვისათვის და პატივისცემა განგიცხადა. ეგრეთვე გრიგოლმა და თერეზიამ[1]. კეთილდღეობისა შენისა მოსურნე მარად და მარად დ ა ვ ი თ დ ა დ ი ა ნ ი.

ამ წიგნს გეორქ სომხის ეპისკოპოსს ვატან. რომელიც იმყოფებოდა ყულევს მათის საყდრის საკურთხად და მეწვია მე ზუგდიდს და იყო ორი დღე.

18. გორდი 9-ს ივლისს 1853.

უსაყვარლესო პლატონ ეგნატისო.

წერილი თქვენი 27-ის ივნისისა მაქვნდა კმაყოფილებაი მიღებად. ამ-

[1] ტერეზია გურიელის ასული, გრ. დადიანის მეუღლე—რძალი დავითისა.—ს. ც.

ერთანავე გაახლებთ სამოცის ეგზემპლარის ლიტურგიის განმარტებას ფულსა 30-ს მანეთს (ვგონებ ეგ იყოს ფასი თუ არა და დამატებული თუ მიბძანეთ, ვინაიდან დამავიწყდა). მოველით ყოვლად სამღვდელო ზეპარიას და ვეწყობით ცერემონიით მიღებასა. მაგრამ არსად ჩანს ჯეფენ.

რასა იქ, თუ რასმეს ბეჭდავ?

გთხოვ მიღებისათვის ფულისა უწყებულ მყავთ.

სხვებ ვეგები მარად თქვენდამი ყოვლისა კეთილ მსურველობითა

დ ა ვ ი თ დ ა დ ი ა ნ ი."

ასეთი იყო ურთიერთობა დავით დადიანისა და პლატონ იოსელიანისა, რომელიც ამ პერიოდში ინტენსიურ მუშაობას ეწეოდა ქართული წიგნის გამოცემის გაძლიერებისათვის. დავით დადიანს კი, ვიდრე ცოცხალი იყო, როგორც ვხედავთ ამ საქმეში გარკვეული წვლილი შეჰქონდა. ამ უკანასკნელი წერილის შემდეგ მას დიდხანს არ უცოცხლია. იგი გარდაიცვალა 1853 წლის 30 აგვისტოს, აგარაკ გორდში.

დავით დადიანს მწიგნობარს, მწერლობის მოყვარულს, მეცენატსა და ლიტერატორს ავსებს აგრეთვე. როგორც ეს ზევითაც გექონდა აღნიშნული, მისი ზრუნვა „ვეფხისტყაოსნის" რუსულ ენაზე გადათარგმნისათვის და ურთიერთობა ალექსანდრე ჭავჭავაძესთან.

ალექსანდრე ჭავჭავაძე და დავით დადიანი. ალექსანდრე ჭავჭავაძის ოჯახი ერთი უპირველესთაგანი იყო მთელ თბილისში. თ. ტორნაუს ცნობით მისი სადარბაზო ოთახი სტუმრებისაგან[1] არასდროს არ იცლიბოდა.

სტუმართა ამ მარაქას 30-იან წლებში შეემატა კიდევ ერთი, 17-18 წლის ახალგაზრდა ლეან-გვარლიის კორნეტი, რომელიც მიუხედავად თავისი ახალგაზრდობისა, საზოგადოების განსაკუთრებულ პატივისცემას იმსახურებდა.

ეს იყო სამეგრელოს სამთავრო ტახტის მემკვიდრე დავით ლევანის-ძე დადიანი, რომელიც იმ ხანებში კავკასიის მთავარმართებლის ბარონ როზენის აღსაზრდელიც იყო და მისი საგანგებო მონდობილობათა მოჰელეც.

„ახალგაზრდა მემკვიდრეს, რომელსაც ნათესაობრივი კავშირი ჰქონდა საქართველოს სამეფო სახლთან, წრედ დაუხვდა თბილისის რჩეული საზოგადოება".

ამ საზოგადოებაში მისთვის ყველაზე მიმზიდველი და საყურადღებო შეიქნა ის დიდი ოჯახი, რომელიც ნინო და ეკატერინე ჭავჭავაძეების შარავანდედით იყო მოსილი. აქ გაეცნო და დაუახლოვდა ის საუკეთესო ქართველ პოეტებს და ახალგაზრდობას, მოწინავე ინტელიგენციასა და ფართო საზოგადოებაში გამოჩენილ ქართველებს.

1836 წლის 20 აგვისტოს დავითი თავის ძმას გრიგოლს თბილისიდან სწერდა: „ქეთევან ბატონიშვილს დამბლამ მარჯვენა ხელი გაუხმო, სტარიკა თარხან-მოურავი ყოჩაღად არის, თავის სოფელში წავიდა, დიმიტრი დიდს ორატორობაშიდ და შენს მოგონებაში არის. ხშირად შევიყრებით ხოლმე: 1. მიმბაში, 2. დიმიტრი, 3. ნაზარი 4. მამა ეგნატე, 5. დეკანოზი, 6. მე, და ვარო ერთ ბაასში და ყოფაში.

ძწეჯარე ვართ დიდი მოწყინებით, ჩემი მამა იასე[2] ნეობახტში ზის და ის მცემს ნეგეშს წიგნთ თარგმანებით.

წეერი-კრიპელეისონ კარგის მოქმედებისათვის!

ენაზ იაგორ ევსევიჩმა, ერისთავმა, თავის შვილს ელენე[3] ძიტაცებით შერთო. არქიერი ჯავრობს და აშვებინებს მაბლობელი ნათესავობით"...

თბილისის მაღალი არისტოკრატიის წრეებში ამგვარ თამამ ურთიერთობაში მყოფი

---

[1] „Русск. Вестник" 1869, № 4.

[2] ი. გარსევანიშვილი, დავ. დადიანის მდივანი—წიგნების გადამწერი და მთარგმნელიც.

[3] ელენე ორბელიანი, რომლის თაყვანისმცემელი ერთ დროს თვითონ დავით დადიანიც ყოფილა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დავითი ცხადია, კიდევ უფრო მეტი სიმპატიებითა და ტენდენციებით იქნებოდა დაჯილ-ებული თავის მომავალ სასიმამროსთან, მით უფრო, ის იყო პირველყოვლისა დიდად ბ-ნათლებული ადამიანი, შემდეგ საქართველოს ნიჭიერი და საყვარელი პოეტი, [illegible] განსაკუთრებული პატივისმცემელი იყო დავით დადიანი, როგორც ამას ქვევით დავინახავთ, და, რაც მთავარია, აგრეთვე ის იყო იმდროისათვის მეტად წარჩინებული პირი და რუსეთის მეფის ერთი მამაცი გენერალი...

მაგრამ მეფის ამ მამაც გენერალს და მთავარმართებლის გაზრდილსა და მის საგანგებო მინდობილობათა მოხელეს მარცხი მაინც შეემთხვევიათ, რამაც ერთიერთობა ეროებით შეწყვიტა.

ეს მოხდა 1832 წელს, როცა ცნობილი შეთქმულების საიდუმლოება გაიხსნა და ქართველი თავად-აზნაურული და მოწინავე ინტელიგენცია მასში ჩაბმული აღმოჩნდა. მათ შორის ალექსანდრე ჭავჭავაძეცა და დავით დადიანიც.

ალექსანდრე ჭა ჭავაძეს ეკატერინე იმპერატრიცის ნათლულობით, გენერალ-მაიორობით და მისი მამის გზამ დიდი ამაოთ არავინ დარიდა და თავი საპატიმროში ამოაყოფინეს.

სახტად დარჩენილმა ბარონ როზენმა თავისი გაზრდილი და საგანგებო მინდობილობათა მოხელე დავით დადიანიც განსაკუთრებული სიფრთხილითა და მიდგომით დააკითხვინა.[1]

ალექსანდრე ჭავჭავაძე მთელი საქმის გამოძიებისა და პროცესის მანძილზე კატეგორიულად უარყოფდა ამ შეთქმაში თავის მონაწილეობას. მაგრამ ალექსანდრე ორბელიანის, ელიზბარ ერისთავის, ლუარსაბ ორბელიანის, თ. ჩოლოყაშვილის, გ. ერისთავის, ვ. ორბელიანის, ბერი ფილადელფოს კიკნაძისა და სხვათა ჩვენებებისა და მიწერ-მოწერიდან დადასტურდა, რომ ალექსანდრე ჭავჭავაძე, მართალია, ამ საქმეში არ იყო სხვებივით აქტიური და ყოველდღიური მოქმედი, მაგრამ მეტად თავშეკავებული, დაკვირვებული, საქმის ვითარებაში გარკვეული და შესაფერი კონსპირაციით სათანადო დირექტივების მიმცემი იყო გატაცებულ ახალგაზრდობისათვის.[2]

არც ერთი ჩვენება ალექსანდრე ჭავჭავიძისა, თავის გასამართლებლად წარდგენილი, მთავრობისათვის დამაჯერებელი არ აღმოჩნდა. პირიქით, ნიკოლოზ I-ს ნამდვილ მონაწილედ მიაჩნდა ის ამ საქმეში, რის შესახებ 1833 წ. გრაფ. პასკევიჩს ერეთს წერილში სწერდა: „გენერალ მაიორი, თავ. ჭავჭავაძე ყველასათვის კარგად ცნობილი იყო და, როგორც ჩანს, ამ საქმეში თამაშობდა როლს მსგავსად მიხეილ ორლოვისა 14 დეკემბრის საქმეშიო".[3] მეფე არ ცდებოდა. ალექსანდრე ჭავჭავაძე, როგორც დაწვრილებით მცოდნე შეთქმულების მთელი არსისა და მისთვის ერთგვარი საიმედო ძალა, გადასახლებულ იქნა შიდა რუსეთში ქ. ტამბოვს, საცა მან ოთხი წელი დაჰყო.

სულ სხვარიგად წარიმართა სამეგრელოს მთავრის-ძისა და მემკვიდრის საქმე. ის პირველად ამჩნევა თავის ჩვენებაში გიორგი ერისთავმა ზ. ავთანდილაშვილთან და დამ. ყიფიანთან ერთად, რომელთაც დაადასტურეს მასზე გიორგი ერისთავის სიტყვები, რომ „დადიანი არც ისეთია, როგორადაც მას უწინ ვსთვლიდით, მე ის მოკლედ შევისწავლე, როცა ექსპედიციაში ვიყავით მთიელთა წინააღმდეგ 1832 წ. — ის ჭკვიანი ახალგაზრდაა, დიდი პატრიოტი და ამქამადაც ჩვენს ხელთ არის". იმავე გიორგი ერისთავის სიტყვით, დავით დადიანთან სულ მცირე ხანს ყოფნამ, მასში იმგვარი შთაბეჭდილება შექმნა, რომ ავთანდილაშვილმა და ყიფიანმაც სრულიად დასაშვებად მიიჩნიეს მასთან

---

[1] საქ. შ. ს. სამ. ცენ. არქივი, 1832 წ. შეთქმულების ფონდი, რვეული 18, გვ. 3428—3434.

[2] იხ. ს. შ. ს. სამ. ცენ. არქივის, 1832 წ., შეთ. საქმე. 1—29 რვ.

[3] Русский архив, I, გვ. 9.

განდობა.[1] ექსპედიციის დროს, დასძენს იგივე ერისთავი, სრულიად გაირკვევა ჩვენთვის დავით დადიანის პიროვნება და როგორც საიმედო კაცს, საჭირო შეიქნა მასაც [illegible] ამ შეთქმის შესახებ; ჯერ კიდევ 1831 წელსაც ჰქონდათ სურვილი ამ მხრით [illegible] ენენ მთავრის ძეს, მაგრამ „ოვერიდეთო“, წერს გ. ერისთავი[2].

ამგვარი ჩვენებების შემდეგ, ცხადია, დადიანს ხელუხლებლად არავინ დატოვებდა. 1833 წ. ივნისს ის წარუდგა კომისიას, რომელსაც სიტყვა ბანზე აუგდო და შეეცადა სავსებით უარეყო მისთვის წაყენებული ბრალდება.

„ეს სინამდვილეა, — ეუბნება ის კომისიას, — რომ გიორგი ერისთავი არა მარტო ჩემთან, ყველასთან აშკარად ლაპარაკობდა, რომ მთელი მისი საგვარეულო ძლიერ დაინაგრა დ შეეიწროებულია ამ ბოლო ხანებში მთავრობის მიერ ოსეთისა და სხვა მამულების ჩამორთმევითო“...

„...მეუბნებოდა თუ არა გ. ერისთავი მეფის ძე დავითისა და სხვათა შესახებ, არ მახსოვს, მაგრამ შესაძლებელია მეუბნებოდა, რადგან ჩვენ ხშირად გვქონია ბაასი საქართველოზე, მისს ისტორიაზე და საერთოდ ამ ჩვენს მხარეზე“...

რაც შეეხება მის წინაშე წამოყენებულ ბრალდებას, დავითი არ იზიარებს იმ აზრს, ვითომ იგი თანაუგრძნობდა შეთქმულებს, „პირიქით მე მათ ვურჩევდიო, აღნიშნავს ის, რომ თავი გაენებებიათ ამგვარი საქმისათვის, რის გამო გ. ერისთავი ეპყრა თვალითაც მიეკერებოდა. რაც შეეხება იმას, რომ **მე ქართველი პატრიოტი ვარ, ეს მართალია, მაგრამ მე იმასაც ვგრძნობ, რომ ჩვენს ქვეყანას არ ძალუძს რუსეთის დაუხმარებლივ არსებობა** (ხაზი ჩემია — ს. ც.). პირადად ჩემი სამშობლო სამეგრელოა, რომელიც დიდად მიყვარს და დიდი დავალებულიცა ვარ რუსეთის მართებლობის უმაღლესი წყალობით, რომ მისი სამთავრო ტახტის მემკვიდრედაც დამამტკიცა და კიდევაც გვიწევს მფარველობასო“[3].

როგორც ჩანს დავ. დადიანს შეთქმულების შინაარსი ცოდნია, მაგრამ არ თანაუგრძნობდა თურმე. პირიქით, ის მათ „ურჩევდა, რომ ამგვარ საქმისათვის თავი გაეყენებიათ“... ცხადია, ამგვარი თავის მართლება არსად გამოდგება. ის ვალდებული იყო, რაკი შეთქმულების საიდუმლოება გაეგო, კიდევაც უნდა ეთქვა თავის გამზრდელისათვის და მით უფრო მის საგანგებო მინდობილობათა მოხელეს ეს ეკალებოდა კიდეც. მაგრამ ეს მან არ ჩაიდინა, და თუ ხელი არ შეუწყვია შეთქმულთათვის, არც გაუცია ნება და რამდენადაც ეს მას შეეძლო, თავის ჩვენებაშიაც დაიცვა თავისი მეგობრები.

დავითი, ცხადია, ამის გამო არ დასჯილა, მაგრამ მისი მფარველისა და აღმზრდელის წყალობა და მხურვალე პატივისცემა კუნელდა მით, რომ ის თბილისიდან მალე იქნა განრიდებული და სამეგრელოში. შეუდგა „მოურავთა-ზედა მოურაობასა“ და „წინამძღომელობას მდივანშიც“.

ამის შემდეგ დავით დადიანი ალექსანდრე ჭავჭავაძის რუსეთიდან დაბრუნებამდე თბილისს არ სწვევია; მაგრამ სანამ ამბის მსვლელობა გაგვიტაცებდეს, საჭიროდ მიმაჩნია ერთი საგულისხმო დოკუმენტის აქვე მოყვანა, საიდანაც ირკვევა, რომ დავით დადიანი წარმოდგენილ ცნობებზე უფრო ღრმად იყო ჩახედული შეთქმულების რაობასა და კითარებაში და ზოგიერთ შემთხვევაში ირიბი დამხმარეც.

შეთქმულთა მასალებიდან ცნობილია, რომ ყველა წევრი იმედით შესცქეროდა ალექსანდრე ჭავჭავაძეს, როგორც ავტორიტეტიანს, ჭკვიან ქართველსა და გამოცდილ გენერალს, ხოლო ალექსანდრე ჭავჭავაძეს ამ მხრით ერთ-ერთ დასაყრდნობ ძალად და საიმედო პიროვნებად ერეკლე მეფის-ძე, უკვე ირანში გაღახვეწილი ალექსანდრე მიუჩნევია და ურჩევს მათ, ამის შესახებ მისწერონ მას, ან მოახერხონ მისი საქართველოში გაყმოყვანა.

---

[1] იხ. საქ. შსს ც. არ. შეთქმ. საქმის რვ. 18, გვ. 4328.
[2] იქვე.
[3] იხ. სშსს. ცენ. არქივი, 1832 წ. შეთქ. საქმე, რვ. 18, გვ. 3434.
[4] იქვე.

ამ საქმის გარშემო ერთგვარი დავალება მიეცა ალექსანდრე ორბელიანს, რომლის ფაღმოცემით ისინი, 1831 წელს, თამარ ბატონიშვილთან ერთად აპირებდნენ იერუსალიმში წასვლას სალოცავად, „სინამდვილეში კი ალექსანდრე ბატონიშვილს უნდა შეეხვეროდითო"[1].

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეს განზრახვა იმ პერიოდში განუხორციელებელი დარჩენილა, რის გარშემო ზრუნვა შემდეგში კვლავ განუახლებია ამ შეთქმის ერთ-ერთ მთავარ მონაწილესა და სამოქმედო პროგრამის („აქტი გონიერი") შემდგენ ცნობილ იერომონახ ფილადელფოს კეკნაძეს.

რადგანაც საქართველოს სამეფო გაუქმებული იყო და მთავარმართებლისაგან კი საზღვარგარეთ წასვლის ნებართვის მიღება არც ისე ადვილი, მას იმ ხანებში ნახევრად დამოუკიდებელ სამეგრელოს მთავრისათვის მიუმართავს შემდეგი განცხადებით:[2]

„მათს უგანათლებულესობას ყოვლად უმოწყალეს ლეონ დადიანს მთავარს ოდიშისა, და სრულიად სამეგრელოსა ადგილთა და სხვათა მეპატრონეს და ბრძანებელსა — მათის იმპერატორებითს დიდებულების ღენერალ-ლეიტენანტსა და სხვათა და სხვათა ორღენთა კავალერს. იერომონახის ფილადელფოსისაგან უმდაბლესი თხოვნა:

რომელიცა იმერეთისა კერძოთაგანი, ხოლო რომლისამე შემთხვევისა ძალით აწ ვცხოვრებ საქართველოსა შინა კახეთს ხახულის ღვთისმშობლის შუა-მთის მონასტერსა შინა, გარნა დიდის ხნითგან აღნთებული სურვილი ჩემი არს თაყვანისცემა წმინდათა ადგილთა იერუსალიმისათა, და მოლოცვად განმაცხოველებელისა ჩვენისა ქრისტეს საფლავისა, სხვათა ცხოვრება შემოსილთა ადგილთა და წმანდათა მონასტერსა მთისა წმინდისასა, და ერთი ესოდენ აზრი მარადის ავსებს გულსა შინა ჩემსა ადრე სურვილისასა, და მარადის მაძლევს მიზეზსა თხოვაღ შეწევნისა ცისადმი და ქვეყანისა, რომლისა შორის არ აღმოჩნდა სხვა ღონე გარდა ღვთისა კერთხეულისა მამობრივისა მოწყალებისა თქვენისა მოხეღვისა.

საქართველოს მონასტრითგან არვის აძლევენ ნებას წასვლაღ რომელსამე სხვასა სამძღვარსა გარეთსა ადგილსა, ხოლო სამთავრო თქვენი უმაღლესითა უკაზითა მათის იმპერატორებითის დიდებულებისათა მდგომარეობს თავისუფლებათა ქვეშე თქვენისა სიმაღლისასა, და ვითარცა გნებავსთ ყოველივე მიეწყობის კეთილ მნებელობასა თქვენისა, ამისთვის დავვარღები ფერხთა ქვეშე უგანათლებულესობისა თქვენისათა, და გთხოვთ მხურვალითა გულითა რათა ინებოთ მიხეღვაღ ჩემი ღვთიერითა მოწყალებითა, და მასწეროთ საქართველოს მთავარმართებელსა და გამოითხოვოთ თქვენსა სამთავროსა შინა, რომლისამე თქვენს მიერ დადებულისა მიზეზისათვის, და მყოთ მე გლახა ესე ცრემლით მლოცველაღ ღვთისადმი ღეგრძელობისათვის უგანათლებულესობისა თქვენისა და ძეთა თქვენთა. ხოლო შემდგომ ეგები ყოველსავე ზედა ნებასა თქვენსა"[3].

მაშინ, როცა ეს ხოტბითი თხოვნა იწერებოდა, მთავრის-ძე და „უმაღლესად დამტკიცებული შემკეღრე" დავით თბილისში იყო და, შესაძლებელია ვიფიქროთ, როგორც შეთქმულებთან დაახლოებული, ერთგვარ კონსულტაციასაც უწევდა მამისადმი ამ „უმდაბლესად" მთხოვნელს, რომელიც აქაც ვერ დაუკმაყოფილებიათ და შემდეგ სხვა, კიდევ უფრო რეალურ გზისათვისაც მიუმართავს.

1832 წლის ღამდეგს იგივე კეკნაძე ბერი წერს ლევანის დედას დედოფალ ნინოს (მეფე გიორგი მეთორმეტის ქალს, — დავითის დიდედას), რომ მას სურს სამუშაოდ, ე. ი. სამსახურში გაეგზავნოს სამეგრელოში და იყოს უმორჩილესი მსახური დედოფლისა. ამ წერილს თან ერთვის ნიკეგოროდის დრაგ. პოლკის პრაპორშჩიკის როსტომ იოსელიანის რეკომენდაცია, რითაც იგი სთხოვს დედოფალს, რომ ეს ბერი, როგორც საუკეთესო

---

[1] შეთქმ. მასალები, რვ. 15, გვ. 2760.
[2] იქვე, რვ. 14, გვ. 1253.
[3] ძველი ორთოგრაფია არ დაგვიცავს.— ს. ც.

მომზადებასა და ზნეობის ადამიანი და თან როგორც იმერეთის შვილი — [illegible] სამსახურში[1].

ცხადია, ეს გზა უფრო საიმედო იქნებოდა: ჯერ დედოფლის ხელქვეითობა, მასთან დაახლოება, გულწრფელობაში დარწმუნება და შემდეგ, იერუსალიმში ცავად წასვლისათვის მისთვის ვიზას ვილა დაიშურებდა. მაგრამ ვიდრე ამ მშვიდობიან გზას გაიკლიდა „დიდის ხნითგან სურვილ-აღსრულებული" იერომანახი, მისთვის სრულიად მოულოდნელად, საგამომძიებლო კომისიის კაბინეტში აღმოჩნდა და თავზარდაცემული პირველ დაბნეულ ჩვენებას იძლეოდა, რითაც იგი ცდილობდა თავის დაღწევას, მაგრამ მის ბინიდან წამოღებული ქაღალდები ამხელდნენ მას და გამართლების ყველა გზას უხშავდა.

„უაზარმობა" დამთავრდა. „დაემხო რაყიფნი დიდკაცნი", როგორც იტყოდა გრ. ორბელიანი, ხოლო ალექსანდრე ჭავჭავაძემ დიმიტრა ორბელიანთან ერთად დაიტირა:

„ეამის ბორბალი დაუდგრომი ცვლალების მყვარე
მიგვყრის და მოგვყრის სად ვით ნებავს დამჭროლი ქარით.
აწცა იგივე არს მიზეზი შორს ქმნისა ჩვენის
კავკაზს შენ მანდით შესცქერი და მე ვმზერ ამ მხარით"[2].

როგორც აღვნიშნეთ, მას შემდეგ დავით დადიანი ალექსანდრე ჭავჭავაძეს არ შეხვედრია, ვიდრე ეს ულანასკნელი რუსეთიდან არ დაბრუნებულა 1837 წელს. დავითმაც ამ პერიოდში დატოვა სამეგრელო, მისი „წინამჯდომელობა" სამთავროს რჩევაში და თბილისს გამოეშურა[3].

ალექსანდრე ჭავჭავაძის ოჯახი კვლავ მხიარულებასა და განცხრომას მიეცა. სალონი კვლავ გაჩაღდა, და როდესაც საქართველოში გამოჩნდა ევროპული განათლების მქონე ახალგაზრდები, ალექსანდრე ჭავჭავაძის სახლი გახდა ცენტრად ამ მცირერიცხოვან ინტელიგენტური წრისა.

იმდროინდელი ქართული მწერლობის მნათობნი: გრიგოლ ორბელიანი, გიორგი ერისთავი, მიხ. თუმანიშვილი, ვ. ორბელიანი, ალ. ორბელიანი, ნიკოლოზ ბარათაშვილი და სხვანი იკრიბებოდნენ მასთან საღამოებზე და კითხულობდნენ თავიანთ პირველ ნაწარმოებთა. თვითონ ალექსანდრე ახალისებდა ამ საღამოებს თავისი შესანიშნავი ლექსებით, რომელთაც, რამდენიმე ხნის შემდეგ ქუჩებში მღეროდა ქალაქის მთელი მოსახლეობა[4].

ამ სალონში იზიდავდა მთელ ამ ახალგაზრდობას და რჩეულ საზოგადოებას ალექსანდრეს ქალები, მათი შეუდარებელი სილამაზე, განათლება და მწერლობისადმი სიყვარული. „შესანიშნავი და მრავალფეროვანი ნიჭით დაჯილდოვებული, მოძრავი, ტანადი, ლამაზი ეკატერინე, მის მიერ მიღებული აღზრდის შედეგად,—წერს იონა მეუნარგია,—შეიქმნა მისი თანამედროვე ახალგაზრდობის სათაყვანებელ კერპად. ეკატერინეს გრაცია, ლეკური და სიმღერა ატყვევებდა ამ ახალგაზრდობასა და აღაფრთოვანებდა საუკეთესო ქართველ პოეტებს, როგორიც იყვნენ გრ. ორბელიანი, ნიკ. ბარათაშვილი, თეიმურაზ ბატონიშვილი და სხვ.[5].

„მხოლოდ მაშინ, როცა ის უკვე 23 წლისა შეიქმნა, კიდევ რამდენიმე ხნით ყოყმანის შემდეგ მისი არჩევანი შეჩერდა დავით დადიანზე"[6].

ამ ქორწინების შესახებ დავით დადიანი 6 თვით ადრე — 1838 წ. 1 დეკემბერს სწერს მაშინ პეტერბურგში მყოფ თავის უმცროს ძმას გრიგოლ დადიანს, რომელსაც პოეტი და მეუზათმპყრობელად იხსენიებს —„უნდა მოუპოვო ჩემს ხმატკბილ იღლონს ესრეთი

---

[1] სშსს ცენტრ. არ. 1832 წ. შეთქმ. ფონდი, რვ. 16, გვ. 2968.
[2] იხ. ალ. ჭავჭავაძე, თხზულებანი, გვ. 76, ი. გრიშაშვილის რედაქციით.
[3] იქვე,
[4] „კავკაზ", 1882 წ. № 249.
[5] იქ ვე.
[6] იქვე. გვ. 250.

სამგალობლო, სამსახიობლო და სასიხარულო საგანი, რომ სვრეტდეს მას ღირსად თავისი შრომისა და დაუზოგავად იღვაწოს სამსახეობათა სხვათა და სხვათა, მრავალთა თხზვაი. საგანი ესე არს სჯულიერსა ქორწინებასა შინა შესვლაი ჩემი ეკატერინა ალექსანდრე ჭავჭავაძის ასულასათანა, რომელი უნდა მოხდეს შემდგომ დღესასწაულისა შობისა ღვთისა"...

დავით დადიანის ზემომოყვანილ ბარათიდან ჩანს, რომ დაახლოებასა და დაკავშირების ეს დიდი ფაქტი 1838 წლის დეკემბერში, განსაკუთრებით შობა-ახალწლის დღეებში უნდა მომხდარიყო, მაგრამ, ჩვენთვის გამოუცნობელ მიზეზთა გამო ის 1839 წლის მაისამდე გადადებულა.

ამ ქორწინების შემდეგ ალექსანდრე ჭავჭავაძე თვითონ ეწვია სიძე-ქალიშვილს სამეგრელოში და მომავალი ცხოვრებისა და სამთავროს მმართვის მრავალი პრაქტიკული ხასიათისა და მნიშვნელოვანი გეგმა დაუსახა და მამობრივი დარიგებითა და სიყვარულით შემოსა ახალგაზრდა მთავრები, რომელნიც, თუმცა პატარას, მაგრამ მაინც შინაურობაში დამოუკიდებელ სამთავროს უნდა გასძღოლოდნენ.

ალექსანდრე ჭავჭავაძე სამეგრელოში. ეკატერინეს დავით დადიანზე გათხოვების ორი წლისთავზე, 1841 წელს, გაზაფხულზე, აღდგომის ტრადიციული დღესასწაულების დღეებში ალექსანდრე ჭავჭავაძე სამეგრელოში ეწვია თავის ასულსა და სიძეს.

სასურველი სტუმრის მიღება განსაკუთრებული ზეიმითა და ლხინმეჯლისებით აღნიშნულა.

„ალექსანდრე ჭავჭავაძე რომ ზუგდიდს მოვიდა 1841 წელს, ნადირობა გაუმართეთ. მწევრებიც მასვე მისცეს და შვლებიც მიურეკეს. რამდენიმე დაიჭირა, კარგი ცხენოსანი კაცი იყო. პეპუაც თან გვახლდაო"—გადასცემს გრიგოლ დადიანი იონა მეუნარგიას.[1]

ამ ჩანაწერიდან გარკვეულად ჩანს სასიქადულო სტუმრისადმი პატივისცემა. ალექსანდრეს პატივსაცემად დაუსრულებელ ზეიმად გადაქცეული ეს დღეები დაუვიწყარი შექმნილა მთელ მხარისათვის. პოეტი მეფურად მიუღიათ და ხალხის ხსოვნაში ამ თარიღს იმგვარი ზოგადი ხასიათი მისცემია, რომ საჭიროების შემთხვევაში იტყოდნენ: „ეს მოხდა იმ დროს, როცა დადიანს ჭავჭავაძე ესტუმრაო".

სტუმრის საპატივცემლოდ მოავარს თავის ნაკრძალში, რომელიც მას ზუგდიდის სასახლის მახლობლად ჰქონდა[2], დიდი ნადირობა გაუმართავს ირმებზე და შველებზე და ისე წარუმართავთ ეს ნადირობაც, რომ ალექსანდრე ჭავჭავაძე გამოსულიყო ბრწყინვალედ გამარჯვებული მონადირე,— მწევრებიც მისთვის მიუცია და შვლებიც მისკენ მიურეკიათ. ეტყობა დიდძალი ამალაც ხლებიათ ამ როსტევანისა და ავთანდილის ძიმბაძველებს. პეპუაც თან გვახლდაო გადასცემს მთავრის ძმა ი. მეუნარგიას. ეს პეპუა მეუნარგია ამ უკანასკნელის პაპა იყო, განთქმული მოქანდაკე და ოქრომჭედელი, ლევან დადიანის სასახლის ამალის ერთ-ერთი წევრი[3].

მაშინ 55 წლის პოეტი, საკმაოდ შეჭალარავებულიც იქნებოდა, რადგან მის შესახებ იგივე გრ. დადიანი გადმოგვცემს, რომ „ულვაშებს იღებავდაო". საგულისხმოა იმავე პირისაგან პოეტის გარეგნულობის აღწერა, რომ „ის დავითზე დაბალი იყო ტანით, **или одного роста[4]**". აქ საინტერესოა თუ რომელ დავითს ადარებს იგი მას. თუ თავის ძმას—სამეგრელოს მთავარს—ეს კი საუბრის ჩამწერისათვის მიუწვდომელი იქნებოდა, რადგან იგი დავით დადიანს ვერ მოსწრებია და ვერც მის სიმაღლე-ტანადობას წარმოიდგენდა.—საფიქრებელია, რომ იგი დავით ჭავჭავაძეზე უთითებდა, ალექსანდრე ჭავჭავაძის ვაჟზე, რომელიც აგრეთვე საშუალო ტანისა ყოფილა.

ამასვე ადასტურებს ქეთევან ორბელიანიც ი. მეუნარგიასთან საუბარში. იგი ამბობს: „ალექსანდრე შუათანა ტანისა, კარგი თვალადი, კარგი ზრდილი, თავმდაბალი, როგორც ეკადრებოდა დიდი კაცის შვილს, კარგი მოლაპარაკე იყოვო" (იქვე).

[1] ზუგდიდის მუზეუმის ი. მეუნარგიასეული არქივის უბის წიგნები.
[2] ი. მეუნარგია, „სამეგრელო დავით დადიანის დროს", გვ. 60.
[3] შ. ამირანაშვილი, „პეპუ მეუნარგია", გაზ. „ლომისი", 1923, № 6—7.
[4] ზუგდიდის მუზეუმი—მეუნარგიას სამახსოვრო წიგნიდან.

ალექსანდრე ჭავჭავაძე დავით დადიანის მუდმივი მრჩეველი და დამრიგებელი ყოფილა—წერს მეუნარგია დასახელებულ ნაშრომში. ეს რჩევა არც ამ საზეიმო დღეებს შეუნელებიათ. მთავარი სწორედ ამ ხანებში აპირებდა თავის საზაფხულო რეზიდენციაში—გორდში ახალი სასახლის აგებას. ძველად და ლევანის დროსაც აქ უბრალო—მეგრული ოდა მდგარა, სადაც ღამეს ათევდნენ მხოლოდ სანადიროდ ამოსული მთავრები.

1841 წელს ამ ძველი ოდის ნაცვლად „ალექსანდრე ჭავჭავაძის თანდასწრებით გადახდილ იქნა პარაკლისი და საფუძველი დაედვა სასახლეს“, რომელიც შემდეგ აშენდა „ალექსანდრე ჭავჭავაძის რჩევითა და არქიტექტორის ვასილიევის გეგმის მიხედვით.

ფაქტების აღნუსხვამ ცოტა უმართებულოდ დაგვაწინაურა. ეს პარაკლისი, სასახლის ეს საფუძვლის ჩაყრა და სხვა, აღდგომის დღეების ორკვირიანი ნადიმების შემდეგ მოხდა. მანამდე კი ზუგდიდის სასახლეში გაიმართა ერთგვარი ოლიმპიადა სამღერებისა, როკვისა, შაირობისა და სხვა სახის პაექრობათა. უჩვეულო სტუმრის შარავანდედმა ყველაფერს არაჩვეულებრივი ელფერი მისცა. „ზმებს, მოსწრებულებას, ლექსებსა, ერთმანეთს სწრაფად ესროდნენ“.

პირველად, ზმაში დახელოვნებული კარის მღვდელი, იოსელიანი შეაჯიბრეს სტუმარს; აბა ერთი ეკატერინეზე სთქვი ზმაო. იოსელიანმა ჯერ ითხოვა, რომ რუსული სიტყვის გამორევის ნება მისცემოდა და შემდეგ თქვა:

— გამიგონე კატერი ნავს ჰქვია, მგონი რუსულად.

— ცამ დამირეკა ტირი ნა რნარად,—განა ქართულად არ ითქმოდაო,—უპასუხა თურმე სიტყვა-მოსწრებით ალექსანდრე ჭავჭავაძემ.

დავით დადიანის ამალის წევრს ლეჩხუმელ ნიკოლოზ ჩარკვიანს,—გადმოგვცემს კონსტანტინე დადიანი,—გრიგოლ დადიანის ლექსი „სამშობლო“ რუსულ ენაზე უთარგმნია და ერთ-ერთ ნადიმზე ალექსანდრე ჭავჭავაძისათვის ექსპრომტად უთქვამს:

„Каждый любит существовать
Где родился тот селения,
Не может без него
Если есть как я чувствительния.

Золото не вмею, не надо
Слаби сердца высохнелия,
Вино довольно для питания
Холст тела согретения“[1].

ალექსანდრე ჭავჭავაძემ პასუხიც მსგავსივე რუსულით უმალვე მიუგო:

„Великий поэт Чарквиания,
Кажду душу согревания“.

ალექსანდრე ჭავჭავაძეს ძლიერ მოსწონებია მეგრული ფერხული (ცეკვა) და მის თვის უძღვნია მშვენიერი, თავისებური ლექსი, რომელიც გრიგოლ დადიანის ხელით გადაწერილი ამჟამად ზუგდიდის მუზეუმშია დაცული. ლექსი დათარიღებულია 1841 წლის აღდგომის დღეებით და შეიცავს შემდეგ სტრიქონებს:

---

[1] გრიგოლ დადიანის ეს ლექსი, რომელიც შეტანილია მის „ლექსთა კრებაში“ (იხ. კოლხიდელი, ლექსები, 1901 წ. ქუთაისი) ასე იკითხება:

უყვარს ყოველსა ცხოველსა, სამშობლო მისი სოფელი,
ვერ გასძლებს გული უმისოდ თუ არის ჩემებრ მგრძნობელი.
ოჭრო არა მაქვს, არც მინდა სუსტ გულთა განმამხნობელი.
ღვინო მეყოფა დიდებად, ტილო ტანთ განმათბობელი.

„ამა ველს,— ცეკვობენ რგვლივად.
ნოხს მწვანეს იებად,
შვენის რაბამად, ხამბახად
ტურფათა და სოსან-ვარდად,
ქალ-ყრმათა ვსეგრიტოთ, ვით
როკვა ერთბამად. ლვივიან
ამოს თქმით ფერად-ფერადად.
ტკბილის ჰხმით იხარეთ;
ვითა მღერიან, იხარეთ,
ალვანი, ჰე, ბედნიერნო,
მოძრავნი მიწისა ძლიერის
ვით ირხევიან. შვილნო ძლიერნო!
ურთი-ერთ შევწიროთ მადლობა
მპყრობნი ხელთ მადლსა უფლისას
წამოსვლად ჯაჭვად და ყოვლსა
ხან წყნარად მიზეზსა
ხან ჩქარად ამ განცხრომისას“.

ალექსანდრე ჭავჭავაძე პირველი ქართველი პოეტი იყო, რომელმაც ასე დიდი შეფასება მისცა ხალხური შემოქმედების ნიმუშებს და დიდ მნიშვნელობასაც აძლევდა მათ. საგულისხმოა ამ მხრით ალ. ჭავჭავაძის პასუხი ალ. ორბელიანისადმი, საცა პოეტი აღნიშნავს, რომ თავისი ლექსები მესტვირე ბლიაძეების წაბაძვით აქვს გამართული. — „ჩვენი მესტვირეების მარტივ ყბედობას ევროპული სიამოვნება მივეცი და აქედან გაკეთდა ასეთი ლექსებიო“[1].

დარწმუნებული უნდა ვიყოთ, რომ ევროპულ მწერლობაზე და ლიტერატურაზე აღზრდილ-განათლებული პოეტი ამ მეგრულ ფერხულს ათასჯერ მეტად მაღლა აყენებდა, როგორც ეროვნული შემოქმედებისა და თავისი მშობლიური ხალხის ცხოვრების გამომსახველ ხელოვნებას, ვიდრე რომელიმე ფოკსტროტი ან სხვა ევროპული „ტანცი“. საბუთად მარტო ეს ლექსიც კმარა.

საგულისხმოა, რომ ამ ლექსს ეროგვარი პასუხი გამოუწვევია გრიგოლ დადიანის მხრივ, რომელსაც იმავე აღდგომის დღეობაზე ზუგდიდში ბურთაობისადმი შემდეგი შაირი უძღვნია: —

„აღდგომის დღემან ბრწყინვალემ, რა შეადგის სიცხე დაშალა,
ჰაბუკმან შემდგომ სადილის ცაცხვის ქვეშ ჯარი დასთვალა;
ცალკე უცოლო და ცალკე ცოლიანები განწვალა.
ხელიდან ბურთი გააგდო, რომლითა ყველა აწვალა.
შეიქმნა რბენა, ჭედობა, სრიალი, ნგრევა და გმერა,
ლაცვა, გლეჯა და ხევა, ძახილი, კვნესა და ძგერა:
გახტომა, მსწრაფლად შეპყრობა, წაქცევა ღა ხან დაჭერა,
ირგვლივ კეკლუცთა თვალშაეთა მღერა, სიცილი და მზერა“.

ალექსანდრე ჭავჭავაძის ზემომოყვანილი ლექსის დღემდე ორი ვარიანტია მოღწეული. ორივე სხვადასხვა თარიღით. აქ მოყვანილი დათარიღებულია 1841 წ. აღდგომის დღეებით, ხოლო მეორე, პოეტის ქალის ეკატერინეს ალბომში ჩაწერილი, დათარიღებულია 1846 წ. 15 აპრილით.

პოეტი და მკვლევარი ი. გრიშაშვილი იმ აზრისაა, რომ ალექსანდრე ჭავჭავაძე მეორეჯერ, 1846 წ. კიდევ ყოფილა სამეგრელოში აღდგომის ღღეებში და ეს ლექსიც მა-

[1] საქ. ლიტ. მუზეუმი, № 53/4—ალექსანდრე ორბელიანის წერილების ფონდი.

შინ დაუწერიათ და აღდგომაც, ხომ ძველად სწორედ აპრილის თვეში მოდიოდა. მაგ-
რამ უნდა ვიფიქროთ ისიც, გრ. დადიანმა როგორ დაასწრო ავტორს 5 წლით ადრე ეს
უთქმელი ლექსის ჩაწერა? რაც შეეხება აღდგომას, იგი არა მარტო აპრილში, ზუსტ-
არამედ მოარული დღეობაა 22 მარტსა და 24 აპრილის შუა (ძვ. სტ.), რაც შეეხება მიე-
ცემულ თარიღებთან მის დაკავშირებას, ცოტა ძნელი მოსახერხებელია, რადგან 1841 წ.
აღდგომა 30 მარტს ყოფილა, ხოლო 1846 წ. — 7 აპრილს. — ასე, რომ არც ერთ შემთხ-
ვევაში ამ დღეს არაა დაწერილი ეს ლექსი, არამედ საერთოდ აღდგომის იმ ტრადიციული
დღეებში, რომელიც სამეგრელოში განმტკიცებული ჩვეულების მიხედვით, ორი კვირის
მანძილზე გრძელდებოდა, არამც თუ მთავრის, არამედ თავადის, აზნაურის და შედარებით
გლეხის ოჯახებში. საგულისხმოა, რომ აღდგომას სამეგრელოში „თანაფას" ე. ი. თენებას,
ღამისთევას ეძახიან და მართლაც ღამის თევით იწყება.

წინა ღამიდან დაწყებული მთელი 15 დღე მხოლოდ უკმად ყოფნასა, ლოცვასა და
სხვადასხვა სასოფლო დღეობებში ატარებდნენ დროს. რასაკვირველია, უფრო მდიდრუ-
ლად ატარებდა ამ დღეებს მხარის მფლობელი და მმართველი დადიანი. ამ საკითხს ი.
მეუნარგია თავის შრომაში სპეციალურ თავს უთმობს (იხ. აქვე, გვ. 130—32).

ერთი ამგვარი დღეობის დამსწრე 1848 წ., მაშინ დასავლეთ საქართველოში სამეცნი-
ერო მიზნით მიმომსვლელი, აკად. მ. ბროსეც ყოფილა, რომელსაც ეს დღეობა თავის
ცნობილ შრომაში საკმაოდ ვრცლად აუწერია (იხ. აქვე, გვ. 130—33).

ბროსეს აღწერილობას ისიც უნდა დაემატოს, რაც გრიგოლ დადიანს ი. მეუნარგი-
ასთვის უთქვამს: „ჩემი ძმა დავით საღდგომოდ ხალათს გასცემდაო, აღმოსავლეთის წე-
სისამებრ ხალათს ეტყოდნენ: ჩოხას, ახალუხს, შალს, ბაშლაყს და სხვ., რომლითაც ის
აჯილდოებდა მისს მეგობრებს და ერთგულებს.

დათა ჩიქვანის გადმოცემათ, დათა გუგუნავას[1] შეკაზმულ ცხენზე გალესილ ხმალს
დაუდებდნენ პირაღმა და გუგუნავა იმას გადაახტებოდაო...

აღდგომის დღეების ეს არაჩვეულებრივი ზეიმები საქართველოს სხვა კუთხეები-
სათვის თითქმის უჩვეულო იყო და ამიტომ ყველანი აქ მოიწევდნენ, ყველას აქ სურდა
მიეღო მონაწილეობა და გამოეჩინა თავისი ვაჟკაცობა, დარდიმანდობა და მთავრისადმი
კეთილგანწყობილება. ამის საუკეთესო გამომსახველია ერთი, დღემდე შემონახული ლექსი
„თავადის ყარამან თავდგირიძისაგან თქმული მეგრულის სიმღერის ხმაზედ, რომელიც
გამოსთქვა აღდგომის დღეს სასახლესა შ-ა ზუგდიდს":

„მთავარი მეგრელთა, დიდ დიდებული,
ყოვლისა ცხოვრებით განათებული.
აღდგომას ყოველნი მასთან შეეკრებენით.
მას შეეტრფით-შეეფრფინვით ერთგულნი შვებით.
მას ეხედავთ, ვით ცასკარს, მზისაგან წვეულს,
მასთან ერს, ყმას და ბერს, სინათლე ფრქვეულს.
იქ კვალად დედოფალს ვარსკვლავს დილისას,
გულ-მტრედსა, დიდებას, მთავრის სახლისას.
ოთხ ქალ-ვაჟთ[2] მთავრისა, დედმამისა გულს,
ანგელოზთ ფრთოსანთა ნერგთ ედემში რგულს.
ორს ძმათა[3] მთავრისა და მთავრის ძეთა

---

[1] პოეტი სიმონ გუგუნავას მამა (1804—1885) თვითონაც მოშაირე და მომღერალი.

[2] იგულისხმება ნიკო (1847—1903), ანდრია (1850—1910), სალომე (1848—1913) და თამარი (1853—1860).

[3] იგულისხმება დავითის ძმები, მთავრის ძენი გრიგოლ (1814—1902) და კონსტან-ტინე (1819—1889).

ოღიშის სანთელთა, ნათელთა მზეთა.
ასული მთავრისა[1] და სძალი მთავრის,
მიმცემი სხვისა, მზისა და მთვარის.
გვაქვს შვება, შექცევა, სხვათა და სხვათა.
იმერელთ, გურულთა, აფხაზთა და სვანთა.
სიცოცხლე მთავრისა, ასერგას წლამდე
იხაროს მსგავსებით, უკუნისამდე".[2]

ასევე აღწერს ამ დღეობის ჩატარებას, სამეგრელოში 1847 წ. ჩასული მოგზაური, ჭერავიოვი, რომელიც მხოლოდ ნაალდგომევს, საამაღლებოდ ჰსტუმრებია მთავარს. ზუგდიდიდან ერთი ვერსას მახლობლად ხშირ ტყეში მოგვეგებაო თავისი ამალით თვითონ მთავარი, რომელსაც დიდი ხნის მოლოდინი ჰქონია ჩვენიო, აღნიშნავს მოგზაური. ისიც 4 დღის განმავლობაში დიდ ზეიმებს დასწრებია და სწორედ 1 მაისს, რომელ დღესაც იმ წელს ამაღლება ყოფილა, გამგზავრებულა აფხაზეთისაკენ.[3]

ამ ტრადიციული დღეების ყველა აქ აღწერილი ეტიკეტი, ცხადია, სულ მთლიანად დაჩრდილა ალექსანდრე ჭავჭავაძის საზეიმო მიღებამ, რამაც რამდენიმე კვირა გასტანა, რომელიც ასე ღრმად აღბეჭდილა ადგილობრივ მკვიდრთა ხსოვნაში. ამ დღეებს არც ალექსანდრე ჭავჭავაძის ცხოვრებაში ჩაუვლია უქმად. ვ. ბროსეს მიერ ასე გულდინჯად აღწერილი ფერხული გახდა ყურადღებისა და პოეტური შთაბეჭდილების საგანი ალექსანდრე ჭავჭავაძის „მგრძნობელობის" პოეზიისა.

უეჭველია, მან ეს ლექსი ამ დიდი მეჯლისებით შთაგონებულმა დაწერა იქვე. იმავე დღეებში ზუგდიდში და მისმა ახალგაზრდა ლიტერატურულმა მეგობარმა, გრიგოლ დადიანმა, რომელიც აგრეთვე ლექსებსა წერდა „გეგეჭკორისა" და „ელხიდელის" ფსევდონიმებით, მაშინვე თავის სამახსოვრო რვეულში ჩაიწერა.

ეკატერინეს ალბომში კი ეს ლექსი, შესაძლებელია, უფრო გვიან იქნა შეტანილი და თარიღიც ჩაწერის დღისა დაესვა. ეს რომ ასეა, ამას აღასტურებს შემდეგი გარემოება: ეკატერინე დადიანის დასახელებული ალბომი შეიცავს სულ 75 ფურცელს, აქედან დაწერილი და დახატულია მხოლოდ 31.—დანარჩენი სუფთაა. პირველ ოთხ გვ. ჩაწერილია მეფის-ძე თეიმურაზის ლექსები (1839—18 აპრ.), მეხუთე გვ. ალექსანდრე ჭავჭავაძის ხსენებული ლექსი „მეგრულ ფერხულზედ" თარიღით: 15 აპრილს 1846 წ. ზუგდიდს, მე-11 გვ.—გრიგოლ ორბელიანის ცნობილი ლექსი „ეკატერინე ჭავჭავაძის ქალს".

„წინანდლის ვარდო,
სულითა ტრედო"... და სხვ.

მე-12 გვ. იმავე გრ. ორბელიანას ლექსი „ღრ. ოპ."—მიძღვნილი გრაფინია ოპერმანისადმი 1840 წ. 5 მაისს (იხ. გრ. ორბელიანის ლექსები) მე-19 გვ. —ყველავ ალექსანდრე ჭავჭავაძის ლექსი „მეფე რომ ვიყო"—თარიღით: ჩყმგ (1843) წ. კბ (27) აგვისტოს, გორდს. ამ ლექსისათვის შემდეგ ი. მეუნარგიას მიუწერია: „ნათარგმნია ფრანგულიდან, ვიქტორ ჰიუგოსი არის". პოეტმა ი. გრიშაშვილმა ამ ლექსს გავრცელებულობის ბიბლიოგრაფიაც-კი შეუდგინა (იხ. „ალექსანდრე ჭავჭავაძე". გვ. 323—25).

დაკვირვებული მკითხველი უკვე შეამჩნევს, თუ რა წესით ხდება ამ ალბომში ამათუიმ ლექსის ჩაწერა და მისთვის თარიღის დასმაც. ეს ლექსები ავტოგრაფს არ წარმოადგენენ, არამედ ჩაწერილია ზოგი ალბომის პატრონისა და ზოგიც მისი გადამწერის ხელით. ამ ალბომს თუ დავუჯერებთ ალ. ჭავჭავაძე გარდა 1841 წ-სა, 1843 და 1846 წლებშიც ყოფილა სამეგრელოში. მაგრამ ეს საეჭვოა.

ალექსანდრე ჭავჭავაძის სამეგრელოში მეორედ ყოფნა და ისიც 1846 წელს, არც

---

[1] გრიგოლის მეუღლე—ტერეზია გურიელისა (1827—1871).

[2] ლექსი დაცულია საქ. ლიტ. მუზეუმში, იხ. გ. თ. აგიაშვილის ალბომი, გვ. 49—80.

[3] Грузия и Армения, т. III.

ერთ წყაროში არ არის დამოწმებული. საგულისხმოა, რომ ამავე წლის 30 ივლისს დავითს გარდაეცვალა მამა—სამეგრელოს მთავარი ლევანი, რომლის დაკრძალვა და 40 დღის პანაშვიდების გადახდა აღწერილია გაზეთ „კავკაზში" (№ 39), იქვე აღნიშნულია აგრეთვე ღირსაცნობ პიროვნებათა დასწრებაც ამ „საბავთო" დღეებში. მაგრამ არსად ალექსანდრე ჭავჭავაძე ნახსენები არ არის. ჩანს, დიდი და ფრიად მნიშვნელოვანი საქმეებით დატვირთულმა პოეტმა უდროობისა გამო ვერ მოახერხა სასურველი მძახლის გასვენებას დასწრებოდა.

ამ სასახლეში, გარდა ნადიმებისა, როგორც აღვნიშნავდით, ლიტერატურული საქმიანობაც მიმდინარეობდა. დადიანთა ლიტერატურულ სალონს საუკუნოვანი ტრადიცია ჰქონდა და დავითიც ამ ტრადიციას განაგრძობდა. მისი ხელნაწერი წიგნების ბიბლიოთეკა, რომელიც შემდეგ მისმა მემკვიდრემ ქ. შ. წ. კ. გ. საზოგადოებას გადასცა (1885), ერთი უდიდესი და უმდიდრესთაგანი იყო საქართველოში. დავითი, როგორც ვნახეთ, თვითონ მთარგმნელობდა, შაირობდა, გადამწერლობდა და რედაქტორობდა, ძმა მისი გრიგოლი პოეტი იყო და გატაცებული მეცენატი ქართული კულტურისა. ალექსანდრე ჭავჭავაძის პოეტური მადლის „გადმონაკადება" აკლდა დავითის ლიტერატურულ სალონს, რომ უფრო მეტი საამო სუნელება და განახლების სიო მომძლავრებოდა, და მართლაც ამის შემდეგ დავითის ლიტერატურული სალონიც გააქტიურდა და მისი თემატიკაც გამდიდრდა.

ამ გამდიდრებაში ჩვენ ვგულისხმობთ დავ. დადიანის სალონში „ევგენისტყაოსნის" გადათარგმნას რუსულ ენაზე. ქართველი ერის სიამაყისა და დიდების, რუსთაველის გენიალური ქმნილების რუსულ ენაზე თარგმნა პირველად დავით დადიანის ლიტერატურულ სალონში დაწყებულა მეცხრამეტე საუკუნის 40-იან წლებში.

ქართველი ხალხის უძველესსა და მდიდარ კულტურას ახლად დამეგობრებული რუსი ხალხისათვის ამგვარი ძეგლის გაცნობა მნიშვნელოვან მოვლენად უნდა ჩათვლილიყო იმ პერიოდში.

დავით დადიანმა თავის სასახლეში ყოველგვარი პირობა შეუქმნა ძმას გრიგოლ დადიანს, რომელიც იმ ხანებში უკვე ავტორი[1] იყო რამდენიმე ლირიკული ლექსისა და ერთი პოემისა „რუხის ბრძოლა".

პეტერბურგიდან დაბრუნებისას 1843 წ., გრიგოლ დადიანმა რუსი პოეტი ი. ბარტენევი ჩამოიყვანა ზუგდიდს, რომ „ევგენისტყაოსნის" რუსულ ენაზე თარგმნა დაეწყოთ[2]. გრ. დადიანი ისე წვდებოდა რუსთაველის სტროფიკულობის სიღრმეს, რომ იგი რუსულ ენაზე სტროფიკულობით გადაეცა ბარტენევისათვის. ეს უკანასკნელი კი შესაფერი ჰექზამეტრებით ლექსავდა მას. ამგვარმა შეწყობილმა მუშაობამ ისეთი მეგობრული და ღრმა პოეტური შთაბეჭდილება შეუქმნა ბარტენევს, რომ მან „ევგენისტყაოსნის" მზიური სტროფების თავის თარგმანს წარემძღვარა მშვენიერი და ერძნობიერი ლირიკული ლექსი, მიძღვნილი თავის თანაავტორ გრიგოლ ლევანის-ძე დადიანისადმი (მინგრელსკისადმი):[3]

„На родине твоей, среди глухой дубравы,
Под сению развесистых ветвей,
Сокрытый от лучей, от взоров и от славы,
Кипит гремучий ключь обильною струей.

---

[1] ზუგდიდის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის გრიგოლ დადიანისეულ არქივში დაცულია თეიმურაზ ბატონიშვილისა და გრ. დადიანის მიწერმოწერა, რომელიც უმთავრესად შაირსიტყვითაა შესრულებული. გრიგოლ დადიანი ყველა მისს ლექსად შესრულებულ წერილს თავის ლიტერატურულ ფსევდონიმს—იოანე გეგეჭკორს—აწერს, ხოლო თ. ბატონიშვილი ამის გამო გრიგოლს დაცინვით „გეგეჭკურას" ეძახდა. (იხ. ზუგდიდის ისტ.-ეთნ. მუზეუმის შრომების I ტ. გვ. 109—130)

[2] Е. С. Сталинский „Барсова кожа", Тифлис, 1888 г. გვ. 2.

[3] იქვე, გვ. 3.

Глубоких вод его таинственныя волны,
Текут как схимника таинственная речь,
И в тех волнах, живых событий полных,
Отцов твоих, быть может, ржавит меч.

Столетия прошли,—а таинства святыни
Еще никто народам не раскрыл,
И ключь по прежнему гремит в глухой пустыне,
И свет луча к нему, как прежде, не пробил.

Пора, пора сломать печать забвенья,
И в глушь веков промять себе следы:
Дай руку мне, питомец вдохновенья,
Пойдем к ключу—испить живой воды!

Я чувствую влиянье благодати,
И может быть заветную скрижаль
Исторгнем мы из тех скупых об"ятий,
Которым прошлаго для будущаго жаль.

пора, пора сломать печать забвенья,
И в глушь веков промять себе следы:
Дай руку мне товарищь песнопенья,
Идем к ключу—испить живой воды!"...

И. Бартдинский.

არანაკლებ აღტაცებითა და სიმპატიით იხსენიებს არქეოლოგი და მოგზაური მურავიოვი გრიგოლ დადიანს, რომელიც მისთვის იყო მეგზური და ინტერპრეტატორი ქართულ სიძველეთა შესწავლისას.[1]

„... მთებში დაბადებულმა, — წერს მურავიოვი, — მან სიყმაწვილე გაატარა ჩვენს ჩრდილოეთის დედაქალაქში... ჩვენთვის სასიამოვნო და თან სასარგებლო იყო მასთან ყოფნა; დაბადებით მთიელი, ცხენოსანი და პოეტი, ფიცხელის, მაგრამ საერთო განათლებით შერბილებულის, ბუნების კაცი, ის წარმოადგენდა ამ ორ სრულიად საწინააღმდეგო დასაბამთა უჩვეულო შეერთებას. მისი კეთილშობილი სული ეთვისებოდა ყოველსავე ამაღლებულს და სამშობლოსადმი სიყვარულით იწოდა; სამხრეთული ფანტაზია კაშკაშა ფერებით მმოსავდა ყველა საგანს, და მრავალი ძველი გადმოცემა, თავის წინაპართა ბრძოლებისა და მათ მიერ შექმნილ საგანთა შესახებ, ირეოდა მისს გონებაში; ძარღვებში დუღდა დადიანების სისხლი, და ჯერ კიდევ ყრმამ, როცა თავის ქვეყნის ჩვეულების თანახმად მთებში იყო გასაზრდელად გაბარებული, შეითვისა მშობელი ქვეყნის სამხედრო სიმღერები და თვითონაც ბევრი კეთილხმოვანი ლექსი შეთხზა... მას შეეძლო ძველი საეკლესიო დამწერლობის გარჩევა, რომელიც ბევრისათვის წარმოადგენს საიდუმლოებას დაცარიელებულ ნაგრეგებში... ერთს რუსის პოეტთან ერთად ის ჰექსამეტრებით სთარგმნის რუსულად „ვეფხისტყაოსანს".[2]

როგორც ჩანს, რუსთაველის პოემის ეს თარგმანება, ჯერ კიდევ, როცა მურავიოვი აქ მოყვანილ სტროფონებს წერდა (1847), მიმდინარე პროცესში ყოფილა, თუმცა ნიმუში ამ თარგმანების ნაწყვეტებისა, 1846 წ. პეტერბურგის ერთ-ერთ გაზეთ „ილუსტრაციაში" (№ 6, 7) მოთავსდა, ნაწილიც — იმავე წლის გაზეთ „კავკაზში" (№ 27), ხოლო მურავიოვმა თავის შრომაშიც (216—224) შეტანა ამ თარგმანების ერცელი ნაწყვეტები.

---

[1] Грузия и Армения, III, 76—80.

[2] იხ. მასალები ა/კავკასიის და საქართველოს ისტორიისათვის, 1939. წ., III, გვ 51.

საგულისხმოა, რომ ძველი ქართული ენის ცოდნით ეგზომ ქებული და ღრმად განათლებული გრიგოლ დადიანი, რომელიც აკად. სამონ ჯანაშიას თქმით „საინტერესო კულტურული ჰაბიტუსის პატრონია", ამ დიდ ეროვნულ საქმეში მხოლოდ საკუთარ ცოდნასა და გამოცდილებას არ ნდობს, არც მარტო თავისი ძმის დავითის ცოდნასა და მომზადებას ემყარება და უფრო მაღალნიჭიერ პოეტს, უცხო ენებისა და განსაკუთრებით რუსულის ღრმად მცოდნეს მიმართავს დახმარებისათვის, ან უკეთ, კონსულტაციისათვის.

ეს მიმართვაა „გეგეჭკორისაგან მიწერილი ალექსანდრე ჭავჭავაძესთან, ოღეს სთხოვა მან შეწევნა ვეფხისტყაოსნის თარგმანში". ამ წერილში, უეჭველია, „შეწევნას" ალექსანდრე ჭავჭავაძესა სთხოვენ. ხოლო აქ ნახსენები გეგეჭკორი, იგივე გრიგოლ დადიანია, რომელსაც რაკი წერილი ლექსად უთქვამს, ჩვეულებრივად, ქვეშაც თავისი ლიტერატურული ფსევდონიმი მიუწერია.

დავით დადიანისა და ალექსანდრე ჭავჭავაძის ურთიერთობის შემდეგ გრ. დადიანს ყოფნიდა სითამამე, არ დარიდებოდა ძვირფას მგოსანს და ეთხოვნა მისთვის დახმარება ისეთ დიდ და საშვილიშვილო საქმეში, როგორიც „ვეფხის-ტყაოსნის" თარგმანი იყო — „რათა რუსთ მისგან გემო მიეცა".

ჯერჯერობით მაინც საფუძვლიანად არ არის შესწავლილი, თუ რა დახმარება გაუწია ალექსანდრე ჭავჭავაძემ თავისი სიძის ლიტერატურულ სალონში წამოწყებულ ამ დიდ საქმეს, რომელიც გრიგოლ დადიანმა ოგვეიხატა დასახელებულ წერილში.[1]

„შოთას მიერ შთაგონებულ ლიტერატურულ დოკუმენტთა შორის დასახელებული ლექსი უკანასკნელ ადგილს არ დაიჭერსო", — აღნიშნავდა აკად. ს. ჯანაშია. მართლაც ამ მშვენივრად ასახულ ლექსს ორი დიდი შთამაგონებელი ყავს: რუსთაველის გენია და თვით ამ ლექსის ადრესატი — საქართველოს საყვარელი მგოსანი ალექსანდრე ჭავჭავაძე, რომლისაგან ადრესატი „შეწევნასა — და დახმარებას თხოულობს ამ „ბაბა-პაპეული საუნჯის" გამოვლინებაში.

წერილში მოხდენილად მოთხრობილია, რომ ამ ახალი ლიტერატურული წარმატების ინიციატორი, ამ წერილის ავტორის ძმაა, — დავითი; რომ მას (გრიგოლს) „ძმისგან მოეცა" ეს დავალება, რასაც შემდეგ უამბობს ალექსანდრე ჭავჭავაძესაც, რომ მის სიძეს დავითს „ვარსკვლავ-ფუტკართა, ნათლისა მდენდა, შოთას ყვავილთა სურნელი ეცა" და მას სურვილი აქვს დიდი რუსთველის ეს გენია სხვათაც გააცნოს და უმთავრესად, პირველ რიგში პოეტმა ბარტდინსკიმ უკვე „აწყო იგვრდიეი ფრენა ჩემდამი, რათა რუსთ მისგან გემო მიეცესო"...

აღნიშნული ბარათი საგულისხმო დოკუმენტია ალექსანდრე ჭავჭავაძის დამოკიდებულებისა დავით და გრიგოლ დადიანების ლიტერატურულ სალონისადმი, სადაც საქართველოს სინამდვილეში პირველად[2] დაწყებულ იქნა „ვეფხისტყაოსნის" თარგმნა დიდი რუსი ერის გასაცნობად.

რასაკვირველია, ალექსანდრე ჭავჭავაძის თანაგრძნობა და მცირეოდენი დახმარებაც დიდად წამახალისებელი და გამამხნევებელიც იქნებოდა ახალგაზრდა ლიტერატორებისათვის. კიდევაც უნდა ვიფიქროთ, რომ, მართლაც ჰქონდა კონსულტაცია და ერთგვარი რედაქციაც გრიგოლ დადიანისა და ბარტდინსკისეულ იმ ლამაზ თარგმანებს, რომელთა გავრცელებულებაზე ზევითაც აღვნიშნეთ, ხოლო მათს ლიტერატურულ ხარისხზე და ღირსებაზე საკმარისია დავასახელოთ გაზეთ „კავკაზში" (1846 წ. № 27) მოთავსებული

---

[1] ეს გალექსილი წერილი იხ. ხუგდიდის მუზეუმის შრომების I ტ. გვ. 124.

[2] ევგ. ბოლხოვიტინოვმა 1802 წ. პოემის პროლოგის მხოლოდ პირველი სტროფი თარგმნა (იხ. „Историческое изображение Грузии в политическом, церковном и учебном ея состоянии" გვ. 87——9); კ. ლაპჩინსკის მიერ 1841 წელს პოლონურ ენაზე ნათარგმნი „ვეფხისტყაოსნის" ნაწყვეტები მხოლოდ 1863 წ. გამოქვეყნდა ჟურნალ „ბიბლიოთეკა ვარშავსკაში" (იხ. დავ. გამეზარდაშვილი — „გიორგი ერისთავი", გვ. 30—33).

კრიტიკული ნარკვევი პროფ. დავით ჩუბინაშვილისა, რომელმაც, აღნიშნა, რომ ეს თარგმანი შესრულებულია კეთილსინდისიერად და საქმის სიყვარულით. ის ძლიერ ეახლოვდება ავტორის ფიქრსა და აზრებს, მის მხატვრულ სიტყვასა და ლექსის ელვარებას. მთარგმნელი ცდილობს სტრიქონ-სტრიქონ და სტროფიდან-სტროფში მისდიოს ორიგინალს, მისი მგრძნობელობისა, თხრობის მანერისა და განცდათა სითბოს დაცვითო...

ნათქვამის დასამტკიცებლად ჩუბინაშვილს იქვე მოყავს თარგმანის ნიმუშებიცა და გრ. ლ. დადიანისადმი მიძღვნილი ბარტდინსკის ლექსიც, სადაც დადიანი შექებულია როგორც რუსთველის თანამემამულე მგრძნობიარე პოეტი, რომელმაც არ დაიშურა საკუთარი შრომა და ძალა „ვეფხისტყაოსნის" თარგმნისათვის.

ალექსანდრე ჭავჭავაძე მუდმივი თანამგზავრი, გამამდიდრებელი და სასიქადულო წევრი ყოფილა დავით დადიანის ლიტერატურული სალონისა. პოეტის ყოველ ახალ ნაწერს აქ კითხულობდნენ, გადაწერდნენ, ავრცელებდნენ და იცავდნენ კიდეც. ამის ნიმუშებად გამოდგებიან დავით დადიანის მიერ გადაწერილი ალექსანდრე ჭავჭავაძის ლექსები და თარგმანები[1].

ზუგდიდის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის მთავრისეულ არქივში დღესაც დაცულია ავტოგრაფი ალექსანდრე ჭავჭავაძის თარგმანისა „ალზირა ანუ ამერიკელნი", ვოლტერისა. იგი რედაქტირებულია თვითონ დავით დადიანის მიერ. ჩანს ეს ხელნაწერი ის ძირითადი წყაროა, საიდანაც აწარმოებდნენ ხოლმე გადაწერასა და გავრცელებას.

ვასილ ბებუთოვი (1791—1858) ერთ-ერთ თავის 1850 წ. 20 ივლისის თარიღით დაწერილ ბარათში სწერს დავით დადიანს: „გუშინ თქვენმან სეკრეტარმან მომიტანა საამური წერილი თქვენი და მასთანვე ა ლ ზ ი რ ა (ხაზი ჩემია — ს. ც.) თარგმანი თქვენის განსვენებულის სიმამრისა...

ამგვარად, ალექსანდრე ჭავჭავაძის სახელი დიდი პატივით და სიყვარულით განაგრძობდა არსებობას სამეგრელოს უპირველეს ლიტერატურულ სალონში, როგორც უკვდავი პოეტის, საყვარელი მამის და ყველასათვის სასურველი ადამიანისა.

რაც შეეხება ავტორის ცნობას იმის შესახებ, რომ „დავით დადიანი მოცლილ დროს ლექსსაც ეწყობოდა" ამ მხრივ ფაქტები საკმაოდ მოგვეპოება. თუმცა იგი თავისთავს პოეტად არ თვლიდა, და დადადაც ჩამორჩებოდა თავის უმცროს ძმას გრიგოლს,—მწერლობაში „კოლხიდელის" ფსევდონიმით ცნობილს, რომელსაც ხშირად დასცინოდა ხოლმე „პრტყელსიტყვაობისა" გამო, როგორც ქვემოთ მოყვანილ ნიმუშებიდან ვნახავთ თვითონაც კარგად ჰყვარებია მაღალფრაზიორობა და „ჩამქვერმეტყველება". თავის ნათესავსა და მაზრის მდივანბეგს თეიმურაზ აგიაშვილს იგი სწერს ლექსად:

„მე თუ მიკითხავ, სახლსა ვზი, მოწყინებულად სულ მარტო,
გაფრთხილდი, მოდი ჩემთანა, რომ დაგიყოლო რა მარტო,
თუ კი იძიებ შეტყობას, რომ მოხვალ მყის განგიმარტო
თვით იგრძენ ვით დაარნდება, რა მოიშოროს ხემან რტო"[2].

სხვა დროს იმავე თ. აგიაშვილს იამბიკურის წყობით დავითი სწერდა:

„ფარისეველის ხომ გასმია ზვაობა,
მსხვერპლებთათვის. ღვთისადმი დამადლება,
შვიდ-გზის დღითი-დღედ ლოცვისა ყვედრება"... და სხვ.

საქართველოს მუზეუმის S ფონდის (3723) ერთ-ერთ კრებულში იპოვება აგრეთვე დავით დადიანის რამდენიმე ლექსი: საზანდრული, რომლის დასაწყისი სტრიქონები ასეთია:

„მიეენდევით სასახლეს დიდის კაციასაო,
ცის ქვეშ ქუხს ქება და ძალი მასის დიდებისაო"...

---

[1] იხ. „ალ. ჭავჭავაძის „თხზულებანი" — ი. გრიშაშვილის რედაქციით.
[2] საქ. სახ. ლიტ. მუზ. გ. თ. აგიაშვილის ალბომი, № 370/4. გვ. 10. ალბომში დავითის სხვა ლექსებიც არის ჩაწერილი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

იქვეა აგრეთვე მისივე პატარა „წყობილი“:

„შვილნი ამკობენ მამათა
კოშკნი—დიდროვან ქალაქთა,
ტაიჭნი — ვრცელსა მერესა,
ხომალდნი—წყალთა ზღვათასა... და სხვ. მას მოსდევს იამბიკო:

„მე ვარ ქალისა სახე, ძეგლი რვალისა“...
ვსწერ სახსოვარსა სულის მეფის მიდასა“. და ა. შ.

მაგრამ ეს ყველაფერი „სალაღობოდ“ იწერებოდა. მისი საქმიანი ტონი, როგორც ქართული მწერლობისა და კულტურის მეცენატისა, პატრიოტისა, როგორც ვნახეთ, უფრო მის მახლობელთა და ზოგიერთ ცნობილ მოღვაწეებთან მიწერმოწერაში ჩანს. ამიტომ მის საკმაოდ მდიდარ არქივიდან აქ სანიმუშოდ მოვიყვანთ კიდევ რამდენიმე კერძო წერილს. ისინი დავითის კულტურულ სახესაც ააშკარავებენ და სხვა საგულისხმო ცნობებსაც გადმოგვცემენ:

„ტფილისი 1-ს დეკემბერს 1838 წელსა
უსატრფოესო ჩემო გრიშა![1]

მისს უდაბერებულესობას შენს მზე მუზას ეთაყვანოს შენი ძმა დავით, მოესწროსმცა მას დღეს ოდეს მზე იგი ხილვითა მისითა გაჭაბერებულიყოს და იადონებრ მსტვინელი ბაგე აღეძრას გარდამოსანაკადებლად წყაროთა უკვდავების მსგავსთა, მოსანამავად ხორშაკთა ალისათა შეწეულთა ალიზებრ მცხვართა გულთა, აღმოსაცენებლად მას ზედა ბუჩქთა ვარდისათა. დაბერება ჩემს ძვირფასს შენს მუზას სიახლესათანავე სწვევია, ჯერეთ არწივის ფრთენი მისნი სიგრილითა მცხოვანებისათა არა დაკვეთილ არს. არცა-ღა ფრთენი აზრისანი მაკრატლითა დაღალულობისათა შეკვეცილ; მაშა, რამან დაგიბერა სიახლისთანავე აღმოელვარდა, და მყის იწყო მზრალობა. იწყო გალობა სიღრმავითა ღომერიანითა და პირველსავე სიუსრულეში განკვეთა. ნუ ეგე არ იყოს ბევრი, გარნა კვეთდეს ფრთეთა ჰაზრთა თვისთასა პირველსავე ასპარაზმნელობასა ზედა, ვინაი არა გქონან მას საგანი ღირსნი მისნი ხმატკბილობათანი, ამად გულმტკივნეულსა სძლევდეს მიდრეკილება მგოსნური, მიიზიდვიდეს სამგალობოდ, გარნა დაწყებისთანავე სიამპარტავნითა თავის მინდობათათა სჭვრეტდეს საგანსა უქვემოეს მისსა დაშვრომისა, და მყის განკვეთდეს. მაშა თუ ეს ესრეთ არის, უნდა მოუპოვო ჩემს ხმატკბილ იადონს ესრეთი სამგალობლო, სამსახიობლო და სასიხარულო საგანი, სჭვრეტდეს მას ღირსად თვისისა შვრომისა და დაუზოგავად ილვაწოს სამსახეობათა სხვადასხვათა, მრავალთა თხზვაი. საგანი ესე არს სჯულიერსა ქორწინებასა შინა შესვლა ჩემი ეკატერინა ალექსანდრე ჭავჭავაძის ასულსა თანა[2], რომელი უნდა მოხდეს შემდგომ დღესასწაუ-

[1] გრიგოლ დადიანი დავითის უმცროსი ძმა.—ს. ც.

[2] საქართველოს მუზეუმში დაცულ გ. ავალიშვილის (1769—1850) კრებულის (S ფ. № 303) ყდისშიგნით არეზე ამის შესახებ მიწერილია შემდეგი ცნობა: „1838-სა წ. დეკემბრის 18-სა, დაეწინდა კნიაზ ალექსანდრე ჭავჭავაძის ასული ეკატერინა დავით ლევანის-ძე დადიანის მემკვიდრისათვის. დღე იყო კვირიაკე“.—ს. ც.

ლისა შობისა ღვთისა. მოგონება ჩემდა, ჩემის მუზის შეყვარებულისაგან, წერილთა 1835 წლისათა მივცე შენ მე დიდსა მჭმუნვარებასა, ნუუმე ფიქრობდეს თუ წარდინებასთანა ჟამთასა, ჟამითი-ჟამად, წუთითი-წუთად, არ აღემატებოდეს უმეტესად სიყვარული მისი, ვინცა ცას ქვეშ მიუღია ხუთთავე საგრძნობელთა ჩემთა უპირატეს მეგობრად. მოკლე ბარათთა მოწერილობის მიზეზი პირად-პირადი იყვნენ, უკმაყოფილება მრავალი. დასასრულ, ჩემის ივანე გეგეჭკორის[1] სიკვდილი და შინაური უმეტესი: თუმცაღა ბარათთა მოკლეთა გწერდი მაგრამ სული შენთან ფრინავს. შინაურობა ჩვენი ფ-დ აღრეულს მდგომარეობაშია. შემოსავალი დატაცებულ, სამართალი დადუმებულ, წესი და წყობილება აღრეულ, ვაჭრობა დაცემულ[2]. მე ვეღარ შემძლე მუნ რისამე წარმართებისა დავუტევე ყოველი და ვცხოვრობ ტფილისს, გოლოვინისაგან[3] პატივცემული მეტად: ორი რაიმე გარემზომი წინაღმიდგა, ანუ ჯერ იყო შფოთი მამისა თანა მოსპობისათვის ამა ყოველისასა ანუ დაცვა სამღრთოისა სჯულისა და აწ უკანასკნელი აღვირჩიე მინდობილმან ღვთისამან. აწ გრძნობს რა მამაჩემი ტკივნეულებასა თვისსა, მოვალეობა ფრიადსა და ვერღა აღსრულებასა, სურის წერილითა თვისითა საკუთრის ხელითა ჩემდა არა ერთ გზის მოწერილითა, შთამაბაროს მე მართველობა ყოვლისა მეგრელიისა და კუთვნილთა მისდა სამფლობელოთა. მე წინეთ მხედველი ყოველთა სიძნელეთა რაიცა შეუდგების ამა ორთა გარემზომთა საქმეთა, ვარ ყ-დ წინააღმდეგისა აზრისა. გარნა საჭიროება ჩვენის სახლისა და სამთავროსა ესრედ მაიძულებს, რომ აჰა უკანასკნელს მივსცემ მოლოდებას. შენს რჩევას თუ ამაზედ როგორის აზრსა და რჩევას მომწერ და მყისვე შეუდგები აღსრულებასა.

მრავალი მაქვან შენდა სათქმელნი, რომელითა წიგნით მოვიწერები სახლისა ჩემისა მთქმოებანი, გარნა სვემან დაგვრიდა ოთხ წლეობითისა უხილაობითა, და სიშორე ფ-დი გზისა შთამოდგა ჩვენს შორის, თუმცაღა კი სულით და გულით უახლოეს ყოველთა ვახლოთ ურთიერთ არს, თუმცაღა ძალიდვა, მოდი, მნახე და ცოლიცა ჩემი იხილე.

ფული გეთხოვა, ამ ჟამ არა მაქვს, ვერც ადგილი მიპოვნია მოვახერხო. მამაჩემს მივსწერე და ვნახოთ რა პასუხს მომცემს. თუ მანდედამ ვერას გავხდი, ვისესხებ საცა იქნება და მოგართმევ უთუოდ, მანემდის ღრაფს გამოართვი, ან კნიაზს.

რაინდი, შენის წიგნის მოსვლამდის მივსწერე ბატონიშვილს, რომ არ ვიცი რა არის-თქო[4]. თუ გვიყვარვარ გამომიგზავნე ისიც და ყოველი შენ-

---

[1] ივანე გულას-ძე გეგეჭკორი, დავითის მსახური, რომლის სახელი და გვარი შემდეგ ფსევდონიმად გაიხადა გრიგოლ დადიანმა.—ს. ც.

[2] ეს სიტყვები აღებულია წიგნიდან „ველისარიონი" (იხ. I თავის მე-3 გვ.).—ს. ც.

[3] საქართველოს მთავარმართებელი (1838—1842).—ს. ც.

[4] საუბარი ეხება თეიმურაზ ბატონიშვილის პიესას—„სამსახიობა რაინდისა"—რომელიც ავტორს მიუძღვნია გრ. დადიანისადმი და ამჟამად ავტოგრაფად დაცულია ხუგდიდის ისტ.-ეთნ. მუზეუმში. 1946 წ. ეს ნაწარმოები მუზეუმმა გამოსცა დოც. ს. იორდანიშვილის რედაქციით —ს. ც.

გან თქმული რაც იყოს[1], რასაკვირველია, შენი ბერი მუზა დაშვრება ჩემის კატინკას სანაქებო ლექსებზე: ნუ გასწყვეტ ჩემთან ხშირად წიგნის მოწერას. მსუროდა არ დამედვა კალამი, მაგრამ ნიკოლაი ვასილიჩ[2] (ორლოვი) მოვიდა ჩემთან და ჯერი იყო შენთან გამეწყვიტა წერა, რალამც ფოჩტის დროც მოახლოვდა.

შენი შეყვარებული, მყვარებელი
შენი ძმა დ ა ვ ი თ დ ა დ ი ა ნ ი.

ქართული წიგნები გამომიგზავნე, თორემ გაგებუტები".

როგორც ცნობილია 1834—35 წლები დავითმა პეტერბურგში გაატარა. აქ იგი ხშირი სტუმარი იყო მამამისის ბიძის, ჩვენი ცნობილი ისტორიკოსის თეიმურაზ ბაგრატიონისა (1782—1846), რომელსაც იმდენად მოსწონებია მამიდის შვილიშვილი, რომ ჯერ კიდევ რუსეთში ჩამოუსვლელ მარი ბროსეს მის შესახებ სწერდა 1835 წლის 1 მაისს პეტერბურგიდან: „რა ვყო, შენი ნახვა კიდევ დამიგვიანდა. ახლა დავაჯერეგული, რომ თქვენ თბილი ჰაერი გიყვართ ცივს ჰაერს ერიდებით, მაგრამ საქართველოში ძალიან თბილა. აქ კარგი მგზავრი მყვანდა თქვენთვის, ჩემი ღვიძლი დისწულის შვილი, ჩვენი ქვემო საქართველოს — მეგრელაის სამთავროს მემკვიდრე, თავადი დადიანის შვილი და უცხოთ გაზრდილი, შვენიერი ჯერეთ ყმაწვილი, ოცდა-ერთის წლისა იქნება ხნითა, დიდად სიბრძნის მოყვარე, სხვა ენებისაც კარგად მცოდნე, რუსულისა, მცირე ფრანციცულიც იცის. ძალიან კარგი გულისა და ჭკვიანი. გულით მინდოდა ამ ქამში აქ ყოფილიყავით. იმისთვის გამეტანებინე. ერთი თვე იქნება წავიდა საქართველოში" (დაცულია საქართველოს სახ. მუზეუმის S ფონდის № 4794). ამ წერილის დაწერიდან 12 წლის გასვლის შემდეგ ეწვია საქართველოს დიდი ისტორიკოსი მ. ბროსე, რომელიც დავით დადიანმა განსაკუთრებული პატივისცემით მიიღო და დიდი დახმარებაც აღმოუჩინა ოდიშ-ლეჩხუმში მოგზაურობის დროს, რასაც ქვემოთმოყვანილი წერილები გვამცნობენ:

„თქვენო უგანათლებულესობაო, ბატონო მთავარო,
დ ა ვ ი თ დ ა დ ი ა ნ ო[3]

გაგისტუმრებთ ალექსი ახვლედიანი[4], თქვენი მისანდო კაცი, რომელმან უბედნიერესად და თვინიერ ყოვლისავის შემთხვევისა გაგვაცილა აქავ ცაგერს, გუშინ, ცად ამაღლების დღეს. ასე კარგად გვემსახურა, ასე ჭკვიანად გაარიგა ყოველი ჩვენი მოგზაურობა, ასე მხიარულად დრო გავატარა, რომ არ ვიცი როგორი მადლობა მოგახსენო შესაფერი თქვენის მოწყალებისა და მისის ღირსებისა.

პარასკევს მაისის 12-ს მოვედით კოცხერს და გავსინჯეთ ხატები, რომელთაგან ერთი წარმოაჩვენებს რომელს დროს ეს მონასტერი შეწირული იყო წმინდის გოლგოთისათვის, ესე იგი, წელსა 1640, დედოფლისა ნესტან-დარეჯანის სიკვდილს. შემდეგ: წალენჯიხას მოსრულნი გრიგოლ ბატონიშვილთან[5] იქვე დავიღამეთ.

მეორე დღეს, დილითგან ორ საათამდის ეკლესია გავშინჯე.. ზედწერილობათა წარკითხვასა და გადაწერაში ძალიან შემეწია იქაური მღვდელი

[1] ე. ი. რაც რომ გრიგოლს შეუთხზავს, ლექსი დაუწერია.—ს. ც.
[2] დავ. დადიანთან დაახლოვებული რუსი სამხედრო პირი.—ს. ც.
[3] წერილებში ყველგან დაცულია ავტორის სტილი და მართლწერა.—ს. ც.
[4] დავ. დადიანის მოურავი ლეჩხუმს.—ს. ც.
[5] გრიგოლ ტარიელის-ძე დადიანი ნამთავრალი.—ს. ც.

ნიკოლოზ თოლვაძე,[1] თუ არა და ასე მალე არ მოვრჩებოდი. რაც წერილობა იყო კედლებზე, სასაფლაოთა და ხატებზედა, სულ გადავწერე, ასევე, რომ ამ მონასტრის აღშენება და უფროსი ერთი ამბავები მისი დამტკიცებით ვიცი. ესე მხოლოდ დამრჩა, არ შემეძლო ეგვტრებში წარკითხვა ყოველთა სახელთა კედლებზე დახატულთა კაცებისა და ქალებისა, იმისათვის რომ წერილი მრავალ ადგილში წაშლილია დროთა ვითარებისაგან. ესეცა მეორედ დამრჩა, არ მიპოვნია არც ერთი სასაფლაო აფხაზეთის კათალიკოზებისა, თუმცა პოლკოვნიკ პოტოცკის უბრძანებია ჩემთვის ორნივ მანდ დამარხული არიანო. არავინ ამას არ იცოდა, არც თვით ბატონიშვილმა, არც მღვდლებმა. უფროსი ერთად მომეწონა ერთი ხატი ყოვლად წმინდისა, რომლისა ზურგზე სწერია აღაპი დედოფლისა ნესტან-დარეჯანისათვის. სადილის უკან დავეთხოვეთ ბატონიშვილისაგან დიდად მმადლობელნი მოწყალებისა, პატივისცემისა და ყოვლის-ფრის მსახურებისა, რომ ეჩვენებინა ჩვენთვის.

ხოფის წყალზედ ბედნიერად გასულნი ოჩხომურს დავიღამეთ და ორშაბათს მოვედით ნაქალაქევს. ბატონმა თვითონ არა ბრძანდებოდა, მაგრამ მათი შვილები და ძმისწული ასე კარგათ გვემსახურეს, რომ რა მოგახსენოთ, მრცხვენოდა სწორედ. თუ რამა ვიყავი მათი, უფრო მეგობრულად არ დამიპყრობდნენ. ნაოხარი გავსინჯე და პლანი საყდრისა ავაღებინე.

სამშაბათს, მაისის 18-სა სხურჩეს სადილი ვჭამეთ. კარგად მიგვიღეს. მაგრამ ცხენები არ უბოძებიათ ჩვენთვის, თუმცა, დამტკიცებით ვიცით ცხენები იყო. ჩხუბი მოხდა ალექსი ახვლედიანს და იქაურს მოურავს შუა. მართალი იყო ალექსი; რაც მოგახსენებს, მის სიტყვას დაუჯერეთ. ღვედს დავიღამეთ რევაზ გლეხისას. ძალიან კაი კაცია, რაც შეეძლო უქნია ჩვენთვის, მან და მისი სახლეულობა. ღვედის ახლო, ტყეში ჩემი ბეწვი ამივარდა უეცრად ცხენიდამ. იმავე დროს გაფრინდა ერთი ბიჭი თვინიერ გზაზე მდებარე ბეწვი და მომიტანა. რომლისათვის ჯეროვანი სასყიდელი მივეცი.

ოყურეშს ერთი ხატი მანახა წმინდისა გიორგისა ხომლიდამ მოსვენებული აქა, მოჭედილი ძველთა მეფეთაგან და განახლებული დიდი ბაგრატ მეფის მიერ, წელსა მისის მეფობისა ოცდა-ექვსსა, **ქკსა სკდ** ქრისტეს აქეთ 1004-სა წელსა, თუ არ შევცდები. იმითი შემიძლიან გამართვა ხრონოლოგიისა მეფობისა ამ ბაგრატისა, გიორგის ძისა, რომელმა გამეფდა 998-სა წ. ესე იგი ორის წლით წინა ვახუშტის დამტკიცებაზე.

ცხენის წყალზე რომ გავედით ახალ აშენებულისა ანქვენ მიერ ხიდია. გაუკვირდა ჩემს ამხანაგს და თანაშემწეს ამ ხიდის სიმაგრე და მშვენიერი შენებულება. აღვის-ჭალა რომ ვნახეთ, აღვი საკვირველი. ლეჩხუმის მდებარეობა, გვეუცხოვა ჭეშმარიტად, და მომილოცავს თქვენთვის ასეთი კარგი ხეობის დაპყრობა. ძვირად იპოვება ამისი ტოლი ადგილები.

---

[1] თვალთვაძე უნდა იყოს.—ს. ც.

დავიღამეთ ნაკურალეშს, ძალიან კარგად მიგვიღეს მანდაურნი მცხოვრებნი, მოგვეწონა ღვინო, პური, სულ ყოველისფერი. ეკლესიაც გავსინჯე ამაღლების დღეს და პირველ დადიანების ამბები შევიტყეთ. მივედით ულიერის გზით დეხვირს და ძცხეთას.[1] ულიერს ვერ დავდექი, არ ვიცოდი რომ აქ იპოება საყდარი და ზედ-წერილობა აქვს. მაგრამ მურის მოურავი პირობა მომცა გადავაწერინებ და გაგიგზავნიო ქუთაისსაო. ნეტაი ასე იყოს, ვწუხვარ რომ დამეკარგა. დეხვირს დაგვხვდა მურის მოურავი, გაისარჯა ჩემგან მოსულად. მურს, დადიანების სასახლე გვაჩვენა. ძალიან კარგი და მშვენიერი. ცაგერს დავიღამეთ, ახლავე საყდარი უნდა გავსინჯო.

ნუ შესწუხდებით, ბატონო, ამ ჩემის წიგნის წაკითხვითა. შეუძლებელია არ გაგიგრძელო მადლობა. ასეთი შეწევნა და მოწყალება გიჩვენებია ჩემთვის, რომ ქალალდს არ დაეტევა ქება, მილოცვა, მადლობის მოხსენება ჩემ მიერ.

უმდაბლესად გთხოვ, უგანათლებულესს დედოფალს, ბატონის რძალს—ტერეზიას[2], ბატონიშვილებს გრიგოლს[3] და კონსტანტინეს[4] მოახსენოთ ჩემ მიერ შესაფერი პატივისცემა. პოლკოვნიკ პოტოცკისთან[5] ქუთაისიდამ წიგნს დავსწერ.

ვგიე მარადის, დიდისა პატივისცემითა და გულითადის ერთგულებითა უგანათლებულესობისა თქვენისა ბატონო მთავარო, უმდაბლესი მონა და მოსამსახურე ბ რ ო ს ე[6].

ცაგერიდამ, მაისის 21-სა 1848-სა წ.

უგანათლებულესო მთავარო, ბატონო დადიანო!

ცაგერიდამ ბედნიერება მქონდა წერად თქვენთვის, ალექსი ახვლედიანის ხელით, წიგნი რომელი უკუოდ მოგვსვლია ხელში. ჩემისა სვანეთში მოგზაურობისა ცოტა უნდა მოგახსენოთ.

დეკანოზმა ნიკოლოზ[7] ძალიან კარგად მიწინამძღვრა და ყოველი ღირსი ნახვისა მახედვინა, ასე რომ გთხოვთ უმდაბლესად, თქვენი კეთილყოფილება და წყალობა გამოუცხადოთ. ლენტეხის მეციხოვნე, ლუჯისა მეციხოვნე, ლაშხეთის ზედა-მხედველი ძალიან გაისარჯეს ჩემთვის. ფარნაოზ გელოანი[8] დიდი წყალობა მაჩვენა. მოვიდა, მნახა ლაშხეთს, და დიდი მასპინ-

---

[1] მ ც ხ ე თ ა—ძველი ტაძარი სოფ. ორბელის სამხრეთ - დასავლეთით, მაღალ გორაკზე, ახლაც დგას ეს ძეგლი.—ს. ც.

[2] იგულისხმება ტერეზია გურიელის ასული გრიგოლ დადიანის მეუღლე.

[3]—[4]. გრიგოლ და კონსტანტინე დადიანები დავითის ძმები.

[5] დავით დადიანის კანცელარიის გამგე დეკაბრისტი.—ს. ც.

[6] ზუგდიდის ისტ.-ეთნ. მუზეუმი—სამეგრელოს მთავრის კანცელარიიდან № 18.

[7] იგულისხმება ცაგერის ეკლესიის მღვდელი.

[8] ლაილაშის მაზრის მდივანბეგი.

ძლობა მიყო. მობრუნებაში კიდევ დეხვირის ნაცვალმა თოთიკა ჩიტოანი[1], დიდი პატივი მაჩვენა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

უკაცრავად ვარ, უნდა მოგახსენოთ, მას უკან დიდი უკადრისობა ჩხუბიცა მომხვდა ორ-სამ სოფელში. ზოგიშს, რამდენიმე კაცები ნება არ მისცეს ჩემს პროვოდნიკსა და ნაცვალსა, რომ ცხენები ეშოვნათ ჩემთვის. მე ქვეითად წავედი, მანამდინ ოტია ახვლედიანი[2] ჩემის თანაშემწისათვის თავისი ჯორი მისცა. დღნორისიდამ წავედით ქვეითად მე და ჩემი შემწე. თუმცა მინდორში ბევრი ცხენები იყვნენ, უარი მიყო იქაური ნაცვალი, და თქვენს ბაჩაზე ბარგი ავკიდეთ. ბოლო დროს ორი კარგი ბიჭი მოგვასწრეს და მათის ცხენებზე დავჯექით ოჯოლამდის, უკანასკნელ, ოჯოლის ნაცვალმა ერთი მხოლოდ ცხენი მომცა, მეორე ცხენი, და მეტვირთვეცა უარი მიყო. ჩემი შემწე ოჯილიდამ ქუთაისამდის ქვეითად გზა გაიარა.

თუმცა თქვენგან გახსნილი ბრძანება არ მქონდა, მაინც დეხვირიდამ გამყვებოდა კაცი თქვენი მაქსიმე ბრუისძე,[3] მისანდო, ერთგული და თვით ჭკვიანი პატიოსანი მოსამსახურე, რომელმან ყველაში შემეწეოდა რიგიანად. არავინ არ დაემორჩილებოდა. დიდად შევაშინე ცუდ-კაცები იგი, რომელნი გაბედავდენ უპატიურობის ქმნად მათის ბატონის სტუმრისათვის, და მოვალე ვართ, რომ მოგახსენოთ ასეთი ურიგობა. ამასთანავე გთხოვ საწყალ მაქსიმეს[4] თქვენი კეთილყოფილება და წყალობა გამოუცხადოთ:

დეხვირს, ერთი საწყალი დედაკაცი, მოწყლუაძის ცოლი[5], მოვიდა ჩემთან მინდორში და იჩივლა ასე: „ჩემი შვილები აჭყარა სვიმონ ახვლედიანმა.[6] გაჭყიდა „ღმერთმან იცის სადა, და მე დავრჩები მარტო, უშვილოდ“. მე უთხარი „დავით დადიანთან იჩივლეო, აქაურობას არ ვიცი, მიზეზი ასეთის უბედურებისა შენისა არ მესმისო“ ტიროდა, ტიროდა, ასე რომ გული დამიძვრა. და პირობა მივეცი „ბატონს მოვახსენებ“. მას უკან ბევრი ვკითხე აქეთ-იქით, რამდენიმე ამბობდნენ „უსამართლობა არისო,“ ზოგნი „მართალიაო“. მე რა უნდა ვქნა? ვიცნობ თქვენსა გულკეთილობასა და სიმართლესა. ყველანი აქებენ დავით დადიანის კეთილის სურვილსა და მეცადინეობასა გაკეთებისად თავის სამფლობელოსი. მოგახსენებთ სიმდაბლით, გთხოვთ თუ შეიძლება გააბედნიერეთ ეს საწყალი დედაკაცი, წარსამართებლად თქვენისა მთავრობისა. მეცა მზათა ვარ, თუ ვალშიდ არის ეს უბედური, ნაწილი რამე გარდავიხადო, თქვენის ბრძანებისამებრ.

---

[1] ლეჩხუმელი აზნაური, სოფლის ნაცვალი.

[2] ლეჩხუმელი მემამულე.

[3] ფრუიძე.—ს. ც.

[4] იგულისხმება იგივე მაქსიმე ფრუიძე.

[5] ვინმე ყმა გლეხის ქვრივი, გვარი დამახინჯებულია.

[6] ლეჩხუმელი მებატონე.

ბაჩა, თქვენი უკანასკნელ დღემდისინ კარგად მემსახურა. ქუთაისს რომ მოვედი შევიტყე გრიგოლ დადიანი აქ ბრძანდებაო,—მოვალსენ. მადლობა და მივეცი ეს ცხენი ხელქვეშე, თვით იცის რა უნდა ენას.

შევიტყვე, თქვენი ავათ-მყოფობა ქარისძალით, რომლისთვის დიდად შევწუხდი და მას უკან მამხიარულა კონსტანტინე და ძმა თქვენი სასიამოვნოს ამბითა, რომ უკეთა ბრძანდებით. მოგარჩინოს ღ-ნ.

მაქვს მე ერთი თქვენი წიგნი, სულხან-საბას[1] მოგზაურობა მეორე ნაწილი. თქვენის ბრძანებისამებრ გადავაწერინებ, და მას უკან მოგიბრუნებთ თუ მექნება ბედნიერება თქვენისა ნახვისა პეტერბურღს, უთუოდ იმ დროს მოვრჩები და ხელშიდ მოგცემთ: თუ არა და მას უკან ფოშტით.

დროს მოკლეობისა გამო არ შემიძლიან თქვენთვის მოხსენება და მოთხრობა ჩემისა სვანეთში ყოფნისა. ბევრი ვიშოვნე. მას აქეთ გელათს და მოწამეთას ვიყავი, უცხო ამბები იქ მიშოვნია. ეს უფროსიერთად, გელათს, რკინის კარი, დავით აღმაშენებელის სასაფლაოსთან რომ არის, მოტანილი იყო მისი შვილის მიერ, როგორ წარმააჩვენებს ქართული ზედწერილობა, იქავე: „მეფემან დემეტრე [განჯ] ანი დაარღვია და ესე კა [რი] მოიტანა [წე] ლს მეფობისა... **კგ.** ხოლო დასაბამითგან **ბ**[2].

ჩემის აზრისამებრ და კირაკოს სომეხთ მეისტორიკის დამტკიცებით: ა) განჯიდამ მოიტანა ეს კარი დემეტრე მეფემ წელსა 1139-ს აქეთ; ბ) ამის ძალით უნდა წავიკითხოთ... განჯანი... წილ..., ე. ი. წელსა მეცამეტესა მისის მეფობისა. გ) წელიწადი დასაბამითგან იქნება, თუ ბერძნულად 6617, თუ ქართულად, რომლისაგან დარჩება ერთი მარტო **ბ**.

ღმერთმა გაუმარჯოს თქვენს მთავრობასა. ვგიე უმწვერვალესის პატივისცემითა თქვენის უგანათლებულესობისა, ბატონო დადიანო, უმდაბლესი მოსამსახურე და ერთგული ბ რ ო ს ე".[3]

ქუთაისიდამ, **კ-სა** ივნ. 1848 წ.

მათის უგანათლებულესობის დედოფლისა ხელის კოცნას გავბედავ.

კეთილო მეგობარო ჩემო, საყვარელო ბროსე!.

ორმა წერილმა თქვენმა, რომელიც მომივიდა ცაგერიდამ, **კე-ს** მაისს მოწერილი, ალექსი ახვლედიანის ხელით, ხოლო მეორე ძოლან ქუთაისიდამ, მოწერილი ჩემგან ქუთაისს წარვლენილის კაცის ხელით, მიმცეს დიდს სიხარულთ, პირველად რომე იმყოფებით სიმრთელით და სრულგითვიესთ კეთილად მგზავრობასა და მეორედ, რომელ მეგობრულის თქვენის წიგნის აზრებით დამატკბობთ და წვლილად მაცნობებთ მგზავ-

---

[1] ს. ს. ორბელიანი, იგულისხმება წიგნი მისი ევროპაში მოგზაურობის შესახებ.—**ს. ც**

[2] ეს წარწერა ორიგინალში ხუცური ასომთავრულით არის მოყვანილი.

[3] ზუგდიდის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი. მთავრის კანცელარიის არქივი № 18.

რობასა თქვენსა. მე დიდად შევწუხდი, რომ ორს ადგილს შეგხთომიათ მგზავრობისა თქვენისა დაბრკოლება ცხენების მიუცემლობით სოფლის ნაცვალთაგან. რაისთვის ჯეროვანი ზომა მივიღე და სამადლობელი დაუმადლიე; ხოლო რომელსაც მწერთ მეორე წიგნში, დუხჭირს, [illegible] დედა-კაცის მოწყვლაძის ცოლის შეწუხებას, რომ ვითომც შვილები მისი გაესყიდოს მისს ბატონს ახვლედიანს, ამაზედ მოვკრებ ცნობას, ბეჯითად გამოვიკითხავ და როგორა სიმართლით აღმოჩნდება საქმე, მის კვალად მიეცემა ჯეროვანი განკარგულება. დიდად მეწყინა მეტად, რომ ქუთაისს ვერ ვიახელ კნეინას თავის ტკივილის მიზეზით, რომ თქვენც იქ განახავდით. გარნა მაქვს იმედი ღვთის მოწყალეობისა, რომ-ლ ამ ზამთარს პეტერბურღს ვიხილოთ ერთმანერთი, რაღამც მაქვს განზრახვა ოკტომბრის უკანასკნელს რიცხვში პეტერბურღს წასვლისა; მრავალი უცხო და უცხო ცნობები გიპოვნიათ სასარგებლონი და ამისათვისაც გმადლობთ ფრიად, რომ რამთენიმე ზედ წერილობანი თქვენგან გამოწერილნი გიცნობებიათ ჩემთვის. გთხოვთ გულსმოდგინებით, თუ დაგიგვიანდება ოდეს კიდევ პეტერბურღს წასვლა თქვენის წერილით, მაცნობოთ, ანუ თუ კვალად რაიმე იპოვნოთ შენიშვნისა.

ჩვენ, ღვთის შეწევნით მშვიდობით მოველით საზაფხულო სამყოფსა ჩვენსა გორდს, გუშინ. მთავრინა ეკატერინა მოკითხვას მოგახსენებთ და მადლობას განგიცხადებთ მოკითხვისათვის. ჩემი რძალი ტერეზია ზუგდიდს დარჩა რამდენიმე დღე, გრიგოლის მიბრუნებას ელის ქუთაისიდამ.

„უპირველესითა თქვენდამი მაღალი პატივისცემითა ვეგები თქვენი უმორჩილესი მოსამსახურე მთავარი ლ ა ვ ი თ დ ა დ ი ა ნ ი.“[1]

ჩუმც-ს წ. ე-ს ივნისს, გორდს.

ელენე ბატონიშვილის წერილი დავ. დადიანისადმი:

„თქვენო უგანათლებულესობავ, მთავარო ლ ა ვ ი თ ლ ე ვ ა ნ ი ს ძ ე ვ!

წიგნი თქვენი დაწერილი ნოემბრის 22 დღესა, 1846 წელსა სავსე მწუხარებითა მივიღე. გმადლობ მონაწილეობისათვის, რომელიც მიიღეთ ჩემს უბედურებაზედ;[2] გარნა მე შევცვლი უბედურებათა მითის მწუხარებათა და მღურელი სიღრმით გულისა, ჩემისა ცრემლთა და მგლოველი სასურველისა ნუგეშისა ჩემისა, ნეტარ ხსენებულისა მეფის-ძის თეიმურაზისა, აქამდინ ვერ შევძელ თქვენდამი პასუხის მიწერა მისთვის უფრორე, რომელ სავსე სიყვარულითა თქვენდამი გული ჩემი შეიცვა მწუხარებისა ცეცხლითაოდენ სცნა სიკვდილი ძვირფასისა მამისა[3]

---

[1] დაცულია აკად. ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახ. მუზეუმში, S—ფ. № 2898.

[2] იგულისხმება თეიმურაზ ბატონიშვილის გარდაცვალება (1846).

[3] იგულისხმება ლევან დადიანის გარდაცვალება (1846).

თქუენისა და სიქველით განთქმულისა სიმამრისა[1] თქვენისა, ვინაიდან-ნებისა ღვთისასა ვერავინ წინაღუდგების, ამისათვის ჯერ არს ჩვენდა ყოვლისა მოთმინება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შეპყრობილი მწუხარებითა გული ჩემი მხოლოდ ნახვითა თქუენითა და თქუენის ძვირფასის მეუღლითა მიეცემა სიამოვნებასა, მისთვის რომელ თქუენ მხოლოდ იყავით მეგობარი და სასურველი ძმა ნეტარად ხსენებულის მეუღლისა ჩემისა, რომელიც მარადის პატივისმცემელი იყო თქუენის უგანათლებულესობისა. სხვებ დავშთები თქუენი კეთილად წარმატების მსურველი, უბედური მეფის სძალი ე ლ ე ნ ე"[2].

„უგანათლებულესო მთავარო დ ა ვ ი თ ლ ე ო ნ ი ს ძ ე ვ!

გუშინ თქვენმან სეკრეტარმან მომიტანა საამური წერილი თქ-ნი, და მასთანავე ალზირა, თარგმანი თქ-ნის განსვენებულის სიმამრისა; რაოდენცა საამურ იყო ჩემთვის[3] მიღება წერილისა თქვენისა, ეგოდენ განსაკვირვებელი იქმნა ჩემთვის, ოდესცა ვნახე რომელ ეს წიგნი ერთის თვის დაწერილი იყო, და არ ვიცი რათ დაგვიანებულ იყო თქ-ნი სეკრეტარი. დღეს უფალი აბელ ბაშბეუქოვი, რომელიც მოდის თქ-ნთან, აქ იყო ჩემთან და ამან მითხრა, რომ სამი კვირა მეტი არის ის სეკრეტარი ტფილისს სადმე იმყოფება.

მე ფრიად მიხარის, რომ გორდს მობრძანების შ-დ თქ-ნ და უგანათლებულესი მთავრინა ერთბამ თქ-ნის ყმაწვილებით მშვიდობით და უვნებლად ბრძანდებით კეთილ შეზავებულს გორდის ჰაერშიდ; ვისურვებ რათა მშვიდობით და სიმართლით შეასრულოთ მგზავრობა თქ-ნი პეტერბურღს და ბედნიერად უკანვე მოიქცეთ თქ-ნს სამფლობელოშიდ კმაყოფილად თქ-ნდა ერთგულთა და მეგობართა.

არ დაგაბრკოლებსთა წასვლის გამო, ამბავი, რომელიც მივიღეთ ჩვენ მისის იმპერატორებითის უმაღლესობის ცესარევიჩის[4] მემკვიდრის მობრძანებისა ტფილისს და ქუთაისს. თქ-ნ აპირებთ 1 სექტემბერს წაბრძანებას და მემკვიდრე იქნება მობრძანდეს იმავე თვეში, და თქ-ნ ვერ ნახავთ მისს იმპერ. უმაღლესობას.

წარსულის ფოშტით მივიღეთ უმაღლესი პრიკაზი, რომლითაც ბელავსკი,[5] ღენერალი, დანიშნულ არს მეთაურად დიეიზიისა, კნიაზი გაგარინი[6] ქუთაის ვენნის გუბერნატორად და ღენერალი მინკვიცი[7] დარ-

---

[1] აქ იგულისხმება პოეტ ალექსანდე ჭავჭავაძის გარდაცვალება (1846).

[2] თეიმურაზ ბატონიშვილის მეუღლე ოთარ ამილახვრის ასული.

[3] წერილის ავტორია გენერალი ვასილ ირების ძე ბებუთოვი (1791—1858).

[4] იგულისხმება რუსეთის მეფე ალექსანდრე II.

[5] ბელავსკი (?)

[6] გაგარინი, შემდეგში ქუთაისის გენ. გუბერნატორი, 1857 წ. მოჰკლა კ. დადიშქელიანმა.

[7] ი. თ. მინკვიცი გენ.-მაიორი, გრ. ორბელიანი იხსენიებს თავის წერილებში (იხ. გრ. ორბელიანის წერილების I ტ., გვ. 210).

ბანდს; ეს ამბავი, თუმცა იქნება სხვასაც მოეწეროს თქვენთან, მაგრამ მეც საჭიროდ ვნახე გაცნობოთ თქ-ნ, რათა გამოგიცხადოთ ჩემი მონაწილეობა იმ მწუხარებაშიდ, რომელიც მოგევლინებათ ამა ამბვითა, რამეფუ ჰკარგავთ კეთილმზრუნველსა და კეთილმოქმედსა მეზობელსა.

ბარონ ნიკოლაი, რ-ლიც ვლადიკავკაზითგან მოვიდა თბილისს, გუშინ ჩემთან იყო; დღეს აპირებს წასვლას ბორჯომს; საითგანაცა, ვგონებ განუზრახავთ ნინოს[1] და სოფიოს[2] იქიდან გორდს მოსვლა და ნიკოლაიც აპირებს, რათა იგინი თქ-ნდა წამოიყვანოს და შ-დ დაბრუნდენ.

ამას წინათ მოგეწერათ ჩემთან პოდორიუჟნის გამო, ვგონებ პოდორიუჟნის მიღება ქუთაისშიც შეიძლება, რადგან ვოენნის გუბერნატორნი აძლევენ; ხოლო უკეთუ თქ-ნ ინებებთ, ერთი წიგნი მოსწერეთ კნიაზს მიხაილ სიმონიჩს[3] და პოდორიუჟნიც სთხოვეთ პეტერბურღამდე და მუნით უკანვე მოსასვლელად, მაგრამ მოიხსენეთ წიგნში ცხენების რაოდენობა, რ-ლიც პოდორიუჟნაში უნდა ჩაიწეროს, და აქ კანცელარიითგან გამოგიგზავნით, რადგან უეჭველად არის მუნ მიწერ-მოწერა თქ-ნდა ნების მოცემისა პეტერბურღს წასასვლელად; არა უსარგებლო იქნება, უკეთუ თქ-ნს წიგნში ნამესტნიკთან, იმასაც მოიხსენებთ, თუ ვისგან, ანუ როდის მიიღეთ ნებართვა თქ-ნის წაბრძანებისა.

კნიაზის ნამესტნიკის[4] წერილი მივიღე ამ ივლისის 12-სს რიცხვით პეტიგორსკითგან, მეორეს დღეს წაბრძანდებოდა კისლოვოდსკს. შშვიდობით ბრძანდება კნეინათურთ.

მისს უგანათლებულესობას მთავრინას, ეკატერინეს ულრმეს პატივისცემას განუცხადებთ მე და ჩემი ცოლიც, რომელიც უმდაბლეს მოკითხვასთან მადლობასაც მოგახსენებსთ ალზირას[5] ბოძებისათვის.

ვთხოვ უფალსა, იქნას უვნებლად სუფევას ერთბამ თქ-ნის სახლეულობითა და ყმაწვილებს სიყვარულით დაგიკოცნი.

მარად თქ-ნის უგანათლებულესობის ერთგული მოსამსახურე ვ ა ს ი ლ ბ ე ბ უ თ ო ვ ი".[6]

1850 წ. ი ვ ლ ი ს ი ს 20.
თ ბ ი ლ ი ს ს.

---

[1] — [2] ალექსანდრე ჭავჭავაძის ქალები.

[3] — [4] იგულისხმება მიხეილ სიმონის-ძე ვორონცოვი — მეფისნაცვალი კავკასიაში (1845—1854).

[5] „ალზირა ანუ ამერიკელნი", ტრაღედია ვოლტერისა, თარგმანი ალექსანდრე ჭავჭავაძისა. დღემდე ცნობილი იყო ამ თარგმანის 4 ხელნაწერი (საქ. მუზ. № 1673, ცენტრ. არქ. № 418, პარიზის ნაც. ბიბლიოთეკისა და საქ. სახ. ლიტ. მუზ. 322/5), რომელთაც უნდა მიემატოს ზუგდიდის ისტ.-ეთნ. მუზეუმში დაცული ეგზემპლარი. იგი ალ. ჭავჭავაძის ავტოგრაფული ტექსტია და ამდენად ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი. ბებუთოვისადმი მიძღვნილი კი, რომელიც, ალბათ, ამის პირი იქნება, ჯერაც უცნობია, ან შეიძლება რომელიმე აქ დასახელებული ეგზემპლართაგანი იყოს.—ს. ც.

[6] წერილი დაცულია ზუგდიდის მუზეუმში, მთავრის კანც. არქივში № 20.

დავით დადიანის არქივში და სხვაგან დაცულ აქ სანიმუშოდ მოტანილ ეპისტოლ-
რულ მასალიდან მკაფიოდ გამოსჩვივის სახე ისეთი ადამიანისა, რომელიც გატაცებული
იყო ქართული კულტურის წინსვლით, აღორძინებითა და მისდამი სამსახურით. ...
დადიანის ცხოვრების ამ მხარის გაცნობა საკმაო საბუთს იძლევა ვიფიქროთ, რომ ...
მთავარი და ქვეყნის მმართველობაში გართული არ ყოფილიყო, შესაძლებელია უფრო
მეტი წვლილი გაეღო მის საყვარელ საქმისათვის და ამით უფრო მკვეთრად აღბეჭდ-
ილიყო მისი ამაგი ქართული კულტურის ისტორიაში.

ეკატერინე დადიანი

პირველად დაიბეჭდა გაზ. „Кавказ"-ში 1882 წ. (№ 249, 250, 251) სათაურით: Последная из дедопали грузинских — светлейшая кн. Екатерина Александровна Мингрелская-Дадиани". ნარკვევი დაწერილია ეკატერინეს გარდაცვალების გამო. მისი ცხოვრების ისტორიის მცოდნემ და თავად დედოფლის ოჯახთანაც დაახლოებულმა ი. მეუნარგიამ ამ სახელდახელოდ, საგაზეთოდ დაწერილ ფელეტონებშიც შესძლო საკმაო საბუთიანობით მოეცა ღვაწლი და მნიშვნელობა ეკატერინე ჭავჭავაძე-დადიანისა საქართველოს ცხოვრებაში. ტექსტი ორიგინალისა, ცხადია, როგორც აღნიშნული გაზეთისათვის დაწერილი, შესრულებულია რუსულ ენაზე.

ნარკვევს თავის დროზე შესაფერი გამოხმაურება ჰქონდა ქართულ პერიოდულ პრესაში. დიმიტრი დადიანის გაზეთი „შრომა" (1882 წ. № 40) არ იზიარებს მონოგრაფიის ავტორის ზოგიერთ მოსაზრებებს დედოფლის პოლიტიკური ღვაწლისა და ხალხისათვის ზრუნვის შესახებ და ანგარიშს არ უწევს იმ ისტორიულ მოვლენებსა და საქართველოში შექმნილ საერთო ვითარებას, რომლის შეცვლა და ახალი, მისთვის სასურველი მიმართულებისა და შინაარსის მიცემა დედოფალს არ შეეძლო.

საქართველოს სახელგანთქმული პოეტის ქალი—ეკატერინე ჭავჭავაძის ასული „ხმით მშვენიერი, ტკბილის სიმღერითი" „ფორტოპიანოზე მომღერალი", რომელიც, სადაც კი იყო „იმ არეს ჰფენდა სიამეს" და მისი ხმა „ნარნარი", „თმანი ნაშალნი", „ქუქუნა თვალნი", „პაწაწა ტუნი ვარდებრ ნაფერცლნი", „პირმცინარითა, სინარნარითა მგოსნის ყარიბ გულს ესხივფინარა", ბოლომდე დარჩა ქართული პოეზიის „ჰაეროვან" მტრფიალად, მის მზრუნველად, იმის მსახურად, მეინახედ და მფარველად.

მან შესთავაზა სამოციან წლებში პეტერბურგში მყოფ სტუდენტ ილია ჭავჭავაძეს ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსთა კრებულის ის ხელნაწერი, რომელშიც ზოგიერთი გენიალური ქმნილება პირველად იქნა გადაკითხული. ამ გადაკითხვის შემდეგ აღმოხდა მომავალ მგოსანს „როს წარეკითხე მისი ლექსები, აღმოვიკვნესე დაობლებულმაო"...[1] და სამშობლოში დაბრუნებისათანავე იგი შეუდგა ამ უდროოდ დაკარგულ დიდი მგოსნის შესწავლას, მისი ლექსების გამოცემასა და პოეტის პიროვნების სრულად აღდგენას.

ეკატერინემ შეუნახა შთამომავლობას როგორც რამდენიმე მნიშვნელოვანი ლექსი აგრეთვე ცხოვრების ანალები ნ. ბარათაშვილისა, ალექსანდრე ჭავჭავაძისა და გრიგოლ ორბელიანისა.

პირველად მას ესაუბრა აღნიშნულ პოეტთა ცხოვრების ამწერი და მკვლევარი იონა მეუნარგია და მიიღო მრავალი საგულისხმო მასალა და უცნობი ლექსები[2] ტატო ბარათაშვილისა, ალ. ჭავჭავაძისა და სხვათა.

გრიგოლ ორბელიანი სიკვდილამდე არ ივიწყებს „წინანდლის ვარდს", მასთან მედამ მიმოწერაშია. მხცოვანი პოეტი 1872 წლის 5 იანვარს სწერდა ეკატერინეს: „მომირთმევია კრძალვით და შიშით სალაღუბის „ალაგერდი" და არ ვიცი მოიწონებთ თუ არა. მაგრამ არ დავმალავ, მინდა კი ღიდად, რომ მოგეწონოთ. რა ვქნა, სიტყვითი-სიტ-

[1] ილია ჭავჭავაძე, საიუბ. გამ. 1937 წ., გვ 571.

[2] „ივერია" № 4—5, 1882 წ. ხუთი ჯერ არ დაბეჭდილი ლექსი ბარათაშვილისა, „ივერია" 1883 წ. №1.

ჟვად თარგმანი არ ივარგებოდა; ამის გამო გადმოვიღე მხოლოდ ჰაზრი სალალუბისა და განვავრცელე ქართველთა ჩვეულების ჩამატებით, და ახლა არ ვიცი, ეს ჩამატება ეუხდა თუ არა. მსაჯულა ამისი თქვენ ბრძანდებით"[1]— შიმართავს პოეტი, რომელსაც თურმე, იმ ხანებში ფრიად გახმაურებული ლექსი სოლოგუბისა—„ალავერდი" უთარგმნია.

უფრო გვიან, 1879 წ. 16 ივნისს, გრ. ორბელიანი სწერს ეკატერინეს: „ჩემო მწყალობელო დედოფალო! დაბერდი, სულის გზას შევუდექ, ვჰკითხულობ ფსალმუნსა და აი, მეცა მიეჰბაძე, და თუ არ მოგეწონოს დახიეთ"...[2] და აქვე მთლიანად მოყვანილია ორბელიანის ცნობილი ლექსი „ფსალმუნი".

ქართული წიგნების გამოცემის საქმეში გართული პოეტი დახმარებასა სთხოვს ეკატერინესა და მის შვილებს: „ლიდს ბლანებში ვართ აქა ქართულის ენის მოყვარენი,— სწერს იგი 1869 წ. ეკატერინეს,— ვაბეჭდვინებთ ძველს ქართულს წიგნებსა და ვიმედოვნებთ, რომ ესრეთს საყოველთაოდ კეთილს საქმეში შეგვეწეეთ ფულითა"...[3], რაც ეკატერინეს შეუსრულებია. ქართული წიგნების გამოსაცემ ფონდისათვის გარკვეული თანხების გადაგზავნით, რის შესახებ კვლავ ორბელიანი იტყობინება თავის 1872 წ. 2 ოქტ. წერილში. როგორც გაზეთი „ცნობის ფურცელი" (1877 წ. № 314) გადმოგვცემს, ზუგდიდის ორკლასიანი საქალებო სკოლა ეკატერინეს და შემდეგ მისი ქალის სალომეს მიერ გალებული საბსრებით არსებობდა.

„შესანიშნავი და მრავალფეროვანი ნიჭით დაჯილდოებული, მოძრავი, ტანადი, ლამაზი ეკატერინე, შეიქნა თავისი თანამედროვე ახალგაზრდობის სათაყვანებელ კერპად. მისი გრაცია, ლეკერი და სიმღერა ატყვევებდა ამ ახალგაზრდობას და აღაფრთოვანებდა საუკეთესო ქართველ პოეტებს". გრ. ორბელიანმა, ნიკ. ბარათაშვილმა, თეიმურაზ ბატონიშვილმა და სხვ., თავისი საუკეთესო ლექსები მიუძღვნეს მას.

დასახელებული პირველი ორი დიდი პოეტის ეკატერინესადმი მიძღვნილი კლასიკური ლექსები საყოველთაოდ ცნობილია და ამიტომ მათი მოყვანა აქ არ დაგვჭირდება. ხოლო მეფის-ძე თეიმურაზს, გამოჩენილ მეცნიერ-ისტორიკოსს, რომელსაც ლექსიც თურმე ემარჯვებოდა, 1839 წ. 18 აპრილს ეკატერინეს ალბომში[4] ასეთი სტროფები ჩაუწერია:

„სვერეტს ორიონით, ნათელ-მჰკრთოლინა,
მთიებრ შუქ-მფენი სპეტაკ-ბროლინა.
თვალ-შავარდენა, მკერდ-მწყაზარინა,
გულის მიდამოს სულს მომნადირნა.

მშვილდნი მოზიდნა, გიშრის ისრინა,
ჰინდთ რაზმით მფრინა, გულს განარინა,
ვარდ კოკობთ მცინა, კავკას ზმირინა.
ესრეთს შემკულობს ეკატერინა."

იმავე ავტორს მეორე ადგილას იმავე ალბომში ჩაუწერია:

„ეკატერინა — ვარდ-კოკობინა,
სულნელ კასია ალი შტარხინა,
ცქრიალა მცინა, კარგ თვალთ-მაქცინა,
სიხარულის ფრთით კოლხიდს მიმფრინა,

---

[1] იხ. ზუგდიდის მუზეუმის შრომების I ტ., გვ. 319.
[2] იქვე, გვ. 329.
[3] იქვე.
[4] ალბომი დაცულია თბილისის საჯარო ბიბლიოთეკის რარიტეტსაცავში.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თვალ-თილისმინა, ბაგე-ყანდინა,
წელ-წერწეტინა, გულ განმაკრთინა,
ვით მტრედ-გვრიტინა, შენდა მღილინა,
სიხარულს თვის-ტოლს მდიდრად შემძინა."

დავით დადიანის უმცროსი ძმის, გრიგოლის მუზაც აუმღერებია სასძლოს მშვენიერებას. იგი ჭავჭავაძის ასულს ამგვარ ოდას უძღვნის:

„მარტოსა შაშვსა შვენისო, ისარნი ჰინდოთ ჯარისა,
სტურფობენ ორნი ვარსკვლავნი გიშრისა ზღვათა არისა.
ჯინჭველი თაფლსა ეხვევა საშინელისა მსჯავრისა...
ვინ იყოს ღირსი მსჯავრისა მცირე რაიმე მომპაროს.
დაიცვას, გულზე დაიდვას, ვით მარგალიტი ატაროს.
დაკრძალოს, დახშოს, დაფაროს, მაზედან ცრემლი დაღვაროს,
მოკვდეს და სული სანთელად ქურდობისათვის შესწიროს".[1]

ზუგდიდის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში დაცულ დედოფლის ალბომში ჩაწერილ გრიგოლ დადიანის რვა ტაეპიანი ლექსიც ეკატერინესადმი უნდა იყოს მიძღვნილი. ამას თვით ლექსის ფაქტურაც ამტკიცებს და ამ ალბომში ჩაწერაც:

„ვნახე მთოვარე, შუქით მოარე
და კუთხე ჩემი მან განაშვენა,
ვკითხე: ვით მოდი ნათლისა მდენა,
შენ, დედოფალო, ცისა მისს ზენა;
მისგან მომესმა, ქართული ენა,
მრქვა: მომეწყინა ცასშიგან რბენა,
მეჩვენა რომე, შენს სახლშიდ ბნელა
და თუ არა მე; ვინ გაგითენა?!"..

ვრცელი პატრიოტული ლექსით მიმართა ეკატერინეს აგრეთვე დიდი ნიკოს შვილიშვილმა დავით გიორგის-ძე დადიანმა (1831—1907)[2].

მეუღლის გარდაცვალების შემდეგ, როგორც ეს ი. მეუნარგიას ნარკვევშია აღნიშნული, ეკატერინე თვითონ ხდება მხარის მმართველი, ხელისუფალი და გამგებელი. იგი ცდილობს არ შეცვალოს დავითის მიერ აღებული კურსი ხალხის ხელმძღვანელობისა და პირადი ოჯახის გაძლიერებისაც. ამავე დროს მეგობრობს ყველა იმათთან, ვინც დავითს უყვარდა და მეგობრობდა... „ჩემო პლატონ,—სწერდა ის პლატონ იოსელიანს 1853 წ. 15 თებერვალს,— ხომ იცი ვინც ჩემს დაუვიწყებელს დავითს უყვარდა, ყველანი ჩემთვის დიდად საყვარელნი ხართ..." უფრო ადრე, 1853 წ. 23 ნოემბერს, ზუგდიდიდან ის სწერდა პლატონ იოსელიანს:

„...გთხოვ ჩემო პლატონ, არ დაიზარო და საჩქაროდ დამიწერო ჩემის თვალების დამბნელებლის დადიანის ეპიტაფია რუსულად და ქართულად. ეგზარხოსსაც ჰკითხე რჩევა. ერთად არჩიეთ და ისე დაწერე და მალე მიბოძე... (ესურს წლის თავის შესრულებამდე დაუდგას ძეგლი, რომელიც საზღვარგარეთ უკვე შეკვეთილია — ს. ც.)...

---

[1] საქ. ლიტ. მუზეუმი, № 480/4.

[2] იხ. „მწყემსი", 1892, № 11.

„...ჩემი შვილები ღვთის მოწყალებით კარგად მყვანან, გუვერნანტკა მოეგებდათ, ნიკო ძალიან კარგად სწავლობს. ჩემმა დამ, ნინომ მოგიკითხათ“... (თბილისის ეროვნული ბიბლიოთეკის რარიტეტის S ფონდი 40/21).

ეროვნული ბიბლიოთეკა

1854 წ. 16 ივნისის წერილით ეკატერინე მადლობას უძღვნის პლატონ იოსელიანს ეპიტაფიის მიღებისათვის. აგრეთვე აცნობებს იმასაც, რომ ნიკოს სამთავრო ტახტზე დამტკიცების გრამოტა მოუვიდაო. სწუხს ვორონცოვის წასვლისა გამო.

საყურადღებოა აგრეთვე ეკატერინეს წერილი გორდიდან 1856 წ. 2 თებერვლის თარიღით, რომლითაც ის პლატონს ატყობინებდა იმ უბედურებას, რაც სამეგრელოს მიადგა თურქეთის საოკუპაციო ჯარებისაგან.

„...ღ-თნ თქვენს მტერს მოუვლინოს, — წერს ეკატერინე პლატონს, რაოდენი განსაცდელი და უბედურება მენგრელიას მოევლინა. ესოდენი წლის შრომა და ღვაწლი ერთად დაიკარგა ს-დ, ამ ომიანობისა სისხლის დათხევა მათი ამაოდ დაშთა. მტერმან ააოხრა. და ნაცვლად კეთილისა ჩვენმა სიძემ და დადიანის ოჯახის ერთგულად საგონებელმა მუხრან-ბატონმა ღალატიც განსთქვა, მის გამო რომ მით უმსგავსო მოქმედება მისი და სირცხვილი რ-ლიც აჩვენა რუსეთის მხედრობას და იმდენად დაუბრმავდა გონება, რომ გაბედა ჩემდა მოწერაც ნომრიანის ქაღალდით ეითომც მე აღუკრძალე მეგრელთ მტერთადმი თოფის სროლა. მაგრამ ისე გაფუჭდეს ყოვლი მისი ბოროტი აზრი სამეგრელოსათვის, როგორც სამეგრელო მტერმა გააფუჭა და მთავრისა მათისა ოჯახი ცეცხლის ალს მიეცა. ზუგდიდი აღარ არის. იქაური თექვსმეტი წლის ნაშრომი ბალი, რომელიც კავკასიის მხარეში კი არა უცხო ქვეყნებშიც მოსაწონი იყო, მტერმან აღგავა. ყ-ლი ხილი, ყვავილი და უცხო ქვეყნის მცენარეები ზოგი წაიღეს და ზოგიც დასჭრეს. პარიჟელი და სხვა მებელი რაც იყო წაიღეს და მთელი ოჯახი და გარემო მტვრად აქციეს... უბედურია ამ დროებით მეგრელია, გარნა ვსასოებ ოდესმე ყ-დ მოწყალე ხელმწიფე ნუგეშს გვცემს ნაცვლად მართლისა მწუხარებისა“... (იქვე, 40/28).

ეკატერინე ცნობილია, როგორც მწერლობის მოყვარული, მფარველი, მეცენატი და ქველმოქმედი. მისი ლიტერატურული სალონი ზუგდიდში,[1] პეტერბურგსა და პარიზში, ერთგვარი შთამაგონებელი კერა და წყაროც იყო შემოქმედებისა. ქართველი სტუდენტები და შემდეგ ცნობილი მწერლები და მოღვაწეები: ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, კ. ლორთქიფანიძე, ნ. ნიკოლაძე, გ. წერეთელი და სხვა მრავალნი, მისი ბრწყინვალე სალონის ხშირი სტუმრები იყვნენ პეტერბურგში, ისინი იქ მუდმივ თანაგრძნობასა და დახმარებას ჰპოულობდნენ.

პარიზში 1869 წლამდე და შემდეგ ზუგდიდში (70-იანი წ.), მასთან ჰპოვეს თავშესა-

---

[1] ამ ოჯახთან არის აგრეთვე დაკავშირებული ზუგდიდში პირველი ქართული წარმოდგენის გამართვა 1868 წ. 11 აპრილს—ადგილობრივი სკოლის ბიბლიოთეკის სასარგებლოდ. გაზეთი „დროების“ ცნობით წარმოდგენას იმდენი ხალხი დაესწრო, რომ დარბაზი ვერ იტევდა და შემოსავალიც კარგი იყოვო. წარმოუდგენიათ ქართულად გადმოკეთებული „ძალად ექიმი“—მოლიერისა. იმდროინდელი პროვინციული სცენის კვალობაზე წარმოდგენა არ იყო თურმე ურიგოდ დადგმული. როლების შესრულების მხრივ გამოირჩეოდნენ ქალები: მარიამ ფურცელაძისა (ანტონის მეუღლე), ნინო როხმოლოდუკისა (დავით დადიანის მიერ გახსნილ აბრეშუმის ქარხნის მეწარმის მეუღლე ქართველი ქალი), ნატო ვახრამოვისა და სხვ. („დროება“, 1868 წ., № 21).

ფარი და თანაგრძნობა ახალშეეღლებულმა ავსტრიელმა მწერლებმა არტურ და ბერთა სუტნერებმა, რომელთაც მშობლები სდევნიდნენ ამ ქორწინებისათვის. მათ გაატარეს საქართველოში (1889 წლამდე), შეისწავლეს ქართული ენა და ცხოვრება, მონაწილეობა მიიღეს ქართულ მწერლობაში და რამდენიმე თხზულებაც შექმნეს საქართველოს თემაზე.[1]

მისი ოჯახის მეშვეობითა და ერთგვარი „ლოცვა-კურთხვით" ხვდა წილად სამწერლო ასპარეზზე დაწინაურება და გამოჩენა ჩვენი ჟურნალისტიკისა და თეატრის თვალსაჩინო მოღვაწეს,— ივ. კერესელიძეს. ეს იყო ქართული ენის პირველი მასწავლებელი ეკატერინეს შვილებისა, რომელნიც შემდეგ საფრანგეთში სწავლობდნენ და საკვეყნოდ გამოჩენილნი შეიქმნენ.[2] მაგ., უფროსი ვაჟის ნიკოს (1847—1903) კანდიდატურა 80-იან წლებში ბულგარეთის ტახტზედ იყო წამოყენებული. ამის შესახებ, როგორც საუკეთესო ქველმოქმედისა, მეტად მნიშვნელოვანი წერილებია მოთავსებული და საგულისხმო აზრებიც გამოთქმული ჟურნალ „კვალში" (1876, № 15) და გ. თუმანიშვილის „მოგონებანი და დახასიათებანის" კრებულის მეორე ნაწილში, გაზეთ „ივერიაში" (1886 წ. № 257, 274) და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ჟურნალში[3] აკადემიკოს სიმონ ჯანაშიას მიერ, რომელმაც აღნიშნა, რომ მას (ნიკოს) „ახასიათებდა ზრუნვა ქართულ კულტურულ დაწესებულებათა შესახებ. მან შესწირა მამისეული ძვირფასი წიგნთსაცავი და ხელნაწერების მთელი ფონდი წერაკითხვის საზოგადოებას... მისმა ჩარევამ შეაჩერა სასულიერო მთავრობის რუსიფიკატორული განზრახვა—სამეგრელოს სამრევლო სკოლებიდან ქართული ენის განდევნისა"...

ამ საკითხის შესახებ გაზ. „ივერიაში" (1904 წ. № 241) გამოქვეყნდა ნიკო დადიანის ჯერ კიდევ 1885 წ. 17 აპრილს დაწერილი მეტად საინტერესო ბარათი მიწერილი ვასილ ბახალისადმი. წერილში დასაბუთებულად და მკაცრად ილაშქრებს ავტორი „ძალათ მაცხოვნე" უცხოელ „მზრუნველების" წინააღმდეგ და ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ „ჩვენდა საბედნიეროდ, ჩვენს ხალხს აქვს საკუთარი აზრი და რწმუნება" და მტრის ანგესზე არ წამოეგებაო, რადგან ეს წერილი სხვა საჭირო საკითხებსაც ეხება და განსაკუთრებით კი წ/კ საზოგადოებისათვის გადაცემულ ბიბლიოთეკასაც. აქვე მოგვყავს მთლიანად:

„ჩემო ვასო, შენი ორივე წიგნი მომივიდა და ვჩქარობ შემოგწირო მადლობა, რომ ყოველისფერი გააკეთე ისე, როგორც მე მსურდა და მიამებოდა. შენმა უკანასკნელმა წიგნმა მეტად მასიამოვნა; ოღონდ ერთი საქმე მაწუხებს, რომ ამბობ „რაოდენიმე წიგნები დააკლდა ბიბლიოტეკასო". ამაზედ ახლავე ეშვრები განკარგულებას და ყოველისფერი აღმოჩნდება თავის დროზედ. აქ დიდ მზადებაშიდ ვართ. ჩვენ ვფიქრობთ, რომ აელანის საქმე შეიძლება გათავდეს დიდის უსიამოვნებით, იმედი გარიგებისა მაინც დაკარგული არ არის. ეს საქმე იმ ნაირი არის, რომ მთელს განათლებულს და გაუნათლებულ ქვეყნებს შეეხება. მ ე წ ა ვ ი კ ი თ ხ ე ი ს ს ტ ა ტ ი ე ბ ი, რ ო მ ე ლ ნ ი ც ა მ ტ კ ი ც ე ბ ე ნ, რ ო მ მ ე გ რ უ ლ ე ნ ა ს ა დ ა ქ ა რ თ უ ლ ე ნ ა ს შ უ ა მ გ ზ ა ვ ს ე ბ ა ა რ ა რ ი ს ო. ჩ ე მ ი ა ძ ბ ა-

[1] „იმერეთი" 1914 წ. № 77; აგრეთვე იხ. ი. მეუნარგიას წერილები ნ. ნიკოლაძისადმი, საჯარო ბიბლიოთეკაში დაცული.

[2] ამავე პერიოდს უნდა მიეკუთვნოს საქ. სახ. მუზეუმში (S—1671) დაცული ე. წ. „თეთრატკა მთავრის-ძის ნიკოლოზ დადიანისა ქართული წერისათვის. 1858 წ. 1 აპრილს, პეტერბურგი. ჩანს, ეკატერინეს შვილებისათვის ქართული ენის სწავლება განუგრძვია საქართველოდან წასვლის შემდეგაც.

[3] მასალები საქ. და კავკ. ისტორიისათვის, წ. III, 54—5

ვი ხომ იცი: — მე ვერაფერი გამაკვირვებს!.. მე ოღონდ ამას ვიტყვი, რომ ის გარეშე ქვეყნის ფილოლოგები, რომელნიც სწერენ მეგრულსა და ქართულს ენებზედ, არიან სრულიად დაბნეულნი. ჯერ ჩვენი ენა ისწავლონ და მერმე სწერონ. ნამეტანი სწავლა ზოგიერთებს მთლად დააბნევს! ამის მაგალითი ბევრია ქვეყანაზე. ჩვენდა საბედნიეროდ, ჩვენს ხალხს აქვს თავისი საკუთარი აზრი და რწმენება, რომელიც დაგვიტოვა ჩვენმა საკუთარმა ისტორიამ. დაახლა ვერა კაცი ვერ დაგვაჯერებს იმას, რაც ნამდვილი არ არის ჩვენთვის და რაც ავნებს ჩვენს წინ წაწევას. ხალხს მაშინ გაიცნობს კაცი, როდესაც იმ ხალხში ცხოვრობს ან იმ ხალხის ენას ლაპარაკობს. ამას გარდა ხალხის ისტორია და სურვილი უნდა შეიტყოს კაცმა და შემდეგ ილაპარაკოს. **მე სამეგრელოს, იმერეთს და გურიას ვუყურებ როგორც საქართველოს პროვინციებს. ჩვენ შუა განსხვავება არ არის და არც უნდა იყოს; ეს არის ჩემი აზრი და ამ აზრით მოვკვდები. ის-ღა გვაკლია ახლა, რომ ვინმე ჩინელმა ფილოლოგმა დასწეროს ჩვენს ენაზედ ან ქართული გვასწავლოს**[1]. ეგების ამასაც მოვესწროთ. ახლა ჩვენ უნდა ვიფიქროთ სახლის შოვნა ჩვენი ბიბლიოტეკისათვის. ამაზედ თავის დროზედ ჩემს აზრს გაცნობებ. სირცხვილი იქნება ჩვენთვის, თუ ყველამ ერთად ვერ მოვახერხეთ ეს ადვილი საქმე. მაცნობე შენი აზრი შესახებ ფულებისა, რომელიც დაგვჭირდება სახლის საყიდლად ქალაქ თბილისს...

იმედი მაქვს, რომ არ დამივიწყებ და მომწერ მანდაურ ამბებს. შენი მეგობარი ნ ი კ ო.“

17 აპრილს 1885 წ. პეტერბურგი.

აქვე უნდა გავეცნოთ ნ. მინგრელსკის კიდევ უფრო აღრინდელს, ორი თვის წინ დაწერილ ბარათს იმავე ვასილ მარაბლისადმი, რომელსაც ის აძლევს რწმენებას, თავისი მამის მდიდარი წიგნთსაცავი ნ/კ. საზოგადოებას ჩააბაროს. აი ეს წერილიც:

„ვნიაზო ვასილ, დიდი ხანია გულში მიძევს, რომ მთელი ჩემი ბიბლიოთეკა, რომელიც კი შეეხება საქართველოს ისტორიას, გეოგრაფიას, ლიტერატურას, ან საზოგადოდ, რაიმე მხარეს ჩვენის სამშობლოისას, გადამეცა ჩვენის „წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოებისათვის“, რომელსაც, რასაკვირველია, უფრო მომეტებული სახსარი და ღონისძიება აქვს ამით სარგებლობა მოუტანოს ჩვენს ქვეყანას, ვიდრე კერძო პირმა, მაგრამ სხვა-და-სხვა მიზეზების გამო დღემდის ეს სურვილი

[1] ხაზი ყველგან ჩვენია.—ს. ც.

შეუსრულებელი დამრჩა. ახლა გთხოვთ, ჩემს მაგიერ გარდასცეთ ზემოხსენებული საზოგადოების მმართველობას, რომ მე მოვახდინე ანკარეულება — მთელი ჩემი ბიბლიოთეკა, თავადმა კონსტანტინე დავითის-ძე ნიჟარაძემ ჩაიტანოს ქ. თბილისში „დროების“ რედაქტორთან, სადაც საზოგადოებისაგან ამორჩეულ პირთ შეუძლიანთ ჩაიბარონ ისეთი წიგნები, რომელთაც ისინი დაინახავენ საჭიროდ და სასარგებლოდ.

თუ ამ ჩემის ბიბლიოთეკის შეწირვით საზოგადოება მოუტანს რასმე სარგებლობას ჩვენს სამშობლო ქვეყანას, მით შევრაცხ თავს ბედნიერად.

თქვენი პატივისმცემელი თავადი მეგრელიისა ნ ი კ ო ლ ო ზ“.

1885 წ. 28 თებერვალს

პეტერბურგი.

ამ წერილების მიხედვით ნათელი ხდება მათი ავტორის გულისნადები, კეთილგანზრახვა და დამოკიდებულება ქართული კულტურისადმი, ქართველი ხალხისა და საქართველოს მთლიანობისადმი. თავის დროზე მოხდენილად თქმულმა მისმა მოსაზრებამ, რასაც ოფიციალური გალაშქრებაც მოსდევდა, ცივი წყალი გადაასხა თვითმპყრობელობის აგენტებს, სამუდამოდ ჩაშალა ცარიზმის მიერ ქართველი ხალხის დანაწილების მიზნით შეთითხნილი ბუგმები.

ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ აღნიშნული მდიდარი ბიბლიოთეკის ჩასაბარებლად 1885 წელს შექმნა სპეციალური კომისია. კომისიაში შედიოდნენ: ილია ჭავჭავაძე (თავმჯდომარე), დავ. ერისთავი, ვას. მაჩაბელი, იონა მეუნარგია, გრ. ყიფშიძე და სამსონ ყიფიანი, რომელთაც იმავე წლის გაზაფხულზე ადგილობრივ, სოფ. გორდსა და ზუგდიდს, ჩაიბარეს ხელნაწერთა ეს ძვირფასი კოლექცია. საგულისხმოა აგრეთვე ისიც, რომ ამ კომისიას გამზადებული დახვდა ადგილზე მთელი ამ ბიბლიოთეკის აღწერილობა—კატალოგი, რომელიც წინასწარ, ვიდრე ეს ჩაბარება მოხდებოდა, შეუდგენია ჩვენს სასიქადულო პოეტს აკაკი წერეთელს.[1] ამ ბიბლიოთეკის აღწერილობა 1886 წელს გაზეთ „იკერიაში“ დაიბეჭდა.

როგორც სხვადასხვა მასალებიდან ჩანს, ქართველი მწერლები და საზოგადო მოღვაწეები ხშირად მიმართავდნენ ნიკო დადიანს ყოველი ეროვნული საქმის წამოწყებაში ნივთიერი და მორალური დახმარებისათვის. ამის ერთ-ერთ ნიმუშად აქვე მოგვყავს ცნობილი პედაგოგის არ. ქუთათელაძის წერილი ნიკოსადმი:

უგანათლებულესო თავადო, ნიკოლოზ დავითის ძევ!

დიდს ბოდიშს ვითხოვ, რომ ვთამამობ და ნებას ვაძლევ ჩემს თავს. მაგრამ დიდად ძალიმდებული ვარ, კეთილინებებთ გარემოების შეტყობას და მით შემინდობთ: ეს ერთი წელია, რაც ტფილისში დაარსდა პატარა არა ოფიციალური წრე, რომელსაც მიზნად აქვს ქართული საეკლესიო გალობა ნოტზედ გადიღოს და დაბეჭდოს. წრე არსებობს და მოქმედობს: გაგზავნილია გურიაში ფილიმონ ქორიძე, რომელიც სწერს შესანიშნავი მგალობლის ანტონ ღუმბაძის გალობას; მაგრამ საშუალების უქონლობა ერთობ უცარავს ხელს და ატოკებს ამ კეთილ საქმეს. მოვილტვით თქვენდამი, უგანათლებულესო თავადო! მოგვეხმარეთ, შეგვეწიეთ, რომ თქვენის მეოხებით ქვეყანას შეენახოს ის გალობა, რომლითაც უგალობდნენ ქართველთ წინაპარნი თვის შემოქმედს.

ჩვენ დიდი ხანია ვხედავთ თქვენს მოღვაწეობას: თქვენგან შემოწირული ქართული ბიბლიოთეკა და თქვენი შემწეობა სენაკის სკოლისადმი დიდი მსხვერპლია ქვეყნისათვის, რომელიც არაოდეს ამას არ დაივიწყებს. მხოლოდ ამ თქვენგან აგებულს ტაძარში მლოცველნი მოკლებულნი არიან გალობას და მგალობლებს. ეს გახლავთ უმთავრესი მიზეზი,

---

[1] „დროება“, 1885 წ. № 60.

ეროვნული ბიბლიოთეკა

უგანათლებულესო თავადო, უმორჩილესად ვსთხოვოთ თქვენს გულუხვობას, პატივ-
სცეთ ამ საქმეს ქვეყნის სასარგებლოდ და თქვენის სახელის სასიქადულოდ!

მოგვირთმევია გაზეთის! „ივერიის" ნომერი, რომელშიც მოხსენებულია ორიოდე
სიტყვა ჩვენის ქართულის გალობის შესახებ. შეწირულებას, ვიმედოვნებთ, უბრძანებთ
ვისდაც ჯერ არს—გარდასცენ ეჭიმს პოლიკარპე ივანეს ძე ჩხიკვიშვილს,[1] რომელიც
მოგვართმევს ამ წერილს.—გარდმოსაგზავნად ტფილისში.[2]

თქვენი მორჩილი მოსამსახურე
არისტოვლე ვასილის ძე ქუთათელაძე.

10 ივლისი, 1844 წ.

ნიკოს დახმარებით დაიწყო მზეცოდნმა ჟურნალისტმა ივანე კერესელიძემ სასოფლო-სამეურნეო ხასიათის გაზეთი „ცისკრის" გამოცემა 1887 წელს. ამის შესახებ ის 1886 წ. 27 ნოემბერს სწერდა ნიკოლოზ დავითის-ძეს: „გულსა და სულსაც ჩემსას უხარის, რაც მესმის, რომ მთელი ევროპა ლაპარაკობს, იმ პატარა მთავრის შვილზედ, რომელსაც პირველად ავალებინე წიგნი და კალამი ხელში...[3]

...„ახლა მომმართმევია ამასთანავე, რადგანაც თქვენ მიბრძანეთ, ჩვენი გაზეთის პროგრამა და იმედი მაქვს თქვენი კეთილის გულისაგან, თქვენს მფარველობას და შეწეობას არ მოაკლებთ. აგრეთვე არ დაივიწყებთ თქვენს უმორჩილეს მოსამსახურეს ივ. კერესელიძეს" (ზუგდიდის მუზეუმის არქივი № 1152 (V). ცხადია, ნიკოს დახმარება გამოცემის ნებართვის მიცემაში გამოისატებოდა. ეს გაზეთიც გამოიცა 1887 წ. გამოდიოდა კვირაში ორჯერ, მაგრამ მის გამოსვლას ხანგრძლივი სიცოცხლე მაინც არ დაურჩა. სამი თვის შემდეგ დაიხურა.

ნიკოს პიროვნების ამგვარად აღზრდისა და მისი განწყობის გამომეშავების სათავე ეკატერინეს შინაარსიან ბუნებაში უნდა ვეძიოთ, ამაზე მიგვითითებს გაზეთი „ეროვნება" ქართული წიგნების გამოცემის შესახებ დაბეჭდილ ერთს სტატიაში: „...იმისგან (იგულისხმება ნიკოლოზ დადიან-მინგრელსკი—ს. ც.) ყოველთვის მოველოდით საზოგადო კეთილ საქმეს, რადგანაც ვიცოდით, თუ რაზე უფრო იყო მიქცეული ყურადღება მისი გამოზრდის ღროს და რა აზრებს უნერგავდა მას გულში მისი მშობელი... და მართლაც განა შესაძლებელი იქნებოდა, რომ კეთილის გრძნობით არ განსხვავდეს ალექსანდრე ჭავჭავაძის, ამ სახელოვანი პოეტის ქალი და უკანასკნელი მთავრის მეუღლე?.. ეს ჩვენი აზრი რომ მართლდება, უნდა გამოგიცხადოთ, მოხარული ვართ. ეი რაში მდგომარეობს საქმე: სამეგრელოს უკანასკნელი მთავარი დავით დადიანი, მოყვარული იყო ქართული მწიგნობრობისა და ღიდის ცდით და შრომით შეადგინა ქართული ბიბლიოთეკა ძველი ხელნაწერებისა. როდესაც ახალგაზრდა თ. მინგრელსკი (ასეთი წოდება მისცა რუსეთის იმპერატორმა ნიკო დავითის-ძე დადიანს—ს. ც.) დაბრუნდა საზღვარგარეთიდან სამშობლოში, ეს ბიბლიოთეკა გაბნეული დაუხვდა. ახლა იმას სურს, რომ ეს ძველი წიგნები და სხვაც, რაც კი გამოჩნდება ამგვარი თხზულება, თავის სახელით დააბეჭდვინოს და ამ საუკუნოდ სასახელო და კეთილი საქმით ძოუტანოს ჩვენს ხალხს საშვილიშვილო სარგებლობა. ეს მაღალი და პატიოსანი საქმე, რასაკვირველია, სასიხარულოა ყველასათვის და ჩვენთვის მით უფრო, რომ პირველი იქნება ეს დაწყება და სამაგალითო. მართალია, ხარჯის მორიდება ექნება ამისთანა საქმეში თ. მინგრელსკის, მაგრამ სანატრელია, რომ ცოტა დახარჯოს კაცმა, თუ კი შეიძლება, და სარგებლობა ბევრი მოიტანოს. და ამ საქმეშიდაც სწორედ ის ხარჯი, რომელიც მოუვა თ.

---

[1] დამსახურებული ეჭიმი და ხონის საოსტატო სემინარიის მასწავლებელი პოლიკარპე ჩხიკვიშვილი (1855—1924).

[2] წერილი გადმომცა დამსახურებულმა ეჭიმმა სანსონ პოლიკარპეს-ძე ჩხიკვიშვილმა, რისთვისაც მადლობას მოვახსენებ.—ს. ც.

[3] შემდეგ მოთხრობილია ნიკო დადიანის ბულგარეთის ტახტზე წამოყენების შესახებ და გამოთქმულია მისი შეხედულება და სიხარული ამ მოვლენისადმი.

მინგრელსკის, არაფრად ჩასაგდები იქნება იმ უზომოდ და დიდ სარგებლობასთან, რომელსაც ის მოიტანს... და ამისთვის ჩვენ აქ უნდა წარმოვსთქვათ ჩვენი აზრი, როგორ უნდა მოხერხდეს ძველი წიგნების ბეჭდვა, რომ მოუფიქრებლობითა ... ლობით საქმე არ დასუსტდეს, ისე როგორც აქამდე სუსტდებოდა ეს საქმე, როდესაც ერთი კამპანია შეუდგა თბილისში ამ საქმეს..."[1]

ამ ამონაწერიდან ცხადად ჩანს, რომ ნიკოს ჯერ კიდევ 1872 წელს, როცა ის 25 წლის ჭაბუკ იყო. მტკიცედ განუზრახავს „რითიმე დახმარებოდა საშობლოს, მშობლიურ ლიტერატურასა და კულტურას. რუსეთსა და საზღვარგარეთ მიღებული ალზრდისა და სწავლაგანათლების მიუხედავად, მასში მშობლიური ხალხისა და კულტურისადმი სიყვარული არ განელებულა. მშობლების მოყვარული, ის მუდამ მორჩილია დედის რჩევისა და დარიგებისა, მას განუყრელი ფესვები აქვს ქართველ ხალხში თავისი მრავალრიცხოვანა ნათესავების მეშვეობით. ამ მახლობლებთან მას განუწყვეტელი მიწერ-მოწერა და ცოცხალი ურთიერთობა ჰქონდა. ამის დამადასტურებელია სხვადასხვა მუზეუმებში დაცული მისი ბირადი წერილების მდიდარი კოლექციები.

ამ კოლექციებიდან აქ მოვაყვანთ მხოლოდ ერთ წერილს, რომელიც ნიკოლოზ მინგრელსკას ცხოვრების მეტად მნიშვნელოვან მომენტშია დაწერილი და ავტორის ხასიათსა და სიდარბაისლესაც გვიჩატავს. ამიტომ წერილის ტექსტი მთლიანად მოგვყავს:

„ჩემო საყვარელო გიორგი!

დიდათ გმადლობ ხსოვნისათვის, რაიცა მოგეწერა ვსცანი. რაც მე აქ მოველ ერთი წამი თავისუფლება არა მაქვს, დილიდან საღამომდის მახვევია ხალხი, და სულ საქმეში ვარ. შესახებ ჩემის საქმისა რასაცა მწერ, ჩვენში იქნება. დიდი ლაპარაკია შესახებ ბოლგარიის საქმეზედ, ეხლა ხომ მთელს ქვეყანაზე ეს საქმე აქვთ სალაპარაკოდ. და რომ კიდეც ასრულდეს ეს საქმე, მაინცა და მაინც მე დიდად არა მსურს ვიკისრო ესრეთი დიდი მოვალეობა; მაგრამ მთლად ჩემს სურვილზედაც არ არის დამოკიდებული. და თუ წასვლა შემხვდა, იმ შემთხვევაშიდ მარჯვედ ვიქნები, რადგანაც რუსეთმა ასეთი პატივი მცა და ერთის ხმით ამომირჩია, უეჭველია, ერთი შეცდომაც არ მომივა. მე აღვასრულებ ყოველს სურვილს ხელმწიფისას; ესეც არის, რომ რუსეთი ისეთი ძლიერი იმპერია არის, რომ მისს გამორჩეულს პირთან ხუმრობა არ ივარგებს. ეგების ამ მოკლე დროში დამტკიცდეს ჩემი სიტყვები; ჩვენ ყოველთვის ვიდგებით სწორსა და საკადრისს გზაზედ, და ვინც მოინდომებს რუსეთის დაბრკოლებას, იმას უეცრად პანღური მოხვდება. — კავკასიაშიც ბევრს გაუკვირდება ჩემი კანდიდატობა; მე დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენში ხალხი მამასახლისადაც არ ამომირჩევდა. რუსეთს კი სხვა აზრი ჰქონია ჩემზე. და ამისთვის, მე მთელს სიცოცხლეში უნდა ვიყო მათი მორჩილი, მოსამსახურე და აღმასრულებელი მათის სურვილისა; ვისაც თავში არ უქრის, ის გაიგებს რა არის ხელმწიფისაგან ვრცელი რწმუნების მიცემა კერძო პირისადმი... ეს საქმე შესრულდების თუ არა, მაინც ისეთი ჯილდო არის, რომ მეტი არ შეიძლება რა ამ ცისქვეშეთში... მადლობას გწერ. მე ისრე მიყვარხარ შენ, როგორც მამა ჩემს უყვარდა მამა შენი; და კიდევ უმეტეს

[1] „დროება", 1872 წ. № 6.

მით, რომ ჩემმა დამ, ნატალიამ დაგვიმტკიცა სიყვარული, და პატივსცემ-
მა მე და ჩემს მშობელ დედას, რაისათვისცა მოვალე ვარ გასიამოვნოთ
და დარწმუნებული უნდა იყოთ, რომ შენთვის და შენის ოჯახისათვის
ყოველთვის მზათა ვარ რაც კი, ოღონდ კაცისაგან, შესაძლებელი არის;
მამის ჩემისაგან შენთან მოწერილს ბარათს უკანვე გიგზავნი; იყოს შენს
ოჯახში სახსოვრად; ნატალიას და ელისაბედს გულითადი მოკითხვა. ნახ-
ვამდის, ანუ გორდს, ანუ ვარნას; —

დავშთები შენი პატივისმცემელი და მოყვარული თავადი სამეგრე-
ლოისა ნ ი კ ო ლ ო ზ.[1]"

1887-ს წ. 11 ი ა ნ ვ ა რ ს.
პ ე ტ ე რ ბ უ რ გ ი.

ეს წერილი მიწერილია გიორგი თეიმურაზის-ძე აგიაშვილისადმი. ნატალია გიორგის მეუღლეა, ხოლო ელისაბედი — დედა.[2]

წერილის ავტორი — ნიკოლოზ დავითის-ძე დადიანი — თავადი სამეგრელოსი, 1886 წ. დეკემბერს წამოყენებული იქნა ბულგარეთის მეფის თანამდებობაზე რუსეთის საიმპერატორო სახლისაგან. ამას შესახებ ილია ჭავჭავაძემ სტატია დაბეჭდა 1886 წ. გაზეთ „ივერიაში" (274). ნიკო მართალია, როცა სწერს გ. აგიაშვილს, რომ ყველგან ჩემზეა ლაპარაკი. ამის დამადასტურებელია 1886 წ. გაზეთ „ივერიაში" (257) სპეციალურად ამ საგანზე მოთავსებული მიმოხილვა. რუსეთისა და ევროპის გაზეთები თითქმის ყოველდღე ათავსებდნენ ცნობებს სამეგრელოს თავადის ცხოვრებაზე, აღზრდასა და განათლებაზე: „Московские ведомости" — მთელ ბიოგრაფიას ათავსებს, რომელშიც დაწვრილებით ეხება მის წარმოშობას, ოჯახს, აღზრდასა და დაწინაურებას სამხედრო ასპარეზზე. გაზ. „Новости" აღწერს ნიკოლოზის ევროპაში და განსაკუთრებით ქ. ჰაიდელბერგში ცხოვრებასა და აღნუსხავს მის დადებით თვისებებს. გაზეთი ხაზს უსვამს აგრეთვე იმ გარემოებას, რომ მინგრელსკას განსაკუთრებული ნიჭი აქვს ენების შეთვისებისა, რომ ის მშვენივრად ლაპარაკობს რუსულ, ფრანგულ, ინგლისურ ენებზე და ამ ეამად გერმანული ენაც ისწავლაო. ბერლინელი გაზეთი „ტაგებლატი" იმასაც კი აღნუსხავს თუ რა და რა სიტყვებასა და ფრაზების ხშირი ხმარება უყვარდა „სამეგრელოს პრინცს". აქვე ჩამოთვლილია ნიკოს ფრანგი, ინგლისელი და გერმანელი მეგობრები... გაზეთი Rheinischer Kurier-ი დასძენს, რომ მარტო ჰაიდელბერგს არ ახსოვს თავადი ნიკოლოზ ი არამედ ვისბადენის, ჰამბურგისა და სხვა დიდი ქალაქების მკვიდრთაც, რომელნიც დიდად აფასებდნენ ქართველი პრინცის კეთილშობილ ხასიათსო. ასევე, სისტემატურად თავსდებოდა 1887 წლის მანძილზე ნიკოლოზის შესახებ სხვადასხვა ცნობები და აზრები გაზეთი Kölnische Zeitung-ში (გერმანია), National Zeitung-ში (გერმ.), Matiu-ში (ბულგარ.), Standart-ში (ავსტრ.), Justice-ში (საფრ.), Neue Freie-სა, Presse-ში და სხვაგან.

ილია ჭავჭავაძემ ამ მომენტს, როგორც ზევითაც აღვნიშნეთ, თავის გაზეთ „ივერიაში" (1886 წ. № 274) მეთაური წერილიც უძღვნა. ამ წერილში გამოთქმულია სურვილი დადიანის გამარჯვებისა, რადგან მას მთელი რიგი უპირატესობანი გააჩნდა მოწინააღმდეგე კანდიდატურაზე — ავსტრიის პრინც კოპურგზე, — რომელიც ფაქტიურად ინგლისის კანდიდატურა იყო. ილია მოხარული იყო იმისა, რომ ნიკოლოზის ბულგარეთში გამთავრებით ერთი მნიშვნელოვანი პრობლემის მოგვარება ხერხდებოდა. ეს არ-

[1] საქ. სახ. ლიტერატურული მუზეუმი 370/4.
[2] საქ. ლიტ. მუზეუმი, გ. თ. აგიაშვილის ალბომი № 370/4. გვ. 91.

ჩვენი ერთგვარი საფუძველი იქნებოდა ბულგარეთისა და საერთოდ, ბალკანეთის სლავი ხალხების რუსეთთან დამეგობრებისა და მტკიცე კავშირისა, რასაც სასტიკი წინააღმდეგობა გაუწია ინგლისის იმპერიალიზმმა, რომელმაც მოახერხა კიდევაც [illegible] დელ რუსეთისა და საქართველოსათვისაც ამ სასურველი კანდიდატის არჩევის [illegible].

ნიკოს ამ კანდიდატობაზე რუსეთისა და დასავლეთი ევროპის პრესაში ატეხილ ერთგვარ აზრთა გავრცელებისათვის ყურადღება მიუქცევია ჩვენს ნიჭიერ რომანისტს ალექსანდრე ყაზბეგს, რომელსაც თავისი ლექსების რვეულში ასეთი ეპიგრამი ჩაუწერია:

„ჩვენი ნიკო დადიანი
კი ყოფილა მადიანი
თუმცა გული ადგილ-ადგილ
მას ჰქონია ზადიანი.
გაძრომას და გამოძრომას
ყველგანა სცდის კუდიანი,
ბოლგარეთან მთავრად მიღის,
ჰფიქრობს: „ვივლი ქუდიანი“ (ტომი III, გვ. 220).

ეკატერინეს არც მეორე ვაჟის, ანდრია დადიანის, ცხოვრებას ჩაუვლია სრულიად უშედეგოდ, უსახელოდ და უმნიშვნელოდ ქართული კულტურისათვის. ის გარდა იმისა, რომ იყო რუსეთის მხედრობის ცნობილი გენერალი, შეიქნა მთელ რუსეთსა და ევროპაში სახელგანთქმული უძლეველი მოჭადრაკე, რომელსაც დღიდან მისი ამ სარბიელზე გამოჩენისა დამარცხებას შემთხვევა არ ჰქონია. მისი დებიუტი პარიზში დაიწყო. 1873 წელს მან ითამაშა ავრეთვე როზენტალთან, რის შესახებ „დროება“ თავის დროზე იუწყებოდა, რომ 29 იანვარს 28 კაცთან მოწყობილ ტურნირზე როზენტალმა წაგო მხოლოდ ერთი პარტია და ეს ეკუთვნოდა ანდრია დავითის-ძე დადიანსო („დროება“, 1873 წ., № 6). მას შემდეგ ვინ, რომელი ევროპელი თუ სხვა გამოჩენილი მოჭადრაკე არ შებმია ანდრია დადიანს, მაგრამ პარტია მას არასოდეს არ წაუგია. ის გახდა უძლეველი ფალავანი და ცნობილი მაესტრო რუსეთისა და ევროპის დიდ ქალაქებში გამართული საჭადრაკო ტურნირებისა მთელი სამათეული წლების განმავლობაში. მის გათამაშებათა საუკეთესო ეტიუდებით მოფენილი იყო მაშინდელი ჟურნალ-გაზეთები და საჭადრაკო გამოცემები, საიდანაც ვენეციანოვსკიმ გამოარჩია 100 საინტერესო ეტიუდი და შეიტანა იმ მდიდრულად გამოცემულ კრებულში, რომელიც გამოიცა 1903 წელს, ანდრია დადიანის ამ ასპარეზზე გამოსვლის 30 წლის იუბილესთან დაკავშირებით (იხ. Fins de partie du prinse Dadian de Mingrélie). კრებულს წამძღვარებული აქვს ე. შიფერსის მოკლე წინასიტყვა, რომელშიც ნათქვამია, რომ ანდრია დადიანის რაინდული ხასიათი და დიდი კეთილშობილება საყოველთაოდ იყო ცნობილი. მის თამაშს ყოველთვის აღტაცებაში მოჰყავდა ფართო საზოგადოებაო. ამ კრებულში მოთავსებულ დადიანის პარტიებს ის უწოდებს უჭკნობ მარგალიტებს ჭადრაკის ისტორიაში. საკვნესელია, ამ ნაჭიერ და სახელოვან ქართველ მოჭადრაკეს დიდხანს არ უცოცხლია. ის გარდაიცვალა 60 წლის ასაკში 1910 წლის 12 ივნისს ქ. კიევში, საკუთარ პალაცოში; 24 ივნისს დაკრძალულ იქნა საგვარეულო სამარხ — მარტვილის ტაძარში, სადაც 1903 წელს დაიკრძალა პეტერბურგიდან გადმოსვენებული მისი უფროსი ძმა ნიკოლოზი.

ეკატერინეს მჭიდრო კავშირი, ტკბილი ურთიერთობა და ხშირი მიმოწერა ჰქონდა თავის მახლობლებთან, რომელთა უმეტესობა საქართველოს გამოჩენილი მწერალნი ან საზოგადო მოღვაწენი იყვნენ (მაგალითად გრიგოლ, ილია, ზაქარია ორბელიანება და სხვ.). მის მშვენიერ ქართულს კალამი არ ეურჩებოდა, ნიმუშად აქვე მოგვყავს მისს ქალაღდებში აღმოჩენილი რამდენიმე ინტიმური ხასიათის ბარათი სხვადასხვა პირებთან:

„ჩემო საყვარელო ძმაო ილიკო!

შენი ჯავრი გამომყვა ავადმყოფი რომ იყავი. როგორ ხარ ჩემო ილიკო! შენი ამბავი მომწერე. ხომ იცი როგორც მიყვარხარ და როგორც შენი მორჩენა.

მე ღვთის წყალობით მშვიდობით მოვედი ჩემს სახლში და ჩემი ქმარი და მშვენიერი შვილები კარგად დამხვდნენ.

ახალს წელიწადს მოგილოცავ. ღმერთმა ბედნიერად გამყოფოს, შენი კარგი ცოლი მაჩვენოს ვინც მე მინდა ის.

მშვიდობით, ნუ დამივიწყებ. შენის წიგნით მასიამოვნე. როდესაც მისწერო გრიგოლს[2] ჩემებურად დიდი სიყვარული მიმიწერე.

შენი ბედნიერების მოსურნე ეკატერინე დადიანი.

მინაწერები:

შენი რძალი ელისაბედ,[3] ბაბალე,[4] ნინო,[5] სიყვარულით მომიკითხე. (აგრეთვე) ალექსანდრე საგინოვი[6] და ყაფლან[7]. კონსტანტინემ[8] ბევრი გაკოცა.

ზუგდიდი

5 იანვარი, 1850 წ.

მინაწერი:

მოგილოცავ ჩემო ილიკო შობას და ახალ წელს და ჩემს საყვარელ პირს გაკოცებ. ღმერთსა ვთხოვ შენს მშვიდობას, ბედნიერებას და მალე ხილვას. მარად შენი დავით დადიანი.

გორდით, 20 ივლისს (1844 წ.)

ჩემო უსაყვარლესო ძმაო გრიგოლ,[9] ვიცი როგორც გიყვარვარ და როგორც შამიბრალებდი მე ჩემის პატარა ლევანის[10] დაკარგვისათვის. ღმერთმა შენი მტერიც ნუ შეაწუხოს როგორც ჩემი გული იყოს ამას სიკვდილით დამწვარი. ნეტავი შენის სიცოცხლით ისეთი კარგი და გონიერი არ ყოფილიყო. ორს დღეში ყბაყურისაგან გათავდა. მეორე ბიჭიც ალექსანდრე,[11] მართალია, სნეული იყო, მაგრამ ჩემი გული და სიხარული იმათ სიკვდილმა წაიღო. შენ ეხლა არ შაგიძლიან მონაწილეობა მიიღო ამ ჩემს მწუხარებაში. შვილი რომ გეყოლება, მაშინ უფრო შემიბრალებ. ჩემი და ნინო ეს ხუთი თვე არის რაც ჩემთან არის სოფ. გორდში. ეს მეორე კვირა არის რაც დედა და ბაკლანაც[12] მოვიდნენ აქ გორდს. თან

---

[1] ილია ორბელიანი (1814—1853).

[2] გრიგოლ ორბელიანი (1804—1833).

[3] — [4] — [5] ორბელიანები.

[6] აღ. საგინაშვილი, ორბელიანის სიძე—გენერალი.

[7] ყაფლან ორბელიანი (1792—1872).

[8] კონსტანტინე დადიანი—მაზლი ეკატერინესი, დავითის უმცროსი ძმა.

[9] გრიგოლ ორბელიანი

[10] დავით დადიანის ბავშვი ლევანი (1842—1844).

[11] დავით დადიანის შვილი (1843 წ. დაიბადა, გარდაიცვ. იმავე წელს).

[12] ბაკლანა ორბელიანი.

მოიყვანეს... (წაშლილია — ს. ც.) ალექსანდრე „ახვერდოვი,[1] რომელიც... (მოხეულია — ს. ც.) სოფიოს[2]... (მოხეულია — ს. ც.).

ეროვნული ბიბლიოთეკა

შენი წიგნი მომივიდა ამას წინათ ზუგდიდს. ნეტავი იმ დროს, რომ მშვენიერი ლევანიცა ცოცხალი მყვანდა. თუ გიყვარდე, ხშირად მოიწერე ხოლმე წიგნი, ჩემი დაჩაგრული გული შენის ლაზათიანი ლაპარაკით გაამხიარულე; მაგრამ ვაი შენს მტერს, ასე მაქვს გული, გრიგოლ, დახშული, რომ მე მგონია თავის დღეშიაც აღარა მაამებს რა.

მშვიდობით ჩემო გრიგოლ, ემირხანობაშიც[3] ნუ დამივიწყებ. ბევრი უნდა მომეწერა, მაგრამ ეს არის ეხლა სიმბორსკის[4] მოველით. იფიქრე ახლა ფრანტაობის თავი ვისა აქვს? დავითთან[5] მოდის მოსალაპარაკებლად სვანეთის საქმეზედ.

შენი ცოლის შერთვაზედ რასა ფიქრობ? აქაურს საცოლეს, მენ[6]... ჯერაც არა აქვს და ამის მოლოდინში სულ დაბერდები. დრო ახლა გაქვს ქორწინებისა.

შენი მარად ბედნიერების მოსურნე და ეკატერინა დადიანისა.

იქნება ამ ზამთარს თბილისში წავიდე, ნეტავ იმ დროს შენც იქ იყო, რომ გნახო".

მინაწერი:

„რა ბაიყუში ვარ ჩემო საყვარელო გრიგოლ, ამ ოთხს თვეს რაც ვისიამოვნე, კატინას შვილების სიკვდილმა მწარედ ჩამაშხამა, ამისთანა უბედურებას ჩემს თავს ვაბრალებ. არაფერში ბედი არა მაქვს. რა არის დალოცვილო, არც ემირხანობაში და არც კურკაობაში[7] შენი ბოროტი ენა ვერ დავაყენე? მაინდამ რაღას მეჩხუბები? მაგრამ საშინელი ეშმაკი ხარ, ვერაფრით თავს ვერ შემაძულებ, რაღაცა ჯადო გაქვს გაკეთებული, ახლა კიდევ უფრო ისწავლიდი მაგ თათრებში, მოდი ხელი აიღე ჩემს წინააღმდეგობაზე, კარგს ამბავს გახარებ, გრაფინიას[8] წიგნი მომივიდა, რომელშიაც გილოცავს მაიორობას დიდათ... (მოხეულია) ვითომც კერჩში მოსულა, ჯერ წიგნიც არ მომსვლია იქიდან, მგონია გაგიკვირდება ასეთი მოულოდნელი ქორწილი, 11-ს ამ თვეს ჯვარი დავწერეთ ალექსანდრე

---

[1] ალ. ახვერდოვი—ნათესავი ალ. ჭავჭავაძის მეუღლის სალომე ივანეს ასული ორბელიანისა.

[2] სოფიო, ეკატერინეს უმცროსი და (?).

[3] გრ. ორბელიანის დაღესტნის მმართველობისა გამო ავარიის ხანს, ან კიდევ ემირხანს ეძახდნენ.

[4] სიმბორსკი—რუსი მოხელე.

[5] დავით დადიანი.

[6] მენ [იკი] ნიკო დადიანის [შეფელის] ასული. ეს ქალი აფხაზეთის მთავრის ბაბუ-მუთ-ბეიზე [მიხეილზე] იყო დანიშნული, რომელმაც შემდეგ მიატოვა.

[7] გრიგოლ ორბელიანს ახალგაზრდობაში კურკას ეძახდნენ.

[8] გრაფინია ოპერმანი, რომელსაც გრ. ორბელიანმა ლექსი უძღვნა 1840 წ.

ახვერდოვს ჩვენს სოფოზე. ძალიან მხიარულად არიან ახალდაქორწილებულნი, ძალიან მოხარული ვარ ასეთი კარგი ქმარი იშოვნა.

ახლა ჩემო გრიგოლ, შენ რაზე ბერდები მაგრე, ლამის ჩვენ ნიჩქამაც[1] დაგასწროს გათხოვება, აქაური იმედი ნურა გაქვს რა, ფეხთ-მძიმერობენ, ნაზობენ, მანამ ამას ნება მოუვა,[2] შენ ერთი კბილი ალარ გექნება, დამიჯერე, სხვა მონახე ვინმე, ხომ იცი, მე ურიგოს არ გირჩევ. შენი ბედნიერებაც ასე მსურს როგორც დავითისა[3]. დიდი ყოფა გაქვთ ორთავ ძმებს, თქვენ დაგრჩათ ბურთი და მოედანი, ზაქარიას,[4] როდესაც წიგნი მისწერო, ერთი ურემი მოკითხვა გაუგზავნე ჩემად. ვიცი ძალიან მემდურის, წიგნი ვერ მივწერე ერთხელ, ლაჩარი ვარ ქეშმარიტად. მალე მოგართმევ ჩემს წიგნს, კიდევ სექტემბრამდინ აქ ვრჩები. მასუკან ჩავალ ისევ ჭორიან თბილისს, აქ ყურიც და გულიც მოსვენებული მქონდა თუ ეს უბედურება არ დაგვმართოდა.

ასე ჩემო გრიგოლ, გთხოვ შენს ლამაზ წიგნებს არ დაგვაკლებდე ხოლმე, თუ კიდევ ჩემს წინააღმდეგებსა მოიწერები, იცოდე ალარ გაღირსებ ჩემს წიგნს, ვიცი ჩემი უანბობისათვის არ შეწუხდები, და თუ პასტაიანი კაცი ხარ, შენი რომანის ამბავი რომ მომაკლდება გულს დამწვავ.

მშვიდობით ჩემო ერთგულო გრიგოლ, გთხოვ გახსოვდეს მარად შენი ბედნიერების მოსურნე, შენი და, ნ ი ნ ა ღ რ ი ბ ა ე დ ო ვ ი ს ა.

დედამ შემოგითვალა, ბევრი შენისთანა კურკახანები გვინახამსო, მაგრამ მაგრე არავინ გაამპარტავნებულაო.

За что также не милость ко мне Ваше высокостепенства. Каким чудом ваш пронизательный взор гул с высот Аравийских гор по со . . . лея Мингрелии не заметил хилого, больного Давида, про . . . своих сестер . . . . . вижу теперь . . . вашу воякую особу..."

კ ი დ ე ვ მ ი ნ ა წ ე რ ე ბ ი

„ერთი დღე გაბრიელ მებალის შიშით ვიმალებოდით.

მელანიამ[5] თავი დაგიკრა, თუ საჭირო არს თოფხანა მზათა მაქვსო... გრიგოლ გახსოვს თქვენს ვეჩერში მანანასა[6] და მე რომ (მოხეულია) დენჩიკი ქალალდის ფულისათვის როგორ გვაშინებდა... (არ იკითხება — ს. ც.)."

---

[1] ალექსანდრე ჭავჭავაძის უმცროსი ქალი. ბ. ნიკოლაიზე გათხოვილი.

[2] იგულისხმება მენიკი ნიკოლოზის ასული დადიანი, რომელსაც განქორწინებისა და სხვაზე გათხოვების ნება უნდა მოსვლოდა აფხაზეთის მთავარ ჰამუთ-ბეისაგან (მიხეილი). ეკატერინეს უნდოდა ეს მენიკი დადიანი გრ. ორბელიანს შეერთო ცოლად.—ს. ც.

[3] დავითი ჭავჭავაძე (1817—1884)—ძმა ნინო და ეკატერინე ჭავჭავაძეებისა.

[4] ზაქარია ორბელიანი (1806—1847) გრიგოლისა და ილიას ძმა.

[5] მელანია (?)

[6] მანანა ორბელიანი (1808—1870).

ეკატერინე დადიანის ამ მიმოწერას ჩვენ ვურთავთ გრიგოლ ორბელიანის 2 წერილს ეკატერინეს ქალ სალომე მიურატისადმი და 4 წერილს თვით ეკატერინესადმი. ეს წერილები ნაწილობრივ ნათლად წარმოგვიდგენენ პოეტის ცხოვრების უკანასკნელ პერიოდს და ახლო ურთიერთობას ეკატერინესა და სალომესთან. ეს უკანასკნელი [illegible] დავით დადიანისა და გათხოვილი ნაპოლეონ ბონაპარტეს ნათესავ აშილ მიურატზე. გრიგოლ ორბელიანი მართალია, როცა პარიზში აღზრდილ სალომეს უქებს ქართული ენის ცოდნასა და წერილების წერას ქართულად. ეს ის ხანა იყო, როცა ქართველი ქალების ერთი ნაწილი იმდენად იყო გადაგვარებული, პოეტის სიტყვებით რომ ვთქვათ: „უარყოფდნენ ქართულს ენასა და შეურაცხებით, ტუჩებაშვერით ამბობდნენ „რა საჭიროა ამ დროს ქართული ენა"... ეს სიტყვები, — წერს პოეტი, — ცხადად გამოაჩენენ აწინდელის საზოგადოების სამწუხაროს მდგომარეობასა, მის უმეცრებასა, გზის დაკარგვასა"... აღსანიშნავია, რომ საფრანგეთში გაზრდილ სალომე მიურატისამან არა თუ თვითონ იცოდა კარგი ქართული, არამედ მისი შვილებიც (მიურატები) ისე აღზარდა, რომ მათს ოჯახებში (სალხინოსა და ჰკადუაშში) ქართული ენა იყო გაბატონებული როგორც ადგილობრივი საურთიერთო ენა.

გრიგოლ ორბელიანის ეს წერილები დაცულია აკად. სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის გრიგოლ ორბელიანის ფონდში № 66-ით (სალომესადმი) და 48-ით ეკატერინესადმი[1]. წერილები იბეჭდება მთლიანად, ყოველგვარი კუპირების გარეშე. არ ვიცავთ მხოლოდ ძველ ორთოგრაფიას. აი ეს წერილებიც:

12 ა გ ვ ი ს ტ ო ს, 1877 წ. წ ა ვ კ ი ს ი თ.

„ჩემო გულით საყვარელო დისწულო სალომე![2] შენი წერილი, ქართულად დაწერილი, წინ მიდევს. შევჰხარი და სიხარულით ვამბობ: ქვეყანაზე მხოლოდ ერთია სალომე, რომლისა წერილსა აწ ვჰკითხულობ მეორმოცედ! ვჰკითხულობ და მიძნელდება, როგორ გითხრა, ანუ ჰეშმარიტი მადლობა ჩემის ხსოვნისათვის, და ანუ მართალი, წმინდა, შენდამი სიყვარული! ღ-თმან გაკურთხოს შენც და შენი არჩილიცა, და ჰყოს მან სიცოცხლე თქვენი ისე მხიარულ ნათლად, ვითარცა შუქი მაისის დღისა.

მეტად მანუგეშე შენის ქართულის ენითა ჩემო მშვენიერო სალომე! და აბა როგორ არა ვჰსთქვა სიმწარითა: პარიქელსა უნდა უყვარდეს ქართული ენა, უნდა იგი ჰსცდილობდეს მის შესწავებასა და საქართველოში კი ქართველნი ქალები უარსჰყოფდნენ ქართულს ენასა, და შეურაცხებით, ტუჩებაშვერით ამბობდნენ „რა საჭიროა ამ დროს ქართული ენა". ეს სიტყვები ცხადად გამოაჩენენ აწინდელს საზოგადოების სამწუხაროს მდგომარეობასა, მის უმეცრებასა, გზის დაკარგვასა. ვისაც არ უყვარს თავისი სამშობლო ენა, მას, უეჭველია, არ უყვარს თავისი მშობელნიცა, თავისი წინაპარნიცა. თავისი მამულიცა! ენა არის შემნახველი მამა-პაპის ყოფა-ცხოვრებისა, მათის სარწმუნოებისა, ჩვეულებისა, ესე იგი თვით

---

[1] ზუგდიდის მუზეუმის შრომების I ტომში გამოქვეყნებულ გრიგოლ ორბელიანის ეკატერინესადმი წერილებში ესენი არ არის შეტანილი. ამ წერილების უმეტესობა ქვეყნდება პირველად. წერილებში მოხსენებულ პირთა ვინაობის დაწვრილებით კომენტირებას თავს ვარიდებთ, რადგან ზოგი მათგანი თვით ტექსტშიაც კარგად არის გაშიფრული.

[2] მისამართი; გორდს, პრინცესსა სალომე მიურატს.

[3] ლაპარაკია აშილ მიურატზე—სალომეს მეუღლეზე და არა შვილზე, როგორც ეს განმარტებულია ერთ შენიშვნაში (იხ. „ლიტ. საქართ". 1938 № 16).

ისტორია! თუ კაცმა არ იცის მამა-პაპის ენა, მაშ, როგორ უნდა იცოდეს ვინ იყვნენ იმისი მამაპაპები, როგორ ჰსცხოვრობდნენ, რას ლაპარაკობდნენ, რას იმღეროდნენ, რა უხაროდათ, რასა ჰსწუხდნენ? ათასი წლის განმავლობაში, როგორ ებრძოდა ეს პატარა საქართველო სპარსთა, არაბთა, ოსმალთა, იმ მტრებსა, რომელთაცა აწ ებრძვის დიდი იმპერატორი დიდის რუსეთისა და უძნელდება ბრძოლა? რომელი ისტორია მოგვითხრობს ესრეთსა უმაღლესსა სარწმუნოებისა და მამულის სიყვარულსა, როგორცა გამოაჩინეს საქართველოს უკანასკნელთა მეფეთა, ირაკლიმ და გიორგიმ, რომელთაცა თავის ნებით, თავის სურვილით დაჰსთმეს თავის სამეფო ტახტი, თავისი შვილები და მისცეს თავისი სამეფო რუსთ ხელმწიფესა, ოღონდ კი იცხოვროს საქართველომ მშვიდობიანად! სპარსელებმა ქეთევან დედუფლის გულზე ცეცხლი აანთეს და ისე ტანჯვით მოკლეს, და არ უარჰყო მან ქრისტიანობა! განა ამისთანა ერის ენა და ისტორია არ არის ღირსი შესწავებისა ქართველთა ქალებთაგან? და თუ მოვიგონებთ ძველთა მწერალთა, მელექსეთა, ღვთისმეტყველთა, მქადაგებელთა. — მერწმუნე, ჩემო სალომეო, ქართული ენა არ არის ისე დავრდომილი, როგორცა ჰგონიათ ეხლანდელთა ინსტიტუტკებსა, და ამისთვის დაგიკოცნი გონიერს შუბლსა, რომ შენ ხარ ა-ლი მაგალითი ქართულის ენისა სურვილით სწავლისა. უწინაც ჩვენი ქალები იყვნენ დიდად ქებულნი ენის ცოდნითა, და მათგან ბევრნი იყვნენ დიდნი ორატორები, ვითარცა ბატონიშვილები, ქეთევან, მარიამ, თეკლა.[1] ესენი განვიდნენ ამა სოფლით და ახლანდელთა არც კი იციან საფლავნი მათი: არცკი იციან, თუ ვისის მადლით და წყალობით ასე გულმოსვენებით, კეკლუცობით, სეირნობენ გოლოვინის პროსპექტზე შლეიფებ გაშლილნი? საფლავნი მეფის ირაკლისა და გიორგის აღარ იციან სადა არს! — უბადრუკებმა აღარ იციან, რომ იმათი დედები იყვნენ დედუფლები ზრდილობისა, სილამაზისა, მაღალის გონებისა და ამისთანა ხასიათით მამაცნი, თავგანწირულნი მამულისათვის! — მაგრამ ახლა ვჰხედავ, რომ ამ წერილში წაველ ძალიან შორს და უნდა მომიტევოთ; რადგანაც ვჰსჩივი შენ წინაშე აწინდელის საზოგადოების მიმართვაზე.

ძალიან მიამა, რომ თამარ მეფის სახე ბეთანიაში[2] მოგწონებიათ ეკატერინესაცა და შენცა. რადგანაც უნდა მოგახსენოთ, რომ მე გახლავარ იმ ლექსების დამწერი, და ცენზურამ ზოგიერთისა მათში დაბეჭდვა არ ინება, და აი სწორე, ნამდვილი მომირთმევია ჩემ სახსოვრად[3] სიბერემ წამართო, წაიღო პოეზიის ძალა, მაგრამ ვეცდები კი, თუ შევძელ მოვაკენკო როგორმე და გადავთარგმნო შენი საყვარელი ლექსები; ოღონდ კი უნდა მომითმინო.

---

[1] მეფე ერეკლე II-ის ქალები (ამათ შესახებ იხ. ლევან ასათიანის „ძველი საქართველოს პოეტი ქალები", 1936).

[2] იგულისხმება გრ. ორბელიანის ლექსი „თამარ მეფის სახე ბეთანიის ეკლესიაში",

[3] ხაზი ჩვენია.—ს. ც.

ომიანობისაგან ისე ვართ მიტაცებულნი გულით, ფიქრით, რომ სხვაზედ ველარა გვილაპარაკნია. ყოველ დილით მოველით გამარჯვებასა და არ იქნა, და ამ მოლოდინებამ დაგვტანჯა, მოთმინება აღარ არის. ... საღამოს ჩავდივარ ტასო აკლობჟიოსას,[1] იქა ვშლით ქაღალდსა, ... სულ ერთსა და იმავე საგანზე: დავამარცხებთ თუ არა მუხტარფაშას[2] და იფიქრეთ, ჩვენი წყენა და შეწუხება, რომ ერთხელაც არ გამოგვივიდა გამარჯვება და ამაზედ მე და ტასოს ხშირად მოგვდის ჩხუბი.

ველიკი კნიაზი[3] ბრძანდება, ალექსანდროპოლში; იმას ახლავან მირსკი[4] და პავლოვი. ველიკი კნეინა ბრძანდება ბორჯომს, სადაცა გააჩნია თავისი საკუთარი მშვენიერი ღოშპიტალი დაჭრილებისათვის. ღმერთმან უშველოს.

ჩემი ძმისწული, ლეიბგუსარი პორუჩიკი გიორგი იმყოფება ღლავნის კორპუსში, ჰყავს ახოტნიკების სოტნა და ძალიან მაშინებს მომეტებულის გიჟურად ვაჟკაცობითა. აქედამ მე უჯავრდები მაგრამ რა გამოვიდა! ძალუა ვარინკა არის ალექსანდროპოლში და იმით ნუგეშობს, რომ ახლოს არის თავის შვილზე.

დუნაიზედაც შეჰსდგა ბრძოლა, და თუ გენერალ ღურკომ[5] გაჰსძლო კიდევ ცოტა ხანსა, მაშინ დიდი გამარჯვება უეჭველია და იქნება შერიგებაც მაშინ მოხდეს. ღ-თმან ინებოს! ვერ წარმოიდგენ, რაოდენს საზიზღარს უსჯულობას ჰსშვრებიან ოსმალები. ყმაწვილებს, დედაკაცებს, ჰხოცავენ უშუალოდ და ჰყრიან ცოცხალთა ცეცხლში! ვინ იცის რაოდენი ათიათასი სული, სომეხნი ამგვარი ტანჯვით დახოცეს! ევროპიისათვის არ არის დიდი დიდება, რომ ოსმალები სტამბოლში ასე ბარბაროსულად ბატონობენ ქრისტიანებზე, მაგრამ რუსების შურითა და მტერობითა ანგლიის მინისტრები, არა ჰხედავენ ესოდენს ქრისტიანების სისხლის ღვრასა. აზიის ტურციაში იქნება მალე მთლად ქრისტიანობა ამოსწყდეს! რათა? რისთვის? რა დანაშაულება აქვსთ?

არ მეგონა ეს წერილი ასე გაგრძელდებოდა. აი როგორი სასიამოვნოა თვითმოუწყვეტელი შენთან საუბარი.

ჩემს მარადის მოწყალეს საკუთარს მეფას, დედუფალს, დას, თვალისჩინს, ეკატერინას სიხარულით მოვახსენებ ჩემს ჭეშმარიტსა და ულრმესსა პატივისცემასა და სიყვარულსა. ჩემ მაგიერ შენს ლამაზ არჩილს სიყვარულით მოეხვიე და ლაზათიანად ჩაჰკოცნე შუბლი, თვალები და გული, და იყოს ღმერთი მარადის მფარველი თქვენი.

ქალო, ახლა რამდენის შვილების დედა ხარ და რა ჰქვიან სახელად, და ან მაგათი კარტოჩკები საღ არი? თუ ნახო ბიძაშენი კოსტანტინე[6],

---

[1] კონსტანტინე ოორბელიანის ასული.—ს. ც.
[2] ოსმალეთის ჯარის სარდალი.
[3] მეფის ნაცვალი მიხეილ ნიკოლოზის-ძე.
[4] სვიატოპოლკ მირსკი.
[5] გურკო—იბრძოდა ბალკანეთის ფრონტზე.—ს. ც.
[6] კონსტანტინე დადიანი (1819—1889).

ჩემი საყვარელი, გულით მეგობარი, განუცხადეთ ჩემს გულში დანერგილი გრძნობა ძმობისა და მეგობრობისა მისდამი[1].

თ. გ რ ი გ ო ლ ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი

12 ო ქ ტ ო მ ბ. 1877[2]

„ჩემო დედოფალო, ნათელშემოსილო სალომე![3] ნუ დამემდურები და ნუცა მისაყვედურებ, რომ აქამომდის ვერ მოგართვი პასუხი თქვენის უკანასკნელის წერილისა და ვერ მოგახსენე გულითადი მადლობა პორტრეტებისათვის თქვენის აშილისა და შვილებისა. ვერ წარმოიდგენთ ჩემს მოუსვენებლობას. მწუხარებით ყოფნას, რომელთაგან ვიყავ დღე-ღამე დატანჯული ამ საზარელის ბრძოლისა გამო. ჩემად ნუგეშად მყავს ერთი ძმისწული, გიორგი და ისიც. თითქმის დღე-ყოველ ომში, სადაცა ხშირად იხოცებოდნენ ათასობით, და მე როგორ ვჰყოფილიყავ გულმოსვენებით? ვჰკითხავდი ძალუას ვარინკასა გიორგის ამბავსა და ისიც ალექსანდროპოლიდამ მიპასუხებდა ასე: „გუშინ ცოცხალი იყო და დღეს კი არ ვიცი!“ და ვიყავ გაჩუმებული შიშისაგან და აღარა მქონდა თავი არცა წერისათვის. და არცა თუ სხვა რაიმე ფიქრისათვის, ვიდრე ყოვლად მოწყალემ ღმერთმან არ მისცა ძლევა ჩვენს ჯარსა და მართლად არ შეიმუსრა მტერი ქრისტიანობისა და საკუთრივ ჩვენი, ჩვენის საქართველოსი, რომლისა სისხლი ჯერ კიდევ ბევრი აქვს ოსმალსა და მარტო ამ დამარცხებით ვერ გადიხდის ჩვენს სისხლის ვალსა. ათასი წელიწადი ებრძოდნენ მაჰმადიანნი პატარა საქართველოს. რათა? რას ვართმევდით? მართალია, ჩვენ გაგვაოხრეს, მაგრამ არცა თუ თვითონ გაიხარეს! ჩვენ ვიყავით მიზეზნი, რომ რუსეთმა წაართვა სპარსეთსა ერევანი, ნახჩევანი, ყარაბაღი, თალიშის სახანო, შაქი შირვანი, ბაქუ, დერბენდი და ყუბა; ოსმალებსა—ახალქალაქი და ახალციხე და ახლა მესამედ ართმევენ ყარსსა. აქედან დაინახავთ, რომ ჯერ ოსმალო არის კიდევ მოვალე ჩვენი! აი როგორ ძვირფასია ქართველების წმინდა სისხლი! მართლად, და განსაკვირველია ესრეთი დაბრმავება ევროპიისა, რომ აქამომდის ვერ იცნეს ოსმალების საქაგლობა და მათი დაუძინებელი მტერობა ქრისტიანობის! სტამბოლის მინისტრების ფრაზები სულ სიცრუეა. სიცრუეში არიან ძალიან დახელოვნებულნი. ოსმალოს ამბავი უნდა ჰკითხოს ევროპამ საქართველოსა, სომხეთსა, საბერძნეთსა, სლავიანებსა, რომ სწორედ შეიტყოს ღირსება ოსმალებისა და შეიძულოს იგინი გულითა.

---

[1] ნაწილი ამ წერილისა პირველად გამოიყენა ი. მეუნარგიამ (იხ. „ლიტ. მატიანე“, № 1—2, გვ. 318—19), ხოლო მთლიანად გამოქვეყნდა „ლიტერატურულ საქართველოში“ (იხ. 1918 წ. 16), მაგრამ რატომღაც უთარიღოდ, ხელმოუწერლად და მცდარი შენიშვნებით.—ს. ც.

[2] ამ წერილიდან ის ადგილი, საცა ლაპარაკია თურქეთის დამარცხებაზე, პირველად გამოქვეყნდა ი. მეუნარგიას მონოგრაფიაში „ცხოვრება და ღვაწლი გრ. ორბელიანისა“, გვ. 128—ს. ც.

[3] მისამართი: ზუგდიდს—პრინცესსა სალომე მიურატისას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაჰმადიანნი არაოდეს არ იქნებიან კეთილის მყოფელნი ქრისტიანებისა, ამიტომ რომ სარწმუნოება უშლის მათ კაცობრივსა ამას გრძნობასა. ყურანი ასწავლის „ვინცა არ არის მუსულმანი, იგი არს ყმა, მონა მუსულმანისა“. ეს არის მიზეზი, რომ ყოველს მაჰმადიან ქვეყანაში ქრისტიანები არიან დამცირებულნი, დაჩაგრულნი, აკლებულნი, დატანჯულნი! ნაჰმადიანნსა ჰსწამს, რომ ქრისტიანე თუ მოკლა, მსხვერპლი შესწირა ღმერთსა! ამის გამო ასე უწყალოდ, გაუკითხავად, უმიზეზოდ ჰხოცვენ ქრისტიანეთა! აბა, ხალხი ესრეთის სარწმუნოებისა და ჰაზრისა როგორ უნდა ევროპაში სახლობდეს? მაგრამ ფუნტი სტერლინგები აბრმავებს ანგლიასა.

ახლა, ღვთის შეწევნით, დავჰმშვიდდი: შავნი ფიქრნი გადმეყარნენ გულიდამ და ხელი მივჰყავ ამ წერილსა, რომლისა დაბოლოება დიდად არა მსურს, რომ არ მოვაკლდე შენთან ლაპარაკის სიამოვნებას.

ომიანობის ამბავი ამჟამად ეს გახლავთ! შემდეგ მუხტარის დამარცხებისა ერთი ნაწილი ჩვენი ჯარისა, ღენერალ ლიეიმან, წავიდა ყარსიდამ სარიყამიშისაკენ, სოღანლულის გზაზე, მეორე, ღენერალ ტიტოვიჩი — ყალიზმანზე, რომ გზა გადაუკრას ისმაილ ფაშას, რომელსაც უკან მისდევს ტერლუქასოვი, და დანარჩენის ჯარით ღენერალ ლაზარევი გარეარტყია ყარსსა, რომლის აღება თუ გაძნელდა, ჩვენი ჯარი იქვე დაიზამთრებს. მუხთარ-ფაშა გაპარვით წავიდა ყარსიდამ არზრუმისაკენ.

ახლა ველით და ველით ახალს სასიამოს ამბებსა: მხოლოდ ეს არის ჩვენთვის სამწუხარო, რომ დუნაიზე ისე ვერა ვართ, როგორც გვსურს. პლევნომ ძალიან გაგვიჭირა საქმე: სწორედ თვალში ეკლად გაგვერჭო.

დღეს შემოიყვანეს თბილისში შვიდნი დატყვევებულნი ფაშები: შემდეგ რამდენისამე დღისა შემოიყვანენ ოსმალების ბატალიონებსაცა.

ველიკის კნიაზის შვილები ჩამოვიდნენ ბორჯომიდამ: ველიკის კნეინას მოველით პარასკევს, ე. ი. 19-სა ოკდ.

ნიკო ჭავჭავაძე[1] მოდის ისევ დაღისტანში, რომელიც ნელნელა შშვიდდება ნაკაშიძისა[2] და ტერასატუროვის[3] გამარჯვებითა.

მომირთმევია ჩემი ცხვირპირი, რომელიცა, მგონია, მაგდენს სიმშვენეს ვერ მიჰსცემს თქვენს კაბინეთსა.

ყაფლან ჯერ ისევ სოფელში არის ჩემსავით დაბერებული.

არ მინდა დავასრულო ეს წერილი, მაგრამ რა გაეწყობა, ყოველსავე აქვს თავისი აღსასრული. დაგიკოცნი ხელებსა, შუბლსა, შენს ლამაზს შვილებსა და ჭეშმარიტად საყვარელსა აშილსა. ღმერთი იყოს მფარველი ყოველგან და მარადის.

ჩემს მოწყალეს ხელმწიფეს, ჩემს საკუთარს დას ეკატერინას მოვახ-

---

[1] ნიკო ზურაბის-ძე ჭავჭავაძე—ღენერალი.

[2] — 3. ღენერლები—ს. ც.

სენებ ულრმესსა, ჰეშმარიტსა თაყვანისცემასა. ანდრია ძალიან კარგად არის. პახოდობა მოუხდა.

თ. გ რ ი გ ო ლ ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი

„ჩემო უსაყვარლესო დაო ეკატერინავ! შენმა წიგნმა დამამშვიდა, გამახარა, დამატკბო, მით უფრო უმეტეს, რომ სრულიად იყო მოულოდნელი ჩემგან. რა ვქნა! ისე დაეწყო ჩვენი ცხოვრება, რომ ვინც გიყვარს — შორს არის, ვინც გვინდა — ვერა ვჰხედავთ.

ჩვენი ოჯახისა რა მოგახსენო! მწუხარება მწუხარებაზე დაგვერთო; ძლივ დავასაფლავეთ საბრალო ალექსანდრე[1] სამებაში, ორ დღეს უკან მივასვენეთ იქვე სიქადული მანანა,[2] დავრჩი მარტო დაობლებული გულითა. ეს უფრო მტანჯავს, რომ მომავალშიაც ბნელია და ვერასა ვხედავ საიმედოს.

ყაფლან მოვიდა კოდიდან რამდენსამე დღით აქა: ბაბალე[3] სუსტად არის, მაგრამ იარა კარგად აქვს, მადაზედაც კარგად არის და ღვთის მოწყალებით საშიშროებისაგან გამოვიდა.

ჩემი რძალი სოფო[4] კარგად არის. თუ ეს სახლიც მოიშლება, მე სადღა უნდა წავიდე?..

ჩემი რძალი ვარინკა[5] ყოფილა ამ ზამთარს დიდად ავად გულის ტკივილით, რომლისა მიზეზით წასულა ბერლინში. და ახლა, ღვთის მოწყალებით იქიდამ დაბრუნებული მოსკოვს კარგად მყოფი. გიორგიცა[6] კარგად არის; მესმის ქება მისის ხალისით ჰსწავლისა. ვნახოთ, თუ ყაფლანისშვილობამ არ წამოუტია.

ამ თვის რვას თუ ცხრას მოველით აქა ველიკის კნიაზს კონსტანტინეს,[7] რომელსაცა მოჰსდევს ჩვენი პაჟარნი ვანო,[8] დიდად თურმე. ღარბაისლურად დამძიმებული.

საშინელი წვიმები და სიცივეა აქამომდის, ადიდდა მტკვარიცა და ძალიან ბევრნი დააზიანა. კოჯორზე მცხოვრებნი არიან მობუზულნი დიდს ტანჯვაში. უნდათ ჩამოსვლა, მაგრამ ჰსცხვენიანთ.

თქვენი შვილები და ძალუა სიყვარულით ჩამიკოცნეთ. ქეთევანმა[9] დიდი მადლობა და მოკითხვა მოგახსენათ.

ღმერთი იყოს თქვენი მფარველი ჩემ სასიხარულოდ.

---

[1] ალექსანდრე (?)

[2] მანანა ორბელიანი (1808—1870)

[3] ბაბალე (?)

[4] ივანე ორბელიანის მეუღლე—ერისთავის ასული.

[5] ილია ორბელიანის ქვრივი.—ს. ც.

[6] ძმის წული, ილიას-ძე.

[7] კ. ნ. რომანოვი.

[8] ვანო ორბელიანი.

[9] ქეთევან ორბელიანი—გრიგოლის რძალი, ზაქარიას მეუღლე.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შენი მარადის გულით, სულით ძმა გ რ ი გ ო ლ ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი“.
3-ს ი ვ ლ ი ს ს 1870.

თბილისით.

„გუშინ წინ პალატამ დაარღვია გადაწყვეტილება ოკრუჟნის სუდისა მამია გურიელის[2] საქმის გამო და დააბოლავა მით, რომ ციმბირის მაგიერ მამია უნდა რვა თვე ჩასვან ციხეში. პალატა იყო გაჭედილი ხალხითა, რომელმანცა ბრავო, ბრავოს თქმითა გამოეცხადა პალატას ქება სიმართლით გადაწყვეტისათვის. დიდი ყვირილი იყო და ტაშის კვრა.— მამიას ადვოკატი იყო ამატუნი“.

მ ა ი ს ი ს 19-ს 1880 წ.

„თქვენო უგანათლებულესობავ, უმოწყალესო დაო ეკატერინავ![3]

პირშავად ვარ თქვენს წინაშე, რომ აქამომდე ველარ მოგახსენეთ ჩემი ულრმესი შეშმარიტი პატივისცემა. რა ვჰქნა; არც თუ ჩემი ბრალია და გინა ესეც იყოს, მაინც კი უნდა გრწამდესთ, რომ მე თქვენი ვარ საფლავამდის. და ახლა წერილსა ამას თაყვანისცემით მოგართმევსთ თქვენივე ძველად თავდადებული ერთგული, მაიორი პეტრე კოპიაშვილი და მოგაგონებთ ჩემს დაბერებულს თავსა.

აქ მთელმა ზამთარმა გაიარა ჩვენთვის სულ მგლოვიარობაში: დავჰმარხეთ არხიეპისკოპოსი აივაზოვი, დიდად მსწავლული, მაღალის გონებისა და კეთილი გულითა; ამას თან გაჰყვა საიქიოს ჩვენი მილიონერი მირზოევი; გამოვიტირეთ ჩემი, სიყმაწვილითგანვე მეგობარი ისაკ[4]; დაგვიქვრივდა ღენერალი კნიაზი გიორგი ერისთავი,[5] და გადავიხადეთ პანაშვიდი ჩვენგან დაუვიწყარის მიცვალებულის კნეინა ვარანცოვისათვის, და ამ სახით განვატარეთ, ხან პანაშვიდებში და ხან დასაფლავებაში. ამასთანა, ხანგრძლივი ყინვა, თოვლი, ყოვლის ფრის სიძვირე და ბოლოს კალია ბაქოდამ სურამამდის და დუშეთამდის. საღა არის ლაზათი სიცოცხლისა?

მობრძანდა ველიკი კნიაზი[6] და პეტერბურღში დარჩა ველიკი კნეინა სამის უფროსის შვილით; თან მოჰყვა აქა კნ. შახავსკოი — ღენერალი, რომელიცა, ვეშობ, აქ აპირებს კიდევ სამსახურსა.

ჩვენის პრიკაზის ვალის ამბავი ასე დასრულდა: 1) სამს წელიწადს გვეძლევა ვადა, **ЛЬГОТЫ** რომ სარგებელი არ შევიტანოთ; 2) ამ სამს წელიწადში ველიკი კნიაზმა უნდა მოიყვანოს ცნობაში ვითარება პრიკაზში დაგირავებულის მამულებისა, ესე იგი, ვის შეუძლიან მთლად ვალის ვადახდა, ვის შეუძლიან ნაკლები, და ვისა სრულებით არ შეუძლიან და

[1] წერილზე ფანქრით მიწერილია: Григория Орбелиани Ревазу Эриставу, რაც ნიშნავს იმას, რომ ვილაცა: წერილს უგზავნის რევაზ ერისთავს—როგორც გრიგოლ ორბელიანის ავტოგრაფს.

[2] მამია გურიელი—პოეტი. სამხედრო სამართალში იყო მიცემული.

[3] მისამართი: ზუგდიდი.

[4] ისაკ თუმანიშვილი.

[5] გიორგი რომანის ძე (ატამანი).—ს. ც.

3) როდესაც ეს შესრულდება, მაშინ ველიკი კნიაზი ვისაც როგორ წარადგენს, ისე აღსრულდება. თუმცა ჩვენ ეხლავე მოველოდით დიდ[illegible]
ლით და მოუთმენლობით. ჩვენს გამოხსნასა, მაგრამ მაინცა სრულ[illegible]
ვვაქვს, რომ ველიკის კნიაზის დიდად თავგამოდებით, კეთილად დასრულდება ეს საქმე და აღსდგება ჩვენი მართლად კარგი თავადაზნაურობა, თუმცა კი მის გახარებას მე ველარ მოვესწრობი.

ბარონ ნიკოლაი[1] აქ არის, დიდად გახარებული შვილიშვილისათვის და მეტადრე მაკას მშვიდობით განთავისუფლებითა. მოვიდა ჩემი რძალი, ვარვარა ილინიშნაცა თავის გიორგითა ოტპუსკში და გამომაფხიზლა დაღონებისაგან.

პეტერბურღში, ღვთის მოწყალებით, ყოველივე დაყუდდა, დამშვიდდა, არა ისმის რა ახალი რაიმე საშიში, სამწუხარო ამბავი. ღმერთმან ინებოს, რომ ამით დასრულდეს და განვისვენოთ გულით, სულითა.

ჩემი საკუთარი საყვარელი დედოფალი სალომე და მისი ქმარი ჰეშმარიტის პატივისცემით მომიკითხეთ. და იყოს ღმერთი თქვენი მფარველი.

თ. გ რ ი გ ო ლ ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი".

9-ს ს ე კ ტ. 1880.[2]

„ღმერთს იყოს ისე მარადის თქვენი გამხარებელი, როგორც მე გამახარა თქვენმა წერილმა წინანდლიდამ, სადაცა თქვენი აწ ყოფნა მეცა აქა მანუგეშებს. მეტად და მეტად მიყვარს წინანდალი. ესე იგი თქვენი ერთიანად სახლობა, და თუ ეხლა, სიბერის დროს, მაგონდება რამე სასიხარულო, ირწმუნეთ, მიხარიან და მანუგეშებს ისევ ის დრო ჩემის ყმაწვილობისა, რომელიცა განვატარე თქვენშორის, თქვენს ოჯახში, წინანდალს! და ახლა თქვენვე წარმოიდგინეთ, ჩემი შეწუხება, ჩემის ბედის წყევა, რომ მეძახით წინანდალში მოსვლას, და უნდა უარი მოგახსენოთ. რა ვჰქნა. დავჰბერდი, ალარ ვარგივარ, ალარ შემიძლიან მგზავრობა. ვჰსწუხვარ, მაგრამ რა გაეწყობა. მოვიდა ჟამი და უნდა ოხვრით დავემორჩილნეთ სიბერის ძალასა! ეს კი უნდა გახსოვდეთ, რომ მე ყოველთვის თქვენი ვარ სულით, გულით, და მხოლოდ ეს თქვენდამი გრძნობა არ დამიბერდა, არ გამიცივდა და ამ გრძნობით ჩავალ საფლავში, სავსე ჰეშმარიტითა თქვენდამი სიყვარულითა.

გუშინ, ვიდრე ამ წერილს გავათავებდი, მოვიდა დიმიტრი ორბელიანი და მიამბო მეტად სამწუხარო ამბავი: ანდრონიკოვის არჩილის შვილმა, მერაბ, დამბაჩა იკრა თავში! მაშინვე გავჰქანდი იმის სანახავად; დოქტორები გარეშე ეხვივნენ მშვენიერს ყმაწვილს კაცსა, 18-ის წლისა, უგონოდ და უიმედოდ მდებარესა. მიზეზი ყოფილა ის, რომ ეგზამენია ვერ დაუჭერია მეექვსეს კლასში გადასვლისათვის. ეს ყმაწვილი იყო ჩემი ნათლული. ვაი ამის დედას ბარბარეს! ღმერთო, ეს რა უბედური ქვეყანა

[1] სიძე ალ. ჭავჭავაძისა—სოფიოს მეუღლე.
[2] მისამართი: წინანდალს, უგანათლებულეს კნეინას ეკატერინა მეგრელსკისას.

შეიქნა ჩვენი საქართველო! ყოველის მხრიდან ისმის მხოლოდ მწუხარების ხმა; ველარსად ვხედავ გულით გახარებულსა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დღეს დილით მომივიდა ამბავი, რომ საწყალს ყმაწვილსა ... თვალები და მოითხოვა ჩაი. ეს კარგი ნიშანია, მაგრამ ტყვია თავში აქვს დარჩენილი.

ჩემს გულით საკუთარს — საყვარელს დავითს ჩავჰკოცნი, ეგრეთვე კნეინას ანეტას ხელს კოცნას მოვახსენებ, და ღმერთმა აკურთხოს მაგათი შვილები.

თ. გ რ ი გ ო ლ ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი."

15-ს ი ა ნ ვ ა რ ს, 1881 წ.[1]

„თქვენს წინაშე დავჰშთი პირშავად, რომ აქამომდის ვერ მოგართვი პასუხი თქვენგან ნაბრძანევის საქმეზე. ახლა კი უნდა მოგახსენო, რომ აქედამ ნურას მოელით (ასე დამარწმუნეს), ისევ პირდაპირ პეტერბურღში უნდა ეცადოთ; იქ უფრო იმედია, რადგანაც ამ ახლოს ხანში ჩვენი ნიკოც[2] იქ მიდის და ამასა ჰყავს იქა, ლორისის[3] გარდა, დიდად შემძლენი სხვანიცა ნაცნობნი, რომელთაცა პირდაპირ დაელაპარაკება; მეცა ნიკოს დავარიგებ წასვლის დროს, რაცა უნდა ილაპარაკოს; ამის გარდა, წასულს კვირაში მივჰსწერე ღრაფ ლორისს ისტორიულის დაწვრილებით ყოველივე ნამსახურობა დავითის ოჯახისა, გარსევანიდამ ვიდრე აქამომდის, და ბოლოს სრულიად გაოხრება შამილის ჯარისაგან დავითის[4] ოჯახისა, მაშინ, როდესაც თვით დავით ეომებოდა შილდაში შამილსა საქართველოს დრუჟინითა და უყურებდა იმავე ჟამსა თავის სახლსა, ცეცხლმოკიდებულსა და ცოლშვილის დატყვევებასა. ახლა თქვენც რომ მიჰსწეროთ ღრაფ ლორის-მელიქოვს და გაუგზავნოთ კოპია თქვენის წერილისა ჩვენს ბატონთან მიწერილისა, უეჭველია, რომ ღვთის შეწევნითა, ჩემს გულით საყვარელს დავითსა ეშველება. ამასთანა ესეც უნდა გვახსოვდეს, რომ დავით და ლორისა ძველადვე მეგობარი იყვნენ,— ღმერთი და ბედი, მიჰსწერეთ!

ეს თვე ისე მიდის, რომ თითქმის ყოველდღე ან ვჰმარხავთ, ან პანაშვიდში მივდივართ; ახალ თექეში[5] მოკლეს ღენერალი პეტრუსევიჩი, და ჩვენ აქ ვიგლოვეთ, ძალიან გამოჩენილი კაცი კი იყო გონებით, ხასიათით. იქვე მოკლეს პოდპოლკ. მაღალოვი და მამაცოვი, და ჩვენ აქ ვიგლოვეთ; ბალში ანაზდეულად მოკვდა ღენერალ-ლეიტ. ღრაფი დეტულეზ ლოტრევი და დავჰმარხეთ, მოკვდა ტერღუკაზოვი და დავჰმარხეთ; მოკვდა ნიკა ამილახვარსა და, და ჩვენცა გადავიხადეთ პანაშვიდი. ასე და ამ

---

[1] მისამართი: ზუგდიდს, უგანათლებულეს კნ. ეკატერინა მენგრელსკისას.

[2] ნიკო ჭავჭავაძე.

[3] ლორის-მელიქოვი მ. ტ.

[4] დავით ჭავჭავაძე.—ს. ც.

[5] შუა აზიაში.—ს. ც.

ყოფით გავატარეთ ვაივაგლახობაში ეს დღეები... მოდი და ლაზათი გაა-
სწიე! სწორედ ხოლერობის დრო იყო.

ღმერთმა უშველოს სკობელევსა, რომლისაგან მივიღეთ გუშინ, ... და ნინოობას.— სასიხარულო ამბავი დიდის გამარჯვებისა; შტურმით აუღია ახალთექეში დიდად გამაგრებული ციხე გოგთაფა და 15 ვერსტსა ჰსდევნიდნენ ჩვენები გაქცეულს მტრის ჯარსა. ამ ამბავმა გაგვამხიარულა დღეს და ჩვენცა გადავიხადეთ სამადლობელი პარაკლისი ზარბაზნების სროლითა.

ჩვენი ველიკი კნიაზი მზად არის წასასვლელად პეტერბურღში, მაგრამ კავკასიის მთები გზას არ აძლევენ. ხან ჩამოდის დიდრონი ზვავები და ხან ქარიშხალი ახდენს გავაკებულს გზასა. ათასი კაცი მუშაობს ყოველდღე, მაგრამ მეორესვე დღეს ისევ ისეა ბუქისაგან წახდენილი. ველიკის კნიაზის ფურგონები აქამომდის ჰყრია გუდაურის სტანციაში.

ტასო გაგარინისა[1] აქამომდის დარჩა იალტას და არის მარტოდ მარტო. გაგონილა ასე თავის თავზე ხელის აღება?

ჩემი სასურველი და სალომე, ქვეყნის თვალი სალომე და მისი მეტად კარგი ამილ სიყვარულითა და კიდევ სიყვარულით მომიკითხეთ, და იყოს ღმერთი მფარველი თქვენი.

გრიგოლ დადიანი, ახალი ღენერალ-ადიუტანტი, აქ არის მშვიდობით.

თ. გ რ ი გ ო ლ ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი.[2]"

გარდა ამისა, ზუგდიდის მუზეუმის საარქივო ფონდებში დაცულია ოფიციალური მიმოწერის დიდი კოლექციები, რომლებიც ასახავენ ეკატერინეს საქმიან ურთიერთობას იმდროინდელს მაღალ თანამდებობის მოხელეებთან და ზოგ გამოჩენილ საზოგადო მოღვაწეებთან პეტერბურგს, თბილისსა და სხვაგან. ეკატერინეს ახლო ურთიერთობა ჰქონია აგრეთვე თავისი ყოფილი სამთავროს მოსახლეობის სხვადასხვა ფენასთან როგორც პრივილეგიური წოდების, ისე გლეხური წრეების წარმომადგენლებთან. ამას მოწმობს დასახელებულ ფონდში დაცული კერძო წერილების კოლექცია.

რაც შეეხება ეკატერინესა და ნინო გრიბოედოვის ზემოთმოყვანილ წერილს, იგი დაცულია გრ. ორბელიანისეულ ხელნაწერების კოლექციაში, რომელიც ი. მეუნარგიას არქივის ნაწილს შეადგენს.

ფურცლები სემინარიელის დღიურიდან

ავტოგრაფიული ტექსტი ამ დღიურებისა დაცულია ზუგდიდის ისტორიულ-ეთნოგრაფიული სახელმწიფო მუზეუმში. რამდენიმე ადგილი ამ ტექსტიდან 1942 წელს გამოვაქვეყნეთ ჟურნ. „ლიტერატურის მატიანეში" (№ 3 — 4, გვ. 197 — 230). დღიურების მნიშვნელობაზე მსჯელობა წინასიტყვაში გვქონდა. ამიტომ აქ ვიძლევით მხოლოდ მასში მოხსენებულ პირთა ვინაობისა და ზოგიერთი მომენტის კომენტირებას. ცხადია, ტექსტში ჩვენს მიერ ნაჩვენები ციფრების მიხედვით:

---

[1] მანანა ორბელიანის ქალი.

[2] შეიძლება ეს უკანასკნელი წერილიც არის გრ. ორბელიანისა ეკატერინესადმი, რომელიც 1882 წ. 13 აგვისტოს გარდაიცვალა.

[3] პირველად გამოვაქვეყნეთ—ჟურნ. „მნათობში" (იხ. „მნათობი" 1949 წ., № 8).

1. **ბ. ს.** — მიხა სანებლიძე — თბილისის სას. სემინარიის მე-5 კლასის მოსწავლე, „ი. მეუნარგიას საუკეთესო მეგობარი, როგორც ამ დღიურიდან ჩანს, გარდაცვლილა 1872 წლის 26 ნოემბერს.

2. **შექსპირი ვილიამ** (1564—1616) — უდიდესი ინგლისელი პოეტი და დრამატურგი. ავტორი გენიალური დრამებისა, როგორიც არის „ოტელო", „ჰამლეტი", „მეფე ლირი" და სხვ., რომელთაც მთელი ეპოქა შეჰქმნეს მსოფლიო ლიტერატურაში.

3. **ჰამლეტი** — მთავარი გმირი შექსპირის ამავე სახელწოდების დრამისა.

4. **ბერნე, ლიუდვიგ** (იგივე იეგუდა ლეიბ ბარუხი 1686—1837), გამოჩენილი გერმანელი მწერალი, შვილი ებრაელი ბანკირისა, დაიბადა ფრანკფურტში. სპეციალურით ექიმი, იყო ფართო განათლების მქონე და მოაზროვნე, რის შედეგად დაუახლოვდა შლეირმახერს, ფიხტეს, შლეგელს და სხვ. ბერნეს ცნობილმა თხზულებამ „წერილები პარიზიდან" — დიდი გამოხმაურება ჰპოვა თავის დროზე.

5. **გოეთე, იოჰან ვოლფგანგ** (1749—1832) გენიალური გერმანელი მწერალი იურიდიული განათლებით. დაინტერესდა აგრეთვე მედიცინითა და ლიტერატურით. წერა ადრე დაიწყო (1765); იგი ავტორია უამრავი პოეტური შედევრებისა, მათ შორის „ფაუსტისა", რომელიც მაჩნეულია მსოფლიო ლიტერატურის ერთ უდიდეს მწვერვალად.

6. **ჰეინე, ჰენრიხ** (1797—1856) გამოჩენილი გერმანელი პოეტი და პუბლიცისტი შვილი გაკოტრებულ მოვაჭრე ებრაელისა, დაიბადა დიუსელდორფში. მიიღო კათოლიკური განათლება. სახელი გაითქვა მგზნებარე ლირიკული ლექსებით და მახვილგონიერებით. იყო პატრიოტი და ფილოსოფიური მოაზროვნე.

7. **დობროლიუბოვი, ნიკოლოზ ალექსანდრეს-ძე** (1836—1861) — გამოჩენილი რუსი რევოლუციონერ-დემოკრატი, კრიტიკოსი-პუბლიცისტი. დაიბადა ნიჟნი ნოვგოროდში (ახლა გორკი), მღვდლის ოჯახში. დაამთავრა პედაგ. ინსტიტუტის ისტორიულ-ფილოლოგიური ფაკულტეტი. მიუხედავად იმისა, რომ ის სულ ახალგაზრდა, 25 წლისა გარდაიცვალა, თავისი ნიჭიერად დაწერილი შრომებითა და ახალი იდეებით დიდი გავლენა, ავტორიტეტი და სიყვარული მოიპოვა თანამედროვეთა და განსაკუთრებით მშრომელ ახალგაზრდათა შორის.

8. **შილლერი, ფრიდრიხ** (1759—1855) გამოჩენილი გერმანელი პოეტი-დრამატურგი გოეთეს თანამედროვე. მრავალი დრამის ავტორი და მათ შორის მსოფლიოში განთქმულ „ყაჩაღების", „დონ კარლოსის" და „ვილჰელმ ტელლისა". შილლერი ცნობილია აგრეთვე როგორც დიდი ლირიკოსი და რომანტიული სკოლის საუკეთესო წარმომადგენელი.

9. **ბაირონი, ჯორჯ** (1788—1824) ინგლისის გენიალური პოეტი. დაიბადა ლონდონში, არისტოკრატიულ ოჯახში. სამწერლო ასპარეზზე ადრე გამოვიდა (1806). მის მგზნებარე ლირიკაში ჰქუხს ადამიანის უკმაყოფილება, სასოწარკვეთილება და პროტესტი გარემო პირობებით გამოწვეული. მას, მღელვარე ლირიკის გარდა ეკუთვნის მრავალი პოემა და მათ შორის მსოფლიო ლიტერატურაში განთქმული „ჩაჰილდ-ჰაროლდი", „მანფრედი", „კაინი", „დონ-ჟუანი" და სხვ. ბაირონიზმი მე-19 საუკ. I ნახ. მთელი ლიტერატურული მიმართულებაა, რომელიც გამოხატავს პესიმისტურ განწყობილებას და მსოფლიოს სევდას. ჩვენში ბაირონიზმის ნიჭიერ წარმომადგენლად ითვლება ნიკოლოზ ბარათაშვილი.

10. **მილლი, ჯ. ს.** (1806—1873) ინგლისელი ეკონომისტი და ფილოსოფოსი. ავტორი მრავალი შრომისა, რომელნიც საკმაო გავლენას ჰპოულობდა რადიკალურად მოაზროვნე ახალგაზრდათა შორის.

11. **კანტი, ემანუილ** (1724—1804) უდიდესი გერმანელი ფილოსოფოსი, კრიტიკული ფილოსოფიის მესაძირკველე, ადამიანის შემეცნების საზღვრების გამრკვეელი, რომლის აზრით ადამიანის შემეცნება ემყარება ცდას, თუმცა არც მას შეუძლია ახსნას შემეცნების ყველა პროცესი. გონებას აქვს ცდის უწინარეს რამ მოელენაც. კანტიანობა, ან კანტიანიზმი დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა გასული საუკუნის ფილოსოფიურ მიმართულებათა შორის.

12. **კონტი, ოგიუსტ** (1798 — 1853) ცნობილი ფრანგი მათემატიკოსი და ფილოსოფოსი. ფილოსოფიაში პოზიტივისტური მიმართულების მამამთავარი.

13. **გუმბოლტი, ფრიდრიხ** (1767—1835) ცნობილი გერმანელი ლინგვისტი და [illegible]ტიკური მოღვაწე, საფუძვლიანი განათლება მიიღო უფლების პოლიტიკისა და ისტორიის დარგში. მის თხზულებათა სრული კრებული გამოვიდა 1841-52 წლებში ბერლინში.

14. **ვუნდტი, ვ.** (1832—1920) გამოჩენილი გერმანელი ფსიქოლოგი და ფილოსოფოსი. ავტორი შრომებისა „ადამიანისა და ცხოველის სული", „ფიზიოლოგიური ფსიქოლოგიის საფუძვლები", „ლოგიკა" და სხვ.

15. **ბოკლი, ვ.** (1821—1862) ინგლისელი ცნობილი ისტორიკოსი-სოციოლოგი. რომელიც ახალგაზრდებში საკმაო ავტორიტეტით სარგებლობდა.

16. **ინაევი—ნიკო ინაშვილი** (1846—1870) სემინარიელი, წინამდებარე დღიურების ავტორის მეგობარი, როგორც თვით ამ დღიურის სტრიქონებიდანვე ჩანს. გაზეთ „დროების" და ჟურნალ „მნათობის" ნიჭიერი და მოწინავე იდეების მატარებელი თანამშრომელი იყო.

17. **ლასალი, ფერდინანდ** (1825—1864) გერმანიის პოლიტიკური მოღვაწე, სოციალისტი, მეცნიერი და შესანიშნავი ორატორი. დაიბადა ბრესლავში. განათლება მიიღო ბერლინში. ახალგაზრდობიდანვე მიემხრო ჰეგელიანობას. 1848 წლიდან გაეცნო მარქსსა და ენგელსს და ემხრობოდა მათ რევოლუციური მოძრაობის საკითხებში. მიუხედავად პრინციპული და ტაქტიკური უთანხმოებისა კავშირი მაინც არ გაუწყვეტია „კომუნისტური მანიფესტის" ავტორებთან. 1863 წ. დააარსა გერმანიის მუშათა კავშირი, როგორც მეევრმეტყველი ორატორი და დამცველი მუშათა კლასისა იდევნებოდა მთავრობის მიერ.

18. **ჰეროსტრატე** — ეფესელი ბერძენი, რომელმაც დასწვა დიანა ეფესელის შესანიშნავი ტაძარი ისტორიაში სახელის უკვდავყოფისათვის.

19. **ალექსანდრე მაკედონელი** — ძვ. საბერძნეთის უდიდესი მხედართმთავარი. სტრატეგი და მეომარი, რომელმაც (3 საუკ. ძვ. წ.) დაიპყრო ევროპის დასავ. ნაწილები და წინა აზიის ქვეყნები.

20. **არისტოტელე** (384—322 წ. ძვ. წ.) საბერძნეთის ცნობილი ფილოსოფოსი და მეცნიერი, მოწაფე დიდი პლატონისა, დაიბადა მაკედონიას ქ. სტაგირაში. იყო ალექსანდრე მაკედონელის მასწავლებელი.

21. **პლატონი** (427—347 წ. ძვ. წ.) ძველი საბერძნეთის უდიდესი ფილოსოფოსი. სოკრატის მოწაფე. ავტორი იდეალისტური ფილოსოფიისა. დაიბადა ქ. ათენში.

22. **სოლომონ ბრძენი** — ბიბლიური პირი, ებრაელთა მეფის დავითის შვილი. [illegible] განათლებული და ჭკვიანი მოღვაწე.

23. **შერრი, იოჰან** (1817—1866) გერმანიის პოპულარული ისტორიკოსი. 1848 წ. რევოლუციის მონაწილე. მეთაურობდა დემოკრატიულ პარტიას ვიურტემბერგის პალატაში. ემიგრირებულ იქნა შვეიცარიაში. 1860 წ. პროფესორობდა ციურიხის უნივერსიტეტში. მუშაობდა ბელეტრისტიკაშიც.

24. **რუსთაველი, შოთა** (XII საუკ.) გენიალური ქართველი პოეტი, ავტორი პოემისა „ვეფხისტყაოსანი".

25. **გიორგი, მუხრანსკი-ბაგრატიონი** (1820—1877), სენატორი, კავკასიის მეფის მოადგილის მთავ. სამმ. უფროსი, ავტორი წიგნისა **„О существе национальной индивидуальности и об образовательном значении крупных народных единиц"**, საცა ამტკიცებდა აზრს, პატარა ერების დიდ ერებში შერწყმის შესახებ.

26. **ნ. ლომოური** (1852—1915) ქართველი მწერალი, რომელიც დღიურის ავტორთან ერთად სწავლობდა თბილისის სასულიერო სემინარიაში.

27. **სპინოზა, ბარუხ,** იგივე ბენედიქტე (1632—1677) სახელგანთქმული ფილოსოფოსი, ტომით ებრაელი, ცხოვრობდა ჰოლლანდიაში.

28. **სტრუგოვშჩიკოვი** — რუსი მწერალი და მთარგმნელი გოეთეს და სხვათა ცალკეულ უცხო მწერლების თხზულებათა.

29. **გრეკოვი, ნიკ.** (1810—1866)— რუსი პოეტი, მთარგმნელი, განსაკუთრებით თარგმნიდა ინგლისურ, ფრანგულ და გერმანულ ენებიდან. იყო ლექსების კარგი მთარგმნელი. აქვს აგრეთვე ორიგინალური ლექსებიც, გამოცემულია ცალკე კრებულად (1860).

30. **ნაპოლეონ I.** საფრანგეთის იმპერატორი, სახელოვანი მხედართმთავარი და მეომარი, რომელმაც დაიპყრო მთელი დასავლეთი ევროპა და რუსეთშიც შეიჭრა (1812).

31. **რუსსო, ჟანჟაკ** (1712—1778) სახელგანთქმული ფრანგი ფილოსოფოსი, მწერალი და მოაზროვნე. ავტორი შესანიშნავი თხზულებებისა „საზოგადოებრივი ხელშეკრულება", „ემილი", „ახალი ელიოზა", „აღსარება", „მსჯელობა" და სხვ. თავის ნაწერებში რუსსო იცავს ხალხის ძალაუფლებას, თავისუფლებას, ბედნიერებას, ერთობას და სხვ. ის ებრძოდა აგრეთვე ცივილიზაციის ზოგ უარყოფით მხარეს და საზოგადოებას მოუწოდებდა პირველყოფილ თავისუფალ ბუნებრივ ცხოვრებისაკენ.

32. **„ფაუსტი"**—მთავარი გმირი გოეთეს ამავე სახელწოდების თხზულებისა.

33. **ფიშერი, კუნო** (1824—1907), გერმანელი, ცნობილი ისტორიკოსი და ფილოსოფოსი, ავტორი ახალი ფილოსოფიისა, დაიბადა სილეზიაში. მრავალი შრომის ავტორი საცა შესანიშნავად და სისტემატურად აქვს მოცემული დიდმოაზროვნეთა და მწერალთა პრობლემების მიმოხილვები.

34. **ბეკონი, როჯერ** (1214—1294), ინგლისელი გამოჩენილი ბუნებისმეტყველი და მათემატიკოსი; სქოლასტიკის, სამღვდელოებისა და უზნეობის წინააღმდეგ მებრძოლი.

35. **დეკარტი** (1596—1650), ფრანგი ფილოსოფოსი, ფიზიკოსი და მათემატიკოსი, რომლის მოძღვრებაში ცნობილია ფრაზა „ვაზროვნებ, მაშასადამე ვარსებობ". დეკარტი მამამთავარია ახალი ფილოსოფიისა.

36. **დემოსთენი** (384—322 წ. ძვ. წ.) საბერძნეთის უდიდესი ორატორი და საზოგადო მოღვაწე.

37. **დიოგენი** (412—323 წ. ძვ. წ.), ცინიკური ფილოსოფიური სკოლის გამოჩენილი წარმომადგენელი, რომლის მოღვაწეობის ძირითადი პრინციპი იყო: ადამიანის სრული დამოუკიდებლობა გარემოსინამდვილისა და საზოგადოებისაგან.

38. **სპენსერი, ჰერბარტ** (1820—1903) ინგლისელი ფილოსოფოსი და სოციოლოგი; სინთეზური ფილოსოფიის დამაარსებელი.

39. **შელლინგი, ფრიდრიხ-ვილჰელმ** (1775—1854), გერმანელი ფილოსოფოსი, იდეალისტი, რომელმაც დიდი როლი შეასრულა გერმანიის ფილოსოფიურ რევოლუციაში და რომელიც თანამგზავრობდა „საფრანგეთის პოლიტიკურ რევოლუციას" (ენგელსი).

40. **ჰეგელი, გეორგ-ვილჰელმ-ფრიდრიხ** (1770—1831), გერმანელი ფილოსოფოსი, იდეალისტური ფილოსოფიის ფუძემდებელი.

41. **სტენლი, ჰენრი მარტონი** (1841—1904), ინგლისელი, აფრიკის დიდი მკვლევარი; დაიბადა ჭ. უელსში, ემიგრანტობდა ამერიკაში. სტენლის მიერ აფრიკის გამოკვლევა გამოყენებულ იქნა დიდი ბრიტანეთის და სხვა კაპიტალისტური ქვეყნების მხრივ კოლონიალური მტაცებლობისათვის.

42. **„დროება"**—ლიტერატურულ-პოლიტიკური გაზეთი. გამოსვლა იწყო 1866 წ. გეორგი წერეთლის რედაქტორობით ყოველკვირეულად. 1869 წლიდან მისი რედაქტორობა გადაეცა სერგეი მესხის, რომლის ხელში გახდა ყოველდღიურ გაზეთად (1877). „დროება" გამოდიოდა 1885 წ. 14 სექტემბრამდე. 1883 წ., ს. მესხის გარდაცვალების შემდეგ, გაზეთის რედაქტორი იყო ივ. მაჩაბელი. „დროების" უახლოესი თანამშრომლები იყვნენ: ილია, აკაკი, ნ. ნიკოლაძე, სერ. მესხი, ა. ცაგარელი, ვ. პეტრიაშვილი, მოსე ჯანაშვილი, პ. უმიკაშვილი, ი. მაჩაბელი, ა. ყაზბეგი, დავ. მიქელაძე, ი. მეუნარგია, დავ. ჩქოტუა, ნიკო დადიანი და სხვ., თითქმის მთელი მოწინავე ქართველი ინტელიგენცია.

43. **სკანდელი**—ნიკო ნიკოლაძე (1843—1928) ცნობილი ქართველი პუბლიცისტი, ჟურნალისტი, საზოგადო მოღვაწე და ლიტერატურის კრიტიკოსი. მისი რედაქტორობით პარიზში 1878 წ. გამოვიდა არალეგალური გაზეთი „დროშა". პირველ ხანებში ეწერებოდა სკანდელას (სკანდა სოფელია ზემო იმერეთში, სადაურიც ნიკოლაძეები არიან) ფუძე დონიმით.

44. **ფურცელაძე, ანტონ** (1839—1913), ქართველი მწერალი, პუბლიცისტი, მკვლევარი და კრიტიკოსი. აქტიური ხალხოსანი და სოციალისტური იდეების მქადაგებელი. ანტ. ფურცელაძემ მისცა პირველი გაბედული და ღირსეული შეფასება ჟურნ. „ცისკრის" ფურცლებზე დ. ჭონქაძის „სურამის ციხეს".

45. **წულუკიძელი**—გიორგი იოსელიანი (1847—1919), პედაგოგი, და საზოგადო მოღვაწე, რომელსაც ი. გოგებაშვილი ახასიათებს, როგორც „განვითარებულ პირს საზოგადო სწავლაში, აგრეთვე პედაგოგიკაში და ჩვენს ლიტერატურაში".

46. **ავალიშვილი, ნიკო იაკობის-ძე** (1844—1929), სას. სემინარიას მოსწავლე, ჟურნალისტი, თეატრალური მუშაკი „მნათობის" (1869—1872) რედაქტორ-გამომცემელი და ცნობილი საზოგადო მოღვაწე.

47. **ქიქოძე, მოსე ათანასეს-ძე** (1845—1914), იურისტი, გაზეთ „დროებისა" და ჟურნალ „მნათობის" თანამშრომელი. ემხრობოდა ხალხოსნურ მიმართულებას.

48. **„ნეზნაკომეც"**—ა. ს. სუვორინი (1834—1912), რუსი ჟურნალისტი, დრამატურგი და გამომცემელი.

49. **ლაბულე, ედუარდ რენე** (1811—1883), ფრანგი რომანისტი და საბავშვო მწერალი. განათლებით იურისტი. სახელი გაითქვა იურიდიული დარგის გამოკვლევებით. წარმატებულ ინტელიგენციის ერთერთი მსხვილი წარმომადგენელი. ნაპოლეონ I დამარცხების შემდეგ სრულიად გაანება თავი პოლიტიკურ მოღვაწეობას. მის თხზულებათაგან აღსანიშნავია სატირული ნაწარმოები „პარიზი ამერიკაში", „თავადი-ფინია" და სხვ.

50. **ლუი-ბლანი** (1811—1882), ფრანგი სოციალისტი, 1848 წ. რევოლუციის მოღვაწეთა ისტორიკოსი. ჟურნალისტი. ჰქონდა საკუთარი გაზეთი, მისმა წიგნმა შრომის ორგანიზაციაზე (1839) დიდ შთაბეჭდილება შექმნა.

51. **„სოვრემენნიკ"**—ალ. პუშკინის მიერ დაარსებული ყოველდღიური სამეცნიერო, პოლიტიკურ და ლიტერატურული ჟურნალი, გამოდიოდა პეტერბურგში 1836 წ.—1866 წლამდე. ამ ჟურნალს ერთ დროს ხელმძღვანელობდა (1856) ჩერნიშევსკი. შემდეგ დობროლიუბოვიც. ჟურნალს დიდი გავლენა ჰქონია როგორც რუსეთის, აგრეთვე საქართველოს მოწინავე ინტელიგენციაზე.

52. **ლეიბნიცი, გოტფრიდ-ვილჰელმი** (1646—1716), გერმანელი ფილოსოფოსი, მათემატიკოსი და მრავალ სხვა დარგში გამოჩენილი მეცნიერი.

53. **ვოლტერი**, მარი-ფრანსუა (1694—1778), შესანიშნავი ფრანგი სატირიკოსი—პოეტი, ფილოსოფოსი და ისტორიკოსი, ენციკლოპედისტი; რელიგიის კრიტიკითა და პიროვნების უფლების ქადაგებით დიდად შეუწყო ხელი საფრანგეთის დიდი რევოლუციის მომზადებას. ვოლტერმა შეჰქმნა მთელი მიმართულება თავისუფალ მოაზროვნეთა ე. წ. „ვოლტერიანელთა", რასაც საქართველოში ბევრი მიმდევარი ჰყავდა.

54. **ბელინსკი. ბესარიონ** (1811—1848), სახელოვანი რუსი კრიტიკოსი. წარმოშობით ე. წ. „რაზნოჩინეცი", შვილი მეზღვაურთა ექიმისა. დაიბადა ფინეთის ქალაქ სვეაბორგში, სწავლობდა მოსკოვის უნივერსიტეტში, საიდანაც გამორიცხულ იქნა თავის პირველი ლიტერატურული თხზულების გამო. სახელი გაითქვა როგორც ლიტერატურის კრიტიკოსმა 1834—36 წლებში „ტელესკოპსა" და „მოლვაში" მოთავსებულ „ლიტერატურული ოცნებებით", რის შემდეგ სიკვდილამდე კალამი არ შეუსვენებია და შეჰქმნა მთელი ეპოქები რუსულ ლიტერატურაში. ჭლექით დაავადებული ბ. გარდაიცვალა სულ ახალგაზრდა, 37 წლის ასაკში.

55. ნიკო — (იხ. სკანდელი).

56. **კერსკი** — უწმინდესი სინოდის ობერ-პროკურორის რწმუნებული [illegible] 1873 წ. მისგან ჩატარებული რევიზიის შედეგად თბილისის სას. სემინარიიდან გაერიცხა მრავალი მოსწავლე, ხოლო იაკ. გოგებაშვილის მუშაობა სას. სასწავლებელში [illegible] დატუქვებლად, მისი „მიუღებელი" იდეოლოგიისა გამო, რომლის გავლენა [illegible] მოსწავლეებზე". ამ კერსკის შესახებ პოეტი გრ. ორბელიანი ერთ-ერთ თავის კერძო წერილში ირონიულად წერდა: „ჩემო საყვარელო რძალო სოფიო! იყო კაცი და სახელი მისი — არ ვიცი (კერსკი — ს. ც.) — მოვლინებული ამ ზაფხულს სინოდათ რევიზორად. ტფილისის სემინარიისა. რა ნახა და ანუ რა არა, რა მოგახსენო, მხოლოდ ეს კი ვიცი რომ, როდესაც ღრმასა მალალგონიერების ქვაბში დაადნეს სემინარიის საქმენი, გამოვიდა ბოლოს ესე, რომ მმართველობისა მოუწყვეტელმა მზრუნველობამ აღიყვანა განათლება და კეთილდღეობა საქართველოსი ისეთს მალალს ხარისხზე, რომ ამას იქით ქართველის მღვდლისათვის საქართველოში აღარ არის საჭირო ცოდნა ქართულის ენისა. ესე იგი, აღარ უნდა ილოცონ ქართველებმა ქართულს ენაზე, რომლისა სწავლა ამას იქით აქნება მხოლოდ უსარგებლო დაკარგვა დროისა; მაშასადამე, სემინარიაში უნდა მოისპოს სწავლა ქართულის ენისა, რომელსა ამასთანავე არცა ჰქონია მდიდარი ლიტერატურა. ასე არჩიეს ამ ზაფხულსა არქიერმა, რევიზორმა და მეტადრე ერთმა ქართველმა მღვდელმა, რომელმანცა თავგამოდებით, გულსმოდგინებით და დიდის მქევრმეტყველებით რჩევაში დაამტკიცა, თუ ვითარს წარმატებაში და ბედნიერებაში შევა საქართველო, როდესაც ქვეყანაზე გაქრება სახსენებელი ქართულის ენისა!—ჯ ე რ ა ც ც ო ც ხ ა ლ ი ა ქ ვ ე ყ ა ნ ა ზ ე გ ა მ ც ე მ ე ლ ი დ ა ი უ დ ა—(ბაზი ჩვენია—ს. ც.). ამა გულის სალახვრო ამბავმა დაგვაწყებინა ყაყანი... საქართველოში ურიები, თათრები, სომხები, ლუტერანები ილოცვენ თავიანთს ენაზე და არავინ არის დამშლელი მათი; თვით ფრანგებიც კი (ქართველი კათოლიკები—ს. ც.) ქართულს ენაზე ჰგალობენ და მხოლოდ ქართველებს უნდა მოესპოთ ქართულს ენაზე ლოცვა? რათა?.. ესოდენ სხვადასხვა ხალხთა შორის მარტო ქართველები ამოურჩევიათ დასაჩაგრავად? აი საქართველოს ბედი?.." ცხადია, გრ. ორბელიანის წუხილი, მარტო ეკლესიას როდი ეხება, ეს მხოლოდ საბაბია, იმდროისათვის მისაღები. ნამდვილად კი პოეტი გრ. ორბელიანი „ენის წახდენის" წინააღმდეგ მებრძოლი დასტირის ქართული სამწერლო ენის შევიწროებასა და ქართველი ერის ბედს, რომელიც ვლაც კერსკებისა და კუვშინსკების საჯიჯგნი გამხდარიყო მეფის რუსეთის წყალობით.

57. **ბაზენი, აშილ-ფრანსუა** (1811—1888), საფრანგეთის მარშალი, გერმანელებთან ომის დროს მთელი თავისი არმიით კაპიტულარებულ იქნა, რისთვისაც დასწამეს სახ. ღალატი და საფრანგეთის სამხედრო სასამართლომ 1872 წ. მიუსაჯა სიკვდილით დასჯა, რაც შეუცვალეს 20 წლის პატიმრობით. გადასახლებულ იქნა წმ. მარგალიტას კუნძულზე, საიდანაც გაიქცა 1874 წ. შემდეგ ცხოვრობდა ესპანეთში.

58. **მაკ-მაჰონი** (1808—1893), მარშალი და პრეზიდენტი საფრანგეთის რესპუბლიკისა, ირლანდიელთა ემიგრანტების ჩამომავალი, მიიღო სამხედრო განათლება, გაიგზავნა ალჟირში, სადაც დიდ წარმატებებს მიაღწია. მონაწილეობდა ყირიმის კამპანიაში. მან ჩაახრჩო პარიზის კომუნა და 1873 წ. არჩეულ იქნა საფრანგეთის პრეზიდენტად.

59. **ჩერნიშევსკი, ნ. გ.** (1828—1889), დიდი რუსი რევოლუციონერ-დემოკრატი, მწერალი, სამოციანი წლების გამოჩენილი კრიტიკოსი-პუბლიცისტი. ლენინის სიტყვით: „მარქსის წინა პერიოდის უდიდესი სოციალისტი". მასთან მეგობრობა ჰქონდა ქართველებს, განსაკუთრებით კი ნიკო ნიკოლაძეს.

60. **კეზელი დავით** (1854—1907), ცნობილი ჟურნალისტი, იონა მეუნარგია ნიჭიერ პუბლიცისტად იხსენიებს თავის ერთ-ერთ შრომაში (იხ. „ლიტ. მატიანე" № 1 — 2, გვ. 310). 1873 წ. სემინარიის გაჩხრეკის დროს აღმოჩენილ კეზელის ლექსებმა მისცა საბაბი სემინარიის მესვეურთ გაერიცხათ ისეთი, არაკეთილსაიმედო მოსწავლენი, რომელნიც იყვნენ წევრად იმ წრისა, სადაც იკითხებოდა (ცხადია, მალულად) ნაწერები, პისა-

რის მოსჩანს, როგორც განსაკუთრებული შარავანდედით მოსილი და პუშკინის დიდ სახელთან დაკავშირებული.

71. **ჩინგისხანი** (1155—1227), მონღოლთა დიდი იმპერიის შემქმნელი, რომელმაც დაიპყრო და აღაოხრა მრავალი ქვეყნები და სამეფოები (რუსეთი, ჩინეთი და საქართველო).

72. **ატილლა** — მეფე ჰუნებისა V საუკ. პირველ ნახევარში. შეაერთა ჰუნებისა და გერმანელების ტომები ვოლგიდან დუნაიმდე. მრავალჯერ გაილაშქრა რომაელთა წინააღმდეგ, ბოლოს დაამარცხა რომის გამოჩენილმა სარდალმა აეციუსმა (451 წ. ქრ. შემდ.). დღეს ჰუნებას მემკვიდრეებად უნგრელები ითვლებიან.

73. **ბერანჟე, პიერ-ჟან** (1780—1857), საფრანგეთის გამოჩენილი პოეტი. დაიბადა პარიზში. ახალგაზრდობისას გამოუცვლია მრავალი პროფესია; იყო მესაათე, დუქნის მოსამსახურე, ბიბლიოთეკარი, სწავლობდა იუველირობას და სხვ. შემდეგ გადადის ლიტერატურულ მუშაობაში და იწყებს ლექსების წერას, რომლის დემოკრატიულმა მოტივებმა და ლექსის ახალმა ფორმამ დიდი გავლენა მოახდინა შემდეგი თაობის პოეტებზე. პირველი მისი მნიშვნელოვანი ნაშრომები იყო პამფლეტი ნაპოლეონ პირველზე (1808) და „პოლიტიკური ტრაქტატი" (1815). მაგრამ მისი სატირის ნამდვილი გაფურჩქვნა ემთხვევა ე. წ. რესტავრაციის ეპოქას (1815—1830).

74. **სოკრატი** (469—399 ქრ. წ.), სახელგანთქმული ფილოსოფოსი ძველი საბერძნეთისა. მისი ფილოსოფიური მოძღვრების მთავარი დებულება გამოიხატება ცოდნის უპირატესობაში. წინააღმდეგ სოფისტებისა, სოკრატი ჰქადაგებდა ზნეობრივ სიმტკიცესა და კანონიერებას. სოკრატს მიუსაჯეს სიკვდილით დასჯა, რასაც ის სრული სიმშვიდით შეხვდა, და არ შეასრულა ერთ-ერთი მისი მოწაფის, კრიტონის რჩევა, რომ სატუსალოდან გაქცეულიყო.

75. **ბიუხნერი, ლიუდვიგ** (1824—1899), გამოჩენილი გერმანელი ფილოსოფოსი და ბუნებისმეტყველი.

76. **ბუდდა**, იგივე საკია-მუნი VI—V ქრ. წ.), დამაარსებელი აღმოსავლეთ ქვეყნებში (ჩინეთი, იაპონია, ინდოჩინეთი, მონღოლეთი და სხვ.) ყველაზე უფრო გავრცელებული რელიგიისა. მისი მოძღვრებით სიცოცხლე ბოროტებაა, ადამიანმა უნდა მოსპოს ყოველგვარი ვნებანი და სურვილები. უარჰყოფს ადამიანთა წოდებრივ დაყოფას, უზენაეს ღვთაებას და სხვ.

77. **ჭიქოძე, ნინო ათანასეს ასული** (1855—1945), პირველ ხანებში გათხოვილი აქვე მოხსენებულ გერასიმე კალანდარაშვილზე. შემდეგ მისი გარდაცვალებისა იგი მისთხოვდა გურიაში ცნობილ სახალხო მასწავლებელს გიგო შარაშიძეს.

78. **მოსე** — ბიბლიური პირი, ებრაელთა წინასწარმეტყველი, რომელმაც ებრაელები დაიხსნა ეგვიპტელთა მონობისაგან და შეუდგინა მათ სჯულის წიგნი, რომლის ძირითადი კანონი „ათი მცნება" ორი ქვის ფიცარზე დაწერილი (როგორც ბიბლია გადმოგვცემს ზღაპრულად) მიიღო სინას მთაზე თვით ღმერთისაგან. ამ კანონის X მუხლით სასტიკად აკრძალულია ცილისწამება.

79. **კ-სკი—კუვშინსკი, ივანე**—სასულიერო სემინარიის ინსპექტორი (მისი დახასიათება იხილეთ ამავე ღღაურებში, 1874 წ. 11, 14, 23 მარტისა და იაკ. გოგებაშვილის ტ. II, გვ. 336).

80. **დარვინი, ჩარლზ** (1809—1882), შესანიშნავი ინგლისელი მეცნიერი-ბუნებისმეტყველი, რომლის მოძღვრება დაედო საფუძვლად თანამედროვე ბუნებისმეტყველებას. ამ მოძღვრებას ღღეს ევოლუციურ თეორიას უწოდებენ. მისი მთავარი დებულებებია: ა) მცენარეთა და ცხოველების სახეთა ცვალებადობა, ბ) მემკვიდრეობა, გ) ცოცხალ არსთა გადაჭარბებული მრავლება, რაც ჰქმნის, დ) არსებობისათვის ბრძოლას, აქედან კი გამომდინარეობს, ე) ბუნებრივი შერჩევა.

81. **მაჰმადი** (571—632), მაჰმადიანური რელიგიის (ისლამის) დამაარსებელი. ჩამომავლობით არაბი, დაიბადა მექაში. მისი მოძღვრება გადმოცემულია ყურანში.

82. **ქრისტე.** — იესო ქრისტე — მითიური პირი — ქრისტიანული რელიგიის დამაარსებელი, რომლის დაბადებიდან ვანგარიშობთ ჩვენს წელთაღრიცხვას.

83. **ფიხტე, იოჰან გოტლიბ** (1762—1814), ცნობილი გერმანელი ფილოსოფოსი, იდეალისტი, გერმანიის ერის გაერთიანების მქადაგებელი.

84. **ბეთხოვენი** (1770—1827), გამოჩენილი გერმანელი კომპოზიტორი, ავტორი მრავალ მუსიკალურ ნაწარმოებთა.

85. **აკაკი წერეთელი** (1840—1915), დიდებული ქართველი ლირიკოსი პოეტი, რომელიც დიდ გავლენას ახდენდა 70-იანი წლების ახალგაზრდობაზე. წინამდებარე დღიურების ავტორიც განიცდის ამ დიდ გავლენას.

86. **გამბეტა, ლეონ** (1838—1882), საფრანგეთის პოლიტიკური მოღვაწე!

87. **გოგებაშვილი, იაკობ** (1840—1912), გამოჩენილი ქართველი პედაგოგი, საბავშვო მწერალი და პუბლიცისტი, იყო აგრეთვე დიდი საზოგადო მოღვაწე და ქართული სკოლის დიდი მოამაგე და პატრიოტი.

88. **ეპისკოპოსი გაბრიელი** (ერის კაცობაში გერასიმე ქიქოძე 1825—1896), იყო ნიჭიერი ორატორ-მქადაგებელი. საზოგადო მოქმედი და მებრძოლი თვითმპყრობელობიდან საქართველოს განთავისუფლებისათვის (იხ. მისი ბიოგრაფია, მელ. კელენჯერიძისი). გაბრიელი ავტორია აგრეთვე მეცნიერული შრომებისა — ფსიქოლოგიიდან.

89. **ვოლტერ, სკოტი** (1771—1832), ინგლისელი გამოჩენილი პოეტი, რომანისტი, ისტორიკოსი. ჩამომავლობით შოტლანდიელი. მწერლობა დაიწყო ლექსებით. ლექსებისა და პოემების გარდა მის პროზაულ თხზულებიდან აღსანიშნავია „აივენგო" და ისტორიული თხზულებანი „ცხოვრება ნაპოლეონისა", „შოტლანდიის ისტორია" სხვ.

90. **ხელიძე — დეკანოზი გიორგი ხელიძე.** რედაქტორ-გამომცემელი ჟურნ. „სასულიერო მახარობლისა" და მისივე დამატებისა **„Духовный вестник грузинского экзархата"**.

91. **ჭ-ლი** — ზაქარია ჭეიშვილი, ქუთათური მოქალაქე, თეატრალური მოღვაწე.

92 **ფავორსკი** — თბილისის სასულიერო სემინარიის მასწავლებელი 70-იან წლებში.

93. **სუსანა** — იონა მეუნარგიას დედა, ეგნატე გაწერელიას ასული. გარდაიცვალა 1874 წელს.

94. **ეპიფანე (?).**

95. **იუხნოვიჩი (?)**

96. **მიხა (მიხეილ) ქიქოძე** — ძმა ნინო ქიქოძე-ყალანდარიშვილისა.

97. **ზაქარია** (იხ. შე-91 შენიშვნა).

98. **ბებურიშვილი,**— ბებურ გურგენის-ძე (გარდაიც. 1910 წ.). ცნობილი საზოგადო მოღვაწე, ერთ დროს ოზურგეთის ქალაქის თავი, ეწეოდა მწერლობასაც.

99. **სლეპცოვი (?)..**

100. **მიხეილ** (იხ. 96-ე შენიშვნა).

* * *

როგორც თავიდანვე აღვნიშნეთ, ამ ტომით სრულდება იონა მეუნარგიას მონოგრაფიული და შემუარული ხასიათის ნაწერების ბეჭდვა. ასე რომ მესამე ტომისათვის (თუ იგი ოდესმე გამოიცა) გვრჩება მხოლოდ მისი პუბლიცისტურ-კრიტიკული სტატიები და მომენტთან შეფარდებით სხვადასხვა საჭირბოროტო საკითხებზე დაწერილი ნარკვევები, გამოკვლევები და წერილები, რომლებიც გაფანტულია ადგილობრივ ქართულ და რუსულ პერიოდულ პრესაში.

აქ არ შეგვაქვს ორი მეტად საგულისხმო და ამ დღიურებთან დაკავშირებული მასალა. პირველია — **Нравственное учения Канта**[1],—საკმაოდ ვრცელი ფილოსოფიუ-

[1] საქ. სსრ ცენტრ. ისტ. არქივი ფ. 112, საქმე 697. მასალაზე მიმითითა დოც. ალ. ქუთელიამ, რისთვისაც მადლობას მოვახსენებ.

რი ხასიათის ნაწარმოები, დაწერილია მაშინ, როცა ი. მეუნარგია მე-4 კლასის მოსწავლე ყოფილა. თხზულებაში ჩანს ავტორის დიდი ნაკითხობა და ფილოსოფიით გატაცება. მეორე — В защиту моей чести[1], — დაწერილია 1874 წ. 16 მაისს, ხუმარ-ნარიადან გარიცხვის შემდეგ; იგი ერთგვარი იძულებითი განმარტებაა ავკის [illegible] საყურადღებოდ და საკმაოდ ვრცელი, პოლემიკური ხასიათის წერილია, გაბედული და ანგარიშგასაწევი აზრების შემცველი. ორივე გამოქვეყნდება შემდეგ ტომში.

20 წლის წინათ დაწყებული ი. მეუნარგიას ნაწერების გამოცემა ამით დასასრულს უახლოვდება. ვეცდებით კი დასახელებული III ტომიც — პუბლიცისტიკა—მოკლე ხანში წარვუდგინოთ გამომცემლობას. დარწმუნებული უნდა ვიყოთ, წინამდებარე ტომისა და ნავარაუდევი მესამე ტომის გამოცემით ჩვენი ლიტერატურის ეს დარგი რამდენადმე მაინც, მხოლოდ მდიდრდება და შინაარსიანდება. მახსოვს, ამ 30 წლის წინათ, ერთი კარგად ცნობილი და საკმაოდ მაღალი გემოვნების ქართველი მწერალი — იონა მეუნარგიას გასული საუკუნის ერთ დაიწყებულ და გამორჩენილ მწერალს უწოდებდა. მისივე აზრით, ამგვარი ნიჭისა და სტილის პატრონი მწერალი შეიძლება, იმ დროს ჩვენს მწერლობას არც კი ჰყოლოდა. მისს მონოგრაფიულ ნარკვევებს, იგი პაოგრაფიების წერისა და მხატვრული კრიტიკის შედევრებად თვლიდა. „წერის მანერა, მაღალი გემოვნება და ლიტერატურის ცოდნა", მოწინავეთა რიგებში აყენებდა იონა მეუნარგიასაო... და ბოლოს,— აღნიშნავდა, რომ—„ქართული მწერლობა არც ისე მდიდარია, რომ აღმოუჩენელი და დაუფასებელი დარჩეს ისეთი, შედარებით, დიდი მწერალი, როგორიც იონა მეუნარგია ყოფილა"..[2] ეს სიტყვები პარადოქსად არ უნდა მოეჩვენოს თანამედროვე მკითხველს ამ ორი ტომის გაცნობის შემდეგ.

სოლომონ ცაიშვილი

12. VIII — 1955 წ.
თბილისს.

---

[1] თბილისის კ. მარქსის სახ. საჯარო ბიბლიოთეკის რარიტეტში დაცულ ნ. ნიკოლაძის არქივი. თავაზიანი მოწოდებისათვის პროფ. რუსუდან ნიკოლაძეს მადლობას მოვახსენებ.

[2] იხ. გაზ. „ბახტრიონი" 1922 წ. № 15. ვ. გ-ლის (ტიციან ტაბიძის) სტატია.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

პირთა საძიებელი

ბაბაშიძის ას. მარ. 94, 95
აგიაშვილი, თეიმ. 151, 283, 284, 308, 313
„ გიორგი 308
„ ნატალია 333
„ ელისაბედ 333
ადლერბერგი 192
ავალიშვილი, გ. 314, 332
ავალიშვილი, ნიკო 5, 6, 205, 351
„ დავით 35
ავთანდილაშვილი, ს. 301
ავთანდილი 58
ავაზოვი 344
აკსაკოვი 18
აკოფოვი 148
აკლობტინ, ტ. 340
ალექსანდრე I (იმპერ.) 13, 92, 118—120, 180
ალექსანდრე II (იმპ.) 56, 121, 189, 192, 322
ალექსანდრე (მეფე იმერეთ.) 117, 120
ალექსანდრე, მაკედონ. 198, 212, 222, 349
ალექსანდრე (ეპისკ.) 194
ალექსანდრე, ბატონიშვილი 302, 303
ალექსანდრე (?) 343
ალექსი-მესხიშვილი, ლ. 91
„ დიმ. 167
„ ნიკოლოზ 256
„ ოლგა 256
„ ბარბარე 256
„ იაკინთე 202
ამირანაშვილი, შალვა 305
ამატუნი 344
ამილახვარი, ნ. 346
ანტონ კათალიკოსი, I 95, 283
ანა დედოფალი 125
ანჯაფარიძე, გრ 112, 129
ანასტა ბერძენი 126
ანტონ ჭყონდიდელი, II 134, 170, 172, 176, 295
ანტონ ჭყონდიდელი I 170, 283, 284
ანტონ, არქიმანდრიტი 282
ანდრონიკაშვილი, ნ. 257
„ არჩილ 345
„ მერაბ 345
არდახიანი, ლ. 55, 58
არისტოტელი 198, 349
არლუთინსკი 60
ასათიანი, ოქროპირ 161
„ ნ. 257
„ ლევან 339
ატილა 222, 354
აფაქიძე, მალხაზ 131
„ ბეჟან 136
„ გუთუ 163
„ ასლან 167
აფხაზი, კ. 251
„ დავით 102
აღა-მაჰმად-ხანი 179
არჩილ ბატონიშვილი (დადიანი) 126, 184
აბელედიანი, თ. 128
„ ანტონ 152, 158, 161
„ გლაბუა 173
„ ალექსი 316, 317, 320
„ ოტია 319
„ სიმონ 319
აბელედიანი (?) 210
აბეერდოვი, ალ. 336
ბარათაშვილი, ნ. 3, 7, 31, 55, 56, 102, 180, 270, 304, 324, 325
„ სულხან 267
ბაგრატიონი, ირ. 25, 27, 32, 270, 294
„ ვახუშტი 118
ბაგრატიონი, თეიმურაზ 137, 180, 287 304, 309, 310, 315, 316, 321, 325
ბაგრატ მეფე (დიდი) 317
ბაერელი 72
ბახენი 207, 209, 352
ბაკლანა (ორბელიანი) 352
ბაბინი 124

ბარონესა ნიკოლაი 25
ბარონ როზენი 98, 102, 118, 119, 133, 169, 300, 301
ბარონ ნიკოლაი 15, 102, 140, 323, 345
ბაირონი 196, 199, 201, 210, 232, 251, 348
ბარტდინსკი, ი. 310, 311, 288
ბაჩილავა 286
ბაშბეუქოვი, აბ. 12, 322
ბაქრაძე, ი. 17
ბასტია 27
ბასილაია, ბ. 126
„ ნიკო 167
ბარიატინსკი 190
ბებუთოვი, ვ. 15, 95, 97, 132, 140, 142, 184, 189, 313, 322
ბელიხსკი 17, 18, 22, 27, 206, 351
ბებურიშვილის ას.(ილიას დედა) 25
ბებურიშვილი 246, 355
ბერნარდენ დე ს. ბ. 88
ბესიკი 284
ბელავსკი 322
ბესარიონ ბყონდიდელი 92
ბესტუჟევი 111
ბენედიქტე 115
ბერიძე 135
ბესარიონ ძიტროპოლიტი 166, 194
ბეზრუკოვი 192
ბერნე 195—199, 206, 211, 222, 234, 239, 348
ბეკონი 202, 204, 234, 236, 350
ბერანჟე 222, 238, 354
ბეთხოვენი 234, 354
ბიუხნერი 224, 354
ბლუდოვი 119
ბოკლი 17, 20, 196, 197, 203, 349
ბოლოტნიკოვი 18
ბობოხიძე 173, 286
ბორისოვი, რ. 166
ბოლხოვიტინოვი, ევ. 312
ბროსე, მ. 109, 118, 123, 127, 130, 131, 132, 147, 156, 168, 169, 287, 288, 294, 308, 309, 316, 318, 320
ბუდდაპ 224, 354
ბუაძე, დ. 289
ბუბყიაშვილი 250
ბლიაძეები 307
ბაბაევი 37
გაბრიელი (ეპისკ.) 28, 31, 193, 234, 246, 355
გარსევანიშვილი, იასე 12, 300
გარიბალდი 37
გამბეტა 54, 234, 355
გაგარინი 130, 176, 322
გახოლა და გახო 126
გალიციინი 147
გაბუნია 158
გაწერელია, ივა 173
გამეზარდაშვილი, დ. 312
გაგარინისა, ტ. 347
გელოვანი, ა. 92
„ გ. 128, 174
„ ფარნა 152, 318
გეგეჭკორი, ანდრია 109, 111, 112
„ ივანე 315
გეგელია, ბ. 115, 286
„ გ. 126
გერშანე (ეპისკ.) 172, 176
ჯეორჯ—291
გიორგი ბრწყინვალე 58
გიორგი ეპისკ. 103, 104, 172
გიორგი მეფე (იმერეთ.) 117
გიორგი მეფე (XII) 265, 339
გიორგი (მდივ.) 282
გიორგი III (მეფე) 37
გიორგი ბყონდიდელი—283
გიორგი არქიმანდრიტი 283
გიგინეიშვილი, სიკოია 132
ჯედევანიშვილი, იონა 290
გიულდენშტედტი 297
გოგებაშვილი, იაკობ 7, 17, 20, 26, 55, 234, 236, 237, 238, 246, 249, 250—252, 272, 355
გორგასალი (ვახტ.) 37
გოეთე 97, 196, 149, 205, 210, 212, 223, 227, 234, 243, 348
გოგოლი, ნ. ვ. 55, 211, 246, 353
გოპაძე 71
გოპაძეები 256
გოტიე, თ. 87
გოლოვინი 100, 103, 132, 133, 315
გორგიჯანიძე, ფ. 117
გობეჩია, გიგო 174
გრეკოვი 199, 350
გრემელი, დიმ. 262
გრიბოედოვი, ალ. 102, 180
გრიბოედოვისა, ნინო 25, 102, 180, 300, 323, 326, 335
გრიგოლ არქიმანდრიტი 68

გრიგოლია, მერაბ 112, 115, 122
გრიგოლია, ნიკო 172
გრიგოლ ბერი 283, 295, 298
გრიგოლ ბატონიშვილი (დადიანი) 316
გრიშაშვილი, ი. 307, 309, 313
გურიელი, მამია 3, 58, 96, 255, 344
„ მამია (მთავარი) 177, 190
„ გრიგოლ 111, 120, 137
„ დიმიტრი 131
გურამიშვილი, დავ. 40
„ დავით (პოეტი) 55, 58
გუგუშვილი 93
„ გიორგი 136
„ ალ. 136
„ ლომკაცი 173
გუგურია 95
გუგუნავა, დათა 132, 308
„ სიმონ 308
გულორდავა 126
გუმბოლტი 196, 349
გვარამაძე, ივ. 261
გვათუა, დავით 151
გვიჩია, მაზუ 150
დადიანი დავით (მთავარი) 3, 10, 11—15, 95—178, 181, 285—324, 331. 335
„ დავით (გიორგის-ძე) 96, 284
„ გრიგოლ (ძმა მთავ.) 3. 95, 97, 99 — 101, 111, 115, 117, 122 — 124, 129, 130, 132, 134, 137, 138, 160, 168, 169, 175 — 78, 188, 194, 305 — 311, 314, 320, 326, 347
დადიანი, ნიკო (დიდი) 3, 10, 92—96, 100, 120, 162, 170, 190, 281—285
„ კოწია 96, 284
„ გრიგოლ (მთავარი) 11, 13, 22, 93, 105, 121, 125, 136, 285
დადიანი, ლევანი (მთავ.) 10 — 13, 92—109, 116, 118, 125, 126, 129, 132, 133, 136, 139, 141, 148, 159, 160, 162, 165, 167, 170, 181, 285, 303, 310, 321
დადიანი, დიმიტრი 17, 256, 324
„ პეტრე 55, 96, 134, 158, 161, 190
დადიანი, კონსტ. 96, 116, 150, 177. 188, 289, 306. 308, 320, 335, 340
„ ანდრია 178. 308, 334, 342
დადიანი ლევან (II, მე-17 საუკ.) 117, 118
დადიანი, ნიკო (მინგრელსკი I) 121—125, 168, 173, 177, 178, 183, 192, 284, 288, 289. 249, 308, 327, 328, 329—336
დადიანი, გრიგოლ (ტარიელის-ძე) 127, 160
„ დუტუ 128, 151
„ ელიზბარ (გიორგის-ძე) 134
„ ალექსი 152
„ ტაია 152
დადიანი, ნიკო (ტარიელის-ძე) 152, 283, 284
„ შალვა (ნიკოს-ძე) 152
„ ნიკო (ბესარიონის-ძე) 96, 187
„ მართა 188
„ ლევანი 188, 335
„ ალექსანდრე 188, 335
„ ნინო 188
„ თამარი 188, 296, 308
„ ოტია 92, 161, 170, 283
„ ბეჟან (მთ) 92
„ ნიკო (შხეფელი) 92, 96, 159, 284
„ ბეჟანი 92, 120
„ ტარიელ 93
„ გიორგი 95
დადიანი, გიორგი (ნიკოს-ძე) 96, 100, 133, 134
დადიანი, ბესარიონ 96
„ პავლე 96
„ ბათუ 96
„ კესარია 96
„ ლევან (პეტრეს-ძე) 96
დადიანი ნინო (მუხრან-ბატონისა) 39, 102, 122, 137, 169, 185, 193
დადიანი, კაცია II (მთ) 18, 125 — 127, 284
„ კაცია (მდივ. ბ.) 113
„ მანუჩარ 124, 125
დადიანი მენიკი (ნიკოს ას.) 163, 284, 336, 337
დადიანი ნიკო (ოტიას-ძე) 284
„ გიორგი (ოტიას-ძე) 284
„ ტერეზია 299, 308, 321
დავით ალმაშენებელი 37, 263
დავით მიტროპოლიტი 166. 170, 174
დავით წინასწარმეტყველი 93
დარვინი 17, 354, 230
დანკური 38
დადიშქელიანი, მურზაყან 102
„ ციოყ 102
„ დარეჯან 102
„ დიგორხან 102
დადიშქელიანი 322

დადიშქელიანი, ალ. 282
დეველი 68
დე კამპოკასო 73
დელპი 82
დევდარიანი, ბეჟუკი 129
დეკარტი 202, 350
დემოსთენი 202. 350
დიოგენი 203, 221, 350
დიკი 192
დოდე 89
დგებუაძე. ევ. 111, 112
„ ბეჟან 126
„ გრიგოლ 128
„ სოლომონ 167
„ სიკო 169
დუბროვინი 92, 110, 157
დუმბაძე, ან. 330
ერისთავი, გიორგი (დრამ.) 3, 7, 12, 31, 102, 180, 295, 301—304
ერისთავი, დავით 3, 25, 91, 254, 255, 272, 330
ერისთავი, კოლა 35, 40
„ რაფიელ 56, 138, 272, 276
„ მარიამ 95
„ კონსტანტ. 130
„ გიორგი (რომანის-ძე) 267, 344
„ ხ. რ. 269
„ ეკატერინე 270
„ რევაზ 270, 344
„ გიორგი (ევსევის-ძე) 293, 300
„ ალექს. 301
ერეკლე II (მეფე) 37, 179, 339
ეკატერინე დედოფალი (იხ. ბავბავაძე ეკატ.)
ერმოლოვი 97
ესპეხო 103
ეკატერინე II 180
ედემყვავილისა 129
ეკვთიმე (ეპისკ.) 172
ეფთვიმე (პატრიარქი) 288
ევგენია (იმპერატრ.) 193
ელიოსიძე, მ. 257
ენგელსი, ფ. 350
ელენე ბატონიშვილი 321, 322
ვაჟა-ფშაველა 56, 250
ვახტანგ VI 94, 150
ვახუშტი (იხ. ბაგრატიონი)
ვახრამოვისა, ნ. 327
ვასილიევი 125, 306
ველიამინოვი 164
ვენეციანოვსკი 334
ვორონეცოვი, მ. ს. 26, 107 — 109, 113, 123, 133, 149, 150, 175, 177, 178, 292, 295, 298, 323, 327
ვორონოვი 192
ვუნდტი 196, 349
ვოლტერი 206, 221, 234, 313, 323, 351
ზაქარია (არქიმანდრ.) 172, 176, 177, 178, 298, 300
ხახარკა 271
ხაბარ პავლოვიჩი 290
ხოლა 82, 89
ხურაბ 294
თამარ მეფე 10, 37, 55, 262, 339
თამარი (ბატონიშვილი) 25, 302
თარხნიშვილი, ალ. 102
„ გრიგოლ 256
„ კონსტ. 262
თარხან-მოურავი 300
თავდგირიძე, ყ. 308
თაყაიშვილი, ეკვთ. 191, 282
„ ე. 251
„ იოსებ 257
„ კოწია 257
„ იაგორ 257
თვალთვაძე, ს. 114
„ ნ. 317
თეიმურაზ ბატონიშვილი (იხ. ბაგრატიონი)
თეიმურაზ მეფე 29
თევზაია, ჯარუკია 150
თოფურია, სეხი 159
„ ქაქუჩია 172
„ სპირიდონ 257
თეოფანე ეპისკ. (გაბუნია) 172
თუმანიშვილი, მიხ. 25, 178, 304.
„ გიორგი 326
„ ისაკ 344
ივანოვი 17
ივა ბერი (ნახე ხოშტარია)
ივანენკო 128, 133, 139, 157
ივან იაკოვლევიჩი 128
ივანე ტარიელის-ძე 128
იოსელიანი, პლატონ 27, 34, 120, 168, 288—301, 326, 327
იოსელიანი, იოანე 92, 93, 120, 306
„ გიორგი 205, 351
„ ფილიპე 173
„ ეგნატე 289
„ ლუკა 289

იოსელიანი, როსტომ 303
იორდანიშვილი, ს. 315
იონა 168
იოანე ბატონიშვილი 168
იოანე არქიმანდრიტი 289, 293
იოანე ფილოსოფოსი 296
იოვანე პეტრიწი 297
იოანე ბიმბიმელი 297
ინაევი, ნ. 196, 349
იუხნოვიჩი 245, 355
ისიდორე, ეგზარქოსი 172
ისმაილ-ფაშა 342
ისკანდერ-ფაშა 123, 161, 183, 189
ქოლხიდელი (ნახ. გრ. დადიანი)
კოლუბიაკინი 16, 187, 191
კოპიაშვილი, პ. 344
კოლუბანსკი 72
კოცებუ 149
კობახიძე (მეუნარგიასი) მაიკო 129
კორსაკოვი 137
კონტი, ოგიუსტ 38, 196, 198, 206, 216, 225, 349
კორძაია, ხალიკო 179
„ სიკო 179
„ გიგო 173
კორდელია 195
კობურგი 333
კონსტ. მიხ-ძე (რომანოვი) 193
კანტი 17, 18, 196, 202, 203, 205, 206, 213, 225, 234, 239, 348
კარამზინი 18
კანდელაკი 28
კანდელაკი, ნ. 256
კაბაბერი 54
კალანდარიშვილი, გ. 219—226, 234, 236, 237, 242, 359
კაკაბაძე, ს. 282
კერსკი 19, 20, 217, 237, 352
კეზელი, დავ. 20, 21, 209, 275, 352
კერესელიძე, ივანე 39, 262, 328, 331
კელენჯერიძე, მ. 355
კილიანი 112
კრილოვი 251
კიკნაძე, ფილადელფოს 301, 303
კირაკოს 320
კუხალეიშვილი, ბერუკელა 129
კურციოს, კვინტოს 168
ლაბულე 205, 351
ლაპჩინსკი, კ. 312
ლასალი 17, 197, 199, 208, 349
ლატარი 112
ლარაძე, პ. 116, 287
ლამბერტი, არქ. 117, 122, 142
ლაშხიები 126
ლაზარევი 342
ლენინი 3, 22, 271, 352
ლეკავა, თ. 56
ლეიბნიცი 205, 206, 222, 234, 351,
ლეონიძე, ს. 283
ლიტვინოვი 148
ლივი, ტიტ 168
ლირი 195
ლიეი 342
ლომოური, ნ. 17, 349
ლუარსაბ მეფე 37
ლორის-მელიქოვი, მ. 63, 346
ლოთი (ბიბლ.) 86
ლოლუა, ბასა 159
„ უტა 159
ლუი-ფილიპე 183
ლონგუორტი 188
ლუი-ბლანი 205, 351
ლერმონტოვი, მ. 17, 43, 45, 46, 87, 222, 251, 353
ლორთქიფანიძე, კ. 271, 327
ლომაია, ლაზ. 282
ლოტრევი 346
მაიკოვი 45
მაკარაძე 159
მამა ეგნატე (იხ. იოსელიანი)
მანალოს 168
მაკ-მაჰონი 207—209, 352
მაკავარიანი, ალ. 20
„ დავით 166
მაკავარიანი 289
მაჩაბელი, ივანე 34, 41, 263, 275, 276—279
მაჩაბელი, ვასილ 328—330
მამაცოვი 346
მამაცაშვილი, ქრ. 27, 55
მართა დედოფალი 97, 129, 125, 133
მანსვეტაშვილი, იაკ. 251
მაყაშვილი, ვ. 257
მარქსი, კ. 273, 352
მაღალოვი 346
მაჰმადი 234, 354
მესხი, სერგეი 3, 5, 6—19, 39, 69—76, 263, 271—280

მესხი, ივანე 272
მესხი, კოტე, 272
„ ეფემია 272
„ დავით 272
მეუნარგია, იონა 2—11, 17—21, 24, 190, 195, 249, 251, 254, 255, 257, 262, 272, 276, 280, 308, 309, 324, 328, 330, 341, 356
მეუნარგია, პეპუა 305
მეუნარგია, პავლე 167
„ მიხეილ 176, 216, 246, 353
„ მიშა (მიხეილ იონას-ძე) 252
„ ლილი 252
მელიქიშვილი, ლ. 19
„ სტეფანე 65
„ გრიგოლ 65
„ კ. 257
მელია 172
მეფრე 138
მეფისტოფელი 200
მეფისაშვილი, კ. 256
მიქელაძე, ვლ. 8, 75
მიქავა, უტუ 16
მიხეილ ნიკოლოზის-ძე (მეფისნაცვალი) 20, 61, 193, 340
მიურატისა, სალომე 123, 125, 126, 178, 192, 308, 325, 338, 341, 345, 347
მიურატი, აშილ 192, 338, 342, 347
მიურატი, ლ. 126
მიქელაძე, გლ. 128
მიტრიდატი 168
მიხაილაშვილი, ცხაკუნია 173
„ აბრამა 173
მილი 196, 203, 213, 348
მიხანდარი 256
მიქელაძე, დავ. 272
მილოტი 288
მინკვიცი 322
მირსკი 340
მირზოევი 344
მგალობლიშვილი, სოფ. 17
მოლეშოტი, 18
მოჩხუბარიძე (იხ. ყაზბეგი, ალ.)
მორენასი 147, 148
მოსე 228, 354
მოლიერი 327
მოწყლუაძე 319
მუხტარ-ფაშა 340, 342
მურავიოვი (მოგზაური) 308, 311

მურავიოვი (გენ.) 187, 189
მორდოვცევი, დ. 283
მურილიო 37
მუხრან-ბატონისა, ნინო (იხ. დადიანის ას.)
მუხრან-ბატონი, კონსტ. 193
„ გიორგი 15, 27, 140, 149, 349
მუხრან-ბატონი, ივანე 15, 36, 102, 140, 185, 186, 187, 188, 189, 327
მქედლიძე, ესტ. (ბოსლეველი) 8, 75
მქედლიშვილი, ოლგა 256
მხეიძე, პეტრე 93, 128, 159, 161
ნაკაშიძე 342
„ მ. 257
ნახირი 168
ნაპოლეონ I — 29, 200 — 205, 212, 215, 222, 223, 234, 245, 338, 350
ნაპოლეონ III 192
ნეკრასოვი 42
ნესტანდარეჯანი (ვეფხ. ტყ.) 58
ნესელროდე 118
ნეიდგარდი 132
ნეზნაკომეც (ა. ს. სუვორინი) 205, 351
ნესტანდარეჯანი 316, 317
ნიკარაძე, კონსტ. 330
ნიუტონი 213, 234, 353
ნიკო ნიკოს-ძე დადიანი (მინგრელსკი II) 125
ნიკოლაძე, ნიკო 5, 7, 17, 36, 40, 55, 56, 176, 199, 205, 206, 234, 249, 251, 262, 271, 273, 327, 328, 351
ნიკოლაძე, რუსუდან 355
ნიკოლოზ I—107, 133, 147, 183, 185, 301
ნინო დედოფალი 92, 101, 104, 118, 120, 136, 177, 303
ნინო (წმ.) 37, 120
ოდიშარია (დიაკვ.) 292
ოლდენბურგელი პრინცი 193
ომარ-ფაშა 123, 185, 186, 187, 188, 189
ოსმანი 126
ოპერმანისა, გრაფინია 309, 336
ოქრომქედლიშვილი, ილია 36
ოქროპირ ბატონიშვილი 297, 298
ორლოვი 111, 315
ორლოვი, მ. 301
ორბელია, ივანე 97, 286
„ მაიკო 97, 286
ორბელიანი, გრიგოლ 3, 4 — 6, 19, 26, 27, 31, 42, 46, 55, 56, 255—271, 273,

274, 304, 309, 324, 334, 335, 339
ორბელიანი, ვახტანგ 56, 180, 262, 301, 304
ორბელიანი, გიორგი 63, 64, 256—270, 340, 341, 343, 345
ორბელიანი, ალექსანდრე 180, 267—69, 301, 302, 304, 307
ორბელიანი, ვარვარა 270, 340, 343, 345
„ ბეგლარ 283
„ დიმიტრი (ზაქარიას-ძე) 283
„ დიმიტრი (ნიკოლოზის-ძე) 283
ორბელიანი, ზაალი 283
„ ელენე 300
„ ლუარსაბ 301
„ დიმიტრი (ვახტ-ძე) 304, 345
„ ქეთევან 305, 343
„ სულხან-საბა 320
„ ილია 334, 335
„ ზაქარია (ზურაბის-ძე) 334, 337
„ ელისაბედ 335
„ ბაბალე 335
„ ნინო 335
„ ყაფლან 335, 342, 343
„ მანანა 337, 343, 347
„ სოფიო (ივ. ცოლი) 343
„ ვანო 343
პავლოვი 340
პანკრატიევი 160, 163
პასკევიჩი 97, 98, 148, 165, 166, 173, 301
პარკაძე, გ. 24
პეტრე I—212, 353
პეჩკოვსკაია 193
პისარევი 17, 22, 213, 353
პეტროუსევიჩი 346
პოტოცკი 111, 149, 317
პოლტავცევი, ნ. 121
პომპეოსი 168
პლატონი 198, 349
პლუტარქი 3, 12, 288
პუპი 122
პუშკინი, ალ. 17, 22, 43, 87, 251, 254, 351
პრუდონი 27
პრიბილი (ექ.) 116
ჟორჟ-სანდი 18
ჟირარდენი 38
ჟუზეფი 129
ჟორდანია, თედო 284
ჟორდანია გიორგი 158
„ პეხუ 116
რაზიკაშვილი (იხ. ვაჟა-ფშაველა)
რაევსკი 25, 114
რეიტერი, კ. 35
რემმერტი 193
რაისი 122
რიკჰოფი 93
როჰანი, მ. 126
როზმორდუქი 145, 146, 174, 175, 182, 286
როზმორდუქისა, ნ. 327
როზენტალი 334
რომანოვი, კ. ნ. 343
რუსო 201, 207, 210, 243, 350
რუსთაველი, შ. 33, 37, 39, 88, 198, 263, 312, 349
რუხაძე, ტრ. 10, 283
რტიშჩევი 164
სახოკია, თედო 14, 255
სანებლიძე, მ. 17, 195, 196, 220, 348
საგინაშვილი, ლიზა 32
სარაჯიშვილი, ალ. 34
სალომე (იხ. მიურატისა)
სალაყაია, ნიკ. 150
სალუსტი 168
საინ-ოღლი 173
საბინინი 267
სალალუბი (სოლოგუბი) 324, 325
საგინაშვილი, ალ. 335
სტალინი, ი. 22
სტაროსელსკი 32, 36
სტალინსკი, ევ. 310
სპინოზა 17, 199, 201, 205, 206, 223, 234, 350
სუმბათაშვილი, გ. 28
სერებრიაკოვი (იხ. ოკრომჭედლიშვილი)
სიმბორსკი, ნ. 40
სიმონიდი 54
სოლომონ II (იმ). 92
სოლომონ I (იმ.) 129, 281
სოლომონ ფრანგი 129
სოლომონ ბრძენი—198, 199, 349
სხვიტარია, გ. 111
სმიტტენი 132
სტრეკალოვი 167
სოფიო გიორგის ას. (გურიელი) 177
სეფერ-ბეი 185
სტრუგოვშჩიკოვი 199, 350

სპენსერი 203, 212, 213, 350
სტენლი 205, 350
სკანდელი (იხ. ნ. ნიკოლაძე)
სოკრატი 223, 245, 354
სკოტი, ვ. 236, 239, 355
სუსა (მეუნარგიასი) 244, 355
სლეპცოვი 246, 355
სულხანოვი 256
სულხანიშვილი, ბ. 284
სლივიცკი, ი. 292
სიმონიჩი 323
სუტნერები 328
სიმბორსკი 336
სკობელევი 347
ტაბიძე, ტ. 356
ტაციტი 168
ტერ-სტეფანოვი 72
ტერლუკასოვი 342, 346
ტერ-ასატუროვი 342
ტიგრან 168
ტიტოვიჩი 342
ტორნაუ, თ. 300
უთურგაული, გიორგი 17
უმიკაშვილი, პ. 34, 272, 276
ფავორსკი 242, 355
ფალავა, ხახუ 14
„ მეკი 32
„ ბეჟან 93
„ ხიტუ 93
„ ნიკო 115, 117
„ ბათუ 116, 131
„ არჩილ 128
„ გახუ 128
„ სოლომონ 128
„ დავით 131
„ გიგო 134, 152, 160, 161
„ დუტუ 152
„ ხურაბ 158
ფალავას ქალი 286
ფლაბიოსი, იოსებ 12, 288
ფილიპოვიჩი 64
ფლობერი 82
ფაუსტი 199, 201
ფურცელაძე 205, 206, 238, 351
ფრანკლინი 219, 353
ფიხტე 234, 348, 355
ფლაბიანე არქიმანდრიტი 284
ფრუიძე, მაქსიმე 319
ფურცელაძე, მარ. 327
ფიშერი კუნო 350, 202, 205
ქავთარაძე 117
ქეთევან ბატონიშვილი 300
ქეთევანი 296
ქირია, ქუჩუია 139
ქიქოძე, მ. 205, 351
ქიქოძე, ნინო 220, 225, 226, 227, 241, 246, 354
ქიქოძე, მიხა 246, 355
ქიქოძე, გრ. 257
ქიქოძისა, ნ. 257
ქოჩაქიძე, გიორგი 3, 152
ქოჩაქიძე, მაქსიმე 152
ქოჩიავა, მაძინია 161
ქორიძე, ფილ. 330
ქუთისოვი 137
ქუთათელაძე, არ. 330
ქუთელია, ალ. 356
ქრისტე 234, 239, 355
ლლაბირონ 168
ლომერი (ჰომეროსი)314
ლურკო (გენ. გურკო) 340
ყაზბეგი, ალექს. 3, 8, 9, 55, 77 — 91, 249, 262, 276, 280, 334
ყაზბეგი, ელ. 256
ყიფიანი, დიმ. 31, 33, 55, 123, 193, 257, 273, 301
„ გოგისა 174
„ ნიკოლოზ 257
„ სამსონ 330
ყიფშიძე, გრ. 330
შარვაშიძე, გ. 35, 96
„ მიხეილ (ჰამუთ-ბეი) 92, 96, 128, 133, 284, 336
„ ქელეიშბეგ 92
„ გრიგოლ 96, 257
შარვაშიძე, გ. დ. 193
შარვაშიძე, ს. 193
შარაშიძე, გ. 354
შახავსკოი 344
შამილი 102, 346
შარდენი 292
შექსპირი 25, 37, 55, 195, 196, 199, 213
შალიკაშვილი, ს. 40
შენგელაია, ზ. 124
შეროღლი 173
შერრი 198, 201, 224, 349
შიუკაშვილი, შ. 17
შჩერბინინი 123

ილერი 196, 348
შელინგი 204, 205, 350
შპრინგელი 169
შიფერსი, ე. 339
შლეირმახერი, 348
ჩაჩიბაია, მ. 95
ჩარკვიანი, ნ. 128, 306
ჩაგუნავა 129
ჩერნიშევსკი 17, 18, 22, 208, 209, 271, 351
ჩერნიშევი 98, 103, 108, 163, 178
ჩინგისხანი 222, 354
ჩიკვაიძე, კ. 55
ჩიხლაძე, დ. 95
ჩიქოვანი, გ. 92, 129
„ დათა 15, 114, 132, 139, 140,
„ 174, 308
„ ალ. 117, 134, 152
„ ოტია 117
„ ივანე 127, 129, 158, 161
„ ხოსია 128
„ როსტომ 129, 158, 160, 161, 162, 163, 172, 285
„ ბერი 134, 136
„ ლევან 135, 136
„ ანტონ 152, 158, 160, 161
„ სიკო 158, 161
„ ვახტანგ 158, 161, 174
„ გუძა 162, 285
„ კაცია (დიდი) 313
„ თოთიკა 317
ჩიქოვანისა 256
ჩიქოვანი, თ. 256
ჩიჩუა, ბ. 97
ჩიჩუა, ხახუ 93
ჩიჩუა, კ. 100, 124, 133, 151, 159
ჩიჩუა, გ. 127, 133
ჩიჩუა 135
ჩიჩუა, გ. 6—136
ჩიჩუა, დავ. სოლ. 159
ჩიჩუა, მიხა 159
ჩიჩუა, დავით (ქვალონელი) 159
ჩუბინოვი, დავ. 118, 313
ჩქოტუა, დავ. 273
ჩოლოყაშვილი, თ. 301
ჩხიკვიშვილი, პოლ. 231
„ სამსონ 231
ცაგარელი, ალ. (პროფ.) 264
ცაგარელი, ავქ. 262
ცაიშვილი, სოლ. 2, 24, 253, 285
ცერცვაძე, ს. 8, 75
ციციანოვი, ბ. 125, 148
ცილლე 149
ცვეტკოვი 206
წერეთელი, აკაკი — 3, 4, 7, 25, 36, 41—43, 54 — 58, 68, 234, 249, 257, 262, 271, 273, 274, 279, 327, 355
წერეთელი, გიორგი 5, 8, 17, 55, 69, 73, 74, 271, 272, 278, 327
წერეთელი, გრ. 96
წერეთელი, ზურაბ 97
წერეთლისა, პელაგია 284
წყალტუბელი, გ. (იხ. ¦ოსელიანი გიორგი)
წიწავა, ქვაცა 139
ჭავჭავაძე, ალექსანდრე 3, 15, 25, 101, 125, 138, 140, 179, 180, 300, 301, 304, 305, 306, 309, 310, 312, 314, 322, 324, 331
ჭავჭავაძე, ილია 3—7, 25—45, 52, 54—57, 68, 249, 254, 257, 265, 271, 273, 274, 278, 309, 324, 327, 330, 333
ჭავჭავაძე-დადიანისა ეკატერინე 3, 10, 15—25, 102, 121—125, 126, 176, 177, 179—194, 262, 200, 289, 293, 299, 300, 305, 306, 309, 314, 321, 324
ჭავჭავაძე, გრიგოლ 25
„ ოლგა (ოლიკო) 3, 6, 266
„ ზალიკო 55
„ სოფიო 102, 323, 336, 337
„ გულბაათ 115, 116
„ დავით 138, 270, 305, 337, 345, 346
„ გარსევან 179
„ ნიკო 342, 346
ჭავჭავაძე-ბაგრატიონისა, თამარ 270
ჭავჭავაძე, ა. 257
ჭალადიდელი, გ. (იხ. ქოჩაქიძე)
ჭედია, დათაია 173
„ როსთო 173
ჭეიშვილი, ზაქ. 240, 241, 246, 355
ჭიჭინაძე, ზაქ. 55, 261
„ ივანე 165
ჭილაშვილი 123
ჭოჭუა, გუკოჩია 150, 161
„ იესიკა 150
ჭყონია, ილია 29
„ ალექსანდრე 117, 122
ჭყონდიდელი 128
ხაბურზანია, გიორგი 173

ბელიძე, გ. 237, 355
ბელაძე, ე. 73
ბერგიანი 128
ბერხეულიძე, მიხ. 256
ბონელი, ილია 35
ბოშტარია, ივ. 109, 111, 294
ბოშტარია, თევდორე 111
„ მეთოდე 173
ბოფერია, ბ. 111, 159, 172.
„ ნიკო 136, 173
ბურციელავა, ივა 126
ბუხუნი, ანდრი 172
ბუნდაძე, სილ. 262
ბუტულაიშვილი, გ. 257
ბუციშვილი, ს. 267
ჯაბადარი, ნ. 257
ჯავახიშვილი, ივ. 15, 117
ჯანაშია, სიმონ 3, 282, 283, 284, 288, 312, 321, 328
ჯანაშვილი, დიმ. 68, 257—259
ჯანოევი 112, 159, 173
ჯაიანი, ნიკო 154
„ იოსები 159
ჯაფარიძე, დ. 250
ჯაფარიძე, ბეს. 273
ჯაყელი, ივანე 257
ჯომარჯიძე 65
ჯგუშია 129
ჯიქია, სერგი 142
ჯორჯიკია, ბეჩუნა 150, 157
„ გიორგი 157
„ უჩა 158
ჭაინე, ჭ. 17, 56, 196, 206, 211, 222, 234, 239, 254, 348
ჭამლეტი 195, 196
ჭანიბალი 245
ჭეჯელი 17, 204, 205, 350
ჭერაკლე 120
ჭეროსტატე 198, 231, 349
ჭიუჯო, ვ. 27, 33, 39, 56, 87, 309
ჭომიროსი 89

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ს ა რ ჩ ე ვ ი

	გვ.
‚ინასიტყვა	3
‚ანაბი და განაგონი ილიას ცხოვრებიდან	25
‚ამახსოვრო ფურცლები აკაკის შესახებ	54
‚რიგოლ ‚ორბელიანი	59
სერგეი მესხი	69
ალექსანდრე ყაზბეგი	77
ნიკოლოზ გიორგის-ძე დადიანი	92
დავით დადიანი და მისი დრო	97
ეკატერინე ‚ავ‚ავაძე-დადიანისა	179
ფურცლები სემინარიელის დღიურიდან	195
შენიშვნები და კომენტარები	249
საკუთარ სახელთა საძიებელი	357

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ИОНА МЕУНАРГИЯ

ГРУЗИНСКИЕ ПИСАТЕЛИ

т. II.

Составил, предисловием, примечаниями
и указателем снабдил С. М. ЦАИШВИЛИ

(на грузинском языке)

Издательство Научно-методического кабинета
Министерства просвещения Грузинской ССР

გამომცემლობის რედაქტორი შ. ურიდია

* * *

გადაეცა წარმოებას 1956 წ., 26/XII. ხელმოწერილია
დასაბეჭდად 1957 წ., 20/IV. ქაღალდის ზომა 60×92.
წიგნის ანაწყობის ზომა 6,5×10,5. ტირაჟი 2.000.
გამომც. შეკვ. 2. სტამბის შეკვ. ფე00904.

* * *

საგამ.-სააღრ. ფორმათა რაოდენობა 24,3 სასტამბო
ფორმათა რაოდენობა 23,5.

* * *

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს გა-
მომცემლობებისა და პოლიგრაფიული მრეწველობის
მთავარი სამმართველოს სტამბა № 2. თბილისი,
ფურცელაძის ქ. № 5.

Типография № 2 главного управления издательств
и полиграфической промышленности министерства
культуры Грузинской ССР. Тбилиси, ул.
Пурцеладзе, № 5.

ფასი 13 მან. 50 კაპ.

N249